

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ეკა დადიანი
ტარიელ ფუტყარაძე

ქართველური დიალექტოლოგია

I

სალექციო კურსი

2018

**Akaki Tsereteli State University
Saint Andrew the First-Called Georgian University**

**Eka Dadiani
Tariel Putkaradze**

**K a r t v e l i a n
D i e l e k t o l o g y**

I

Lecture Course

2018

“ქართველური დიალექტოლოგია“ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი მოიცავს ზოგად ინფორმაციას დიალექტოლოგიის შესახებ, **ენისა და კილოს გამიჯვნის კრიტერიუმებსა და** აკადემიურ ინფორმაციას ქართველთა დიალექტების შესახებ. მეორე ნაწილში წარმოდგენილია **ქართველური კილოების საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები.**

ნაშრომის პირველი ნაწილი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, მეორე ნაწილი კი უფრო — ენათმეცნიერთათვის.

რეცენზენტები:

პროფესორი მერაბ ბერიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი მერაბ ნაჭყებია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

© E. Dadiani, T.Putkaradze

Kartvelian Dialectology consists of two parts: the first part contains general information on dialectology, the criteria of language and dialect distinction and academic information about the Georgian dialects. The second part represents common and distinctive characteristics of Kartvelian dialects.

The first part of the work is intended for students, while the second one is more for linguists.

Reviewers:

Prof. Merab Beridze

Prof. Merab Nachkebia

© E. Dadiani, T.Putkaradze

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი: ზოგადი დიალექტოლოგიის საკითხები -----	7
0.1. დიალექტოლოგიის საგანი. დიალექტთა სახეები -----	7
0.2. დიალექტთა შესწავლის მნიშვნელობა და მეთოდები -----	14
0.3. ენისა და დიალექტის გასამიჯნი კრიტერიუმები: გაგებინება, „ჯაჭვური გარდამავლობის“ კრიტერიუმი, ბგერათშესატყვისობა, ენათა სისტემური სხვაობა/მსგავსება, დამწერლობის ქონა-არქონა (კოდიფიცირებულობა), ნორმირებულობა/სტანდარტულობა, თვითაღქმა (თვითშეფასებითი კრიტერიუმი), პრესტიჟულობა, რეესტრული კრიტერიუმი /სახელმწიფო ენის სტატუსი/, პოლიტიკური კრიტერიუმი, რელიგიური იდენტობა, ეთნოკულტურული /ენა - ეთნოსი/ -----	17

I ნაწილი: ქართველური ენობრივი სამყაროს ზოგადი დახასიათება ----- **41**

თავი I: ქართველურ ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის ისტორიის საკითხები -----	41
1.1. ქართველთა ენობრივი ისტორია (ზოგადი შტრიხები) -----	41
1.2. ქართველთა სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემის საკითხი და ქართველთა სამწიგნობრო ენის ქმნადობის პროცესი -	54
1.3. ქართველ მემატიანეთა და საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებანი ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ -----	68
1.4. ქართველურ ენობრივ ვარიანტთა (ქვესისტემათა) კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის შესახებ არსებულ ძირითად თვალსაზრისთა კრიტიკული ანალიზი -----	73

თავი II: ეთნიკურ ქართველთა დიალექტების ზოგადი დახასიათება ----- **105**

ცენტრალური კილოები -----	105
2.1. ქართლური დიალექტი -----	105
2.2. კახური დიალექტი -----	113
2.3. გურული დიალექტი -----	118
2.4. იმერული დიალექტი -----	124
2.5. ლეჩხუმური დიალექტი -----	130
განაპირა კილოები -----	136
ფხოურ კილოთა ქვეჯგუფი -----	136
2.6. ხევსურული დიალექტი -----	136
2.7. ფშაური დიალექტი -----	140
თუშთა მეტყველება -----	143
2.8. ჩაღმათუშური დიალექტი (პირიქითა, გომეწარი, ჩაღმა) ----	146
2.9. წოვათუშური მეტყველება -----	148
2.10. მოხეური დიალექტი -----	150
2.11. მთიულურ-გუდამაყრული დიალექტი -----	154
მესხურ კილოთა ქვეჯგუფი -----	158
2.12. აჭარული დიალექტი -----	158

2.13. სამცხური დიალექტი -----	165
2.14. ჯავახური დიალექტი -----	169
2.15. იმერხეული დიალექტი -----	173
2.16. ტაოური დიალექტი -----	179
2.17. მაჭახლური დიალექტი -----	186
2.18. ლივანური დიალექტი -----	190
რაჭულ კილოთა ქვეჯგუფი -----	194
2.19. მთის რაჭული -----	195
2.20. ბარის რაჭული -----	199
ჰერულ კილოთა ქვეჯგუფი -----	202
2.21. კაკური დიალექტი -----	205
2.22. ალიაბათური დიალექტი -----	207
ზანურ კილოთა ქვეჯგუფი -----	209
2.23. მეგრული დიალექტი -----	211
2.24. ლაზური (ჭანური) დიალექტი -----	218
სვანურ კილოთა ქვეჯგუფი -----	225
2.25. ბალსზემოური დიალექტი -----	229
2.26. ბალსქვემოური დიალექტი -----	230
2.27. ლაშხური დიალექტი -----	231
2.28. ლენტეხური დიალექტი -----	233
2.29. ჩოლურული დიალექტი -----	235
საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული კილოები -----	237
2.30. ფერეიდნული მეტყველება -----	236
2.31. მუჭაჯირ ქართველთა შთამომავლების მეტყველება -----	243
2.32. ყიზლარ-მოზდოკური და პლასტუნკური მეტყველება -----	248
ლიტერატურა -----	237

შესავალი

ზოგადი დიალექტოლოგიის საკითხები

0.1. დიალექტოლოგიის საგანი. დიალექტური მეტყველების სახეები.

დიალექტოლოგიის საგანი. თანამედროვე ადამიანი საზოგადოებაში მეტყველებს სამწიგნობრო (სალიტერატურო) ენით — ნორმირებული (სტანდარტული) ენით, თუმცა ოჯახსა თუ არაოფიციალურ ვითარებაში მან შეიძლება გამოიყენოს თავისი დედაენის არასტანდარტული ვარიანტიც — მეცნიერთა შეთანხმებით მიღებული ნორმებისა და წერილობითი ტრადიციის არმქონე კუთხური ზეპირი მეტყველება ან მოცემული ქალაქისა თუ რომელიმე სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი კილო (დიალექტი).

კილო ქართული სიტყვაა, საერთაშორისო ველში მას შეესაბამება ბერძნული წარმომავლობის **დიალექტი** — διάλεκτος; **დიალექტის** პირველი ნაწილი — **დია** — უნდა უკავშირდებოდეს ბერძნულ **დი-** („ორი“) მორფემას, **ლექტ-** კი მომდინარეობს **λέγω legō** „მეტყველება“ ზმნისაგან; შესაბამისად, **დიალექტი** უნდა გავიგოთ როგორც „განსხვავებული მეტყველება“ — მოცემული ენის ვარიანტი (ზღრ.: διαλέγομαι, dialegomai **დიალოგი** — „ორის ლაპარაკი“).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „დიალექტი“ გამოიყენება როგორც მოცემული ენის სახესხვაობების — კუთხური მეტყველების, ასევე, ქალაქისა თუ საზოგადოების რომელიმე სოციალური/პროფესიული ჯგუფის მეტყველების — აღსანიშნავად; **ენა აქვს ერს, ეთნოსს, დიალექტი კი — ერის/ეთნოსის ნაწილს.**

ენის კუთხურ სახესხვაობას **ტერიტორიული დიალექტი** (ანუ გეოგრაფიული დიალექტი, გეოლექტი) ეწოდება, ხოლო სოციალური ჯგუფის მეტყველებას — **სოციოლექტი**. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მსგავსი წარმოების სხვა ტერმინებიც: „რეგიოლექტი“ — რეგიონული დიალექტი; „ეთნოლექტი“ — ეთნოსის დიალექტი. როგორც წესი, ტერიტორიულ დიალექტს აქვს თავისი გავრცელების არეალი, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებები. სოციალური დიალექტი ძირითადად მხოლოდ ლექსიკური თავისებურებებით გამოირჩევა. სოციალური დიალექტის — სოციოლექტის სახესხვაობებია:

პროფესიული დიალექტი — ამა თუ იმ პროფესიისათვის დამახასიათებელი მეტყველება; მაგ., ექიმების მეტყველების თავისებურებას ქმნის სპეციფიკური ლექსიკის გამოყენება; ასევე, მეტ-ნაკლებად სხვაობს ფილოლოგის, იურისტის, ფიზიკოსის, მუსიკოსის... მეტყველება.

ჟარგონი — ქალაქის დაბალი (ქუჩის) ფენისათვის დამახასიათებელი მეტყველება, რომლის ორიგინალობას განსაზღვრავს სემანტიკურად გადააზრებული ლექსიკა, ბარბარიზმები და სპეციფიკური ფრაზეოლოგიური გამოთქმები. ჟარგონს შეიძლება ჰქონდეს სპეციფიკური ინტონაციაც. ჟარგონი შექმნილია მხოლოდ ადამიანთა ვიწრო ჯგუფისთვის (იხ., მაგ., ქურდული ჟარგონი). ჟარგონული სიტყვები და გამოთქმები იქმნება როგორც საკუთარი, ისე უცხო ენის მასალის საფუძველზე. ქართული წარმომავლობისაა შემდეგი ჟარგონული ლექსიკა: **ტენავს** „ეუხერხულება, ეხამუშება“; **უსწორდება** „მოსწონს, სიამოვნებს“; **ქათამი, ძალი, გარეკა, გააფრინა...** ქართულ ჟარგონულ გამოთქმებში ხშირია აღმოსავლური (თურქული, არაბული, სპარსული...) და რუსული წარმომავლობის ლექსიკა, რომლებიც მეტწილად განსხვავებული მნიშვნელობით ან კიდევ დამატებითი სემანტიკური ნიუანსებით გამოიყენება. მაგ.: **არიფი** „გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი“ (შდ. არაბ. **harif** „ამხანაგი, პარტნიორი“); **ბაითი** „მყუდრო, წყნარი ბინა“ (შდრ. არაბ. **bayt** „სახლი, საცხოვრებელი, დაწესებულება“); **ბაირამობა** „დროსტარება, სიამოვნების მიღება“ (შდრ. არაბ **bayram** „მაჰმადიანთა დღესასწაული“); **გოიმი** რუსული: კაროჩე, ვაფშე, პროსტა, **არგო** — სასულიერო წრის საიდუმლო ენა, რომლის ხელოვნურად სემანტიკაშეცვლილი ლექსიკა გასაგებია მხოლოდ ადამიანთა ვიწრო წრისათვის; ჟარგონისაგან განსხვავებით, არგო გამოირჩევა მეტი გამომსახველობითი ძალით, გარკვეულწილად მაგიური დატვირთვის მქონეა. არგოს მრავალი ნაირსახეობა არსებობს.

არგოს ნიმუშია, მაგ., ფშავ-ხევსურული „ხატის ენა“ („ჯვართ ენა“). შდრ. ხატის ენის ლექსიკა: **ალვანი** — სალოცავის (ჯვარის) ტყე (შდრ.: ალვა — მაღალი ხე); **ალვის ტანი** — დროშა; **ბუბუნა** — ხარი; **ოქროს/ვერცხლის ბურთვი** — მამაკაცი; **ზედაშ-ნათავარი** — არაყი ან პირველად ამოღებული ლუდი; **თეთრეული** — ვერცხლეული; **იამანმახვილი** — ხმალ-ხანჯალი; **კიკინმაღალი** — თხა; **მაცხოვარი** — ცხვარი; **მატყიერი** — ცხვარი; **მეენე** — ქადაგი; **მიწათიხანი** — დედამიწა; **მზექალი** — მზე; **მონაგონი** — შვილები (შდრ.: მონაგარი); **მომმე** — ძმა; **მოჯალაფე** — მეუღლე; **მყეფავი** — ძალი; **მწკავანი** — კატა; **პირსაბანი** — საკლავი; **რემანი** — ცხენები; **საქუხარი** — თოფი; **საუცარი** — სიზმარი; **სულწმინდა** — მიცვალებული; **უსუსური** — მიცვალებული; **ცვარ-ნამი** — წვიმა; **წყრულიანი** — დაჭრილი; **ჭიშმარიტი** — ხუცესი...

არგოს სახეობას წარმოადგენს აგრეთვე შელოცვების ფორმულებიც, შელოცვის ტექსტი ხშირად შეიცავს გაუგებარ სიტყვებსა თუ ფრაზებს (აბრაკადაბრებს), რომელთაც, შემლოცველთა რწმენით, მაგიური ძალა აქვს და შეუძლია სხვადასხვა დაავადების განკურნება.

ტერიტორიული დიალექტი შეიძლება იყოს როგორც სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის მეორეული ვარიანტი, ასევე, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის პარალელური სახესხვაობა, რომელიც იმავე ფუძენიდან მომდინარეობს, რომლისგანაც

მოცემული სტანდარტული ენა; მაგ., იტალიურ დიალექტთა ნაწილი იტალიის ამჟამინდელი სახელმწიფო ენისაგან განვითარებული მეორეული ვარიანტებია, ნაწილი კი, იტალიური სამწიგნობრო ენის მსგავსად, ხალხური ლათინურიდან მომდინარეობს. ფლორენციულისაგან განსხვავებით, სხვა კუთხური მეტყველებები სამწიგნობრო ტრადიციის მიუხედავადაც კი ვერ იქცნენ სტანდარტულ ენებად; შდრ.: **დანტე ალიგიერის** (1265-1321), **ფრანჩესკო პეტრარკასა** (1304-1374) და **ჯოვანი ბოკაჩოს** (1313-1375) პოპულარობამ განსაზღვრა ფლორენციული დიალექტის გადაქცევა იტალიის სამწიგნობრო ენად.

ისტორიულად სულ სხვა ვითარებაა ქართველურ ენობრივ სამყაროში:

ქართველთა სამწიგნობრო ენა დაფუძნებულია საერთოქართველურ ფუძეენაზე (და არა დღეს არსებულ რომელიმე ქართველურ კილოზე). დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულ მცირე 15-საუკუნეა უწყვეტად ფუნქციონირებს ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს საერთოქართველური ფუძეენის ძირითად მახასიათებლებს. სალიტერატურო ენასთან მიმართებით **ქართველთა კუთხური მეტყველებები** (ხევსურული, ქართლური... მეგრული, ლაზური...) ფუძეენის მეტ-ნაკლებად შეცვლილი ტერიტორიული დიალექტებია.

დიალექტების წარმომავლობას, ისტორიას, გავრცელების ველსა და ენობრივ (ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ) თავისებურებებს სწავლობს **დიალექტოლოგია**. დიალექტოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც მოიცავს აკადემიურ ინფორმაციას დიალექტების ისტორიის, გავრცელებისა და ენობრივი თავისებურებების შესახებ. დიალექტოლოგიის შიგნით გამოიყოფა მიმართულებები:

ისტორიული დიალექტოლოგია — სწავლობს დიალექტის/დიალექტების ისტორიას, ამოსავალ ენობრივ სისტემასა თუ სხვა სამეტყველო კოდებთან ურთიერთმიმართებასა და განვითარების დინამიკას;

ზოგადი დიალექტოლოგია — შეისწავლის დიალექტოლოგიის თეორიულ პრობლემებს;

კერძო დიალექტოლოგია — სწავლობს კონკრეტული ენის დიალექტებს. შესაბამისად, არსებობს: ქართველური (ანუ ქართული) დიალექტოლოგია, გერმანული დიალექტოლოგია, სომხური დიალექტოლოგია, რუსული დიალექტოლოგია...

თავის მხრივ, კერძო დიალექტოლოგია ორი სახისაა: **აღწერითი** და **ისტორიული**. **აღწერითი დიალექტოლოგია** შეისწავლის მოცემული ენის დიალექტების მახასიათებლებს სინქრონიულად (სტატიკურად). აღწერითი დიალექტოლოგიის სახესხვაობაა ლინგვისტური გეოგრაფია.

ისტორიული დიალექტოლოგია სწავლობს დიალექტურ (ენობრივ) მოვლენათა განვითარების ისტორიულ თანამიმდევრობას,

დიალექტთა ჩამოყალიბების პირობებს, ისტორიულად არსებულ დიალექტებსა და სხვ.

სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით ტერიტორიულ თუ სოციალურ დიალექტებს შეისწავლის **სოციალური დიალექტოლოგია** და **სოციოლინგვისტიკა**. დიალექტოლოგიის სხვა მომიჯნავე დარგებია: დიალექტოგრაფია, არეალური ენათმეცნიერება (არეალოგია), ონომასტიკა და სხვ.

დიალექტთა წარმოქმნის საფუძველი. სუბსტრატი, სუპერსტრატი და ადსტრატი. ზეპირი მეტყველების დროს ადამიანი ცდილობს, სათქმელი მოკლედ და ნაკლები ენერგიით თქვას; შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავდება სამწიგნობრო ენის ნორმების მკოდნე პიროვნების წერითი და ზეპირი მეტყველება კი. წერის დროს წიგნიერი ადამიანი იცავს სამწიგნობრო ენის ნორმებს, თუმცა ზეპირი მეტყველებისას ზოგჯერ შეუძლებელია ამ ნორმების დაცვა; მაგ., **აკეთებს, ორმოებს, ჭაობს...** ტიპის ფორმებში სიტყვის ბოლოს ყრუ **ს**-ს წინ ჭირს სრულყოფილი მჟღერი **ბ**-ს წარმოთქმა. ასევე, ზოგ შემთხვევებში რთულია, მაგ., გვერდიგვერდ მყოფი ორი სრული ხმოვნის შენარჩუნება; არაიშვიათად, ზეპირ მეტყველებაში ორი ხმოვანი ერთ მარცვლად წარმოითქმის. ზეპირი მეტყველება უფრო ბუნებრივი მეტყველებაა, ამიტომაც ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც სამწიგნობრო ენის ნორმები სრულად არ იციან (ან არ იცავენ), ჩვეულებრივი მოვლენაა სიტყვაფორმების ინტენსიური ცვლილებები, რის შედეგადაც ყალიბდება ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ე.წ. **დიალექტური ნორმები**. შეგვიძლია ვთქვათ:

სამწიგნობრო ენა ემორჩილება მეცნიერთა/სწავლულთა მიერ დადგენილ ნორმებს, შესაბამისად, სალიტერატურო ენის ნორმები ხელოვნურია, ხოლო ზეპირი/დიალექტური მეტყველების „ნორმები“ ბუნებრივი მეტყველების პროცესში მკვიდრდება. სამწიგნობრო ენა სტანდარტული, ნორმირებული და გარკვეულწილად ხელოვნური ენაა, დიალექტური მეტყველება კი ბუნებრივი „ენაა“; სტანდარტული ენა ოფიციალური მეტყველების დროს გამოიყენება, ამდენად, უფრო მაღალი სოციალური ღირებულებისაა, დიალექტური მეტყველება კი საშინაო ენაა.

აქვე აღვნიშნავთ:

ზოგჯერ მსგავსი ისტორიის რამდენიმე დიალექტიდან პოლიტიკური მიზეზების გამო ერთ-ერთი ცხადდება ოფიციალურ ენად. ასეთ შემთხვევებშიც კი დროთა განმავლობაში ოფიციალურ/სახელმწიფო ენად გამოცხადებული დიალექტი გარკვეულ სტანდარტიზაციას (ნორმებს) დაექვემდებარება, სხვა კილოები კი თავისუფალ რეჟიმში დარჩებიან: თუკი სხვა ენის/ენების არსებით გავლენას არ განიცდიან, განვითარდებიან მხოლოდ **ენის შინაგანი პოტენციის** შესაბამისად.

იშვიათია ენა თუ დიალექტი, რომელსაც თავისი ისტორიის მანძილზე მეტ-ნაკლებად არ განეცადოს სხვა ენის/ენების თუ დიალექტის/დიალექტების გავლენა. ზოგჯერ გავლენა მცირეა, ზოგჯერ

— არსებითი, ზოგჯერ კი იმდენად დიდი, რომ მოცემული დიალექტი სრულიად იცვლება, ემსგავსება გამვლენელ ენას/დიალექტს. როგორც წესი, დიალექტთა ურთიერთგავლენები მიმდინარეობს თემების, ეთნოსების მეზობლად თანაარსებობის პირობებში; არაიშვიათია გადასახლების შემთხვევაც: რომელიღაც საზოგადოება (ტომი, თემი) მოხვდება სხვა ეთნოსის საცხოვრებელ ველში და საფუძველი ეყრება კონვერგენციის (დამსგავსების) პროცესს. აქ განსახილველია ორი შემთხვევა:

1. მოსული საზოგადოების ენა/დიალექტი (პირობითად A სამეტყველო კოდი) თანდათან ქრება დამხვედური მოსახლეობის ენის/დიალექტის (პირობითად B სამეტყველო კოდის) გავლენით; საბოლოო ჯამში მიიღება ასეთი შედეგი: მოსული საზოგადოება თანდათანობით გადადის დამხვედურთა ენაზე, თავისი მეტყველება კი ფრაგმენტების სახით აისახება დამხვედურთა ენაში. ფრაგმენტებად შემონახული A სამეტყველო კოდი **სუპერსტრატულ ფენად** იწოდება. **სუპერსტრატი** ლათინური სიტყვაა: **სუპერ** „ზე, ზედა“ + **სტრატუმ** „ფენა, შრე“.

2. მოსული საზოგადოების ენა/დიალექტი (პირობითად A სამეტყველო კოდი) თანდათან იმსგავსებს დამხვედური მოსახლეობის ენას/დიალექტს (პირობითად B სამეტყველო კოდს); საბოლოოდ მიიღება ასეთი შედეგი: მოსული საზოგადოების ენა თანდათან იმარჯვებს დამხვედურთა ენაზე; დამხვედურთა ენა/კილო ფრაგმენტების სახით აისახება მოსულთა ენაში. გამარჯვებულ ენაში ფრაგმენტებად შემონახულ დამხვედურთა ენის მახასიათებლები **სუბსტრატულ ფენად** იწოდება. **სუბსტრატი** ლათინური სიტყვაა: **სუბ** „ქვე, ქვეშ“ + **სტრატუმ** „ფენა, შრე“.

ქართული ენის სუბსტრატი ხელშესახებია ისტორიული ქართული კუთხეების — ტაოსა და შავშეთის იმ სოფლებში, სადაც დღეს ქართულად ფაქტობრივად არ საუბრობენ, თუმცა იქ ქართველთა ავტოქთონობის უტყუარ ფაქტს წარმოდგენს არსებული მიკროტოპონიმია, რომელთაც გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს და ძირითადად ქართული წარმომავლობისაა. აღნიშნულ კუთხეებში ქართული სუბსტრატი ხელშესახებია ენობრივ დონეზეც. სუბსტრატულია, ასევე, ქართველურ-კავკასიური ყელნშული ბგერები კავკასიაში მოსულ სომეხთა მეტყველებაში.

იმ შემთხვევაში, როცა დიალექტების ურთიერთზემოქმედება მოცემული სამეტყველო კოდის არსებით ცვლილებას არ იწვევს, მაგრამ გავლენა გარკვეულწილად მაინც აისახება (მაგ., თურქულის შავიზღვისპირული დიალექტის გავლენა ლაზთა ქართველურ დიალექტებზე და პირიქით: ლაზურის გავლენა თურქულ დიალექტზე), ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ საქმე გვაქვს **ადსტრატულ ფენებთან**. **ადსტრატი** ლათინური სიტყვაა: **ად** „თან, თანა“ + **სტრატუმ** „ფენა, შრე“ (ვრცლად იხ., ბ. ჯორბენაძე, 1989: 85-99).

აღსტრატის ნიმუშს წარმოადგენს ქართულ-ვაინახური ენობრივი შეხვედრა; კერძოდ, წოვათუშურში ასახულია ისეთი ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენები, რომლებიც ახასიათებს ქართულსაც და ვაინახურ ენებსაც (პროფ. ბ. შავხელიშვილის აზრით, 2/3 ქართველურია, 1/3 კი - ვაინახური).

დიალექტების ხანგრძლივი მეზობლობის პირობებში ყალიბდება ე.წ. **გარდამავალი ანუ ნარევი დიალექტები**; მაგ., ქართველურ სინამდვილეში ასეთია ჯიხაიში-მარანის ზონა, სადაც არსებობდა (ახლაც სახეშეცვლილად არსებობს) მეგრულ და იმერულ კილოებს შორის გარდამავალი მეტყველება (ვრცლად იხ., ქვემოთ, იმერული დიალექტი).

ზოგადად, დიალექტების წარმოქმნა ხანგრძლივი დივერგენციული და კონვერგენციული პროცესების შედეგია: დიალექტთა წარმოქმნას (დიფერენციაციას, დივერგენციას) ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს; კერძოდ, თუკი არ არსებობს დედაენის აქტიური და მუდმივი გავლენა (მაგ., ეკლესიის ენის, სახელმწიფო ენის, ტელევიზიის ენის... გავლენა), მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსის ენის პოტენცია სხვადასხვა კუთხეში, დიდი ალბათობით, სხვადასხვა გზით განვითარდება: მოცემული კუთხის მეტყველების განვითარების კალაპოტს, შინაგანი პოტენციის გარდა, გარკვეულწილად განსაზღვრავს: აქ მცხოვრებთა ცხოვრების წესი, განსხვავებული მეურნეობა (შესაბამისი ტერმინოლოგია), გეოგრაფიული ლანდშაფტი, მეზობლების ენის/დიალექტის გავლენა და, რაც მთავარია, ოფიციალურ, სამწიგნობრო ენასთან სიახლოვე-სიშორე. როგორც წესი, სამწიგნობრო ენის დიალექტების განვითარების დინამიკა რეგულირდება სამწიგნობრო ენის გავლენის ხარისხის შესაბამისად: დედაქალაქთან, კულტურულ ცენტრთან ახლოს მყოფი კილოები ნაკლებად შორდებიან სამწიგნობრო ვარიანტს, შორს მყოფი კილოები კი მეტად შორდებიან.

სამწიგნობრო ენის გავლენის გააქტიურების პერიოდში სხვადასხვა დიალექტში შეიძლება ნიველირდეს (გაქრეს) დიალექტური თავისებურებები და დიალექტები ერთმანეთს დაემსგავსოს (დაიწყოს კონვერგენციული პროცესები) — სამწიგნობრო ენის გავლენით მოხდეს გარკვეულ გრამატიკულ თუ სინტაქსურ მოვლენათა უნიფიკაცია; შდრ.:

ზოგ ეთნოსს (ხალხს) თავის დედაენაზე არა აქვს დამწერლობა; შესაბამისად, ეს ხალხი უმწიგნობრო საზოგადოებაა. უკეთეს შემთხვევაში, უმწიგნობრო ეთნოსი სხვა, უფრო ცივილიზებული ერის ენით იღებს განათლებასა და კულტურას. უმწიგნობრო ენის მქონე საზოგადოების მეტყველების (ენის, დიალექტის) უნიფიკაციის პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე დიალექტზე მშობლიური სამწიგნობრო ენის გავლენის შემთხვევაში. **სამწიგნობრო ენის გავლენის პროცესი ასევე უმნიშვნელოა იმ დიალექტზეც, რომელიც ადმინისტრაციულ თუ კულტურულ ცენტრს მეტადაა დაშორებული, ანდა იზოლირებულია გეოგრაფიული მდებარეობის გამო** (მაგ., თუკი

დიალექტი გავრცელებულია კუნძულზე, ან მთებით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე).

უმწერლობო ხალხის კონსოლიდაციის შემთხვევაში უმწიგნობრო ენის დიალექტების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას ზედიალექტური მეტყველება — კოინე. არაიშვიათად, სწორედ კოინე ხდება სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი ერთეული. მოცემული ენა შეიძლება აერთიანებდეს დიალექტებს, ასევე: დიალექტი შეიძლება ნაწევრდებოდეს კილოკავებად, კილოკავები — თქმებად, თქმა კი — იდიოლექტებად — ერთი პირის მეტყველებად.

ერთი მხრივ, უმწერლობო ენასა და დიალექტს (კილოს), მეორე მხრივ — დიალექტსა (კილოსა) და კილოკავს, მესამე მხრივ კი — კილოკავსა და თქმას შორის საზღვარი გარკვეულწილად პირობითია: განსაკუთრებით ჭირს კილოსა და კილოკავის, კილოკავისა და თქმის გამიჯვნა. დიალექტების, კილოკავებისა და თქმების როგორც გამიჯვნა, ასევე, **დაჯგუფება შესაძლებელია როგორც ენობრივი მონაცემების** (მაგ., პალატალიზებული ხმოვნების ქონის, თანხმოვანთკომპლექსის ტრანსფორმაციის, ერგატიული ბრუნვის მორფემების, ე.წ. მეოთხე სერიის ქონის მიხედვით და სხვ.), ასევე, **მოცემული თემის საცნოვრისის მიხედვით** — ამ თემის საშინაო სალაპარაკო ენის (/დიალექტის/ გავრცელების ველის მიხედვით... როგორც წესი, ენობრივი ერთეულების დაჯგუფება-კვალიფიკაცია უფრო აღქმადია გავრცელების მიხედვით; კერძოდ, მაგ., ქართველთა დედაენა — ქართული ენა — მოიცავს ათეულობით დიალექტს; ერთ-ერთია დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, იმერეთში — სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ხონის, წყალტუბოს, თერჯოლის, ზესტაფონის, საჩხერის, ჭიათურის, ხარაგაულის რაიონებსა და ქუთაისში — გავრცელებული დიალექტი — იმერული კილო; იმერული კილოს ერთ-ერთი კილოკავია ზემოიმერული, რომელიც ზემო იმერეთშია გავრცელებული; ზემო იმერულის ერთ-ერთი თქმაა ხარაგაულური, რომელიც მოიცავს ხარაგაულის რაიონს; ხარაგაულური თქმის ქცევებად შეიძლება გამოიყოს ცალკეული სოფლების/უბნების მეტყველება და სხვ.

0.2. დიალექტა შესწავლის მნიშვნელობა და მეთოდები

დიალექტური მეტყველება, როგორც ერის ისტორიული კულტურული მემკვიდრეობა, სამწიგნობრო ენის უშრეტი წყაროა. დიალექტებში შემონახული სიტყვაფორმებითა თუ ფრაზეოლოგიური გამოთქმებით სამწიგნობრო ენის ლექსიკის გამდიდრება ყველაზე გამართლებული გზაა. დიალექტური მეტყველებით შემონახულია ერის ზეპირსიტყვიერება (მითოლოგია, ლეგენდები, მოცემული ერისათვის სახასიათო ზღაპრები, ხალხური პოეზია...), სარიტუალო ტექსტები, დარგობრივი ლექსიკა და სხვ. ზოგადად, დიალექტური მეტყველება ინახავს ერის ცნობიერების ბევრ საინტერესო წახნავს; შესაბამისად, **დიალექტოლოგიური კვლევები განუზომელი მნიშვნელობისაა ერის ენობრივი ისტორიის, ზოგადად, ერის ეთნიკური ისტორიის კვლევის პროცესში.**

უახლოეს პერიოდში შეიქმნება ისეთი კომპიუტერული პროგრამები, რომელთა მეშვეობით განხორციელდება ტექსტის გახმოვანება, ზეპირი მეტყველების ქცევა ტექსტად, ავტომატური თარგმანი... იმ ენებსა თუ დიალექტებს, რომლებიც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ტექნოლოგიების პროცესში ვერ იქნებიან ჩართულნი, დიდი საფრთხე შეექმნებათ: უფრო დავიწროვდება მათი გამოყენების ველი, შესაბამისად, გაიზრდება მათი გაქრობის საფრთხე. მაგ., ქართველთა დედაენის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენისა და ქართველური დიალექტების, როგორც ქართული ხალხური კულტურული მემკვიდრეობის, გარანტირებული დაცვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დროულად მოხდება ქართული სალიტერატურო ენის ტექნოლოგიზება; კერძოდ, ტექნოლოგიზებისათვის აუცილებელ **„ქართული ენის ელექტრონულ განმარტებით ლექსიკონსა“** და **„ქართული ენის ტექსტების ეროვნულ კოარპუსში“** შეტანილი იქნება ყველა ქართველური დიალექტის (მეგრული, ლაზური, სვანური, ხევსურული, ტაოური, თუშური...) მაქსიმალურად სრული მონაცემები. შესაბამისად, ქართველი ერისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დიალექტთა შესწავლასა და სწავლებას; იგივე შეიძლება ითქვას სხვა ენების დიალექტების მიმართაც.

დიალექტების შესწავლისა და სწავლების კუთხით არსებითია დიალექტური მეტყველების ზუსტად ჩაწერა. თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა საშუალებას, ტექსტები ჩავიწეროთ ვიდეო- და აუდიო საშუალებებით და შემდეგ მშვიდ გარემოში გადავწეროთ ტექსტური ფაილების სახით. თანამედროვე კვლევებისათვის სანდოა ისეთი ტექსტები, რომელთაც თან ახლავს ზეპირი მეტყველების ჩანაწერიც. ტექსტების ჩაწერისას გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის მოდვაწეობის ყველა სფერო; მაგ., ჩვენ მიერ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგენილი პროგრამა-ინსტრუქციის მიხედვით **დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს ჩასაწერმა მასალამ უნდა მოიცვას:**

- გადმოცემები სოფლის სახელწოდების შესახებ; სოფლის მცხოვრებთა გვარები. გვარის დანაყოფები; გვარის სალოცავები
- ონომასტიკური ერთეულები (ტოპონიმები, ჰიდრონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები, კოსმონიმები);
- ადამიანი: სხეულის ნაწილები (შინაგანი, გარეგანი), მათი სახელები, როგორც ოფიციალური, ისე კნინობითი;
- ნათესაური ურთიერთობანი;
- პროფესიული მასალა;
- საჭმელ-სასმელი. მათი დამზადების წესი (პროცესის დეტალური აღწერა);
- მედიცინა. ადამიანის დაავადებანი, მკურნალობის სახეები; წამალი;
- წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები;
- დღესასწაულები (რელიგიური, საერო);
- გარესამყარო; მნათობებზე დაკვირვება; ამინდი; სტიქიური მოვლენები;
- საყოფაცხოვრებო ამბები;
- ზეპირსიტყვიერება (ზღაპრები, ლეგენდები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ანეკდოტები, გადმოცემები...);
- შელოცვები;
- ფაუნა;
- ფლორა...

მომძიებელთა ჯგუფმა მთელი წლის განმავლობაში სრულყოფილად უნდა დააფიქსიროს საკვლევ ობიექტზე არსებული ყველა ონომასტიკური ერთეული (ტოპონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები, ჰიდრონიმები, კოსმონიმები); აუცილებელია, რომ დაფიქსირდეს საკუთარ სახელთა ყველა ფონეტიკური ვარიანტი და გადმოცემები სახელდების შესახებ;

სრულყოფილად უნდა შეივსოს და დაზუსტდეს სხვადასხვა სახის (თემატური და დარგობრივი) კითხვარი.

ველზე მუშაობის დროს დიალექტოლოგი ხელით იწერს მოცემული კუთხისათვის სპეციფიკურ იმ ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც ვერ აისახა აუდიო- და ვიდეო-ჩანაწერებში და რომლებიც აღნიშნული მნიშვნელობით არაა შეტანილი არც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში, არც მოცემული დიალექტის სალექსიკონო მასალაში (საერთოდ, გამოქვეყნებულ ლექსიკონებში). (ვრცლად იხ. პროგრამა-ინსტრუქცია, ქუთაისი, 1997).

სანდო დიალექტოლოგიური მასალის მოპოვების შემდეგ დიალექტოლოგი პირველ ეტაპზე **აღწერითი მეთოდის** გამოყენებით შეისწავლის/ახასიათებს მოცემულ დიალექტს; კერძოდ, ადგენს გავრცელების არეალს, კილოკავურ შედგენილობას, ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ მახასიათებლებს (იხ., ასევე, სინქრონიული ლინგვისტიკა).

დიალექტის კვლევის მეორე ეტაპი გულისხმობს **შედარებითი ანალიზის მეთოდით** ერთი ენის დიალექტების სინქრონიულ

(არსებულ) მონაცემთა პარალელურ ანალიზს — **დიასისტემურ ანალიზს**. შეპირისპირებითი ანალიზი ხდება **ე.წ. კონტრასტული აღწერის** შემდეგ: ერთი ენობრივი მოვლენა, მაგ., მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ყველა დიალექტური ვარიანტი აისახება **ლინგვისტურ რუკაზე** ან სიტყვიერად აღიწერება. შეპირისპირებითი კვლევა უფრო შედეგიანია **ლინგვისტურ ატლასზე** დატანილი **იზოგლოსების** (ენობრივი მოვლენის სივრცობლივი გავრცელების ამსახველი ხაზების)¹ გამოყენების შემთხვევაში. **ლინგვისტური ატლასი** კარგი საშუალებაა დიალექტებს შორის მსგავსება-განსხვავებების გასარჩევად.

დიალექტური მონაცემების კვლევა მიმდინარეობს **დიაქრონიული ასპექტითაც**: ისტორიულ წყაროებში დადასტურებული დიალექტური ტექსტების/სიტყვაფორმებისა (თუ აღდგენილი მონაცემების) და თანამედროვე ფაქტების შეპირისპირებით დგინდება მოცემული დიალექტური ფორმების ისტორია და განვითარების დინამიკა; ამოსავალ ენობრივ სისტემასთან მიმართებით შეისწავლება **არქაიზმები** — დიალექტში შემორჩენილი არქაული (ძველი) ფაქტები და საკუთრივ მოცემულ დიალექტში განვითარებული **ახალი მოვლენები** (ინოვაციები). ამ სახის სამეცნიერო სამუშაოს **ისტორიულ-შედარებითი მეთოდით** კვლევა ეწოდება.

სანდო დიალექტური ტექსტები საინტერესოა როგორც ენათმეცნიერების სხვა დარგებისათვის (ონომასტიკისათვის, ზოგადი ენათმეცნიერებისათვის, სოციოლინგვისტიკისათვის...), ასევე მომიჯნავე დარგებისათვისაც: ანთროპოლოგიისათვის (ეთნოლოგიისათვის), ფოლკლორისტიკისათვის, ფსიქოლოგიისათვის და სხვ. მაგ., დიალექტოლოგიურ ტექსტებში ასახული მოცემული საზოგადოების ენობრივი კომპეტენცია, ამ საზოგადოების მიერ გამოყენებული ლექსიკა, **სამეტყველო კოდებისადმი** (სამწიგნობრო ენა, დიალექტი, ჟარგონი... უცხო ენა) დამოკიდებულება და მათი იერარქია საინტერესოა ენის სოციალური ასპექტების, დიგლოსიის, ბილინგვიზმისა თუ სოციოლინგვისტიკის სხვა საინტერესო თემების კვლევისას.

¹ იზოგლოსა/იზოგლოსი; **ἰσογλωσσία; Isogloss; Изорлосса** შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „დიალექტური ხაზი“ — **ლინგვისტურ რუკაზე** ენობრივი მოვლენის გავრცელების ამსახველი ხაზი.

0.3. ენისა და დიალექტის გასამიჯნი კრიტერიუმები

ენა არის სხვადასხვა იერარქიის ენობრივ (ბგერით) ნიშანთა მოწესრიგებული სისტემა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ემოციების, შთაბეჭდილებების, წარმოსახვის... აზრებად ჩამოყალიბება და გადმოცემა; ასევე, ცოდნის შენახვა, გაცემა, მიღება. წარმოდგენილი განმარტება ვერ მიჯნავს ენასა და კილოს/დიალექტს, რამდენადაც კილოკავითაც კი შესაძლებელია დასახელებული აქტივობების განხორციელება. უფრო ლოგიკური გვეჩვენება ასეთი მიდგომა: **ერად, ეთნოსად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ერთობის მრავალსაუკუნოვანი საერთო მეტყველება არის ენა, ხოლო ამ ერთობის ერთი ნაწილის საშინაო მეტყველება არის დიალექტი; სხვა სიტყვებით: ენა აქვს ერს, ეთნოსს, კილო კი — ერის/ეთნოსის ნაწილს².**

ხშირად პრობლემურია ენისა და კილოს, კილოსა და კილოკავის გამიჯვნა, არადა, ზოგჯერ ძალიან არსებითია; შდრ.:

მსოფლიოს ენათა რაოდენობა მერყეობს 2000-დან 7000-მდე; მიზეზი მარტივია: სამეცნიერო სივრცეში არ არსებობს ენისა და კილოს/დიალექტის, განსაკუთრებით კი უმწიგნობრო ენისა და კილოს/დიალექტის გამიჯნავი სანდო კრიტერიუმები; ენად თუ კილოდ კვალიფიკაცია ხშირად სუბიექტური ფაქტორების საფუძველზე ხდება; მაგ., მოლდოვურ მეტყველებას რუმინელები რუმინული ენის დიალექტად მიიჩნევენ, რუსები კი — დამოუკიდებელ ენად; შდრ., ასევე, არაიშვიათად, რელიგიით განსხვავებული და ენობრივად ახლო მდგომი თემები დამოუკიდებელ ეთნოსებად მიიჩნევენ თავს, შესაბამისად, მათი მეტყველებებიც დამოუკიდებელ ენებადაა კვალიფიცირებული; მაგ.: მუსლიმან სლავთა მეტყველებაა ბოსნიური; მართლმადიდებელ სლავთა მეტყველებაა სერბიული და მონტენეგრული; კათოლიკე სლავთა მეტყველებაა ხორვატიული. დასახელებული ენობრივი ერთეულები ერთმანეთისაგან მცირედით განსხვავდება; შდრ., იუგოსლავიის დაშლამდე გაბატონებული იყო აზრი, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ენა — სერბულ-ხორვატიული ენა; დღესაც ზოგი სპეციალისტი თვლის, რომ სინამდვილეში გვაქვს ერთი ენის მცირედით განსხვავებული ვარიანტები, რომელთაც სამ თუ ოთხ სხვადასხვა ენად წარმოადგენენ რელიგიით განსხვავებული ზემოთ დასახელებული თემების წარმომადგენლები.

დასაწყისშივე აღვნიშნეთ:

საყოველთაოდ მიღებული განმარტების მიხედვით. ენა არის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბგერით ნიშანთა სისტემა, რომელიც გამოიყენება სამყაროს ხედვა-აღქმის, აზროვნების, შემოქმედების, განათლების, კომუნიკაციისა (ინფორმაციის გაცვლისა) და ცოდნის შე-

²მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე. ქართველთა დედაენა და დიალექტები, თბ., 2008

ნახვის საშუალებად; ენა არის კონკრეტული საზოგადოების (ეთნოსის, ერის) ერთიანობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი. დიალექტური მეტყველებაც ბევრით ნიშანთა სისტემაა; ენის ყველა ფუნქცია დიალექტურ მეტყველებასაც შეიძლება ჰქონდეს; ამიტომაც, სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა, დაიძებნოს ენისა და კილოს სტატუსის დამდგენი დამატებითი მახასიათებლები. **სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერის მიერ შემოთავაზებული იყო სხვადასხვა კრიტერიუმი; მათ შორის ზოგი იყო ლინგვისტური, ზოგი — ექსტრალინგვისტური.** განვიხილოთ თითოეული სანდოობის ხარისხის მიხედვით.

გაგებინება.

ზოგი ფიქრობს, რომ ენისა და კილოს გამიჯვნა შესაძლებელია გაგებინების მიხედვით. ზოგი მეცნიერი გაგებინებას ლინგვისტურ კრიტერიუმდაც კი თვლის; მაგ., „ენათმეცნიერების თეორიულ კურსში“ ვკითხულობთ: ერთი ენის ის ვარიანტები, რომელთა მფლობელებს ერთმანეთის არ ესმით, შესაძლებელია, დამოუკიდებელ ენებად მივიჩნიოთ³.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ **გაგებინება ლოგიკური (ექსტრალინგვისტური) კრიტერიუმი**ა და არა — ლინგვისტური⁴; რაც მთავარია, **არც ერთი ცივილიზებული საზოგადოების ენის სტატუსი არ დადგენილა გაგებინების საფუძველზე.** არსებითია ისიც, რომ ენად წოდებულ ბევრ მეტყველებას შორის არის გაგებინება და პირიქით: მსოფლიოს ბევრ ენას აქვს ისეთი დიალექტები, რომელთა შორის გაგებინება რთულია ან შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, იშვიათ შემთხვევაში გაგებინების ფაქტორს მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს **არაკონსოლიდირებული ტომების მეტყველების სტატუსის განსაზღვრისას:** თუ მონათესავე საზოგადოებებს არ გააჩნიათ წინაპრებისგან შექმნილი საერთო მწიგნობრობა და არც კოინე, ასეთ შემთხვევაში არ არსებობს ეროვნული მეობის ჩამომძერწავი, გამაერთიანებელი ენობრივ-კულტურული სისტემა და ტომებს აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ტომობრივი იდენტობა, მათი **უმწერლობო კონტინუუმები დამოუკიდებელ ენებად შეიძლება იქნენ მიჩნეულნი;** შდრ., საბჭოთა იმ-

³იხ.: თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003: 615.

⁴ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, საერთოეროვნული სალიტერატურო ენისა და „საშინაო სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით (სამეტყველო კოდების იერარქიისათვის), XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ზუგდიდი, 2000, 20-21 ოქტომბერი; ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ზოგადქართული სამწიგნობრო ენა და ქართველთა დიალექტები (ისტორიული მიმოხილვა), ქართველური მემკვიდრეობა, ტ. VI, ქუთაისი, 2002: 187-200. თ. გვანცელაძე, არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისაგან გამიჯვნის კრიტერიუმი? ენათმეცნიერების საკითხები, №2, 2003; თ. გვანცელაძე, ენა და კილო ქართველოლოგიაში, თბ., 2006.

პერიის ინტერესების შესაბამისად („გათიშე და იბატონეს“ პრინციპი), კომუნისტებმა ადიღეები ანუ ჩერქეზები (საერთო ავტოეთნონიმი ადღა) დაანაწევრეს სამ „ეროვნებად: ადიღელებად, ყაბარდოელებად და „ჩერქეზებად“⁵. პირველი სახელწოდებით გაერთიანებულნი არიან დასავლური ჯგუფის დიალექტებზე მეტყველი ადიღეები, მეორეთი — ყაბარდოულ დიალექტზე მეტყველნი, მესამე კი გულისხმობს ბესლენურ და ყუბანურ-იენჯუგურ დიალექტებზე მეტყველთ. სამწიგნობრო ენა ორია: ქვემო ადიღური ანუ „ადიღური ენა“ (რუს. **Адыгейский язык**) ადიღელთათვის და ზემო ადიღური ანუ „ყაბარდოულ-ჩერქეზული ენა“ (რუს. **Кабардино-черкесский язык**) ყაბარდოელთა და „ჩერქეზთათვის“. რუსეთის იმპერიის მესვეურებმა, ასევე, ხელი შეუშალეს ლეკების (ერთ-ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე კავკასიელების) ენობრივ-ეთნიკურ კონსოლიდაციას.

წერილობითი ტრადიციის მქონე საზოგადოებას თუკი აქვს საკუთარი მწიგნობრული ენის მონათესავე ზეპირი საშინაო სამეტყველო ვარიანტიც — მეორე სამეტყველო კოდიც, ზეპირი (უმწერლობო) ვარიანტი დიალექტად მიიჩნევა; ასეთი ორი სამეტყველო კოდის სტატუსის განსაზღვრისას გაგებინების კრიტერიუმს ვერ დავეყრდნობით, ვინაიდან **გაგებინება კონტექსტზე დამოკიდებული და შესაბამისად, მეტად პირობითი ცნებაა**; რაც მთავარია, ამგვარი ე. წ. ხალხური (არაპროფესიონალური) მიდგომით იძულებულნი გავხდებით, წერილობითი ტრადიციის მქონე თითქმის ყველა ენა რამდენიმე „ენად დავშალოთ, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოში არსებულ თითქმის ყველა ენას მოეპოვება ლოკალური გავრცელების ისეთი ზეპირი სახესხვაობა, რომლის გაგება გაუჭირდება ამ ენის სხვა მფლობელებს; არათუ კილოებს შორის, არამედ კილოკავებს შორისაც კი ხშირად არა გვაქვს გაგებინება. უდრ., მაგ.:

საყოველთაოდაა ცნობილი (იხ., მაგ., პ. პაულის, პ. ჰირტის, ვ. ჟირმუნსკის, გ. ტ. შარბატოვის, ნ. ვ. იუმმანოვის, ვ. ა. ჟუკოვსკის და სხვათა გამოკვლევები), რომ გაგებინების არარსებობის თუ საკუთრივ ლინგვისტურ მახასიათებლებში დიდი განსხვავების მიუხედავად, არაბთა, გერმანელთა, სპარსელთა, ჩინელთა, ესპანელთა, იტალიელთა, ფრანგთა, იაპონელთა და მრავალ სხვა ხალხთა საშინაო მეტყველებანი საერთოეროვნული სამწიგნობრო ენის დიალექტებად ითვლება; მეტიც, არაიმვიათად, ადამიანები ვერ ფლობენ სამწიგნობრო ენას, მაგრამ მათ დედაენად მაინც ზოგადეროვნული ენა მიიჩნევა. სანიმუშოდ მოვიყვანთ ნ. ი. კონრადის დასკვნას:

„იაპონიასა და ჩინეთში არა მხოლოდ სოფელში, არამედ ქალაქშიც მოსახლეობის ნაწილი საერთოდ ვერ ფლობს საერთო სალიტ-

⁵ ჩერქეზები ყველა ადიღურენოვანი ლოკალური ჯგუფის (ტომის) აღმნიშვნელი საერთო ეგზოეთნონიმი იყო და არა — მხოლოდ ბესლენელთა და ყუბან-იენჯუგელთა სახელი, როგორც ეს ამჟამად ოფიციალურად მიღებულია რუსეთის ფედერაციაში.

ერატურო ენას და ზეპირი ურთიერთობების დროს იყენებს თავის დიალექტს“⁶ (ნ. ი. კონრადი, 1960)... ბუნებრივია, ვერავინ იტყვის, რომ იაპონელს, რომელიც ვერ ფლობს იაპონურ სამწიგნობრო ენას და მხოლოდ დიალექტზე მეტყველებს, დედაენა არა აქვს, ან მისი დედაენაა მისივე დიალექტი: საერთო-სამწიგნობრო ენის არმცოდნე იაპონელისთვისაც დედაენა არის სალიტერატურო იაპონური.

აქვე განსახილველია ე. წ. „**ჯაჭვური გარდამავლობის**“ კრიტიკურიუმი: ზოგი ფიქრობს, რომ თუკი მოცემულ ენას ახასიათებს გაგებინების უწყვეტობა — მოცემული ერის მოსაზღვრე თემებს ერთმანეთის ესმით, ამ ენის არამომიჯნავე მეტყველებებიც დიალექტებად ითვლება გაგებინების მიუხედავად... ლანდშაფტის გამომსოფლიოს ბევრი ენის დიალექტებს შორის გაგებინება არ არსებობს; მაგ., ქვემოიმერულსა და მეგრულს შორის ცხენისწყლის ზონაში არსებული გარდამავალი მეტყველება შემაერთებელ ხიდს წარმოადგენს მეგრულსა და იმერულს შორის, მაგრამ სვანური კილოები იზოლირებულია სხვა ქართველური მეტყველებებისაგან და გარდამავალი ზონა არ არსებობს, მაგ., სვანურსა და მეგრულს, სვანურსა და ლეჩხუმურს შორის... სხვა ენების მომიჯნავე დიალექტებს შორისაც პრობლემურია გაგებინება მთავორიანი ლანდშაფტისა და კუნძულის იზოლირების გამო: ბუნებრივი ბარიერები ხელს უშლის ინტენსიურ კომუნიკაციას... ამ და სხვა მიზეზთა გამო გაგებინებას არასანდო კრიტიკრიუმად თვლიან: ვ. ჟირმუნსკი, ე. კოსერიუ, ი. ქლოუპეკი, ჯ.ჰერგენი და მრავალი სხვა⁷.

ბგერათშესატყვისობა.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ერთი ენის დიალექტების სამეტყველო ბგერები გარკვეულ ცვლილებებს განიცდის; მაგ., ფუძეენის ა ბგერა ერთი კილოს სიტყვებში შეიძლება დარჩეს ა-დ, მეორეში კი ტრანსფორმირდეს ო-დ. ერთი ამოსავალი ენიდან მომდინარე ისტორიულ სამეტყველო ბგერებს (ფონემებს) თანამედროვე ორ ან მეტ დიალექტში (ენაში) თუკი აქვს რეგულარული და კანონზომიერი სახესხვაობები, ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ გვაქვს **ბგერათშესატყვისობა.**

ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ ბგერათშესატყვისობა ენისა და კილოს გასამიჯნ კრიტიკრიუმად უნდა მივიჩნიოთ, ანუ: თუკი ენობრივ ერთეულებს შორის არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული ბგერათშესატყვისობა, ეს ენობრივი ერთეულები უკვე დამოუკიდებელ ენებადაა ჩამოყალიბებული; მაგ., მ. ქურდიანის აზრით, რამდენადაც

⁶Н. И. Конрад, О литературном языке в Китае и Японии, 1960; D.Crystal., თჰე Cambridge encyclopedial of Language. New York, 1994; <https://www.scribd.com/doc/77462665/The-Cambridge-Encyclopedia-of-the-English-Language>.
⁷მიმოხილვისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები, ქუთაისი, 2005: 624; <http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels>; <http://www.scribd.com/doc/2158759/Kartveller-Gurculer>.

გერმანელთა საშინაო სამეტყველო ერთეულებს შორის არსებობს „ბგერათშესატყვისობა“, ისინი მონათესავე ენებია, თუ არადა — დიალექტები, ხოლო, რამდენადაც რუსულსა და უკრაინულს შორის არ არსებობს ბგერათშესატყვისობა, რუსული და უკრაინული ერთი ენის დიალექტებია და არა — დამოუკიდებელი ენები... მ. ქურდიანი ასევე უარგუმენტოდ წერს, რომ „წმინდა ენათმეცნიერული“ განსაზღვრით, სვანური და ზანური „დამოუკიდებელი ენებია, ხოლო სოციოლინგვისტური თვალსაზრისით — ქართული ენის დიალექტები. დასკვნას კი ასე აყალიბებს: „სვანური სვანების დედაენაა, ხოლო ქართული — ეროვნული ენა“⁸.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ „წმინდა ენათმეცნიერული“ განსაზღვრით ენაც ბგერით ნიშანთა სისტემაა და დიალექტიც (იხ. ქვემოთ). მეტყველების სტატუსის ორმაგი „სტანდარტით“ განსაზღვრა კი ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა და სოციოლინგვისტიკის მიზნების აღრევის შედეგია. შდრ.:

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება ორი სახისაა: პროსპექტული (ენის ისტორიის კვლევა ისტორიის სიღრმიდან თანამედროვეობისკენ) და რეტროსპექტული. სწორედ რეტროსპექტული ენათმეცნიერების მიზანია, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით (რეკონსტრუქციების გზით!) აღადგინოს დამწერლობის მქონე ენათა პრეისტორია და უმწერლობო ენათა ისტორია, რათა დაადგინოს ამჟამად მკვეთრად დაშორებული ენების ნათესაობა. ნათესაობა უეჭველ ფაქტად ცხადდება რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების დადგენის შემდეგ.

შედარებითი ანუ კომპარატივისტული მეთოდის აღადგენს სივრცესა და დროში ოდესღაც არსებული ფუძე-ენის სისტემას და მის წიაღში ნავარაუდევნი დიალექტების დამორიშორების პროცესს. კომპარატივისტიკა ვერ ადგენს (და არც ადგენს!) იმ კრიტიკურიუმებს, რომლითაც მოცემული საზოგადოება ენის სტატუსს ანი-

⁸მ. ქურდიანი. ენა და დიალექტი საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით; ბ. ჯორბენაძის საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 4-7 ივნისი, 1996; მ. ქურდიანი, სვანთა და მეგრეთა ქართული მეტყველების საკუთრივ-ლინგვისტური სტატუსის შესახებ, XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ახალციხე, 1999; ქართველური ენები და დიალექტები, 2007: 6-9; იხ. აგრეთვე: გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, 2016: 6-10; შდრ.: ტ. ფუტყარაძე, საქართველოს გეოპოლიტიკური სტრატეგიის რამდენიმე ასპექტი: ქართველოლოგიის პოლიტიზების საკითხისათვის; კრებული „საქართველოში არსებული კონფლიქტი და მშვიდობის პერსპექტივები“. საქართველოს საპატრიარქო, კონრად ადენაუერის ფონდი, თბილისი, 2009: 221-234. Some Aspects of the Geopolitical Strategy of Georgia (on Politicization of the Kartvelological Studies), Causes of War Prospects for Peace, Georgian Orthodox Church Konrad-Adenauer-Foundation, Tb. 2009, p. 173-183; On December 2-3, 2008 the Holy Synod of the Georgian Orthodox Church and the Konrad-Adenauer-Foundation held a scientific conference on the theme: Causes of War - Prospects for Peace. <http://www.scribd.com/doc/9100139/Tariel-Putkaradze-Some-Aspects-of-the-Geopolitical-Strategy-of-Georgia>.

ჰებს ამა თუ იმ ისტორიულ თუ თანამედროვე დიალექტს. აქვე კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ არსებობს **ბევრი ახლომონათესავე ენა** (მაგ., რუსული, ბელორუსული, ჩეხური, სლოვაკური...), რომელთა შორის ბგერათმესატყვეობა არ არის ჩამოყალიბებული. რეგულარული და კანონზომიერი ბგერათმესატყვეობის დადგენის საჭიროება ჩნდება მაშინ, როცა რთულია მოცემულ ენათა ნათესაობის დანახვა; შესაბამისად, **ბგერათმესატყვეობას** არავითარი როლი არ აკისრია ახლომონათესავე სამეტყველო ერთეულების სტატუსის (ენის, კილოს, კილოკავის) დადგენის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოს ძირითადი ენების/კილოების **სტატუსი გაირკვა** ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არავინ ცდილობს ამ სტატუსთან გადასინჯვას⁹.

ტერმინები: **ეროვნული ენა** და **დედაენა სინონიმებია**¹⁰; გარდა ამისა, ერთი მეტყველების სტატუსის ორი სტანდარტით განსაზღვრა — ენადაც მიჩნევა და დიალექტადაც, მაგრამ არგუმენტების გარეშე მაინც ენათა რიგში წარმოდგენა, ვერ თავსდება აკადემიური მსჯელობის ფარგლებში; შდრ.; „ლინგვისტიკურად“ ენა — „კულტურულად“ დიალექტის შესახებ ნიკო მარის მსჯელობა (1905: 7-10) ჯერ კიდევ 1952 წელს საფუძვლიანად გააკრიტიკა არნოლდ ჩიქობავამ, რომელმაც დაიწუნა მისი ორმაგი სტანდარტი ლაზურის მიმართ¹¹.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ზოგი დღესაც ცდილობს ე. წ. „ორმაგი სტანდარტით გააბუნდოვნოს რეალობა. მაგ., ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა (ა. ონიანი, მ. ქურდიანი, გ. ცოცანიძე...), ქართველურ ენობრივ ერთეულთა სტატუსი განისაზღვროს როგორც „ლინგვისტური“, ასევე „სოციოლინგვისტური“ „სტანდარტით“; ზოგის აზრით, სვანური ლინგვისტურად ქართულის მონათესავე დამოუკიდებელი ენაა, სოციოლინგვისტურად კი — ქართული ენის დიალექტი. აქ წარმოვადგენთ მსგავსი „ლოგიკის“ მქონე

⁹ იხ.: **არნ. ჩიქობავა**, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936: 205.

¹⁰ **გ. რამიშვილი, გ. რამიშვილი**, დედაენის თეორია, 2000: 7; ქართული ენის, როგორც ქართველთა ერთადერთი დედაენის შესახებ მსჯელობისათვის იხ. იქვე: 6-9; არაიშვიათად, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ეროვნული ენა“ გამოიყენება სახელმწიფო ენის სინონიმადაც; თუ დავუშვებთ, რომ მ. ქურდიანისთვის ეროვნული ენა სახელმწიფო ენის სინონიმია, ასეთ შემთხვევაში, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, მაგ., საქართველოს მოქალაქე აფხაზთა თუ სომეხთა დედაენები და ქართველთა ბალსზემოური (სვანური), მეგრული თუ გურული დიალექტები ქართულთან მიმართებით ერთ რიგში წარმოდგება, რაც, ასევე, სრული გაუგებრობაა; სინამდვილეში: საქართველოში აფხაზური ენა ეთნიკური უმცირესობის ენაა, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენაა ქართულთან ერთად, სომხური — მიგრანტი უმცირესობის ენა, ხოლო, მაგ., ბალსზემოური სვანური მეტყველება, მეგრული თუ გურული — ქართულთა დიალექტები. „ეროვნული ენა“ ზოგჯერ გამოიყენება „სახელმწიფო ენის“ სინონიმად; ასეთი გაგების შემთხვევაში ქართული ენა ეროვნული ენაა საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომეხისთვისაც, აზერბაიჯანელისთვისაც, რუსისთვისაც...

¹¹ **არნ. ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952: 358-366.

ერთ ვრცელ ციტატას:

„საყოველთაოდ აღიარებული ლინგვისტური კრიტერიუმების მიხედვით (სისტემური ბგერათშესატყვისობების არსებობა, გაგებინებადობა და სხვა არსებითი პარამეტრები) სვანური და ზანური (ანუ მეგრულ-ლაზური) ენებია და, ბგერათშესატყვისობებს რომ თავი დავანებოთ და აქ არ განვიხილოთ, მკითხველისათვის ის უბრალო არგუმენტიც კი იკმარებს ამ ადგილას, რომ გაგებინებადობა სვანური ან მეგრული მეტყველების შემთხვევაში სვანურისა და მეგრულის არმცოდნე ქართველისათვის ნულოვანია: წარმოიდგინეთ, ტელევიზიამ ერთი დღე სვანურად რომ წარმართოს მაუწყებლობა, საქართველოს მოსახლეობის რამდენი პროცენტი გაიგებს მას? იმერული ან გურული დიალექტის გამოჩენა კი სხვადასხვა სატელევიზიო არხებზე (განსაკუთრებით შოუებში) გაგებინებადობის თვალსაზრისით პრობლემას არ ქმნის, უბრალოდ სიხალისე შეაქვს. კიდევ ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან ჩვეულებრივი მკითხველისათვის და ამით დავამთავრებ. ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად არის თარგმნილი. მეგრული რომ ქართულის დიალექტი იყოს, რა თარგმნა დასჭირდებოდა შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას? წარმოიდგინათ, ვინმემ რომ მოინდომოს „ვეფხისტყაოსნის“ კახურად ან გურულად „თარგმნა“? როგორი იქნებოდა ნეტავ? ეს არის საკითხის ლინგვისტური ასპექტი (რასაკვირველია, გამარტივებულად წარმოდგენილი). სოციოლინგვისტურად, ანუ ფუნქციონირების თვალსაზრისით კი მეგრულიც, ლაზურიც და სვანურიც ისეთსავე ფუნქციონირებად ოდენობებს წარმოადგენენ, როგორც ქართული ენის დიალექტები (იგივე იმერული, გურული, ხევსურული და ა. შ.): მათი გამოყენების კონტექსტი სალიტერატურო ენასთან შედარებით შეზღუდულია და გარკვეული სფეროებით შემოიფარგლება, ანუ მეგრულიც ისეთსავე მდგომარეობაშია სოციუმის მხრიდან მოხმარების თვალსაზრისით, როგორც ხევსურული — იგი არის ამ ენაზე მეტყველი სოციუმის შიდა საკომუნიკაციო საშუალება“¹².

მსგავსი თვალსაზრისის მიხედვით შექმნილ ლინგვისტურ რუკებზე გაყალბებულია ისტორიული თუ დღევანდელი რეალობა და ქართული ენის გავრცელების არეალად ჩათვლილი არ არის

¹²ციტატა მოყვანილია მ. თანდაშვილის წერილიდან: „საქართველოს ინტელექტუალური ინტეგრაცია ცივილიზებულ სამყაროში“ (გაზ. „24 საათი“, 2010 წლის 2 მაისი). ამ პასკვილის მიზანია ჩვენ მიმართ ცილისწამების გზით დაიცვას მოსაზრება, რომ, თითქოსდა, ლაზური, სვანური, მეგრული „შეზღუდული გამოყენების უმწერლობო დამოუკიდებელი ენებია... როგორც ზემოთ აღინიშნა, ცარიზმის დროსაც, საბჭოთა პერიოდშიც და დღესაც ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების სურვილი ჰქონდა და აქვს რუსეთის იმპერიას; პოსტსაბჭოთა პერიოდში კი ქართველთა დიალექტების უმცირესობების ენებად კვალიფიკაცია გაახშირა არა მავანთა სურვილმა — მოხდეს „საქართველოს ინტელექტუალური ინტეგრაცია ცივილიზებულ სამყაროში, არამედ **ევროპაში უმცირესობებისათვის გამოყოფილი გრანტების იოლად მიღების პრაქტიკამ**. ენისა და კილოს იდეოლოგიზებული კვალიფიკაციებისა და არაადეკვატური ლინგვისტური რუკების კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2009; ტ. ფუტკარაძე, 2014: 290-292...


სამეგრელო, სვანეთი, ცხინვალის მხარე, მთელი აფხაზეთი და სხვ. იხ., მაგ., იოსტ გიბერტის რუკა /<http://titus.uni-frankfurt.de/didact/karten/kauk/kaukasm.htm/>:



იხ., ასევე, ი. კორიაკოვის რუკა /<http://lingvarium.org/maps/caucas/14-kartv.gi/>:



სამწუხარო ის უფროა, რომ თანამედროვე საქართველოს სამეცნიერო ცენტრებიც ვერ აღწევენ თავს საბჭოთარ ინერციას; მაგ., საერთაშორისო ქსელში წარმოდგენილი კვაზიმეცნიერული რუკებისგან არსებითად არ განსხვავდება არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ახლახან განახლებული რუკაც, რომლის მიხედვით ქართული ენა არ ჩანს სვანეთში, ზემო მაცხელში, ლივანაში, ტაოში...
[/http://www.ice.ge/kartuliena/iber_cavk_map.html/](http://www.ice.ge/kartuliena/iber_cavk_map.html/)



მ. თანდაშვილის ტექსტი, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ, ჩვენთვის საინტერესოა „სოციოლინგვისტიკისა“ და „ლინგვისტიკის“ ოპოზიციურ წყვილად წარმოჩენის მცდელობის გამო; სინამდვილეში საყოველთაოდაა ცნობილი, რომ **სოციოლინგვისტიკა ლინგვისტიკის ნაწილია და არ არის მეცნიერების სხვა დარგი**; გაუმართლებელია ლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის გამიჯვნა; ანუ: **სოციოლინგვისტური კრიტერიუმებიც ლინგვისტურია.**

შდრ.:

არსებობს ენისა და კილოს გამმიჯნავი ლინგვისტური კრიტერიუმების ორი ჯგუფი:

- **სტრუქტურული კრიტერიუმები** (ბგერათმესატყვისობა, ენობრივი სტრუქტურების მსგავსება-განსხვავება...);
- **ფუნქციური** (სოციოლინგვისტური) **კრიტერიუმები** (ვრცლად იხ. ქვემოთ).

ე.წ. სისტემური კრიტერიუმი და ბგერათმესატყვისობა არის შიდასტრუქტურული კრიტერიუმი, გაგებინება - ლოგიკური, ხოლო

ფუნქციონირების ველის მიხედვით სტატუსის განსაზღვრა სოციო-ლინგვისტური კრიტერიუმია.

მიდასტრუქტურული კრიტერიუმის მიხედვით ენები განსხვავებულია მეტად, დიალექტები - ნაკლებად

სოციოლინგვისტური კრიტერიუმის მიხედვით ფუნქციონირების მაღალი დონე აქვს ენას; დაბალი დონე - კილოს /ასეთ შემთხვევაში მცირე ენების რიგში აირევა დიალექტი/.

ხაზგასმით ვამბობთ:

ენისა და კილოს გასამიჯნი კრიტერიუმების შესახებ საერთაშორისო ველში არსებულ პრაქტიკას თუკი გავითვალისწინებთ, **სოციოლინგვისტური კრიტერიუმით დიალექტად ჩათვლილი მეტყველება ენათა რიგში აღარ უნდა შევიტანოთ.** ეს მით უფრო ითქმის ქართველური კუთხური მეტყველებების შესახებ, რამდენადაც ფაქტია:

ზეპირი ფორმით არსებულ ყველა ქართველურ ქვესისტემას მრავალი საუკუნეა საერთო „ქუდისა სახით აქვს საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული ერთიანი ქართული სამწიგნობრო ენა; შესაბამისად, მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა ქართველი ერისათვის (მეგრელებისათვის, ლაზებისათვის, სვანებისათვის, კახელებისათვის, ქართლელებისათვის, მესხებისათვის, თუშებისათვის...) დედაენაა, ხოლო მეგრულ-ლაზური და სვანური, სხვა ქართველურ ქვესისტემებთან ერთად, ქართველი ერის დედაენის — ქართული ენის კუთხურ სახესხვაობებს — დიალექტებს წარმოადგენენ.

მეცნიერულად გაუმართლებელი და ქართველი ერის ერთიანობისათვის საშიშია 20-საუკუნოვანი დამწერლობის მქონე ქართველთათვის ნახევარი კუთხური მეტყველებების (კილოების) გამოცხადება ე.წ. უმწერლობო „დედაენებად. ქართველური დიალექტების ენებად გამოცხადებით მიზანმიმართული საფუძველი ეყრება ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას. გარდა ამისა, ზოგი ენათმეცნიერის უსაფუძვლო სუბიექტური ხედვით, მაგ., ბგერათმესატყვისობის კრიტერიუმად „დაწესებით, არც გერმანელები გამოაცხადებენ თავიანთ დიალექტებს ენებად და არც უკრაინელები ჩათვლიან უკრაინულს რუსულის დიალექტად; უკვე ისტორიული რეალობაა, რომ უკრაინული დამოუკიდებელ ენად მიიჩნევა უკრაინელების მიერაც და მთელი მსოფლიოს მიერაც¹³, ხოლო, მაგ., ბავარიული გერმანული დიალექტების ჯგუფის სახელია და არა — დამოუკიდებელი ენისა და, რაც უპირველესადაა გასათვალისწინებელი:

ბგერათმესატყვისობა არსებობს დიალექტებს შორისაც და კილოკავებს შორისაც კი! დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ენათა **გენეალოგიურ კლასიფიკაციებში** წარმოდგენილი

¹³იხ., მაგ., ენათა ოჯახების ჩამონათვალი: **არნ. ჩიქობავა**, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952: 344; ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, 1972: 295; **თ. შარაძენიძე**, ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, 1958: 6.

ენების სტატუსი არც გაგებინებით და არც ბგერათშესატყვისობით არ დადგენილა: როგორც წესი, მსოფლიოს ენების სტატუსი განსაზღვრულია სწორედ სოციოლინგვისტური მიდგომების საფუძველზე (იხ. ქვემოთ).

არანაკლებ მთავარი ის არის, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული ენობრივი სიტუაციის ხელოვნურად შეცვლის მცდელობა პოზიტიურ შედეგს არ მოიტანს; ენათმეცნიერის მიზანი უნდა იყოს არსებული ისტორიული მონაცემების ანალიზით შესაბამისი დასკვნის გამოტანა და არა — რეალობის ხელოვნურად გადაკეთების მცდელობა¹⁴; მით უმეტეს, **არც ისტორიულად და არც თანამედროვე მსოფლიოში** კულტურული საზოგადოების ენათა თუ კილოთა სტატუსი არ დადგენილა არც „საკუთრივ ლინგვისტური“ ანუ ენის შიდასტრუქტურული კრიტერიუმით და არც **გაგებინებით — ლოგიკური /არალინგვისტური/ კრიტერიუმით**¹⁵.

ენათა სისტემური სხვაობა/მსგავსება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის მცდელობა, სხვადასხვა ენებად იქნენ მიჩნეულნი ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით განსხვავებული მეტყველებები (ენობრივი განფენილობები, კონტინუუმები); მაგ., გ. ცოცანიძის აზრით, ქართული, სვანური და ზანური ენების „დამოუკიდებელი სტატუსი განისაზღვრება იმით, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისთავადი ორიგინალური ლექსიკური ფონდი, ურთიერთგანსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები და ასევე ორიგინალური სინტაქსური კონსტრუქციები“¹⁶.

„განსხვავებულობა“ მეტად ფარდობითი ცნებაა: რეალურად განსხვავებული ლექსიკურ-ფონოლოგიურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემები აქვთ, მაგ., მონათესავე აფხაზურ და ქართულ ენებს; მით უფრო, არამონათესავე ქართულ და რუსულ ენებს; ქართველურ ქვესისტემებს კი გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე — განსხვავებული; თუმცა საკუთრივ ქართველურ ქვესისტემებს შორისაც არ გვაქვს ერთგვაროვანი ვითარება: სამწიგნობრო ქართულისგან ყველაზე მეტად განსხვავდება სვანური კილოები, უფრო ნაკლებად — ზანური კილოები (მეგრული-ლაზური), უფრო ნაკლებად — ინგილოური და ტაოური, უფრო ნაკლებად — თუშური და ხევსურული, უფრო ნაკლებად — კახური, ქართლური და იმერული...

¹⁴ტ. ფუტყარაძე, ქართველები, თბ., 2005: 65-70.

¹⁵მდრ., რ. ამირეჯიბი-მალენის დაუსაბუთებელი „განცხადება“ წიგნში: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006: „ენებისა და დიალექტების გამიჯვნის წმინდა ლინგვისტურ კრიტერიუმებს მიეკუთვნება ურთიერთგაგებინების ფაქტორი. ამიტომაც, მეგრულ-ლაზური და სვანური დამოუკიდებელი ენებია „წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით“ (გვ. 6-8). სამწუხაროდ, არც ამ ავტორმა იცის, რომ „ურთიერთგაგებინების ფაქტორი“ „ლინგვისტური კრიტერიუმით არ არის!“

¹⁶გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II. დიალექტები (გ. გოგოლაშვილის რედაქციით), თბ., 2016: 6-10.

რაც მთავარია, **ლექსიკურ-ფონოლოგიურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემების სხვაობის ხარისხის მიხედვით ჯერ მხოლოდში არავის დაუდგენია არც ერთი მეტყველების სტატუსი; არც არავის დაუსახელებია ის პროცენტული ზღვარი, რომლის ზემოთ მონათესავე მეტყველებები ენებად უნდა ჩაითვალოს, ამ ზღვრამდე კი — დიალექტებად.** ასეთი ზღვარის დადგენა შეუძლებელიცაა, რამდენადაც ბევრია შემთხვევა, როცა საუკუნეების მანძილზე ენად მიჩნეული ერთი მეტყველება „სისტემურად დალიან მცირედით განსხვავდება მეორე მონათესავე ენისგან (მაგ., პოლონური უკრაინულისაგან) და პირიქით: საუკუნეების მანძილზე კილოებად მიჩნეულ ერთეულებს შორის შთამბეჭდავი სისტემური სხვაობაა; მაგალითად, ფონემატური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურების მიხედვით რუსული, ბელორუსული, უკრაინული, პოლონური ენები ერთმანეთთან მიმართებით უფრო ახლომდგომი ვარიანტები არიან, ვიდრე, მაგალითად, გერმანული ენის დიალექტები. შესაბამისად, რომელიმე მეცნიერის მიერ დადგენილი ე. წ. პროცენტული ზღვარის მიხედვით, არც ერთი ერი თუ თემი არ შეცვლის თავისი მეტყველების საუკუნოვან სტატუსს. მონათესავე იდიომების (მეტყველებების) ენობრივი სტრუქტურების განსხვავების ხარისხის მიხედვით ენისა თუ კილოს კვალიფიკაციის მცდელობა ყოველთვის ჩიხში შევა.

აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

ლინგვისტიკის (ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სოციოლინგვისტიკის...) ცნებების სუბიექტური გააზრების მიხედვით არ უნდა ხდებოდეს საუკუნეების მანძილზე უკვე არსებული ტრადიციული კვალიფიკაციების თვითმიზნური გადასინჯვა, მაგ., უკრაინული დიდი ხანია დამოუკიდებელ ენადაა აღიარებული და რისი მომტანია მისი რუსული ენის დიალექტად გამოცხადება ერთი თუ ორი ლინგვისტიკის მიერ?

ანდა:

მეგრული (ოდიშური) მეტყველება მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველთა ერთ-ერთ დიალექტად ითვლება (ქართველთა სხვა კილოების მსგავსად) და რას მოემსახურება XXI საუკუნეში მისი სტატუსის შეცვლა და ე.წ. რეგიონულ ენად სახელდება? **მით უმეტეს, რას მოემსახურება სვანთა, მეგრელთა და ლაზთა ოცსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის უგულვებელყოფა და მათი ზეპირი მეტყველებებისათვის დღეს ახალი დამწერლობების შექმნა?** თუნდაც, მაგ., „ვეფხისტყაოსნისა თარგმნა მეგრულად თუ სვანურად?

პასუხი ერთია:

ამ გზით დასახელებულ ქართველთა გაუუცხოვდებათ და, ფაქტობრივად, დაეკარგებათ ქართველური/ქართული მწიგნობრობის სახით არსებული საკუთარი დიდი კულტურული წარსული.

ვფიქრობთ ნათელია, რომ მონათესავე ენებისა თუ დიალექტების გამიჯვნის პრობლემა ვერ გადაიჭრება მხოლოდ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური კრიტერიუმებით; როგორც უკვე ითქვა,

კულტურული ტრადიციის მქონე მსოფლიოს არც ერთი ენა „საკუთრივ ლინგვისტური ნიშნების“ (ბგერათშესატყვისობა, მორფოლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური კატეგორიები, ლექსიკა) ანუ **ენის სტრუქტურული კრიტერიუმების საფუძველზე** არ არის სახელდებული ენად. გარდა ამისა, ჯერ არავის დაუდგენია ენობრივ ცვლილებათა ის ზღვარი, რის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივში, შესაბამისად, სისტემის ვარიანტი იქცევა დამოუკიდებელ სისტემად.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

რაოდენობრივი სხვაობა მეტ-ნაკლებად ყველა დიალექტს შორის არსებობს; თვისობრივი ცვლილების საზღვრად რომელი პროცენტული მაჩვენებელი უნდა ავიღოთ? ის სხვაობა, რომელიც გვაქვს, მაგ., მეგრულსა და სამწიგნობრო ქართულს შორის, საკმარისია მეგრულის დამოუკიდებელ ენად მისაჩვენად? უდრ., სალიტერატურო არაბულსა და ბუხარულს შორის გაცილებით დიდი სხვაობაა; მეტიც, ბუხარულს ზოგი ტაჯიკური/სპარსული ენის დიალექტად მიიჩნევს; თუმცა, რამდენადაც ბუხარელები არაბები არიან, თავად **არაბისტების მიერ ბუხარული არაბულის დიალექტად განიხილება**. სისტემური სხვაობა კი ნამდვილად არის, მაგ., ქართულსა და მის მონათესავე აფხაზურს შორის, ქართულსა და არამონათესავე არაბულს შორის, და არა სამწიგნობრო ქართულსა და მეგრულს, ან თუშურს შორის.

დასახელებულ წიგნში¹⁷ გ. ცოცანიძე აღნიშნავს, რომ, მაგ., მეგრულ და ქართულ ფონოლოგიურ სისტემებს შორის განსხვავებაა, კერძოდ, ქართული ენის ვოკალურ სისტემაში ხმოვან ფონემათა პარადიგმატულ მიმართებებს ქმნის ხმოვანთა ლოკალური რიგი და აწეულობა, „ზანურ ენაში კი ამ ორ ნიშანს ემატება კიდევ ერთი — პალატალიზაციის ნიშანი, რის შედეგადაც ხუთწევრიანის მაგივრად ვიღებთ ექვსწევრიან სისტემას. სვანურ ენაში ხმოვან ფონემათა კორელაციური მიმართებები რთულდება იმით, რომ ემატება პალატალიზაციისა და სიგრძის ნიშნები, რის შედეგადაც ხმოვან ფონემათა რაოდენობა 18-მდე აღწევს...“

გ. ცოცანიძის მსჯელობა არ ემყარება რეალურ ფაქტებს:

თანამედროვე ქართულმა სალიტერატურო ენამ უცვლელად შემოინახა საერთოქართველური ენის ისტორიული-ფონოლოგიურ-გრამატიკულ-ლექსიკური მოდელები, ხოლო ქართველთა ყველა დიალექტმა მეტ-ნაკლებად გარკვეული ცვლილებანი განიცადა, თუმცა ძირითადი სტრუქტურა შეინარჩუნა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა ყველა დიალექტის ფონემატური სტრუქტურა თვისობრივად ერთგვარია; ასევე, ძირითადად იდენტუ-

¹⁷გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები (გ. გოგოლაშვილის რედაქციით), თბ., 2016: 8.

რია მორფოლოგიური, ლექსიკოლოგიური და სინტაქსური მოდელები. შდრ.:

ქართველთა თითოეულ დიალექტში (მეგრულში, კახურში, იმერულში, ბალსზემოურში...) არსებული სალექსიკონო მასალა თვისობრივად ერთნაირად მიემართება ქართულ სამწიგნობრო ენაში არსებულ ლექსიკურ მარაგს (რა თქმა უნდა, არის რაოდენობრივი სხვაობები); კერძოდ, დიალექტებში ძირითადი ლექსიკური ფონდი უცვლელად ან მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებებითაა შემონახული; არაიშვიათად, მხოლოდ ცალკეულ დიალექტებში დასტურდება ის ფორმა, რომელიც ადრე სალიტერატურო ქართული სისთვის იყო დამახასიათებელი. განსხვავება ისაა, რომ რაც უფრო განაპირაა დიალექტი, მით მეტია მასში შემოჭრილი სხვა ენის ლექსიკური ერთეულები. მაგ., მეგრულს დაცული აქვს ისეთი სიტყვაფორმები, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ენაში არ დასტურდება, მაგრამ გვქონდა ძველი საეკლესიო მწერლობის ენაში. მაგ.: არქაულ ქართულში უწყვეტლის III პირის მრ. რიცხვს აღნიშნავდა -ეს ფორმანტი: იგინი წერ-დ-ეს „წერდენ“; დღეს ანალოგიური წარმოება გვაქვს მეგრულ-ჭანურში, აგრეთვე: ხევსურულში, ტაურში... მეგრ. ჭარუნდ-ეს, შდრ. ხევს. წერდ-ეს „წერდენ“. ასევე, ქართველურ დიალექტებში შემონახულია ძველ ქართულ ტექსტებში დაფიქსირებული ბევრი სიტყვა, რომელიც აღარაა თანამედროვე ქართულში. მაგ., ზან. წილუა „კრეფა“ (შდრ. ძვ. ქართ. მოწილვა), მეგრ. წინდა „ჭუჭყი“ (შდრ. წიდა), მეგრ. კურთა „ქვედა საცვალი“ (შდრ. კვართი), ჭან. ცხოდარი „ლოგინი“ (შდრ. ცხედარი)...

ყველა ქართველურ ქვესისტემაში ერთგვაროვანია ფონემატური სტრუქტურა; განაპირა დიალექტების პალატალიზებული ხმოვნები ქართველური სამყაროსათვის მეორეულია — ხმოვანთა პალატალურობა (მაგარსასისმიერობა) სხვა ენების გავლენითაა გაჩენილი; რაც მთავარია, „პალატალურობის ნიშანი“ ვლინდება როგორც დასავლურ ქართულ რამდენიმე კილოში (ბალსზემოურში, ბალსქვემოურში, ლენტეხურში; იმერხეულში, ტაურში; ზოგი თვლის, რომ ლაზურშიც...), ასევე აღმოსავლურ ქართულ რამდენიმე კილოში, მაგ., მოხეურში, ინგილოურში, სამცხურ-ჯავახურში. ხმოვანთა სიგრძე საკუთრივ ქართველური მოვლენაა: ზეპირ მეტყველებაში რეალიზდება ენის ტენდენცია, ორი ხმოვანი აქციოს ერთ მარცვლად (ერთ ხმოვანად); ზოგჯერ ხმოვნის სიგრძე დაკარგული ბგერის კომპენსაციაცაა; შესაბამისად, ხმოვანთა სიგრძე ბევრ ქართველურ ქვესისტემას ახასიათებს და არა — მხოლოდ სვანურ კილოებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთ სვანურ კილოს — ლენტეხურს - არ ახასიათებს გრძელი ხმოვნები.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ, მაგ., ფონოლოგიური სისტემის მიხედვით ქართული სალიტერატურო ენაც და ქართულ კილოთა უმრავლესობაც არსებითად არ განსხვავდება მეგრულისაგან; შდრ.: არსებითი სხვაობა გვაქვს ქართველურსა და მის მონათესავე აფხაზურ ენობრივ სისტემას შორის. შესაბამისად,

ხელოვნურია ფონოლოგიურ საფუძველზე ქართულისა და მეგრულის გამოცხადება დამოუკიდებელ ენებად; იგივე ითქმის ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის შესახებაც (თვისობრივი სხვაობაა ქართულსა და აფხაზურს შორის);

შდრ., ასევე:

მეგრული სახელური პარადიგმაც ძირითადად იმეორებს არა მხოლოდ ადრინდელი სამწიგნობრო ენის ბრუნვათა სისტემას, არამედ ახლოსა თანამედროვე ქართული ენის მთის კილოების არქაულ მონაცემებთან; ასევე, მაგ., განსხვავებით მონათესავე აფხაზურისაგან, თვისობრივად ერთგვარია მეგრულისა და იმერულის ზმნურ ფორმათა სისტემა და სხვ. რა თქმა უნდა, გარკვეული სხვაობებიც არსებობს, მაგრამ ისინი საკმარისი არ არის მეგრულისა და იმერულის (ქართლურის, კახურის...) თვისობრივი სხვაობის სამტკიცებლად; მით უმეტეს, როგორც აღინიშნა, არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა (სისტემურ სხვაობათა!) ისეთი ზღვარი, რომლის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისობრივში; ასეთი ზღვარის დადგენა შეუძლებელია. დაკვირვება ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ენად სახელდებულ სისტემებს შორის არსებულ ლინგვისტურ სხვაობათა პროცენტული მაჩვენებელი შეუზღუდავად მერყეობს.

სოციოლინგვისტური (ფუნქციური) კრიტერიუმები:

დამწერლობის ქონა-არქონა; სტანდარტულობა, როგორც კრიტერიუმი.

მეცნიერთა ნაწილი ენისა და დიალექტის გასამიჯნავ კრიტერიუმად მიიჩნევს დამწერლობისა და საყოველთაოდ გაზიარებული ნორმების ქონას; კერძოდ, ზოგი ავტორის აზრით, თუკი მოცემულ მეტყველებას აქვს სამწიგნობრო ტრადიცია და სპეციალისტთა მიერ დადგენილი ნორმები, ენაა; თუ მეტყველება უმწიგნობროა, ბუნებრივად ვითარდება (მისი განვითარება არ ბრკოლდება მეცნიერთა მიერ დაკანონებული ხელოვნური ნორმებით) და მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციის საშუალებაა, მაშინ ის დიალექტად უნდა კვალიფიცირდეს...

ამგვარი მიდგომით მეტყველების სტატუსი ვერ დადგინდება, რამდენადაც მსოფლიოში ბევრი ენაა, რომლის მფლობელ ხალხს არა აქვს სამწიგნობრო ტრადიცია და საქმისწარმოებისა თუ ლიტერატურული შემოქმედებისათვის მათთვის უცხო ენას იყენებს; მაგ., ამერიკის ავტოქთონი მოსახლეობის დიდი ნაწილი დღეს ინგლისურს, ესპანურს, ფრანგულს ან პორტუგალიურს იყენებს. დამწერლობისა თუ ნორმირებულობის (სტანდარტულობის) მიხედვით შეუძლებელია უმწერლობო ენისა და დიალექტის გამიჯვნა¹⁸.

¹⁸ტ. ფუტკარაძე, ქართველები, თბ., 2005: 64; ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართველთა ენობრივ-ეთნიკური აღწერა „მსოფლიოს ენათა რეესტრის“ (ინგლურ-რუსულ-აზერულ-სომხურ-საქართველო-სინამდვილე. კრებული

დამწერლობის მქონე კონტინუუმი, როგორც წესი, ენადაა კვალიფიცირებული (შდრ., ერთი მხრივ, თანამედროვე მოლდავური ენა, მეორე მხრივ კი — იტალიური კილოები); შესაბამისად, პირველ რიგში, ერთმანეთთან მიმართებით ნათლად უნდა განვსაზღვროთ უმწერლობო ენა და დიალექტი, ვინაიდან უმწერლობო ენობრივი ერთეული შეიძლება იყოს წერილობითი ტრადიციის არმქონე ენაც და დიალექტიც; შდრ.: დიალექტი არის მოცემული ერის/ნაციის საერთო-სახალხო (ოფიციალური) ენის განშტოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილის მოსახლეობის ან რომელიმე სოციალური ფენის ზეპირი (არაოფიციალური) ურთიერთობის საშუალებას წარმოადგენს. სხვა სიტყვებით:

კონკრეტული სამეტყველო ერთეული მსგავსი სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის დიალექტად ჩაითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში. შესაბამისად, უმწერლობო ენად უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ეთნიკური ერთობის მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედებისა თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს. დამწერლობის ქონა/არქონა ნამდვილად ვერ განსაზღვრავს ენის სტატუსს. შდრ., საბჭოთა პერიოდში გაბატონებული თვალსაზრისის მიხედვით, მეგრულ-ჭანური და სვანური უმწერლობო (უმწიგნობრო) ენებია.

ჩვენი აზრით, **მეგრულ-ჭანური და სვანური მეტყველებები ვერ ჩაითვლება უმწერლობო ენებად** იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ **სამწიგნობრო ქართულის ამ სახესხვაობების მფლობელთ** სულ მცირე 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია აქვთ საკუთარ დედაენაზე; შესაბამისად, ტერმინი: „უმწერლობო დედაენა“ /„უმწიგნობრო ენა“/ **შეურაცხყოფელია 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის მქონე ქართველების — იოვანე ლაზის, ჭყონდიდლების, მარტვილელი იოვანე მინჩისა თუ იოვანე აფხაზის (მეგრელის) მშობლიური კუთხეების მცხოვრებთა — მშობლიური დიალექტისათვის, რამდენადაც მათი ისტორიული სამწიგნობრო დედაენა ქართულია.** ამ ისტორიული დედაენის კუთხური სახესხვაობებია ლაზურ-მეგრული თუ სვანური მეტყველების ვარიანტები: ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური... ბალსხემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ლაშხური, ჩოლურული.

„საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა)“, ბათუმი, 2009; <http://www.scribd.com/doc/14098229/Putkaradze-Msoflios-EnaTa-Reestri-Da-Sakartvelo>; ტ. ფუტყარაძე, ქართველოლოგიის შესავალი, თბ., 2014; ტ. ფუტყარაძე, საქართველოს საფრთხეები და პერსპექტივები. <http://documents.tips/documents/5572059f497959fc0b8b758a.html> (დამოწმებულია: 15.06.2016).

ზოგი ფიქრობს, რომ ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით **ერთი და იმავე დონის** ტერმინით (დიალექტი) არ უნდა მოვიხსენიოთ, მაგ., იმერული და მეგრული. ვინც გულწრფელად ფიქრობს ასე, მათთვის გვაქვს მარტივი ამოცანა:

სამეცნიერო ველში არსებობს ორი დონის ცნება/ტერმინი: **ენა** და **კილო/დიალექტი**; ამ ცნებების შესაბამისად ორად დავაჯგუფოთ ქვემოთ ჩამოთვლილი ენობრივი ერთეულები: ქართული, იმერული, აჭარული, მეგრული, აფხაზური, ჩეჩნური, უკრაინული, რუსული, გერმანული, ბავარიული... უკამათოა, რომ **ქართულთან მიმართებით კილოებია მისი სახესხვაობები**: იმერული, აჭარული, ხოლო გერმანულის დიალექტია ბავარიული; **შდრ., ყველა თვლის, რომ დამოუკიდებელი ენებია: ქართულის მონათესავე: აფხაზური, ჩეჩნური და არამონათესავე: რუსული, უკრაინული, გერმანული.** წარმოდგენილი განაწილების ფონზე რომელი ტერმინის (ენის, კილოს) ჯგუფში უნდა მოვათავსოთ **ქართულის სახესხვაობა მეგრული** (რომელიც უფრო მეტადაა შეცვლილი, ვიდრე აჭარული): **აჭარულ-იმერულის თუ გერმანულ-რუსულ-აფხაზურის?**

ენისა და კილოს/დიალექტის გარდა მოცემული მეტყველების (კონტინუუმის, იდიომის) სტატუსის შესაფასებელი **სხვა ტერმინი არ არსებობს** (და არც არის საჭირო): საერთოქართველური ენის საფუძველზე შექმნილ **არქაულ სამწიგნობრო ენასთან მიმართებით დღეს არსებული ყველა ზეპირი ქართველური მეტყველება მეორეული წარმონაქმნია**; ეს კარგად ჩანს როგორც ფონოლოგიური, ასევე მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური ტრანსფორმაციების ისტორიიდან¹⁹; გარდა ამისა, მრავალი საუკუნეა მეგრელებისათვის, როგორც სხვა ქართველებისათვის, შემოქმედებისა და საქმისწარმოების ენაა საერთოქართველურის უშუალო მემკვიდრე ენა — ქართული სალიტერატურო (სამწიგნობრო) ენა; გამომდინარე აქედან, ნაკლებლოგიკურია მეგრულის განხილვა მონათესავე აფხაზურისა თუ არამონათესავე რუსულის რანგში.

პრესტიჟულობა.

ზოგი მეტყველება განფენის მრავალფეროვნებით გამოირჩევა და მოცემული საზოგადოების დიდი ნაწილის სალაპარაკო ენაა, ზოგს კი მხოლოდ ერთი სოფელი მოიხმარს... ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ მეტყველებას, რომელსაც გამოყენების მაღალი ხარისხი აქვს, ენაა, ნაკლებად გამოყენებული კი — დიალექტი. პრესტიჟულობის მიხედვით მეტყველების სტატუსის განსაზღვრა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია შესაძლებელი /სხვა ფაქტორებთან ერთად/. ასეთი მიდგომით არასოდეს მომხდარა მსოფლიოში არსებული ენების სტატუსის განსაზღვრა. პრესტიჟულობის მიხედვით შეიძლება სამწიგნობრო ენი-

¹⁹ამ თვალსაზრისით საინტერესოა არნოლდ ჩიქობავას მსჯელობა (1936, გვ. 205-206): „ჭანურისა და მეგრულის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ მოვლენათა ანალიზისას ცხადი და ხელშესახები ხდება ამ მოვლენათა ისტორიული წარსული და გენეტიკური ურთიერთობა, როცა ამოსავლად გამოყენებულია ქართული ენა.ე

სა და დიალექტის გამიჯვნა, მაგრამ შეუძლებელია უმწერლობო ენი-
სა და დიალექტის გამიჯვნა.

სახელმწიფო ენის სტატუსი; რეესტრული კრიტერიუმი.

ზოგი თვლის, რომ თუკი მოცემული მეტყველება სახელმწიფო ენაა ან ამ ენობრივ ერთეულს აქვს რომელიმე რეგიონის/ავტონომიის ოფიციალური ენის სტატუსი, დამოუკიდებელი ენაა, ხოლო მეტყველება, რომელსაც არა აქვს სახელმწიფო/რეგიონული სტატუსი, დიალექტია, თუნდაც ის იყოს არამონათესავე ენა; მაგ., მ. ქურდიანის აზრით, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ქართული ენა თურქეთში თურქული ენის დიალექტია²⁰... პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ საერთაშორისო სტანდარტებით და, სწორედ რომ **სოციოლინგვისტური პარამეტრების მიხედვით**, ქართული ენა თურქეთში არის არა თურქული ენის დიალექტი, არამედ — **ავტოქთონი ეთნიკური უმცირესობის ენა** (ამჟამინდელი თურქეთის ართვინის გუბერნიაში).

უფრო საინტერესოა სხვა რიგის მაგალითი:

ხელისუფლების მიდგომის, ანუ ე. წ. რეესტრული კრიტერიუმის, შედეგით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ კარპატულ-რუსინული მეტყველება უკრაინაში უკრაინულ დიალექტად მიიჩნევა, ხოლო სერბიაში — დამოუკიდებელ ენად, რამდენადაც სერბიის ერთ-ერთ მხარეში იგი მეორე სახელმწიფო ენაა (როგორც აფხაზურია მეორე სახელმწიფო ენა აფხაზეთში).

აშკარაა, არც ე. წ. რეესტრული მიდგომაა გამართლებული, რამდენადაც მსოფლიოში ათასობით ენაა, სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა რაოდენობა კი 300-ს არ აღემატება; თურქეთში ქართულის მსგავსად, სხვა სახელმწიფოებშიც ბევრი ენა არის მოცემული სახელმწიფოს ეთნიკური უმცირესობის ენა და არ აქვს რაიმე ოფიციალური ენის სტატუსი.

თვითშეფასებითი კრიტერიუმი (თვითიდენტიფიკაცია) — ენი-

სა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა თავად მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ; ამ კრიტერიუმს პლემბისციტურ კრიტერიუმსაც უწოდებენ. ჰ. ჰარმანი, პ. აუერი და სხვ. თვლიან, რომ ენობრივი ერთეულის სტატუსი მისმა მფლობელმა საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს. ადამიანების ენობრივი თუ ეთნიკური თვითაღქმა არსებითად განისაზღვრება მათი განათლების დონით. ენისა და დიალექტის სტატუსის განსაზღვრა თავად მოცემული ენობრივი კოლექტივის მიერ ადეკვატურ შედეგებს მოგვცემს ახალშექმნილი მწიგნობრობის მქონე ან წერილობითი კულტურის არმქონე ენობრივი ერთეულის შემთხვევაში:

წერილობითი კულტურის არმქონე ხალხის თვითაღქმა ხდება გაგებინების მიხედვით განსაზღვრული უმწერლობო ენის ფარგლებში

²⁰იხ. მაგ., მ. ქურდიანის ზემოთ დამოწმებული ნაშრომები.

(შდრ., ჩრდილოკავკასიური ენები). ამ კრიტერიუმს გადაულახავი პრობლემები შეექმნება ხანგრძლივი წერილობითი კულტურის მქონე საზოგადოების გამოკითხვისას, რადგანაც საზოგადოების განათლებული ფენისთვის თუ გასაგები და მშობლიური იქნება არქაული ენა და კულტურა, საზოგადოების გაუნათლებელი ფენისთვის ის უცხო აღმოჩნდება; მაგ., სალიტერატურო იაპონურის არმცოდნე გაუნათლებელმა ადამიანმა შეიძლება ჩათვალოს, რომ რადგან არ ესმის სალიტერატურო ენა, მისი დედაენაა ბავშვობიდან შეთვისებული დიალექტი; თუმცა, ასე არ იფიქრებს განათლებული იაპონელი. საქართველოში იშვიათია სალიტერატურო ქართულის არმცოდნე სვანი, მეგრელი თუ ხევსური, მაგრამ არიან ტაოელი, იმერხეველი, ფერეიდნელი ქართველები, რომელთაც არ ესმით ისტორიული დედაენა და მხოლოდ თავიანთ ქართულ დიალექტზე მეტყველებენ; ასეთი პირი თუკი ჩათვლის, რომ, რამდენადაც მას არ ესმის ქართული სალიტერატურო ენა, მათი დედაენაა მშობლიური კილო, ეს არ იქნება ისტორიული რეალობის ამსახველი; რეალობა კი ასეთია:

სვანიც, ხევსურიც, მეგრელიც, ტაოელი ქართველიც, იმერხეველიც, ფერეიდნელი ქართველიც, ინგილოც, საქართველოს ველში დარჩენილი ლაზებიც მრავალი საუკუნეა სხვა ქართველებთან ერთად ქმნიან ქართულ სალიტერატურო ენას, ამ ენაზე ქმნიან შედეგებს, ამ ენას იყენებენ სკოლაში, საქმისწარმოებში... შესაბამისად, მათი ისტორიული დედაენაა ქართული; კუთხური მეტყველება კი ბავშვობიდან შეთვისებული მშობლიური კილოა. ასე რომ, განათლების სიმწირის (ეროვნული კულტურისა და სამწიგნობრო ენის ვერფლობის) პირობებში, ადამიანთა ჯგუფი დედაენად თუკი ჩათვლის მშობლიურ კილოს, ამგვარი თვითიდენტიფიკაცია არ იქნება რეალობის ამსახველი: თვითმიკუთვნებულობის საფუძველი არგუმენტირებული შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საკუთარი ისტორიის მცოდნე განათლებულ საზოგადოებას; მაშასადამე, ენისა და დიალექტის გამიჯვნა შეუძლებელია ე. წ. პლებისციტური მეთოდით; სერიოზულად არც არავინ ცდილობს ამ კრიტერიუმის გამოყენებას. შდრ., როგორც წესი, ენობრივი თვითმიკუთვნება შედეგია ეროვნულ-ეთნიკური თვითმიკუთვნებისა²¹.

გ. ბელმანის, ვ. კონიგისა და სხვათა აზრით, დიალექტსა და ენას შორის ზღვარი ძნელი გასაგვლებია; დიალექტიდან ენაში გადასვლა თავისუფლად ხდება.

ენისა და კილოს გასამიჯნ კრიტერიუმებზე მსჯელობის დასასრულს, კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ თუ რომელიმე სპეციალისტი კრიტერიუმად აიღებს ბგერათმესატყვისობას, მისთვის მონათესავე ენობრივ ერთეულთა ენა-კილოებად კვალიფიკაცია, ბუნებრივია, სხვაგვარად მოხდება (მაგ., გერმანული ენის ბავარიული და მეკლენბურგული კილოები სხვადასხვა ენებად ჩაითვლება); თუ გაგებინებას აიღებს კრიტერიუმად, ბევრი ენობრივი ერთეულის სტატუსი გახდება გადასასინჯი (მაგ., არაბული კილოები: ალჟირული

²¹ ტ. ფუტკარაძე, ქართველები, თბ., 2005: 68-70.

და ბუხარული, ქართველური კილოები: ინგილოური და გურული სხვადასხვა ენებად მისაჩნევი გახდება) და ა. შ. ბუნებრივია, ყველა მკვლევარს აქვს უფლება, აირჩიოს რომელიმე კრიტერიუმი, იმსჯელოს, მის მიხედვით გადააჯგუფოს ენები თუ კილოები (იხ., მაგ., გაგებინების მიხედვით თ. გამყრელიძე სლავური ენების მხოლოდ სამ ზონას გამოყოფს; თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე.. 2003: 616) და სამსჯელოდ გამოიტანოს, თუმცა, ვფიქრობთ, კრიტერიუმის განსაზღვრა უფრო ლოგიკურია ენათა/კილოთა სტატუსის დადგენის ისტორიის საფუძველზე. მსოფლიო ენების სტატუსის ისტორიაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ არსებული ენების სტატუსი, როგორც წესი, განსაზღვრულია ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-რელიგიური ნიშნის მიხედვით.

ეთნოკულტურული მიდგომა: ეთნოს/ერს აქვს ენა, ეთნოსის/ერის ნაწილს — დიალექტი.

მოცემული საზოგადოების მონათესავე სამეტყველო კოდთა — ენობრივ ვარიანტთა — იერარქია თავისთავად რეგულირდება სამწიგნობრო ენის ისტორიასთან მიმართებით; კერძოდ, თუ მოცემულ ერს/ეთნოსს აქვს ტრადიციული სამწიგნობრო ენა, ამ ერის ცალკეულ თემთა სამინაო მეტყველებები დიალექტებია. მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ენა ერთად აყალიბებს ამ სამწიგნობრო კულტურის შემქმნელ მონათესავე საზოგადოებებს.

მსოფლიოს ენათა გენეალოგიურ სქემებშიც, თანამედროვე ეთნოლოგიურ ენციკლოპედიებშიც და ევროსაბჭოს დოკუმენტებშიც (მაგ., „რეგიონული ან უმცირესობის ენათა ევროპულ ქარტიაში“) **ენა ერის/ეთნოსის მეობის განმსაზღვრელადაა მიჩნეული.** ამ თვალსაზრისით საყურადღებოა **თ. შარაძენიძის მსჯელობა:**

„მონათესავე კილოთაგან ან ერთი ენის დიფერენციაციით ახალი ენები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პროვინციები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდება და ამ ხალხებს შორის **ერთიანობა გაწყდება**“... კილოების ენებად ჩამოყალიბების „**აუცილებელი პირობაა** ერთი საზოგადოების ნაწილების ერთმანეთისგან მოწყვეტა“: **იმისათვის, რომ ენის დიფერენციაცია განხორციელდეს**, „აუცილებელია ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოება დაიშალოს და შეწყდეს ურთიერთობა გამოყოფილ ნაწილებს შორის“²².

მსგავსია სხვა მეცნიერთა მსჯელობანიც; შდრ.: ჯორჯ აბრაჰამ გირისონი, „ინდოეთის ენობრივი მიმოხილვა“²³, I, კალკუტა, 1927: 24: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ მავან ინგლისელ გლეხს სულ არ გაუჭირდება, გააგებინოს ჰოლანდიელებს თავისი ნაუბარი, ან გაიგოს მათიც, მაგრამ არავის შეუძლია უარყოს, რომ ჰოლანდიური და ინგლისური დამოუკიდებელი ენებია; ამასთან, ეს ფაქტორი განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება მაშინ, როდესაც თითოეული ერი

²²თ. შარაძენიძე, 1958: 42-45.

²³Linguistic Survey of India.

დამოუკიდებლად ქმნის მწიგნობრობას. ამისი ბრწყინვალე მაგალითია ასამური — ეს მეტყველება დღეს ცალკე ენად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, სანამ მისი გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებანი საბოლოოდ არ ჩამოყალიბდება, ვერ უარყოფთ, რომ [ასამური] ბენგალურის კილოა — ხსენებული მაჩვენებლების მიხედვით, ის ამ უკანასკნელი ენის სტანდარტულ ფორმას უახლოვდება ისევე, როგორც ქ. ჩიტაგონგის კილო; [მეორე მხრივ], უდავოა ისიც, რომ [ასამური] დამოუკიდებელი ერის მეტყველებაა, აქვს საკუთარი ისტორია და შესანიშნავი მწიგნობრობა, რომელიც განსხვავდება ბენგალურისგან როგორც სტანდარტით, ისე თვისობრივადაც. ესაა მაგალითი, როცა მომიჯნავე ენები სხვაობს არა ორმხრივი გაგებინების არარსებობის, არამედ ეროვნული თვითშეგნებისა და მწიგნობრობის მიხედვით²⁴;

კაროლ დეინა, „რამდენი პოლონური კილო არსებობს ჩვენში“²⁵, ვარშავა, 1968 39: „კილო განისაზღვრება არა მარტო დღევანდელ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, არამედ იმ არაენათმეცნიერული ფაქტორების (მაგალითად, უწინდელი ან ამჟამინდელი პოლიტიკური საზღვრები, ეროვნულ-თემობრივი დაყოფა, კულტურული ანდა გეოგრაფიული გარემო...) გათვალისწინებითაც, რომლებმაც იმთავითვე გადამწყვეტი როლი შეასრულეს მასზე მეტყველი ჯგუფის ჩამოყალიბებაში“²⁶;

მიქელე ლოპორკარო, „იტალიურ დიალექტთა ლინგვისტური პროფილი“²⁷, 2009, 3: „იტალიაში არავის დაუყენებია ეჭვი ეჭვში ის, რომ ენის სტატუსი აქვს ფლორენციულს (ანდა, შემდგომში — ფლორენციულის ბაზაზე შემუშავებულ იტალიურს), რომელიც ჯერ (უმეტესწილად) წერილობით იყო გავრცელებული ინტელექტუალურ წრეებში, მერე კი მაღალი (ოფიციალური, ფორმალური, სამწიგნობრო) მიზნებით გამოიყენებოდა და ბოლოს — XX საუკუნის II

²⁴ it is said that some English peasants would in Holland little difficulty in making themselves understood, or in understanding what people say. Yet no one would deny that Dutch and English are distinct languages; and this factor is all the stronger when each nationality has developed an independent literature. There is an excellent illustration of this in Assamese. This form of speech is now admitted to be an independent language, - yet if merely its grammatical form and its vocabulary are considered, it would not be denied that it is a dialect of Bengali. It is certainly as closely related in these respects to the standard form of that language as is the dialect of Bengali spoken in Chittagong. Yet its claim to be considered as an independent language is incontestable. Not only is the speech of an independent nation, with a history of its own, but it has a fine literature, differing from that of Bengal both in its standard of speech, and its nature and content. Here, therefore, we have an example of a language differentiated from its neighbours not by mutual unintelligibility but by nationality and literature.~

²⁵ Ile mamy dialektów polskich, Rozprawy Komisji Językowej ŁTN.

²⁶ Jak najogólniej i umownie pojmovane linie odgraniczające poszczególne obszary formowania się dialektów muszą być wypadkową z jednej strony dzisiejszych danych dialektograficznych, które trzeba dla tych celów czasem uogólniać, a nawet upraszczać, z drugiej zaś strony szeregu pozajęzykowych czynników, które warunkowały wytwarzanie się odrębnych ugrupowań ludnościowych, jak np. dawne plemiennie-szczepowe podziały, późniejsze administracyjne i polityczne granice, migracje ludności oraz fizjograficzne rozczłonkowanie kraju, odrębne warunki i powiązania gospodarcze, etnograficzne, kulturalne, cywilizacyjne itd.~

²⁷ Profilo linguistico dei dialetti italiani, romi, editori laterza.

ნახევრიდან, გაფართოვდა, მოიცვა რა ყველა სოციალური ჯგუფი და იქცა ყოველდღიურ სამეტყველო ერთეულად. [ფლორენციულის] ასეთმა ცვლილებამ სპეციფიკური [ენობრივი] ვარიანტიდან ეროვნული ენის რანგამდე — რასაც თან სდევდა მუშაობა [ფლორენციულის] ნორმალიზაციისა და სტანდარტიზებისთვის — ავტომატურად ყველა სხვა მეტყველებანი მუნიციპალურ დიალექტებად განსაზღვრა²⁸ (ხაზგასმა ავტორისა).

„ენებისა და კილოების სტატუსის ისტორიის შესწავლა ცხადყოფს: როგორც წესი, კონკრეტული სამეტყველო ერთეული მონათესავე სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (სტანდარტული) ენის ნაირსახეობად — **დიალექტად** — ითვლება, თუკი ამ სამეტყველო კოდის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო ენის შექმნაში.

სამწიგნობრო ენა არის ოფიციალური ენა — ელიტარული მეტყველება (მაგ., სამეგრელოში „ჟინოსქუას“ ენა იყო სალიტერატურო ქართული), დიალექტი კი — საშინაო ენა; შესაბამისად, **უმწერლობო ენად** უნდა მივიჩნიოთ ენობრივ-ეთნიკური იდენტობის (მეობის, თვითობის) მქონე იმ საზოგადოების მეტყველება, რომელსაც საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედებისა თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას. უმწერლობო ენა ზეპირი ფორმით (დიალექტების, კილოკავების, თქმების, ჟარგონების სახით...) არსებობს; მაგ., **მეგრულ-ჭანური და სვანური მეტყველებები ვერ ჩაითვლება უმწერლობო ენებად** იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ **სამწიგნობრო ქართულის ამ სახესხვაობების მფლობელთ** სულ მცირე 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიცია აქვთ საკუთარ დედაენაზე. ამ კონტექსტში აქტუალურია **არნოლდ ჩიქობავას მიდგომა**:

„გარდაუვალი წესია: ერთი თაობა მიდის, მეორე — მოდის... ხალხი კი უკვდავია. უკვდავია მისი ენაც, თუკი მას ხალხმა ზურგი არ შეაქცია; ენა თაობიდან თაობას გადაეცემა, და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის: ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებს. ტერმინი „ხალხი“ აქ ერის სინონიმია: ერის მეობას დედაენა განსაზღვრავს. დედაენა ენობრივი სოციუმის — ერის — თვისებაა (და არა — ინდივიდისა!); ენა ეროვნულობის დამცველი და შემნარჩუნებელია... ენა და ერი ერთმანეთს განსაზღვრავს (გ. რამიშვილი. 2000: 9, 70, 172).

ფაქტია: სულ მცირე 15 საუკუნეა ქართველურ სინამდვილეში ერთი სამწიგნობრო ენა — ქართული ენა — ფუნქციონირებს,

²⁸„Nessuno in Italia ha dubitato dello status di *lingua* del fiorentino (o, da allora in poi, italiano su base fiorentina), divenuto dapprima strumento di espressione (prevalentemente) scritta dei soli ceti intellettuali e per i soli usi alti (ufficiali, formali, letterari) ed infine estesosi, in fase postunitaria nel secondo Novecento, a tutte le fasce sociali come varietà dell'uso (anche orale) quotidiano. Questa ascesa di una specifica varietà al rango di lingua nazionale - ascesa accongnata da un'opera di normalizzazione e standardizzazione - ha relegato automaticamente al rango di *dialetti* municipali tutte le altre parlate“.

რომელიც მომდინარეობს საერთოქართველური ენიდან და ყველა ქართველის საერთო დედაენაა; მაგ., სვანეთის მკვიდრი ქართველობისათვის **ქართული არის** წინაპრების მიერ შექმნილი დედაენაც (ეროვნული ენაც), საეკლესიო ენაც, სალიტერატურო ენაც, სახელმწიფო ენაც; ხოლო, მაგ., ლაშხური ლაშხელისთვის მშობლიური კილოა.

სხვა ექსტრალინგვისტური კრიტერიუმები.
ზემოთ განვიხილეთ **გაგებიანების** კრიტერიუმი. ექსტრალინგვისტურია, ასევე, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორები.

ენის სტატუსის განსაზღვრა რელიგიური ნიშნით.
იშვიათად რელიგიით განსხვავებული ერთი ეთნოსის სხვადასხვა თემი დამოუკიდებელ ეთნოსად იაზრებს თავს და, შესაბამისად, თავის კუთხურ მეტყველებასაც დამოუკიდებელ ენად აცხადებს; მაგ., ასეთი გზით დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევა: ბოსნიური — მუსლიმან სლავთა მეტყველება; სერბიული — მართლმადიდებელ სლავთა მეტყველება და ხორვატიული — კათოლიკე სლავთა მეტყველება (მონტენეგროულის გამოცალკევებას სხვა ფაქტორებიც განაპირობებს).

დასახელებული სლავური მეტყველებები ერთმანეთისაგან არსებითად არ განსხვავდება; შდრ., იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამდე არსებობდა მხოლოდ ერთი ენა — სერბულ-ხორვატიული ენა. კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხების შემდეგ წინა პლანზე წამოვიდა რელიგიური იდენტობა, რამაც განაპირობა დიალექტების ენებად გამოცხადება თვით ამ დიალექტების მფლობელთა მიერ (შდრ., თვითიდენტიფიკაცია); ამას კი მოჰყვა ფედერაციის საბოლოო დაშლა და სერბ-ხორვატთა ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა.

ენის სტატუსის განსაზღვრა პოლიტიკური საფუძვლით.
საბჭოთა რუსეთის იმპერიას იოლად რომ მოეხდინა რუმინეთის ნაწილის ანექსია, რუმინული ენის მოლდოვურ დიალექტს ენის სტატუსი მიანიჭა, მოლდოვის მოსახლეობა კი დამოუკიდებელ ნაციად გამოაცხადა. დღესაც მეცნიერთა დიდი ნაწილი მოლდოვურ მეტყველებას რუმინული ენის კილოდ მიიჩნევს, ერთი ნაწილი კი საბჭოთა ინერციით დამოუკიდებელ ენად თვლის... მსგავსია აზერბაიჯანული ენის შექმნის „ისტორიაც“:

კავკასიის (ბაქოს ნავთობის) კონტროლის მოსურნე რუსეთის იმპერია დიდი ხანია ცდილობს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გავრცელებული თურქული ენის დიალექტი აზერბაიჯანულ ენად გამოაცხადოს. „აზერბაიჯანული ენის“ შექმნის ასწლოვანი მცდელობის მიუხედავად, დღესაც კი აზერბაიჯანულ ენას ბევრი აზერბაიჯანულ თურქულს უწოდებს...

ნათელია, რომ ამგვარი მიდგომით არალოგიკურია ენისა და კილოს სტატუსის განსაზღვრა.

ამრიგად, კავკასიაში რუსეთის შემოსვლის შემდეგ (მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი) იწყება ქართველურ იდიომთა კვალიფიკაციის პოლიტიზება, კერძოდ, რუსეთის იმპერიის მესვეურნი ცდილობენ, ენობრივ-ეთნიკურად დაანაწევრონ ქართველი ერი და ამ მიზნით ქართველთა ნაწილს წარმოადგენენ უმწიგნობრო ენების მქონე ხალხებად, ქართველურ კილოთა ერთ ნაწილს აცხადებენ „უმწერლობო ენებად“.

სამეცნიერო ლიტერატურაში უმწიგნობრო ენისა და კილოს გამოიგნა პრობლემურადაა მიჩნეული; დღემდე მიმდინარეობს სანდო კრიტერიუმის ძიება. არასანდოობის გამო თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ენისა და დიალექტის გასამიჯნავ კრიტერიუმად არ ითვლება:

— გაგებინება /გაგებინება შეიძლება არ იყოს დიალექტებს შორისაც/;

— ბგერათშესატყვისობა /არის დიალექტებს შორისაც/;

— ენობრივი სისტემური მსგავსება-განსხვავება /არავის დაუდგენია ზღვარი, რამდენპროცენტიანი სხვაობა შეიძლება იყოს საკმარისი დიალექტების მონათესავე ენებად კვალიფიკაციისათვის/;

მსოფლიოში არსებული ენებისა თუ კილოების სტატუსის დადგენა უფრო ხდება სოციოლინგვისტური კრიტერიუმებით; კერძოდ, კრიტერიუმად გამოყენებულია:

— ეთნოკულტურულ იდენტობასთან მიმართება: ენა აქვს ეთნოსს, კილო — ეთნოსის ნაწილს;

— კოდიფიცირებულობა: დამწერლობის ქონა/არქონა;

— სტანდარტულობა/ნორმირებულობა;

— პრესტიჟულობა;

— პოლიტიკური მიდგომა;

— რელიგიური იდენტობა;

— სახელმწიფო ენის სტატუსი...

ამათგან მეტყველების სტატუსის განსაზღვრავად ყველაზე უფრო სანდო ჩანს მოცემული საზოგადოების ენის მიმართება ეთნოკულტურულ იდენტობასთან: **ენა აქვს ერს, დიალექტი კი — ერის ნაწილს;** რაც მთავარია, ენებისა და კილოების სტატუსის ისტორიის შესწავლა ცხადყოფს:

როგორც წესი, კონკრეტული სამეტყველო ერთეული მსგავსი სტრუქტურის მქონე ოფიციალური, სამწიგნობრო (/სტანდარტული) ენის ნაირსახეობად — დიალექტად ითვლება, **თუკი ამ სამეტყველო ერთეულის მფლობელ საზოგადოებას ისტორიულად მონაწილეობა მიღებული აქვს მოცემული სამწიგნობრო (/სტანდარტული) ენის შექმნაში.** მრავალსაუკუნოვანი სალიტერატურო ენა უმთავრესი ფაქტორია ამ სამწიგნობრო კულტურის შემქმნელი მონათესავე საზოგადოებების ერთიან ერად ჩამოყალიბების პროცესში.

თავი I
ქართველურ ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციისა და
კლასიფიკაციის ისტორიის საკითხები

1.1. ქართველთა ენობრივი ისტორია (ზოგადი შტრიხები)

ერის ისტორიის ძირითად კალაპოტს დედაენის ისტორია ქმნის: ენის ისტორია არსებითად ასახავს ერის ისტორიას. თანამედროვე ქართველი ერის კონსოლიდაციის საწყის ეტაპად მიიჩნევა კოლხასა და დიაოხის არსებობის დრო. ბერძნული წყაროებიდან ცნობილია, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს ქართველური ტომები მოიცავდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთს (სოჭიდან სინოპამდე), მტკვრის ხეობის დიდ ნაწილს და ჭოროხის ხეობას მთლიანად; ამ პერიოდში ამავე ტერიტორიაზე არსებობს არქეოლოგიური კულტურა, რომელიც ცნობილია „**კოლხური კულტურის**“ სახელით.

ი. გაგოშიძისა და ჯ. აფაქიძის გამოკვლევებმა სავსებით დაადასტურა ბ. კუფტინის მოსაზრება, რომ **შიდა ქართლის** არქეოლოგიური მასალა კოლხური კულტურის ორგანული ნაწილია: „ათასწლეულიდან მოყოლებული, ტახტიძირისა და ცხინვალის რეგიონის არქეოლოგიური მასალა მხოლოდ კოლხური კულტურის „ფილტრაციით“ ვერ აიხსნება; ქართლის იბერია უშუალოდ მონაწილეა დიდი კოლხური კულტურისა“ (ი.გაგოშიძე, 1964; ი.გაგოშიძე, 1997; ი.გაგოშიძე, 2003; ჯ.აფაქიძე, 2002); შდრ., აგრეთვე: ალ. რამიშვილის დასკვნით, II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში კოლხური კულტურა ფართოდაა გავრცელებული „მთელი შიდა ქართლის ტერიტორიაზე“, ხოლო „თლის სამაროვანზე გამოვლენილი მატერიალური კულტურა ძირითადად კოლხურ-ყობანურ სამყაროსთან ჩანს დაკავშირებული“ (ალ. რამიშვილი, 1999: 130). თანამედროვე არქეოლოგები თვლიან, რომ კოლხური კულტურა და **ყობანურის** სახელით ცნობილი ჩრდილოკავკასიაში არსებული არქეოლოგიური კულტურა ერთი და იგივეა (ჯ. აფაქიძე, 2002).

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ **კოლხურ-ყობანური კულტურის** საზღვრებს ძირითადად თანხვდება უფრო გვიანდელი — **ძვ. წელთაღრიცხვის დასასრულს არსებული — ქუჯისა და ფარნავაზის ერთიანი სახელმწიფოს საზღვრები.**

ქართველ მემკვიდრეთა ცნობების მიხედვით, ქუჯისა და ფარნავაზის მიერ აღორძინებული ქართლის (resp. საქართველოს) სახელმწიფოს ძირითად მოსახლეობას ქართველები წარმოადგენდნენ, რომელთა საერთო სალაპარაკო ენა იყო ქართული. ვფიქრობთ, ფარნავაზის სახელმწიფოს ენა უშუალოდ გაგრძელებაა კოლხური კულტურის შემქმნელთა ენისა — საერთოქართველური ენისა; კერძოდ, ლოგიკური ჩანს ასეთი თვალსაზრისი:

ძვ. წ. II-I ათასწლეულებში კოლხური კულტურის საზღვრებში კონსოლიდირებული მოსახლეობის საცხოვრისი ქართველური ენობრივი სამყაროს განფენის არეალია.

არგუმენტაციისათვის პირველ რიგში საყურადღებოა ძველი ბერძნული წყაროების ჩვენება, რომელთა მიხედვითაც ძვ. წ. I ათასწლეულში კოლხური კულტურის არეალში, სადაც აღორძინდა ქუჯისა და ფარნავაზის სახელმწიფოც, აქტიურად ჩანან: **კოლხები/კოლადელები, მოსხები/მესხები, ტაოხები, ტიბარენები, სასპერიები/სპერები/იბერები, ხალიხები, ხალდეები/ქალდეები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი/ეკექედრები, ჰენიოხები, სანები, სანიგები/სანიკები** (ტერმინები: კოლხები და მესხები სხვადასხვა დროს კონკრეტულ თემებსაც მიემართებოდა და ტომთა გაერთიანებებსაც).

უცხოურ წყაროებში ამ პერიოდის ქართველურ ტომთა აღმნიშვნელ სახელებს შორის ყველაზე პოპულარულია **კოლხი**; აკ. ურუშაძის და სხვათა ვარაუდით, თავდაპირველად **ბერძნები კოლხეთში მთელ ქართველურ სამყაროს გულისხმობდნენ** (აკ. ურუშაძე, 1964: 6); აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა დროს ქართველური ტომების ამ ტერიტორიის სახელად გვიდასტურდება: **აღმოსავლეთის იბერია** (შდრ.: პირინეის ნახევარკუნძული — დასავლეთის იბერია) და **კავკასიის იბერია**. ტერმინები: **კავკასიის იბერია და აღმოსავლეთის იბერია** პირველად ჩნდება ძვ. წ. IV-II საუკუნეების ავტორებთან: მეგასტენესთან, თეოფრასტოსთან, დიონისე პერიეგეტთან... (ვ. ვაშაკიძე, 1993: 61). მაგ., პლუტარქეს ცნობით, კავკასიის მთავარი ერები ალბანელები და იბერები არიან: იბერები ბინადრობენ დასავლეთით მესხეთის (ევფრატ-ჰოროხ-მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ) მთებთან და პონტოს ზღვასთან, ალბანელები კი — აღმოსავლეთით, კასპიის ზღვასთან (ივ. ჯავახიშვილი, 1950: 18).

შდრ., აგრეთვე:

სტრაბონთან სვანები იბერიულ ტომდაა მოხსენიებული, ხოლო ვატიკანში დაცული „საეკლესიო ანალების“ მიხედვით, **კოლხეთი ზემო იბერიაა: „იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდან იწოდება**, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს (98-117) დროს მქადაგებელი პაპი წმ. კლემენტის (პაპობის წლები — 88-97) შემწეობით მიიღო... რაც შეეხება ქვემო იბერებს, რომლებიც კავკასიის მთებთან, კასპიის ზღვის ახლოს ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონსტანტინეს დროს მიიღეს“ (ი. ტაბალუა, 1984:171).

საყურადღებოა ქართული წყაროების ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც **ეგრისი** მუდამ ქართლის შემადგენლობაშია, ხოლო ქუჯისა და ფარნავაზის საზოგადოებებს შორის თვისობრივი ეთნოკულტურული სხვაობა არ ჩანს: ქუჯ-ფარნავაზის დროს საქართველოს/ქართლის სახელმწიფოს აღორძინება, **ხანგრძლივი ნებაყოფლობითი გაერთიანება ვერ მოხდებოდა, ქართველურ თემებს შორის არსებითი ენობრივი და კულტურული სხვაობა რომ ყოფილიყო;** **შდრ.:** „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, არაბების შემოსვლამდე **ეგრისი მუდამ ქართლის შემადგენლობაშია**, მეტიც, ტრადიციის მიხედვით, შიდა ეგრისი ქართლის/საქართველოს მეფის კუთვნილი მიწა-წყალია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ უცხოურ

წყაროებში შემონახული სახელი „კოლხი“ **ქართველის** ფარდად დავსახოთ (შდრ., მაგ., ინგლისურში დღეს ქართველს აღნიშნავს „გეორგიან“).

ფიქრობთ, სწორედ კოლხური კულტურის მფლობელი ხალხის — კოლხების (ძველი ქართველების/ სალაპარაკო ენის (კონინეს?) — **საერთოქართველური ენის** — ფონემატურ სტრუქტურას დაეფუძნა ასომთავრული ანბანი.

კოლხური კულტურის გავრცელების არეალის შესაბამისად, საერთოქართველური ენის გავრცელების ველი სქემატურ რუკაზე ასე გამოიყურება:



კოლხურ კულტურასთან დაკავშირების გარეშე საერთოქართველური ენის არსებობის დროის შესახებ ლოგიკური ვარაუდები გამოთქვეს არნ. ჩიქობავამ, კ. ბერგსლანმა და ჰ. ფოგტი:

კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი: ჰიპოთეტური საერთოქართველური ენა „ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულში უნდა მოვათავსოთ“ (კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, 1972: 255);

არნ. ჩიქობავა: „იბერიულ-კავკასიური ენები მონათესავე ენებია, მათ წარმოშობა აერთიანებს. ეს ძველისძველ ვითარებას გულისხმობს; სავარაუდოდ, **სამი ათასი წლის წინანდელს** (შესაბამისად, საერთოქართველური ნავარაუდევია ძვ.წ. I ათასწლეულში), და, ალბათ, ძველ ადგილ-სამყოფელს, კავკასიის სამხრეთით მდებარე მიწა-წყალს. ამ ენათა განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა; არაერთს სხვა ენას გადაჰყრიან; საუკუნეთა მანძილზე არაერთი დიალექტი თუ ენა წარმოქმნილა თუ გამქრალა/გათქვეფილა სხვა ენაში. ამიტომ გასაკვირი ის კი არ არის, რომ იბერიულ-კავკასიურ ენებს „გასაოცარი ნაირგვარობა“ ახასიათებს, არამედ ის, რომ ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსში (ასევე, ლექსიკაშიც) ნიშანდობლივი საერთო თვისებები შერჩენიათ“ (არნ. ჩიქობავა, 1979: 253)...

საერთოქართველური ენის არსებობის დროზე გარკვეული ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს ქართველურ კილოებში არსებულმა იმ სიტყვებმა, რომელთა საერთოქართველური არქეტიპი ნასესხებია და შესაძლებელია სესხების დათარიღებაც; მაგალითად, ფიქრობთ, **საერთოქართველური**ში-

ვე არსებული, სპარსულთან ზიარი ზოგი სიტყვაფორმა ძვ. წ. VI საუკუნეს ვერ გაშორდება (შესაბამისად, უფრო ადრე გამოირიცხება საკუთრივ ზანურ-სვანური ენობრივი ერთეულების არსებობა); ასეთი ჩანს: **ზარი, კუართი, ტყე, ძეწკვი, წით-ს/წით-ელი...** დიდი ალბათობით, წარმოდგენილი ფორმები სპარსული წარმომავლობისაა ან სპარსულის გზითაა შემოსული (სათანადო მსჯელობისათვის იხ. მ. ანდრონიკაშვილი, 1966)²⁹.

მეცნიერთა მიერ აღდგენილი (რეკონსტრუირებული) **საერთოქართველური ენა ძირითადად ემთხვევა უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების ენას**, ვიდრე, მაგ., ჩვენთვის ცნობილ ზეპირ მეტყველებებს: ქართლურს, მესხურს, ტაურს, სვანურსა თუ ეგრისის გვიანდელ მეტყველებას — მეგრულს. ამ თვალსაზრისს ადასტურებს ქართველური სამყაროდან ბერძნულში ნასესხებ სიტყვათა ჩვენება; კერძოდ: საუკუნეების მანძილზე ბერძნულში შესული ქართველური ტოპონიმები და ეთნონიმები, როგორც წესი, საერთოქართველური (resp. ქართული სამწიგნობრო ენის) ფონემატური სტრუქტურის მიხედვითაა წარმოდგენილი; მაგ: ჰესიოდეს მიერ VIII საუკუნეში დადასტურებულია **ფათისი** (შდრ., ფოთი); III-I საუკუნეებში გვაქვს: **კუტაიისი, სარაპანისი** (შდრ., შორაპანი), **ეკრე(ა)ტიკეს (ეგრი-სის) მიწა, აბაჯკო (აფხაზეთი), აფშილეთი, სუანი...** (განსხვავებული მსჯელობისათვის იხ. რ. გორდეზიანი, 1993: 39, 48, 55, 61, 63). ჩანს,

²⁹ შდრ.: თ. გამყრელიძის, ვ. ივანოვის, მ. ქურდიანისა და სხვათა აზრით, საერთოქართველურისაგან სვანურის გამოყოფა ივარაუდება III ათასწლეულის დასაწყისში, ზანურისა კი — ძვ. წ. II ათასწლეულში. შესაბამისად, მათი აზრით, საერთოქართველური ენის არსებობის სავარაუდო დროა ძვ. წ. V-IV ათასწლეულები. ამგვარი მოსაზრება ძირითადად ეყრდნობა ენათა დათარიღების ე.წ. გლოტოქრონოლოგიური მეთოდით (ლექსიკური ერთეულების ცვლილების მიხედვით ენის ასაკის განსაზღვრა) მიღებულ შედეგებს (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984: 909; თ. გამყრელიძე, 1998: 3; იხ., აგრეთვე, ზ. სარჯველაძე, 2000: 27... გლოტოქრონოლოგიის მეთოდი მეტისმეტად ნაკულოვანია; ეს მეთოდი ვერ ითვალისწინებს სამეტყველო კოდების შერევით გამოწვეული ცვლილებების ხარისხს, შესაბამისად, კვლევის თანამედროვე დონეზე მას ვერ დავყრდნობით. გლოტოქრონოლოგიური მეთოდის კრიტიკისათვის იხ.: კ. ბერგსლანდი, ჰ. ფოგტი, 1972; დ. კრისტალი, 1989: 331; ტ. ფუტკარაძე, 2000: 327; თ. გვანცელაძე, 2004 და სხვ. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ძვ. წ. III ათასწლეულში ნავარაუდები მსოფლიოს ყველა ენა უკვე მკვდარია; თუკი, მაგ., **შუმერების დროს სვანურის არსებობას დაუშვებთ**, გამოდის, რომ მსოფლიოში არსებულ ენათაგან 5000 წლის მანძილზე მხოლოდ უმწერლობო სვანური ინარჩუნებს თავისთავადობას; ასეთი დაშვება არასერიოზულია... ერთ-ერთ გამოკვლევაში თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიერ არგუმენტად მოხმობილია ძვ. წ. II ათასწლეულში დადასტურებული მიკენური **კოას/კოვო „ტყავი“** სიტყვა, რომელიც, მათი აზრით, მომდინარეობს უკვე ძვ. წ. II ათასწლეულში თითქოსდა არსებული „ზანური ენის“ ***ტყოვ-** ფუძისგან (რომლის ამოსავალ ვარიანტად ივარაუდება საერთოქართველური ***ტყავ-** ფუძე; თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, 1984: 908-90). წარმოდგენილი არგუმენტიც არ არის სარწმუნო, რამდენადაც მეგრულ-ლაზურში არ არსებობს და არცაა სავარაუდო **ტყოვ-** ფუძე: როგორც წესი, საერთოქართველური ***ტყავ-** ტიპის ფუძეებში ბაგისმიერი **ვ-**ს არსებობის გამო ზანურ კილოებში გვაძლევს **ე** ხმოვანს, შესაბამისად, ლაზურ-მეგრულში მოსალოდნელია და არის კიდევ: **ტყებ-** ფუძე (ტყები „ტყავი“); შდრ.: *ძარღვ- > ჯერღვ-, *არჩვ- > ერცქემ- და სხვ.

ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულს ბერძნებისთვის ცნობილი იყო სწორედ საერთოქართველური თუ სამწიგნობრო ქართულისეული: **ფათ-**, **ქუთაის-**, **სარაპანის-** და **სუან-** ფორმები, რაც გვავარაუდებინებს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის მანძილზეც, წელთაღრიცხვათა მიჯნაზეც და შემდეგაც ბერძნებს ურთიერთობა ჰქონდათ საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის ანალოგიური **ენის** მქონე ქართველობასთან. არსებობს ე.წ. თარიღიანი ტოპონიმიც: **ქუთაისი**.

არქეოლოგიური მონაცემები ცხადყოფს, **ისტორიულ ეგრისში** არსებული ეს ქალაქი დაარსებულია ძვ.წ. I ათასწლეულის შუა პერიოდში; ყოველ შემთხვევაში, ამავე პერიოდში ბერძნულ წყაროებში დაფიქსირებული სახელწოდება ზუსტად ემთხვევა საერთოქართველურ/ქართულ ვარიანტს — **ქუთათისი/ქუთაისი** და არა მეგრულ კილოურ ვარიანტს — **ქუთეში**; ძვ.წ. I ათასწლეულში რომ ყოფილიყო ჩამოყალიბებული მეგრული მეტყველება, ბერძნულში **ქუთაისის** სახელად დამკვიდრდებოდა **ქუთეში**.

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ **საერთოქართველურ ენაში**, რომელიც უნდა არსებულიყო ძვ.წ. XV საუკუნიდან³⁰, დაახლოებით ისეთივე ფონემატურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ-სემანტიკური მახასიათებლები აღდგება, როგორიც გვქონდა არქაულ ქართულ სამწიგნობრო ენაში.

საერთოქართველური ენის ბაზაზე ქუჯ-ფარნავაზის ეპოქაში შექმნილი **ქართველთა სამწიგნობრო ენა** ქართველთა მიერ აღორძინებული სახელმწიფოს მთავარ მაკონსოლიდირებელ ფაქტორად იქცა³¹. მდრ.: მემატიანე ამ პროცესს „**ენის გავრცობას**“ უწოდებს:

„და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაერცო ენა ქართული, და არ-ლა-რა იზრანებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუნიერ ქართულისა. და ამან (ფარნავაზმა) შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

საინტერესოა ისიც, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ საერთოდ არ არის საუბარი არც ცალკეულ ქართველურ ტომთა ენებსა თუ დიალექტებზე და არც ჩრდილოკავკასიურ ენობრივ ერთეულებზე. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ მემატიანისთვის ენის სტატუსი აქვს მხოლოდ იმ მეტყველებას, რომელიც **ზოგადტომობრივი თუ ეროვნული ენაა**; კერძოდ, თარგამოსის კავკასიური მოდემისთვის ასეთი იყო ჯერ სომხური (ურარტული), შემდეგ კი — ქართული (ფარნავაზიდან მოყოლებული მემატიანის დრომდე)³².

³⁰ უფრო ადრე, V-III ათასწლეულებში შეიძლება არსებულიყო საერთო იბერიულ-კავკასიური ენა.

³¹ ქრისტეს შემდეგ პერიოდში ძველი ქართველური კილოებისა და მათ შორის არსებული გარდამავალი მეტყველებების საფუძველზე ყალიბდება თანამედროვე ქართველური კილოები. საქართველოს განაპირა კუთხეებში დიალექტების სახეს განსაზღვრავს მეზობელ ეთნოსთა ენების ადსტრატული თუ სუპერსტრატული გავლენებიც.

³² მითრიდატეების პონტო და კაბადოკია ძირითადად ძველი ქართველური ტომებით დასახლებული ქვეყნები იყო, მაგრამ ქართველურ სახელმწიფოდ იმიტომ ვერ დაიმკვიდრეს თა-

იმავე მემატიანის აზრით, ფარნავაზამდელ ქართლში ქართულთან ერთად თანაარსებობდა შემდეგი ენები: „**სომხური /ანუ ურარტული ენა/, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა**“³³.

საქართველოში პირველი საუკუნიდან ვრცელდება ქრისტიანობა, რომელიც სახელმწიფო რელიგიად ცხადდება 328 წელს. **ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მალევე არქაული სამწიგნობრო ენის ანბანს — ასომთავრულ ანუ მრგვლოვან ანბანს — ორი ვარიანტი უვითარდება: ნუსხა-ხუცური და მხედრული**³⁴. ასომთავრული/მრგვლოვანი დღემდე დარჩა ელიტარულ ანბანად; მრგვლოვანის სახესხვაობა — ნუსხა-ხუცური ჩამოყალიბდა საეკლესიო მწერლობის ენაში ინტენსიური მოხმარებისათვის; ნუსხურის ბაზაზე განვითარებული მხედრული კი დამკვიდრდა საერო მწერლობისთვის:

ვი, რომ იქ სახელმწიფო ენა და დამწერლობა არ იყო ქართული; შდრ., საქართველოში პონტო-კაბადოკიიდან არიან მოსულნი აზოც, წმინდა ნინოც და კაბადოკიელი წმინდა მამებიც; მათ აქ ეგულებოდათ თავიანთი ნათესავეების ძირითადი საცხოვრისი. საქართველოში წმინდა გიორგის გამორჩეული თაყვანისცემა ეთნიკური ფესვებითაც შეიძლება იყოს მოტივირებული.

³³ ქართველი მემატიანის „სომხური ენა“ ქართველურის მონათესავე ურარტულელთა ენას გულისხმობს (მსჯელობისათვის იხ., აგრეთვე: რ. გორდენიანი, 1993: 47; ა. ჯაფარიძე, 1994: 72; ჯ. კაშია, 1999; რ. აბაშია, 1999); შდრ.: ინდოევროპული ენის მქონე არმენები კავკასიაში გვიან, ურარტუს დაცემის შემდეგ, მოდიან. ლოგიკური ჩანს სპეციალისტთა დასკვნაც, რომ **ჰაიკი/ჰაოსი** კავკასიაში მოსახლე (ავტოქთონი) ურარტულ-ხურიტული მოდემის ხალხის ეთნარქია, ხოლო **არმენიაკი** — მოსული ინდოევროპელებისა (მ. სანაძე, 2001: 42-43). ლოგიკურია დაშვება: ამჟამინდელი სომხები წარმოქმნილი არიან ავტოქთონი **ურარტულელებისა და მოსული არმენების** შერწყმით; მოხდა ენათა შერევა: დომინანტ ენად იქცა მოსული არმენების ენა; მხოლოდ ენათა შერევით შეიძლება აიხსნას ინდოევროპული წარმოშობის არმენულ (ამჟამინდელ სომხურ) ენაში იბერიულ-კავკასიური ენის მძლავრი ფენის არსებობა და **ქართველების მიერ არმენებისთვის „სომხების“ წოდება**; შდრ.: მოსულ ხალხს სხვა შემთხვევებშიც შერჩა დამხედური (და ასიმილირებული) საზოგადოების სახელი: ხათები > ხეთები; აფხაზები > აფსუები.

³⁴ შდრ.: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორგვარი ქართული ანბანი არსებობს: ხუცური და მხედრული; თავის მხრივ, ხუცურიც ორგვარია: ასომთავრული და ნუსხური (კ. კეკელიძე, 1980: 34.. ანბანის ვარიანტების ამგვარი სახელდება გამართლებული იქნება, თუკი დაფუძნებთ, რომ ქართული ანბანი შექმნილია ქრისტიანობის შემდეგ.

ქართული ანბანი ქართული ანბანი ქართული ანბანი

მრგვლოვანი	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
ნუსხური	ⴌ	ⴍ	ⴎ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ	ⴓ	ⴔ	ⴕ
მხედრული	ⴁ	ⴂ	ⴃ	ⴄ	ⴅ	ⴆ	ⴇ	ⴈ	ⴉ	ⴊ
რიცხვი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მრგვლოვანი	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ძ	წ
ნუსხური	ⴌ	ⴍ	ⴎ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ	ⴓ	ⴔ	ⴕ
მხედრული	ⴁ	ⴂ	ⴃ	ⴄ	ⴅ	ⴆ	ⴇ	ⴈ	ⴉ	ⴊ
რიცხვი	20	30	40	50	60	70	80	90	100	200
მრგვლოვანი	ღ	ყ	ღ	ყ	ღ	ყ	ღ	ყ	ღ	ყ
ნუსხური	ⴌ	ⴍ	ⴎ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ	ⴓ	ⴔ	ⴕ
მხედრული	ⴁ	ⴂ	ⴃ	ⴄ	ⴅ	ⴆ	ⴇ	ⴈ	ⴉ	ⴊ
რიცხვი	300	400	---	500	600	700	800	900	1000	
მრგვლოვანი	გ	ძ	წ	ჭ	ღ	ყ	ღ	ყ	ღ	ყ
ნუსხური	ⴌ	ⴍ	ⴎ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ	ⴓ	ⴔ	ⴕ
მხედრული	ⴁ	ⴂ	ⴃ	ⴄ	ⴅ	ⴆ	ⴇ	ⴈ	ⴉ	ⴊ
რიცხვი	2000	3000	4000	5000	6000	7000	8000	9000	10000	

ნუსხა-ხუცური და მხედრული ვარიანტების გაჩენა არ არის შემთხვევითი: ჩვენმა წინაპრებმა ამ გზით განასხვავეს სასულიერო და საერო მწიგნობრობა, როგორც ორი სხვადასხვა სტილი³⁵.

ასომთავრულითაა შესრულებული უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები: ნეკრესის, პალესტინის, ბოლნისის, დავათის ქვაჯვრისა და სხვა წარწერები; ასევე ხანმეტი და ჰამეტი ტექსტები.

ასომთავრულის გვიანდელი ვარიანტია ნუსხური, რომელიც მკვიდრდება IX საუკუნიდან და საეკლესიო ველში გაბატონებული ხდება X-XI საუკუნეებიდან. ნუსხური წერის პირველი ნიმუში და-

³⁵ შდრ.: შუა საუკუნეების კულტურულ საზოგადოებაში საერო და სასულიერო მწერლობა ენობრივად განირჩეოდა: საეკლესიო ენისთვის გამოიყენებოდა სალიტერატურო ენის არქაული (ან უფრო პრესტიჟული) ვარიანტი, რომელიც საგრძნობლად განსხვავდებოდა საერო მწერლობაში გამოყენებული სტილისგან; ქართულ სინამდვილეში არა მხოლოდ ენობრივად, არამედ ანბანის გამოყენებითაც სხვაობდა საეკლესიო და საერო მწერლობა: საეკლესიო ენისთვის გამოიყენებოდა ნუსხა-ხუცური, საერო მწერლობისთვის კი – მხედრული.

დასტურებულია „სინურ მრავალთავში“ (864 წ.), ეპიგრაფიკულ ძეგლებზე კი — ატენის სიონის წარწერაში (835 წ.).




ნუსხურში ასოები მცირე ზომისაა და თანაც კუთხოვანი, ამიტომ ამ სახეობას კუთხურსაც უწოდებენ. გარდა ამისა, ნუსხური იწერებოდა გაკრული ხელით. ანბანის ამ სახეობას სწორედ ამის მიხედვით დაერქვა **ნუსხური** (ტერმინი ნაწარმოებია სიტყვისაგან **ნუსხა**, რაც ძველად ნიშნავდა „დედანს“). საეკლესიო წიგნების წერისას ნუსხური უფრო პრაქტიკულია, ვინაიდან ნაკლები საწერი მასალა და დრო ესაჭიროება.

შდრ.: ტერმინი **ასომთავრული** გვხვდება X საუკუნიდან; ეს აიხსნება იმით, რომ ამ დროიდან საეკლესიო ტექსტში მრგვლოვანი გამოიყენებოდა აბზაცების საწყის ასოებად, ნუსხური — ძირითად ტექსტში.

ქართული ანბანის მხედრული ვარიანტის უძველეს ნიმუშად ითვლება ატენის სიონის ერთი წარწერა, რომელიც თარიღდება X საუკუნიტ (982-986).

XII საუკუნიდან თანაარსებობს ქართული დამწერლობის სამივე სახეობა; ასომთავრულსა და ნუსხურს ძირითადად სასულიერო ხასიათის თხზულებებში იყენებდნენ, მხედრულს კი — უპირატესად საერო მწერლობის ნიმუშებში.

დღესაც იშვიათად გამოიყენება მრგვლოვანი: ეკლესიაში უმთავრესად ისევ ნუსხურად დაწერილ ტექსტს კითხულობენ, ხოლო საერო ველში, ძირითადად, მხედრული ანბანია დამკვიდრებული.



ქრისტიანული ლიტერატურა თავიდანვე **ქართულ არქაულ სამწიგნობრო ენაზე** — ე.წ. **ხანმეტ სტილურ ვარიანტზე** ითარგმნებოდა. მოგვიანებით, IX საუკუნიდან, საბოლოოდ მკვიდრდება სამწიგნობრო ენის ის ვარიანტი, რომელიც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს საეკლესიო და საერო სტილების სახით. აქვე აღვნიშნავთ, რომ საეკლესიო ქართული ენა სამწიგნობრო ქართული ენის არქაული სახესხვაობაა და მხოლოდ საეკლესიო სივრცეში გამოიყენება. საერო ველში — მხატვრულ ლიტერატურაში, მასმედიაში, მეცნიერებასა და სახელმწიფო კანცელარიაში — გამოიყენებული სტილი უფრო ახლოსაა ხალხურ მეტყველებასთან.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სამწიგნობრო ენის სახესხვაობები — საეკლესიოცა და საეროც — არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისგან: წარმოადგენენ საერთოქართველურ ენობრივი მოდელის ვარიანტებს. საერთოქართველური ენობრივი სისტემის შემკვიდრებას წარმოადგენენ, ასევე, ქართველური ზეპირი მეტყველებები — დიალექტები: ლაზური, მეგრული, გურული, აჭარული, ქართლური, კახური, იმერხეული, ლივანური, მაჭახლური, ტაოური, სამცხური, ჯავახური, ინგილოური, ფერეიდნული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული, თუშური, ფშავური, ხევსურული, მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური და სვანური კილოები.

ქართული სამწიგნობრო ენა შექმნის პერიოდიდან დღემდე უწყვეტად ფუნქციონირებს, რის გამოც ის არსებითად არ შეცვლილა (განსხვავებით ბერძნული, სპარსული თუ სომხური ენებისგან). მიუხედავად ამისა, ზოგი მეცნიერი თვლის, რომ არსებობს სამი სალიტერატურო ქართული ენა: ძველი ქართული ენა, საშუალო ქართული ენა, ახალი ქართული ენა (ნ. მარი, აკ. შანიძე, ი. კორიაკოვი, გ. გოგოლაშვილი...); კერძოდ:

ქართველთა სამი სხვადასხვა სამწიგნობრო ენის — ძველი ლიტერატურული ენის, საშუალო საუკუნეების ლიტერატურის ენისა და ახალი ქართული ენის — შესახებ მსჯელობა პირველად წარმოადგენილია ნ. მარის ნაშრომში (ნ. მარი, 1922: 5). აკ. შანიძემ და მეცნიერთა ერთმა ნაწილმა უკრიტიკოდ მიიღო ამგვარი შეფასება. არნ. ჩიქობავამ აჩვენა, რომ საშუა-

ლი ქართული არის „ძველი“ და „ახალი“ ნორმების შერევა, შესაბამისად, მან განავითარა მოსაზრება, რომ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ძველი და ახალი ქართული ენა. ბ. ჯორბენაძის აზრით, ქართული სამწიგნობრო ენის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს ხუთი ან ექვსი ეტაპი (საკითხის მიმოხილვისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, 1993).

ჩვენი აზრით, **გაუმართლებელია სამწიგნობრო ქართულის წარმოდგენა ე. წ. ძველ, საშუალო და ახალ ქართულ ენებად (ან ძველ და ახალ ენებად) ბერძნულისა და სხვა ენათა მსგავსად** (ძველი ქართული ენისა და ახალი ქართული ენის არსებობის დაუსაბუთებლობის შესახებ იხ.: რ. თვარაძე, 1985: 19; ზ. გამსახურდია, 1991: 534; ტ. ფუტკარაძე, 1993; ტ. ფუტკარაძე, 1998; ც. ბენდელიანი, 2003...).

ძველი და ახალი ბერძნული მართლაც არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან; შდრ., ქართველურ სინამდვილეში ძველი და ახალი ქართული ენობრივი ქვესისტემები ერთმანეთისაგან თვისობრივად არ განსხვავდება: „განსხვავებულ დროთა ჭრილებსა და ჰორიზონტალურ განშტოებებში ქართული ენა სტრუქტურულ სახეს არსებითად ყველა დონეზე ინარჩუნებს“³⁶; გარდა ამისა, საუკუნეების მანძილზე ლექსიკური ფონდის გასაოცარი სიმყარის გამო არც გაგებინება გამხდარა პრობლემა.

სამწიგნობრო ქართულის ამგვარი სტაბილურობა განსაზღვრა უნიკალურმა სიტუაციამ: **იგი 15 საუკუნის მანძილზე უწყვეტად არის ქართველთა სახელმწიფო ენაც, საეკლესიო ენაც და სამწერლობო ენაც.** უფრო ლოგიკურია ვილაპარაკოთ ქართული სამწიგნობრო ენის სტილურ ვარიანტებზე; კერძოდ, საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ ფუნქციონირებდა და დღესაც არსებობს ერთი სამწიგნობრო ენის საეკლესიო, სალიტერატურო, საკანცელარიო, სამეცნიერო სტილები და ხალხური მეტყველების ნაირსახეობანი³⁷.

არსებითია ისიც, რომ უძველესი პერიოდიდან დღემდე ქართული ენის განვითარებაში არ ჩანს რაიმე სახის წყვეტილობა; სასაუბრო და სამწერლობო ენა ერთმანეთისაგან თვისობრივად არ განსხვავდება, ამდენად, პერიოდები და ეტაპები უნდა გამოიყოს არა ქართული სალიტერატურო ენის „საფეხურებრივი“ განვითარების, არამედ ქართული ენის სხვადასხვა მიკროსისტემის ფუნქციონირების მიხედვით; კერძოდ: ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში არ გამოიყოფა ორი, სამი, ხუთი ან მეტი ეტაპი; V საუკუნიდან IX საუკუნემდე აქტიურად გამოიყენებოდა მხოლოდ სასულიერო მწერლობის ენა (*resp.* სტილი) და ხალხური კილოკავები; XI-XIX საუკუნეებში გვერდიგვერდ ფუნქციონირებდა სასულიერო მწერლობის „სტილი“, საერო მწერლობის „სტილი“, სამეცნიერო მწერლო-

³⁶ თ.უთურგაძე, 2002: 19; შდრ., თ.უთურგაძე, 1966: 12.

³⁷ შდრ., გ. გოგოლაშვილი (2004: 32-37) ცდილობს დაასაბუთოს, რომ არსებობს სამი საერთო-სახალხო ქართული ენა (ძველი, საშუალო და ახალი) და ორი ქართული სალიტერატურო ენა (ძველი და ახალი). ავტორის მსჯელობა ასეთია: „ძველი ქართული ენა და ახალი ქართული ენა ჩვენს წარმოდგენაში სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულებია“ (იქვე: 35); „არ არსებობს ერთიანი საშუალო ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ არსებობს საშუალო ქართული ენა, როგორც ენობრივი რეალობა თავისი მრავალგვარი ნაირსახეობით“ (იქვე: 37). ჩვენი აზრით, ქართული სამწიგნობრო ენის სტილური ვარიანტები არ წარმოადგენენ სხვადასხვა სალიტერატურო ენას.

ბის „სტილი“ და აგრეთვე, ქართული ენის მრავალრიცხოვანი ხალხური მიკროვარიანტები კონკრეტული კილოკავების სახით.

სამწიგნობრო ენის სტილური სახესხვაობანი ერთმანეთს არც დრო-ში ენაცვლებიან:

XI საუკუნეში არ წყდება ე.წ. `ძველი ქართული“; ამავე სტილით იწე-რება საეკლესიო ხასიათის შრომები XII-XVIII საუკუნეებშიც და XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც კი; გარდა ამისა, ქართული მართლმადიდებ-ელი ეკლესიის ღვთისმსახურება ამჟამადაც ამ ენით მიმდინარეობს; ე.ი. ქართული სამწიგნობრო ენის საეკლესიო და საერო-სამეცნიერო სტილები დღესაც თანაარსებობენ საეკლესიო და საერო ველების მიხედვით; ეს სტი-ლური ვარიანტები არ არიან სხვადასხვა დროის ენობრივი დონეები. გარდა ამისა, თავისი ფუნქციონირების ყველა პერიოდში ქართული საერთო-ეროვნული ენა წარმოდგენილია თავისი „მრავალგვარი ნაირსახეობით“. შესაბამისად, ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ ქართული საერთო-სახალხო ეროვნული ენის ვარიანტების **ფუნქციონირების პერიოდებზე** (და არა რამდენიმე ქართული სამწიგნობრო ენის არსებობაზე), მაგ., ფაქტობრივი მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, არსებობდა:

დამწერლობამდელი პერიოდი — ფუნქციონირებდა ზოგადქართული ენობრივი კოინე, ალბათ, როგორც სახელმწიფო ენაც; ქართული ენის საკულტო სახესხვაობები და ქართველური კილოები;

V-X საუკუნეები: ქართული ენა ფუნქციონირებს, როგორც საეკლესიო ენა და სახელმწიფო ენა; პარალელურად არსებობს ქართველთა ზე-პირი მეტყველების ხალხური ნაირსახეობები;

X-XXI საუკუნეები: გვერდიგვერდ არსებობს სამწერლობო ენის ნორმირე-ბული საეკლესიო, სალიტერატურო (საერო-საკანცელარიო), სამეცნიერო სახესხვაობები, ტერიტორიული და სოციალური დიალექტები, ჟარგონე-ბი და ა.შ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 60-იანელთა აქტიური ძალისხმევით ქართული სამწერლობო ენის სამი ვარიანტის (**resp.** სტილის) ნაცვლად მკვიდრდება ერთი — ხალხურ მეტყველებაზე ორიენტირებული ქვესისტემა, თუმცა მას არ შეუცვლია საეკლესიო ენა.

ქართული სამწიგნობრო ენა ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც, სულ მცირე, 15 საუკუნის მანძილზე უწყვეტად ფუნქციონირებს როგორც საეკლესიო ენა, სალიტერატურო ენა და სახელმწიფო ენა; ქართული ენა მრავალი საუკუნეა განსაზღვრავს **ქართველთა ეროვნულ მეობას**. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს ისტორიაში ცნობილია ერთიანი სახელმწიფოს იდეის აღორძინების ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი და ორსავე შემთხვევაში აღორძინება დაიწყო ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ან როგორც ღვთისმსახურების ენის, როლის წინ წამოწევით; კონკრეტულად:

ქუჯ-ფარნავაზის მოღვაწეობის პერიოდი ასე შეფასდა: „არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თჳნიერ ქართულისა“...

გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში კი ითქვა: **„ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა**

უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

კავკასიაში მეფის რუსეთის გავლენის გაძლიერების შემდეგ ცარიზმის მოხელეები შეეცადნენ, ქართველთა ნაწილისთვის გაეუცხოებინათ წინაპართა მიერ შექმნილი წერილობითი კულტურა და **საშინაო კილოები უმწერლობო ენებად გამოუცხადეს**, რითაც მათ ქართველურ ენობრივ ერთეულთა სტატუსის თითქოსდა უწყინარი თემის მძაფრი პოლიტიზება მოახდინეს. **მათი მიზანი იყო, „ენობრივად“ „სხვადასხვა“ ქართველობა ცალკეულ ეთნოსებად წარმოედგინათ, ქართული ენა გაედევნათ სამეგრელოდან, სვანეთიდან, ზოგადად, საქართველოს ეკლესიიდან** თუ საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებიდან. საამისოდ ქმნიდნენ საგანგებო პირობებს: რუსულ ენას ამკვიდრებდნენ ენის ფუნქციონირების ყველა სფეროში (მმართველობაში, ეკლესიაში, სასამართლოში...); დიალექტებისთვის შექმნილი სახელდახელო ანბანით ქართველურ კილოებზე თარგმნიდნენ წმინდა წერილს, კილოების მიხედვით წერდნენ „დედაენებს“ (სახელმძღვანელოებს; იხ. მაგ.: „ლუმნუ ანბანი“, „მეგრული ანბანი“, „ნენაში ნინა“ და სხვ.)... ამგვარად დაცალკევებული ქართველი ერის ისტორიული მიწა-წყლის საბოლოო დაპყრობა უფრო იოლი იქნებოდა რუსული იმპერიისათვის.

დიდი ილიას მეთაურობით საქართველოში საპასუხო ანტიიმპერიული მოძრაობა დაიწყო: ქართველმა საეკლესიო და საერო მოღვაწეებმა ქართული ენა ეროვნების ბურჯად გამოაცხადეს და „დაუშრეტელი ზრუნვის საგნად აქციეს“ (ბ. ჯორბენაძე, 1987: 17). განსაკუთრებით აღსანიშნავია **„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“** წევრთა და სხვა სასულიერო თუ საერო პირთა ღვაწლი (მათი ნაწილი — წმინდა ილია მართალი, წმინდა მღვდელმოწამე კირიონი... საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა).

ქართული ენის ისტორიული გზისა და პერსპექტივის შესახებ საინტერესოა ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისი:

„ჩვენი ენის სათავეა ძველი კლასიკური ქართული ლიტერატურული ენა... მწერალი უნდა იბრძოდეს საერთოეროვნული ენის ინტერესებისთვის, რომელიც აერთიანებს ენობრივ განშტოებებს, დიალექტების სახელით რომ ვიცნობთ... ახალი ქართული მწერლობის ვალია, საერთოეროვნულ ენაში დაამკვიდროს ჩვენი ენის არქაული ფორმები, თანამედროვე ქართველების დიალექტებში არსებული გაურყვნელი ფორმები“.

ქართული ენის „განშტოებების“ დამოუკიდებელ უმწერლებო ენებად გამოცხადება, შესაბამისად, **ქართველთა ენობრივი დანაწევრების მცდელობა** გააქტიურდა XX საუკუნის დასაწყისში და პიკს მიაღწია საბჭოთა იმპერიაში (ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების საფუძვლად აღებულ იქნა ნიკო მარისა და მისი ზოგი მოწაფეების ნაწერები; იხ. ქვემოთ) — ი. სტალინის ეპოქაში; კერძოდ, ი. სტალინის იდეოლოგიური ხასიათის წიგნში **„მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“** (თბ., 1951) ვკითხულობთ:

„კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?“ (გვ. 138-139)... „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩვენია — ავტ.) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (გვ. 142).

XX საუკუნის 40-იან წლებში ქართველთა დასახელებული კილოებისათვის ახალი „სალიტერატურო ენების“ შექმნის პროცესი შეჩერდა, მაგრამ XX საუკუნის 80-90-იან წლების მიჯნაზე, როცა რეალური გახდა საბჭოთა იმპერიის ნგრევა, კვლავ გააქტიურდა მეგრელებისა და ლაზებისათვის ახალი „დედაენებისა“ და „ანბანების“ შექმნის საკითხი. ამ პერიოდში შეიქმნა „ლაზური დედაენა“ (შეადგინეს მ. ქურდიანმა და წ. ბაწაშმა) და „მეგრული დედაენა“ — ნანაში ნინა (ავტორი გიორგი სიჭინავა) და სხვ.

პარალელურად, XX-XXI საუკუნეებშიც ბევრმა ქართველმა არგუმენტირებულად უკუაგდო ქართველთა დამაქუცმაცებელი ენობრივი „თეორია“. დავასახელებთ ბოლო ორი საუკუნის სასულიერო და საზოგადო მოღვაწეთა ერთ ნაწილს: წმინდა ამბროსი ხელაია, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე ჭარაია, მოსე ჯანაშვილი, პეტრე მირიანაშვილი, წმინდა ალექსი შუშანია, ლუარსაბ ლოლუა, სოსიკო მერკვილაძე, ვალერიან გუნია, პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, სილოვან ხუნდაძე, ივანე ჯავახიშვილი, თედო სახოკია, თედო ყორღანია, პავლე ინგოროყვა, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად გამსახურდია, ოთარ გიგინეიშვილი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ნოდარ ჯალაღონია, ზურაბ თორია, ნომადი ბართაია და სხვ.

საუკუნეთა განმავლობაში გარეშე მტრების მიერ ქართველთა განაპირა მხარეებში განხორციელებული გენოციდისა და ამ ტერიტორიების ანექსიის გამო დღეს არსებითადაა შეზღუდული ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, გავრცელების არეალი; გასული საუკუნის დასასრულს რუსეთის იმპერიის სამხედრო შენაერთებმა აფხაზეთიდან და ცხინვალის მხარიდანაც გამოდევნეს ავტოქთონი ქართველები; შესაბამისად, მსოფლიოს მიერ აღიარებულ საქართველოს საზღვრებში ვერ ხორციელდება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი.

1.2. ქართველთა სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემის საკითხი და ქართველთა სამწიგნობრო ენის ქმნადობის პროცესი.

იგ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული სამწიგნობრო ენა ქართლელ-კახელ-იმერელ-გურულებისა და მეგრელ-სვანებისთვის საერთო ენაა... **წარმართობისდროინდელი საერთო შემოქმედება** (1908: 4; 1979: 154-156). როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, ჩვენი აზრით, ეს „საერთო შემოქმედება“ დაეფუძნა საერთოქართველურ ენას; შდრ., სამეცნიერო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში უფრო გავრცელებულია სხვა მოსაზრება; მაგ., გიორგი ახვლედიანის რედაქტორობით გამოქვეყნებულ „ენათმეცნიერების შესავალში“ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის მიხედვით (ავტორი გ. ნებიერიძე): „ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს ქართლ-კახური დიალექტი, მაგრამ სალიტერატურო ქართული არ ემთხვევა მთლიანად ქართლ-კახურ დიალექტს...“ (გ. ახვლედიანი, 1972: 27). იხ., აგრეთვე: ბ. ჯორბენაძე, 1989: 172-173).

ქართველთა სამწიგნობრო ენის ამოსავალ ენობრივ სისტემად ქართლურისა თუ ქართლურ-კახურის მიჩნევას ხელს უშლის ერთი არსებითი გარემოება:

არქაული ქართული წერილობითი ძეგლების ენას აქვს ბევრი ისეთი თავისებურება, რომელიც ნამდვილად არ ახასიათებს არც ქართლურ და არც კახურ დიალექტს; თუკი დავუშვებთ, რომ ქართლური/კახური სამწიგნობრო ენის დაფუძნების შემდეგ შეიცვალა, ამგვარივე დაშვება შესაძლებელია სხვა ქართველური კილოების მიმართაც.

უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა იმ ენისთვის, რომელიც არსებობდა ძვ.წ. I ათასწლეულში; ასეთი ენა საერთოქართველური ენაა, რომლის რეკონსტრუირებული ფორმები თითქმის იდენტურია ყველაზე ძველი (ე.წ. ხანმეტი) ტექსტების ენისა³⁸.

სხვადასხვა ანბანთა შეპირისპირების, ასევე, უძველესი ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტების გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე იგ. ჯავახიშვილმა ივარაუდა, რომ **ასომთავრული ანბანი წარმართული პერიოდის ძეგლია** და შექმნილია არა უგვიანეს ძვ. წ. VII საუკუნისა. ამავე აზრს ემხრობა პ. ინგოროყვაც. ცნობილი წყაროების ახლებური ანალიზისა

³⁸ არნ. ჩიქობავა წერს: „ძველი სალიტერატურო ქართული ენა შეიქმნა ისტორიული ქართლის მეტყველების საფუძველზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენა კი ქართლურის გარდა კახურსაც ემყარება“ (არნ. ჩიქობავა, 1952: 114-115). ავტორი არ აკონკრეტებს, თუ როგორი იყო „ისტორიული ქართლის მეტყველება“ (კონტექსტით ქართლური კილო იგულისხმება); რამდენადაც ისტორიული ქართლი მოიცავდა ეგრისსაც, მესხეთსაც, სვანეთსაც... და ძვ. წ. პირველ ათასწლეულში ივარაუდება საერთოქართველური ენის არსებობაც, ჩვენი აზრით, ისტორიული ქართლის მეტყველებად უნდა ვივარაუდოთ საერთოქართველური მეტყველება.

და ბოლო წლებში მიკვლეული ძეგლების შესწავლის საფუძველზე **რ.პატარიძემ** ქართული ანბანის შექმნის თარიღად ივარაუდა **ძვ. წ. 415** წელი (რ. პატარიძე, 1989). სხვადასხვა პროფილის ბევრი სხვა მკვლევარიც (აკ.ბაქრაძე, გ.ნარსიძე, მ.ჩხარტიშვილი, ზ.ალექსიძე, ლ.ჭილაშვილი...) ქართულ ანბანს წარმართული ხანის ძეგლად მიიჩნევს. შდრ., აგრეთვე, „მატიანე შემეცნებათას“ ცნობა: „**არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უამთაცა შინა ფარნავაზამდე...**“

ქართული დამწერლობის შექმნის დროისა და საბაზო ენის დადგენის პროცესში მნიშვნელოვანია ენობრივი ფაქტების ჩვენება; ამ თვალსაზრისით არსებითია ის, რომ მეცნიერთა მიერ საერთოქართველურისათვის აღდგენილი ლექსიკური ერთეულებიც, ფონემატური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური სტრუქტურებიც ძირითადად ემთხვევა არქაული სამწიგნობრო ქართული ენის მონაცემებს; კერძოდ:

ლექსიკა. ქართველური სამწიგნობრო ენისა და კილოების მონაცემთა შეპირისპირებით სამეცნიერო ლიტერატურაში რეკონსტრუირებული საერთოქართველური ლექსიკის მორფოლოგიური და სემანტიკური სტრუქტურები ძირითადად ემთხვევა არქაული სამწიგნობრო ქართულის მონაცემებს; მასალა ვრცლადაა წარმოდგენილი ნ.მარის, ა.ცაგარლის, პ.ჭარაიას, არნ.ჩიქობავას, გ.კლიმოვის, ჰ.ფენრიხის, ზ.სარჯველაძის, მ.ჩუხუას და სხვათა ლექსიკონებში, ამიტომ მრავალ ნიმუშთაგან აქ მხოლოდ რამდენიმე ტიპურ შემთხვევას წარმოვადგენთ:

საერთოქართვ. ***ასული**, სამწიგნ.ქართ. ასული, მესხ. ასული, ზან. ოსური, სვან. ასუშ;

საერთოქართვ. ***თაფლი**, სამწიგნ.ქართ. თაფლი, მესხ. თაფლი, ზან. თოფური, სვან. თუ/თუი;

საერთოქართვ. ***ყურძენი**, სამწიგნ.ქართ. ყურძენი, მესხ. ყურძენი, ზან. ყურზენი, სვან. ყუნძელ...

სამეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველურისთვის აღდგენილია სამწიგნობრო ტრადიციის ამსახველი ლექსიკაც; კერძოდ, მ.ჩუხუას აზრით (2006), საერთოქართველურში სამწიგნო ტრადიციის არსებობას მხარს უჭერს ისეთი ფუძეები, როგორცაა: **წიგნ-** „წიგნი“, **ქერტ-** „ქალაღი, ტყავის ნაჭერი“ და სხვ.

ა, უ და ვ ბგერები. საერთოქართველური ფუძეების ფონემატურ სტრუქტურაში სამი კლასი გამოიყოფა: **თანხმოვნები** (ჩქამიერები, სონორები), **სონანტები** და **ხმოვნები**. ფუძეების ხმოვანთა სისტემაში თანამედროვე ქართველურ ენა-კილოთა მიხედვით აღდგება **ა, ე, ო** ხმოვნები. **ი** და **უ** ბგერები ხან მარცვლოვანი, ხანაც უმარცვლო ალოფონებით წარმოდგებიან და, შესაბამისად, ქმნიან **სონანტთა კლასს**. **ი/ა** და **უ/ჟ/ვ** სონანტები დღესაც არსებობს თითქმის ყველა ქართველურ დიალექტში (შდრ.: თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიხედვით, თანამედროვე ქართველურ ქვესისტემებში სონანტთა კლასი გამოირიცხება). თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ჰ. ფენრიხისა და სხვათა აზრით, საერთოქართველურ სონანტთა რიგში აღდგება **მ, ნ, რ, ლ**

ფონემებიც. არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე, თ. გვანცელაძე და სხვა ცნობილი მეცნიერები სამართლიანად თვლიან, რომ საერთოქართველურშიც და დღესაც **მ, ნ, რ, ლ** ბგერები **სონორებია და არა სონანტები**. სპეციალისტთა დიდი ნაწილი საერთოქართველურში ძირითადად იმავე თანხმობებს აღადგენს, რომლებიც გვაქვს არქაულ სამწიგნობრო ქართულში: ხშულები: ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ; გ, ქ, კ; ჯ, ყ. ნაპრალოვნები: ზ, ს; ჟ, შ; ღ, ხ; ჰ. სონორები: მ, ნ, რ, ლ. მკვლევართა ერთი ნაწილის (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, მ. ქურდიანი) აზრით, საერთოქართველურ ენაში წინანუნისმიერი ძ, ც, წ, ზ, ს და უკანანუნისმიერი ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ ბგერების გვერდით დამატებით სავარაუდოა შუანუნისმიერი (შუასიბილანტური) ძ ' ; ც' ; წ' ; ზ' ; ს' თანხმობების არსებობა. ამ მოსაზრებას ფაქტობრივი მასალა ნაკლებად უჭერს მხარს.

ამრიგად, ქართული ანბანის საყრდენი მოდელის ძიების თვალსაზრისით არსებითია ის, რომ ასომთავრულში დასტურდება: **ჭ, ძ** და **ჟ** ბგერების აღმნიშვნელი გრაფემები; ისინი არსებობდა არქაულ ქართულშიც, საერთოქართველურშიც და არ არის დამახასიათებელი ქართული და სამცხურ-ჯავახური კილოებისთვის (თუმცა დღესაც ბუნებრივია ქართველურ კილოთა უმრავლესობისთვის; გარდა ამისა, **ჭ, ძ** და **ჟ**-ს აღმნიშვნელი ასო-ნიშნები XIX საუკუნემდე გამოიყენებოდა სამწიგნობრო ენაში). „არქაულ ქართულსა“ და მესხურს თუ წარმოვიდგენთ ამ ბგერებითურთ, ბუნებრივია, „არქაული ქართლის“/მესხურის და საერთოქართველურის იდენტური მონაცემები „არქაულ ქართულს“/მესხურს საერთოქართველურთან გაგვითანაბრებს; ე.ი. ამ შემთხვევაშიც ლოგიკურია ვთქვათ, **რომ ასომთავრულის ფონემური საფუძველი უფრო საერთოქართველურია, ვიდრე ქართლური** (სადაც არ ჩანს **ჭ**).

ხმოვანთკომპლექსები. ერთი მორფემის შიგნით ქართველური ქვესისტემებისთვის დამახასიათებელი არ არის ხმოვანთკომპლექსები; მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი ხმოვანთმიმდევრობები (განსაკუთრებით: აე, ეა, ოა, აო, ოე, ეო) ყველა ქართველურ დიალექტში განიცდის ცვლილებებს: წარმოიქმნება დიფთონგი, გრძელი ხმოვანი ან ერთი ხმოვანი. მსგავსი რამ არ დასტურდება სამწიგნობრო ენაში; შესაბამისად, შეუძლებელია დავუშვათ, რომ არქაული სამწიგნობრო ენა რომელიმე ჩვენთვის ცნობილ ქართველურ კილოს ეყრდნობა. ამ შემთხვევაშიც ქართლური (თუ სხვა რომელიმე კილო) უფრო გვიანდელი გამოდის, ვიდრე ასომთავრულის საყრდენი მეტყველება. ბუნებრივია, ეს ფაქტიც კიდევ ერთი არგუმენტია საიმისოდ, რომ არქაული სამწიგნობრო/სტანდარტული ენისთვის ამოსავალ სტრუქტურად მივიჩნიოთ არა ქართლური ან მესხური, არამედ — საერთოქართველური ენა.

შენიშვნა: თუ დავუშვებთ ე.წ. „არქაული ქართლურის“ არსებობას და წარმოვიდგენთ, რომ მასში ხმოვანთკომპლექსები თავდაპირველი სახით არსებობდა, ასეთი „არქაული ქართლური“ საერთოქართველურს ან სამწიგნობრო ენას დაემთხვევა. ხმოვანთკომპლექსების ისტორიიდან გამომდინარე, თითქოს უფრო

ლოგიკურია დავუშვათ, რომ **ქართლური მომდინარეობს სამწიგნობრო ენიდან** და არა სამწიგნობრო ენა — ქართლურიდან; ესეც ნაკლებარგუმენტირებადია, ვინაიდან ქართველურ სინამდვილეში არც ერთი კილო არ იღებს სათავეს სალიტერატურო ენიდან: **ყველა კილოშია** ისეთი არქაული გრამატიკული თუ ლექსიკური ფაქტები, რომლებიც **სამწიგნობრო ენის ველში არ დასტურდება, მაგრამ სავარაუდოა საერთოქართველურში.**

მოთხრობითი ბრუნვა. ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში მოთხრობითი (ერგატივი) ერთადერთი ბრუნვაა, რომლის ნიშნის ძირითადი ალომორფები (-მან/-მა/-მ) საერთოქართველურში არ აღდგება: არქაულ სამწიგნობრო ენაში ერგატივი წარმოდგენილია სახელის **ფუძით (აბრაამ)**, უბრუნველი ნაცვალსახელებით (**მე, შენ, ჩვენ, თქვენ, მან, მათ, ვინ**), ან **მან ნაწევრიანი** ყალიბით (კაც-მან); სვანურ კილოებში ე.წ. ადილური ტიპის ერგატივია გაბატონებული, ხოლო ზანურ კილოებში ერგატივს აწარმოებს **-ქ** სეგმენტი (რომელიც, ჩვენი აზრით, მეგრულ, რაჭულ, ტაოურ, იმერხეულ და სხვა ქართველურ კილოებში ფართოდ გავრცელებული **ქე/ქი/ქო/ქვე/კი/ხო/ჰო** ნაწილაკის ნაშთია; ტ.ფუტკარაძე, 2005: 317-318). შესაბამისად, ლოგიკურია დავუშვათ, რომ იბერიულ-კავკასიური ენების სპეციფიკური ბრუნვის — ერგატივის **-მან/მა** და **-ქ** ნაწილაკებიანი ქართველური ვარიანტები ჩამოყალიბდა არქაული სამწიგნობრო ენის ფორმირების შემდეგ (შდრ.: საერთო იბერიულ-კავკასიური ტიპის ერგატივად თუ არ მივიჩნევთ, სვანურ კილოებში არსებული ე.წ. „ადილური ერგატივი“ ჩრდილოკავკასიურ სუპერსტრატად შეიძლება ჩავთვალოთ; მისი დამკვიდრების საწყისი დრო შეიძლება დაუკავშირდეს „ქართლის ცხოვრების“ ცნობას წელთაღრიცხვათა მიჯნაზე კავკასიონის სამხრეთით ჩრდილო კავკასიელების გადმოსახლების შესახებ).

სხვაგვარად: საერთოქართველურისა და არქაული ქართული სამწიგნობრო ენის მსგავსად, მეგრულ-ზანურისა და სვანური კილოების მოთხრობითი არ გვაქვს **-მან** მორფემა იმიტომ, რომ **ქართველური დიალექტების -მა/-ქ** ელემენტებიანი მოთხრობითი ჩამოყალიბდა არქაული სამწიგნობრო ენის შექმნის შემდეგ; ე.ი. მოთხრობითი ბრუნვის **-მა** და **-ქ** ალომორფები ჩნდება ახ.წ. IV-VII საუკუნეების შემდეგ; ეს კი მიუთითებს საერთოქართველურისა და არქაული ქართულის თანაარსებობას წელთაღრიცხვათა მიჯნაზე და შიშინა დიალექტური წრის გვიანდლობას.

ხანმეტობა. სვანურ და ფხოვურ კილოებში პირის ნიშნად დღემდეა შემორჩენილი არქაული სამწიგნობრო ენისთვის დამახასიათებელი ე.წ. ხანმეტობის დროინდელი **ხ**-პრეფიქსი:

ახ.წ. V-VII საუკუნეების **ქართული ხანმეტი ტექსტების ნორმის ანალოგიურად**, სვანურში **ხ**-პირის ნიშანი დაცულია ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე პირში (ხ-იშხი „იწვი“, ხ-ასყი „აკეთებ“, ხ-ატბიდე „ათბობ“... ხ-ალატ „უყვარს“, ხ-აჰჰდი „აძლევს“, ხ-ავდი „სძინავს“...). იგივე **ხ**-პრეფიქსი უნდა გამოიყოს პირველი პირის **ხ+ჟ**-სეგმენტში (საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ.: გ.როგავა, 1956;

მ.სუხიშვილი, 1986; ნ.მაჭავარიანი, 1986); კერძოდ, საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის მსგავსად, სვანურ კილოებშიც პირველი პირის ნიშანი **ჟ-/ვ-**, რომელიც არაბაგისმიერი ხმოვნების წინ დაცულია უცვლელად, ბაგისმიერი ბგერების მეზობლად იკარგება, ხოლო თანხმონით დაწყებულ ზმნებში შემონახულია ინფიქსის სახით (მსგავსი დისტრიბუცია ჩვეულებრივია სხვა ქართველურ კილოებშიც). რაც შეეხება **ხ+ჟ-** სეგმენტის **ხ**-ს, ლოგიკური ჩანს, დავუშვათ:

ხ- პირველი პირის ზმნურ ფორმაში არსებული ირიბი ობიექტის ნიშანია; დროთა განმავლობაში სვანურ ფორმებში **ხჟ-** ერთიან მორფემად გადააზრიანდა და სხვა შემთხვევებშიც განზოგადდა.

ჰ/ხ/ს- (< **სა-/რა-**) პრეფიქსისათვის ამოსავალი ჩანს **კლას-კატეგორიის ნიშნობა** (არნ.ჩიქობავა, 1944), ვინაიდან სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა ორი, გრამატიკულად განსხვავებული პირის – მესამე ობიექტისა და მეორე სუბიექტის წარმოდგენა ერთი და იმავე ნიშნით; შდრ., ძველი სამწიგნობრო ენის მონაცემები: აღხუმართე, შეხუაბთ... ჰესცოდე, ჰკითხე.

ძველ სამწიგნობრო ქართულშიც და სვანურ, თუშურ, ხევსურულ მასალაშიც (მი-ხ-გვრიან, ხ-ქონდა, და-ხ-კაზმავს, ხ-მკიდი, და-ხ-ფარვენ...) ამოსავალია **ს/ჰ**; დიალექტებში სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი: **ს/ჰ > ჰ > 0** და **ს/ჰ > ხ > (ღ)**. სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში სწორედ **ხ**-ს (და არა **ჰ**-ს) შეუძლია მოგვცეს მეორე **ღ**; შდრ., ხევსურული: მა-ღ-გვრის, ღ-გვანდი, ღ-გონებავ (შდრ., ა.შანიძე, 1920 და ა.ჭინჭარაული, 1960: 96-98). გურულ-აჭარულ კილოებშიც გვაქვს პირის ნიშნად ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული **ხ** (იხ. ქ.ლომთათიძე, 1938; მ.ცინცაძე, მ.ფაღავა, 1998 და სხვ.), ოღონდ, აქ **ჰ > ხ** პროცესი ფუძისეული თანხმონითაცაა განპირობებული; შესაბამისად, გურულ-აჭარულში გამოვლენილი **ხ** ხანმეტობის პერიოდისად ვერ მიიჩნევა.

ამკარაა:

მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნად **ხ-**, ანუ ე.წ. ხანმეტობა, **საერთოქართველური მოვლენა ჩანს**. საერთოქართველურშივე არსებული **ჰ/ხ** მონაცვლეობის შედეგი უნდა იყოს ზოგ კილოში **ჰ > 0** პროცესის განვითარება, ზოგან კი **ხ**-ს დამკვიდრება (შდრ.: მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ხანმეტობა და ჰამეტობა საკუთრივ ქართული ენის ორ კილოს ასახავს).

გასარკვევი რჩება ამოსავალი ფონემის საკითხი:

ფონეტიკური პროცესების ხასიათის გათვალისწინებით, უფრო ლოგიკურია არნ.ჩიქობავასა და გ.როგავას თვალსაზრისი **ს**-ს უწინარესობის შესახებ. ნივთის კლას-ნიშანი **ს**, როგორც გ.როგავა ვარაუდობდა, ფონეტიკურ ნიადაგზე გვაძლევდა **ჰ**-სა და **ხ**-ს შორის გარდამავალ ბგერას (საკითხის ისტორიისათვის იხ. გ.როგავა, 1956). ჩანს, სამწიგნობრო ენის სტანდარტიზაციის ძველ ეტაპებზე ზოგი ლიტერატურული სკოლა პირის ნიშნად **ჰ**-ს აზოგადებდა, ზოგი სკოლა კი — **ხ**-ს; საბოლოო ნორმად კი დამკვიდრდა ზმნური ფუძის დასაწყისის შესაბამისი ბუნებრივი ფონეტიკური ვარიანტები: ბაგისმიერებთან და უკანაენისმიერებთან — **ჰ**, წინაენისმიერებთან — **ხ**, სხვა შემთხვევებში — **0**. ე.ი. **ზანურ-სვანური კილოების ფორმირების პროცესში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პი-**

რის ნიშნად საერთოქართველურ ენაში (ენობრივ კოინეში) **გააქტიურებული იყო ხ ვარიანტი.**

ძირითადი დასკვნა: ხ- პრეფიქსის პოზიციებით სვანური კილოები სრულად ასახავს არქაულ სამწიგნობრო ენას, ფხოვური კილოები კი — ოდნავ სახეცვლილ ვარიანტებს; შესაბამისად, ერთი მხრივ, ხანმეტობა საერთოქართველურ მონაცემად უნდა ჩავთვალოთ და, მეორე მხრივ, შეუძლებელია, სვანური 1000-2000-წლიანი შუალედით დავაშოროთ არქაულ სამწიგნობრო ქართულს, რომელშიც **საერთოქართველური ხანმეტობა** ასახული.

ხანმეტობასთან დაკავშირებით საყურადღებოა თ.გვანცველასის დაკვირვება: სამწიგნობრო ქართულის **ნარ-თანანი** მრავლობითი, **ხუცე-სი** და **ზანური** კილოების **უჩაში** საშუალებას უნდა იძლეოდეს, **ზანურის** გამოყოფის დროდ განვსაზღვროთ ახ.წ. V საუკუნე; კერძოდ, **ხუცესი** ასახავს ხანმეტობის პერიოდს, ხოლო **უჩაში** — ჰემეტობისას (აზრი გამოთქმულია ზეპირი საუბრის დროს). იგივე **ხ-** პრეფიქსია სვანურ **ხოშა** „უფროსი“, „დიდი“ სიტყვაში (ხ-უცესი/უჩაში/ხოშა სიტყვებში ხანმეტობის **ხ-** პრეფიქსი გამოყო ა.შანიძემ; იხ. გ.როგავა, 1956: 293).

წარმოდგენილ მოსაზრებებთან მიმართებაშია გასააზრებელი საერთოქართვ. **სა** – **ზან. ო** შესატყვისობის საკითხიც:

ცნობილია, რომ სამწიგნობრო ქართულის სა- პრეფიქსს ზანურში შეესაბამება ო-; ჯერ კიდევ ნ.მარისგან სამართლიანად მიჩნეულია, რომ **ზანურში** დაკარგულია თანხმოვნითი ნაწილი: **საქათმე/ოქოთუმე, სახლი/ოხო-რი, *სოცხალი/ცოცხალი/ოჩხარი...** სავარაუდოა შემდეგი ფონეტიკური პროცესი: საერთოქართვ. ***სა-/ჰა > ზან. ჰო/ო** (არ არის აუცილებელი დავუშვათ, რომ **ზანურში** გვქონდა **ს-** შესატყვისი ისეთი **შ**, რომელიც ვერ ძლებს **ო-**ს წინ; შდრ., მ. ჩუხუა, 2003: 338).

გვიჭრობთ, სამწიგნობრო ქართულის V-X საუკუნეების ხანმეტობა-ჰემეტობა-სანნარეგობა, სვანურ-თუშურ-ხევსურული ხანმეტობა, **ზანური *ჰუჩაში > უჩაში** და ***ჰო > ო** პროცესები დროის ერთ მონაკვეთში იღებს სათავეს. რამდენადაც სვანურ-ფხოვურმა კილოებმა პირის ნიშნად შემოინახა **-ხ/-ლ**, ლოგიკურია დავუშვათ, რომ **ზანურ-სვანური დიალექტური წრე ფორმირდება ჰემეტობა/ხანმეტობის პერიოდში**; ეს დრო კი ემთხვევა **ზანურ-სვანური დიალექტური წრის** გამოძივნის ჩვენ მიერ ზემოთ ნავარაუდევ პერიოდს – **ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს** (აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროიდან ჩნდება წყაროებში **სვანების თემიც** და მათი სახელიც: **სოანას/შოანას „სვანი“**).

რატომ არ შენარჩუნდა ხანმეტობა სხვა ქართველურ კილოებში? პასუხი მარტივია: განვლილი 15 საუკუნის მანძილზე სამწიგნობრო ქართულის გავლენა უფრო აქტიური იყო ცენტრალურ, ვიდრე განაპირა ქართველურ კილოებზე, შესაბამისად, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრთან მუდამ ახლოს მყოფი ცენტრალური კილოები (ქართლური, კახური, იმერული...) მიჰყვებოდნენ სამწიგნობრო ენის ნორმების ცვალებების დინამიკას; შდრ.: ქართული სამწიგნობრო ენა ნორმირებულია და ნაკლებად იცვლება (ინარჩუნებს საერთოქართველურის ძირითად ნიშნებს), თუმცა ხალხური მეტყველებების (ცენტრალური კილოების!)

გავლენით **საერო მწერლობის ენა** გარკვეულწილად მაინც იცვლება; თავის მხრივ, ხალხური მეტყველებაც (განსაკუთრებით ცენტრალური კილოები) განიცდის სამწიგნობრო ენის გავლენას... ამგვარი ინტენსიური ურთიერთობა არ არის სამწიგნობრო ენასა და განაპირა ქართველურ კილოებს შორის, ამიტომაც ლოგიკურია, განაპირა ქართველურ კილოებში ბევრი არქაიზმიც გვქონდეს (საერთოქართველურთან მეტად დაშორების მიუხედავად) და ინოვაციაც. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ცენტრალურ კილოთა მოსაზღვრე კუთხეებში, **ამ კილოებისა და სამწიგნობრო ენის ინტენსიური გავლენით**, განაპირა კილოები უფრო და უფრო თმობენ თავის პოზიციებს; მაგ., ბოლო რამდენიმე საუკუნეში (ხალხში გვარების ფორმირების შემდეგ!) მეგრული მეტყველების ტრანსფორმირება მოხდა ზემოგურულ და ქვემოიმერულ კილოკავებად.

თემის ნიშნები.

ქართველური კილოების დათარიღებისა და სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის განსაზღვრისათვის საინტერესოა ზმნურ თემის ნიშანთა ჩვენება: არქაული სამწიგნობრო ენისათვის ბუნებრივი იყო თემისნიშნაინიც და უთემისნიშნო ზმნებიც; ანალოგიური ვითარებაა სვანურ კილოებშიც, რაც გვავარაუდებინებს, რომ არქაული სამწიგნობრო ენა და სვანური დიალექტები საერთოქართველურ ვითარებას ასახავს. დროთა განმავლობაში ქართულ სამწიგნობრო ენაში გაძლიერდა თემის ნიშნის დართვის, ხოლო სხვა ქართველურ ქვესისტემებში უნიფიკაციის ტენდენციაც; კერძოდ, თუ ფხოვურ კილოებში, გურულში, ზემოიმერულსა და აჭარულში მკრთალად შემორჩა არქაული სამწიგნობრო ენის (ანუ საერთოქართველურის) მსგავსი ვითარება, ქართლურსა და კახურში თითქმის აღარ გვხვდება უთემისნიშნო ზმნები, ხოლო სამცხურსა და მეგრულ-ჭანურში თემის ნიშანთა სრული უნიფიკაციაც მოხდა (მასალისათვის იხ., ბ. ჯორბენაძე, 1995: 360-374).

თემის ნიშნების მიხედვით სვანური და არქაული სალიტერატურო ენა თანადროულ ვითარებას ასახავს; სამწიგნობრო ენა ეყრდნობა იმ მოდელს, რომელიც დაცული აქვს სვანურს, და არა მეგრულ-ჭანურს, სამცხურს ან ქართლურს.

„არის“ მეშველი ზმნა.

აწმყოსა და თურმეობითის ფორმათა წარმოების პრინციპი ქართველურ ენა-კილოებში ძირითადად ერთნაირია: არქაული ქართული და ზემოსვანური კილოები მეშველ ზმნას არ დაირთავს; გვიანდელი სამწიგნობრო ენა, მეგრულ-ჭანური, ქვემოსვანური და სხვა ქართველური კილოები დაირთავენ **არის** ზმნის სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტს.

შედგენილი შემასმენლის ზმნურ კომპონენტად გამოყენებული „არის“ ზმნის ფონეტიკური ცვლილებაც ქართველურ ქვესისტემებში ერთგვარი პრინციპებით ხდება; რამდენადაც **ამოსავალი ქართველური ფორმა (არს/არის) იდენტურია არქაული სამწიგნობრო ქართულის მონაცემისა**, შესაძლებლობა გვაქვს, ქართველური მასშტაბით ვიმსჯელოთ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის ფორმირების დროისა და ქართველურ ენობრივ ველში ალომორფთა გამოვლენის კანონზომიერების შესახებ; კერძოდ:

ძველ წერილობით ძეგლებში შედგენილი შემასმენლის ზმნურ წევრად, როგორც წესი, გვხვდება **არს** მეშველი ზმნა, სახელადი ნაწილი კი ძირითადად ფუძის სახითაა წარმოდგენილი: დახატულ არს, დაწერილ არს, მოსულ არს... იშვიათად დასტურდება **ი**-ხმოვნიანი ვარიანტი: **არის**.

მეგრულ-ჭანურში ძირითადია **ორენ** (< ***ა-რ-ენ**) ფორმა, ხოლო სვანურ კილოებში „არის“ დამოუკიდებელი ზმნის როლშია **პრი/არი** (I პ. ხტ-**არ**-ი, II პ. ხ-**არ**-ი, III პ. **არ**-ი. მრ.: I პ. ხტ-**პრ**-ი-დ/ლ-**პრ**-ი-დ, II პ. ხ-**პრ**-ი-დ, III პ. **პრ**-ი-ხ; (ხ)ტ-, ხ-, -ხ ხანმეტობისდროინდელი პირის ნიშნებია), ხოლო მეშველი ზმნის ფუნქციით დასტურდება **ლი/ლიზ/ლის**: I პ. ხტ-ი (<ხტ-არ-ი), II პ. ხ-ი (<ხ-არ-ი), III პ. ლ-ი (<ლ-არ-ი).

ქართველურ ენა-კილოებში შედგენილი შემასმენლის კომპონენტად გამოყენებული **არის** მეშველი ზმნა შემდეგ ალომორფებს (თუ ფონეტიკურ ვარიანტებს) წარმოაჩენს:

ა) როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტთა უმრავლესობაში ყველაზე გავრცელებულია „დახატული-ა“ ტიპის წარმოება, სადაც „არის“ მეშველი ზმნისგან დარჩენილია მხოლოდ თავკიდური **ა** ხმოვანი; იგი ენკლიტიკურად მიერთვის წინამავალ სიტყვას: დახატული-ა < დახატული არის, დაწერილი-ა < დაწერილი არის... ძველ წერილობით ძეგლებში ენკლიტიკის შემთხვევები იშვიათია.

ბ) ზოგ დიალექტში (ხევს., ფშ., თუშ., ინგ.) ენკლიტიკის შემთხვევაში ფუძეთანხმოვნიან სახელებთან შესაძლოა დაიკარგოს მეშველზმნისეული **ა** ხმოვანიც, რის საკომპენსაციოდაც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ბოლო მარცვალს მოუდის დინამიკური მახვილი; მაგ., ხევს.: ბევრ **ვაჟი** (=ვაჟია) მძიმედ დაჭრილი. თუ კაცები-ას სახლჩი, საარაყეს ჩაყენებენ, თუ ობოლ-ობოლ-**ქვრივი** (=ობოლ-ობოლქვრივი-ას), თუნდა პურსა ნუ აჭმევს (ა.ჭინჭარაული). ინგ.: დათი კოლი (=დათვის კვალია), დიდ კაცი (=დიდი ხნის კაცია), ზჭრი (=ძვირია) (გრ.იმნაიშვილი, 1966:116).

გ) ზეპირ მეტყველებაში ხშირია „არის“ მეშველზმნისეული ბოლო-კიდური თანხმოვნის — III სუბიექტური პირის სუფიქსის დაკარგვის ფაქტები: **არის>არი**: დახატული არი, წასული არი... III სუბიექტური პირის ნიშანი **-ნ** ბოლოკიდურ პოზიციაში იკარგება მეგრულშიც: ჭარილ ორე/რე „დაწერილი არის“... **ნ**- სუფიქსი აღდგება ხმოვნის შემცველი მორფემების (მრ. რიცხვის **-ან** სუფიქსის, სხვათა სიტყვის **-ია** ნაწილაკის, კითხვითი **-ო** ნაწილაკის) დართვისას, მაგ.: ორე-**ნ**-ა(ნ) „არიან“, ორე-**ნ**-ია „არისო“, ორე-**ნ**-ო „არის?“ ჭანურში **-ნ** სუფიქსის დაკარგვის ფაქტები იშვიათია: **ორე-ნ**.

დ) **არის** ზმნის ფონეტიკურ ვარიანტად ხევსურულში გვხვდება **-ას**: გაჭირებულ კაცი **ას**. ეს კანონ ძველი **ას**. თითო მოშ თივაიც რო მისცათ, ისიც კაი **ას**. მკვდრის ცოლი **ას** ის, რო ქალს ქმარ მაუკვდების (ა. ჭინჭარაული, 1960: 41).

ე) ინგილოურში (კაკურში) ხმოვანფუძიან სახელებთან **არის/არს** მეშველი ზმნა **ს** ვარიანტით არის წარმოდგენილი, იგი უშუალოდ ეკვრის სახელს, მაგ.: ზროხა**დს** (=ძროხა არის), მამა**დ** მეპურ**დს** (მამა მეპურე არის), საჭირო**დს** (=საჭირო არის) (გრ. იმნაიშვილი, 1955: 122)

ვ) მეგრულ-ჭანურში **ორენ** მეშველი ზმნა II-III პირში ხშირად თავ-კიდური **ო** ხმოვნის გარეშე იხმარება: **რეკ<ორეკ, რენ<ორენ**: ხანტილ **რეკ** „დახატული ხარ“, ხანტილ **რე(ნ)** „დახატული არის“... (შდრ. I პირის ფორმაში **ო** ხმოვანი ყოველთვის არის წარმოდგენილი: ვ-**ო-რეკ** „ვარ“ (მეგრ.), ვ-**ორე/ბ-ორე** „ვარ“ (ჭან.). I პირში **ო** ხმოვნის შენარჩუნება ვ-პრეფიქსის არსებობით შეიძლება აიხსნას. I პირში ხმოვანი გვაქვს ვ-პრეფიქსის დაკარგვის შემთხვევაშიც: მა (ვ)-**ო-რეკ** „მე ვარ“ (შდრ. დიალექტებში, აგრეთვე სვანურში II პირის ფორმაში **ხ**-პრეფიქსი აბრკოლებს ფონეტიკურ ცვლილებას: ხარ). I პირის ფორმაში ხევსურულში თავ-კიდური **ვა>ო**: ქალი-**ორ<ქალი ვარ** (ა. ჭინჭარაული, 1960).

ზ) ქართველურ კილოებში დასტურდება ისეთი ფაქტებიც, როცა მეშველი ზმნა ერთდროულად კარგავს თავკიდურ და ბოლოკიდურ ბგერებს, კერძოდ, მეგრულ-ჭანურში ამოსავალი **ორენ** ფორმა წარმოდგენილია **რე-ს** სახით: საჭირო **რე** (<ორენ) „საჭირო არის“, ხანტილ **რე** (<ორენ) „დახატული არის“... მსგავსი ვითარება გვაქვს სხვა კილოებშიც; ფერეიდნულში **არის** ზმნა (ძირითადად ე,ო ხმოვნების მეზობლად) წარმოდგენილია **რი** ვარიანტით, მაგ.: საჭირო**რი** (=საჭირო არის), კაცობის დღე**რი** (=დღე არის), იქით ვაკე**რი** (=ვაკე არის), ემეების უფროსი სხო**რი** (=სხო არის), ეგ საუზმო**რი** (=საუზმო არის) (არნ. ჩიქობავა, 1927: 201); რაჭული: დღე-არის>დღე-**რი**, საქმე-არის>საქმე-**რი** (ბ. ჯორბენაძე, 1998: 129); ტაოური: ჰაცხა საქმე**რი**, იქ წავალთ; სახლი თავად სათივრე**რი**; ილიასხვისი დაფლა მაჰალე**რი** ჩვენი (ე. დადიანი, 2011).

თ) მეგრულ-ჭანურში თანხმოვანფუძიან სახელებთან **ორენ** მეშველი ზმნის ვარიანტად გვაქვს **ე: ორე(ნ) > რე > ე**: ხანტილიე „დახატულია“, ჭარილიე „დაწერილია“...

ი) ჭანურში **ორენ** ზმნის ძირისეული **რ** თანხმოვანი იცვლება **დ**-თ: **რენ>დენ**: სი კითხერი **დენ-რ-ი?** (აქ **რ** განვითარებულია, **ი** — კითხვ. ნაწილ-აკია) “შენ ნასწავლი ხარ?” ჯიგეი ჟუი ენ “ფილტვი ორი არის” (ს.ჟლენტი, 1953: 72). შდრ. მარტვილური: **მუდე < მურე** „რა არის“...

კ) ჭანურში შესაძლებელია ხმოვნებს შორის მოქცეული მეშველზმნისეული **რ** ბგერა დაიკარგოს: **ენ < რენ**: აქ გუი **ენ** „აქ გული არის“ (ს.ჟლენტი, 1953: 67). ანალოგიური ფაქტები გვხვდება ტაოურში: ბალი **აი** დაწითლებული; ყაბები (ჭურჭელი) აქ **აი**; ვაშლი-მაშლი არ **აი**... (ე. დადიანი, 2011).

ლ) ვფიქრობთ, ამ რიგში შეიძლება განვიხილოთ სვანურის **ლი** (< არის) **მორფემოიდიც**: თუ დამაჯერებელია ***ლარი/*ლარის > (ლ)-არ-ი > (ლ)-ი** პროცესი, მაშინ გამოდის, რომ ამ შემთხვევაშიც დაკარგულია **შუა სეგმენტი -არ-**. სვანურის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მეშველი ზმნის გამარტივება უფრო შორს არის წასული და, მსგავსად III პირისა, გაცვდა I-II პირის ფორმებიც. ეს ფაქტიც საერთოქართველური მოვლენაა: ენა ცდილობს დამხმარე სიტყვები (მორფემოიდები) აფიქსებად აქციოს (შდრ.: ა<არს, მეგრ. ქ<ქორენ, ჭან. რ<რენ, მეგრ.-ჭან. კო<ოკო)... მსგავსი მოვლენაა ხევსურულშიც: ა.ჭინჭარაულის მოწმობით, გარკვეულ კონტექსტში შესაძლებელია **არის** მეშველი ზმნის I-II პირში ძირისეული **რ**

ბგერა დაიკარგოს: ვა(<ვარ), ხა(<ხარ) (ა.ონიანი, 1978: 204). შეიძლება ითქვას, სვანურში დამთავრებულია მეშველი ზმნის სუფიქსად ჩამოყალიბება.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ სვანური, მეგრულ-ჭანური, ხევსურული თუ ინგილოური ფორმები ქრონოლოგიურად ვერ გაცვილდება არქაულ ქართულს (ვრცლად იხ., ე.დადიანი, ტ.ფუტყარაძე, 2006); რაც იმას ნიშნავს, რომ სვანური (თუ სხვა ქართველური) კილოების თავისებურებები ყალიბდება სამწიგნობრო ენის ისტორიის პარალელურად.

კავშირებითის ყალიბი — მომავალი დროის გამომხატველი.

არქაულ ქართულ/ქართველურ სალიტერატურო ენაში II კავშირებითის ფორმებით გადმოიცემა თხრობითი კილოს მომავალი დრო (ამიტომაც ადრეულ გამოკვლევებში ამ მწკრივს **მყოფადს** უწოდებდნენ): კაცმა (შე)ჭამოს საჭმელი = კაცი (შე)ჭამს საჭმელს; მან დაამკუთხა იგი = იგი დაამხო მას... სხვა ქართველურ ქვესისტემათაგან ანალოგიური ვითარება შენარჩუნებულია მხოლოდ ლაზურში (ფრაგმენტულად გვაქვს ჰერულსა და მესხურშიც), მაშინ როცა მეგრული და სხვა ქართველური კილოები მიჰყვება თანამედროვე ქართულს. რ.შეროზიას აზრით, ლაზურისა და მეგრულის მონაცემთა სხვადასხვაობა სათავეს იღებს VII-VIII საუკუნეებიდან; შდრ.: როგორც ცნობილია, დაახლოებით არაბობის დროს სალიტერატურო ენაში ხდება ცვლილებები მყოფადისა და ასპექტის წარმოების მხრივ (ზ. ჭუმბურიძე, 1986). სამწიგნობრო დედაენისგან მოწყვეტილ და ბიზანტიურ კულტურულ ველში მოქცეულ ლაზურ კილოს ეს ცვლილებები ნაკლებად შეეხო; სწორედ ამის გამოცაა, რომ „ზოგიერთ საკითხში ლაზურს მეტი აქვს შენარჩუნებული ძველი ვითარებისა, ვიდრე მეგრულს და თვით ქართველურ სალიტერატურო ენას“ (რ. შეროზია, 2002: 88).

წარმოდგენილი მსჯელობა კიდევ ერთი არგუმენტი არქაული სამწიგნობრო ენის საყრდენი მეტყველების უწინარესობისა ზანურ (და სხვა ქართველურ) კილოებთან შედარებით.

სხვა სახის ლინგვისტური მასალის მოტანაც შეიძლება... ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მეტი არგუმენტი ეძებნება მოსაზრებას, რომ ქართული სამწიგნობრო ენა დაეფუძნა საერთოქართველურ ენას, რომელიც ისტორიულად შეიძლება განვიხილოთ როგორც საერთო იბერიულ-კავკასიური ენის ერთ-ერთი დიალექტი; დიალექტი, რომელიც საუკუნეების წინ იბერიულ-კავკასიური თემების/ხალხების უპირველეს სამწიგნობრო, საეკლესიო და კულტურის ენად იქცა.

ქართველთა სამწიგნობრო ქართულის შექმნის პროცესში სხვადასხვა კუთხის ქართველების მონაწილეობას უშვებენ ის მეცნიერებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქართული სამწიგნობრო ენისთვის ამოსავალია ქართლური კილო; შდრ., მაგ.:

არნ. ჩიქობავას დასკვნა: ქართული სამწიგნობრო ენა შეიქმნა ზანური და სვანური დიალექტების მონაწილეობით (არნ. ჩიქობავა, 1948);

ნ. მარის მოსაზრება: „ქართული სალიტერატურო ენის შექმნა-განვითა-

რებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლელები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზ-ჭანები, და სხვანი... საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრულ, იმერხელ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის..." (ნ. მარი, 1905: 9-10).

ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის პროცესის კუთხით არსებითია შემდეგი ფაქტი:

ქართველთა სამწიგნობრო კულტურა ოდითგანვე საქართველოს ყველა კუთხეში უწყვეტად იქმნებოდა დიდი ქართველი მოღვაწეების მიერ; ნიშანდობლივია ისიც, რომ პირველი ასომთავრული წარწერები პალესტინაში იოვანე ლაზის მონასტერშია შემონახული; ფაქტია ისიც, რომ ძველი მწიგნობრები საქართველოს ყველა კუთხეში თვისობრივად ერთნაირად მოღვაწეობდნენ; შდრ., მაგ:

სამხრეთ საქართველოში: იოანე მოსხი, არსენ საფარელი, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, იოანე მტბევარი, იოანე ოქროპირი...

დასავლეთ საქართველოში: იოანე ლაზი, იოვანე მინჩხი (მარტვილელი), სტეფანე სანანოისძე, იოანე პეტრიწი, ტბელი აბუსერიძე, ჭყონდიდლების მრავალი თაობა... აქვე, საგანგებოდ დავასახელებთ ცნობილ მწიგნობრებს სვანეთიდან: გრიგოლ სვანი, იოანე ქანცხიანი (ქაცხიანი), გრიგოლ ქანცხიანი, ილარიონ სოფრომაძე, ტიმოთე პაპა, იოანე ფარჯანიანი, ვახტანგ ფარჯანიანი, იოანე ხარიტონიანი, გიორგი მოზდონიანი, მიქაელ ოდარიანი, უხოჯელიანი, შქერიანი, იოანე ჯავესიანი, დემეტრე იფარელი, ჯეშდინიანი, იოანე დალიდიანი, ქერაბინ ხოჯელანი, დემეტრე ლოდელიანი, ივანე მულახელი და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოში: ბაკური, პეტრე იბერი, იაკობ ცურტაველი, შიო მღვიმელი, გრიგოლ დიაკონი, იოანე საბანისძე, იოანე ბოლნელი, ლეონტი მროველი, არსენ იყალთოელი...

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც:

ქართველთა სამწიგნობრო ენის ამოსავალ ენობრივ სისტემად ქართლური (ქართლ-კახური) დიალექტის გამოცხადება, დაუსაბუთებლობის მიუხედავად, იქცა პოლიტიზებული ე.წ. „ქართიზაციის“ თეორიის საყრდენ დებულებად³⁹; კერძოდ, საბჭოთა პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველგვარი არგუმენტების გარეშე არაერთგზის ითქვა, რომ ახალ წელთაღრიცხვამდე არსებობდა სამი ქართველური ტომი (ქართი,

³⁹ რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, „ქართიზაციის თეორია“ – ქართლელების მიერ სხვა ქართველური ტომების ასიმილაცია – შეიქმნა სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე სომეხი მეცნიერის – ქეროზე პატკანიანის მიერ (ეს „თეორია“ განავრცო მისმა მოწაფემ – ნიკო მარმა). „თეორიის“ მიზანი იყო ქართველების ენობრივ-ეთნიკურად დანაწევრებულად წარმოჩენა.

ზანი, სვანი) და მათი სამი ენა: ქართული, ზანური, სვანური. ფართოდ გავრცელდა თვალსაზრისი, რომ თითქოსდა ქართველთა ენის ქართულ დიალექტზე შეიქმნა მწიგნობრობა, რომელიც გავრცელდა უმწერლებო ენების (მეგრულ-ლაზურის, სვანურის) მქონე ქართველებშიც — მოხდა სხვა ქართველური ტომების ქართიზაცია. ამ თეორიის მიზანი იყო ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრებისათვის იდეოლოგიური საფუძვლების მომზადება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველთა ენობრივი დანაწევრების მცდელობა პიკს აღწევს სტალინის ეპოქაში, როდესაც ფაქტობრივად საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკის მთავარ მიმართულებად იქცა „ჩამორჩენილი ხალხებისათვის“ დამწერლობების შექმნის საბაზით დაპყრობილი ერების ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება და რუსული ენით მათი გაერთიანება. ქართულ სინამდვილეში არაქართველებად გამოცხადდნენ მეგრელები, ლაზები, სვანები და აჭარლები; შესაბამისად, „ახალი სიცოცხლე“ შეიძინა ქ. პატკანიანის „ქართიზაციის თეორიამ“; მაგ., „ქართიზაციის თეორია“ ახალი დაშვებით „გაამყარა“ გ. მელიქიშვილმა, სინონიმებად გამოაცხადა რა ეთნონიმები: ქართველი და ქართლები (გ.მელიქიშვილი, 1973: 118, 125-127). ენათმეცნიერები შეეცადნენ განევითარებინათ ნიკო მარის თვალსაზრისი, რომ ქართული, მეგრული, სვანური დამოუკიდებელი ენებია და ისინი მრავალი საუკუნეა არსებობს (იხ. მაგ., გ. კლიმოვის, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის, თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ცნობილი გამოკვლევები), ხოლო ისტორიკოსმა დ. მუსხელიშვილმა „ქართიზაციის“ დამადასტურებელ „ფაქტად“ გამოაცხადა ქართული ეკლესიის მიერ ვითომდა ბერძენისადმი დაქვემდებარებული დასავლეთ საქართველოს ეკლესიის შემოერთება; ის ასევე წერს (დ. მუსხელიშვილი, 2005: 33): „...ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განევითარებისათვის“⁴⁰.

ისტორიული რეალობა სხვაა: ქართველ მემკვიდრეთა ცნობებით, ქუჯისა და ფარნავაზის დროს ქართლში (საქართველოში) არსებულ 6 ენათაგან მხოლოდ ერთი ენა იყო ქართველთა ენა — ქართული ენა, რომელიც იყო სახელმწიფო ენაც. ძველ წყაროებში სხვა „ქართველური ენა“ არ დასტურდება; უსაფუძვლოა საქართველოს ეკლესიაზე პროზელიტიზმიც დაბრალებაც, რამდენადაც საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროს (328) ქართლის /საქართველოს/ ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა ქართლის საზღვრებში; იმხანად ქართლის ცენტრალური ნაწილი იყო დასავლეთ საქართველო⁴¹.

⁴⁰ იხ., ასევე: გ. მჭედლიძე, 1996: 368: „ქართულ ენაზე ქრისტიანობის აღმსარებლობა ქართიზაციის პროცესს უწყობდა ხელს და ამით ეთნიკურ (? - ავტ.) ბარიერებს სპობდა“.

⁴¹ მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), 1996: 195-197, 213, 215-216; იხ., აგრეთვე, ა.ჯაფარიძე, 1998: 261-263; ა.ჯაფარიძე, 2003. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამეცნიერო

აღმოსავლეთ ქართველთა „ენის“ დასავლეთ თუ სამხრეთ საქართველოში გავრცელების /„ქართიზაციის“ თეორიის/ უსაფუძვლობას ცხადყოფს სხვა რამდენიმე არსებითი ფაქტიც:

ტ. არც ერთ საისტორიო (თუ სხვა სახის) ქართულ თუ უცხოურ წყაროში არ დასტურდება **ქართის ტომი**; ვინც არ არსებობდა, როგორ შეეძლო სხვისი დაპყრობა (ტ.ფუტკარაძე, 2005: 325)? თემონიმი „**ქართლელი**“ ნამდვილად ვერ გაუთანაბრდება „**ქართს**, როგორც ტომის სახელს, რამდენადაც ტომის სახელად „ქართი“ არავის დაუდასტურებია. „ქართლელი“ გვიანდელი ტერმინია; ბოლო საუკუნეებში ჩნდება ეს სახელი და აღნიშნავს გვიანფეოდალური პერიოდის ქართლის პროვინციის (მხარის) მცხოვრებს და არა — ისტორიული ქართლის სახელმწიფოში (რომელშიც შედიოდა ეგრისიც, სვანეთიც, ტაო-კლარჯეთიც...) მცხოვრებ ერთ-ერთ ტომს თუ თემს; შდრ.:

ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი დასკვნით, „უძველესი დროიდანვე მოყოლებული ქართველები მრავალ ტომად დანაწილებული ყოფილან; ქრისტეს შემდეგ ისტორიული წყაროებით ცნობილი თითქმის ყველა ტომი ქრისტეს წინათ მრავალი საუკუნის მანძილზეც საისტორიო ასპარეზზე მოქმედებდა“ (ივ. ჯავახიშვილი, 1960: 401); კერძოდ, ხეთურ, ასირიულ, ურარტულ, ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ, სომხურ და სხვა უცხოურ წყაროთა ჩვენებით, **II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულში ქართველი ტომების ისტორიულ ტერიტორიაზე** (ჩრდილო მესოპოტამიიდან კავკასიონამდე რეგიონში) **ცხოვრობდნენ** ქართველურ ენა-კავებზე ანუ დიალექტებზე მოლაპარაკე და, შესაბამისად, ქართველურად მიჩნეული შემდეგი ტომები: **მუშქები /მესხები, დიაუხები /ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, იბერები /სასპეირები, ქუთები, კორაქსები, მარები, ბექეარები, ჰალიძონები /ხალიბები, ხალდეები /ქალდეები, მოსინოაკები /ჰებტაკომეტები, ბიძერები, ძიდრიტები, მაკრონები /მაკროკეფალები, ფასიანები, მელანქლადნები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი /ეკექეარები, ჰენიოხები, სანები /ჰანები, სანიგები, ლაზები, აბაზები /ობეზები, სვანები /მისიმიელები, სუანო-კოლხები, ამარანტები, ტუსკები, კახები, კუხები, ჰერები, ჯავახები, ფხოველები...**

რის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამდენი ტომის მეტყველება მხოლოდ სამ ან ოთხ ენად დაჯგუფდება? მით უმეტეს, თანამედროვე მეცნიერებაშიც კი არ არსებობს ენისა და კილოს გამიჯვნის მყარი კრიტერიუმები.

როგორც ვხედავთ, წყაროებში არ ჩანს საკუთარი სახელი: ერთ-ერთის სახელად არ დასტურდება **ქართი/ქართლელი**. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ, საისტორიო წყაროების მიხედვით, ქართველური ტომების/თემებისა თუ სამთავროების გაერთიანების იდეა თითქმის ყოველთვის დასავლეთ ან სამხრეთ საქართველოს მოსახლეობისგან (მათი წინამძღოლებისგან) მოდიოდა; იხ., მაგ., ქუჯის, მარუშიანის, დავით კურაპალატის, ლეონიდების, ბაგრატ III-ის,

ლიტერატურაში ქართიზაციის თეორია პირველად გააკრიტიკა მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ.

ჰყონდიდლების, ლევან დადიანისა („იბერიელთა ერთობის ტრაქტატი“) და სხვათა ძალისხმევა.

9. როგორც ზემოთ ითქვა, ქართველთა სამწიგნობრო ენა არ ეფუძნება ჩვენთვის ცნობილ რომელიმე ქართველურ კილოს, მათ შორის არც ქართლ-კახურს. ქართველთა სამწიგნობრო ენა დაეფუძნა ზოგადქართულ, საერთოქართველურ ენას; ის ყველა ქართველური თემის შემოქმედება და საკუთრებაა; შესაბამისად, არც ერთ ქართველურ ტომსა თუ თემს თავისი კუთხური ენა თუ კულტურა არ გაუვრცელებია სხვა ქართველურ ტომებსა თუ თემებზე. ფაქტია ისიც, რომ საუკუნეების მანძილზე ეგრის-სვანეთშიცა და მესხეთშიც, კახეთ-ჰერეთშიცა და საქართველოს მთიანეთშიც **წარმართული შელოცვები, ქრისტიანული მწერლობის ნიმუშები თუ მხატვრული ხასიათის ნაწარმოებები** იქმნებოდა საერთოქართველურიდან მომდინარე ქართულ სამწიგნობრო ენაზე; თუნდაც სვანეთში არქაული სამწიგნობრო ენა სვანთა ისტორიული დედაენა და წარმართობისდროინდელი ენა არ ყოფილიყო, ამ ენაზე ვერ შეიქმნებოდა ქრისტიანობამდელი წარმართული შელოცვები.

ამრიგად, ვფიქრობთ, გაცილებით მეტი არგუმენტი აქვს მოსაზრებას, რომ არქაული ქართული სამწიგნობრო ენა — ხანმეტი ტექსტების ენა და ასომთავრული ანბანის საყრდენი ენა — არის საერთოქართველური ენა, უფრო ზუსტად, საერთოქართველური ენის უშუალო გაგრძელება — **არქაული ქართული ენა** (და არა ჩვენთვის ცნობილი ქართლური კილო ან ქართული ენის სხვა რომელიმე გვიანდელი დიალექტი).

1.3. ქართველ მემკვიდრეებსა და საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებანი ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ

ქართველი მემკვიდრეები და საზოგადო მოღვაწენი (ლეონტი მროველი, გრიგოლ ხანძთელი, ვახუშტი ბაგრატიონი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია...) ხაზგასმით წერენ, რომ ქართველთა დედაენა და ისტორიული კულტურის ტრადიციული ენაა სამწიგნობრო ქართული, ხოლო ოდიშური (მეგრული), კახური, სვანური და ქართველთა სხვა მეტყველებანი კუთხურ-სოფლური კილოებია (საკითხის ისტორიისათვის იხ.: არნ. ჩიქობავა, 1948; ბ. ჯორბენაძე, 1989; ტ. ფუტყარაძე, 2000; ტ. ფუტყარაძე, 2005; თ. გვანცელაძე, 2008...); მაგ., „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს:

„იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და **იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა**: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული, ბერძნული“; მათგან ფარნავაზმა „განავრცო ენად ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 16, 26).

„ქართლის ცხოვრების“ **ქართლი** დასავლეთ საქართველოსაც მოიცავდა; ძველი ქართლის კულტურა და სახელმწიფოებრივი ტრადიცია დასავლურქართველური მოსახლეობის შემოქმედებაც, შესაბამისად, კუთვნილებდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკიდურესი ფეოდალური დაქუცმაცებულობის შემსაც კი წირვა-ლოცვა და ქადაგება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ქართული სალიტურატურო ენით ხდებოდა: „**ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს**“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება).

სანიშნავია შეიძლება დავასახელოთ დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა: ქართული ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის **იოანე მინჩხის** შემოქმედების, X საუკუნეში მოღვაწე ჰიმნოგრაფისა და მთარგმნელის **სტეფანე სანანოის ძე ჭყონდიდელის** სასულიერო ხასიათის ლექსებისა და XVII საუკუნის მოღვაწის **ანტონ ჭყონდიდელის** ქადაგებების ენა.

სამეფო-სამთავროებად დაშლილ საქართველოშიც კი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოები არ განიხილავდნენ თავის თავს საქართველოებად; სხვა სამეფო-სამთავროებიც თავს **იბერიას (საქართველოს)** უწოდებდნენ, მეფე-მთავარნი კი თავს **საქართველოს მეფეებად** წარმოადგენენ. მაგალითად, რუსეთში გაგზავნილ წერილებს **ლევან დადიანი ხელს აწერდა როგორც „მეფე ივერიისა“**.

ქართულ წყაროებში დასტურდება ტერმინი **საქართველონი** ანუ **საქართველოები**. ასეთი საქართველოებია: მესხეთი, კახეთ-ჰერეთი,

ქართლი, იმერეთი, გურია, ოდიშ-აფხაზეთი (რ. თოფჩიშვილი, 2002; ჯ. გამახარია, 2005).

აღრეულ საუკუნეებში ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების წარმოსაჩენად განსაკუთრებით საინტერესოა „**ივერიელთა ერთობის ტრაქტატი**“, რომელსაც 1790 წელს ხელი მოაწერეს ქართლ-კახეთის, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მეფე-მთავრებმა; ტრაქტატში მკაფიოდაა ნათქვამი:

„ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ მორწმუნეობა, არიან შვილნი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა (= ურთიერთვალდებულებითი) სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვარობით შეკრულთა ურთიერთთა შორის.

ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულად ქვეყანათა ივერიისა და მეფენი და მთავარნი დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა სახელით ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების...“

ისტორიული ტრადიციის თვალსაზრისით საყურადღებო ფაქტია ის, რომ საქართველოს ყველა კუთხეში (მათ შორის სამეგრელოსა და სვანეთშიც) ლაბიარული და ეპიგრაფიკული წარწერების, აგრეთვე, პირადი მიმოწერების ენა ყოველთვის ქართული სალიტერატურო ენა იყო და არის.

ქართველურ ენა-კილოთა სტატუსის შესახებ აქტიური დისკუსია დაიწყო საქართველოში რუსეთის იმპერიის დამკვიდრების შემდეგ; ამის შესახებ კარგად წერს **თედო სახოკია**:

„ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავროები გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილები გაერთიანდა, რუსის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა. 1870-იან წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრელოს სკოლებზე. აქ სამინისტროს სკოლებიდან ქართული ენა გამოდევნილ იყო, როგორც დედაენა“ (სრულად იხ. თ. გვანცელაძე, 2006: 124-130).

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიის მოხელეები აცხადებდნენ, რომ ქართველები არ არიან: მეგრელები, სვანები, შესაბამისად, მათი მეტყველებები დამოუკიდებელი უმწერლობო ენები. დაიწყო მეგრელებისა და სვანებისათვის „სამწიგნობრო ენების“, „ახალი დედაენების“ შექმნა. რუსეთის ხელისუფლების დავალებით რუსმა სამხედრო მოხელემ — გენერალმა უსლარმა რუსული ალფაბიტით შექმნა სვანური ანბანი. ასევე, იმპერიის დავალებით შეიქმნა ორი მეგრული ანბანი; ერთის ავტორია ალ. გრენი, მეორისა — თადა აშორდია.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი საზოგადო მოღვაწეები, ზოგადად ქართველი ერი, წინ აღუდგა იმპერიის ზრახვას — ენობრივ-ეთნიკურად დაენაწევრებინა საქართველო.

ამბროსი ხელაია: „...ცდილობდნენ სამეგრელოს სკოლებიდან და ეკლესიებიდან გაედევნათ ქართული ენა; ამ ფაქტმა „ეროვნულობის შენარჩუნების ძალუმი სწრაფვა გამოაღვიძა: მეგრელები განიმსჭვალენ თავიანთი სალიტერატურო და საეკლესიო ენის დაცვის იდეით“... რუსიფიკატორთა საპასუხოდ სამეგრელოსა და აფხაზეთის სასოფლო საზოგადოებებისგან გაიგზავნა განჩინებანი საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ. ეპარქიის მასწავლებელთა საბჭომ განიხილა აღნიშნული განჩინებანი და დაადგინა: „იმ სამრევლო სკოლებში, სადაც მოსახლეობა ლაპარაკობს ქართული ენის მეგრულ დიალექტზე, ქართული ენის სწავლება აუცილებელია“ (1906: 122-123, 131-132).

აქვე სანიმუშოდ წარმოვადგენთ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შეფასებებს/პოზიციას ქართველური სამეტყველო ერთეულების სტატუსისა და რუსული ენობრივი პოლიტიკის შესახებ:

დიმიტრი ბაქრაძე, „წიგნი მიწერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა“ (ყურნ. „ცისკარი“, №8, 1860: 318-333):

„ქართული უპირატესი ენა განაწილდება რამდენსამე შტოებათა, ქართლში და კახეთში, იმერეთში, გურიაში და ახალციხის მხარეში დაფუძნებულია უკეთესი დარბაისლური საუბარი, ცოტაოდენის ცვლილებითა. სხუა ადგილებში კი უამთა განმავლობაში გარყვნილა, სახელდობრივ, — თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ლაზისტანში ანუ ჭანეთში, სამეგრელოში და სუანეთში“...

აკაკი წერეთელი მეგრულ მეტყველებაზე საუბრობს სტატიაში „უბრალო საუბარი“ (1898). მისთვის მეგრული ისეთივე ქართულია, როგორც გურული, ქართლური, კახური, რაჭული:

„თუ იმას ვიტყვი, რომ იმათ (=მეგრელებს) შინაურობაში (განსაკუთრებით დაბალი წოდების ხალხს) მეგრულ კილოზე ლაპარაკი უფრო ეხერხებათ, ამითი რა დაშავდება? სამწერლო და სადარბაისლო ქართული იმათ ჩვენზე ნაკლები არ იციან?! მართალია, მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე მეგრული დღეს საღაროა ნამდვილ ქართული სიტყვების... ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთმა ერთმა ვიღაც წინდაუხედავმა კაცმა აიხირა, რომ ჩვენ, მეგრელები, ქართველები არა ვართ და ჩვენი ენაც სულ სხვა ენაც არისო. ეს არ მოეწონათ მეგრელებს!.. იტყვიც, ვინ ამბოს, რომ ჩვენ ქართველები არა ვართო! მეგრელები რომ ვართ, ეს მართალია და ნურც მოგვიშალოს ღმერთმა ჩვენი მეგრელობა, ისე როგორც გურულს გურულობა, ქართლელს ქართლულობა, კახელს კახელობა, რაჭველს რაჭველობა და სხვანიო!... მაგრამ იმავე დროს ნუთუ საერთოდ ქართველები არა ვართო? და როდის აგვიღია ხელი იმ დედაენაზედ, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნოების განმავლობაში და სამ-

შობლოს ვემსახურებოდითო... თუ არა მზაკვარება და უგუნურება, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყოს და **მეგრული ძირითადი ქართული!**...”

აკაკი ურჩევს ქართველ მწერალ-მწიგნობრებს, „მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსოს დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი“... (აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწერები, ხუთტომეული, ტ. V, 266-267).

იაკობ გოგებაშვილმა ქართველური ენობრივი სამყაროს შედგენილობას, ენისა და კილოს მიმართების საკითხს არაერთი სტატია მიუძღვნა. მისი წერილები ძირითადად მიმართულია ცარისტული იმპერიული ენობრივ-ეთნიკური დივერსიის წინააღმდეგ. 1902 წელს გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ენა და კილო“ კარგად ჩანს „დედაენის“ ავტორის ენობრივი კონცეფცია. იაკობ გოგებაშვილისთვის „ეროვნული ენის“, „სალიტერატურო ენის“ ფარდი ტერმინებია: **მთავარი ენა, დედა ენა**. ენა, ზოგადად, გამოყენებულია ეთნოსის ენის აღსანიშნავად. ამასთან, „ენა“ გვხვდება „სასაუბრო ენის“ მნიშვნელობითაც და იგულისხმება კილო-კავი. კუთხური მეტყველების გამოსახატავად იყენებს ტერმინს „**კილო**“, რაც სტატიის სათაურიდანაც ჩანს. მოვიხმობთ საინტერესო მსჯელობებს სტატიიდან:

„ცნობილია, რომ ყოველს ერს აქვს **მთავარი ენა**, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მისს **დედა ენად**, და **თემიური კილო-კავები** (наречия), რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ. ...ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზე და ადგილობრივს კილო-კავებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტებლად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს არ ესმით. ...ასეთი გონივრული წესი იყო ჩვენს საქართველოშიაც... სხვაგან არსად, არც სომეხთა შორის, არც თათართა შორის და არც სხვა კავკასიელებში არ აღმოჩენილა იმისთანა ჭკუა-მოკლე და უკუღმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება სათემო კილო-კავებზე უნდა იყოს და არა დედა-ენაზეო. ჩვენში კი გამოჩნდნენ იმისთანა ჭკუით ვლახაკნი, რომელთაც ვაპბედეს და წარმოსთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდგან დედა-ენა უნდა იქმნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივ კილო-კავებსა ხმარობსო“...

სტატია „მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის“ (გაზ. „პეტერბურგსკიე ვედომოსტი, 1903):

„...საკუთარი გულისწადილის გამო მეგრელებმა, ყველა ქართველ ტომთან ერთად, იმთავითვე აღიარეს ქართული ანბანი თავის საკუთარ ანბანად, და თავის სალიტერატურო ენად მიიჩნიეს ქართული ენა, პროვინციულ კილოს კი მხოლოდ შინაურობაში ხმარობდნენ... მეგრელთა ტომი ქართულ ენას ყოველთვის თვლიდა თავის ძირითად **მშობლიურ ენად**, ხოლო თავის ადგილობრივ დიალექტს უცქეროდა როგორც **მშობლიურ კილოს**... მეგრელებისათვის იმის თქმა, რომ მათ არა აქვთ ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, რომ ყველაფერი ეს ამიერიდან უნდა შექმნასო, განა იმას არ ნიშნავს, რომ წავართვათ მათ მთელი მათი სახელოვანი წარსული, მთელი

ისტორიული მონაპოვარი, გამოვაცხადოთ ისინი ლატაკებად და გვერდით ამოვუყენოთ ისეთ ბარბაროსულ ტომებს, რომელთაც არავითარი ისტორია არ გააჩნიათ?... რომ ქართული მწიგნობრობა მეგრელთათვის საკუთარი არ ყოფილიყო, მეგრულ მწიგნობრობას თვით მეგრელები შექმნიდნენ, შექმნიდნენ მრავალ საუკუნით ადრე... ის, რაც მეგრელთა შესახებ ითქვა, სავსებით შეეხება ქართველი ხალხის მეორე შტოსაც — სვანებს, რომელთა არაქართველებად გადაქცევის ლამობენ იგივე გულმოდგინე, ხეპრე პოლიტიკანები“.

ვაჟა-ფშაველა რუსეთის პოლიტიკას — მეგრულისა და სვანურისთვის ანბანი შეექმნათ — 1902 წელს ლექსით გამოეხმაურა:

კაცი ის არის, ცხოვრება
ვინც გაატარა ჭამაში
და კაცის დანიშნულება
მხოლოდა ჰპოვა ამაში...

**გადაამტერებს ერთმანეთს
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,
საკუთარს ანბანს შეუდგენს
სამეგრელოს და სვანეთსა...**

ვაჟას შემოქმედებაში გატარებულია აზრი, რომ ეროვნული ენისა (ქართველთა საერთო ენისა) და დიალექტის (სათემო კილოს, ხალხის სასაუბრო ენის) მიმართება ისეთივე უნდა იყოს, როგორც მდინარისა და შენაკადისა: „ვინც ცალკეულ შენაკადებს დამოუკიდებელ მდინარეებად გამოაცხადებს, ის ცუდ სამსახურს გაუწევს ნამდვილ მდინარესაც და თვით ამ ნაკადულებსაც“ (ვაჟა-ფშაველა, 1979: 582).

კონსტანტინე გამსახურდია (1983: 411):

„ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ (სამწიგნობრო) ენაში როგორც **მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები**, ისე **ფშავ-ხევსურული**... ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...“; **შდრ.**, აგრეთვე:

„**XX** საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (კ. გამსახურდია, 1983, **ტ. VII**: 499).

1.4. ქართველურ ენობრივ ვარიანტთა (ქვესისტემათა) კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის შესახებ არსებულ ძირითად მოსაზრებათა კრიტიკული ანალიზი

ქართველურ სამეტყველო ერთეულთა კვალიფიკაციის შესახებ პირველი კვალიფიციური და ანგარიშგასაწევი მოსაზრებები გამოთქვა დიდმა ქართველმა ლექსიკოგრაფმა სულხან-საბა ორბელიანმა, რომელმაც შექმნა „სიტყვის კონა“ — ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონი. ამ ლექსიკონში მრავლად გვხვდება სიტყვაფორმები ქართველური ენა-კილოებიდან, მათ შორის მეგრულ-ჭანურიდან⁴².

ქართული საისტორიო ტრადიციის შესაბამისად, სულხან-საბასთვის მეგრული და ჭანური (იმერულის, კახურის, მესხურის... მსგავსად) ქართული ენის კილოებია და არა ენები. ამას, უპირველეს ყოვლისა, ისიც მოწმობს, რომ მეგრულ-ჭანური სიტყვების განმარტებისას ავტორი არსად არ უთითებს, რომ ის ენაა (როგორც ამას უცხოენოვანი სიტყვების ახსნისას აკეთებს: „თათართა ენაა“...). მაგ.: დასტი — ჭანნი კოკას უკობენ; ოჯიჯი — ბადე მეგრულად.

სულხან-საბა მეგრულს „ავენონთა ლაპარაკს“ უწოდებს. ეს ფრაზა დღეს ზოგის გაღიზიანებას იწვევს; არადა, სულხან-საბასთან ავენონი ნიშნავს არანორმირებულ, ხალხურ საუბარს, არალიტერატურულ მეტყველებას — რთულად გასაგებ დიალექტს; შდრ.:

„ჟღურტულის“ განმარტებისას სულხან-საბა წერს:

ჟღურტული — მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი Z. ესე არს მეგრელთა და მისთანათა ავენონთა ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი AB. მეგრელთა და მისთანათა ავენონთაგან ლაპარაკი Cb“... (შდრ. დ.ჩუბინაშვილი: **ჟღურტული** „უკაფიოდ ლაპარაკი ენაბრგვილთა“).

წარმოდგენილი კონტექსტები ცხადყოფს, რომ სულხან-საბა „ავენობად“, „მრუდ ლაპარაკად“, „ჟღურტულად“ თვლის სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ ქართულს, ქართულის კუთხურ (დამახინჯებულ) ვარიანტს — დიალექტურ მეტყველებას. ამ მიმართულებით საყურადღებოა **კ. დანელიას დასკვნა**:

სულხან-საბასათვის „მეგრულ-ჭანური ქართულის ნაირსახეობაა, ასე ვთქვათ, მისი ძლიერ შეცვლილი კილო... ამჟღავნებს ავტორის შეხედულებას მეგრულ მეტყველებაზე, როგორც ქართულთან მიმართებით ძლიერ შეცვლილ („მრუდ“) სახეობაზე (წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებელი ენის სიმრუდეზე ლაპარაკი უაზრობა იქნებოდა)“ (კ. დანელია, 1991: 615).

⁴² სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ ანუ „სიტყვის კონა“ შედგენილია 1685-1715 წლებში. პირველად გამოიცა 1884 წელს

მსგავს დასკვნას აკეთებს თ. გვანცელაძე: სულხან-საბას ფრაზა: „**მისთანათა ავენთანთა**“ გულისხმობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა კუთხურ მეტყველებას (თ. გვანცელაძე, 2006: 71).

„**ავენაობის**“ საპირისპირო ტერმინია „**ენამზეობა/მზეენაობა**“, რომელიც „სიტყვის კონაში“ ასეა განმარტებული: **ენამზეობა** — ენაგანათლებულობა; **მზეენაობა** — ენამზეობა, ენა-ნათლად მეტყველება. მაშასადამე, სულხან-საბა სალიტერატურო და დიალექტურ მეტყველებას შესაბამისი ტერმინებით მიჯნავს: „ავენაობა“ კუთხური მეტყველებაა, ხოლო „ენამზეობა/მზეენაობა“ — სალიტერატურო ენაზე მეტყველება (რ. შეროზია, 2007: 391-392).

სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ სალიტერატურო ფორმათა გვერდით დიალექტური მასალის შემოტანა დასჭირდა იმისთვის, რომ ეჩვენებინა დიალექტების, როგორც სამწიგნობრო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნების უმთავრესი წყაროს, მნიშვნელობა. მისი მიზანი იყო, ქართველებმა „ისწაონ ენა ქართული, შესრულებული და განვრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ“. სულხან-საბა ორბელიანი დიდი ენათმეცნიერი იყო, რომელმაც ერთ კონად შეკრა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოხვეული სიტყვა-მარგალიტები და მათ თანაბარი ადგილი მიუჩინა ლექსიკონში, რითაც ლექსიკოგრაფმა არა მხოლოდ გაამდიდრა სამწიგნობრო ქართული, არამედ წარმოაჩინა კიდევ ქართველთა ენობრივი ერთიანობა.

კავკასიაში რუსეთის იმპერიის გავლენის მოპოვებამდე ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილი იყო ერთ დედაენად — ქართულ ენად და კუთხურ კილოებად (დიალექტებად). საუკუნის წინ უცხოელ მეცნიერებს ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ საქართველოს ენობრივი სიტუაციის შესახებ. მიუხედავად ამისა, თავდაპირველად ევროპელი მკვლევრები ობიექტურად აფასებდნენ ქართულ ენობრივ სინამდვილეს; კერძოდ, XVIII საუკუნის დასასრულს **იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა** პირველმა განსაზღვრა კავკასიურ ენობრივ ერთეულთა სტატუსი და დააჯგუფა კავკასიის ენა-კილოები, მათ შორის ქართველური ქვესისტემებიც; კერძოდ, ადგილზე მოპოვებული ენობრივი მასალის (ლექსიკის) საფუძველზე მან იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი რვა ჯგუფად დაყო. ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენს „ქართველური დიალექტები“ (**Georgianische Mundarten**), ქართულის, მეგრულისა და სვანურის შემადგენლობით (ი. გიულდენშტედტი, 1791: 496-504). ავტორი ქართველთა სამწიგნობრო ენის გვერდით ასახელებს სამ ქართველურ დიალექტურ ჯგუფს: ქართულ დიალექტებს, მათგან გარკვეულწილად დამორებულ მეგრულ დიალექტს და უფრო დამორებულ სვანურ დიალექტს; იგი მეგრულს და სვანურს ერთი და იმავე ენის დიალექტებად მიიჩნევს. იქვე აღნიშნავს, რომ კახური, ქართლური, იმერული და გურული ერთი სახის მეტყველებაა მცირე დიალექტური სხვაობით, სამეგრელოსა და სვანეთში კი ძალიან განსხვავებული დიალექტებია. აქედან მეგრული ნაკლებად განსხვავდება, სვანური კი მეტად, მაგრამ ისე

არა, რომ ფუძენა ვერ ვიცნოთო (იქვე: 342). ფუძენად ის სამწიგნობრო ქართულს მიიჩნევდა (იხ. ასევე, ი.გიულდენშტედტი, 1962: 209).

წარმოდგენილი თვალსაზრისი ობიექტურად ასახავს ქართველური ენობრივი სამყაროს შემადგენელთა იერარქიას: ქართველთა ერთი სამწიგნობრო ენა და ქართველური დიალექტები. აკლია მხოლოდ დიალექტთა სრული ჩამონათვალი, რაც იმ პერიოდში შეუძლებელიც იყო.

გეორგ როზენს ეკუთვნის შრომები: „Über die Sprache der Lazer (1844) და "Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung Über das Mingrelische, Suanische und Abchasishe" (1846), რომელსაც თან ერთვის მეგრულის, სვანურისა და აფხაზურის მოკლე ლინგვისტური მიმოხილვა. გ. როზენი „იბერიული ოჯახის“ ენებად ასახელებდა კოლხურს, სვანურს და ქართულს. ლაზურს მეგრულთან ერთად ერთი ენის, კერძოდ, კოლხურის დიალექტებს უწოდებდა. ტერმინი „**კოლხური**“ მეგრულ-ჭანურის აღსანიშნავად პირველად მან გამოიყენა (გ. როზენი, 1946: 46-47). გ. როზენი დასახელებულ ენობრივი ერთეულებიდან მხოლოდ ჭანურის ერთ კილოკავს ეცნობოდა, ისიც ერთი პირის ჩვენების მიხედვით, ამდენად, მისი კლასიფიკაცია მეცნიერული თვალსაზრისით სანდოდ ვერ ჩაითვლება.

მომდევნო მკვლევრები (**ფ. ბობი, ფ. მიულერი, ჰ. შუხარდტი, ა. დირი...**) ძირითადად იმეორებდნენ გ. როზენის მოსაზრებას. თავის მხრივ ქართველური ენობრივი სამყაროს შემადგენლობას უფრო „აზუსტებენ“ — ნაცვლად სამი ენისა, ოთხ ენას გამოყოფდნენ (ქართული, მეგრული, ლაზური, სვანური).

ფრიდრიხ ალტერი 1798 წელს გამოცემულ წიგნში „Über Georgianische Literatur“ გვაწვდის ცნობებს ქართული კილოების შესახებ. ავტორი ქართულის შემდეგ ნაირსახეობებს ასახელებს:

ქართლური

ვულგარული ქართული (Vulgar-Georgianisch)

იმერული (Imeretisch) (იგულისხმება მეგრული)

„მეცნიერული ქართული“ (Gelehrtes Georgianisch).

ფრ. ალტერი ერთი დონის ერთეულებად განიხილავს „მეცნიერულ ქართულს“ (ანუ სალიტერატურო ენას) და ქართლურ, იმერულ დიალექტებს. კლასიფიკაციაში მხოლოდ ეს ორი კილოა დასახელებული. ავტორი იმერულის სახელწოდებით მეგრულ მეტყველებას აღნიშნავს. ამასთან, ცალ-ცალკეა გამოყოფილი ვულგარული და მეცნიერული ქართული (დაჯუფების პრინციპი უცნობია). ფრ. ალტერის კლასიფიკაცია არასრულია და მეცნიერული თვალსაზრისით ნაკლებად ფასეული.

განსხვავებულ თვალსაზრისს გვთავაზობს **მარი ბროსე** 1834 წელს დაბეჭდილ წერილში „De la langue georgienne“. მკვლევარი ქართულ ენას ყოფს დიალექტებად და „პატუად“. ასახელებს ხუთ დიალექტს (კახური, იმერული, მეგრული, გურული და ცენტრალური

ქართული) და ოთხ „პატუას“ (კავკასიის სვანური, ლაზიკის ჭანური, აფხაზური, მესხური).

ავტორი, წინამორბედთა მსგავსად, მეგრულ-ლაზურ-სვანურს სხვა კილოების გვერდით განიხილავს. განსხვავებულია დაჯგუფების პრინციპი და საკლასიფიკაციო ერთეულთა რაოდენობა. აღნიშნულ კლასიფიკაციამდე არასრულყოფილად არის ასახული ქართული ენის დიალექტთა მრავალფეროვნება. ამასთან, გაუმართლებელია ქართველური ენა-კილოების გვერდით აფხაზურის შეტანა.

რიჰარდ ერკერტი კავკასიის ენათა ოჯახში ცალკე ჯგუფად გამოყო სამხრეთ კავკასიური ანუ იბერიული (ქართული) ენა, რომლის დიალექტური შემადგენლობა ასეთია:

ა) ქართული მთავარი დიალექტი თავისი დიალექტებით (იმერულით, ინგილოური, ხევსურული...);

ბ) მეგრული მთავარი დიალექტი ლაზური დიალექტითურთ;

გ) სვანური მთავარი დიალექტი (რ. ერკერტი, 1891: 311, 361).

იბერიული ენის ადრეულ სახეობად მიჩნეულია ძველი ქართული, რომლის განშტოებაა სვანური მეტყველება. იმავე ძველი ქართულის გაგრძელებაა ახალი ქართული, რომლის განშტოებაა მეგრული, მეგრულის განაყოფი კი ლაზურია. მკვლევარი იმერულთან ერთად ზოგჯერ მოიხსენიებს გურულს, ხოლო ხევსურულთან — თუშურსა და ფშაურს (უფრო კილოკავის გაგებით). რ. ერკერტი გამოყოფილი დიალექტური ერთეულების ენობრივ დახასიათებასაც იძლევა (შესაბამისი ნიმუშების ჩვენებით). „ვიწრო გაგებით ქართულთან“ ახლოს მდგარ კილოკავს უწოდებს იმერულს; ხევსურული დახასიათებულია როგორც არქაული დიალექტი; ინგილოურში, გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ორ „ნუანსს“ განასხვავებს: ა) „მთის ინგილოური“ „თათრულის“ ძლიერ გავლენას განიცდის, ბ) „სამხრულ ინგილოურში“ უცხოური სიტყვები ნაკლებად გვხვდება და, ამდენად, „ვიწრო გაგებით ქართულად“ მოლაპარაკეთათვის უფრო გასაგებია (რ. ერკერტი, 1895: 287).

რ. ერკერთან „ფართო გაგებით ქართული ენა“ არის ქართველთა სალიტერატურო ენა; ვიწრო გაგებით ქართული კი — სალიტერატურო ქართულთან უფრო ახლოს მდგომი კილოები... როგორც ვხედავთ, რ. ერკერტის მოსაზრება არსებითად არ განსხვავდება ი. გიულდენშტედტის თვალსაზრისისაგან.

რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფო-სამთავროები დაიპყრო XIX საუკუნეში; XIX საუკუნიდან მოყოლებული ქართველები სახელმწიფო დონეზე ვეღარ უზრუნველყოფენ მეცნიერების განვითარებას, რუსეთის იმპერიის მესვეურნი კი საქართველოს/კავკასიის ენობრივ პოლიტიკას „დაყავი და იბატონეს“ პრინციპის შესაბამისად გეგმავდნენ. ამ გარემოებებით უნდა აიხსნას ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ სამეცნიერო ველში არსებული წინააღმდეგობრივი შეხედულებები; კერძოდ, საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ აქტიურდება დასავლურ ქართველურ კილოთა ენებად გამოცხადების ტენდენცია; ამ თვალსაზრისით ერთგვარი მერყეობა შეინიშნება **ალექსანდრე ცაგარლის** ნაშრომებში. 1873

წელს **ალ. ცაგარელი** მიიჩნევდა, რომ მეგრული, ლაზური და სვანური იბერიული ფუძეენის (**Grundsprache**) დიალექტებია და სტატუსით არ განსხვავდება ამ ენის გურული, თუშური, ფშაური, ხევსურული კილოკავებისაგან (ალ. ცაგარელი, 1873: VIII-IX). სხვა ნაშრომებში მეგრულს, ლაზურსა და სვანურს ენებს უწოდებს (ალ. ცაგარელი, 1880: 11). იმპერიული პოლიტიკური კონიუნქტურა მისგან მოითხოვდა, ენებად გამოეცხადებინა მეგრულ-ჭანურ-სვანური. როცა მკვლევარმა დაინახა, რუსული იმპერიის ენობრივი დივერსია (ქართველთა ენობრივი დანაწევრების მცდელობა) საფრთხეს უქადდა ქართველი ერის ერთიანობას, „*მან პირად ამბიციებსა და სასიცოცხლო ინტერესებზე მაღლა ქართველი ერის ინტერესები დააყენა და საერთოდ აიღო ხელი ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაზე*“; 1880 წლის შემდეგ მას არც ერთი ლინგვისტური ნაშრომი არ დაუწერია (ვრცლად იხ. თ. გვანცელაძე, 2003: 120-122).

პეტრე ჭარაია ნაშრომში „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან (მასალა)“ სამხრეთ კავკასიის ენების „ივერიულ ჯგუფში“ შემდეგ ერთეულებს გამოყოფს: 1. საკუთრივ ქართული, 2. მეგრული, 3. ლაზური და 4. სვანური (პ. ჭარაია, 1997). ავტორის აზრით, ნაციას აქვს ენა, ხოლო თემს (ტომს) — დიალექტი. ავტორი მეგრულს, ლაზურს და სვანურს ქართული ენის დიალექტებად მიიჩნევს: „*სამხრეთ კავკასიის ენები, ანუ „ივერიული ჯგუფი“ კავკასიის ენებისა შეიცავს ენებს ზოგადის ქართული გვარისას, რომელიც შედგება შემდეგის დიალექტებისაგან: 1. საკუთრივ ქართულისა, 2. მეგრულისა, 3. ლაზურისა და 4. სვანურისაგან. ყველა ამ ენებს, უკეთა ვსთქვათ, დიალექტებს ერთსა და იმავე ძირენისას აქვთ ძლიერ ახლო და მჭიდრო ნათესაობა ურთიერთშორის. მხოლოდ სვანური ცოტათი უფრო განირჩევა სხვებისაგან; მაგრამ ისიც იმდენად არა, რომ მისი ნათესაობა ქართულ გვარ ენებთან, როგორც სიტყვებისა და სიტყვის ფესვების, ისე გრამატიკულ ფორმების მიხედვით არა თუ ენის მეცნიერთათვის, არამედ ყველა დამკვირვებელ ქართველთათვისაც აშკარა არ იყოს. რაც შეეხება მეგრულს, ეს ღვიძლი ძმაა ქართული ენისა, რომელსაც იგი არა „ძლიერ წააგავს“, არამედ რომელთან თითქმის „იგივეობს“, თუ ქართულის ქვეშ ვიგულისხმებთ არა იმერულს, ქართლურს, გურულს, რაჭულს, მთიულურს და სხვ. ცალ-ცალკე, არამედ — სრულიად საერთო ქართულს ძველის მწიგნობრობითურთ აღებულსა“ (პ. ჭარაია, 1997: 204). მეგრულ-ჭანურ-სვანური თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებად კი არ მიიჩნევა, არამედ იმ ენის, რომლის ნაწილებიცაა თანამედროვე სალიტერატურო „ენა“, მისი დიალექტები და ისტორიული ქართული სალიტერატურო „ენა“.*

პ. ჭარაიას აზრით, ქართველთათვის ისტორიული ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთია და თითოეული კილო არ უნდა გავიხადოთ სალიტერატურო ენად. იგი წერს:

„*გერმანიის თითოეულ კუთხეში, ოლქში და თითქმის სოფელში სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ სალიტ. ენა ყველგან არის*

ერთი: მწიგნობრულ ენად მიაჩნიათ ის ენა, რომელიც შეუძვიათ და განუმშვენიერებიათ ლიუტერს, ლესსინგს, ვიოტესა და სხვ. თუ ასეთ ძრავალრიცხოვან ერს, როგორც გერმანელები არიან, რომლებიც ამასთანავე სდგანან განათლების სათავეში, ერთი საყოველთაო სალიტერატურო ენა საჭიროდ უცვნიათ, ჩვენ რალანი ვართ, რომ თითოეული სალიტერატურო ენად ვავიხადოთ...“ (პ. ჭარაია, 1997: 203).

ქართველურ ენა-კილოთა სტატუსის განსაზღვრის კუთხით არათანმიმდევრულია ქეროპე პატკანიანის მიმდევრის, ცნობილი მეცნიერის **ნიკო მარის** პოზიცია⁴³. მეგრულის, ლაზურისა და სვანურის აღსანიშნავად მკვლევარი ხან ტერმინ „დიალექტს“ იყენებს და ხან — „ენას“; მაგ., ის წერს: „საუკუნეების მანძილზე ერთიანი ქართული ნაციონალური კულტურა შეიქმნა ყველა ქართველი ტომის მიერ; ამიტომ, რომ საღვთო წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობთ წმინდა ჭანურს, ანდა მეგრულს და სხვა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომებისათვის“ (ქართველთა ეროვნება — წერილი პროფესორის ნ. მარისა იმ სიტყვის გამო, რომელიც დეკანოზს ი. ვოსტორგოვს წარმოუთქვამს საქართველოს ერზედ უწმინდესის სინოდის წევრთა და სხვა წარჩინებულ პირთა კრების წინაშე, ქუთაისი, 1905).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ნ. მარი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევამდე (1912) და პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანად დანიშნვამდე (1913) ქართველობას იცავდა ცარიზმის მიერ დაგეგმილი „სამეცნიერო“ შემოტევებისგან, ხოლო შემდეგ თავად გახდა ქართველთაგან მოსაგერიებელი: ყოველგვარი არგუმენტების გარეშე დაიწყო მეგრულის, ლაზურისა და სვანურის დამოუკიდებელ ენებად გამოცხადება. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის თანამედროვე მეცნიერებს; სანიმუშოდ მოვიყვანთ **ივ. ჯავახიშვილისა** და **ნ. მარის** კამათის ერთ ეპიზოდს:

ივ. ჯავახიშვილი (1979: 152, სქოლიო): „აკად. ნ. მარისი მისაყვედურებს, რომ მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს მე ქართველებს ვუწოდებ... აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ. რაც შეეხება მეგრელებსა და სვანებს და, დაუმატებ, ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ... თუ ამაზე უწინარეს არა, XI ს-იდან მოყოლებული „ქართველი“ შემკრებელობით მნიშვნელობით იხმარება ყველა ქართველთა აღსანიშნავად. ასეთი საერთო შემკრებელობითი მნიშვნელობის მქონებელი ტერმინის (ქართლ-კახელ-იმერელ-გურულ-მეგრელ-ჭან-სვანთა ენისა, ზნე-ჩვეულებისა და სარწმუნოების საერთო

⁴³ ცნობილი და ნიშანდობლივი ფაქტია: ალ. ცაგარელმა ნ. მარი არ მიიღო თავის კათედრაზე სამუშაოდ, ქ. პატკანიანმა კი მას დიდი ასპარეზი მისცა.

თვისების დასახასიათებლად) საჭიროების უარყოფაც არავის შეუძლია. წინათ ამას ნ. მარტიც არ უარყოფდა. თავის-და-თავად ცხადია, რომ მკვლევარის აზრის შეცვლის გამო ამ მრავალსაუკუნოვანი მონაპოვარისა და შეგნების გაქარწყლება და მოსპობა არ შეიძლება...“

შდრ.: 1905 წელს ქართველობის დაშლის მოსურნეთა წინააღმდეგ ნ. მარმა დაწერა პოლემიკური წიგნი („ქართველთა ეროვნება“), რომლის შესახებაც **თედო სახოკია** წერს:

„განსაკუთრებით სამეგრელოსათვის შეიქმნა მძიმე დეკანოზ ვოსტორგოვის ფარფაში. იგი თამამად იძახდა — მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათს სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, მის მავივრად რუსული, სახელმწიფო ენა, ასწავლეთო. ბოლოს იმდენად გაკადნიერდა ეს ანაფოროსანი პოლიტიკანი, რომ პრესაშიაც გაებედა ამის მტკიცება. ალბათ მკითხველს ახსოვს პროფესორ ნ. მარის პასუხიცა; აკადემიკოსმა ნ. მარმა მიწასთან გაასწორა მეტიჩარა, პოლიტიკანობით დაბრმავებული დეკანოზი, რომელმაც ისეთ სვეროში შეტობა, სადაც არავითარი კომპეტენცია ჰქონდა და გამოაჩინა მარტოოდენ უსუსურობა...“ (თ. სახოკია, 1992).

ნიკო მარის მიმდევარს — **იოსებ ყიფშიძეს** — ეკუთვნის

შრომები: **Дополнительные сведения о чанском языке; Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем**⁴⁴.

მეგრულ გრამატიკაში წერს: „მეგრული ენა ჭანურის უახლოესი მონათესავეა და მასთან ერთად ქმნის ენათა იაფეტური შტოს, სამი მთავარი ჯგუფიდან ერთ-ერთს, კერძოდ, თუბალ-კაინურ ჯგუფს. ამ ბიბლიური სახელწოდების მეორე ნახევარი, კანური უტოლდება სახელწოდებას ჭანური, ხოლო პირველი, თუბალური — სახელწოდებას მეგრული, შუალედური ფორმის, ივერიულის, მეშვეობით“ (ი. ყიფშიძე, 1914: 13). ნ. მარის მსგავსად, არც მას მოუტანია რაიმე არგუმენტი, თუ რატომ მიიჩნევდა ის, მაგ., მეგრულს დამოუკიდებელ ენად. ი. ყიფშიძის თვალსაზრისში ნ. მარისგან მომდინარეობს მეგრულის მეორე სახელწოდებაც: ნ. მარისათვის „მეგრული“ და „ივერიული“ სინონიმები იყო.

აქვე წარმოვადგენთ სხვა მკვლევართა პოზიციას ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების შესახებ (სათანადო არგუმენტაცია არც ამ თვალსაზრისებს ახლავს):

პეტრე მირიანაშვილი („ცოტა რამ ლინგვისტიკისა“, გაზ. „ივერია“, 1902, №273):

„ქართული თავისი კილოებით მეგრულ-ჭანურ-სვანურით შეიძლება მიღებულ იქნეს დედაენად, რომელსაც დაცული აქვს სხვა ენის ძირები“.

ბესარიონ ნიჟარაძე („რა ენაზე აღიდებენ და აღიდებდნენ სვანები ღმერთს“, გაზ. „ივერია“, 1904):

⁴⁴ შდრ., ნ. მარის ნაშრომი: „Грамматика чанского языка“, 1910.

„სვანური ნამდვილად ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილია, მაგრამ ზოგიერთები ვერ შეპრიგებიან ამ აზრს და გაიძახიან, სვანები სულ სხვა ხალხიაო! ნეტავ ვიცოდე, ვისთვის ან რისთვისაა საჭირო ის დაჟინება და სვანების გასხვისტომება“.

სილოვან ხუნდაძე (გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №709: 2-3):

„...ქართული ენის ფორმების შესწავლის დროს მათი შედარება მონათესავე კილო-კავების ფორმებთან ინტერესს აორკეცებს. გარდა ამისა, საჭიროა, რომ ჩვენმა მოზარდმა თაობამ იცოდეს, რომ მეგრული და სვანური შტოებია ქართული ენისა და არა განსხვავებული ენები, როგორც ამას ამბობდნენ და დღესაც ამბობენ მტერნი და ორგულნი ჩვენი ქვეყნისა“.

შენიშვნა: ს. ხუნდაძის ქართულ გრამატიკას, რომელიც 7-ჯერ იყო გამოცემული, ბოლოს დართული აქვს „ქართული ენის კილოკავების (მეგრულისა და სვანურის) გრამატიკული ფორმები“.

1929 წელს საქართველოს ხელისუფლებას მიაღებინეს დადგენილება, რომლის მიხედვითაც სამეგრელოში საქმისწარმოება აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასამართლოებში უნდა შესრულებულიყო მეგრულად, ან სახელმწიფო ენაზე (ქართულად) და მეგრულად. ამ დროიდან დაიწყო მეგრულად გაზეთებისა და წიგნების ბეჭდვა, რაც 1938 წლამდე გრძელდებოდა. ამავე პერიოდში დამწერლობა შეუქმნეს ჭანებსაც. მეგრულისა და ჭანურისათვის დამწერლობათა შექმნას „სამეცნიერო საფუძვლად“ დაედო ი. სტალინის 1914 წელს დაბეჭდილი ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“⁴⁵, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნებოდა ნ. მარის იმ ნაშრომებს, რომლის მიხედვითაც მეგრული და ჭანური ენებად მიიჩნეოდა. მეგრულისათვის ქართული ანბანი იქნა გამოყენებული, ხოლო ჭანურისათვის — ლათინური.

საბჭოთა პერიოდში ქართველი ლინგვისტები მკაცრი არჩევანის წინაშე დადგნენ: თუკი ტრადიციულ თვალსაზრისს გააგრძელებდნენ, იმპერიულ ენობრივ პოლიტიკასთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდნენ (როგორც აღმოჩნდა ივანე ჯავახიშვილი!), რაც თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ნ. მარისა და ი. სტალინის მიერ აღიარებული „თეორიებისათვის“; შესაბამისად, გაიზიარეს დაუსაბუთებელი თვალსაზრისი, რომ ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ოთხი დამოუკიდებელი ენაა; ამათგან მეგრული, ლაზური და სვანური უმწერლობო ენებია.

მხოლოდ არნ. ჩიქობავამ გაბედა გარკვეულწილად განსხვავებული პოზიცია ჩამოეყალიბებინა; იგი თავიდანვე დაუპირისპირდა ნ. მარის

⁴⁵ სადაც ი.სტალინი დაუსაბუთებლად აცხადებდა, რომ თითქოსდა მეგრელებს, აჭარლებს, ქობულეთლებს, სვანებს არა აქვთ კულტურული წარსული, რომ ისინი დაგვიანებული ანუ პრიმიტიული კულტურის, უმწერლობო ენების მქონე დამოუკიდებელი ერები არიან და არა ქართველები; საბჭოთა პერიოდში ნაშრომი არაერთხელ გამოიცა (იხ. ი. სტალინი, 1914, 1920, 1934, 1951).

ძირითად თეორიებს; კერძოდ, მან დამოუკიდებელ ენებად არ მიიჩნია მეგრული და ლაზური; ისინი ერთი ენის — თეორიულად ნავარაუდები ზანური ენის — დიალექტებად გამოაცხადა და მოითხოვა, დახურულიყო მეგრული და ლაზური დიალექტების მიხედვით შექმნილი მეგრული და ლაზური სკოლები. არნ. ჩიქობავას დასაბუთებული მოთხოვნა ლავრენტი ბერიამ გააცნო სტალინს; შედეგად 30-იანი წლების დასაწყისში მართლაც დაიხურა ისავე ყვანისა და კრემლიდან პირველი ბოლშევიკების მიერ მართულ სხვა პირთა აქტიურობით გახსნილი მეგრული და ლაზური სკოლები; შეწყდა მეგრულად და ლაზურად პრესის გამოცემაც.

საბჭოთა იმპერიის პირობებში მოღვაწე მეცნიერთაგან იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა აკად. **გიორგი წერეთელი**, რომელიც, როგორც თვითმხილველები ამბობენ, მეგრულ-ლაზურ-სვანურისთვის უფრო შესაფერისად მიიჩნევდა ტერმინ „ქართველურ დიალექტებს“ (ნაცვლად „ქართველური ენებისა“); თუმცა ამის შესახებ მას ოფიციალურად არაფერი დაუწერია⁴⁶.

არნ. ჩიქობავას მსგავსი შუალედური პოზიცია დაიჭირა ა. შანიძემაც იმ განსხვავებით, რომ მეგრულ-ლაზური (ზანური) მეტყველების აღსანიშნავად მან გამოიყენა გ. როზენის ტერმინი — კოლხური ენა⁴⁷. ა. შანიძე პირველია მათ შორის, ვინც შეეცადა, აკადემიური საფუძვლით დაეჯუფებინა ქართველური ქვესისტემები; კერძოდ, მკვლევარმა საკუთრივ ქართული ენის კილოები დააჯუფა მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსების ხმარების წესის მიხედვით და გამოყო ორი მთავარი ჯგუფი:

I. აღმოსავლური: ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, ხევსურული, მოხეური, თუშური.

II. დასავლური: იმერული (ზემო და ქვემო), გურული, რაჭული (ა. შანიძე, 1920, §62: 144).

სანდო მასალის არქონის გამო კლასიფიკაციაში ვერ მოხვდა ქართული ენის სხვა კილოები.

მოგვიანებით **აკაკი შანიძე** დიალექტთა სხვაგვარ კლასიფიკაციას გვთავაზობს; წინა კლასიფიკაციისაგან განსხვავებით, მან დიალექტები დააჯუფა სამწიგნობრო ქართულთან და ერთმანეთთან სისტემური მსგავსების მიხედვით; გამოყო ექვსი ჯგუფი:

⁴⁶ ცნობილი მეცნიერი **ოთარ გიგინეიშვილიც** ანალოგიურ პოზიციას ემხრობოდა, კერძოდ, ლაზური პარამიტეფეს (1982: 3) წინასიტყვაობაში ის წერს: „ლაზური ზღაპრები დაწერილია ქართული ენის ლაზურ-მეგრულ დიალექტზე. ეს დიალექტი შექმნეს საქართველოში მცხოვრებმა ქართველებმა, რომლებიც ანტიკურ სამყაროში კოლხების სახელითაც იყვნენ ცნობილნი; ამიტომ ლაზურ-მეგრულ დიალექტს კოლხურ დიალექტსაც უწოდებენ“.

⁴⁷ არასწორია მეგრულ-ლაზურის აღსანიშნავად „კოლხური ენის“ ან „კოლხური დიალექტის“ გამოყენება იმიტომ, რომ არქეოლოგიური კულტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისტორიული კოლხა მოიცავდა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ შავი ზღვისპირეთს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის დიდ ნაწილსაც.

1. ფხოური: ხევსურული, მოხეური, თუშური (მათ შემონახული აქვთ მრავალი არქაული მოვლენა);
2. მთიულურ-ფშაური (ორივეს ბევრი საერთო აქვს ფხოურ დიალექტებთან: მთიულურს — მოხეურთან, ფშაურს — ხევსურულთან; ამ ჯგუფის დიალექტებთან ზოგიერთ მსგავსებას ავლენს ზემორაჭული);
3. ქართლურ-კახური (ორივე ახლოსაა თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან; ქართლურთან ახლოსაა მესხური და ჯავახური, ხოლო კახურთან — ქიზიყური);
4. დასავლური ჯგუფი: იმერული (ზემო-, შუა- და ქვემოიმერული), გურული და რაჭული;
5. სამხრეთ-დასავლური ჯგუფი: აჭარული და იმერხეული.
6. ინგილოური (ა. შანიძე, 1957: 828-832).

ამ კლასიფიკაციაში დაუსაბუთებელია ფშაურის გაერთიანება მთიულურთან და მისი გატანა ფხოური კილოების გარეთ. თუმცა სხვა ნაშრომში ა. შანიძეს ფშაურიც ფხოურ კილოებში შეაქვს (ბ. ჭორბენაძე, 1989: 34). რაც მთავარია, არასისტემურია ჯგუფების დასახელება: თუ ჯგუფის სახელად გვაქვს, მაგ., დასავლური ჯგუფი, უნდა იყოს აღმოსავლური ჯგუფიც; გარდა ამისა, რამდენადაც იმხანად შესწავლილი არ იყო, ჩამონათვალში არ ჩანს: ფერეიდნული, ლივანური, მაჭახლური, ტაოური, ლეჩხუმური; საკამათოა სამცხური კილოს სახელად „მესხურის“ გამოყენება და სხვ. (კონიუნქტურული ხედვიდან გამომდინარე, ქართველთა დიალექტების ჩამონათვალში ა. შანიძე ვერ შეიტანდა იმ პერიოდში „უმწერლობო ენებად“ მიჩნეულ მეგრულ-ლაზურსა და სვანურ კილოებს).

უფრო სრულყოფილია **შოთა ძიძიგურის** ჩამონათვალი; ბუნებრივია, ქართული დიალექტების რიცხვში არც ის ასახელებს ზანურ და სვანურ კილოებს, მაგრამ ა. შანიძის ჩამონათვალს ამატებს ფერეიდნულს. ამასთან, ცალ-ცალკე დიალექტებად განიხილავს ერთი მხრივ, მთარაჭულსა და ქვემორაჭულს, ხოლო მეორე მხრივ, ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს; სამწიგნობრო ქართულთან და ერთმანეთთან სისტემური მსგავსების მიხედვით ქართული ენის დიალექტების ხუთ ჯგუფს წარმოადგენს:

1. ინგილოური, ფერეიდნული;
2. თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მთარაჭული;
3. კახური, ქართლური, მესხური;
4. ზემოიმერული, ქვემორაჭული, ქვემოიმერული;
5. გურული, აჭარული, იმერხეული (შ. ძიძიგური, 1935).

მოცემულ კლასიფიკაციაში საკამათოა ინგილოურისა და ფერეიდნულის ერთ ჯგუფში წარმოდგენა ენობრივი მახასათებლების მიხედვით; კვალიფიკაციის კუთხით პრობლემურია იმერელთა მეტყველების გაყოფა ორ დიალექტად.

გვიანდელ ნაშრომში **შ. ძიძიგური** გეოგრაფიული მხარეების მიხედვით დიალექტთა სამ ჯგუფს გამოყოფს:

1. აღმოსავლური კილოები: ქართლური, კახურ-ქიზიყური, ინგილოური, მოხეური, ხევსურული, ფშაური, თუშური, მთიულურ-გუდამაყრული, ფერეიდნული;
2. დასავლური კილოები: რაჭული, ლეჩხუმური, იმერული, გურული;
3. სამხრული კილოები: მესხურ-ჯავახური, აჭარული, იმერხეული (შ. ძიძიგური, 1975: 139).

ჩამონათვალში ცალკე დიალექტადაა წარმოდგენილი ლეჩხუმური; არც ამ დროს არსებობდა ინფორმაცია ტაოური, ლივანური და მაჭახლური კილოების შესახებ; შესაბამისად, არც იყო მოსალოდნელი მათი დასახელება სამხრეთული კილოების ჯგუფში.

ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის თანაავტორობით გამოცემულ ქართული დიალექტოლოგიის I ტომში (1961) ქართველთა დიალექტებში დასახელებული არ არის მეგრულ-ლაზური და სვანური; სხვა კილოები კი ჩამოთვლილია ძირითადად ეთნოგრაფიული კუთხეების მიხედვით. ქართული ენის კილოების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

ხევსურული, მოხეური, მთიულური, გუდამაყრული, თუშური, ფშაური, თიანური, ყიზლარ-მოზდოკური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული, ქართლური, ჯავახური, მესხური, იმერხეული, აჭარული, გურული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული (სულ 20 დიალექტური ერთეული).

როგორც ვხედავთ, აქ დამოუკიდებელ დიალექტებად გამოყოფილია: თიანური, რაც საკამათოა; თიანეთი საქართველოს ერთ-ერთი რაიონია და არა — ეთნოგრაფიული კუთხე (როგორც მაგ., აჭარა, გურია, ფშავი...). ჩვენთის მისაღებია ყიზლარ-მოზდოკური მეტყველების გამოყოფა, რამდენადაც ამგვარი მიდგომით ეს მეტყველება სამეცნიერო სივრცეს მაინც შემორჩება. გარკვეული პირობითობით შესაძლებელია მთიულურისა და გუდამაყრულის, ასევე, ჯავახურისა და მესხურის (ანუ სამცხურის) გამიჯვნის გაზიარებაც.

1963 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები“ **ვარლამ თოფურია** დიალექტების კლასიფიკაციას არ ახდენს, მაგრამ გარკვეულად სხვაობს საკუთრივ მისი კვალიფიკაციები; კერძოდ, მან დიალექტების ასეთი სია წარმოადგინა: ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური, თუშური, კახური, ქართლური, ჯავახური, მესხური, აჭარული, გურული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული, ინგილოური (აზერბაიჯანში), ფერეიდნული (ირანში), იმერხეული (თურქეთში). როგორც ვხედავთ, ვ. თოფურიამ თანაავტორობითან ერთად გამოცემული ვარიანტი გარკვეულწილად შეცვალა: დიალექტების ჩამონათვალიდან სამართლიანად ამოიღო თიანური; ასევე, ამოიღო ყიზლარ-მოზდოკურიც; გააერთიანა მთიულურ-გუდამაყრული; სიის ბოლოში მოაქცია საქართველოს ისტორიული კუთხეების მკვიდრთა ორი დიალექტი (ინგილოური, იმერხეული) და ირანში დებორტირებული ქართველების მეტყველება (ფერეიდნული).

არნოდ ზიქობავა ქართული ენის დიალექტებს გავრცელების არეალის რელიეფის — ლანდშაფტის, კერძოდ, მთისა და ბარის მიხედვით ავსუფებს; გათვალისწინებულია სამწიგნობრო ქართულთან და ერთმანეთთან სისტემური მსგავსებაც; კლასიფიკაცია ასე გამოიყურება:

I. ბარის კილოები: ქართლური (მესხურ-ჯავახურითურთ), კახური (ქიზიყურითა და ინგილოურით), იმერული (ლეჩხუმურით), გურული, აჭარული, იმერხეური, ფერეიდნული.

II. მთის კილოები: ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყურულითურთ), მოხეური, რაჭული.

მთისა და ნაწილობრივ ბარის კილოებს უკავშირდება მოზდოკისა და ყიზლარის ქართველთა მეტყველება (არნ. ზიქობავა, 1965: 5-6).

საქართველო ძირითადად მთაგორიანი ქვეყანაა, შესაბამისად, ნაკლებოვანია დიალექტების დაჯგუფება მხოლოდ მთისა და ბარის მიხედვით; მაგ., ნამდვილად მთაშია აჭარული დიალექტის ზემოაჭარული კილოკავი; მეტისმეტად პირობითია ფერეიდნულის შეყვანა ბარის კილოებში და სხვ.

ვივი ნებიერიძე ლინგვისტური კრიტერიუმით, კერძოდ, ხმოვანთკომპლექსთა ცვლილების მიხედვით, ქართველურ ქვესისტემებს (ზანურ-სვანური კილოების გამოკლებით) ექვს დიალექტურ ჯგუფად ყოფს:

1. ძველი ქართული, გლოლური, მთარაჭული;
2. ქართული სალიტერატურო ენა, ქართლური, კახური, ქიზიყური, თიანური, ზემო აჭარული;
3. ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყურული, ფშაური, ინგილოური, ფერეიდნული;
4. ზემო და შუაიმერული, ლეჩხუმური, ქვემოაჭარული და იმერხეული;
5. ქვემო იმერული და თუშური;
6. გურული და აჭარული (გ. ნებიერიძე, 1965: 21)⁴⁸.

ვფიქრობთ, ხმოვანთკომპლექსთა ცვლილების მიხედვით არსებითად არ განსხვავდება, შესაბამისად, დაუსაბუთებელია, მაგ., ძველი ქართულისა და ქართული სალიტერატურო ენის, ზემო აჭარულისა

⁴⁸ქართულის ენის დიალექტები მსგავსი პრინციპით და უფრო არგუმენტირებულად დააჯგუფა ოტია კახაძემ; კერძოდ, მან ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის გათვალისწინებით დიალექტები სამ ჯგუფად გაანაწილა:

I ჯგუფი: გლოლური, თუშური, ლეხურ-ჭიორული, ხევსურული, ფშაური, ყიზლარ-მოზდოკური, თიანური, მთიულურ-გუდამაყურული, ინგილოური, ფერეიდნული, მესხურ-ჯავახური, იმერხეული. ამ დიალექტებში სისტემატური ხასიათის ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია ან არ გვხვდება, ან ასიმილაცია მოუდის ერთ (ა) ან ორ (ა, ო) ხმოვანს;

II ჯგუფი: რაჭული და ლეჩხუმური, რომელთათვისაც დამახასიათებელია სამი ხმოვნის (ა, ო, ე) ასიმილაცია;

III ჯგუფი: აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბარის კილოები: ქართლური, კახური, გურული, იმერული და აჭარული. ამ კილოებში ასიმილაციას განიცდის 4 ხმოვანი (ა, ო, ე, ი) (ო. კახაძე, 1981: 38).

და აჭარულის, ზემო იმერულისა და ქვემო იმერულის სხვადასხვა ჯგუფში წარმოდგენა. ბუნდოვანია გლოლურისა და მთარაჭულის გამიჯვნის და მაინც ერთ ჯგუფში გაერთიანების საფუძველიც.

ენობრივი მოვლენის გავრცელების გეოგრაფიის მიხედვით ქართული კილოები პირველად დააჯგუფა ა. შანიძემ; დიალექტების ამგვარი კლასიფიკაცია მეტად პირობითია, რამდენადაც ლინგვისტურ რუკაზე იზოგლოსების მიხედვით დიალექტების იმდენაირი დაჯგუფება შეიძლება მივიღოთ, რამდენი განსხვავებული ენობრივი მოვლენაც გვაქვს; ქართველური დიალექტების ასეთი დაჯგუფება საინტერესოა კონკრეტული ენობრივი მოვლენის გააზრებისას, თუნდაც დიალექტის შიგნით კილოკავების გამიჯვნისას და არა დიალექტების ზოგადი კლასიფიკაციისას.

ბესარიონ ჯორბენაძე 1989 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული დიალექტოლოგია“ (ტ. I) ქართული ენის დიალექტებს აჯგუფებს სხვა მეცნიერების მიერ გამოყენებული თითქმის ყველა კრიტერიუმის შეჯერებით: გეოგრაფიული მხარეების მიხედვით დიალექტებს ყოფს ორ ჯგუფად, ქვეჯგუფებს კი გამოყოფს ლანდშაფტის, „ეთნიკური“ ნიშნისა და სამწიგნობრო ქართულთან თუ ერთმანეთთან სისტემური მსგავსება-განსხვავების მიხედვით:

I. აღმოსავლეთ საქართველოს კილოები:

- ა) მთის დიალექტები: ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული;
- ბ) ბარის დიალექტები: ქართლური, კახური, ინგილოური, ფერეიდნული;
- გ) სამხრეთ-დასავლური დიალექტი: მესხურ-ჯავახური.

II. დასავლეთ საქართველოს კილოები:

- ა) ზემო ზონის დიალექტი: რაჭული;
- ბ) შუა ზონის დიალექტები: იმერული, ლეჩხუმური;
- გ) ქვემო ზონის დიალექტები: გურული, აჭარული (ბ. ჯორბენაძე, 1989: 216-220).

ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაციაში ნაკლებლოგიკურია მესხურ-ჯავახურის, როგორც „სამხრეთ-დასავლური კილოს“ შეტანა აღმოსავლეთ საქართველოს კილოების რიგში⁴⁹. ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბორჯომის... რაიონებში არსებული ავტოქთონი ქართველების მეტყველება მართლაც უფრო აღმოსავლური ქართულია, ვიდრე დასავლური ქართული; შესაბამისად, გამართლებულია ამ მეტყველების შეტანა აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში⁵⁰;

⁴⁹სამხრეთ-დასავლურ კილოებად უფრო ჩაითვლება იმერხეული, ლივანური... გარდა ამისა, თუ სამხრეთ-დასავლურია, რატომ შეგვაქვს აღმოსავლურ კილოთა რიგში?

⁵⁰ ჩანს, ეს წინააღმდეგობა დაინახა გ. გოგოლაშვილმა და თავის რამდენიმე წერილში ბ. ჯორბენაძისეული სამხრეთ-დასავლური დიალექტი — მესხურ-ჯავახური მესხურის (სამცხურ-ჯავახურის) სახელით გაუმართლებლად დამოუკიდებელ ჯგუფად წარმოადგინა აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს „ეთნიკურ-ტერიტორიული“ დიალექტების გვერდით (იხ.: გ. გოგოლაშვილი, 2005: 129; თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, 2016: 19). გ. გოგოლაშვილის ტექსტში, ასევე, მიუღებელია ტერმინოლოგიური შესიტყვება: ეთ-

უმჯობესი იქნებოდა, ქვეჯგუფის სახელად გეოგრაფიული მხარე (სამხრეთ-დასავლეთი) არ დაფიქსირებულიყო. ბ. ჯორბენაძის დაჯგუფებაში საკამათოა „ქვემო ზონის“ დიალექტად აჭარულის მიჩნევა; რაც მთავარია, ნამდვილად გადასასინჯია ბ. ჯორბენაძის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიური შესიტყვებები: „ეთნიკური დიალექტები“, „ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტები“ და დიალექტების საკლასიფიკაციო კრიტერიუმის სახელწოდება „ეთნიკური ნიშანი“⁵¹; კერძოდ, გაუმართლებელია, მაგ., გურული მივიჩნოთ „ეთნიკურ დიალექტად“, რამდენადაც „ეთნოსი“, „ეთნიკური ჯგუფი“ არის ისტორიული დედაენის, ისტორიული კულტურის, ისტორიული მესხიერების, ისტორიული ფსიქიკური წყობისა და ისტორიული ტერიტორიის მქონე საზოგადოება.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველები ერთად ქმნიან ერთ ეთნოსს — ქართველებს, ქართველ ერს; შესაბამისად, არასწორია ცალკე გურულების, იმერლების, მეგრელებისა თუ კახელების წარმოდგენა დამოუკიდებელ ეთნოსებად; ასევე, არალოგიკურია სხვადასხვა კუთხის ქართველების კუთხური მეტყველებების გამოცხადება ეთნიკურ დიალექტებად, მით უმეტეს, „ეთნიკურ ენებად“.

სხვადასხვა კუთხის ქართველების აღსანიშნავად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია, ასევე, შეუსაბამო ტერმინები: ტომი, ეთნოგრაფიული ჯგუფი და სუბეთნოსი⁵², რამდენადაც, მაგ., ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ტერმინი **ტომი** გამოიყენება პირველყოფილი ეთნიკური უჯრედის აღსანიშნავად; ამ მიმართულებით ჩვენთვის ანგარიშგასაწევია ეთნოლოგ რ. თოფჩიშვილის შემდეგი დასკვნა: „საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობის — აჭარლების, გურულების, მეგრელების, იმერლების, სვანების, თუშების... მოხსენიება არ შეიძლება ეთნოსად, ეთნიკურ ერთობად, ეთნიკურ ჯგუფად, ხალხად, ტომად, ეთნოგრაფიულ ჯგუფად, სუბეთნოსად და მისთ.; ასეთი აღრევა გარედანაა თავს მოხვეული. დასახელებული ტერმინები ეთნოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ ერს, ეროვნებას, ან ჯერ ერთად ჩამოუყალიბებელ ენობრივ-კულ-

ნიკურ-ტერიტორიული (იქვე: 15). 1989 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში „ქართული დიალექტოლოგია“ ბ. ჯორბენაძემ მესხურ-ჯავახური აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტების რიგში გააზრებულად შეიტანა აღმოსავლურ კილოებთან ენობრივი სიახლოვის გამოც და გეოგრაფიული არეალის გამოც, შესაბამისად, გაუმართლებელია გარდაცვლილი მეცნიერის შემაჯამებელი სქემის თვითნებური „გასწორება“.

⁵¹ დამოუკიდებელ ეთნოსებადაა ჩათვლილი: კახელი, გურული, ქართლელი და სხვა (ბ. ჯორბენაძე, 1989: 29, 42). აქვე, ამ „ეთნოსთა“ საცხოვრისები მიჩნეულია ეთნიკურ კუთხეებად, ხოლო მეტყველებები — „ეთნიკურ დიალექტებად“; შდრ.: კ. გაბუნია, აზრით, მეგრელები, სვანები, ლაზები და ქართველი ცალკეული ქართველური ეთნიკური ჯგუფებია, ხოლო ზანური და სვანური — უმწერლობო ენები (კ. გაბუნია, 2004: 172-177). ჩვენი აზრით, მეგრელები, სვანები, ლაზები, იმერლები, კახელები, აჭარლები, მესხები, ტაოელები... ერთად ქმნიან ქართველ ერს — ქართველ ეთნოსს.

⁵² იხ., მაგ., ბ. ჯორბენაძე, 1989: 41; ეთნოგრაფია (სახელმძღვანელო), შესავალი, თბ., 1991 და სხვ.

ტურული თვითშეგნების მქონე ერთობლიობას; ეთნოსებია: ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები, ქართველები და ა.შ., ხოლო ტომი მხოლოდ წინაფეოდალური გაერთიანებების აღსანიშნავად შეიძლება იყოს გამოყენებული და არა თანამედროვე მოსახლეობის მიმართ“ (რ. თოფჩიშვილი, 1995; რ. თოფჩიშვილი, 2005).

ვფიქრობთ, თანამედროვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მცხოვრებთა აღსანიშნავად უმჯობესია გამოვიყენოთ ტერმინი **თემი** (რომელიც დღეს უფრო „სოციუმს“ ნიშნავს). თემი ბერძნულიდანაა შემოსული; დასავლურ-ქართულ დოკუმენტებში XIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან და მოწმებული (თ. ბერაძე, 1976: 225); სულხან-საბასთან თემი განმარტებულია, როგორც „ქვეყნის ერთი ნაწილი,“ დ. ჩუბინაშვილთან — როგორც „ხალხი ერთი თემისა“ („народ одной области“); ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით დამოწმებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც: „ამ თვეში გურის თემი შეიყრის თავს ჩვენს სოფელში“ (ე. ნინოშვილი). საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების მოსახლეობის აღსანიშნავად **თემს** იყენებს მიხაკო წერეთელიც, ივანე ჯავახიშვილიც და ნიკო ბერძენიშვილიც⁵³.

ეთნოლოგიური ასპექტით, ქართველი ერის ცალკეული თემებია: აჭარლები, გურულები, თუშები (ჩადმები, წოვები), იმერლები, ჰერები (ინგილოები), მეგრელები, ლაზები, მთიულები, მაჭახლელები, სამცხელები, იმერხეველები (შავშელები), ლივანელები, ტაოელები, მოხევეები, სვანები, ფერეიდნელები, ჯავახები, ხევსურები, ქართლები, ფშაველები, კახელები, რაჭველები, ლეჩხუმელები⁵⁴. ჩვენთვის მისაღები ტერმინოლოგიური მიმართება კი ასეთია:

ეთნოსი /ქართველი/ – **თემი** /აჭარელი, მეგრელი, ტაოელი, კახელი.../.

ენა /ქართული/ – **დიალექტი** /აჭარული, მეგრული, ტაოური, კახური.../⁵⁵.

⁵³ ქართულში **თემს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს: ის, როგორც ტექნიკური ტერმინი, ნიშნავს საზოგადოების ერთ სოციალურ-ეკონომიკურ მთლიანობას; გამოყენებულია „ხევის“ თუ „ერთი ვარის“ ხალხის აღსანიშნავადაც და ა.შ. მაგალითად, სვანეთში ტერმინი **თემი** გულისხმობს როგორც დასახლებულ პუნქტს (მაგალითად, ლენჯერის თემი, ლატალის თემი), ასევე მთელ ხეობას: ჩუბე თემ // ჩუბე ხეუ (ქვედა თემი // ქვედა ხევი — იგულისხმება ბალსქვემო სვანეთი), ყიბე თემ // ყიბე ხეუ (ზედა თემი // ზედა ხევი — იგულისხმება ბალსზემო სვანეთი)... ალ. ჭინჭარაულის ცნობით, ხევსურეთში გამოიყენება **თემწყალი**: „ჩვენი თემწყალისა არის,“ ე.ი. ჩვენი ხეობის, ჩვენი თემის კაცია (ტ. ფუტყარაძე, 2005: 44).

⁵⁴ ისტორიულად ქართველი ერის ერთ-ერთ თემად მოიაზრება აფხაზებიც, მაგრამ რუსეთის იმპერიის ზეწოლით მათი ერთი ნაწილი თავს ქართველად აღარ აღიქვამს (მეტეც, მათს გაორებულ ცნობიერებას დღესდღეობით ანტიქართული მიმართულება აქვს; აფხაზთა თვითაღქმისა და ეროვნული მეობის გაორების ისტორიისათვის იხ.: ზ. პაპასკირი, 1994; ზ. პაპასკირი, 1998; თ. გვანცელაძე, 2000; თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, 2001 და სხვ.).

⁵⁵ აქვე აღვნიშნავთ, რომ ბევრ სერიოზულ მეცდომას უდებს სათავეს, აგრეთვე, ტერმინ **ეთნონიმის** არასწორი გამოყენება; სპეციალურ ლიტერატურაში „ეთნონიმი“ ჩათვლილია არა მხოლოდ ერის/ნაციის აღმნიშვნელი სიტყვები (ქართველი,

ქრონოლოგიური პრინციპი რომ დავიცვათ, აქ მოკლედ აღვნიშნავთ: ეთნოსი/ენა — თემი/დიალექტი სქემის გათვალისწინებით 2000 წელს ამ სალექციო კურსის ერთ-ერთი ავტორის მიერ შემოთავაზებულ იქნა ქართველური ენობრივი ერთეულების ახლებური („კარგად დავიწყებული ძველი“) კვალიფიკაცია და ქართველურ დიალექტთა სრულიად განსხვავებული კლასიფიკაცია⁵⁶.

ქართველურ ენა-კილოთა დაჯგუფების რამდენადმე განსხვავებულ ვარიანტს წარმოგვიდგენს **მერაბ ნაჭყებია**. მკვლევარი თანამედროვე ქართულ ენას უწოდებს ქართველურ ენას⁵⁷ და ამ ენის ველში სამწიგნობრო ქართულის გარდა „ისტორიულ-ტრადიციული“ და „ლინგვისტურ-გეოგრაფიული“ საფუძვლის მიხედვით გამოყოფს ხუთ დიალექტურ ჯგუფს:

- ა) ქართველური ენის ზანური ჯგუფი (დიალექტები): მეგრული, ჭანური.
- ბ) ქართველური ენის სვანური ჯგუფი (დიალექტები): ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ლაშხური, ჩოლურული.
- გ) ქართველური ენის დასავლური ჯგუფი (დიალექტები): რაჭულ-ლეჩხუმური, გურული, იმერული, აჭარული.
- დ) ქართველური ენის აღმოსავლური ჯგუფი (დიალექტები): ქართლ-კახური, ქართლურთან ახლოს დგას მესხურ-ჯავახური (სამცხურ-ჯავახური), კახურთან - ქიზიყური.

რუსი, ოსი...), არამედ თემთა სახელებიც; მაგ.: კახელი, ქართლელი, მეგრელი, იმერელი და სხვა (ვ. იარცევა, ლ. ტოლსტოვა, პ. ცხადაია, ნ. ხაზარაძე, თ. ოჩიაური, ბ. ჯორბენაძე, გ. თოფურია, ვ. ითონიშვილი და მრავალი სხვა); ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ეთნონიმად ჩაითვალოს მხოლოდ ის ისტორიული ლექსიკა, რომელიც ერის, ეთნოსის, ეთნიკური ჯგუფის, ტომის აღმნიშვნელ საკუთარ სახელად დამკვიდრდა (სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ეთნონიმის საკუთარ სახელად მიჩნევის შესახებაც: ზოგი მას თვლის ონიმად, ზოგი ნომენად). თემის აღმნიშვნელ სახელს შეიძლება ვუწოდოთ თემონიმი; იგი სხვა ენებშიც შეიძლება გამოვიყენოთ — **temonym** (გრძლად იხ.: ტ. ფუტყარაძე, 2005: 33-41).

ცალკე სამსჯელოა ქართულ ლინგვონიმათა (ენა-კილოების სახელთა), ეთნონიმათა, თემონიმათა, ქორონიმათა და წარმომავლობის სახელთა უცხოენოვანი დაწერილობაც; განსაკუთრებული ტრადიციის არარსებობის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს ქართულისთვის დამახასიათებელი ძირითადი მიმართება ეთნონიმსა (თემონიმსა) და ქორონიმს შორის; შდრ.: ქართულშიც ზოგჯერ თემის სახელია ამოსავალი კუთხისთვის (სვანი — სვანეთი), ზოგჯერ კი — კუთხის სახელისაგან იწარმოება საზოგადოების სახელი (აჭარა — აჭარელი). გარდა ამისა, გეოგრაფიული სახელების უცხოურად დაწერილობისას დაცული უნდა იყოს ქართული სიტყვის სტრუქტურა.

⁵⁶ ტ. ფუტყარაძე, საერთოეოგნული სალიტერატურო ენისა და „სამინაო“ სამეტყველო კოდების მიმართების საკითხი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური დიალექტების მიხედვით (სამეტყველო კოდების იერარქიისათვის), XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ზუგდიდი, 2000, 20-21 ოქტომბერი.

⁵⁷ თანამედროვე „ქართული ენის“ ნაცვლად „ქართველური ენა“ პირველად გამოიყენა პროფ. რევაზ შეროზიამ; ჩვენთვის „ქართული ენა“ და „ქართველური ენა“ სინონიმებია.

ე) ქართველური ენის ფხოვური ჯგუფი (დიალექტები): ხევსურული, მოხეური, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყრულითურთ)“ (მ. ნაჭყებია, 2005: 68).

წარმოდგენილ კლასიფიკაციაშიც პრობლემურია საკლასიფიკაციო კრიტერიუმის საკითხი; კერძოდ, ბუნდოვანია, თუ რატომ გააერთიანა ავტორმა ლინგვისტური და გეოგრაფიული კრიტერიუმები; მაგ., მეგრულ-ლაზური თუ ლინგვისტურად მართლაც დამოუკიდებელ დიალექტურ ჯგუფად უნდა განვიხილოთ, „გეოგრაფიული“ მიდგომის შემთხვევაში ეს ჯგუფი დასავლურ კილოებში აღმოჩნდება.

ქართველურ ენა-კილოთა ჯერჯერობით უკანასკნელი კვალიფიკაცია და კლასიფიკაცია მოცემულია **გ. გოგოლაშვილის, ნ. შარაშენიძის, გ. ცოცანიძისა და ნ. ჭუმბურიძის 2016 წელს გამოქვეყნებულ წიგნში: „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II. დიალექტები“** (შესაბამისი მონაკვეთის ავტორები არიან გ. ცოცანიძე და გ. გოგოლაშვილი); ამ ნაშრომის მიხედვით „ქართული სახალხო მეტყველების ნაირსახეობათა სტატუსი“ „დადგენილია“ როგორც „სოციალური ფუნქციის“ მიხედვით, ასევე, „წმინდა ლინგვისტური“ მიდგომით; შედეგად ქართველურ იდიომათა ორგვარი კვალიფიკაციაა წარმოდგენილი (გვ. 5-14); კერძოდ, გ. ცოცანიძის აზრით, „ქართულ საერთო სახალხო ენას... აქვს არსებობის ორი ძირითადი ფორმა — ენის ლიტერატურული ფორმა და სახალხო მეტყველება“ (გვ. 6). ავტორის სამართლიანი შეფასებით, „ქართველთა სახალხო მეტყველება იყოფა 19 ადგილობრივ ნაირსახეობად; ესენია: ქართლური, კახური, თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მესხური, აჭარული, გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, სვანური, მეგრული, ლაზური (ხაზი ჩვენია — ტ.ფ.; ე.დ.), ინგილოური, ფერეიდნული, იმერხეული ანუ კლარჯული“ (გვ. 7). იქვე ავტორი აკეთებს უცნაურ დასკვნას:

„სოციალური თვალსაზრისით, ე.ი. ენის მომხმარებლის ფაქტორის გათვალისწინებით, მეტყველების ეს ნაირსახეობები განიხილება როგორც საერთო-ხალხური ქართული ენის **სოციალური დიალექტები**“ (ხაზი გ. ცოცანიძისა!).

გაუგებარია: ტერიტორიული დიალექტები რატომ გამოცხადდა „სოციალურ“ დიალექტებად?

არანაკლები შეუსაბამობაა შემდგომ მსჯელობაშიც; გ. ცოცანიძე წერს:

„ლინგვისტური კრიტერიუმების გამოყენების⁵⁸ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ **ქართული ეთნოსი** (ხაზი ჩვენია — ტ.ფ.; ე.დ.) მეტყველებს სამ ურთიერთმონათესავე ენაზე: ქართულ, სვანურ და ზანურ ენებზე. ამგვარად გამოდის, რომ სვანური და ზანური

⁵⁸ აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: ლინგვისტურია სოციოლინგვისტური კრიტერიუმებიც; უფრო მართებული იქნებოდა, ავტორს ამ კონტექსტში ლინგვისტურის ნაცვლად გამოეყენებინა „ენის შიდასტრუქტურული კრიტერიუმი“.

მეტყველებები, რომლებიც დიალექტებია მათი სოციალური ფუნქციონირების მიხედვით, ლინგვისტურად დამოუკიდებელ ენებს წარმოადგენს“ (გვ. 7); იქვე ჩამოთვლილია „ლინგვისტური კრიტერიუმები“: ორიგინალური ლექსიკა, განსხვავებული ფონოლოგიური და მორფოლოგიური სისტემები, განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციები. ამგვარი „ორმაგი სტანდარტის“ მიუხედავად, დასახელებულ ავტორებს ზანური და სვანური მანინც ენების ჩამონათვალში შეაქვთ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას:

ა) როგორც ლექსიკის, ასევე, ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების მიხედვით ქართველური ენობრივი სამყაროს ყველა ქვესისტემა თვისობრივად ერთგვარია და არა განსხვავებული.

მდრ.: განსხვავებულია მონათესავე აფხაზური და ქართველური ენები; ასეც რომ არ იყოს და, გერმანული თუ არაბული დიალექტების მსგავსად, ქართველურ ქვესისტემებს შორისაც დიდი სხვაობა იყოს, სისტემური მსგავსება-განსხვავების საფუძველზე მანინც ვერ დგინდება მონათესავე ენობრივი ერთეულების სტატუსი. მსოფლიოში არსებულ მონათესავე ენათა/კილოთა სტატუსი უფრო დადგენილია სოციალური ფუნქციის მიხედვით;

ბ) ქართული სამწიგნობრო ენა არსებითად ინარჩუნებს ამოსავალ საერთოქართველურ სისტემას, ზანური და სვანური კი ამ ენის აშკარად მეორეული სახესხვაობებია; შესაბამისად, ქართული, ზანური და სვანური ენობრივი კონტინუუმები ნამდვილად არ არის თანაბარი მოცემულობის „ენები“. როგორც გ. ცოცანიძეც ამბობს, ზანური და სვანური მეტყველებების ქართულთან გათანაბრება შეუძლებელია ფუნქციურადაც: ქართული ენა არის ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული, საერთო-სახალხო ენა; მეგრულ-ლაზ-სვანები კი ქართველთა ძირითად ნაწილს წარმოადგენენ. ზანური და სვანური მეგრულ-ლაზთა და სვანთა საშინაო მეტყველებებია, ქართველთა კუთხური დიალექტებია, ხოლო ქართული ენა მათი დედაენა და ეროვნული ცნობიერების საფუძველია.

გ) ალოგიკურია კლასიკური გაგებით ტერიტორიული დიალექტების გამოცხადება „სოციალურ დიალექტებად“ და ამის საფუძველზე სტატუსის განსაზღვრისას ორმაგი სტანდარტის დაშვება. გ. ცოცანიძეს სხვა ენების კილოთა სტატუსების ისტორია რომ გაეთვალისწინებინა, დარწმუნდებოდა, რომ მონათესავე ენობრივ ერთეულთა სტატუსი განისაზღვრება მათი „სოციალური ფუნქციონირების“ საფუძველზე.

აქვე (გვ. 25) გ. გოგოლაშვილი მიმოიხილავს ქართულ დიალექტთა დაჯგუფების ისტორიას და არგუმენტაციის გარეშე „მეცნიერული თვალსაზრისით“ მიუღებლად თვლის მარი ბროსეს თვალსაზრისს, რომელიც, სრულიად სამართლიანად, მეგრულს კახურისა და ქართლურის რანგში განიხილავდა. გ. გოგოლაშვილი „ტრადიციულად“ მიიჩნევს საბჭოთა კავშირის დროს მიღებულ კვალიფიკაციებს: „ტრადიციულ დაჯგუფებას ქართული დიალექტებისას აქვს არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ მყარი

ლინგვისტური საფუძველიც“; არ ითვალისწინებს ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიას, ენისა და კილოს გამიჯვნის საერთაშორისო ველში არსებულ კრიტერიუმებს, საბჭოთა პერიოდამდე არსებული მეცნიერების არგუმენტირებულ თვალსაზრისებს, რომელთაც უფრო დიდი ტრადიცია აქვთ, ვიდრე ქ. პატკანიანისა თუ ი. სტალინის იდეოლოგიზებულ კვალიფიკაციებს და ცდილობს, დაიცვას საბჭოთა პერიოდში გაბატონებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქართველურ დიალექტთა ნაწილი „უმწერლობო ქართველურ ენებად“ ცხადდება.

ვერც ერთი ქართველური თემის/კუთხის მეტყველება უმწიგნობრო ენად ვერ მიიჩნევა, რამდენადაც ყველა კუთხის ქართველის საერთო კუთვნილებაა მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენა; კერძოდ:

ქართველი ერის დედაენა — ქართული ენა რეალიზებულია ქართველთა მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენით და ათეულობით დიალექტით (ზეპირი მეტყველებით). გერმანული, იტალიური თუ ფრანგული დიალექტებისაგან განსხვავებით, ქართველური დიალექტები ქართველთა სამწიგნობრო ენის სახეცვლილი ვარიანტებია და არა მისი პარალელური /ალტერნატიული/ ვარიანტები; კერძოდ, ქართველთა სამწიგნობრო ენა ინარჩუნებს საერთოქართველური ენის ამოსავალ სტრუქტურას, ხოლო ყველა ქართველური დიალექტი ამ ამოსავალი ენის მეტ-ნაკლებად შეცვლილი მეორეული ვარიანტებია, შესაბამისად, მათი სტატუსი თავისთავად რეგულირდება სამწიგნობრო ენასთან მიმართებით:

ქართველთა ტრადიციული სამწიგნობრო ენის ფონზე ქართველი ერის ცალკეულ თემთა საშინაო მეტყველებები ე.წ. მეორე დედაენებად ვერ მიიჩნევა⁵⁹ — ისინი არის დიალექტები. ასეთივე კვალიფიკაცია უნდა დაფიქსირდეს მსოფლიოს ენათა გენეალოგიურ სქემებშიც, თანამედროვე ეთნოლოგიურ თუ ლინგვისტურ ენციკლოპედიებშიც და ევროსაბჭოს დოკუმენტებშიც (მაგ., „რეგიონული ან უმცირესობის ენათა ევროპულ ქარტიამი“). არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომელიმე ქართველურ დიალექტს დღეს მიენიჭოს „ენის“ სტატუსი და ქართველთა დიდ ნაწილს ამ გზით დავუკარგოთ ქართველური/ქართული მწიგნობრობის სახით არსებული საკუთარი დიდი კულტურული წარსული; უღრ.::

სხვადასხვა კუთხის ქართველები მრავალი საუკუნეა ერთად ქმნიან საერთოქართველურიდან მომდინარე ერთიან სამწიგნობრო ენას და ერთ ერს — ქართველ ერს — შეადგენენ. მრავალი მცდელობის მიუხედავად, სხვადასხვა კუთხის ქართველებს შორის დღემდე

⁵⁹ ბუნებაში ორი დედაენა არ არსებობს; ორენოვან (ბილინგვურ) საზოგადოებად კი ითვლება ეთნიკური ჯგუფი, რომელიც სხვა ერის მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოშია ინტეგრირებული, შენარჩუნებული აქვს ისტორიული დედაენაც და წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობას; მაგ., ქართველები — თურქეთში, თათრები — რუსეთში.

არ გაწყვეტილა ენობრივ-კულტურული და ეროვნული ერთიანობა. ქართული სამწიგნობრო ენა სულ მცირე 15 საუკუნეა არის ოფიციალური ენა სრულიად საქართველოში; მაგ., სამეგრელოში „ჟინოსქუას“ ენა იყო სალიტერატურო ქართული, მეგრული მეტყველება კი — საშინაო ენა (მეტყველება, კილო); შესაბამისად, დიდი შეცდომაა მეგრული დიალექტის მიჩნევა **უმწერლობო ენად, ხოლო მეგრელებისა — უმწიგნობრო ხალხად**, ასევე: **ლაზურისა და სვანურის მიჩნევა — უმწიგნობრო ენებად, ლაზებისა და სვანებისა — უმწიგნობრო ხალხებად**, რამდენადაც მეგრელები, სვანები თუ ლაზები თვისობრივად ისეთივე რანგის ავტორები არიან ქართული სამწიგნობრო კულტურისა, როგორც სხვა ქართველები; მეტიც, ძველ ქართველ მწიგნობართა უმრავლესობა სწორედ ისტორიული ეგრი-სიდან და სამხრეთ საქართველოდან იყო⁶⁰.

ქართველი ერის ისტორიის მანძილზე საქართველოს ყველა კუთხეში, ბუნებრივია, სამეგრელოში, სვანეთში, მესხეთსა თუ ლაზეთის იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს იურისდიქციაში შედიოდა, უალტერნატივო იყო ქართული ენის, როგორც დედაენის (სამწიგნობრო ენის, ღვთისმსახურების ენის, სახელმწიფო ენის...), სტატუსი, კუთხური მეტყველება კი მხოლოდ საშინაო ენა⁶¹ იყო; სამეტყველო კოდთა ასეთი იერარქია დიგლოსიაა და არა ბინინგვიზმი⁶².

⁶⁰ შდრ.: უმწერლობო ენის მქონე ხალხს საკუთარ დედაენაზე არა აქვს წერილობითი კულტურა და შემოქმედებისა თუ საქმისწარმოების პროცესში იყენებს სხვათა მიერ შექმნილ სამწიგნობრო ენას.

⁶¹ ენა პოლისემანტური ცნებაა; შდრ.: მწერლის ენა, ბავშვის ენა... საშინაო ენა: ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მეტყველებას და არა — ერის მეობის განმსაზღვრელ ენას.

⁶² დიგლოსია — ერთი ენის სალიტერატურო და ხალხური ქვესისტემების ფუნქციური თანაარსებობა (სალიტერატურო ვარიანტი პრესტიჟულია, ხალხური ვარიანტის გამოყენების ველი კი მეზღუდულია და შემოიფარგლება არაოფიციალური გარემოთი); ასეთი გაგებით ტერმინი „დიგლოსია“ პირველად გამოიყენა ჩ. ფერგიუსონმა. როგორც წესი, დიგლოსიის შესახებ მაშინ საუბრობენ, თუკი მოცემულ საზოგადოებაში გამოყენებულია ორი მონათესავე სამეტყველო კოდი; ამათგან ერთი პრესტიჟულია (როგორც წესი, სტანდარტული ენა), ხოლო მეორე (როგორც წესი, დიალექტი) — არაპრესტიჟულია. არაპრესტიჟული მეტყველების ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს სხვა ენაც (მონათესავეც, არამონათესავეც); შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ ე.წ. ორენოვან დიგლოსიაზეც. ერთენოვანი დიგლოსიის ნიმუშია, მაგ., ქართული სამწიგნობრო ენისა და მეგრული კილოს, ან ქართული სამწიგნობრო ენისა და კახური კილოს თანაარსებობა; ორენოვანი დიგლოსიისა კი თურქულისა და ქართულის თანაარსებობა თურქეთში, რუსულისა და თათრულის თანაარსებობა რუსეთში; გერმანულისა და თურქულის თანაარსებობა გერმანიაში და სხვ.

შდრ.: ზოგი მეცნიერი (მ. ქურდიანი, თ. ბოლქვაძე...) „დიგლოსიად“ თვლის მხოლოდ ორი ენის პარალელურად გამოყენებას: „დიგლოსია ისეთი სტაბილური ენობრივი სიტუაციაა, რომელშიც თანაარსებობენ მონათესავე ენები და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუნქციით, პრესტიჟით, სალიტერატურო მემკვიდრეობით, სტანდარტიზაციითა და სხვა მახასიათებლებით. ქართულის, მეგრულისა და სვანურის ურთიერთობა სწორედ ისეთი სტაბილური, მრავალსაუკუნოვანი სოციოლინგვისტური სიტუაციის ნიმუშია, რომელსაც დიგლოსიას უწოდებენ“ (თ. ბოლქვაძე, 2011: 294); იხ., ასევე, მ. ქურდიანი 1999: „სვანეთსა და სამეგრელოში ისტორიულად დამკვიდ-

XIX საუკუნიდან რუსეთის იმპერიის მესვეური ცდილობენ, სამეგრელოს, ლაზეთისა და სვანეთის მოსახლეობას გაუტყუონ (წაართვან) ქართული სამწიგნობრო ენა და დედაენებად გამოუცხადონ ადგილობრივი დიალექტები. რუსეთის იმპერიის მიზანი იყო და არის, გააკონტროლოს კავკასიონის უღელტეხილები და შავი ზღვა; ამ მიზანს იოლად მიაღწევს, თუკი ენობრივად დაანაწევრებს ქართველ ერს და ერთმანეთს ენობრივ-კულტურულად დაუპირისპირებს ქართველებს. ჩვენთვის გაუგებარია, რა მიზანი აქვს ზოგს, რომელიც სრულიად უარგუმენტოდ, მაგრამ დაჟინებით ცდილობს, დაიცვას სამი თუ ოთხი ქართველური ენის არსებობა, უმწერლობო ენებად აცხადებს ზანურ თუ სვანურ კონტინუუმებს და საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირთ, მეგრელების, ლაზებისა თუ სვანებისათვის დღეს შექმნიან დამწერლობა თუ ვიკიპედიის მსგავსი ენციკლოპედიები (იხ., მაგ., მეგრული ვიკიპედია). გარდა ამისა, საერთაშორისო სამეცნიერო ველში არსებული ენისა და კილოს გასამიჯნ კრიტიკრიუმთაგან არც ერთი არ იძლევა საფუძველს, გადაისინჯოს ქართველური ქვესისტემების სტატუსი, რომლებიც ჩამოყალიბებულია მრავალი საუკუნის მანძილზე; ქართველებს გვაქვს ერთი დედაენა და ათეულობით კუთხური მეტყველება — დიალექტი.

ქართველურ ქვესისტემათა ტრადიციული სტატუსის შეცვლის საფუძველს ვერ მოგვცემს ლოგიკური კრიტერიუმი — გაგებინება (გაგებინება ხშირად კილოებს შორისაც არ გვაქვს), ვერც ე.წ. „ჯაჭვური გარდამავლობის“ კრიტერიუმი (რადგანაც მთაგორიან ქვეყანაში გარდამავალი ზონები შეიძლება არ არსებობდეს).

ქართველურ ქვესისტემათა ტრადიციული სტატუსის შეცვლის საფუძველს ვერ ქმნის ვერც ლინგვისტური კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება დავაგუფოთ ენის შიდასტრუქტურულ და სოციოლინგვისტურ კრიტერიუმებად; კერძოდ, შიდასტრუქტურული კრიტერიუმები — ბგერათშესატყვისობა და ენათა/კილოთა სისტემური სხვაობა/მსგავსება — ენასა და კილოს ვერ გამიჯნავს იმიტომ, რომ არ არსებობს ზღვარი, რომლის მიხედვითაც დადგინდება რაოდენობრივი ცვლილებიდან თვისობრივ ცვლილებაში გადასვლა; გარდა ამისა, ბევრი ენის კილოებს შორის დასტურდება ბგერათშესატყვისობაც და სერიოზული სისტემური სხვაობაც, მაგრამ ისინი ენებად არავის გამოუცხადებია და პირიქით: საუკუნეების მანძილზე ენების სტატუსის მქონე მეტყველებებს შორის გაგებინება უპრობლემოდაა შესაძლებელი.

ქართველურ ენობრივ ერთეულთა ტრადიციული სტატუსი (ერთი ქართველური ენა და ათეულობით ქართველური დიალექტი) ვერ გადაისინჯება ვერც სოციოლინგვისტური კრიტერიუმებით: დამწერლობისა თუ სახელმწიფო ენის სტატუსის ქონა-არქონით, სტანდარტულობით, პრესტიჟულობით, ე.წ. რეესტრული კრიტერიუმით და ვერც ეთნოკულტურული მიდგომით (ენა — ერი; ერის ნაწილი —

რებულია ორენოვნება: სვანურ-ქართული და მეგრულ-ქართული“; ეს „ორენოვნობა“ იქვე ბილინგვურ დიგლოსიადაა მიჩნეული.

დიალექტი), რადგანაც დასახელებული კრიტერიუმები უალტერნატივოდ უჭერს მხარს საერთოქართველურიდან მომდინარე სამწიგნობრო ენის ერთადერთობასა და მის ფონზე სხვა ზეპირი ქვესისტემების დიალექტად კვალიფიცირებას.

რელიგიური ნიშნით ქართული ენის დანაწევრებას ადრეც შეეცადნენ და დღესაც ცდილობენ; მაგ., ცნობილი ფაქტია, რომ მოსკოვში რუსულად დაბეჭდილ ბათუმელი პოეტის ჯემალ ჯაყელის წიგნს დააწერეს, რომ ითარგმნა აჭარულიდან. დღეს თურქეთის გარკვეული წრეები ცდილობენ, თურქეთის სახელმწიფოებრივ ველში მოქცეული ქართველებისა თუ მუჰაჯირი ქართველების მეტყველება მონათლონ „აჭარულ ენად“; თურქეთელი ქართველების ეთნიკური (ქართველური) თვითშეგნება ძლიერია; იციან, რომ მათი დედაენა არის ქართული, აჭარული კი მისი დიალექტია (შდრ. თვითშეფასებითი კრიტერიუმი).

დარჩა ერთადერთი „კრიტერიუმი“ — პოლიტიკური ინტერესი, რომლითაც შეიძლება აიხსნას ქართველური კილოების ქართველურ ენებად გამოცხადების მცდელობა.

როგორც წესი, სპეციალისტების მიერ კილოთა დაჯგუფებისას გამოყენებულია:

- დიალექტური მოვლენის გავრცელების არეალის ამსახველი იზოგლოსები;
- სამწიგნობრო ენასთან და ერთმანეთთან სისტემური მსგავსება/განსხვავება;
- დიალექტების გავრცელება გეოგრაფიული მხარეების მიხედვით;
- დიალექტების გავრცელება ისტორიული ეთნოგრაფიული⁶³ კუთხეების მიხედვით.

დიალექტური მოვლენის გავრცელების არეალის ამსახველი იზოგლოსების მიხედვით ყველა ენის დიალექტები შეიძლება დაჯგუფდეს, მაგრამ ასეთი დაჯგუფება ნაირგვარი შეიძლება იყოს; მაგ., ორი ენობრივი მოვლენის მიხედვით სრულიად განსხვავებულად დაჯგუფდება ქართველური დიალექტები:

აუ>ოუ>უუ/უ ტრანსფორმაციის მიხედვით⁶⁴:

- I. პირველი საფეხური (აუ): ქართლური, კახური, ფშაური, ხევსურული, მთიულურ-გუდამაყრული, მთარაჭული;
- II. მეორე საფეხური (ოუ): ფერეიდნული, ინგილოური, მოხეური, სამცხურ-ჯავახური;

⁶³ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „ეთნოგრაფიული“ მნიშვნელობით გვხვდება „ეთნიკური“, რაც აღნიშნულ ტერმინთა აღრევის შედეგია. ეთნოსი, როგორც წესი, აღნიშნავს ერს/ნაციას; ეთნიკური — ერის/ნაციის. ამდენად, მისი გამოყენება ამა თუ იმ ეთნოსის ტერიტორიული ანუ ლოკალური დანაყოფების/კუთხეების აღსანიშნავად არამართებულია. ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტერმინს „ეთნოგრაფიული“ (დაწვრ. იხ. ტ. ფუტყარაძე, 2005: 33-41).

⁶⁴ ხმოვანთკომპლექსთა განვითარების მიხედვით დიალექტთა დაჯგუფებისათვის იხ. შ. ძიძიგური, 1946: 33; ო. კახაძე, 1981; ბ. ჯორბენაძე, 1998; ტ. ფუტყარაძე, 1998 და სხვ.

III. პარალელურად მეორე და მესამე საფეხური (ოუ/უუ): ბარის რაჭული, იმერული, გურული;

IV. მესამე საფეხური (უუ/უ): აჭარული, იმერხეული, ლივანური, მაჭახლური, ტაოური, მეგრული, ლაზური, სვანური.

IV სერიის ფორმათა მიხედვით:

ქართველურ ქვესისტემებში დამოუკიდებელი უღვლილების ერთეულებად გამოყოფილია ნა-/ნო- პრეფიქსიანი ზმნური ყალიბები. ამგვარი ფორმები გვაქვს: მეგრულში, იმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულსა და სვანურ კილოებში. აღნიშნული წარმოების ყალიბები საერთოქართველური წარმომავლობისაა (და არა საკუთრივ მეგრულისა). ამოსავალია ნა- პრეფიქსიანი წარმოება. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ქართველური კილოები ორ ჯგუფად განდასდება:

I. მეგრული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული, სვანური (ბალსზე-მოური, ბალქვემოური...);

II. ლაზური, აჭარული, გურული, იმერხეული, ტაოური, სამცხური, ჯავახური, ქართლური, კახური, თუშური, ინგილოური, ფერეიდნული... (ტ. ფუტკარაძე, 2009: 31-34).

გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული კრიტერიუმებით დიალექტების დაჯგუფება უფრო მყარია, მაგრამ ქართველურ სინამდვილეში დასახელებული რომელიმე ერთი კრიტერიუმი სასურველ შედეგს ვერ იძლევა, ამიტომაც თითქმის ყველა სპეციალისტი შეეცადა (იხ. ზემოთ), ერთდროულად გამოეყენებინა რამდენიმე კრიტერიუმი.

დიალექტთა ქვემოთ წარმოდგენილი დაჯგუფების ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნად ავიღეთ კულტურულ ცენტრთან სიახლოვესიშორე (შდრ., ცენტრი-პერიფერიის პრინციპი)⁶⁵; დიალექტთა შიდა კლასიფიკაცია კი მოვახდინეთ ისტორიული ეთნოგრაფიული კუთხეებისა და სამწიგნობრო ენასთან თუ ერთმანეთთან სისტემური მსგავსება-განსხვავების მიხედვით. გარკვეულწილად პირველი კრიტერიუმიც გულისხმობს სამწიგნობრო ენის მონაცემებთან კონკრეტული სამეტყველო ერთეულის (დიალექტის) ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების მსგავსება-განსხვავებას; მეორე კი გვეხმარება მეტ-ნაკლები სიზუსტით განვსაზღვოთ დიალექტების გავრცელების არე.

მოცემულ სქემაში მეგრულ-ლაზურ(ჭანურ)-სვანური, დანარჩენ ქართულ კილოებთან ერთად, წარმოდგენილია ქართული/ქართველური ენის ქვესისტემებად და არა დამოუკიდებელ ენობრივ სისტემებად.

ეთნიკურ ქართველთა კუთხურ მეტყველებებს სამ ძირითად ჯგუფად ვყოფთ:

ცენტრალური კილოები — დიალექტები, რომლებიც სამწიგნობრო ენასთან მეტ სიახლოვეს ინარჩუნებენ ინტენსიური ურთიერთ-

⁶⁵ არ ვგულისხმობთ მხოლოდ დღევანდელ დედაქალაქს; სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქციას სხვა ქალაქებიც ასრულებდა (არტანუჯი, ქუთაისი, მცხეთა...)

გავლენების გამო (პოლიტიკური, საგანმანათლებლო თუ საეკლესიო ცენტრების სიახლოვეს უფრო ძლიერია სამწიგნობრო ენის გავლენა). განაპირა კილოები — დიალექტები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაშორებულნი არიან სამწიგნობრო ქართულს; საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული კილოები.

ქვემოთ წარმოდგენილ კლასიფიკაციას აქვს ლოგიკურობის პრეტენზია, მაგრამ, როგორც ზემოთ განხილული ყველა დაჯგუფება, ესეც გარკვეულწილად პირობითია:

I. ცენტრალური კილოები: კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული.

II. განაპირა კილოები:

ა) მესხური კილოები: აჭარული, ლივანური, მაჭახლური, იმერხეული (შავშური), ტაოური, სამცხური, ჯავახური.

ბ) ფხოვური კილოები: ჩაღმა-თუშური, წოვა-თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული.

გ) რაჭული კილოები: ბარის რაჭული, მთარაჭული⁶⁶.

დ) ჰერული კილოები: კაკური, ალიაბათური.

ე) ზანური კილოები: მეგრული (აღმოსავლური — სენაკური, დასავლური — ზუგდიდურ-სამურზაყანოული), ლაზური (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური).

ვ) სვანური კილოები: ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული, ბალსქვემოური, ბალსზემოური.

III. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები:

— ფერეიდნული დიალექტი (სპარსეთში შაჰ-აბასის მიერ გადასახლებულ ქართველთა მეტყველება).

— „ჩვენებურების ქართული“ (ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენში, კაიზერის მიდამოებში... გადასახლებულ მუჰაჯირთა ქართული მეტყველება);

— ყიზლარ-მოზდოკსა და სოჭის მხარეში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება (ტ. ფუტკარაძე, 2001: 221; 2005: 75-76).

მოკლედ მიმოვიხილავთ ჯგუფებსა და ქვეჯგუფებს:

ცენტრალურ კილოებში გავაერთიანეთ ბოლო 10 საუკუნეში ქართული სახელმწიფოსა და სამეფოების დედაქალაქების — ქუთაისის, მცხეთა-თბილისისა და თელავის გარშემო არსებული კუთხეების მცხოვრებთა მეტყველებები: იმერული, გურული, ლეჩხუმური, ქართლური და კახური. ამ დიალექტებმა ქართველთა სახელმწიფო და საეკლესიო ენასთან /ქართულ სამწიგნობრო ენასთან/ აქტიური კონტაქტით მეტი სიახლოვე შეინარჩუნეს საერთოქართველურ ენასთან — სამწიგნობრო ენის ამოსავალ ენობრივ სისტემასთან.

განაპირა კილოები მეტ-ნაკლებად დისტანცირებულნი არიან სამწიგნობრო ენისაგან. ერთმანეთთან მსგავსება-განსხვავების მიხედვით გამოვყავით შემდეგი ჯგუფები:

⁶⁶ წიგნის თანავტორის — ეკა დადიანის აზრით, რაჭული ერთი დიალექტია.

მესხური კილოები. ტერმინში „მესხური“ ჩვენ მიერ მოაზრებულია ისტორიული მესხეთის — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლის) — მხარეების: სამცხის, ჯავახეთის, აჭარის, მაჭახელის, ლივანის, იმერხევის (შავშეთის), ტაოს მკვიდრ (ავტოქტონ) ქართველთა საშინაო მეტყველებები.

შდრ.: ისტორიული მესხეთის ტერიტორია მოიცავდა მდ. მტკვრის აუზის ზემო ნაწილს (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა) და მდ. ჭოროხის აუზს მთლიანად (აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი). ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდა ქართველების ერთ-ერთი დიდი და უძველესი თემი — მესხები. აქედან მომდინარეობს მხარის სახელწოდებაც — მესხეთი.

ბერძნულ-რომაულ წყაროებში მესხები სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიება: მოსხები, მოსოხები, მოსოხენები, მესხენები, მუშქები... ვარაუდობენ, რომ **მესხ-, მოსხ-, მუსხ-** ფუძეები ქართველური დიალექტური ვარიანტებია; მათთვის ამოსავლად ივარაუდება ***მას-** ძირი, ხოლო **-ხ-** შეიძლება იყოს ხურიტულ-ურარტულ-კავკასიური სუფიქსი, რომელიც კრებითობა-წარმომავლობას გამოხატავს. პარალელურ ფორმათა არსებობა შესაძლოა სხვა ფაქტორებითაც აიხსნას, კერძოდ, მიზეზი წინარექართველურ-კავკასიურ პერიოდსა და სხვადასხვა მსესხებელ ენათა ფონემატურ თავისებურებებში უნდა ვეძიოთ. **მოსხები/მესხები** ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში განზოგადებული იყო „ყოველთა ქართველთა“ სახელად.

ისტორიული მესხეთის დიდი ნაწილი დღეს თურქეთის შემადგენლობაშია; კერძოდ: ზემო მაჭახელი (ქვემო მაჭახელი საქართველოს ეკუთვნის), ლივანას დიდი ნაწილი (ლივანას ნაწილი საქართველოს შემადგენლობაშია), შავშეთი, არტანუჯი, ტაო, კოლა, ერუშეთი (არტანუჯში, შავშეთის ნაწილში, კოლასა და ერუშეთში ქართული ენა აღარაა შემორჩენილი); აქ მცხოვრები ქართველების საცხოვრისი საქართველოა, თუმცა სახელმწიფოებრივად ისტორიული საქართველოს ეს ნაწილი თურქეთის შემადგენლობაშია. ასეთი სიტუაცია მეტი საფრთხის წინაშე აყენებს მაჭახლურს, ლივანურს, იმერხელს, ტაოურს⁶⁷. მესხური კილოებიდან დღეს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედის: აჭარული, სამცხური და ჯავახური; ასევე, მაჭახლური დიალექტის ნაწილი (ზემომაჭახლური), ლივანური დიალექტის მცირე ნაწილი. სხვა მესხური კილოები კი თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია.

⁶⁷ თურქეთში მოქცეულ საქართველოს ამ ნაწილში ქართული დიალექტური ტექსტების აკადემიური ნიმუშები პირველად ჩაიწერა ნიკო მარმა და იმერხელი დიალექტი უწოდა. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებული ზეპირი მეტყველებების მართებული კლასიფიკაცია პირველად წარმოადგინა შ. ფუტყარაძემ, რომელმაც ფაქტობრივი მასალის საფუძველზე გამოყო: მაჭახლური, ლივანური, იმერხელი და ტაოური (შ. ფუტყარაძე, 1993; შ. ფუტყარაძე, 2016); შდრ., სამხრულ-დასავლური კილოების მ. ფალავასელი სია: აჭარული (ზემოაჭარული, ქვემოაჭარული, ქობულეთური კილოკავებით), შავშური (მაჭახლური და იმერხელი კილოკავებით), კლარჯული (იგივე ლივანური), ტაოური (მ. ფალავა, 2004: 8-9).

დღეს „მესხეთის“ მნიშვნელობა დავიწროვებულია. მესხური კი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება ან საკუთრივ სამცხურის, ან სამცხურ-ჯავახურის აღსანიშნავად. ვფიქრობთ, ლოგიკურია, მესხეთის გამოყენება ტრადიციული მნიშვნელობით, ხოლო რამდენადაც ისტორიულ მესხეთში არსებულ ქართველურ კილოებს ბევრი საერთო მოვლენა ახასიათებს, საფუძველი გვაქვს ისინი ერთ ჯგუფში გავაერთიანოთ⁶⁸.

საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში დარჩენილი მესხური კილოები: აჭარული, სამცხური და ჯავახური. ამათგან აჭარული ძალიან ახლოსაა მაჭახლურსა და იმერხელთან; ლივანურს ლაზურის აშკარა გავლენა ეტყობა, ტაოური კი სრულიად განსხვავებულია. ერთმანეთთან ახლოსაა სამცხური და ჯავახური. შესაძლებელია მათი დამოუკიდებელ კილოებად განხილვაც და ერთი კილოს კილოკავებადაც; თუმცა, ზოგი ენობრივი მოვლენის გათვალისწინებით (მაგ., თემის ნიშნები, ლექსიკური თავისებურებები...) მაინც ცალ-ცალკე ვაფიქსირებთ.

რაჭული მეტყველება დიალექტური თვალსაზრისით მრავალფეროვანია. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ის, რომ მკვლევრები რაჭული მეტყველების სხვადასხვაგვარ კლასიფიკაციას (კვალიფიკაციას) გვთავაზობენ; კერძოდ:

შ. ძიძიგური ერთ-ერთ ნაშრომში („ქართული ენის მთარაჭული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი“) მთარაჭულს ცალკე დიალექტად მიიჩნევს და სამართლიანად თვლის, რომ მთარაჭული რიგი ენობრივი ნიშნებით აღმოსავლეთ საქართველოს კილოების ჯგუფს განეკუთვნება (შ. ძიძიგური, 1937). ავტორისთვის მისაღებია ტერმინი „მთარაჭული“. შ. ძიძიგური წერს: „მთარაჭული“ მეტყველების გაერთიანება ზემორაჭულთან შეუძლებელია მათ შორის არსებული ენობრივი სხვაობის გამო... ამ ადგილებთან (იგულისხმება მთარაჭა) შედარებით ჩამოღმა რაჭის მდებარეობა ბარს ემსგავსება, მით უმეტეს, რომ უმეტესობა სოფლებისა (ზემო და ქვემო რაჭაში) რიონის დაბლობშია გაშენებული. ასეთი შედარებითი დაპირისპირება მთისა და ბარისა სხვაგანაც ცნობილია“ (შ. ძიძიგური, 1954: 183). მკვლევრის დაკვირვებით, ქვემო რაჭის მთის მეტყველება ახლოს დგას ზემორაჭულთან, აგრეთვე ზემომიერეთის სოფლებთან; ხოლო ქვემო რაჭის ბარის მეტყველება ლეჩხუმურთან ავლენს სიახლოვეს. წარმოდგენილია ქვემორაჭულის მთისა და ბარის მეტყველებას შორის არსებული განსხვავებული ნიშნები (იქვე: 241-242); რაჭული

⁶⁸ შდრ.: აღნიშნული დიალექტებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად დამოუკიდებელ ერთეულებად გამოყოფილია აჭარული, იმერხელი, სამცხური და ჯავახური. **სამცხურის** (მესხურის) და **ჯავახურის** სტატუსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა; მკვლევართა ნაწილი (ა. მარტიროსოვი, 1950; ი. გივინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961; გრ. ბერიძე, 1988...) ცალკე დიალექტებად განიხილავს, ნაწილი კი (ბ. ჯორბენაძე, 1989: 374) მესხურის კილოკავებად მიიჩნევს; არნ. ჩიქობავას აზრით, მესხურ-ჯავახური ქართლური დიალექტის კილოკავად შეიძლება განვიხილოთ (არნ. ჩიქობავა, 1965: 5-6).

მეტყველების მისეული ბოლო დაყოფა ასეთია: ქვემორაჭული, ზემორაჭული და მთარაჭული.

ვ. თოფურის აზრით, რაჭული ოთხ კილოკავად იყოფა: რივნისთაური — ღები-ჭიორას მეტყველება, გლოლური, ზემორაჭული და ქვემორაჭული (ვ. თოფურია, 1961); გ. ნებიერიძე კი რაჭულ კილოს სამ კილოკავად წარმოადგენს: გლოლური, მთარაჭული, ქვემორაჭული (გ. ნებიერიძე, 1965).

მთარაჭა (მთის რაჭა) მოიცავს სამ სოფელს: გლოლას, ღებსა და ჭიორას. ისტორიულ წყაროებში გლოლა-ღები-ჭიორა „მთიულეთის“ სახელითაა მოხსენიებული. ადგილობრივები ორივე ტერმინს იყენებენ. ამ კუთხის რაჭველები დღესაც თავიანთ თავს „მთიულებს“ ეძახიან; შესაბამისად, ეთნოგრაფიულადაც უფრო ლოგიკურია, რაჭული მეტყველება გაიყოს ორ დიალექტად: მთის რაჭულად (მთარაჭულად) და ბარის რაჭულად. მთის რაჭულში განიჩევა გლოლისა და ღები-ჭიორას მეტყველება (მათ შორის მსგავსება-განსხვავების შესახებ იხ.: ვ. თოფურია, 1961), ბარის რაჭულში კი — ზემო- და ქვემორაჭული. რაჭული მეტყველების ამგვარი დაყოფა გამართლებულია ენობრივი თვალსაზრისით: მთარაჭულსა და დანარჩენ რაჭულ მეტყველებას შორის უფრო მეტი სხვაობაა, ვიდრე ზემო- და ქვემორაჭულად სახელდებულ ერთეულებს შორის.

ფხოვეურ კილოებში შეგვაქვს: ფშავეური, ხევსურული, ჩაღმა-თუშური, წოვა-თუშური, მოხეური და მთიულურ-გუდამაყრული; შდრ.: ა. შანიძეს და თ. უთურგაიძეს ფხოვეურ კილოთა ჯგუფში შეაქვთ: ფშაური, ხევსურული, მოხეური, თუშური (ა. შანიძე, 1957; თ. უთურგაიძე, 1986: 96). ამასთან, ზოგი ფიქრობს, რომ წოვა-თუშური საერთოდ არ უნდა შევიტანოთ ქართული ზეპირი მეტყველებების ჩამონათვალში⁶⁹.

წოვა-თუშები ქართველები არიან; მათი დედაენაა ქართული ენა, მშობლიური საოჯახო მეტყველება კი — წოვა-თუშური, რომელიც ასახულია არქაული ქართულიც და ვაინახურიც. ზემოთ ჩვენ წარმოვადგინეთ ეთნიკურ ქართველთა კუთხური მეტყველებების კლასიფიკაცია; შესაბამისად, სწორედ ამ ჩამონათვალშია წოვა-თუშურის ადგილი და არა სადმე სხვაგან.

„ფხოვიც“ ისტორიული ტერმინია; ძველ წყაროებში „ფხოვი“ ორი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის — ფშავისა და ხევსურულის — აღსანიშნავად გამოიყენებოდა, შესაბამისად, ფხოელნი გულისხმობდა ხევსურებსა და ფშავლებს. ამის შესახებ ვახუშტიც აღნიშნავს: „...აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურეთს, რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი“ (ვახუშტი, 1941).

„ფხოელები“ წყაროებში პირველად „ქართლის ცხოვრებაში“ იხსენიება. წმინდა ნინომ სხვა ქართველ მთიელებთან (ჭართალები, წილკნელები, გუდამაყრელები) ერთად ფხოველებსაც

⁶⁹ იხ. მაგ: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია; დიალექტები, II, თბ., 2016: 23

უქადაგა ქრისტიანობა. მათ ქრისტიანობა არ მიუღიათ, რის გამოც „ფხოელთა დაუტევს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“ (ქართლის ცხოვრება, 1959: 125-126).

გარკვეული პირობითობით ტერმინი „ფხოური“ შეიძლება განზოგადდეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული კილოების აღსანიშნავად.

ჰერულ კილოთა ჯგუფში გაერთიანდა საინგილოს ქართველთა მეტყველების სახესხვაობები⁷⁰.

სპეციალურ ლიტერატურაში ინგილოური განიხილება ერთიან დიალექტად, რომლის კილოკავებსაც წარმოადგენს კაკური და ალიაბადური (გრ. იმნაიშვილი, 1953; რ. ღამბაშიძე, 1947; ნ. როსტიაშვილი, 1958; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961; ბ. ჯორბენაძე, 1989...); შდრ.: რ. ერკერი ინგილოურს გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ორ ნაწილად ყოფს: ა) „მთის ინგილოური“, ბ) „სამხრული ინგილოური“. ინგილოური მეტყველების მრავალფეროვნებაზე მიუთითებს ბ. ჯორბენაძე: „ერთიანი (საყრდენი) ეროვნული ენისგან თითქმის სრულმა მოწყვეტამ, სარწმუნოებრივმა სხვაობამ, სხვაენოვანი მოსახლეობის მოძალეობამ შედეგად ის იქონია, რომ არც ერთ სხვა ქართულ კილოს არ ახასიათებს კილოკავებად, თქმებად, ქცევებად ისეთი მრავალფეროვანი და მკვეთრი დანაწილება, როგორც ინგილოურს“ (ბ. ჯორბენაძე, 1989: 339).

კაკისა და ალიაბადის მეტყველება საკმაოდ განსხვავდება; „ხშირად ურთიერთგაგებინებაც კი უჭირთ, განსხვავება ნათლად ჩანს ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში“ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 9).

სხვა ავტორებისაგან განსხვავებით, ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური სხვაობების საფუძველზე, ჰერული მეტყველება კაკურ და ალიაბადურ კილოებად არის ჩათვლილი ვ. კიზიბაბაშვილისა და ტ. ფუტყარაძის ნაშრომში, რომელიც საგანგებოდ ამ თემას მიეძღვნა (დაწვრ. იხ. ვ. კუზიბაბაშვილი, ტ. ფუტყარაძე, 2002).

განაპირა კილოების ერთ-ერთ თვითმყოფად ჯგუფს ქმნის **მეგრული** და **ლაზური (ჭანური)**; მათ საერთო სახელად შემოთავაზებულია **კოლხური ენა** (გ. როზენი, აკ. შანიძე...) და

⁷⁰ თეიმურაზ ბატონიშვილი: „ჰერსს ანუ ჰეროსს განუჩინა ადგილნი: აღმოსავლით კავკასია, დასავლით მდინარე მტკვარი, სამხრით საზღვრადმდე მოვაკოჟსა და ჩრდილოდ ტყე-ტბადმდე. ამან უწინარეს ყოველთა ძმათა თჳსთა აღაშენა ქალაქი და ციხე, სადაცა იყრებიან ორნი მდინარენი ივერი დიდი (ესე იგი ალაზანი) და ივერა (ანუ იორა) მცირე, ესე იგი იორი. ამა ორთა მდინარეთა შესაყარსა საშუალ და უწოდა ხორნა-ბუჯი ანუ ხორანთა (ხორა სახელედებოდა მეუღლესა ამისსა)“.

სამეცნიერო ლიტერატურაში კამათის საგანია ჰერეთისა და საინგილოს გაიგივება; ჩვენი აზრით, ისტორიული წყაროების გათვალისწინებით შესაძლებელია ინგილოსაგან ნაწარმოები კუთხის სახელის — საინგილოს — ნაცვლად გამოვიყენოთ „ჰერეთი“.

ზანური ენა. მეგრულ-ლაზური დიალექტური ჯგუფის სახელად უმჯობესია არნ. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებული „ზანური“.

სპეციალურ ლიტერატურაში მეგრულ-ჭანური მეტყველება სხვადასხვაგვარადაა კვალიფიცირებული:

მკვლევართა ნაწილი მეგრულ-ჭანურ-სვანურ მეტყველებებს ქართული (ქართველური) ენის დიალექტებად განიხილავს (ი. გიულდენშტედტი, ფრ. ალტერი, მ. ბროსე, პ. ჭარაია, პ. მირიანაშვილი, წმ. ამბროსი ხელაია, ს. ხუნდაძე, თ. სახოკია, ტ. ფუტყარაძე, თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, ა. ლომთაძე, მ. ნაჭყებია, ე. დადიანი...).

ზოგი მკვლევარი (პ. შუხარდტი, ნ. მარი⁷¹, ი. ყიფშიძე, ად. დირი, ანტ. მეიე, შ. ბერიძე, გ. კარტოზია, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი...) მათ დამოუკიდებელ ენებად მიიჩნევს, ზოგიც (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ჟ. დიუმეზილი, ა. კიზირია, გ. კლიმოვი, ს. ჟლენტი, ბ. ჯორბენაძე, ნ. ქუთელია...) ზანური/კოლხური ენის კილოებად განიხილავს.

ჩვენი აზრით, საერთოქართველური ენის უშუალო გავრძელებასთან — ქართულ ენასთან (ქართველთა დედაენასთან) — მიმართებით მეორეული ქვესისტემები — მეგრული და ლაზური (ჭანური) ქართველთა ერთი ნაწილის — მეგრელებისა და ლაზების დიალექტებია.

განაპირა კილოებს შორის ქართული სალიტერატურო ენისაგან ყველაზე მეტად განსხვავებულია **სვანური კილოები**. ეს სხვაობა შეპირობებულია ქართველური ენობრივი სამყაროს ცენტრალური ნაწილისგან სიშორითა და ლანდშაფტის გამო სხვა ქართველურ ქვესისტემებისგან იზოლირებით, ასევე, ჩრდილო კავკასიაში არსებული იბერიულ-კავკასიური და თურქული ენების (ბალყარული, ყარაჩაული) ზეგავლენით; მაგ., სვანეთისათვის ისეთი მნიშვნელოვანი სიტყვები, როგორცაა **ცეცხლი** (ლემესგ), **თოვლი** (მუს), **ცხენი** (ჩაჟ), **კოშკი** (მურყვამ) და სხვ. ნასესხებია ჩერქეზულიდან. თურქული ენების გავლენით უნდა აიხსნას სვანურ კილოებში პალატალიზებული ხმოვნების არსებობა და სხვ.

სვანური კილოებისა და კილოკავებ-თქმების გამოყოფა ნ. მარის სახელთანაა დაკავშირებული. მანვე დაადგინა ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნები (ხმოვნის სიგრძე, უმლაუტი, სხვაობა ბრუნებასა და უღლებაში, ლექსიკური თავისებურებანი). მკვლევარი ოთხ კილოს ასახელებს: ზემო-ინგურული, ქვემო-ინგურული, ზემო-ლაშხური ანუ ლაშხური და ქვემო-ლაშხური ანუ ლენტეხურ-ჩოლურული (ნ. მარი, 1913: 15-16). სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია სვანურ კილოთა ნ. მარისეული კლასიფიკაცია, მხოლოდ სახელწოდებებია შეცვლილი: ბალსემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური (ა. შანიძე, 1925: 171-172; ვ. თოფურია, 2002: 155).

⁷¹ ნ. მარი 1908 წელს გამოცემულ „ძველი ქართული ენის ტაბულაში“ ჭანურსა და მეგრულს ერთი ენის კილოებად მიიჩნევს.

გარდა დასახელებული კილოებისა, გამოყოფენ მეხუთე ერთეულსაც — **ჩოლურულს**. ჩოლური მდებარეობს ლაშხეთსა და ლენტეხს შორის, აქედან გამომდინარე, ორივე კილოს ძირითადი ფონეტიკური მოვლენები ახასიათებს; ლაშხურთან მას გრძელი ხმოვნები და რედუქცია აერთიანებს, ხოლო ლენტეხურთან — უმლაუტი. ჩოლურულთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა; ვ. თოფურია, ა. შანიძე... ჩოლურულ მეტყველებას ლენტეხურსა და ლაშხურს აკუთვნებენ.

ა. შანიძე: „*ჩოლურული ცალკე კილოს არ წარმოადგენს. ენობრივად იგი ორ ნაწილად იყოფა: ზემო ნაწილი ლაშხურის კილოკავია, ქვემო ნაწილი კი (სოფ. საყდარი, ბულეში, მუწლი) — ლენტეხურია. თუმცა უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ზემო ჩოლურულში უმლაუტებიც არის, რომლებიც მას ლენტეხურთან აახლოებს, ხოლო ქვემო ჩოლურულში გრძელი ხმოვნებიც მოიპოვება, რაიცა მას ლაშხურთან აკავშირებს*“ (ა. შანიძე, 1925: 322).

ვ. თოფურია: „*ჩოლურული ფონეტიკურად ლენტეხურსაც უკავშირდება (უმლაუტი) და ლაშხურსაც (გრძელი ხმოვნები). მაგრამ კილო ნომ თავისებურებათა ერთობლიობაა, მაშ, საჭიროა სხვა თავისებურებათა გათვალისწინებაც, მანამდე ჩოლურულის კვალიფიკაცია ნაადრევი გამოვა. სამაგიეროდ, სოფ. საყდრის მეტყველება გარდამავალი დიალექტის იშვიათ ეგზემპლარს უნდა წარმოადგენდეს*“ (ვ. თოფურია, 1965: 63; 2002: 58).

ა. ონიანი ჩოლურულს ცალკე დიალექტურ ერთეულად მიიჩნევს. მისი დამოუკიდებელ კილოდ გამოყოფის საფუძველი ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური და ინტონაციური თავისებურებებია. ჩოლურული ენობრივი ნიშნებით ერთიანი დიალექტია, ხოლო განსხვავება „*ზემო და ქვემო ჩოლურულს შორის არ სცილდება კილოკაურ სხვაობათა ფარგლებს*“ (ა. ონიანი, 1998: 8; იხ. აგრეთვე: ალ. ონიანი, 1986). ჩოლურული მეტყველება სხვა თავისებურებებითაც გამოირჩევა (ლ. ბაბლუანი, 2003).

მკვლევართა ნაწილი არ იზიარებს ჩოლურულის დამოუკიდებელ კილოდ გამოყოფას. მიუთითებენ, რომ ჩოლურულის ცალკე კილოდ მიჩნევის შემთხვევაში ირღვევა საკლასიფიკაციო პრინციპი, კერძოდ: თუ ტრადიციული ოთხი კილო გამოყოფილია ფონეტიკური პრინციპის მიხედვით, მეხუთე ერთეულის დიალექტად ჩათვლის საფუძველი ლინგვისტური კრიტერიუმია. საკლასიფიკაციო პრინციპების აღრევა კი გაუმართლებელია. ამასთან, ლინგვისტურ პრინციპის შემოტანის შემთხვევაში გადასასინჯი იქნება დანარჩენ კილოთა თუ კილოკავთა გამოყოფის მიზანშეწონილობა, მაგ., ლახამულურის სტატუსი (გ. გოგოლაშვილი, 2004: 5-6). არგუმენტად მოყვანილია ის გარემოება, რომ ლახამულური „*თვალსაჩინოდ განსხვავდება სვანური ენის სხვა დიალექტთაგან გრამატიკის ყველა დონეზე*“ (მ. ქალდანი, 1956: 161).

ჩვენთვის მისაღებია ა. ონიანის თვალსაზრისი, რამდენადაც ჩოლურული სხვა კილოებისაგან განსხვავდება არაერთი ენობრივი მოვლენით.

ცალკე მსჯელობის საგანია დალის ხეობის სვანური მეტყველება; დალის სვანეთი მდებარეობს კოდორის ხეობის ზემო წელში — ე.წ. ზემო აფხაზეთში, სადაც ისტორიულად ცხოვრობდნენ მისიმიელები (რომლებიც სვანებად მიიჩნევიან). 1867 წელს რუსეთის იმპერიამ აქაური მოსახლეობა ოსმალეთში გაასახლა; ამჟამად აქ ცხოვრობენ ზემო სვანეთიდან XIX საუკუნეში გადმოსახლებული ქართველები, რომელთაც შემონახული აქვთ ბალსქვემოური და ბალსზემოური კილოების ძირითადი თავისებურებანი; თუმცა, ბუნებრივია, შეინიშნება სამეტყველო კოდების შერევა: კოდორის ხეობის სვანური მეტყველების ნიმუშები გამოქვეყნდა 2014 წელს (ავტორები: ი. ჩანტლაძე,

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები პირობითი სახელწოდებაა, რამდენადაც ამ ჯგუფში გაერთიანებულ მეტყველებათაგან მხოლოდ ერთი — ფერეიდნული ჩაითვლება დამოუკიდებელ დიალექტად.

„ჩვენებურების ქართული“ ფაქტობრივად მოიცავს აჭარიდან, მაჭახლიდან, ლივანიდან, იმერხევიდან და ტაოდან შუა თურქეთში გადასახლებულთა დიალექტებს, თუმცა შეინიშნება, რომ თურქეთის გავლენა და შუა თურქეთში აჭარული დიალექტის მფლობელთა სიმრავლე აჭარული კილოს ბაზაზე ნელ-ნელა აყალიბებს ერთიან ენობრივ კონტინუუმს, რომელიც გარკვეულწილად ემიჯნება აჭარულ კილოს და რომელსაც შეიძლება ეწოდოს ქართველ მუჰაჯირთა მეტყველება⁷².

ამავე ჯგუფში განვიხილავთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ყიზლარ-მოზდოკსა და სოჭის მხარეში გადასახლებულ ქართველთა მეტყველებას. ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურის, ი. ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ I ტომში ვკითხულობთ:

„ყიზლარ-მოზდოკური ქართული ცალკე დიალექტურ ერთეულს არ წარმოადგენს... ყიზლარ-მოზდოკური ქართულის შესწავლა მნიშვნელოვანია ენათა შერევისა და დიალექტთა შერწყმის საკითხთა გასაშუქებლად“ (ი. გიგინეიშვილი., 1961: 166). ჩვენთვის მისაღებია დამოწმებული მსჯელობა: ყიზლარ-მოზდოკელ და სოჭელ ქართველთა მეტყველება, რა თქმა უნდა, არ არის ისეთივე დიალექტი, როგორიც, მაგ., გურული, მაგრამ მაინც შეგვაქვს დიალექტების ჩამონათვალში რამდენიმე მიზეზის გამო:

— რუსულენოვან ველში მოხვედრილ ქართველთა სხვადასხვა კილო რუსულის გავლენის გამო გარკვეულწილად ერთგვაროვანი გახდა;

⁷² მუჰაჯირთა მეტყველებაზე ანუ ჩვენებურების ქართულზე პირველი სერიოზული გამოკვლევა დაწერა შ. ფუტკარაძემ. ავტორი იმერხეული, ლივანური, მაჭახლური, ტაოური დიალექტების მსგავსად ცალკე განიხილავს მუჰაჯირთა მეტყველების თავისებურებებს (შ. ფუტკარაძე, 1993; შ. ფუტკარაძე, 2016).

— როგორც თურქეთსა თუ ირანში გადასახლებულ ქართველთა, ასევე რუსული ენის გავლენის ველში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება საინტერესოა ენათა და დიალექტურ სამეტყველო კოდთა შერევის თვალსწრისით;

— სხვაენოვან სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველთა ზეპირი მეტყველებები რეალური გაქრობის საფრთხის წინაშე დგანან; შესაბამისად, საშურია მათი დაფიქსირებაც და შესწავლაც; თუკი ქართველურ კილოთა ჩამონათვალში მათ არ შევიტანთ, უფრო გაიზრდება საფრთხე, მეცნიერთა მენსიერებიდანაც გაქრეს ყიზლარ-მოზდოკსა თუ სოჭის მხარეში მცხოვრებ ქართველთა ქართული.

ყიზლარ-მოზდოკური ცალკე დიალექტურ ერთეულად სხვა მკვლევრებთანაც გვხდება (იხ. ზემოთ)⁷³.

ცენტრალურ და განაპირა დიალექტებს ერთმანეთისაგან განასხვავებს სამწიგნობრო ქართულთან სიახლოვე, მაგრამ საერთო აქვთ ის, რომ ავტოქთონი მოსახლეობის სამეტყველო ერთეულებია; მაგ., ლაზები, იმერხეველები თუ ტაოელები სხვა ქვეყნის — თურქეთის — სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, მაგრამ საკუთარ მიწა-წყალზე ცხოვრობენ. მესამე ჯგუფში — **საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა ზეპირი მეტყველებები** — გავრცელებულია საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სრულიად უცხო მიწაზე, სადაც გაცილებით ძლიერია სხვა სახელმწიფო ენის ზემოქმედება და ამქართველური კილოების გაქრობის საფრთხე.

ზემოთ წარმოდგენილი ყველა კლასიფიკაცია გარკვეულ კრიტერიუმს/კრიტერიუმებს ეფუძნება და მეტ-ნაკლებად პირობითია; ყოველი ახალი კვალიფიკაცია უნდა ითვალისწინებდეს წინას სუსტ მხარეებს; ახალი დაჯგუფება უფრო ლოგიკური და მეცნიერულად არგუმენტირებული უნდა იყოს... ჩვენი აზრით, ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიის, თანამედროვე ქართველური ქვესისტემების ენობრივი მახასიათებლებისა და მათი ფუნქციონირების ველის გათვალისწინებით, ლოგიკურია ქართველური ქვესისტემები/იდიომები წარმოვადგინოთ ერთ სამწიგნობრო ენად — ქართულ ენად და ამ ენის 30-მდე ზეპირ ნაირსახეობად. უმჯობესია, ზეპირი ქართველური მეტყველებები დაჯგუფდეს ცენტრალურ, განაპირა და საქართველოს ისტორიული საზღვრების მიღმა არსებულ დიალექტებად.

⁷³ შდრ. გ. გოგოლაშვილის აზრით, შეცდომაა ყიზლარ-მოზდოკურის შეტანა თანამედროვე ქართულ დიალექტებში, რადგანაც ის მიიჩნევს, რომ ეს ქართული მეტყველება ფაქტობრივად აღარ არსებობს... (გ. გოგოლაშვილი, 2007: 104-105); ქართველები ყიზლარ-მოზდოკში ჯერ კიდევ ცხოვრობენ; ასევე პლასტუნკამიც; სპეციალისტთა მიერ ჩაწერილია მათი მეტყველება, რომელიც შეტანილია დიალექტოლოგიური ტექსტების ქრესტომათიაში, შესაბამისად, აუცილებელია მოქცევა ქართველური ზეპირი მეტყველებების (დიალექტების) ჩამონათვალში.

თავი II: ეთნიკურ ქართველთა დიალექტების ზოგადი დახასიათება

ცენტრალური კილოები

2.1. ქართლური დიალექტი

საზღვრები.

ქართლურ კილოზე მეტყველი ქართველები საქართველოს დღევანდელი საზღვრების მიხედვით ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში — ქართლში ცხოვრობენ; ქართლი მდებარეობს კახეთსა და იმერეთს შორის და უჭირავს საქართველოს შუაგული ადგილი. ქართლს ჩრდილოეთით ესაზღვრება კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით — მდ. არაგვი და მტკვარი, სამხრეთით — სომხეთი და თურქეთი, დასავლეთით — ლიხის (ანუ სურამის) მთა. თრიალეთის მთა ქართლს ორ ნაწილად ყოფს: ჩრდილოეთით საკუთრივ ქართლი მდებარეობს, სამხრეთით — ზემო ქართლი, ანუ ახალციხის მხარე და ჯავახეთი.

ქართლი სამ ნაწილად იყოფა: შიდა ქართლი (ცენტრალური ნაწილი), ქვემო ქართლი (სამხრეთი ნაწილი), ზემო ქართლი (სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი). ქართულ წყაროებში შიდა ქართლს ეწოდებოდა „ზენა სოფელი“, ხოლო ქვემო ქართლს — „ქვენა სოფელი“. ზემო ქართლი მესხეთის სახელითაც მოიხსენიება (პოლიტიკური „სამცხე-საათაბაგო“).

ქართლის მთავარი მდინარეა **მტკვარი**. მტკვრის დინების მიხედვით ქართლი ისტორიულად იყოფოდა შემდეგ ნაწილებად: ზემო ქართლი მოიცავდა მტკვრის ზედა დინებას, დაწყებული მისი სათავეებიდან ტაშისკარამდე ; შიდა ქართლი — მტკვრის შუა დინება ტაშისკარიდან თბილისის ჩათვლით ; ქვემო ქართლი — მტკვრის ქვემო დინება — თრიალეთის ქედის მდინარეების (ხრამი და ალგეთი) აუზის ტერიტორიას მოიცავდა. მდინარე მტკვრის შენაკადებია : ქსანი, ფრონე, სურამულა. ქართლში მიედინება მდინარეები : დიდი ლიახვი, პატარა ლიახვი.

ქველ ქართულ ისტორიულ წყაროებში **ტერმინი „ქართლი“ აღნიშნავდა ქართველთა დიდ სახელმწიფოს**; კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ისტორიული ქართლი მოიცავს რვა დიდ საერისთავოდ დაყოფილ საქართველოს შემდეგ კუთხეებს: ეგრისს, სუანეთს, მარგუეთს, კახეთს, ჰერეთს, კუხეთს, გარდაბანს, ტაშირს, აბოცს, ჯავახეთს, კოლას, არტაანს, სამცხეს, აჭარას, კლარჯეთს (ქც, 1955 : 24-25). მდრ., გ.მერჩულე: „ქართლად ფრიალი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს“. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში დაწვრილებითაა აღწერილი ქართლის ყველა ხეობა, დასახლებული პუნქტები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები.

„ქართლის“, როგორც ქართველთა სახელმწიფოს სახელის, ნაცვლად ქორონიმი „საქართველო“ X საუკუნიდან ჩნდება.

საინტერესოა **ქართლ-**, **ქართუელ-** ფუძეების მიმართება და საერთო ძირის ეტიმოლოგია. **ქართლ-** და **ქართუელ-/ქართველ-** ფუძეების წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგვარი მოსაზრება გამოითქვა (სამეცნიერო ლიტერატურისა და მსჯელობისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, ქართველები, 2005):

ილია ჭავჭავაძე ფიქრობდა, რომ **ქალდი** ფორმისგან წარმოიქმნა ქართველთა ეთნარქის სახელი: **ქალდი > ქალდისი > ქართლოსი**.

ნიკო მარი **ქართ-/ქართლ-/ქართველ-** ფუძეებს უკავშირებდა **ქასდ-** ეთნონიმს: **ქასდივ- > ქართივ- > ქართივ-ელ-ი > ქართველი**. ნ. მარის აზრით, **ქასდ-** ფორმისგანაა მიღებული **ქალდ-/ხალდი-ც**.

ივანე ჯავახიშვილი ერთმანეთთან აკავშირებდა **ქართუ/კარდუ-**სა და **ქართველ-**ს; მისი აზრით, სიტყვა **ქართველის** პირველი ნაწილი **ქართუ** ჩვენი ქვეყნის სახელი უნდა იყოს, რომელიც ქართველთა თავდაპირველ საცხოვრისს ერქვა. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს თავდაპირველი საცხოვრისი იყო ურარტუ. ურარტუს ხალხი თავის-თავს **ქალდის** ანუ **ხალდის** ეძახდა. საფიქრებელია, რომ ეს ქალდები ქართველების ღვიძლი ძმები ყოფილიყვნენ (ივ. ჯავახიშვილი, 1960 : 411).

ქართველ- და **ქართლ-** ფუძეების ეტიმოლოგიისა თუ ისტორიის შესახებ არსებობს სხვა, ასევე, საუკუნის წინ შექმნილი თვალსაზრისი, რომელსაც დღესაც იზიარებს მეცნიერთა ერთი ნაწილი; მაგ., სარგის კაკაბაძის აზრით, **ქართლი** (არმაზის ძველი სახელი) დაკავშირებულია **ქართა** („ბაგა“), **ქორი**, **ქორედი**, **ქარდავი** და სვან. **ქვილთხი** („მაღალი“) სიტყვებთან. იხ., ასევე, გიორგი მელიქიშვილის მოსაზრება: ეთნონიმი **ქართველი** მომდინარეობს ინდოევროპული **ქართა** („ზღუდე“, „ციხესიმაგრე“, „კოშკი“. შდრ., სომხ. კერტ, რუს. გოროდ და სხვ.) ფუძიდან: **ქართა-ელი > ქართა-ვ-ელ-ი > ქართველი**. ამ ვარაუდს დამაჯერებელი არგუმენტაცია არ ახლავს.

აკაკი შანიძე თვლიდა, რომ თავდაპირველად ქართლი აღნიშნავდა ერს, რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში დაიპყრო მცხეთა და მიმდგომი ქვეყნები. დაპყრობილი ხალხი ალბათ იყვნენ მესხები, რომელთაც დამპყრობელი ქართლის ასიმილაცია მოახდინეს და მიიღეს მათი სახელი. აკ. შანიძის ვარაუდითვე, დამპყრობელი ხალხი — ქართლი იგივე პართნი ანუ პართიელები არიან; შესაბამისად: **პართნი > ქართლი** (მოხდა **პ > ქ** პროცესი და **ნ/ლ** სუბსტიტუცია); მისივე აზრით, სიტყვა **ქართველი** მიღებულია პართაველი ფორმისგან: **პართაველი > ქართველი**. ამ მოსაზრებაში საკამათოა როგორც ლინგვისტური არგუმენტაცია, ასევე, მოსაზრება მესხების ე.წ. გაქართველების შესახებ: „მესხები“ ოდითგანვე ქართველები იყვნენ.

დავით მუსხელიშვილი იმეორებს მოსაზრებას, რომ **ქართველი** მომდინარეობს სიტყვა **ქართუ-**სგან, რომელიც „ადვილი შესაძლებელია, პუნქტსაც და ქვეყანასაც ეწოდებოდა“; ის ნიკო ბერძენიშვილის კვალად თვლის, რომ არსებობდა **ქართი/ქართუ** ტომი, რომელმაც შემდგომ მოახდინა სხვა ქართველურ ტომთა კონსოლიდაცია-ასიმილაცია. ისტორიულ წყაროებში არ დასტურდება ქართის სახე-

ლით ცნობილი ტომი. გარდა ამისა, დაუსაბუთებელია მოსაზრება, რომ ერთმა ქართველურმა ტომმა მოახდინა სხვა ტომების ასიმილაცია.

ჩვენი აზრით, წარმომავლობის **-ელ-** სუფიქსის შემცველი ეთნონიმის — ქართუ-ელ-ი — საყრდენი ფუძე ქართუ- უნდა იყოს, რომელიც შეიძლება იყოს ქორონიმი /ადგილის სახელი/ ან ღვთაების სახელი; მეტი არგუმენტი ეძებნება მოსაზრებას, რომ ეთნონიმი „ქართველი“ მომდინარეობს ურარტულ-კავკასიური წარმართული ღვთაების — ხალდის/ქართის/ქართუს - სახელისგან: **ქართუ > ქართუ-ელ-ი.**

ქართლ- ფუძე კი იშლება ქართ- ძირად და -ლ სუფიქსად; **ქართლ-** ფუძეში არსებული **-ლ** სეგმენტი იგივე მონაცემი ჩანს, რაც არნ. ჩიქობავას მიერ სხვა სახელურ ფუძეებში გამოყოფილი უძველესი ფენის სუფიქსი; შდრ.:

სამწ. ქართ.: თოვ-ს, თოვ-ლ-ი და ზან.: თვირი/თირი;

სამწ. ქართ.: თეს-ავ-ს, თეს-ლ-ი და ზან.: თას-ი...

სამწ. ქართ.: მატყ-ლ-ი, ზან. მონტყ-ორ-ი და სვან.: მტყ;

სამწ. ქართ.: ძალ-ლ-ი და ზან. ჯოლ-ორ-ი, სვან.: ჟალჟ/ჟელჟ;

სამწ. ქართ.: თაფ-ლ-ი და ზან.: თოფ-ურ-ი, სვან.: თუ...

ღვთაების სახელისგან ეთნონიმისა და ქორონიმის წარმოქმნა უჩვეულო მოვლენა არ არის ძველ სამყაროში (შდრ., მაგ., ღვთაება ასური, ხალხი - ასურები და ქვეყანა ასურეთი).

ამჟამინდელი ტერმინი **ქართლი** გულისხმობს მხოლოდ ერთ ეთნოგრაფიულ კუთხეს, რომელშიც შედის შემდეგი ადმინისტრაციული რაიონები: კასპი, ქარელი, მცხეთა, გორი, ხაშური ცხინვალი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, ახალგორი, წალკა, ჯავა, ბორჯომი.

ენობრივი დახასიათება.

კილოკავები. ქართლური მეტყველება განსხვავებულია ქართლის ცალკეული ხეობებისა და რაიონების მიხედვით, თუმცა მათ საერთო ენობრივი მახასიათებლები აერთიანებს. ქართლის ცენტრალურ ნაწილს შედარებით ნაკლებად ემჩნევა სხვა კილოების გავლენა და უფრო შემონახულია ქართლურისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ქართლის სხვა ნაწილების მეტყველებაში თავს იჩენს მეზობელი კუთხეებისათვის ნიშანდობლივი მოვლენები. მაგალითად, ქსნისა და არაგვის ხეობაში მეტყველებას ეტყობა მთიულურის გავლენა; იმერეთის მოსაზღვრე სოფლებში შეიმჩნევა იმერიზმები.

დიალექტური თავისებურებების გათვალისწინებით სამეცნიერო ლიტერატურაში ქართლურ კილოში ოთხი ძირითადი კილოკავი გამოიყოფა:

1. **ცენტრალური ქართლური** (შუაქართლური ანუ შიდაქართლური) ; მოიცავს მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის რაიონებს;
2. **ჩრდილოური ქართლური** (არაგვისა და ქსნის ხეობათა მეტყველება);

3. **სამხრული ქართლური.** გამოიყოფა რამდენიმე თქმა: გომარული, წერაქვ-სიონური, რეხული, ალგეთური;

4. **დასავლური ქართლური** (ხაშურ-სურამისა და ბორჯომის ხეობის მეტყველება) (გრ. იმნაიშვილი, 1974: 20).

ცალკეულ კილოკავთა თუ თქმათა გასამიჯნად გამოვლენილია შემდეგი ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენები:

ს-ს რეფლექსები, გარდამავალი ბგერების (**ღს**, **ღჰ**) გაჩენა, **ჰ-ს** შემონახვა, ასიმილაციისა და დისიმილაციის მეტ-ნაკლები გავრცელება, ზოგიერთი ბგერის სუბსტიტუცია, პალატალიზებულ (უმლაუტიან) ხმოვანთა არსებობა-არარსებობა, **ვ-ს** ქცევა **ო** და **ი** ხმოვნებს შორის, მახვილი, ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის ნიშნის შემონახვა ან დაკარგვა, ზოგიერთი ნაცვალსახელის თავისებური წარმოება, ზმნის თემის ნიშნების უნიფიკაცია, **ი-ე-პრეფიქსი**ან ზმნურ ყალიბში მრ. რიცხვში **-ენ** (>**-ნ**) სუფიქსის გამოყენება მეორე სერიაში, სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის პრეფიქსების ხმარება... (გრ. იმნაიშვილი, 1974 : 20).

ქართლური კილო, სხვა დიალექტებთან შედარებით, უფრო ახლოს დგას სამწიგნობრო ქართულთან, ხოლო დიალექტთაგან ყველაზე მეტ საერთოს პოულობს კახურთან.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. ქართლურში, ყველა სხვა ქართველური კილოს მსგავსად, უფრო დასტურდება წყვილბაგისმიერი **ჟ მუღერი სპირანტი**, ვიდრე — **კბილბაგისმიერი ვ**, რომლის ყრუ ვარიანტია **ჟ** (თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ეს აღნიშნული არ არის). **ჰ** ბგერა გადმონაშთის სახით შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილო ქართლურში, რაც ფხოური კილოების, კერძოდ, მთიულურის გავლენით აიხსნება.

ღ (<**ჰს**), **ჰ** (<**ს**), **ღჰ**, **ღს** გავრცელებულია ქართლის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში, იშვიათია ქვემო ქართლის სოფლებში, საერთოდ არ დასტურდება დასავლეთ ნაწილში.

ღ წარმოადგენს: ა) **S₂** და **O₃ ჰ-ს-** ნიშნების რეფლექსს ხმოვნის მომდევნოდ: მა-**ღ**-ჭრი, გადა-**ღ**-ხვეტამენ... ბ) მიცემითი ბრუნვის **-ს** სუფიქსის ცვლილებას ხმოვანფუძიან სახელებთან: ნათელა-**ღ** დაუძახე... გ) ხმოვანფუძიან სახელებთან ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს>ღ**: ოქრო-**ღ** ბურთი... დ) **S₃ -ს** სუფიქსი ხმოვანი სუფიქსის მომდევნოდ იქცევა **ღ**-დ: დააბრუნო-**ღ**, გაუჭირდე-**ღ**... ე) მრ. რიცხვის **-ეს** სუფიქსი > **ეღ**: დაწერე-**ღ**, გააკეთე-**ღ**... ვ) ხმოვანთგამყარი: გა-**ღ**-ათხოვა „გაათხოვა“, დედა-**ღ**-ა „დედაა“, ზ) ზოგჯერ **ღ** < **ცზმ** ბგერებისაგან: როდესა-**ღ** „როდესაც“, გა-**ღ**-დილი „გაზრდილი“, მუ-**ღ**-ტი „მუშტი“...

ყველა ქართველურ ზეპირ მეტყველებაში ხმოვანთკომპლექსი მიისწრაფვის **ერთმარცვლოვნობისაკენ** (თ. უთურგაიძე, ტ. ფუტკარაძე): ხმოვანთკომპლექსი ტრანსფორმირდება ერთ გრძელ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთ ჩვეულებრივ ხმოვნად, ან ი-სა და უ-ს შემცველ ხმოვანკომპლექსად, ანდა **ღ-სა** და **ჟ-ს** შემცველ დიფთონგად. სწორედ ამ ტენდენციით უნდა აიხსნას ხმოვანთა ასიმილა-

ციისა და ო, ე ხმოვნების დავიწროების შემთხვევები. ქართლურში დადასტურებულია შემდეგი პროცესები:

ასიმილაცია: აე/ოე>ეე/ე: დაეწია > დეეწია, დაეძინა > დეეძინა... მოეტანა > მეეტანა, მოეყვანა > მეეყვანა ხმოვანთა ასიმილაცია გვაქვს დისტანციურ პოზიციაშიც: მოვეყვანე > მევეყვანე, წაგყვანა > წეგყვანა...

ო/ე ხმოვნების დავიწროება: ოა > უა, ოე > უე: გიგოა > გიგუა, მოაქ > მუაქ, მოახლე > მუახლე, აბანოები > აბანუები... მეასე > მისე, ტყეა>ტყია...

ვა > ო, ვე > ო, ვი > უ შედარებით გავრცელებულია ქართლის ჩრდილო ნაწილში და ქვემო ქართლის ზოგიერთ სოფელში: მარცვალი > მარცოლი, უშვებს > უშოფს, წვივი > წუვი... ლაბიალურ კომპლექსთა ცვლილება შედარებით იშვიათია ცენტრალურ ნაწილში; არ შეიმჩნევა ქართლის დასავლეთ ნაწილში.

გრ. იმნაიშვილის აზრით, ქვემოქართლურში (რეხულში) დასტურდება ვე > ო, ვი > უ : კვერციხი > კორციხი, ძვირი > ძური პროცესები; თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში კი დასტურდება ა : ქაღალდე „თავის ქალა“ (გრ. იმნაიშვილი, 1974 : 134). დადასტურებული მასალა ვერ ჩაითვლება ქართლურის ნიმუშებებად, ვინაიდან სოფ. რეხაში ცხოვრებენ ჯავახეთიდან გადმოსახლებული ქართული ენის ჯავახური კილოს მფლობელი ქართველები.

ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელია სონორი თანხმოვანთა სუბსტიტუცია: მ/ნ: დამწიფდა > დანწიფდა, მტერ > ნტერი... ვ/მ: ვიწრო > მიწრო, სავე > სამე... თეს-ავ-ს > თეს-ამ-ს, დაუ-მალ-ავ-ს > დაუ-მალ-ამ-ს... დასტურდება ბ/მ მონაცვლეობა: ამხანაგებს > ამხანაგემს...

დასავლურ ქართლურში დასტურდება თემისნიშნისეული სონორი თანხმოვნის ნაზალიზაციის ტენდენცია : მალ-ავ-ს > მალ-ამ-ს > მალ-ან-ს, ცხოვრ-ობ-ს > ცხოვრ-ომ-ს > ცხოვრ-ონ-ს...

ხშირია მ, ნ, რ სონორი თანხმოვანთა გაჩენის შემთხვევები : მდევი, მძვალი, სამზღვარი/სამძღვარი... ჭანდარი, ენგრე, ინგლოვა... ღვირძლი, ფერსვი...

ხმოვნებს შორის პოზიციაში ვ ჩვეულებისამებრ იკარგება : მოვასწარ > მოასწარ > მუასწარ, მოვეხმარე > მოეხმარე > მუეხმარე... მოვიდა > მოიდა...

მახვილი განსხვავებულია სიძლიერისა და ადგილის მიხედვით. ქართლის ჩრდილო ნაწილსა და ქვემო ქართლის ზოგიერთ სოფელში მახვილი შედარებით უფრო გამოკვეთილად ისმის...

სახელთა ბრუნება. სახელობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებს დაერთვის ი ნიშანი (ძირითადად მაშინ, როცა სახელი წინადადების ბოლოკიდურ პოზიციაშია): დრო-ი, ლობიო-ი, სუფრა-ი... ცოტა-ი, პატარა-ი... პავლე-ი, დათა-ი... იშვიათად სახელობითოს -ი > ა : კამეჩის მოვლაა ძნელია. თანხმოვანფუძიანი სახელი სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე შეიძლება შეგვხვდეს: კახელებ მთაში მიდიოდნენ, ბატონ რო ჩამუაგდეს... (გრ. იმნაიშვილი, 1974 : 192-193)

მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების **-ს, -ის** ნიშნები ყველგან დაცულია მავრცობი ხმოვნის წინ. სხვა შემთხვევაში ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის: რალა-**ღ** უზამ; ოქრო-**ღ** ბურთი; მოვა ღარი (=ღარს) სათავემდინა...

შდრ.: სამხრეთ ქართლურში მიცემითის **-ს** იკარგება მავრცობი ხმოვნის წინ: სახლა (<სახლსა) ვგვიდი, იმ ხალხა (<ხალხსა) სძინამთ... (გრ. იმნაიშვილი, 1961; თ. სალარიძე, 1978).

წოდებითში თანხმოვანფუძიან სახელებს დაერთვის **-ოჲ**: კაცოჲ, ქალოჲ... **ა** ხმოვანფუძიანი ორზე მეტმარცვლიანი საკუთარი სახელები იკვეცენ ბოლოკიდურ **ა**-ს: მაყვალ, მანან... (გრ. იმნაიშვილი, 1974: 198; ო. კახაძე, 1952: 287).

ქართლურში ემფატიკური ხმოვნის ფუნქციით გამოიყენება **ა, ი**: კაცს-**ა**, შემდეგ-**ა**, იმან-**ა**, რომ-**ა**... კაცის-**ი**, კაცით-**ი**, ხის-**ი**, ხით-**ი**...

სახელის მრავლობით რიცხვს ძირითადად **-ებ** სუფიქსი აწარმოებს. ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება **-ნ/თ(ა)** სუფიქსებიც: რიცხვითი სახელით გამოხატულ მსაზღვრელ-საზღვრულთან (ცხრა-**ნ**-ი ძმა-**ნ**-ი), ოჯახის (გვარის) სახელებთან (მერაბა-**ან-ნ**-ი), თხზულ სახელებში (მამა-პაპა-**ნ**-ი)... თავს იჩენს ორმაგი მრავლობითის ფორმებიც: ცხრა-**ნ**-ი-ვე-**ნ**-ი, ორ-თა-**გ**-**ნ**-ებ-**ი**...

ზმნის თავისებურებები: ნიშანდობლივია უთემისნიშნო ზმნების თემის ნიშნით გაფორმების ტენდენცია: წერს > წერ-**ავ**-ს, გრებს > გრებს-**ავ**-ს/ გრის-**ავ**-ს, გლეჯს > გლეჯ-**ამ**-ს/გლიჯ-**ამ**-ს. ამასთანავე, **-ავ** > **-ამ**: თეს-**ავ**-ს > თეს-**ამ**-ს, მალ-**ავ**-ს > მალ-**ამ**-ს... დასტურდება საპირისპირო მოვლენაც: **-ამ** > **-ავ**: დგ-**ამ**-ს > დგ-**ავ**-ს, ურტყ-**ამ**-ს > ურტყ-**ავ**-ს... სამხრეთ-დასავლურ ქართლურში, სამცხურ-ჯავახურის მომიჯნავე ტერიტორიაზე, ნაზალიზაციის შედეგად **-ავ** > **-ამ** > **-ან**: მალ-**ავ**-ს > მალ-**ამ**-ს > მალ-**ან**-ს... **-ებ** > **-ემ** > **-ენ**: აკეთ-**ებ**-ს > აკეთ-**ემ**-ს > აკეთ-**ენ**-ს...

ჩრდილო ქართლურში, მთის კილოებთან შეხვედრის არეალში, დასტურდება ხოლმეობითის ფორმები: გამაძრეკდის, გვაკუთვნებდის (I ხოლმ.), დაილოცის, იყვის (II ხოლმ.)...

წყვეტილში **ი/ე**- პრეფიქსიანი ზმნური ფორმის მრ. რიცხვის ფორმებში ჩნდება **-ენ** (>**ნ**) სუფიქსი: და-**ვ**-ი-ზარდ-**ენ**-ი-თ, და-**ი**-ზარდ-**ენ**-ი-თ, და-**ი**-ზარდ-**ნ**-ენ; შე-**ვ**-ე-ხვეწ-**ენ**-ი-თ, შე-**ე**-ხვეწ-**ენ**-ი-თ, შე-**ე**-ხვეწ-**ნ**-ენ...

წყვეტილში **-ე** სუფიქსიან ზმნათა I-II პირის ფორმებში **-ევ-ი>ე-ი** : ვიჩივლ-**ე**-ი, დაგინახ-**ე**-ი, ავილ-**ე**-ი-თ (ვ. თოფურია, 2002 (1925) : 450).

I თურმეობითში **-ავ/-ამ** თემისნიშნისანი ზმნები გვხვდება როგორც თემის ნიშნით, ასევე **-ი-ა** დაბოლოებით : დაუკლ-**ამ**-ს/დაუკლ-**ი-ა**, შეუხახ-**ამ**-ს/შეუხახ-**ი-ა**... **-ი** სუფიქსიან ზმნებთან წარმოდგენილია **-ნ** : დაუგრეს-**ნ**-ი-ა... **-ნ** ვითარდება II თურმეობითშიც : დეეხოც-**ნ**-ა, გეეტაც-**ნ**-ა...

ერთპირიანი და ორპირიანი ზმნების II თურმეობითის ფორმათა წარმოება უნიფიცირებულია, მეშველზმნიანია: დამდგარიყო >

დადგომიყო „დასდგომოდა“, ჩამოკიდებულიყო > ჩამოჰკიდებოდა
„ჩამოკიდებოდა“...

ე- პრეფიქსიანი ზმნური ყალიბი შეიძლება გამოვლინდეს -დ-
სუფიქსითაც: დაფიქსირდეს ერთპირიანი ზმნური ფორმის კონტამი-
ნირებული წარმოება: მას დე-ე-ძინ-დ-ებ-ა, მას მე-ე-წყინ-დ-ებ-ა;
შდრ.: მას დაეძინება; მას მოწყინდება; მას მოეწყინება... ხშირია ე-
პრეფიქსიანი ორპირიანი ყალიბის კაუზატიური ფორმები : დე-ე-ჭერ-
ინ-ებ-ა, ე-კვლ-ევენ-ებ-ა...

მო-, შე- ზმნისწინთა პარალელურად დასტურდება **მა-, შა-** ვა-
რიანტები: მაიტანა, შაიტანა...

სინტაქმა. თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი მი-
ცემითის ფორმით ეხამება საზღვრულს მიცემითსა და ვითარებით
ბრუნვებში, ნათესაობითის ფორმით — ნათესაობითსა და მოქმედებ-
ით ბრუნვებში: შავ-ს ცხენ-ს/ცხენ-ად, შავ-ის ცხენ-ის/ცხენ-ით...

სამხრულ ქართულში (წერაქვ-სიონურსა და რეხურ თქმებში)
თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში სახელობითი ბრუნ-
ვის ფორმით გვევლინება: დიდ-ი ძმა-მ, დიდ-ი ღობე-ს... (იქვე: 234).

ნანათესაობითარი მსაზღვრელი შებრუნებული წყობისას ბრუნვა-
ში ჩვეულებრივ შეთანხმებულია: უფროს-ი ოჯახ-ის-ა-ი, პირობებ-ი
ხალხ-ის-ა-ი, ქარხანა-ი აგურ-ის-ა-ი (გრ. იმნაიშვილი, 1974: 233)...

ხშირია სახელისა და ზმნის რიცხვში აზრობრივი შეთანხმების
შემთხვევები: წავიდნენ ხალხი, სოფელი გადასახლებულან, წასულან
ნაწილი (იქვე: 235)...


ბრუნვაუცვლელი სუბიექტი, რომელიც სამწიგნობრო ქართულში
დგას სახელობით ბრუნვაში, ქართულში (სხვა დიალექტების
მსგავსად!) ზმნის II სერიის ფორმებთან შეიძლება გამოვლინდეს
მოთხრობითი ბრუნვითაც: (კონსტრუქციაში ხშირად მოჰყვება ზმნა,
რომელსაც სუბიექტი მოთხრობითში შეწყობა): ადგა ამ ბიჭმა და
გაიჭრა ხელი; ქალმა გამოუდგა და დაიჭირა; ღვდელმა შეეხვეწა
(იქვე: 238).

წერაქვ-სიონურსა და რეხურ მეტყველებაში მოთხრობით ბრუნ-
ვაში დასმული სახელი გამოიყენება პირველ სერიაში: **კაცმა** შეშას
მოიტანს, **კაცმა** გიძახის, **კაცმა** მუშაობს. იშვიათად სუბიექტი მესამე
სერიაშიც შეიძლება შეგვხვდეს მოთხრობითში: **ერთმა** კაცი მეეკლა.
ამგვარი ფაქტები სომხური ენის გავლენითაა ახსნილი (გრ. იმნაიშ-
ვილი, 1974: 238-240);

მსგავსი შემთხვევები დასტურდება ცალკეულ კილოებში
(აჭარულში, ლივანურში, მაჭახლურში...), რომელიც ჭანურის
გავლენას მიეწერება (შ. ნიჟარაძე, 1975: 156-157; მ. ცინცაძე,
1954: 14-18; ნ. სურმავა, 1990: 80; შ. ფუტყარაძე, 2016: 218,
258)

დასავლურ ქართველურ კილოებში ჩვეულებრივია მოთხრობითი
ბრუნვის განზოგადება ყველა სერიაში; შესაბამისად, ქართულში
გამოვლენილი ეს ფაქტიც საკუთრივ ქართველური პერსპექტივით
შეიძლება აიხსნას.

ლექსიკა. საინტერესო დიალექტური ლექსიკა: *ამოცხვირვა* (დაცხვირვა) „ხის მორის თავსა და ბოლოში (ან მარტო თავში) ამოჭრა“, *გაჯერება* „მეწუნება“, *კაჭაჭი* „უვარგისი ღერო“, *მანჭვა/მანჭო* „გუთნის სახელური“, *ოჩხე* „თევზის დასაჭერი ორმო“, *სვანი* „ხის დასაცურებელი ადგილი (მთაზე, ფერდობზე)“, *ცუდა* (კაცი, ქალი) „ზარმაცი, მოქეიფე და უმუშევარი“, *ხაშური* „მარილის ნალექი“... (გრ. იმნაიშვილი, 1974: 245-249).



2.2. კახური დიალექტი

საზღვრები.

კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზეა გაშლილი. მოიცავს მდინარე ივრის შიდა და ქვემო დინების და მდ. ალაზნის აუზს. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით კახეთში შედის: ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს რაიონები. კახელები საკმაო რაოდენობით სახლობენ თიანეთის რაიონში; აგრეთვე ლაგოდეხის რაიონში, შემდეგ სოფლებში: ცოდნა, ვაშლოვანი, შრომა, მშვიდობიანი, საქობო, ცოდნისკარი, ვარდისუბანი, ჩადუნისკარი და ერეთისკარი.

ვახუშტი ასე აღწერს კახეთის საზღვრებს: „აღმოსავლით მთა კავკასი; სამხრით საზღვარი ჰერეთის, თურდო-შტორის ჯევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკუთვას, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვ და ჩდილოთ მთა კავკასი. და ამათ შორისი ქუეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა და მისის სახელის გამო, ეწოდა ამას სახელი ესე“... (ვახუშტი, 1941).

კუხეთის შესახებ წერს: „აღმოსავლით მთა კახეთისა; სამხრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულადმდე; დასავლით მტკუარი და არაგვ, ჩდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ-შორისს ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის ჯევის... კულაღ გრდანი, მატყოფი, ლილო, დიდებე, სამგორი, ჩადივარი, ომანის ჯევი, ყარალაჯი და ნაგები და ყარაია. ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად, განდგა რა გრიგოლი მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ჯუარს ქუეთის, სამხრის კერძს, ეწოდა გარადაბანად, არამედ შემდგომად კვრიკემ, დაიპყრა რა ჰერეთიცა, იწოდა კახთ მეფედ, გარნა ჰერეთს აქუნდა თჳსივე სახელი მოუსპელი“ (ვახუშტი, 1941).

კახეთი იყოფა ცალკეულ მხარეებად/ხეობებად: გარეკახეთი (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნი-კახეთი (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხარი (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო).

კახეთის მოსახლეობა ენობრივი თუ დიალექტური თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია. აქ ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები: სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ოსები, ბერძნები, უღები და ქისტები.

კახეთის სხვადასხვა რაიონში (თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო) მრავლად არიან საქართველოს მთიანეთიდან ჩამოსახლებულნი: ხევსურები, ფშავლები და თუშები. ლაგოდეხის რაიონში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ იმერლები და რაჭველები.

კახეთმა მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა XVII საუკუნეში შაჰ-აბასის ლაშქრობების შედეგად. განადგურდა არაერთი ქალაქი, სოფელი. ათასობით ადამიანი დაიღუპა, ნაწილი ტყვედ წაიყვანეს და ირანის სხვადასხვა კუთხეში დაასახლეს. მიუხედავად ამისა, კახეთმა სიმტკიცე და თავისთავადობა დღემდე შეინარჩუნა.

აღმოსავლურ კილოთაგან კახური ყველაზე ახლოს ქართულთან დგას, რაც ბუნებრივია მათი ტერიტორიული სიახლოვისა და ისტორიულად პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობის გამო.

ენობრივი დახასიათება

კილოკავები. კახურ დიალექტში გამოიყოფა სამი კილოკავი: **გარეკახური, შიგნიკახური და ქიზიყური.** ქიზიყურის სახელწოდებით ცნობილია სიღნაღისა და ნაწილობრივ დედოფლისწყაროს რაიონების მეტყველება.

ქიზიყური მეტყველებისათვის სპეციფიკური ნიშნებია: **ჭ** ბგერის შემონახვა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესის უფრო მეტად განვითარება, ხოლმეობითის ხმარება და სხვ. აღნიშნული არქაიზმები შიგნი- და გარეკახურისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, მაგრამ სამწიგნობრო ენის გავლენით თუ სხვა მიზეზით დღეს თითქმის აღარ გვხვდება.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები: კახურს (ზოგი სოფლის მეტყველებაში) ახასიათებს არქაული ქართულის ფარინგალური ყრუ ფშვინვიერი **ჭ**, უმარცვლო **ჟ**, წინანენისმიერი **ძ**, ხშულ-მსკდომი **ც** და კბილბაგისმიერი ყრუ ფშვინვიერი სპირანტი **ძ**.

ჭ ბგერა გვხვდება ქიზიყის მთიან ადგილებში და ბარის ზოგიერთ სოფელში: ჰელი, მუჭლი, მჯარი, ჯმა, ჯარი, ჯმალი. **ჯარი** სპორადულად ვლინდება შიგნი- და გარეკახურში.

ც ბგერა დასტურდება ანლაუტში ხმოვანთა მაგარი შემართვისას: **ცე, ცაუ, ცუჰ...** ჩნდება, აგრეთვე, ჩვენებით ნაცვალსახელთან და რიცხვით სახელთან: **ცემას, ცემით, ცე...** ცერთი...

ძ ბგერა მიიღება პოზიციურად ყრუ თანხმოვნის წინ ნაწილობრივი ასიმილაციით: **მო-ძ-კვეთო, მო-ძ-ჭრა, ძ-ჭამდით, ძ-ცემე...**

ჟ ბგერა გამოვლინდება კბილბაგისმიერი **ვ**-ს პარალელურად; უმთავრესად **თ, კ, ს, ქ, შ, ყ, ხ** თანხმოვნების შემდეგ: **სჟამს, აქჟს, შეხჟდა...** იშვიათად **ჟ** მიიღება **უ** ხმოვნის დავიწროების შედეგად: **შჟალამე...**

ძ კახურში, ქართლურის მსგავსად, ფართოდ არის გავრცელებული. ის მიიღება: ა) **S₂** და **O₃** პირის **ჭ-, ს-** ნიშნებისაგან: **მი-ძ-გვარა, მო-ძ-ტყდა, გა-ძ-წია...** ბ) ნათესაობითის **-ის** ნიშნისეული **ს>ძ**: **სკოლი-ძ დარაჯი, ქალი-ძ ხმა, ეზო-ძ წინ...** გ) ნაცვალსახელებთან: **ი-ძ ბიჭი, ი-ძ სოფელი...** დ) **S₃** პირის ნიშანი **-ს > ძ**: **აშენდე-ძ, დარჩე-ძ, ჭამე-ძ, დაინახე-ძ...** ე) იშვიათად **ც,ზ > ძ**: **ოძდაერთი, გაძდილი, ახალგაძდა...**

ფონეტიკური პროცესები:

ხმოვანთკომპლექსის ერთმარცვლოვნობისკენ მისწრაფების გამო სრული რეგრესული **ასიმილაცია**:

აე > ეე: აეტანა > ეეტანა, დაემართა > დეემართა...

აო/ეო > ოო : მუშაობს > მუშოოფს, მონაწილეობს > მონაწილოოფს...

ასიმილაცია დისტანციურ პოზიციაშიც: გავეყარე > გევეყარე, დაგეძინა > დეგეძინა.

ერთმარცვლოვნობისკენ მისწრაფების გამო **ო, ე** ხმოვნები ვიწროვდება:

ოა/ოე > უა/უე: მართვა > მუართვა, კალოები > კალუები, პოეტი > პუეტი... **ეა > ია**: შეამჩნევს > შიამჩნევს, აღრეა > აღრია...

ხმოვანთა რედუქცია: მანქნით (<მანქანით), საჭმლათ (<საჭმელად), ფაიტენით (<ფაიტონით)...

მეტათეზისი : ძრიელ (<ძლიერ), რღმა (<ღრმა), წინგი (<წიგნი)...

სუბსტიტუცია : **ვ/მ** : კიდევ > კიდემ, ვიწრო > მიწრო, მალაგ-ს > მალ-ამ-ს. **ბ/მ** : კბენა > კმენა, აგურებს > აგურემს, აკეთებს > აკეთემს...

ნ/მ : ინტერესი > იმტერესი, რახან > რახამ...

ბგერის დაკარგვა: ხშირად იკარგება **ს** : წყლი (<წყლის) პირას, ე (<ეს) ბიჭი, შეეკითხა ბავშვ (<ბავშვს), ძინავ (<ძინავს)... ჩვეულებრივია სონორ ბგერათა დაკარგვის შემთხვევები თანხმონათკომპლექსებში : გძელი, იზდება, ბძანა...

ბგერის განვითარება: მძვირი, მდვევი, განაგრძნო, ხმელერთი...

სახელთა ბრუნება. ხმოვანფუძიანი სახელები სახელობითში ზოგჯერ **-ი** სუფიქსს დაირთავენ (ძირითადად პაუზის წინ): ცხოვრება-ი, მიწა-ი, დრო-ი... გიგა-ი, ელენე-ი... ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **ს** ელემენტი ეკვეცება პრეპოზიციურ ბოლოხმოვნიან და ბოლოკვეცილ მსაზღვრელებს: ირბი რქა, ყანი მკა, პური ჭამა... ზოგჯერ **ის** > **იფ**: მამი-ფ გზა, ოქრო-ფ ყუთი, მდეგები-ფ სახლი...

მოთხრობითის ნიშნად იშვიათად **-მან** შეიძლება შეგვხვდეს: დედაკაც-მან, მეზობელ-მან.

მიცემითის **-ს** ზოგჯერ იკარგება თანხმონათკომპლექსის სახელებთან, ხმოვანფუძიანებთან კი **ფ**-დ იქცევა: ქალ-ფ უთხრა, ძალი მგელ-ფ კბილ-ფ აღარ უშვებდა... უთხრა დიდ ძმაფ, იმ გოგოფ უთხრა...

წოდებითში ხმოვანფუძიანი სამ- და მეტმარცვლიანი საკუთარი სახელები (აგრეთვე ზოგიერთი საზოგადო სახელი) ბოლოკიდურ ხმოვანს იკვეცენ: მაყვალ, ნათელ... დეიდ, ნათლი... შდრ.: ხმოვანფუძიანი ორმარცვლიანი საკუთარი სახელი ან ფუძის სახითაა წარმოდგენილი (ივანე, თინა), ან **-ვ** ნიშანს დაირთავენ (ივანე-ვ, თინა-ვ).

ვითარებითის **-ად>-ათ**: სამ-ათ, ცოლ-ათ, ავ-ათ... (ა.მარტიროსოვი, გრ.იმნაიშვილი, 1956).

კახურისათვის დამახასიათებელია მავრცობი ხმოვნის ხშირი გამოყენება. მავრცობ ხმოვნებად გვხვდება **ა, ი:** ქალს-**ა**, ერთხელ-**ა**, იმან-**ა**, რომ-**ა**... წლის-**ი**, წლით-**ი**, ღამით-**ი**...

სახელთა მრავლობით რიცხვს ჩვეულებრივ **-ებ** სუფიქსი აწარმოებს. კუმშვად სახელებთან დასტურდება **-ეებ** დაბოლოება (ანალოგიით) : წელი > წლეები, ნაჭერი > ნაჭრეები... იშვიათად გვხვდება **-ნ/-თ(ა)** სუფიქსები : ოჯახის (გვარის) სახელთა წარმოებისას : მჭედლიან-**თ** მეღანო... რიცხვითი სახელით წარმოდგენილ მსაზღვრელ-საზღვრულთან : შვიდ-**ნი** ძმა-**ნი**... თხზულ სახელებში : მამა-პაპა-**ნი**...

ზმნის თავისებურებები: აწმყოში (I სერიაში) უთემისნიშნო ზმნები დაირთავენ თემის ნიშანს: წერ-**ავ**-ს, ყეფ-**ამ**-ს, ზელ-**ამ**-ს/ზილ-**ამ**-ს...

-ავ, -ევ, -ოვ სუფიქსებს ხშირად **-ამ, -ემ, -ომ** ცვლის: გნებ-**ავ**-თ > გნებ-**ამ**-თ, შაიხედ-**ავ**-ს > შაიხედ-**ამ**-ს, თეს-**ავ**-და > თეს-**ამ**-და... აძლ-**ევ**-ს > აძლ-**ემ**-ს... ახს-**ოვ**-ს > ახს-**ომ**-ს... (ა.მარტიროსოვი, გრ.იმნაიშვილი, 1956). იმავდროულად **-ამ > -ავ:** სვ-**ამ**-ს > სვ-**ავ**-ს, ასხ-**ამ**-ს > ასხ-**ავ**-ს...

-ი/-ე პრეფიქსიანი ზმნური ყალიბები წყვეტილის მრ. რიცხვის ფორმებში წარმოდგენილია **-ენ (-ნ)** სუფიქსი: და-ვ-ი-მალ-**ენ**-ი-თ/და-ვ-ე-მალ-**ენ**-ი-თ, და-ი-მალ-**ენ**-ი-თ/და-ე-მალ-**ენ**-ი-თ, და-ი-მალ-**ნ-ენ**/და-ე-მალ-**ნ-ენ**...

I თურმეობითში **-ავ/-ამ** თემისნიშნიანი ზმნები ორგვარად იწარმოება : დაუკლ-**ამ**-ს/დაუკლ-**ი-ა**, შეუნახ-**ამ**-ს/შეუნახ-**ი-ა**... **-ი** სუფიქსიანი ფორმებთან თავს იჩენს **-ნ** : დაუმალ-**ნ**-ი-ა... **-ნ** ვითარდება II თურმეობითშიც : დეემალ-**ნ-ა**, გეეტაც-**ნ-ა**...

ბრუნვაუცვლელიობიექტიან ორპირიან ზმნათა წარმოება II თურმეობითში მეშველზმნიანია: დადმალვიყო „დამალვოდა“, გადჩენიყო „გაჩენოდა“...

ხშირია **ე**-ნიანი ორპირიანი ყალიბის კაუზატიური ფორმები : ე-ჩაგვრ-**ინ**-ებ-ა, ე-კვლ-**ევინ**-ებ-ა... დასტურდება კონტამინირებული (პრეფიქს-სუფიქსიანი) წარმოება

: მე-**ე**-წყინ-**დ-ა**, დე-**ე**-ძინ-**დ-ა**...

-ყე/-კე სუფიქსი გამოხატავს: 1. ირიბი ობიექტის მრავლობითობას: უთხარი-**კე** „უთხარი მათ“, წაუღე-**ყე** „წაუღე მათ“... 2. სუბიექტის მრავლობითობას ინვერსიულ ზმნებთან: უყვარს-**კე** „უყვართ“, გაუკეთებია-**ყე** „გაუკეთებიათ“... 3. პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას: წაიყვანს-**კე** „წაიყვანს ის მათ“, დაგინახა-**კე** „დაგინახათ მან თქვენ“... **-ყე/-კე** იშვიათად ხოლმეობითობასაც გამოხატავს : იტყოდა-**კე** ძველ ამბავს.

ქიზიყურში შემონახულია ხოლმეობითის ფორმები: იტყოდ-**ი-ს** „იტყოდა ხოლმე“ (I ხოლმ.), წავიდ-**ი-თ**, წავიყვან-**ი-თ**, ვიარ-**ი-თ** (II ხოლმ.). ზოგჯერ ხოლმეობითის ფორმებთან **-კე(/-ყე)** სუფიქსიც გვხვდება: გალაყდ-**ი-ს-კე**, ვიარ-**ი-თ-კე**...

კახურში შეიმჩნევა ზმნისწინისეული ხმოვანი ელემენტების გაერთფორმებისაკენ მიდრეკილება: **მო-**, **შე-** და **მო-ს** შემცველი

შემო-, გამო-, ჩამო-, წამო-, გადმო-... ზმნისწინები ჩვეულებრივ მა-, შა-, შამა-, გამა-, წამა-, გადა-ს... სახით გამოიყენება: მაიწერე, მათ-მინე, ჩამაიარა, ამაილე, მამცა, მამგვარა...

სინტაგმა. თანხმოდანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნებისას სამი ვარიანტით გვხვდება: ა) სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს (მოხუც-ი კაც-ი, მოხუც-მა კაც-მა, მოხუც-ს კაც-ს...), ბ) გარდა სახელობითისა, ფუძის სახითაა წარმოდგენილი (მოხუც-ი კაც-ი, მოხუც კაც-მა, მოხუც კაც-ს...), გ) ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმით გვხვდება (მოხუც-ი კაც-ი, მოხუც-ი კაც-მა, მოხუც-ი კაც-ს...).

რიცხვითის სახელით წარმოდგენილი მსაზღვრელი შეიძლება რიცხვში შეუთანხმდეს საზღვრულს : სამ-ნ-ი ძმა-ნ-ი, სამ-ნ-ი ძმ-ებ-ი.

ხშირია სახელისა და ზმნის რიცხვში აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ხალხი წვანან, ყველამ ჭამეს...

აქტიური სემანტიკის გამომხატველ ერთპირიან ზმნურ ფორმასთან II სერიაში სუბიექტი მოთხრობითში შეიძლება შეგვხვდეს: **ვერც ერთმა ვერ მეერია**; იმ მეფის **შვილმა წავიდა** მოსაკითხავათ...

ლექსიკა. კახურში განსაკუთრებით მრავალფეროვანია მევენახეობის, მემინდვრეობის, მესაქონლეობის დარგობრივი ლექსიკა. ნიმუშად მოვიყვანთ ცალკეულ ფორმებსა და გამოთქმებს: **გალა** „საქონლის ნაკვალევი ბილიკი ტყეში ან მინდორში“; **პიე, პიო** „ინდაურის ჭუკი“; **სიხიმსი** „სიმსუქნე“; **ლინკლა** „პატარა, უნაყოფო და თითო-ოროლა მარცვლიანი სიმინდის ტარო“; **ხვედა** „დიდი ხის ჩაქუჩი, სცემენ პურეულის თავთავს და მარცვალს აყრევენებენ“; **ჩინი** „დაწნული მოგრძო კალათი: თავსა და ბოლოში ყურები აქვს, პატივის გასატანად ხმარობენ“; **ნიჭი** „პატარძლისათვის მიერთმეული საჩუქარი“ (ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956).

2.3. გურული დიალექტი

საზღვრები.

გურული მეტყველება, სხვა კილოებთან შედარებით, მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული. ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს გურიას: „ხოლო გურია არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისა... ენა მათი, რომელსა უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ. არამედ მზღვრის ამას გურიას: აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამჯრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათილამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას შორისი; ჩდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი და დასავლით შავი ზღვა... ხოლო სივრცე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდან ზღუამდე და ვანი ჭოროხილამ რიონამდე... ხოლო კაცნი და ქალნი მგ ზავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა... ენა-ტკბილ-მოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხვსა“ (ვახუშტი, 1941).

დღევანდელი გურია მოიცავს ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებს. გურიას ჩრდილოეთით სამეგრელო ესაზღვრება, სამხრეთით — აჭარა, აღმოსავლეთით — იმერეთი, დასავლეთით — შავი ზღვა. გურიაში მიედინება მდინარეები : სუფსა (შენაკადით გუბაზეული), ნატანები (შენაკადებით : ბჟუჟი, ჩოლოქი)...

გურულ დიალექტში მრავლადაა წარმოდგენილი სხვადასხვა დიალექტური ფენები, კერძოდ, მეგრულ-ჭანური, აჭარული, სამცხური და სხვ. საფიქრებელია, რომ ამჟამინდელი გურული მეტყველება სამწიგნობრო ქართულისა და სამცხურ-აჭარული კილოების გავლენით შეცვლილი ერთ-ერთი ზანური დიალექტის ტრანსფორმაციითაა წარმოქმნილი.

გურულში მეგრულ-ჭანური ფენის არსებობაზე მიუთითებს როგორც ცალკეული ტოპონიმები და ლექსიკური ერთეულები, ასევე საერთო გრამატიკული მოვლენები. გურულში ბევრი ტოპონიმი (სოფლისა თუ მდინარის სახელი) მეგრულ-ჭანური წარმომავლობისაა, მაგ.: მთა **ჯიხანჯირი** (ჯიხა „ციხე“), **ჯუმათი**, **ჭყონგვარი** (ჭყონი „მუხა“), მდ. **ოჩხამური** (ო-ჩხამური, ჩხომი „თევზი“), **ოჭილაური** (ო-ჭილაური „საჭილაო“), **ჭყვიში**, **ჭყვიაშაური**, **ჭანიეთი**, მდ. **გობაზოული**, მდ. **კინტრიში**, **ონჭიკეთი**, **ონჯოხეთი**, სოფ. **ოჩანა** გურიაში და სხვ. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომებს შეეძლო. მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო (ივ. ჯავახიშვილი, 1913 : 56).

ს. ჟღენტს დამატებით მოჰყავს გურულში დადასტურებული ზანური წარმომავლობის ტოპონიმები: მდ. **ოდიში** (ოდიშის წყალი — სოფ. სურებში (დიდვანში), მდ. **ჩხოროწყუ** (ადგილობრივი გამოთქმით ამბობენ ჩხოროჭუა-საც), მდ. **ოჩონჩხე** (სოფ. ბახვში), გუბაზოულის ხეობაში ერთ-ერთი თემის სახელწოდებაა **ქუაბლა** (ქუა „ქვა“ + ბლა „ქვაყრილი“ (ს. ჟღენტი, 1953 : 8). ასევე სახელები:

ორკე ამალღებული ადგილის სახელია ზემოხეთში, ოჩე (სოფ.), ოფეთი (სოფ.), ყურევა (წყლის სახელია), ოჩოხნე (ადგილის სახელია ხიდისთავის თემში) (ს. ჟღენტე, 1936).

ზოგი მეცნიერი გურულში (ასევე, ქვემოიმერულში) გამოყოფდა აფხაზურ-ადიღურ ფენასაც შემდეგ სიტყვებში: სუფსა (<*სურ-ფსა „სურების მდინარე“), აჭ-ყვა „აჭისხევი“, მალთა-ყვა „მალთას ხევი“ — ტობონიშიაში, ინგორო-ყვა, ჭანუ-ყვა-ძე, თალა-კვა-ძე, ბოლ-ქვა-ძე: -ყვა/-კვა/-ქვა „შვილი, ძე“ (ს. ჯანაშია, გ. როგავა). ყველა დასახელებული სიტყვა-ფორმა უდავოდ ქართველური წარმომავლობისაა; კერძოდ: სუფსა: სურების ფსა; ფს- ძირი ქართველურია (შდრ.: ფს-ელ-ი „წყალი“); ყვა- სუფიქსი კი იგივეა, რაც „ყმა“ — გამოყენებულია იმავე ფუნქციით, რაც „ძე“, „შვილი“ (მ. ჩუხუა, 2003). აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველურ სინამდვილეში წარმომავლობის გამომხატველად თუ გვარების საწარმოებლად გამოყენებული ყველაზე ძველი სუფიქსია -ან/-იან/-ა (სვანეთში, სამეგრელოში, კახეთში, ფერეიდანში, ტაოში... დღესაც აქტიურად გამოიყენება); ასევე ძველია „ყმა“, რომელსაც ბოლო საუკუნეებში გვარების ოფიციალური გაფორმებისას სისტემურად ჩაენაცვლა ძე და შვილი.

ენობრივი დახასიათება

კილოკავები. გურულ დიალექტში გამოიყოფა ორი კილოკავი: **ზემოგურული** და **ქვემოგურული**. ზემოგურული მოიცავს ძირითადად ჩოხატაურის რაიონისა და ოზურგეთის მთიანი ნაწილის მოსახლეობის მეტყველებას, ქვემოგურული — ლანჩხუთისა და ოზურგეთის (ბარის) რაიონების მეტყველებას. გურული კილოს კილოკავებად დაყოფას საფუძვლად უდევს ლექსიკური და მორფოლოგიური სხვაობა. ზემოგურული დიალექტური თავისებურებებით უფრო უახლოვდება ქვემოიმერულს, ვიდრე ზემოგურული ქვემოგურულს.

ლექსიკური სხვაობის ნიმუში: ზემოგურული: კარავი (შდრ. ქვ. გურ. აგვართა), უჯანგარი (შდრ. დაბურული ტყე), ბარქაში (შდრ. ურეკი. ურეკი ტყის სახელიცაა ნატანების მახლობლად), სასიმინდე (შდრ. ნალია)... (ს. ჟღენტე, 1936).

მორფოლოგიური სხვაობა გურულის კილოკავებს შორის შემდეგში მდგომარეობს: ზემოგურულში სახელები წარმოდგენილია ა ან ე დაბოლოებით, ქვემოგურულში კი მას შეესატყვისება აი ან ეი:

ზემო გურული

უცფათა/ე
ყველა/ე
ჩუმათა/ე
ეზალა/ე
აქანა/ე
იქინა/ე
ბაბა/ე

ქვემო გურული

უცფათაი
ყველაი, ყველაყაი
ჩუმათაი
ეზალაი
აქანაი, აქანეი
იქინაი, იქინეი
ბაბაი, ბაბეი

განხილული ტიპის სახელები ზემოგურულში ნათესაობითა და მოქმედებითში (სახელობითის მსგავსად) ე დაბოლოებით გვხვდება

(ბრუნვის ნიშნის ხმოვნები იკარგება); ქვემოგურულში სამი ნაირსახეობითაა წარმოდგენილი: **ია**, ან **ია > იე**, ან კიდევ **ია > იი**:

ზემო გურული	ქვემო გურული
სახ. კერიე	კერია/კერიე/კერიი
მოთხ. კერიამ	კერიამ
მიც. კერიას	კერიას
ნათ. კერიეს	კერიას/კერიეის/*კერიიის>კერიი
მოქმ. კერიეთ	კერიაით/კერიეით/*კერიიით>კერიით
ვით. კერიათ	კერიათ

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. გურულში დასტურდება **ი** და **ჟ** ბგერები. **ი** მიღებულია ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში **ი-ს** დასუსტებით: ბაბა-**ი**, ნენა-**ი**... ბაბა-**ის**, ნენა-**ის**... ბაბა-**ით**, ნენა-**ით**...

ჟ წყვილბაგისმიერი ბგერა ძირითადად რეალიზებულია კბილბაგისმიერად მიჩნეული **ვ-ს** ნაცვლად: ბრეჟლი/ბეჟრი (<ბევრი), ჰხაჟს (<ჰყავს), ყჟავი (<ყვავი), ჯჟარი (<ჯვარი), სხჟაი (<სხვა)... იშვიათად **ჟ < უ**: ჟარი (<უარი); **ჟ < ვ < მ**: სიმაჟრი < სიმაგრი < სიმაგრი.

გურული მეტყველების ინტონაცია (ტონი, მეტყველების რიტმი, მახვილი) მრავალფეროვანია. ამ მხრივ განსხვავება იგრძნობა არა მხოლოდ ზემო- და ქვემოგურულს შორის, არამედ მთისა და ბარის ნაწილებს შორის.

გურულში უფრო აქტიურია ხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაცია; **აე, ოე** კომპლექსები ერთმარცვლოვლობისკენ სწრაფვის პროცესში სამსაფეხურიან ცვლილებას განიცდის: სრულ რეგრესულ ასიმილაციას მოსდევს რეგრესული დისიმილაცია; საბოლოო შედეგი კი ხმოვანთკომპლექსის დიფთონგიზაციაა:

აე > ეე > იე > იე: დაემართა > დეემართა > დიემართა > დდეემართა; ყანაეები > ყანეეები > ყანიეები > ყანდეები.

(**აე >**) **ეე** კომპლექსი შეიძლება გრძელ ხმოვნადაც გარდაიქმნას: დაეკითხა > დეეკითხა > დეკითხა;

ოე > ეე > იე > იე: მოეტანა > მეეტანა > მიეტანა/მდეტანა...

აუ კომპლექსის ბოლო საფეხურიან გრძელი ხმოვანი:

აუ > ოუ > უუ > უუ: წაულო > წოულო > წუულო > წუულო;
დაუძახა > დოუძახა > დუუძახა > დუუძახა...

ოუ > უუ > უუ: მოუკალით > მუუკალით > მუუკალით; მოუქნია > მუუქნია > მუუქნია...

დიფთონგობისკენ მიისწრაფვის **აი** კომპლექსიც:

აი > ეი > ეი: აილო > ეილო > ეელო; დაიკივლა > დეიკივლა > დდეიკივლა; დაიჭირა > დეიჭირა > დდეიჭირა; წაიტება > წეიტება > წდეიტება...

ოა, უა, ოე კომპლექსების ბოლო საფეხურიან დიფთონგია:

ოა > უა > უა: მოახერხა > მუახერხა > მუახერხა; გაათხოვა > გაათხოვა > გაათხოვა > გაათხოვა...

ოე > უე > უე: ეზოები > ეზუები > ეზუები, მიათხოვე > მიათხოე > მიათხუე > მიათხუე; დატოვე > დატოე > დატუე > დატუე...

შესაძლოა უ > ვი > ი პროცესის განვითარება: გაათხუე > გაათხვიე > გაათხიე/გაათხიე, დატოვე > დატუე > დატვიე > დატვიე/დატვიე.

ჩვეულებრივია ლაბიალურ კომპლექსთა ცვლილებები: ვა > ო: სხვაგან > სხოგან; ვე > ო: ქვეყანა > ქოყანა, უშვებს > უშობს; ვი > უ: გვიმრა > გუმრა, წვიმა > წუმა...

გურულში შეინიშნება სპირანტთა აფრიკატიზაციის ტენდენცია: ს,შ,ზ სპირანტების აფრიკატიზაცია ხდება ლ,რ სონორების მეზობლად: ალსანდრე > ალცანდრე, ხელს > ხელც, პენსია > პენცია, ზურგი > ზრუგი > ძრუგი, ხარშავს > ხარჩავს...

მდრ. დენაფრიკატიზაცია: სწავლა > სტავლა, სწვდება > სტობა...

სუბსტიტუცია: ვ > ბ: ვარცხნის > ბარცხნის, თევზი > თებზი, კოვზი > კობზი... მ > ვ: ნემსი > ნევსი, უთქვამს > უთქვავს; მ > ნ: დაამტვრია > დაანტვრია, ემსახურება > ენსახურება; მ > ბ: იმზირება > ინზირება...

მეტათეზისი: ზრუგი (>ზურგი), ღრისი (<ღირსი), გვავლა (<გვალვა)...

ბგერის განვითარება: იმწვალა/ინწვალა, არდგილი, კინტრი, ურცხო, დეინახვა...

ბგერის დაკარგვა: დულარე, თელი, აწყენა, ბძენი, ნეტი, ვიყაი...

სახელთა ბრუნება. სახელობით ბრუნვაში ბოლოხმოვნთან სახელებს დაერთვის ი, რომელიც დასუსტების შედეგად **მ**-დ იქცევა: ცა-**ი/მ**, დღე-**ი/მ**, დრო-**ი/მ**, ბლუ-**ი/მ**... ასეთია ყველა ერთმარცვლიანი სახელი, აგრეთვე ორ- და მეტმარცვლიანი კნინობითის ან მქონებლობის -**ა** სუფიქსით გაფორმებული სახელები: ტუმარა-**ი**, თხმელა-**ი**, ბაღანა-**ი**, სამყურა-**ი**...

ხმოვანფუძიანი სახელები ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში არ იკვეცება, სრულ ფუძეს პირდაპირ ერთვის ბრუნვის ნიშნები: ძმა-ის, და-ის, ძმა-ით, და-ით.. გარდა ამისა, ბოლოთანხმოვნისანი ფუძეკუმშვადი სახელები ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში უკუმშველი სახითაა იხმარება: ნათ.: ქმარ-ის ეშინია, წყალ-ის შესხმა დუღუპირა, ნიგოზ-ის ძირში... მოქმ.: ბედნიერია ქმარ-ით და შვილ-ით, ეიმყრალა პირი ნიორ-ით... ვით.: წყალ-ათ იქცა, საპონ-ათ მუადულა...

ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული **დ** ყრუვდება: კაც-ათ არ ვარგა, გლახ-ათ მეიქცა, წვევიდა საომრ-ათ...

მრავლობითობის გამოსახატავად ჩვეულებრივია **-ნებ-** რთული აგებულების ფორმანტი: ყმა-**ნებ**-ი, ძმა-**ნებ**-ი, ბიძა-**ნებ**-ი, დეიდა-**ნებ**-ი, მამიდა-**ნებ**-ი... ს. ჟღენტის აზრით, აქ გვაქვს ორმაგი მრავლობითობა (ს. ჟღენტი, 1936: 58-59). **-ნ+ებ-**ში, არნ. ჩიქობავას

აზრით, **-ნ- სეგმენტი *-ან, *-ენ** დეტერმინანტი სუფიქსის ნაშთია (არნ. ჩიქობავა, 1942). დღეს **-ნებ** ერთიან რთულ ფორმანტს წარმოადგენს; უდრ., მაგ.: ანგელოზ-**ნებ-ი**; შესაბამისად, სინქრონიულ დონეზე **-ნებ-** მრავლობითობის/კრებითობის გამომხატველი ისეთივე ერთიანი სუფიქსია, როგორც — **-ნარ-** (ტ. ფუტყარაძე, 1986)⁷⁴.

-თვის თანდებულის ნაცვლად გამოიყენება ე.წ. ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმა, რომელსაც ჩვენ დანიშნულებით ბრუნვას ვუწოდებთ; ამ ბრუნვის ნიშანი მომდინარობს ნათესაობითის **-ის** ფორმანტზე **-და** სეგმენტის დართვით: კაც-ის+და („კაცისათვის“) > კაციზდა > კაციზა; უდრ.: ქალიზა „ქალისთვის“, სახლიზა „სახლისთვის“... სინქრონიულ ჭრილში **-იზა** ერთიანი რთული ფორმანტია, რომელიც დაახლოებით იგივეა, რაც მეგრული **-იშოთ** და ძველქართული **-ისად**.

ნაცვალსახელები რიგი თავისებურებებით გამოირჩევა, კერძოდ:

1. მესამე პირის **ის** ნაცვალსახელის ნაცვლად გვხვდება **იი (<იგი)**;
2. ჩვეულებრივია ჩვენებითი ნაცვალსახელები: **აგი, მაგი/აი, მაი**;
3. მრავლობითში **ამათ, მათ** ნაცვლად იხმარება **აგენი, იგენი**: დაამზადენ **აგენმა** ძაან ბეჭური ოქრო, აბა რომელი მოქწონს **აგენში...** (ს. ჟღენტი, 1936: 60-61).

ზმნის თავისებურებები. აწმყოს წარმოებაში დასტურდება არქაული ვითარება: **-ავ/-ამ** თემისნიშნისანი ზმნები მრ. რიცხვის III პირში იკვეცენ თემისნიშნისეულ **ა** ხმოვანს: მალ-**ვ-ენ**, იც-**მ-ენ**... გვხვდება ვნებითის არქაული წარმოების შემთხვევები: იმალ-**ვ-ი-ს**, დეიდგ-**მ-ი-ს**...

მრ. რიცხვის მესამე პირის დაბოლოება ძირითადად წარმოდგენილია **-ენ** სუფიქსით. **-ენ** იხმარება **-ან** და **-თ** დაბოლოების ნაცვლად: ნენა ახლანდელი ციციები გასუნელებული არი-**ენ** და შინ არ ღებები-**ენ**; იმფერი სიტყვები იცი-**ენ** (ს. ჟღენტი, 1936: 62).

-ენ გამოხატავს აგრეთვე ირიბი ობიექტის მრავლობითობას: დაგიძახ-**ენ** „დაგიძახათ მან თქვენ“... პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას: რამ გადაგრი-**ენ** „რამ გადაგრიათ“... სუბიექტის მრავლობითობას ინვერსიულ ზმნებში: გაქვ-**ენ** „აქვთ“, გყავ-**ენ** „გყავთ“... **-ენ** სუფიქსის პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს **-ეს**: მიეწონ-**ეს** (= მოეწონათ), ქონდ-**ეს** (= ჰქონდათ)...

III პირის მრავლობითობის აღსანიშნავად გამოიყენება, აგრეთვე, **არიენ, ლარიენ** მეშველი ზმნა: ა) მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნებთან: წუხ-**ლარიენ**, ყრილ-**არიენ**, დგან-**არიენ**.. ბ) ერთპირიანი ზმნების I თურმეობითში: დამალულ-**არიენ**, წასულ-**არიენ**, გ)

⁷⁴უდრ., მეგრული: და – და-ლ-ეფ-ი; „ლ“ -ალ დეტერმინანტი სუფიქსის ნაშთად მიიჩნევა (არნ. ჩიქობავა). ფაქტია, რომ მეგრ. **და-ლეფ-ი** და გურული **და-ნებ-ი** ერთ ოდენობად – კრებითობა-მრავლობითობის გამომხატველ ერთიან სუფიქსადაა მისაჩნევი; **-ნებ-** ფორმანტის მსგავსად, **-ლეფ-** სუფიქსიც ანალოგიით გვხვდება ზოლმე ნასესხებ ფორმებთანაც; მაგ., ნოსა „რძალი“: ნოსა-ლეფ-ი (შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში **ლ** ფუძისეულად ვერ მიიჩნევა).

ინვერსიულ ზმნებში გამოხატავს სუბიექტის მრავლობითობას: უყვარ-
ლარიენ, მოწონ-**ლარიენ**...

უნიფიცირებულია I თურმეობითის წარმოება: მუუკლ-**ია**,
დუუშბ-**ია**...

გურულში დასტურდება IV სერიის ფორმები: მინავალა,
ნაყვარება, მინავალიყო... (ბ. ჯორბენაძე, 1989: 531).

სინტაგმა. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებაში შემდეგი
თავისებურება შეიმჩნევა: თანხმოდანფუძიანი ატრიბუტული
მსაზღვრელი საზღვრულს ერთ შემთხვევაში სრულად ეთანხმება
(მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ-მა სახლ-მა, მაღალ-ს სახლ-ს...), მეორე
შემთხვევაში ფუძის სახით (მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ სახლ-მა, მაღალ
სახლ-ს...), ან კიდევ სახელობითშია ყველა ბრუნვაში (მაღალ-ი
სახლ-ი, მაღალ-ი სახლ-მა, მაღალ-ი სახლ-ს...).

გურულისათვის ნიშანდობლივია ერთპირიან ზმნურ ფორმებთან
II სერიაში ქვემდებარის მოთხრობითში დასმა: **ვაჭარმა** ადგა; წაყვა
ამ **კაცმა**; წვევიდა სახტარზე **ეთერმა**; ამ **კაცმა** ძირს ჩამევიდა... ს.
ჟღენტის აზრით, გარდაუვალი ზმნები, გარდამავალი ზმნების
მსგავსად, აქტიურადაა გაგებული და ამიტომაც ქვემდებარე დროთა
მეორე ჯგუფში მოთხრობით ბრუნვაშია (ს. ჟღენტი, 1936: 69).
უფრო ლოგიკურია, მსგავს შემთხვევებში ვისაუბროთ ანალოგიით
მოთხრობითი ბრუნვის გამოვლენის ველის გაფართოებაზე.

ხშირია ქვემდებარე-შემასმენელს შორის რიცხვში
შეუთანხმებლობის შემთხვევები: იგენი წვევიდა; ქალები ადგა...
აზრობრივი შეთანხმების მაგალითები: ხალხმა იციენ, ყველამ
მეიტანეს...

ლექსიკა. გურული დიალექტის ლექსიკა მრავალფეროვანია.
დასტურდება არქაული სიტყვები, მეგრულ-ჭანური ლექსიკური
ერთეულები, თურქული ნასესხობები...

დიალექტური ლექსიკა: *გაკუჭება* „გაბრაზება“, *ელანძე*
„სწრაფად, მალე, ერთ ლანდზე“, *ერიცახე* „მცირე, პატარა“,
ამორანქვა „ამოხაპვა“, *ახარიქება* „საქონლის ხორცის აქნა“...

მეგრულ-ჭანური ლექსიკა: *ჯარგვალი*, *ჯუმაღია* „ბიძა“, *დუდი*
„თავი, ბიბილო“, *მოჭვა* „კრუხი“, *ფუნჩხა* „ნამცეცი“ (ს. ჟღენტი,
1936).

თურქული ნასესხობები: *დილენჯი* (თურქ.) „მოუხეშავი, ზარმაცი,
გაურჯელი ადამიანი“, *თაჯნიში* (თურქ.) „შეთამამებული“...
გახაზირება (არაბ.) „გამზადება“, *სილაღი* (არაბ.) „იარაღი,
საჭურველი“... (ე. ნიკოლაიშვილი, 1999: 144-145).

2.4. იმერული დიალექტი

საზღვრები.

იმერეთი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხარის მდებარეობასთან: დედაქალაქთან მიმართებით იმერეთი, ე.ი. ლიხსიქითი მხარე; **იმერეთი** თავდაპირველად მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, **იმერელი** — დასავლეთ საქართველოს მკვიდრს (მათ შორის მეგრელსაც, რაჭველსაც, ლეჩხუმელსაც, სვანსაც, გურულსაც...). ბოლო საუკუნეებში „იმერეთი“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილის — ქუთაისის მხარის — სახელად ჩამოყალიბდა, „იმერელი“ კი იმერეთის კუთხის მცხოვრების სახელად დავიწროვდა.

ვახუშტის თხზულებაში „იმერეთი“ ძველი მნიშვნელობით გამოიყენება: გულისხმობს მთელ დასავლეთ საქართველოს: იმერეთი ეწოდა „ბაგრატიონთა მიერ, რამეთუ... უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად შეერთებისათვის, და აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთს... ცხენისწყალს-ზეითს, აღმოსავლეთის კერძსა, ვიდრე ლიხის მთამდე...“ (ვახუშტი, 1941).

იმერეთი გეოგრაფიულად ორ ნაწილად იყოფა: ზემო იმერეთად და ქვემო იმერეთად. ზემო იმერეთი მოიცავს საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონებს, ხოლო ქვემო იმერეთში ერთიანდება თერჯოლის, ტყიბულის, ბაღდათის, წყალტუბოს, ხონის, სამტრედიისა და ვანის რაიონები, ნაწილობრივ აბაშის რაიონი (საზღვრისპირა სოფლები).

ზემო იმერეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება ლიხის ანუ სურამის ქედი, სამხრეთით — აჭარა-იმერეთის ქედი, ჩრდილოეთით — რაჭის ქედი, დასავლეთით — სამეგრელო.

ქვემო იმერეთს სამხრეთით ესაზღვრება მესხეთი, ჩრდილოეთით ნაქერალას ქედი და ხვამლის მთა, აღმოსავლეთით — ჭიათურის, ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონები, სამხრეთით — გურია.

იმერეთში მიედინება: რიონი (შენაკადებით: გუბისწყალი, ყვირილა), ცხენისწყალი, წყალწითელა, ხანისწყალი...

ივ. ჯავახიშვილის აზრით, იმერეთის გარკვეული ტერიტორია ისტორიულად მეგრულ-ჭანებით იყო დასახლებული, რასაც მოწმობს როგორც ტოპონიმიკური მასალა, ასევე ენობრივი მონაცემები. „ის ადგილები, სადაც ეხლა გურულები და იმერლები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომით უნდა სახლებულიყო, ბევრი სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება... ასე იყო, როგორც ჩანს, პირველს ორ საუკუნეში. შემდეგ, როგორც ეტყობა, ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი ან აღმოსავლეთიდან ან არადა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შიგ უუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთი-ერთმანეთს დაუმორებია, ხოლო დაპყრობილ

ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ. ამის გამო ეხლანდელი გურულები და იმერლები გაქართველ მეგრელ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ“ (ივ. ჯავახიშვილი, 1913: 56-57).

თანამედროვე კვლევები არ ადასტურებს ამ ე.წ. ქართიზაციის თეორიას; კერძოდ, ანთროპოლოგიური და გენეტიკური გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ იმერლებს, მეგრელებს, გურულებს, აჭარლებს, ლაზებს, ლეჩხუმლებს, რაჭველებსა და აფხაზების დიდ ნაწილს თვისობრივად ერთი მემკვიდრეობა აქვთ; შესაბამისად, **დასავლეთ საქართველოში არასოდეს მომხდარა „აღმოსავლეთ ქართველების“ შექრა და მეგრელ-ლაზთა ტერიტორიის დაკავება. დღევანდელი იმერლები, განსაკუთრებით ქვემოიმერლები (ასევე, გურულები, ქვემოაჭარლები) იგივე ეგრისელები (მეგრელ-ლაზები) არიან, ოღონდ სამეფო და საეკლესიო ცენტრებთან სიახლოვის გამო იმერეთში (გურიაში, ლეჩხუმში...) მცხოვრები ფართო საზოგადოების საშინაო მეტყველება უფრო ახლოსაა სამწიგნობრო ქართულთან⁷⁵; გურიაში, ქვემო აჭარასა და იმერეთში მეგულ-ჭანური ტოპონიმების არსებობაც სწორედ ამას ადასტურებს: დასავლეთ საქართველო ისტორიული ეგრისის ტერიტორიაა, სადაც ძირითადად მეგრელ-ლაზები ცხოვრობდნენ; მათი საშინაო სამეტყველო კოდი იყო ზანური კილოები, ხოლო მათი დედაენა, ოფიციალური ენა და კულტურის ენა იყო საერთოქართველურ ენაზე დაფუძნებული ქართული ენა. ამ სამეტყველო კოდთა თანაარსებობა პროპორციულადაა ასახული მთელი დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში: როგორ აღმოსავლეთ საქართველოში, აქაც **ზოგი მიკროტოპონიმია დიალექტურია, ზოგიც — სამწიგნობრო ენაზეა; მაკროტოპონიმთა უდიდესი ნაწილი კი სამწიგნობრო ენაზეა.****

ენობრივი დანასიათება

კილოკავები. იმერული ერთ-ერთ მსხვილ დიალექტურ ერთეულს წარმოადგენს. იმერული კილოსათვის დამახასიათებელია ძლიერი კილოკაური დიფერენციაცია: იყოფა **ზემოიმერულ** და **ქვემოიმერულ** კილოკავებად, რომლებიც კიდევ უფრო წვრილ ერთეულებად — თქმებად და ქცევებად იყოფა.

იმერულის შიდა დიფერენციაციასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ნაწილი მეცნიერებისა (შ.ძიძიგური, ქ.ძოწენიძე) იმერულ დიალექტს ორ კილოკავად ყოფს (ზემო- და ქვემოიმერული), ნაწილი (ა. შანიძე) — სამად (ზემო-, შუა- და ქვემოიმერული). კ. კუბლაშვილი ზემო- და ქვემოიმერულს დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულებად ასახელებს. მკვლევრის აზრით, ზემოიმერული და ქვემოიმერული ერთმანეთის მიმართ დიალექტებია და არა ერთი დიალექტის კილოკავები. ქვემოიმერულის ცალკე დიალექტად გამოყოფა რეალური ვითარების

⁷⁵შდრ.: ელიტის (მეგრ. ჟინოსქუას) მეტყველება საქართველოს ყველა კუთხეში ყოველთვის იყო სამწიგნობრო ქართული.

ასახვაა მხოლოდ და მასში საეჭვო არაფერია (კ. კუბლაშვილი, 1985: 13).

საკამათოდაა ქცეული შუაიმერულის საკითხიც. მკვლევართა ნაწილი (ვ. ფანჩიძე, გ. ნებერიძე) შუაიმერულ კილოს გამოყოფს.

შუაიმერულად მიიჩნევა ზემო და ქვემო იმერეთს შორის არსებული გარდამავალი ზოლის მეტყველება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქვემოიმერულისა და ზემოიმერულის ენობრივი ნიშნები. სპეციალურ ლიტერატურაში შუაიმერული ცნობილია უფრო კილოკავის სახელწოდებით. შუაიმერულს მიაკუთვნებენ თერჯოლის, ბაღდათისა და ტყიბულის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებას; იხ. მაგ., ქ. ძოწენიძე: „შუაიმერული შეიძლება იმერული კილოს ცალკე კილოკავად გამოგყოს, თუ მას აღმოაჩნდება ისეთი თავისთავადი ფონეტიკურ-გრამატიკული თუ ლექსიკური ნიშნები, რითაც იგი ქვემოიმერული და ზემოიმერული კილოკავების გვერდით დადგება და მათ დაუპირისპირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში შუაიმერულის ცალკე კილოკავად გამოყოფა მხოლოდ მისი ნარევი შედგენილობის გამო პირობითი იქნება“ (ქ. ძოწენიძე, 1973: 242). „ის თავისებურებანი, რომლებიც შუაიმერულად მიჩნეული რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაში შეიმჩნევა, თქმის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს“ (იქვე: 260).

დიალექტური თვალსაზრისით, ზემოიმერული გაცილებით უფრო მონოლითურია, ვიდრე ქვემოიმერული (კ. კუბლაშვილი). ორ ერთეულს შორის სხვაობა განპირობებულია როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ფაქტორებით. შინაგანი ფაქტორებად მიჩნეულია ენის განვითარების კანონების მოქმედება, ხოლო გარეგანი ფაქტორებად ის გეოგრაფიული გარემო, რომელშიც მოქცეულია ქვემოიმერული მეტყველება.

ცალკეული თქმების გავრცელების არეალი ძირითადად ემთხვევა რაიონების მიხედვით დაყოფას, კერძოდ, ქვემოიმერულში გამოყოფენ ხონურ, სამტრედიულ, წყალტუბოურ, ვანურ, ბაღდათურ, ოკრიბულ, თერჯოლურ თქმებს (კ. კუბლაშვილი, 1985: 15). ზემოიმერულში გამოიყოფა: ხარაგაულური, საჩხერული, ჭიათურული და ზესტაფონური თქმები. თქმებში გამოიყოფა ქცევები; მაგ., ვანურ თქმაში უხუთური ქცევა (სოფ. უხუთის მეტყველება), თერჯოლურში — ჩხარული...

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. განსხვავებულ ბგერათაგან დასტურდება **ფ, უ, ც, გ.**

ფ წარმოადგენს ი ხმოვნის დავიწროების შედეგს: ძმა-**ფ**, რა-**ფ**, წა-**ფ**, მო-**ფ**, შმახმა (<შიახმა<შეახმა)...

უ ვლინდება კბილბაგისმიერი ვ-ს პარალელურად: თჳალი, ჩჳენ, ლეწაჳ, ხჳნაჳ...

გ < **უ** (მავრცობის ფუნქციით): ამას-**გ** (<ამას-**უ**), სოფელს-**გ** (<სოფელს-**უ**)...

ც (ხმოვანთა ძლიერი შემართვა-დამართვისას): ზემოიმერული და ქვემოიმერული მეტყველება ერთმანეთისაგან რიგი თავისებურებებით განსხვავდება.

ზოგადად, იმერული კილოსათვის დამახასიათებელია **ხმოვანთკომპლექსთა ნაირგვარი ცვლილებები: აი > ეი: გაიტანა > გეიტანა... ოი > ეი: მოიტანა > მეიტანა...** ზემოიმერულში აღნიშნული პროცესი იშვიათია, პარალელურად დასტურდება მოიტანა/მეიტანა ფორმები. **აუ > ოუ: დაუძახა > დოუძახა, აე, ოე > ეე: აენტო > ეენტო, მოეტანა > მეეტანა...**

ლაბიალურ კომპლექსთა რეფლექსები: ვა > ო (იშვიათია): სხვაგან > სხოგან, სხვაფერ > სხოფერ... **ვე > ო:** ქვეყანა > ქოყანა, დაწვება > დაწობა, მოყვება > მოყობა... **ვი > უ:** წვიმს > წუმს, გათხოვილი > გათხოული...

მეტათეზისი: ძლიერ > ძრიელ, გრილი > რგილი, წიგნი > წინგი, დაბმული > დამბული, ფქვილი > ქფილი...

სუბსტიტუცია: ვ > მ: სავსე > სამსე, ნავთი > ნამთი... **მ > ნ:** სიმდიდრე > სინდიდრე, უმცროსი > უნცროსი, დედამთილი > დედანთილი...

აფრიკატიზაცია: პენსია > პენცია, მოიპარსა > მოიპარცა, ხარშავს > ხარჩავს... **შდრ. დეზაფრიკატიზაცია:** სწავლა > სტავლა, გაასწრო > გაასტრო, მოიძულა > მოიზულა...

ბგერათა დაკარგვა: მოყევი > მოყეი, ვიყავი > ვიყაი, მწარე > წარე, მდიდარი > დიდარი, ვიწრო > ინწრო, რკინა > კინა...

ბგერათა გაჩენა: საშინავო, უმფრო, კინტრი, ეხვერწება, ღვირძლი...

ზემო- და ქვემოიმერული განსხვავდება **მახვილის** მიხედვით. ზემოიმერულს ახასიათებს დინამიკური მახვილი ტონური მახვილის ელემენტებით: ვი'სვამ ხომე წამალს და მი'რჩება (ქ. ძოწენიძე, 1974:). ქვემოიმერულში მახვილი მოუღის წინადადებაში ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან მეორე ხმოვანს, ხოლო მომდევნო ხმოვანი სუსტდება: იმან არ იცოდა თხო'ვღ. ოკრიბულში თხრობით წინადადებაში ბოლოკიდური სიტყვის ბოლოდან პირველი ხმოვანი ტონური მახვილის გამო გრძელდება, ბოლოდან მეორე ხმოვანს კი მკვეთრი მახვილი მოუღის: ძლივს არ ამოვაწიე ამ სიცხე'შნ! (კ. კუბლაშვილი, 1985: 59).

სახელთა ბრუნება. ქვემოიმერულში ა ხმოვანფუძიანი სახელები წარმოდგენილია **ე** დაბოლოებით (ერთმარცვლიან სახელებს სახელობითის **ი** ნიშანი შენარჩუნებული აქვთ: და-ი, ძმა-ი...): ბიცოლ-ე, ტომარ-ე. ანალოგიური მდგომარეობაა ნათესაობითსა და მოქმედებითში: ბიცოლ-ე-ის/ბიცოლ-ე-ით. **ე** მიღებულია ფონეტიკური ცვლილების შედეგად: **აი > ეი** (ნაწილობრივი ასიმილაცია) > **ე** (ი ხმოვნის დაკარგვით). ზემოიმერულისათვის ამგვარი წარმოება უცხოა. **ე** დაბოლოებით შეიძლება შეგვხვდეს საკუთარი სახელები (უმთავრესად ქვემოიმერულის მოსაზღვრე სოფლებში): ბაბილინ-ე...

თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელებთან სახელობითის **ი** ფუძისეულად არის გააზრებული: მერაბი, მერაბიმ, მერაბის... ქვემოიმერულში სახელობითის ნიშანი თავს იჩენს საზოგადო სახელთა მიცემითშიც: კიტრის ჭამს (კ. კუბლაშვილი).

ქვემოიმერულში ნათესაობითისა და მოქმედებითის სუფიქსები ვერ კვეცენ ფუძეს: და-ის, ღელე-ის, რა-ის, აბანო-ის... და-ით, ღელე-ით, რა-ით, აბანო-ით...

ვითარებითის **-ად/-დ > -ათ/-თ/-ა:** კაც-ათ, კარქ-ა, სწორ-ა...

მავრცობ ხმოვნად ზემოიმერულში **ა** ან **ი** გვაქვს (ურმის-ა/ურმის-ი), ქვემოიმერულში მის ნაცვლად **ე** დაჩნდება (ურმის-ე). ქვემოიმერულში, მეგრულის მომიჯნავე სოფლებში, მავრცობ ხმოვნად დასტურდება აგრეთვე **უ** ხმოვანი, რომელიც იშვიათად რედუცირებული სახითაც გვხვდება: **უ > გ:** ამას-უ/გ, კაცს-უ/გ, წერს-უ/გ...

ქვემოიმერულში **-კენ** თანდებულს ენაცვლება **-ყენ. სყ > წყ:** სახლისკენ > სახლისყენ > სახლიწყენ. ზემოიმერულში არ დასტურდება.

ზემოიმერულში გამოიყენება **-თვის/-თვის** თანდებული, ქვემოიმერულში მას ცვლის **-იზა** (<ის-და) დაბოლოებიანი ფორმები: კაც-იზა/კაც-იზან...

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი **-ნ** სუფიქსი იშვიათად გვხვდება ოჯახის სახელების მაწარმოებლად: გიორგისა-ნ-ი, კირილესა-ნ-ი. დასტურდება ორმაგი მრავლობითის ფორმებიც: გიორგისა-ნები/გიორგისა-ნები.

ქვემოიმერულში მრავალფეროვანია პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის წარმოება: აგენი, ეგენი, მაგენი... აგენმა/ამგენმა... აგენს/ამგენს... (მღრ. ზემოიმერული: ამათმა/ემათმა, ამათ/ემათ...). ორმაგი მრავლობითის ფორმები: აგენები, ეგენები, მაგენები (შესაბამისად: აგენებმა, აგენებს...).

ზმნის თავისებურებები. III სუბიექტური და ობიექტური პირის მრავლობითობის აღსანიშნავად ქვემოიმერულში რამდენიმე სუფიქსი გამოიყენება: **-ენ, -ყენ(ნ), -არიენ/-ლარიენ** მეშველი ზმნა. **-ენ** სუფიქსის წარმოება უნიფიცირებულია, ცვლის **-ან** (ჭრი-ენ, ტირი-ენ), **-ეს** (დაწერ-ენ, გააკეთ-ენ), **-ნენ** (წერ-დ-ენ, იმალე-დ-ენ) სუფიქსებს. **-ყე/-კენ/-ენ** ვარიანტებით დასტურდება: იხუბოს-კენ, დეიძახეს-ყენ... **-არიენ/-ლარიენ** ძირითადად აღწერითი წარმოების ზმნებთან გვხვდება: ყდან-არიენ/ყდილ-არიენ, ყრილ-არიენ. ზემოიმერულში ამგვარი ფორმები არ გვხვდება.

აწმყოს ფუძის წარმოება უნიფიცირებულია; სამწიგნობრო ქართულის უთემისნიშნო ზმნების დიდი ნაწილი გაფორმებულია თემის ნიშნით: წერ-ავ-ს, ტეხ-ავ-ს, კრეფ-ავ-ს/კრიფ-ავ-ს... ზემოიმერულში **-ავ > -ამ:** თიბ-ავ-ს > თიბ-ამ-ს... პარალელურად **-ამ > -ავ:** ჩაასხ-ამ-ს > ჩაასხ-ავ-ს...

ზემოიმერულში **-ავ/-ამ** თემისნიშნისეული **ა** ხმოვანი აწმყოს მრ. რიცხვის III პირის ფორმებში რედუცირდება: ნახ-ავ-ენ, ურტყ-მ-ენ... ამავდროულად **-ავ>-ევ, -ამ>-ემ:** მალ-ევ-ენ, ბარ-ევ-ენ... გვხვდება უწყვეტელ-შიც: ვმალ-ევ-დ-ი, მალ-ევ-დ-ი, მალ-ევ-დ-ა... ვაბ-ემ-დ-ი, აბ-ემ-დ-ი, აბ-ემ-დ-ა...

ზემოიმერულში გვხვდება წყვეტილის **-ევ-ი** დაბოლოებიანი ფორმები: ვნახ-ევ-ი/ვნახ-ე-ი, გააკეთ-ევ-ი/გაკეთ-ე-ი.

I თურმეობითში გაბატონებულია **-ი-ა** დაბოლოებიანი ფორმები: მოუკერ-ი-ა, დოუხუჭ-ი-ა, დოუბ-ი-ა...

II თურმეობითს ორპირიანი ზმნები ზოგჯერ მეშველი **იყო** ზმნით აწარმოებენ: შეძლებ-იყო „შეძლებოდა“, მოსწრებ-იყო „მოსწრებოდა“... ზოგ თქმაში (საჩხერულში, ჭიათურულში) ერთპირიანი ზმნების I-II პირის ფორმებში წარმოდგენილია **ი-ყავ-ღ-ი** მეშველი ზმნა: დავმალულ-იყავდი „დავმალულიყავი“, დამალულ-იყავდი „დამალულიყავი“ (მდრ. დამალულიყო), ვყოფილ-იყავდი, ყოფილ-იყავდი, ყოფილ-იყო... ქვემოიმერულისათვის ამგვარი ფორმები უცხოა. ზემოიმერულშიც იშვიათად იხმარება, „არც უფროსი თაობის (მოხუცთა) მეტყველებაში შეინიშნება“ (ქ. ძოწენიძე, 1973: 272).

IV სერიის **ნა-** პრეფიქსიანი ზმნური ფორმები (მინავალა, ნაყვარება... მინავალიყო, ნაყვარებიყო... მინავალიყოს, ნაყვარებიყოს...) სპეციფიკურია ქვემოიმერულისათვის. ზემოიმერულში ანალოგიური ფაქტები იშვიათია.

სინტაგმა. თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულს ძირითადად სახელობითის ფორმით ეწყობა ყველა ბრუნვაში: დიდ-ი სახლ-ი, დიდ-ი სახლ-მა, დიდ-ი სახლ-ს, დიდ-ი სახლ-ის... იშვიათად ფუძის სახითაც გვხვდება (გარდა სახელობითისა): დიდ-ი სახლ-ი, დიდ სახლ-მა, დიდ სახლ-ს, დიდ სახლ-ის...

ჩვენებითი ნაცვალსახელი ფონეტიკურად გამარტივებული სახით იხმარება: ი (<ის) კაცი, ე (<ეს) ქალი...

ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობის მაგალითები: ბიჭებმა იჩხუბა; ბოვები დეიმალა; იგენი მევიდა...

II სერიაში აქტიური სემანტიკის აღმნიშვნელი ბრუნვაუცვლელ სუბიექტიანი ზმნები სუბიექტს მოთხრობითში იხამებენ: ქალმა გამეკიდა სტუმრეფს; გამეემშვიდობა ამ კაცმა...

ლექსიკა. დიალექტური ლექსიკა: *ანლათ* „პატიოსნად, ალაღად“; *არჯალი* „ამტანი, გამძლე, ჯანსალი“; *გამოლახავს* „გამოათრევს“; *დაფხავებული* „გამხდარი“; *ზორტი* „ტყეში თავისით წაქცეული ხე“; *მადინდარა* „სიტყვამოსწრებული, ოხუნჯი, ლაზღანდარა“; *რეში* „დიდი წვიმა, თავსხმა“; *უღარდავი* „უამრავი, ბევრი“ (ქ. ძოწენიძე, 1973).

კოკილო „პატარა სკამი ორი ფეხით“; *ლინწა* „ხმარებისაგან გაცვეთილი ჯაყვა“; *ლოიცი* „ლობოს გასამაგრებელი მსხვილი ჯოხი“; *ლანღული* „ჯოხი, რომელზედაც კიდებენ კალათს“; *გაჩხაკვა* „გაცხრილვა“; *სანჯა* „ჯაყვა“ (ქ. კუბლაშვილი, 1985).

2.5. ლეჩხუმური დიალექტი

საზღვრები.

ლეჩხუმი მდინარეების — ცხენისწყლის, რიონისა და ლაჯანურის ხეობებშია მოქცეული. მოიცავს ძირითადად ცაგერის რაიონს, ნაწილობრივ ამბროლაურისა და წყალტუბოს რაიონების სოფლებს. ლეჩხუმს აღმოსავლეთით რაჭა (მდ. ასკი) ესაზღვრება, დასავლეთით — სამეგრელო (ასხის მთა), ჩრდილოეთით — ქვემო სვანეთი (ყვედრემის ღელე), სამხრეთით — იმერეთი.

ლეჩხუმის ვრცელი აღწერილობა მოცემულია ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „გარნა ლეჩხუმსა და რაჭას განჰყოფს: გუელის თავის მცირე მთა აღმოსავლიდამ; ჩდილოთ მთა კავკასი, ლეცხუმსა და სვანეთს შორისი (ამ ქედს დღეს ლეჩხუმის ქედი ეწოდება); დასავლეთ მთა კავკასივი და კავკასიდამ ჩამოსული სამჯრეთად მთა გორდამდე; სამჯრით რიონი და მთა ხომლის კლდიდამ წარსრული დასავლეთად გორდამდე, ამას და ოკრიბას შორისი“ (ვახუშტი, 1941: 748).

ლეჩხუმს ვახუშტი ორი სახელით მოიხსენიებს: **ლეჩხუმი** და **თაკუერი**. იქვე გვადიდებს ამ სახელწოდებათა ეტიმოლოგიას: „არს ჯეობა ლეჩხუმისა, რომელს უწოდებენ თაკუერად, არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კუერსავით მდებარისა — იხილე ესე მთა კუერი, — ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა მუნვე თაკუერისა, ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო — ესე არს ლეჩხომი“ (იქვე).

ივ. ჯავახიშვილი აზრით, „იქნებ წინათ „თაკუერი“ საზოგადო სახელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა, ხოლო შემდეგ სახელი „რაჭა“ შემოიღეს და „თაკუერი“ კი ლეჩხუმს შერჩა“ (ივ. ჯავახიშვილი, 1983).

გეოგრაფიულად ლეჩხუმს ორ ნაწილად ყოფენ: ზემო ლეჩხუმად (ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეობათა, აგრეთვე, რიონის ხეობის ერთი ნაწილის სოფლები) და ქვემო ლეჩხუმად (რიონის ხეობის სოფლები, რომელსაც ადგილობრივ ტედალმართი/კტედალმართი/კლტეთადმართი ეწოდება).

ლეჩხუმ- ფუძის ეტიმოლოგიის შესახებ არაერთი ნაშრომი დაიწერა; ამ სიტყვის ამოსავალ ფუძედ ივ. ჯავახიშვილმა 1913 წელს იგარაუდა სვან. **ცხუმ** („რცხილა“/„ცხემლა“); მისი აზრით, **ლე-** ქართული **სა-** პრეფიქსის ფარდი სვანური მორფემაა, რომელიც დაერთვის სვანურ ფუძეს; შესაბამისად, **ლე-ჩხუმ-ი** იგივეა, რაც **სა-რცხილ-ე** „რცხილნარი“ (ივ. ჯავახიშვილი, 1934: 58). ეს მოსაზრება დამატებითი არგუმენტების გარეშე გაიზიარეს: გ. ჩიტაიამ (1944: 267), ს. ჯანაშიამ (1952: 99-100), დ. ლეთოდიანმა (2003: 8-12). წარმოდგენილ მოსაზრებაში უდავოა **ლე-** პრეფიქსის გამოყოფის შესაძლებლობა, მაგრამ პრობლემურია მისი მხოლოდ სვანურად მიჩნევა და, რაც მთავარია, ნაკლებდამაჯერებელია ფუძის კვალიფიკაცია, რამდენადაც ქართველურ კილოებში დადასტურებული

ცხემლა/რცხილას არც ერთი სახესხვაობა არ ემთხვევა **ლე-ჩხუმ-** ფუძის **ჩხუმ-** ძირს; შდრ.: საერთოქართველური ***ცხემლ-** ფუძიდან მომდინარე **ცხემლა** („რცხილა“) სიტყვაფორმა დასავლურ ქართული კილოების ერთ ნაწილში (აჭარულში, გურულში, იმერულში...) უცვლელადაა შემონახული, მეორე ნაწილში — მეგრულ-ლაზურში კი დასტურდება ოდნავ სახეცვლილი **ცხემურ/ცხიმურ** ფორმით. სვანურ კილოებში შემონახულია არქაულ ვარიანტთან ახლოს მდგომი ფორმაც: **ცხვირა** და გამარტივებული ვარიანტიც: **ცხვიმ**; კერძოდ: ბალსწემოურში, ბალსქვემოურში, ლენტეხურში: **ცხვირა, ცხვიმ, ლაშხურში — ცხვიმ, ცხუმრა.**

ლეჩხუმ- ფუძის ამოსავლად ნ. მარმა დაუშვა მეგრ. **ჩხომი** „თევზი“. ეს მოსაზრება გარკვეულწილად — ეტიმოლოგიის კონტექსტში — გაიზიარა ი ყიფშიძემ (1914: 358); ამავე მოსაზრებას უკრიტიკოდ იმეორებენ: ე. მუშუდიანი (1972: 150), დ. ბერძენიშვილი (1983), ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე (2000: 568-569).

ვფიქრობთ, ძნელად გასაზიარებელია **ლე-ჩხუმ-** ფორმაში სვანური **ჩხომ-** „თევზი“ ფუძის პოვნეირების დაშვება; ეს უკანასკნელი ფორმა არც დასტურდება და არცაა მოსალოდნელი: წესით, სვანურშიც **ჩხომ-** ფუძე უნდა ყოფილიყო, თუმცა არ ჩანს. სამ სვანურ კილოში თევზის სახელად დასტურდება **კუზ** (რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს „ცურვა“ ზმნას; ლაშხურში გამოიყენება „კალმას“). აქვე აღვნიშნავთ, რომ არც ერთ ქართველურ ქვესისტემაში თევზის სახელად არ დასტურდება **ჩხამ-/ჩხომ-** ფუძის უ-ხმოვნიანი ვარიანტი; შესაბამისად, უარგუმენტო ვარაუდია **ჩხომ > ჩხუმ** პროცესის დაშვება. გარდა ამისა, საქართველოში მთის ყველა მდინარე თევზიანია და მაინცდამაინც რატომ უნდა დარქმეოდა **სა-თევზ-ე** (ლე-ჩხომი) მთის რამდენიმე პატარა მდინარის მქონე კუთხეს?

წარმოდგენილი, ჩვენი აზრით, მცდარი ეტიმოლოგიები გამოყენებულია უფრო მცდარი სხვა მოსაზრების გასამყარებლად, რომ თითქოსდა, **ლეჩხუმი, როგორც ერთ-ერთი კუთხე,** ჩამოყალიბდა **ქართიზაციის** პროცესში (დასავლეთ საქართველოში „ქართების“ ექსპანსიის შესახებ იხ. დ. ლეთოდიანი, 2003: 12-2). როგორც ცნობილია, ქართიზაციის ანტიქართული თეორია მომდინარეობს ქ. პატკანიანისაგან; ეს თეორია ბატონდება საბჭოთა პერიოდში. დასავლეთ საქართველოში ვერანაირად ვერ განხორციელდებოდა „ქართიზაცია“ იმ **მარტივი მიზეზის გამო, რომ ბუნებაში არ არსებობდა ე.წ. ქართის ტომი; როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე, დასავლეთ საქართველოს მკვიდრი, ავტოქთონი მოსახლეობაა ქართველები;** კერძოდ, მრავალი ისტორიული წყაროს მიხედვით დადასტურებულია, რომ სინამდვილეში ათეულობით ქართველური ტომი/თემი არსებობდა (მსჯელობისათვის ვრცლად იხ., ტ. ფუტყარაძე, 2005). ერთ-ერთი ძველი ქართველური ტომი ჩანს „ჩხუმები“; ვფიქრობთ, **ლე-ჩხუმ-**

ფუძეში სწორედ ამ ტომის სახელწოდებაა შემონახული; ჩვენეული არგუმენტები ასეთია:

1. პროკოფი კესარიელის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში არის ქართულ სამთავროს — ლაზიკას (იგივე აფხაზეთის) — დაქვემდებარებული **მხარეები სვანია და სკვიმია/სკუმია** (იხ., გეორგიკა, II: 197, 202; ასევე, ივ. ჯავახიშვილი, 1979: 315); ამავე ცნობის მიხედვით, ქუთაისთან ახლოს მდებარე ციხე ოქიმერიონი აკონტროლებდა სკვიმნიისა და სვანეთისკენ მიმავალ გზას. ცნობის კომენტარებისას ს. ყაუხჩიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ **სკუმია/სკვიმია** სახელში ასახულია **ლეჩხუმ-** ფუძის **ჩხუმ-**; შესაბამისად, ლეჩხუმის ძველ სახელად აღდგენილ იქნა „ჩხუმი“. დამაჯერებელია ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისი, რომ ბერძნული სახელწოდებები: **სკვიმია** და **სვანია** ასახავს ქართველურ ფუძეებს: **სკვიმ-**, **სვან-**. შემდგომი თაობის ყველა მეცნიერიც თვლის, **სკვიმია/სკვიმია** ბერძნული ფორმა ასახავს ქართველურ **ჩხუმ-/ცხუმ-** ფუძეს, თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საცილოა ამ ქართველური ფუძის ეტიმოლოგია. ბერძნულ აღწერებში შემონახული **სკვიმია/სკუმნი** უნდა იყოს ქართული **ჩხუმ-**ის ტრასლიტერაციით მიღებული ვარიანტი (ამ თვალსაზრისს ეჭვის ქვეშ არავინ აყენებს); შესაბამისად, ქართულ სინამდვილეში კუთხეების „წვეების“ (იგივე, მხარეების) სახელად უნდა არსებულიყო როგორც *ჩხუმ-ეთი და სვან-ეთ-ი, ასევე: ჩხუმ და სვან; შდრ.: საქართველოს კუთხეების სახელწოდებები სვანური კილოების მიხედვით: სვან — სვანეთი, ლაშხ — ლაშხეთი, ზან — სამეგრელო.

2. საქართველოს კუთხეების სახელწოდებები ძირითადად ორი პრინციპით იწარმოება:

ა) საფუძვლად აღებულია სათემო/სატომო სახელი; მაგ., მესხ-ი > მესხ-ეთ-ი, სვან-ი > სვან-ეთ-ი; მეგრელი > სა-მეგრელ-ო; ინგილო > სა-ინგილო-ო; ლაშხ-ი > ლაშხ-ეთ-ი, თუშ-ი > თუშ-ეთ-ი, ხევი > ხევსურ-ი > ხევსურ-ეთ-ი... მთა > მთიული > მთიულ-ეთ-ი, აფხაზი > აფხაზ-ეთ-ი, დვალ-ი > დვალ-ეთ-ი...

ბ) საფუძვლად აღებულია გეოგრაფიული მახასიათებლით მოტივირებული ტოპონიმი; შდრ.: ხევი > ხევი /მოხევე/; გული/გური > გურია (ცენტრალური ნაწილი) /გურული/; ჭარ- „წყალი“ > აჭარა /აჭარელი/... შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ლე-ჩხუმ-ი გავიგოთ როგორც სა-ჩხუმ-ო; შდრ.: სა-მეგრელ-ო, სა-ინგილო-ო; მესხ-ეთ-ი; მთიულ-ეთ-ი... ხევსურ-ეთ-ი...

3. VII საუკუნის სომეხი ანონიმი გეოგრაფი ლეჩხუმლებს იხსენიებს სკვიმიქების სახელით; სომხური ანონიმური გეოგრაფიის მოკლე რედაქციაში კი გვერდიგვერდ დასახელებულნი არიან: ჩხუმნი და თაკვერნი — ლეჩხუმლები და რაჭველები (სომხურენოვან წყაროს ვიმოწმებთ ლ. ფრუიძის მიხედვით: 1993: 472).

4. ლოგიკური ჩანს თვალსაზრისი, რომ ოდინდელი ლეჩხუმი — ჩხუმების ქვეყანა — არის **ლაჯანურის ხეობა**, სადაც დვას სტრატეგიული მნიშვნელობის ციხეები: ორბელი (ვახუშტი: ორბეთი),

ლექსაშე (გელოვანების ციხე)... ბერძნებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო ქუთაისიდან ჩრდილო კავკასიაში გადამავალ გზაზე — ლაჯანურას ხეობაზე — გამავალი ციხის — ორბელის კონტროლი; შესაბამისად, მაქსიმე აღმსარებლის ისტორიაში ნახსენები **სხიმარი/სქიმარი** უნდა იყოს ლაჯანურის ხეობის **ცხიმარი/ცხუმარი**.

ენობრივი დახასიათება

კილოკავები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მკაცრი დიალექტოლოგიური დაყოფით ლეჩხუმური დამოუკიდებელ კილოდ არ ჩაითვლება. იგი უფრო იმერულის კილოკავია (ქართული დიალექტოლოგია, 1961: 482). ეს კილო ძირითადად „ქვემოიმერულის ტიპისაა“ (მ.ძიძიგური, 1970: 186). ლეჩხუმური მეტყველება მართლაც ახლოს დგას იმერულთან, კერძოდ, ქვემოიმერულთან. მაგრამ, ამასთანავე, ლეჩხუმურში დასტურდება იმ რიგის მოვლენები, რომლებიც მას დამოუკიდებელ კილოდ გამოგვაყოფინებს (ფონეტიკური პროცესები, სახელთა ბრუნება, -ყე ნაწილაკი...) (ბ. ჯორბენაძე, 1989: 494).

ზემოლეჩხუმურში გამოყოფენ ცაგერსზემოურსა და ცაგერსქვემოურ მეტყველებას. ცაგერსზემოურისათვის დამახასიათებელია **-ისდა > -იზა**, ცაგერსქვემოურისათვის **-თვინ** (თანდებული). მათ შორის დასტურდება, აგრეთვე, ზოგი ლექსიკური სხვაობა (მ. ძიძიგური, 1970: 173).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. დასტურდება განსხვავებული ბგერები: **ფ, ჟ, გ. ფ** წარმოადგენს ი ხმოვნის რეფლექსს; ხშირია ნათესაობითა და მოქმედებითი: ბიცოლე-**ფს**, გოგიე-**ფს**, კოლიე-**ფს**... ბიცოლე-**ფთ**, გოგიე-**ფთ**, კოლიე-**ფთ**.

ჟ/ვ: სახტნელი, სიხატლე, თოტლი, თქტა, ხტამლი, ტარი...

გ (მავრცობი ხმოვანი): კაცს-**გ**, ამას-**გ**...

გავრცელებულ ფონეტიკურ მოვლენას წარმოადგენს **ხმოვანთა ასიმილაცია**. პრევერბისეულ ხმოვანს იმსგავსებს ფუძისეული **ე, ი** და **უ**: წეეკიდა<წაეკიდა, წეეთამაშა<წაეთამაშა, გეეცინა<გაეცინა... წეეყვანა <წაეყვანა, წეეკითხა<წაეკითხა... წოუვიდა<წაუვიდა, წოუქცევიდა<წაუქცევიდა, გოუტანა<გაუტანა, ჩოუძახა<ჩაუძახა... (მ. ალავეძე, 1941: 229).

დისიმილაცია: **ეე < იე:** შეეცოდა > შეიცოდა... **ეა > ია:** შეაქო > შიაქო, მწარეა > მწარია... **ოა > უა:** მოვა > მოა > მუა, ათხოვა > ათხოა > ათხუა...

დისიმილაცია ხდება სონორ ბგერებში: სულელი > სუნელი, კანონი > კალონი, ნიშანი > ლიშანი, ნიანგი > ლიანგი...

ვე > ო: წვეულება > წოულობა, მჩვეული > მიჩოული, გამოხვეული . გამოხოული, დარღვევა > დარლოვა... (მ. ალავეძე, 1941 : 230). **ვი > უ :** წვიმა > წუმა, ღვინო > ღუნო...

ბგერის დაკარგვა. ხშირად იკარგება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს** თანხმოვანი: ტყი (<ტყის) კაცი, სახლი (<სახლის) თავი, ჯვარი (<ჯვარის) წერა...

ბოლოთანხმოვნიან სახელს მიცემით ბრუნვაში ხშირად ეკარგება -ს: ატარებდა ჯავშნი პენავ, რკინი ჩაფხუტ-0 და მუზარად-0. კაც-0 წყალი ახჩოფს, თებზ-0 უწყლობაო. ანგურ-0 რეცხავდენ, მეტიდამე-ტი წვენი გასდიოდაო.

ბგერის განვითარება: მაშვინ, ჭყინტლი, ჩინთი, ანგური, ღარ-ტაკი, ხვერწნა, არდგილი..

მეტათეზისი: ტალავერი > ტარაველი, ყინვა > ყინვა, ეჭვი > ვეჭვი, ღრმა > რღმა...

სუბსტიტუცია: ვ > მ: მალავ > მალამ, ყავს > ყამს... ვ > ბ: თევზი > თებზი... მ > ნ: ხელმწიფე > ხენწიფე... მ > ბ: მყავე > ბყავე, მზითვი > ბზითვი...

სახელთა ბრუნება. ა ხმოვანფუძიანი სახელები სახელობითში ე დაბოლოებითაა წარმოდგენილი: კარიე, ტომარე... იასონე, კოლიე, ვასილე, ტარიელე < ტარიელე < ტარიელი < ტარიელია.

უ ხმოვანფუძიან სახელებში დაცულია სახელობითი ბრუნვის დაბოლოება სრული სახით. ამ შემთხვევაში ფუძისეულ უ-სა და ბრუნვის ნიშანს შორის განვითარებულია ვ: ყრუ-ვ-ი, ცრუ-ვ-ი, კუ-ვ-ი, ბუ-ვ-ი, ბლუ-ვ-ი... სახელობითის -ი შეიძლება დაერთოს ხმოვანფუძიან ერთ- ან ორმარცვლიან სახელებს: კტე-ი, ურო-ი...

ხმოვანფუძიანი სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში არ იკვეცება: ქვა-ის/ქვა-დს, ქვა-ით/ქვა-დთ...

ვითარებით ბრუნვაში -ად > -ათ: ღარიბ-ათ, კაც-ათ, კტე-თ... ხშირად -ად > -ა: სწორ-ა დგას, ყველა კარქ-ა არი.

თანხმოვანფუძიანი ადამიანის საკუთარი სახელი წოდებითში დაირთავს -ო სუფიქსს: ბიკტორ-ო, ილარიონ-ო, ბესარიონ-ო, ანტონ-ო...

მავრცობ ხმოვნად გვხვდება -ა, -ე, -გ, -უ: კაც-ს-ე, კარქ-ათ-ე... ხუთშაბათს-გ/ხუთშაბათ-ს-უ, ვიცოდი-თ-გ...

მრ. რიცხვის -ებ სუფიქსი მოთხრობითში ე- სახით გვევლინება: ამ ბებერმა კაც-ე-მა დეიწყეს ლაპარაკი; სხვ-ე-მაც თქვეს სიტყვები... ოჯახის გვარსახელები იწარმოება -ნ და -ნ-ებ სუფიქსებით: გოქაძის-ა-ნ-ი, ბენიძე-ნ-ებ-ი... პირის ნაცვალსახელები: აგენი, ეგენი, იგენი, მაგენი... მოთხრ.: აგენმა, იგენმა, მაგენმა... მიც.: აგენს, იგენს, მაგენს...

ზმნის თავისებურებები. ფუძედრეკად ზმნებს დაერთვის -ავ სუფიქსი: წყვეტ-ავ, ხვეტ-ავ, ჟნეტ-ავ, დრეკ-ავ, ღლეტ-ავ...

I სერიაში ი ფუძებოლოკიდურიან ზმნებთან მრ. რიცხვისა და მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გვაქვს -ენ (ნაცვლად -ან სუფიქსისა): უმკი-ენ, უჭრი-ენ, ტირი-ენ, თოხნი-ენ...

მრავლობითობის აღსანიშნავად გვხვდება აგრეთვე -არიენ/-ლარიენ და -ყე: დგან-ლარიენ/დგი-ლარიენ „დგანან“, გიყვარ-ლარიენ „გიყვართ“, დამთვრალ-არიენ „დამთვრალან“.

-ყე ნაწილაკი დაერთვის ზმნას და აღნიშნავს: ა) ირიბი ობიექტის მრავლობითობას: (ვ)უთხარი-ყე მეზობლედს ამბავი; მტრედს არაფელი მივეცი-ყე... ბ) პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას.

თობას: სტუმრები სალამომდი გააჩერა-ყე; მაგისტვინ რავა გაგლანძლა-ყე (თქვენ)? გ) ინვერსიულ ზმნებში სუბიექტის მრავლობითობას: შავგული დოუკლეს-ყე (მათ); იგენს ადრე ერთიმეორესთვინ პირობა მიუცია-ყე (მ. ალავიძე, 1941: 234).

წყვეტილში -ე სუფიქსიანი ზმნები პირველ და მეორე პირში -**ევ-ი** დაბოლოებით გვხვდება: მოსპ-ევ-ი, ენდ-ევ-ი, მორწყ-ევ-ი, დათმ-ევ-ი, დარტ-ევ-ი, მომკ-ევ-ი... (მდრ. მეგრ. დოპტ-ე-ი (<დოპტ-ევ-ი) „შევიკერე“, დოფშ-ე-ი (<დოფშ-ევ-ი) „მოგქსოვე“).

გვხვდება **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოები IV სერიის ფორმები: ნახნავა (ის ყანას), ნაწერავა (ის წიგნს), ნაკეთება (ის საქმეს)...

სინტაქსა ხშირად II სერიაში ბრუნვათცვლელი სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია: **მაყრებმა** მევიდენ; კაცმა ადგა; ამ **ქალმა** დაფიქრდა; **მეზობელმა** დამპირდა.

მსაზღვრელად წარმოდგენილი ჩვენებითი ნაცვალსახელები **ეს, ეგ, მაგ, ის, იგი** გამარტივებულია: **ე** ღვინო, **მა** ტყე, **ი** ხემწიფე, **ი** კაცი...

ხშიარია ქვემდებარე-შემასმენლის აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ხალხმა დეინახეს; ჯარი ომში მიდიოდენ...

დასტურდება კითხვითი ნაწილაკი **ა**: გაახარეფ-ა? გააკეთეფ-ა? წახვალ-ა? (მ. ალავიძე, 1941: 234).

ლექსიკა. დიალექტური ლექსიკა: *ამცავიანება* „ამაღლება, ზეაყვანა“, *აჭე* „ჩირგვი, ბუჩქი“, *ბაჩულია* „ჩანჩურა კაცი“, *ბეზუნა* „დიდი და მძიმე“, *ბემბეცო* „წყვილი, ბნელი“, *ბიშტი* „ლენჩი, შტერი“, *ბობოლია* „თეთრი“, *ბოყვი* „ტყემლის ორლებნიანი ნაყოფი“, *ბრანდი* „მრუდი“, *ბრუნვალე* „ქვეწარმავალი; მკბენარი“... (მ. ალავიძე, 1938).

განაპირა კილოები

ფხოურ კილოთა ქვეჯგუფი

2.6. ხევსურული დიალექტი

საზღვრები.

ხევსურეთი ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. კავკასიონის ქედი ხევსურეთს ორ ნაწილად ყოფს: ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე, ანუ **პირიქითა ხევსურეთი** და სამხრეთ-დასავლეთი მხარე, ანუ **პირაქეთა ხევსურეთი**. პირიქითა ხევსურეთი მოიცავს არხოტის, შატილისა და არდოტის ხეობებს (ახლანდელი დუშეთის რაიონის შატილის თემის ტერიტორია), პირაქეთა ხევსურეთი — ხევსურეთის არაგვის ხეობას (დუშეთის რაიონის ბარისახოსა და გუდანის თემის ტერიტორია). პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი ერთმანეთს არხოტისა და დათვისჯვრის უღელტეხილით უკავშირდება. პირაქეთელი ხევსურები „თავიანთ თავს ნამდვილ ხევსურებს და მიწა-წყალსაც ბუდე ხევსურეთს უწოდებენ“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961: 1).

ადრინდელ ისტორიულ წყაროებსა და საბუთებში ხევსურეთი ხშირად ფშავთან ერთად მოიხსენიება. ამაზე სახელწოდება **ფხოვიც** მიუთითებს. ხევსურეთი ცალკე კუთხის აღსანიშნავად მოგვიანებით, XV საუკუნიდან, ჩნდება. სახელი დარქმეულია მხარის მთიანი, ხევებიანი ადგილმდებარეობის გამო.

ხევსურეთს ჩრდილოებით ესაზღვრება ჩაჩნეთ-ინგუშეთი, აღმოსავლეთით — თუშეთი, დასავლეთით — ხევი და გუდამაყარი, სამხრეთით — ფშავი.

ვახუშტი ვრცლად მოგვითხრობს ხევსურეთის საზღვრებზე: „ამ ჟინვანს ზეით და ხარჭაშოს ზეით მოერთვის თეთრს არაგუს ქვესურეთის-წყალი. გამოსდის ესე ძურძუკისა და ამას შორისს მთას კავკასს, მოდის ჩდილოდამ სამჯრით. ამას მოერთვის ქვენი იმიერ და ამიერ. და განჰყოფს ქვესურეთს: აღმოსავლით კავკასილამ ჩამოსული მთა სამჯრეთად, ამასა და ფშავს შორისი; სამჯრით ფშავის საზღვარი. ჩდილოთ კავკასი, ამასა და ძურძუკს შორისი; დასავლით კავკასილამ ჩამოსული სამჯრეთად მთა, ამასა და გუდამაყარს შორისი“ (ვახუშტი, 1941: 92).

ხევსურეთი დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს დუშეთის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილს; ორ თემად იყოფა: ხევსურეთის (ცენტრი — ბარისახო) და შატილის (ცენტრი — შატილი). ხევსურები ცხოვრობენ, აგრეთვე, ხევში (ჭუთა), გუდამაყარში, ერწო-თიანეთში, კახეთში (გომბორი, შირაქი).

ენობრივი დახასიათება

კილოკავები. ხევსურულ დიალექტში გამოყოფენ ორ კილოკავს: **შატილურ-მიღმახეურსა** და **პირაქეთულ-არხოტულს**. მათ შორის განმასხვავებელ ენობრივ ნიშნებად დასახელებულია: ა) ზმნა „ვარ“ შატილურ-მიღმახეურში „ვარ/ვარი“ ფორმითაა წარმოდგენილი, პირაქეთულ-არხოტულში კი „ორ“ ფორმით გვხვდება, ბ) შატილურ-მიღმახეურში ზმნა-შემასმენელთან სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: კაც ვარი, ქორწილი ქნეს, პირაქეთულ-არხოტულში კი შემასმენელი მახვილის გავლენით ენკლიტიკურად მიერთვის სახელს, რასაც მახვილი განაპირობებს: კაცი-ორ „კაცი ვარ“, ქორწილ-ქნეს (ა. ჭინჭარაული, 1960: IX).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. ხევსურულში განსხვავებულ ბგერათაგან დაცულია: ა) ჯ ფონემა: ჯმა, ჯევი, ჯმალი... ბ) მოკლე ი, რომელიც წარმოადგენს უმარცვლო ძირის მქონე ზმნების წყვეტილის I-II პირის ფორმებში ე ხმოვნის ნაცვალს: გა-ვი-ი-გ-ი „გავიგე“, გა-ი-ვი „გავიგე“... ხოლო კავშირებითის ფორმებში მხ. რიცხვის I-II პირში ა>ი/ე: ვჩეჩდ-ი/ე „ვჩეჩდე“, ჩეჩდ-ი/ე „ჩეჩდე“...

ბოლოკიდურ პოზიციაში რედუცირდება ხმოვანი, რომელიც შეიძლება იყოს ბრუნვისა თუ პირის ნიშანი, მორფემისეული ელემენტი: სახ. კაც, მოთხ. კაცმ... კაცი-ლა > კაცი-ლ.. რედუქციის შედეგად **ო > ვ: კაციო > კაცივ.**

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსებში ვითარდება ხმოვანი: ღირძილი „ღრძილი“, ჩირჩილი „ჩრჩილი“, ფირჩხილი „ფრჩხილი“, კილდე „კლდე“, თირთოლი „თრთოლა“ (მღრ. მეგრ. ბირცხა, ჭან. ბუცხა; აჭარ. კილდე, მეგრ. კირდე, სვან. კვლდე; ჭან. თირთინი, მეგრ. თირთოლი...).

S₂ და O₃ პირის ნიშანი ჰ- ნაირგვარ ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის იმის მიხედვით, თუ რომელი თანხმოვნით იწყება ფუძე: ჰ > ს- დასტურდება კბილისმიერი (თ,ტ) და წინანუნისმიერი (ც,წ) თანხმოვნების წინ: ა-ს-ტყდების; ჰ- > ს- > შ- — ყრუ უკანაენისმიერი (ჭ,ჩ) თანხმოვნების წინ: და-შ-ჭრიან; ჰ- > ს- > შ- > ჟ- — მჟღერი უკანანუნისმიერი ჯ თანხმოვნის წინ: ჟ-ჯობს; ჰ- > ს- > ზ- — მჟღერი კბილისმიერი დ და წინანუნისმიერი ძ თანხმოვნების წინ: მა-ზ-ლოლივა; ჰ- > ხ- — ყრუ ბაგისმიერი პ,ფ და რბილ-სასისმიერი კ,ქ,ყ თანხმოვნების წინ: ხ-ქვიან; ჰ- > ხ- > ლ- — მჟღერი ბაგისმიერი ბ, რბილსასისმიერი გ და სონორი მ,ნ,რ,ლ,ვ თანხმოვნების წინ: ლ-ვედრიდა, და-ლ-ლივა. ჰ- > 0: ხმოვნის წინა პოზიციაში: ა-უშენებენ...

ასიმილაცია: აე > ეე; დაეკრა > დეეკრა, ჩაეცვა > ჩეეცვა, ჭალაებზე > ჭალეებზე, კალთაები > კალთეებ... აო > ოო: მუშაობა > მუშოობა, თაობა > თოობა...

მეტათეზისი: ღრუბელი > ღურბელი, ძლიერი > ძრიელი, ეჭვი > ვეჭვი, ეჟვანი > ვეჟანი...

ლაბიალურ კომპლექსთა ცვლილებები: ვა > ო: ვაჟი > ოჟი, ვართ > ორთ... ვე > ო: გაუშვებს > გაუშობს, ქვეყანა > ქოყანა/ხოყანა... (ა. ჭინჭარაული, 1960: 2-22).

სახელთა ბრუნება. სახელობითსა და მოთხრობითში ხმოვანფუძიანი სახელები შესაძლოა სრულად იყოს წარმოდგენილი (საქმე-ი, მოყმე-მა), ხოლო თანხმოვანფუძიანი სახელები სახელობითში ფუძის სახით, მოთხრობითში კი -მ-ს სახით გვხვდება (დიაცებ მიდიან, ღმერთ-მ აგაშენას...).

მიცემითი იხმარება ვითარებითი ბრუნვის მნიშვნელობით: ლამაზას „ლამაზად“, ძმურას „ძმურად“, რას „რად“...

ვითარებითის -ად > -ა: ადვილ-ა, ლამაზ-ა...

-თვის თანდებულიანი ნათესაობითის ფუნქციით გამოიყენება ნანათესაობითარი ვითარებითი: ძმ-ის-ად „ძმისთვის“, მეზობლ-ის-ად „მეზობლისთვის“...

თანდებულშერწყმულ ბრუნვის ფორმებს შეიძლება დაერთოს -ით/-ივ ფორმანტები: ციხეებ-ში-ით, ხე-ზე-ით, გულ-ისგნ-ივ... მსგავსი შემთხვევა არ დასტურდება ცალკე მდგომ თანდებულებთან⁷⁶.

-ებ-იანი მრავლობითის გვერდით ჩვეულებრივ გამოიყენება ნართანიანი მრავლობითი: ქალ-ნ-ი, ჯოხ-ნ-ი, გზა-ნ-ი... ლეკო-ნ-ი „ლეკოს ოჯახი“...

ზმნის თავისებურებები. ხევსურულში დაცულია ზმნის უთემისნიშნო წარმოება: თიბს, რეცხს, ჯოცს...

-ავ/-ამ > -ევ/-ემ უწყვეტელსა და I კავშირებითში: მალ-ავ-ს > მალ-ევ-დ-ა/მალ-ევ-დ-ა-ს, აბ-ამ-ს > აბ-ემ-დ-ა/აბ-ემ-დ-ა-ს... (არქაული ფაქტია).

აწმყოში ვნებითის ყალიბი ძველი ქართულის მსგავსია: და-დგ-ებ-ი-ს, ე-ხვევ-ი-ს...

წარსული დროის ფორმებში S₃ პირის ნიშნად მრ. რიცხვში გამოიყენება -ეს ფორმანტი (ძველი ქართულის მსგავსად): წაიღებდეს „წაიღებდნენ“, ადგ-ეს „ადგნენ“...

კავშირებითის ფორმების მაწარმოებლად ერთადერთი -ა სუფიქსი იხმარება: ჩეჩ-დ-ა-ს „ჩეჩდეს“, ხატავ-დ-ა-ს „ხატავდეს“ (I კავშ.), ჩეჩ-ა-ს „ჩეჩოს“, დახატ-ა-ს „დახატოს“ (II კავშ.)...

ხოლმეობითის ფორმები იწარმოება ნამყო დროის ფორმებზე I-II პირში -იდ სუფიქსის დართვით: ვ-წერდ-იდ-ი, წერდ-იდ-ი, წერდ-ი-ს (I ხოლმ.), და-ვ-წერ-იდ-ი, და-წერ-იდ-ი, და-წერ-ი-ს (II ხოლმ.), და-მ-ე-წერ-ი-ს. და-გ-ე-წერ-ი-ს, და-ე-წერ-ი-ს (III ხოლმ.).

განსხვავებულია კატეგორიული და თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითის ფორმათა წარმოება. ნატეგორიული ბრძანებითი იყენებს წყვეტილის II პირის ფორმას (თანამედროვე ქართულის მსგავსად) — შეკვეცილი ფორმით: მაიყვა, მამაწვა.... -ლა/-ლ ნაწილაკდართული: მაიყვანე-ლ, მამაწვადე-ლ... ხოლო თხოვნით-წაქეზებითი — ხოლმეო-

⁷⁶ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ ბრუნვის ფორმას შერწყმული თანდებული და ცალკე მდგომი თანდებული სხვადასხვა რანგის მორფემებია.

ბითის ფორმებს: მაიყვან-იდ-ი „გთხოვ მოიყვანე“, მამაწვად-იდ-ი „გთხოვ, მომაწოდე“...

I თურმეობითში ორპირიანი ზმნების ყალიბში განზოგადებულია -ავ(ის) ფორმანტი: მაუჟნ-ავ < მაუჟნ-ავის „მოუხნავს“, გაუკეთებ-ავ < გაუკეთებ-ავის „გაუკეთებია“... ლ-ბ-ავ „აბია“, ხ-კიდ-ავ „ჰკიდია“...

ერთპირიანი ფორმები მეშველი ზმნით იწარმოება: ზ-ძინებ-იყვა „სძინებოდა“, გა-ლ-მარჯვებ-იყვა „გაჰმარჯვებოდა“...

სინტაგმა. ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული ნარ-თანთან მრავლობითში შეთანხმებულია ორივე პოზიციაში: ლამაზნი ქალნი, ქალნი ლამაზნი... სუბსტანტიური მსაზღვრელი — შებრუნებული წყობისას: შუქნი მზისანი...

სახელობითში დასმული სახელის ზმნასთან რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით არქაული ქართულის (/საეკლესიო მწერლობის ენის) მსგავსი ვითარებაა: დაკრიფ-ნ-ა ყვავილ-ნ-ი. მიცემითში დასმული სახელი ზმნას ხან ეთანხმება რიცხვში, ხან არა; როგორც წესი, რიცხვში შეთანხმება ხდება I-II პირში (გვიხარის ჩვენ, გიხარისთ თქვენ), III პირში შეთანხმება არ გვაქვს: ძმათ აქვის საუბარი.

დაცულია არქაული ქართულის კითხვითი -ა ნაწილაკი, რომელსაც შეიძლება დაერთოს -ე ელემენტი: მიდიხარ-ა „მიდიხარ?“ გავსონს-ა-ე „გახსოვს“...

-მცა ნაწილაკი გამოიყენება კავშირებითობის (ნატვრითი სემანტიკის) აღსანიშნავად: ღმერთიმც აგაშენებს „ღმერთმა აგაშენოს!“ უფალიმც დაგლოცავს „უფალმა დაგლოცოს!“

ლექსიკა. დიალექტური ლექსიკა: ბალითი „ღალატი, მოტყუება, გაბრიყვება“; ბარდლი „ბანჯგვლი, ბალანი“; ბეზვი „დანჯღრეული, დაძველებული“; ზერაცეცი „დაუდეგარი, მოუსვენარი, ფიცხი“; თიკვი „ტოლის ფერადი ან მოქარგული ნაჭერი ტანსაცმლის სამკაულად“; იშვიდაზი „იშვიათად“; ნაზირზენა „ნამუსრევი, ნაფხვენი“; ფერლენა „ყელთეთრი ცხოველი“; ხინკა „სლოკინი“ (ა. ჭინჭარაული, 2005).

თვლის ოცობითი სისტემა გამოიყენება ასის შემდეგაც: ხუთოცი „ასი“, ექვსოცი „ას ოცი“, შვიდოცი „ას ორმოცი“... (ა. შანიძე, 1981). ასობით ითვლიან ათასის შემდეგაც: თერთმეტასი „ათას ასი“, თორმეტასი „ათას ორასი“...

2.7. ფშაური დიალექტი

საზღვრები.

ფშავი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობს. ფშავის მთავარი მდინარე არაგვია, რომელიც სამი შენაკადისაგან შედგება: ბოთანას წყალი, ასისხევი და ბოგოჩარის ხევი.

ქართულ ისტორიულ წყაროებში ფშავი ხევისურეთთან ერთად იწოდება ფხოვად. ძველი ისტორიული სახელი დღეს მხოლოდ ერთ სოფელს — შუაფხოს შერჩენია.

ფშავის გეოგრაფიული აღწერა მოცემული აქვს ვახუშტის: „ხოლო ჰევსურეთის მთას იქით არს ფშავი, რომელსაც შუაში უდის თეთრი არაგვი, და მოერთვიან ჰევნი აღმოსავლით დასავლეთიდამ. აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას-ჯვარს, და აქუთ სასოება მას ზედა ფრიად... ხოლო მზღვრის ფშავს: აღმოსავლით მთა კავკასიიდამ ჩამოსული; სამჯრით კავკასივე, ამასა და მანვილოს-ჰევს შორისი; სამჯრით მთა, ამასა და თიანეთს შორისი; ჩდილოთ კავკასი, ამასა და ღლიღვს შორისი; დასავლით მთა, კავკასიიდამ ჩამოსული სამჯრით, ამასა და ჰევსურეთს შორისი...“ (ვახუშტი, 1941: 92-93).

ფშავის საზღვრები დღესაც ძირითადად უცვლელია: ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას აღმოსავლეთით ყოფს თუშეთისაგან და ჩრდილოეთით კი პირიქითი ხევისურეთისაგან; დასავლეთით ესაზღვრება პირაქეთი ხევისურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, სამხრეთით — ღუშეთის რაიონი (შიდა ქართლი).

ფშავლები დღეს გაფანტულნი არიან მდ. არაგვის, ივრის, ილტოსა და ალაზნის სათავეებში. დიდი რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე გომბორში, ერწო-თიანეთსა და შირაქში. ერწო-თიანეთს ხშირად ფშავის სახელითაც მოიხსენიებენ. ფშავლები კომპაქტურად არიან დასახლებული არტანის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში. ფშაური მოსახლეობა საკმაო რაოდენობით ცხოვრობს ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში, თელავის რაიონის ორ სოფელში (ლუჩური, ლაფანყური), ყვარლის რაიონის სოფ. გძელჭალაში.

ტრადიციულად ითვლება, რომ ფშავლების თავდაპირველი საცხოვრებელი იყო „ზემო ფშავი“ („ბუდე ფშავი“), საკუთრივ ფშავის არაგვის ხეობა ორწყალს ზემოთ. ფშავლებით დასახლებულ დანარჩენ ადგილებში ფშაური მოსახლეობა გაჩენილია სხვადასხვა დროს მიგრაციების წყალობით. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ფშაველთა 12 თემიდან 11-ის ოდინდელი ადგილსამყოფელი და მათი ხატ-სალოცავები სწორედ საკუთრივ ფშავის არაგვის ხეობაშია.

ფშავი 12 გვაროვნულ თემად იყო დაყოფილი, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 2 თემის საბჭოში: მაღაროსკარის — სოფელ მაღაროსკარში და უკანაფშავის — სოფელ შუაფხოში. თითოეულ თემს თავისი სალოცავი ჰქონდა, მაგრამ ყველა მათგანი ერთი მთავარი სალოცავის — ლაშარის ჯვრის გარშემო ერთიანდებოდა (რ. თოფჩიშვილი, 2002).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ფშავის ხეობა კახეთში, ყოფილი თიანეთის მაზრაში შედიოდა. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით იგი დღუშეთის რაიონს მიეკუთვნება. რამდენიმე ფშაური სოფელი თიანეთის რაიონში შედის.

ენობრივი დახასიათება

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. გვხვდება ჯ ფონემა: ჯევი, ჯმა, ფეჯი...

S₂ და O₃ პირის პრეფიქსები ხმოვანზე დასრულებული ზმნისწინების მომდევნოდ იქცევა **ღ**-დ: და-ჰ-ბარავს > და-ღ-ბარავს, შა-ს-დებენ > შა-ღ-დებენ...

ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვანი სუსტდება ან მთლიანად იკარგება, განსაკუთრებით და კავშირის ენკლიტიკის დროს: ქალი-დ კაცი (<ქალი და კაცი)... სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ო** > ვ: ქალი-ო > ქალი-ვ, მამშივდა-ო > მამშივდა-ვ...

ასიმილაციის საფუძველზე აე > ეე: დაემალა > დეემალა, ბიძაები > ბიძეები...

დისიმილაცია: ეა > ია: შეატყო > შიატყო. ოა > უა: ჩამოვა > ჩამოა > ჩამუა, გროვება > გროება > გრუება...

ვა > ო: ყვავილი > ყოილი, ზვავი > ზოვი, ყვავი > ყოვი... ვე > ო: ქვეყანა > ხოყანა...

სახელთა ბრუნება. სახელობითისა და მოთხრობითის ნიშნები (-ი, -მა) შეიძლება სრული სახით იყოს წარმოდგენილი ხმოვანფუძიან სახელებთან (ვაჟა-ი, ვაჟა-მა), ხოლო თანხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითის -ი და მოთხრობითის -მა ნიშნის ხმოვნითი ნაწილი დაიკარგოს (კაც წავიდა, ქალ-მ მაიტანა).

ხვესურულისა და მეგრულის მსგავსად, მიცემითი გამოიყენება ვითარებითი ბრუნვის ფუნქციით: მზას „მზად“, ხშირას „ხშირად“ (შდრ. მეგრ. უხირას)...

ნათესაობითსა და მოქმედებითში **ა** ხმოვანფუძიანი სახელები არ იკვეცება: ცხემლა-ის, ცხემლა-ით...

ვითარებითის -ად > -ა: ლამაზ-ა, კარგ-ა...

მრავლობითში -ებ სუფიქსის გვერდით იხმარება -ნ/-თ მორფემები: წიწო-ნ-ი „წიწოს ჯალაბი“, წიწო-თ გიორგი...

ზმნის თავისებურებები. ხოლმეობითის ფორმები I-II პირში იწარმოება -ოდ სუფიქსით: ვ-ს-წერდ-ოდ-ი, ს-წერდ-ოდ-ი, ს-წერდ-ი-ს (I ხოლმ.), დავწერ-ოდ-ი, დაწერ-ოდ-ი, დაწერ-ი-ს (II ხოლმ.)...

კატეგორიული ბრძანებითის საწარმოებლად გამოიყენება წყვეტილის II პირის ფორმა (ააგე, გამითხარე), ხოლო თხოვნით-

წაქეზებითი ბრძანებითი გამოიხატება: ა) ხოლმეობითის II პირის ფორმით (ააგ-ოდ-ი, გამითხარ-ოდ-ი), ბ) ხოლმეობითის -ოდ სუფიქსზე კავშირებითის -ე სუფიქსის დართვით (გამითხარ-ოდ-ე, ააგ-ოდ-ე)...

ორპირიან ზმნურ ფორმათა I თურმეობითის მაწარმოებლად იხმარება -ავ(ის): წაუყვან-ავ < წაუყვან-ავ(ი-ს), გაუკეთებ-ავ < გაუკეთებ-ავ(ი-ს), თუმცა პარალელურად დასტურდება -ი სუფიქსიანი წარმოებაც: წაუყვან-ი-ა, გაუკეთებ-ი-ა... ანალოგიურად იწარმოება ზოგ ერთპირიან ფორმათა აწმყოს ფორმებიც: ხ-ყრ-ავ-ი-ს > ხ-ყრ-ავ „ყრია“, ღ-ბ-ავ-ი-ს > ღ-ბ-ავ „აბია“;..

სინტაგმა. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების თვალსაზრისით ასეთი ვითარებაა: მსაზღვრელი საზღვრულს ეთანხმება მიცემითსა და ნათესაობითში (მაღალ-ს სახლ-ს, მაღლ-ის სახლ-ის), მოქმედებითში ნათესაობითის ფორმითაა წარმოდგენილი (მაღლ-ის სახლ-ით), სახელობითში, მოთხრობითსა და ვითარებითში ფუძის სახით (მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ-ი სახლ-მა, მაღალ-ი სახლ-ად).

-ებ-იანი მრავლობითის ფორმა ხშირად ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში: ჯარეგით მოდის ქისტები...

ნარ-თანთან მრავლობითში მდგარი სახელი (სუბიექტი, ობიექტი) ზმნას რიცხვში ეთანხმება სახელობითში: **ჩააცვნა** ი **ტანისამოსნი**; ი **დედ-მამან** კი სუ **ექებდიან**. -ებთან მრავლობითის ფორმით სახელობითბრუნვიანი სახელი ზმნას, როგორც წესი, რიცხვში ვერ ითანხმებს: **გადმეწლება** **ლეკები**; ჯარეგით **მოდის ქისტები**; **ფშავლები** მტერმა **დალია**... იშვიათია -ებთან მრავლობითის ზმნასთან რიცხვში შეთანხმების შემთხვევები, რაც ახალი მოვლენაა: უფროსი **ძმები** **გავიდენ** ერთ ქალაქში; **გამაუღვენ** ეს **ფშავლები** (გ. ცოცანიძე, 1978: 122-123).

გამოიყენება კითხვითი -ა ნაწილაკი: არ მიდის-ა „არ მიდის?“

ლექსიკა. დიალექტური ლექსიკა: *ენი* „გამოქვაბული“, *სამ* „სადრაც“; *ფერება* „მიმსგავსება“, *ფერცხალი* „ნეკნი“; *ქართველი* „ბარელი, არა მთიელი“; *ჩოხაოში* „ბარგი-ბარხანა, ხარახურა“; *ცნემლა* ქსლის საქსოვი ხელსაწყო“ (გ. ცოცანიძე, 1978);

გვხვდება თავისებური სიტყვათშეერთებანი: *იმაად ვარ, იმაად ვიყოდი* „ვფიქრობ, ვცდილობ, იმის ცდაში ვარ“, *საბერებლად შედგომა* „ხანში შესვლა“, *ჩხუბად გაუჭდის* „ჩხუბს აუტენს, შეებრძოლება“, *საჭმლისად გამგელდა* „ძლიერ მოშივდა“, *სახლისკე დაწუხება* „სახლის მონატრება“... (იქვე: 124).

თუშთა მეტყველება

ქართველთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი: “თუშები“ ორ ძირითად საზოგადოებად იყოფა: **წოვა-თუშები** და **ჩაღმა-თუშები**. თუშები გენეტიკურად და თვითმეგნებით არიან ქართველები, სარწმუნოებით - მართლმადიდებლები დღიდან საქართველოს გაქრისტიანებისა (IVს-ში, როდესაც წმ. ნინოს საქართველოში შემობრძანდა ქრიატიანობის გასავრცელებლად, დამხდურთა შორის იხსენიებიან წობონები). წოვა-თუშების თვითსახელწოდებაა “ბაცბი“. ტერმინები: წოვა და ბაცბი სინონიმებია, რამდენადაც, ტერმინი “ბაცბი“ გამოიყენება მხოლოდ “კერიის ენაზე“ საუბრისას (მდრ. შვანური: “მუშვან“). ტერმინები: “წოვა(-თუში)“ და “ჩაღმა(-თუში)“ გამოიყენება საკუთრივ თუშებს შორის კომუნიკაციის პროცესში; თუშეთს გარეთ - საქართველოს სხვა კუთხეებში - **ჩაღმაც** და **წოვაც** თავს **თუშად** წარადგენს, საქართველოს გარეთ კი - **ქართველად**.

საზღვრები.

თუშეთი აღმოსავლეთ საქართველოში, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს.

აღმოსავლეთით თუშეთს დაღესტანი ესაზღვრება, დასავლეთით — ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთით — ჩაჩნეთ-ინგუშეთი, სამხრეთით — კახეთი. თუშეთი შემოზღუდულია წყალგამყოფი მაღალი ქედებით. ჩრდილოეთის ქედზე აღმართულია მაღალი მწვერვალები, რომელიც მას ჩაჩნეთ-ინგუშეთისგან ყოფს. შიგ თუშეთი ხევებითაა დაღარული. პირიქითა ქედი თუშეთს ორად ყოფს: ჩრდილოეთ მხარეზე არის პირიქითა ხეობა, ხოლო სამხრეთით — გომეწრის ხეობა.

თუშეთში ორი მდინარე მიედინება: გომეწრისა და პირიქითის ალაზანი. თუშეთი სამ ხეობად იყოფა: პირიქითი, გომეწარი და ჩაღმა (ს.მაკალათია, 1983: 10).

ვახუშტის აღწერით: „*თუშეთი არს ლოპოტისა, თორღისა და პანკისის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩდილოთ კერძოთა შინა, და არს ორს ჯეჟად და მდებარებს ჩდილო-დასავლეთის შუაღამ აღმოსავლეთს-სამჯრეთს შორის, უდის შორის მდინარე თჳსი, და მიერთვის სონა მდინარეს, რომელი განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორაღანს თერგის მდინარეს. ხოლო პანკისის გარდასწორ, კავკასს იქით, არს წოვა; წოვას ქვეით გომეწარი და მის ქვეით ჩაღმა. და ჩაღმიდამ გარდავალს გზა თორღას და ლოპოტის ჯეჟედ. და არიან დაბნები ესენი უმჯობესნი. და სხვანი დაბნები არიან ლზ. ამისჩდილოთ არს ფარსმანის თუშეთის-ჯევი, რომელთა უძეს შორის კავკასივე. არს ფარსმანის თუშეთს დაბანი ლვ, და განჰყოფს ფარსმანს და წოვა-გომეწარ-ჩაჩმარტის ჯეჟთა ქისტ-ლლიღვიდამ წამოსული კავკასი ჰავარსა, ჩაჩანსა და ამას შორისი; სამჯრით კავკასი, ამასა და დიდოეთს შორისი; ჩდილოთ კავკასი, ამას და*

ლლიღვ-ქისტს შორის. არამედ არს ქვეყანა ესე ყოვლითავე... სიმა-
გრიტ, მოსავლით, პირუტყვით, ნაყოფიერებით და ჰელოვნებით. არა-
მედ კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათგან აქუთ
ზაფხულს თვსთა მათთა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ
გაღმა-შვარსა შინა, და ამათ უმეტეს მორჩილებენ კახთა.

ხოლო ფარსმანი უფროს მწირ არს, გარნა ამათ მიერ ივინიცა
გამოიზღებია¹ კახეთით, რამეთუ მათ მოჰყავთ და ვაჭრობენ. არა-
მედ იგი არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა, ხოლო ესენი მორჩილნი,
მოლაშქრენი და მეხარკენი არიან... ხოლო რომელნი არიან მკარეთა
ქისტთა და ღლიღვთა, უწყიან ენანი უფროს მათნი. გარნა ფარსმა-
ნის ჰევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა
ქისტნი...“ (ვახუშტი, 1941: 104-105).

თუშეთი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ოთხ ტერიტორიულ თე-
მად იყოფოდა: წოვა, გომეწარი, ჩალმა და პირიქითი. პირიქითის
თემს ვახუშტი „ფარსმანის თუშეთს“ უწოდებს. ეთნოგრაფიული
მონაცემებით თემთა რაოდენობა მეტი ყოფილა. ისტორიულ
თუშეთში 8 თემი არსებობდა: ჭინჭახოვანი, ჩალმა, ხეცუტურთა, ივა-
ნაურთა, გომეწარი, პირიქითი (აღმა), სამციხი, წოვათა. შემდეგ მა-
თი გამსხვილება მომხდარა (რ.თოფჩიშვილი, 2002: 50).

თუშეთის ცენტრად სოფელი ომალო ითვლება. თუშეთი ძი-
რითადად ახმეტის რაიონს მოიცავს.

ისტორიული ცნობების მიხედვით, თუშეთი V საუკუნიდან აღ-
მოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი გახდა.
VIII საუკუნეში ლუნძეთთან და წუქეთთან ერთად ქმნიდა ერთ აღ-
მინისტრაციულ ერთეულს. კახეთის ძველი სამეფოს არსებობის
დროს (VIII-XI სს.) პანკისის საერისთავოში შედიოდა, შემდეგ —
კახეთის საერისთავოში, XVI-XVIII საუკუნეებში თუშეთის სამოურა-
ვო კახეთის სამეფოს ფარგლებში მოექცა.

**ისტორიულ საბუთებში მოცემულია ცნობა ფხოველთა (ფშავ-
ხევსურთა) თუშეთში მიგრაციის შესახებ,** რასაც ეთნოგრაფიული
მონაცემებთან ერთად ენობრივი შეხვედრებიც ადასტურებს.
საინტერესოა ამ მხრივ იდენტური ტოპონიმების არსებობაც ფშავ-
ხევსურეთსა და თუშეთში: ორწყალი, ბოჭორმა, ხახაბო, გომეწარი
(გ. კურდღელაიძე, 1983). ანალოგია თავს იჩენს გვარსახელებშიც.

წოვათუშების სოფლები იყო: მთაში - ინდურთა, მოზართა,
ეთელთა, ნაზართა, შავწყალა, საგირთა, ნადირთა, წარო, ლამა-
ზურა, ტბათანა, ქოჩადალა, ალაზნისთავი და სხვა. ბარში წოვები
სახლობენ: პანკისის ხეობაში (ომალო, ხალაწანი, ბაწარა, ბირკიანი
და სხვ.) და ალვანის ველზე: ბახტრიონში, ფხაკალყურეში, წი-
წალყურეში, მუხროვანში, გურგალჭალაში, ოთხთვალაში, ალონში,
ლაფანყურეში და სხვ. (ბ. შავხელიშვილი).

თუშთა კახეთში ინტენსიური მიგრაცია დაიწყო მე-19 საუკუნე-
ში; კერძოდ, (1821 წელს სტიქიური უბედურების გამო წაილეკა
წოვათის სოფელი საგირთა, რის გამოც წოვებმა დაიწყეს ბარში
გადმოსახლება. ისინი ჯერ დამკვიდრდნენ მდ. ალაზნის მარცხენა
სანაპიროზე მდებარე კუთვნილ სოფლებში; თუმცა სულ მალე, ამ

ადგილების ზედმეტად ჭაობიანობის გამო, იქვე მახლობლად გადასახლდნენ მათ მიერვე აშენებულ ახალი ტიპის სოფელში (1923 წ.), რომელსაც დაერქვა **ალვანი**. მოგვიანებით, ოდნავ დაშორებით მას მოჰყვა ჩაღმა-გომეწრის მკვიდრთათვის ასეთივე სოფლის მშენებლობა. საბოლოოდ ამ სოფლებს დაერქვათ ზემო ალვანი და ქვემო ალვანი.

თავდაპირველად, წოვებისაგან განსხვავებით, ჩაღმა თუშებს თუშეთში ცხოვრება არ მოუშლიათ: ხვანა-თესვას ეწეოდნენ მთაშიც და ბარშიც. “ამისდაკვალად შეიქმნა საქართველოს სინამდვილეში მხოლოდ თუშეთისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციული მოსახლეობის ტიპი, რასაც დაუკავშირდა სათანადო ტერმინებიც: “კახურაები — საზამთროდ კახეთში მიმავალნი და „თუშურაები“ — ზამთარ-ზაფხულს მთაში მცხოვრებნი“ (გ. ცოცანიძე, 1987:13). აქედან გამომდინარე, გაჩნდა ტერმინი „მთათუშეთი“. თვითონ თუშები თავიანთი უძველესი საცხოვრებლის აღსანიშნავად მხოლოდ **თუშეთს** იყენებენ. თუშებისათვის თუშეთი და კახეთი ისევე დარჩა გეოგრაფიულად განსხვავებულ სახელებად, როგორც ბარში ჩამოსახლებაამდე (თ. უთურგაიძე, 1960).

თუშეთის თემებს შორის ჩაღმის ხეობის მოსახლეობა (ომალო, შენაქო, დიკლო და ჩილო) მომთაბარეობას არ ეწევა და ზამთარ-ზაფხულს იქვე ცხოვრობს: გომეწრის თემის უმრავლესობა საზამთროდ ქვემო ალვანში ჩადის და იქ მკვიდრობს. პირიქითა ხეობის თუშები კი ზამთრობით ზემო ალვანში ცხოვრობენ. იქვე წოვა-თუშები მოსხლეობენ. წოვები საზაფხულოდ თუშეთში (წოვათაში) უკვე არ გადადიან და ტბათანაში ბანაკდებიან. წოვები და ნაწილობრივ პირიქითლელები მისდევდნენ მომთაბარე ცხოვრების წესს, რამდენადაც ოდითგანვე მათი სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენდა მეცხვარეობა.

თუშების - როგორც ჩაღმა-თუშების, ასევე, წოვა-თუშების - ეროვნული ენაა (დედაენაა) ქართული ენა; თუშთა ორივე თემს აქვს თავიანთი საოჯახო მეტყველება: **ჩაღმათუშური** და **წოვათუშური**.

2.8. ჩაღმათუშური დიალექტი

ენობრივი დახასიათება.

ჩაღმათუშურს კილოკაური დიფერენციაცია არ ახასიათებს.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. დაცულია **ჰ** ბგერა: ჯელი, ჯერჯი...

ფ მიიღება სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნისაგან: ძმა-ფ, და-ფ, წყარო-ფ...

გრძელი ხმოვნები მიიღება იდენტურ ხმოვანთა შერწყმით, კერძოდ, ზმნის თავკიდური პოზიციაში ზმნისწინისეული ხმოვნისა და ხმოვანი პრეფიქსის შერწყმის შედეგად (აქვე წარმოდგენილია მკვეთრი დამართვის ხმოვანი, რომელიც **ც** ნიშნით აღინიშნება): გაჟკეთებს „გააკეთებს“, შეჟჟამ „შეეჟამ“, გჟჟგეს „გაუგეს“ (<გუუგეს<გოუგეს<გაუგეს)... ბოლოკიდურ პოზიციაში ორი ხმოვნის შეხვედრისას: ფერა-ად>ფერჟჟელ „მსგავსად“...

ძლიერი შემართვა-დამართვის ხმოვნები გვხვდება სხვადასხვა შემთხვევაში: ბოლოკიდურ პოზიციაში: ფერაჟ „მსგავსად“; თავკიდურ პოზიციაში: ჟუჟამბო, ჟუჟადრის... პოზიციურად მიღებულ გრძელ ხმოვნებთან: გაჟკეთ, გჟჟკეთ... სიტყვის ბოლოს ხმოვანთა შორის: ქალაჟი „ქალი“, ფერაჟი „მსგავსი“... ექსპრესიულ გამოთქმებში: ჰოჟ „ჰო“, არაჟ „არა“, ჟაჟ...

ფშვინვიერი შემართვისა და მისი **იოტაციის** შემთხვევები: ჰა-გრეჟ „აგრე“, ჰაგრე>ჟაგრ „აგრე“, ჰასთაჟი>ჟასთაჟი „ასეთი“...

მოკლე ხმოვანი მიიღება: სახელობითი ბრუნვის ნიშანი **ი>ი**: აკავან-ი „აკვანი“... ზმნური სუფიქსი **ი>ი**: ვკლევდ-ი...

S₂ და **O₃** პირის პრეფიქსები (**ჰ,ს**) იმგვარ ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის, როგორსაც ხევსურულში (**ს,შ,ჟ,ზ,ღ,ხ,0**): **ჰ->ხ**: ხპარავს „ჰპარავს“; **ჰ->ღ**: ღბანს „ჰბანს“; **ს->შ**: შჟამს „სჟამს“; **ს->ჟ**: ჟჯიჯგნის „სჯიჯგნის“; **ს->ზ**: ზდებს „სდებს“...

სახელთა ბრუნება. უთანდებულო მიცემითი გამოიყენება ადგილის გარემოების ფუნქციით: დიკლოს (=დიკლოში) ატირდეს დედანი... უთანდებულო მოქმედებითი აღნიშნავს გამოსვლითობას: მთით (=მთიდან) წამოვიდა; კლდით (=კლდიდან) დაეშვა...

-ში, -ზე, -გან თანდებულშერწყმულ ფორმებს დაერთვის მოქმედებითის **-ით/-ივ** ნიშანი: სახლ-ზე-ით „სახლზე და იქიდან“, სახლ-ში-ით „სახლში და იქიდან“...

-თვის თანდებულიანი ფორმის ნაცვლად გამოიყენება ნანათესაობითარი ვითარებითი: თუშ-ის-ად „თუშისთვის“, ძმ-ის-ად „ძმისთვის“...

მრავლობითის **-ებ** სუფიქსს შეიძლება დაერთოს **-თ(ა)** მოთხრობით ბრუნვაში: კაც-ებ-(თ)ა „კაცებმა“...

ზმნის თავისებურებები. ხოლმეობითის ფორმები I-II პირში იწარმოება **-იდ** სუფიქსით: ვაკეთებდ-იდ-ი, აკეთებდ-იდ-ი, აკეთებდ-ის (I ხოლმ.), ვაკეთ-იდ-ი, აკეთ-იდ-ი, აკეთ-ი-ს (II ხოლმ.)...

უწყვეტელსა და წყვეტილში მრ. რიცხვის S₃ ნიშნად გამოიყენება არქაული -ეს: წიგვანდ-ეს „წაიყვანდნენ“, დაბრუნდ-ეს „დაბრუნდნენ“, წავიდ-ეს „წავიდნენ“...

განირჩევა ბრძანებითის ორგვარი სახე: კატეგორიული და თხოვნით-წაქეზებითი. პირველი იყენებს წყვეტილის II პირის ფორმას: გაცკეთ „გააკეთა“, მეორე კი ან ხოლმეობითის II პირის ფორმას (გაცკეთ-იდ „გთხოვ გააკეთე“), ან -და/-ლ მორფემადართულ წყვეტილის ფორმას (გაცკეთე-ლ „გთხოვ გააკეთე“)...

I თურმეობითი იწარმოება -ავ (<ავ-ი-ს) და -ი სუფიქსებით: უფიქრ-ავ < უფიქრ-ავ(ი-ს) და უფიქრ-ი-ა > უფიქრ-ი-ი...

სინტაგმა. ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება ორგვარია: ა) შეთანხმებული, სრული სახისა: ბასრ-ი^წ ვმალ-ი^წ, ბასრ-მ(ა), ვმალ-მ(ა), ბასრ-ს ვმალ-ს... ბ) მსაზღვრელი ფუძის სახითაა ყველა ბრუნვაში: ბასრ-ი ვმალ-ი^წ, ბასრ-ი ვმალ-მ(ა), ბასრ-ი ვმალ-ს...

სუბსტანტიური მსაზღვრელი მავრცობ ხმოვანს დაირთავს ორივე პოზიციაში (როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული წყობისას): საქანებელი ქარისი; ქალისი^წ ცოდო-ბრალია...

სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში: უდერაჟ-ნ წიგ-ყვან-ნ-ეს ტყვედ დიაც-ყმაწვილ-ი^წ. შესაძლოა -ებ სუფიქსიანი სახელის შეთანხმება ზმნასთან: ძროხ-ებ შევრეკე-ნ-ი^წ (თ. უთურგაიძე, 1960).

დასტურდება კითხვითობის -ა სუფიქსი: გაცკეთებ-ა? „გააკეთებ?“, მიდიხარ-ა „მიდიხარ?“

-მცა ნაწილაკი იხმარება კავშირებითი კილოს (ნატვრითობის) ფუნქციით: თუშეთა-მც წავიდიდიგ „თუშეთში წავიდოდე“... ამავე ფუნქციით გამოიყენება აგრეთვე -მე: მოვიდის-ა-მე-ვ „ნეტავ მოვიდესო“...

ლექსიკა. დიალექტური ლექსიკა: *არომებს* „ატარებს, არონინებს“; *ბარჯღალატი* „ცხვრის გრძელბეწვიანი ტყავის ქუდი“; *ბაყილაყი* „ნორჩი, სუსტი მცენარე, იტყვიან ადამიანზედაც“; *თოთხარი* „გაჭირვება, ხელმოკლეობა“; *კოტოში* „ნაფოტი“; *კუბატი* „საგანგებო უქმე“; *ყერებაჟ* „აყდერება სიმებისა“; *ტაშპაში* „გამოსარჩენი, ხალტურა, უგულოდ გაკეთება ამა თუ იმ საქმისა (პ. ხუბუტია, 1969).

წოვათუშური ნასესხობანი და კალკები: *გაჟერება* „გაშეშება“ (ბაცბ. ვერ „ქვა“), *ბაჟუჩაყი* „დიდი“, საქოკაყები „ოჩოფეხები“ (ბაცბ. ქოკ „ფეხი“), *მოწი* „ახალგაზრდა ფიჭვის ტკბილი წვენი“ (თ. უთურგაიძე, 1960).

2.9. წოვათუშური მეტყველება

ფილოლოგიის დოქტორის, პროფ. ბელა შავხელიშვილის აზრით, წოვათუშურ მეტყველებაში ვაინახური ლექსიკურ-გრამატიკული ფენა დაახლოებით 1/3-ია, ქართველური კი - 2/3. სოციოლინგვისტურად წოვათუშური ისეთივე მიმართებაშია ქართულ სალიტერატურო ენასთან, როგორც ქართველთა სხვა კუთხური მეტყველებები (დიალექტები): სხვა ქართველების მსგავსად, **წოვათუშების ეროვნული ენა (ლდედაენა) არის ქართული ენა, კუთხური მეტყველება (ლდედაქტი) კი - წოვათუშური.** საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ წოვათუშთა ქართული მეტყველება მეტად ახლოსაა ქართულ სამწიგნობრო ენასთან, რაც შეიძლება აიხსნას საეკლესიო ენის ძლიერი გავლენითაც. წოვათუშურად დღეს-დღეობით მოსახლეობის სულ 20-30% საუბრობს, ამდენად იგი გაქრობის საფრთხის ქვეშაა⁷⁷.

ენობრივი დახასიათება:⁷⁸

სამეტყველო ბგერებში წარმოდგენილია მარტივი ხმოვნები (ა, ე, ი, ო, უ), მეორეული წარმომავლობის ნახალური ხმოვნები (რომლებიც გვხვდება მხოლოდ სიტყვის ბოლოს) და მოკლე ხმოვნები. პროფ. კ. ჭრელაშვილი გამოყოფს გრძელ ხმოვნებსაც. ქართველური კილოების მსგავსად, წოვა-თუშურში, როგორც წესი, ორი ხმოვანი გვერდი-გვერდ ვერ ძღობს: ორი ხმოვნისაგან ან დიფთონგი მიიღება, ან - ერთი გრძელი ხმოვანი, ან - ერთი ჩვეულებრივი ხმოვანი. ვაინახურისაგან განსხვავებით, წოვა-თუშურს პირველადი დიფთონგები არ გააჩნია.

წოვათუშურის კონსონანტური სისტემა ითვლის 41 ბგერას; სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებულია შემდეგი ბგერები: **ჭ ზ ჰ ჳ ჯ ჳ ლ' და ე.**

მორფოლოგიურ მახასიათებლებს შორის საინტერესოა წოვათუშურის კლასოვანი სისტემა (რომელიც ვაინახურსაც ახასიათებს); კერძოდ, არსებითი სახელები დაყოფილია კლასებად, თუმცა კლასებს ვხვდებით მეტყველების სხვა ნაწილებშიც; როგორც წესი კლასი აისახება ზმნაში. არსებითი სახელები, განაწილებულია 8 ჯგუფად: 2 - ადამიანის აღმნიშვნელია (ქალისა და მამაკაცის), 6 - ნივთისა.

წოვა-თუშურ ზმნაში გვაქვს როგორც **კლასოვანი**, ასევე, **პიროვანი უღლება**. პიროვანი უღლება იმ ძველი ფენისაა,

⁷⁷ ქართველთა ბევრი საშინაო მეტყველება დგას გაქრობის საფრთხის წინაშე; შესაბამისად, ხელისუფლებამ საგანგებო ღონისძიებები უნდა დაგეგმოს ამ დიდი ქართველური მემკვიდრეობის გადასარჩენად.

⁷⁸ მასალა მომზადებულია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბელა შავხელიშვილის სამეცნიერო ნაშრომის მიხედვით (მზადდება გამოსაცემად).

რომელიც საერთოა ქართულთან (ვაინახურში მხოლოდ კლასოვანი უღლებაა). პიროვან-კლასოვან უღლებაში, როგორც კლასის მარკერი, ისე პირის ნიშანიც აღინიშნება და თანაბრად აწარმოებს გარდამავალ და გარდაუვალ ფორმებს, თუმცა ეს ეხება მხოლოდ ისეთ წინადადებებს, სადაც სუბიექტი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელითაა გამოხატული (მაგ. ას ვუიტ-ას მე მივდივარ , აჰ ვ-უიტ-აჰ შენ მიდიხარ (გარდაუვალი) - ას მეჰ დ-აყ-ოს მე პურს ვჰამ , აჰ მეჰ დ-აყ-ოჰ შენ პურს ჰამ (გარდამავალი).

წოვათუშურის ლექსიკის დიდი ნაწილი ქართულია; კერძოდ, ამ მეტყველებაში შემონახულია დიდი რაოდენობის ისეთი არქაული ქართული ლექსიკა, რომელიც საკუთრივ არქაულ სამწიგნობრო ქართულში აღარ ჩანს; მაგ.: ღრუტ - ღრუტი, ქორედ - ქორედი, ჰერ - ჰერი, ამბარჩ - ამბარჩა, გეფს - მსგეფსი, მრჩობლ - მრჩობლი, უჩინ - უჩინო, კაპრაშ - კაპრაში, კოტორ - კოტორი, გაფხაკალება (იმერ.) - შდრ. წ.-თ ფხაკალ კურდღელი და სხვ. თუშეთის ტოპონიმის უმრავლესობაც ძვ.ქართულით და წოვა-თუშურით იხსნება.

წოვა-თუშურმა ლინგვისტურად საინტერესო ბევრი ფაქტი შემოგვინახა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია როგორც ქართველური, ასევე, ვაინახური ენობრივი სამყაროს სიღრმისეული კვლევა.

2.10. მოხეური დიალექტი

საზღვრები.

ხევი მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის გადაღმა მხარეს. ხევზე გადის საქართველოს სამხედრო გზა. ხევს თავისი მდებარეობის გამო საქართველოს ისტორიაში ყოველთვის ჰქონდა მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო და სტრატეგიული დანიშნულება. ხევის საშუალებით საქართველო უკავშირდებოდა ჩრდილოეთით მცხოვრებ მეზობლებს. ამ გზის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტებია: ჯვრის უღელტეხილი და დარიალის კარიბჭე. ჯვრის უღელტეხილს მოხევეები ეძახიან ჯორთვაკეს (ჯვართვაკეს ანუ ჯორს (ჯორი/ჯვარი)). ხევის ტერიტორია მოიცავს აგრეთვე სნოს ხეობას, რომელსაც ლიტერატურაში ღუღუშაურის ხეობასაც უწოდებენ. სახელწოდება უშუალოდ უკავშირდება ხევში ყველაზე მრავალრიცხოვან საგვარეულოს — ღუღუშაურის სახელს (ვ. ითონიშვილი, 1984: 9).

სნოს ხეობაში მიედინება მდ. სნოს წყალი, ანუ ხევის შავი არაგვი, რომელიც დაბა ყაზბეგიდან ახლოს მდ. თერგს ერთვის. თერგისა და სნოს ხეობებთან ერთად ყაზბეგის რაიონის ფარგლებში მოქცეულია თეთრი არაგვის (მთიულეთის არაგვის) სათავეები და თრუსოს ხეობა — ისტორიული დვალეთის ერთი ნაწილი, რომელიც დასახლებული იყო დვალეებით, ქართველების მონათესავე ტომით. გვიანფეოდალურ ხანაში ამ ხეობაში ოსები დასახლდნენ, რის შედეგადაც მოხდა დვალეების ასიმილაცია.

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ხევი ყაზბეგის რაიონს მოიცავს. ჩრდილოეთიდან ხევს ოსეთი და ინგუშეთი ესაზღვრება, სამხრეთიდან — მთიულეთისა და გუდამაყრის ეთნოგრაფიული ერთეულები, აღმოსავლეთიდან — ხევსურეთი, დასავლეთიდან თრუსო ესაზღვრება, საიდანაც დვალეთის „ქვეყანაშია“ გადასასვლელი.

ხევის ვრცელი გეოგრაფიული აღწერა და საზღვრები მოცემული აქვს ვახუშტის: „ხოლო მთიულეთს ჩდილოთ არს ჰევი. გარდავალს გზა ჰევს, ჯადის დასავლეთიდამ, კავკასსა ზედა. არამედ არს დაბალი და უტყეო. ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი თოვლის სიდიდითა. ზაფხულ არს ბალახიანი, ყვავილიანი. ამას უწოდებენ ყელს. ხოლო ჩდილოთევენ ერთვის ჰევის მდინარეს ჰევი, და უწოდებენ შთასავალს... არამედ მდინარესა ჰევისასა ეწოდების არაგვივე ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის-მდინარე ძველადვე, და აწ უწოდებენ თერგსა; გამოსდის ქურთაულისა, ზახისა და მალრან-დვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდამ, კავკასის მკრიდამ, დის აღმოსავლეთად ჩასავალამდე. ამ ჩასავალს ზეით არს თრუსო სამ ჰევედ. აღმოსავლით აქუს ჰევი, დასავლით ზახა და მალრან-დვალეთი, სამკრით მთიულეთი, ჩდილოთ ქურთაული, და მოზღუდვილ არს კავკასით, თვნიერ ჰევიდამ. მოსახლენი¹ არიან ოსნი, დვალნი. შთასავალს ჰევით მოდრკების არაგვი და დის

ჩდილოთ, ვიდრე ქისტის-წყლამდე, და მიდის ფრიად მსწრაფლად. ამ დინების გამო არა არს თევზი მდინარესა ამას შინა, თუნიერ კალმახისა. და არს ჯეობა ესე მოზღუდვილ კავკასითა, რამეთუ დასავლით აქუს მყინვარი, უმაღლეს ყოველთა კავკასსთა და მარადის ყინულით შეკვერცხილი. და განჰყოფს მთა ესე თავაურს, ჩიძსა და ჯეესა. აღმოსავლით უძეს კვალად კავკასი, იგიცა მარადის თოვლიანი. განჰყოფს მთა ესე ქისტს, ძურძუკს და ჯეესა. სამჯრით აქუს კვალად კავკასი, და განჰყოფს ესე გულდამაყარს, მთიულეთს და ჯეეს... (ვახუშტი, 1941:66-68).

სახელწოდება ხევი თვით ამ ხეობის, კუთხის გეოგრაფიულ მდებარეობას უკავშირდება.

ხევიში მცხოვრები მთიელები მოხვევებად პირველად მოხსენიებულია თამარ მეფის ისტორიკოსის მიერ (XIII ს.). ძველ ისტორიულ წყაროებში ხევიში მცხოვრები მთიელების აღსანიშნავად გვხვდება „მთეულნი“, რასაც ზოგადი მნიშვნელობა აქვს (ვ. ითონიშვილი, 1984: 10).

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ თერგის ხეობა თავის დროზე დასახლებული იყო **წანართა** ქართველური ტომით, რომლებმაც შემდეგ დიდი როლი ითამაშეს VIII-IX საუკუნეებში კახეთის სამთავროს წარმოქმნაში. მთიელი წანარების კახეთში გადასახლების შემდეგ თერგი ხეობის ზემო წელი მოსახლეობისაგან თითქმის დაცარიელდა. ისტორიული წანარეთის დიდ ნაწილს სახელი ეცვლება და ხევად იწოდება. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში გვხვდება ტერმინი „წანარეთისა ჯეესა“. დროთა განმავლობაში „წანარეთის ჯევი“-დან „წანარეთი“ დაიკარგა და მივიღეთ „ხევი“ (რ. თოფჩიშვილი, 2002: 52-53).

ყაზბეგის რაიონს ისტორიულად სტეფანწმინდა ერქვა. მას ყაზბეგი რუსებმა შეარქვეს ალ. ყაზბეგის პაპის — გაბრიელ ყაზბეგის ძე ჩოფიკაშვილის პატივსაცემად, რომელიც რუსეთის ხელისუფლების ერთგული მოხელე იყო. სამხედრო სამსახურში დაწინაურებულმა გაბრიელმა უარყო მამაპაპური გვარი და გვარად მიიღო მამის სახელი. აქედან იწყება ყაზბეგის გენეალოგია; აქედანვე წარმოიშვა სოფლის ახალი სახელწოდებაც (ვ. ითონიშვილი, 1984: 11). დღეს სოფელს ძველი სახელი დაუბრუნდა, მუნიციპალიტეტის (რაიონის) სახელად კი ისევ ყაზბეგი დარჩა.

ენობრივი დახასიათება

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. შემონახულია ჯ ბგერა: ჯევი, ჯარი, ჯოცს...

კბილგაგისმიერი ვ-ს ნაცვლად ხშირია წყვილბაგისმიერი უ ბგერა: მასკულავები, დახტა, რგტალათ, წტადები, ბეტრი, ბატშეები... (გრ. იმნაიშვილი, 1974: 133).

გ დასტურდება ჩაკითხვისას: ძაუგს მიდიხარ? ძაუგსგ? (ი. ქავთარაძე, 1985: 12).

ლაბიალურ კომპლექსთა ცვლილებანი: ტა/ვა > ო: ძვალი > ძოლი, სიტყვა > სიტყო... ტე/ვე > ო: ჩვენ > ჩონ, გაშევა >

გაშობა, გვეძახის > გოძახის... **ჟი/ვი** > **ჟ**: მშვიდობა > მშუდობა, აკვირდების > აკურდების...

გვხვდება პალატალიზებული ხმოვნები: **რ, ჟ. ჟე/ვე** > **რ**: გვერდი > გრძი, ძველი > ძრლი; **ჟი/ვი** > **ჟ**: გვითხრა > გჟითხრა, შვიდი > შჟი...

პალატალიზებული ხმოვნები ზოგჯერ დელაბიალიზაციას განიცდიან: დოგჟრჩა > დოგირჩა.

მეტათეზისი: ნაღველი > ნავღელი, ძლიერ > ძრიალ, ხუჭვა > ჭუხვა...

S₂ და **O₃** პირის ნიშანი **ჰ** > **ს,შ,ზ,ჯ,ღ,ხ,ძ**. ალომორფები, ხევესურულის მსგავსად, განაწილებულია პოზიციის მიხედვით.

სახელთა ბრუნება. სახელობითი ბრუნვის **-ი** ნიშანი დაერთვის როგორც თანხმოდანფუძიან, ასევე, **ა** ხმოდანფუძიან სახელებს: გუთან-ი, კაც-ი... გუდა-ი, ყანა-ი...

ნათესაობითისა და მოქმედებითის **-ის, -ით** ნიშნები ვერ კვეცენ **ა** ხმოდანფუძიან სახელებს და არც თვითონ რედუცირდებიან: ქალა-ის, ქალა-ით...

ნანათესაობითარი ვითარებითი გამოიყენება კუთვნილებითი დანიშნულებითის ფუნქციით: დავით-ის-ად „დავითისთვის“, ქალ-ის-ად „ქალისთვის“...

წოდებითში ხმოდანფუძიან სახელებთან გვხვდება **-უ/-ჟ**: ქალა-უ/ქალა-ჟ.

თანდებულიანი სახელები დაირთავენ მოქმედებითის **-ით** სუფიქსს: ჯარ-ჩიგა-თ „ჯარში და იქიდან“, თოფისგნით „თოფით, თოფისგან“...

ვითარების ზმნიზედები მიცემითის ფორმით გვხვდება: იოლას „იოლად“, მზას „მზად“...

მრავლობითი იწარმოება **-ებ** და **-ნ/-თ(ა)** სუფიქსებით. ნართანიანი მრავლობითი გვხვდება შტო-გვარის სახელთა მაწარმოებლად: ოდიან-ნ-ი „ოდიშვილები“, ოდიან-თ გივარგი „ოდიშვილი გივარგი“... **-ენ/-ეთ**: ჩოფიკ-ენ-ი „ჩოფიკაშვილები“, ჩოფიკე-თ გივარგი „ჩოფიკაშვილი გივარგი“.

ზმნის თავისებურებები. შემორჩენილია ზმნის მარტივფუძიანი წარმოება: თელს, ნაყს, ჩეჩს, კეცს... აწმყოს III პირში **-ავ** სუფიქსი კარგავს **ა** ხმოდანს: მალ-ავ-ენ > მალ-ვ-ენ... (შდრ. ა-ბ-ამ-ენ).

აწმყოს ვნებითის ფორმები პარალელურად იწარმოება: შა-ფას-დ-ებ-ი-ს/ შა-ფას-დ-ებ-ა...

უწყვეტელსა და წყვეტილში მრ. რიცხვში III სუბიექტური პირის ნიშნად გამოიყენება არქაული **-ეს**: აკეთებდ-ეს „აკეთებდნენ“, წაიდ-ეს „წავიდნენ“...

მოხეტურს ხოლმეობითს სამგვარი წარმოება ახასიათებს: ა) **-ი** სუფიქსის დართვით: ვნავდ-ი-ს, მავნ-ი-ს, ბ) **-კე** სუფიქსით: ვნავს-კე, ვნავდა-კე, გ) **-ი** და **-კე** სუფიქსების შეერთებით: ვნავდ-ი-ს-კე, მავნ-ი-ს-კე...

დასტურდება ბრძანებითის ორგვარი სახე: 1. კატეგორიული, რომელიც იყენებს წყვეტილის ფორმას (გაამზადე) და 2. თხოვნი-წაქეზებითი, რომელიც ორგვარად იწარმოება: ა) -**ლა** მორფემით (გაამზადე-ლა), ბ) **ო-დე** სუფიქსით (გაამზად-ოდ-ე).

კავშირებითის ფორმათა წარმოების თავისებურებები: I კავშირებითი ყოველთვის -**ე** სუფიქსით არის გაფორმებული: მალავდ-ე-ს, ჭამდ-ე-ს... ბრუნვაცვალებად ობიექტიან ზმნათა II-III კავშირებითის ფორმებთან გამოიყენება ერთადერთი -**ა** სუფიქსი: დამალ-ა-ს, წაილ-ა-ს... (შდრ.: ბრუნვაუცვლელ ობიექტიან ზმნებთან -**ე** იხმარება: გადავდ-ე-ს)...

I თურმეობითის ფორმები წარმოდგენილია -**ი** სუფიქსით: გაურეკ-ი-ა, შაურთ-ი-ა... ღმარხ-ი-ა, უჭერ-ი-ა...

სინტაგმა. თანხმომავანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულს სრულად ეთანხმება (მიცემითსა და ვითარებითში მიცემითის ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში — ნათესაობითის ფორმით): დიდ-ი სახლ-ი, დიდ-მა სახლ-მა, დიდ-ს სახლ-ს, დიდ-ის სახლ-ის, დიდ-ით სახლ-ით, დიდ-ს სახლ-ად...

მიცემით ბრუნვაში მდგარი ობიექტი ზმნას ეთანხმება მრ. რიცხვში I-II პირში: ჩვენ გვმალავს/გვმალვენ, თქვენ გმალავთ/გმალვენ. III პირში შეთანხმება არ ხდება: მათ ეწყინა, მათ გაუხარდა...

დასტურდება სახელობითში დასმული ობიექტის ზმნასთან რიცხვში შეთანხმების შემთხვევები: მე ვნახე-ნ ესე-ნი, ძმა-ნი წახვიდ-ნ-ა...

გვხვდება ძველ ქართულში დაცული კონსტრუქციები: მეშინია იმ კაცისგა (=კაცისგან), იმ ქალისაგა (=ქალისგან) ძრიალ მენათრება (ი. ქავთარაძე, 1985: 74).

ლექსიკა. დიალექტური ლექსიკა: გაზა-ი „ბორკილი, ცხენის და სხვა ცხოველის წინა და უკანა ფეხების გასაბმელი“; გაისაურებს „მიხვდება, გამოიცნობს, შეისმენს, გაიგებს“; გლოთნა „ფერება, ალერსი“; კანდოლი „ქალის ახალუხი პერანგზე საცმელი“; ლოკიანი „მოურიდებელი, მსუნავი, ჭამის მოყვარული“; ჩახიმახი, ჩიხომანო „ხარახურა, რაგინდარა“; წიპი „ორი თითი ერთად (ცერი და შუა ან საჩვენებელი)“; ხობზარი „შიშველი, ჩაუცმელი“ (ი. ქავთარაძე, 1985).

განსხვავებულია **თვლის სისტემა**: ასის შემდეგაც ოცობითია: ექვსოცი „ას ოცი“... ასობითი — ათასის შემდეგ: ცამეტასი „ათას სამასი“... დასტურდება თვლის ოცდაათობითი სისტემაც: რვაოცდაათი „ორას ორმოცი“ (ი. ქავთარაძე, 1985).

2.11. მთიულურ-გუდამაყრული დიალექტი

მთიულეთი და გუდამაყარი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობს. მთიულეთი მოიცავს მდ. თეთრი არაგვის ხეობას. მისი უკიდურესი სამხრეთი საზღვარი იყო მთიულთკარი, ჩრდილოეთით — თრუსოს ხევი და საკუთრივ ხევი, აღმოსავლეთით — გუდამაყარი, დასავლეთით — ლომისი ქედი.

საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მთიულეთი შედის დუშეთისა და ნაწილობრივ ყაზბეგის რაიონებში.

გუდამაყარი მდებარეობს შავი არაგვის ხეობაში. შავ არაგვის ქმნის ორი მდინარე: ბოსლისა და ბურსაჭილის არაგვი. შავი არაგვი ფასანაურთან უერთდება თეთრ არაგვს. გუდამაყარს ჩრდილოეთით ხევი ესაზღვრება, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ხევსურეთი, აღმოსავლეთით — ფშავი, დასავლეთით — მთიულეთი.

დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში მთიულეთი და გუდამაყარი ხშირად ერთ კონტექსტში მოიხსენიება (მთიულეთ-გუდამაყარი), თუმცა ძველ ისტორიულ წყაროებში მთიულეთი და გუდამაყარი სხვადასხვა კუთხეებად განიხილება. ცალ-ცალკე გვიხსიათებს მათ ვახუშტიც:

მთიულეთი: „ხოლო გუდამაყრის-ჴევის შესართავს ჴეით, დასავლეთ-ჩდილოს შუა, არს მთიულეთი. ამ მთიულეთსა და კსანისჴეეს განჴყოფს ცხრაზმასა და ჴანდოს ლომისის მთა. გუდამაყრის-ჴეეს ჴეით, სამჴრიდამ, მოერთვის არაგუს ამირთ-ჴევი. ამას ჴეით არს ნალვარევი, მეფეთა ნასახლევი, შენებულეა დიდი. მას ჴეით მოერთვის არაგვს ლუდოს-ჴევი. ამას ჴეით არს მონასტერი ყოვლადწმიდისა და აწ უქმი. და ეს ჴეენი გამოსდიან ლომისის მთას. მონასტრის სამჴრით, მთის თხემსა ჴედა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლომისა [და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე], უგუნბათო... ხოლო ლუდოს-ჴევის ჩდილოთ, არაგვს ვაღმა, არს დაბა ჴადა, მაღალს კლდესა ჴედა, მოზღლუდვილი კლდითავე. მის ჩდილოთ არს ციკარა, ადვილი კლდოვანი და ეკოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლესია მცირე. ამ ციკარას დასავლით გარდავალს გზა ჴეესა შინა, ხოლო ციკარის აღმოსავლეთით არს ნასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი, და ამას ჴეეით იყოფის ციკარას წყალი ორად მიერთვის არაგვს ხარხელის ჴეით და ჴეეით ჩდილოდამ.

ხოლო ჩდილოთ წარმოვიღოს კავკასი და განჴყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და ჴევისაგან და არს მოზღლუდვილი მთიულეთი მთითა... (ვახუშტი, 1941: 65-66).

გუდამაყარი: „მის ჴეით ერთვის ჴევი გუდამაყრისა არაგვს ჩდილოდამ: გამოსდის კავკასს გუდამაყარსა, ჴეესა და ძურძუკს შორისსა. და არს გუდამაყრის ჴეობა მაგარი, მოსვლით, ვითარცა სხვა მთიოს ალავნი და უფროს მწირი... (იქვე: 65).

გუდამაყარი მოხსენიებული აქვს ლეონტი მროველს ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით (IV ს.) (ქართლის ცხოვრება, 1955: 125). გუდამაყარი გვხვდება XI ს. ისტორიულ საბუთშიც.

ისტორიულად ტერმინით „მთიული“ აღინიშნებოდა საქართველოს მთიანეთის მკვიდრნი. შემდგომ განიჭა ტერმინები „მთიულნი“ და „მთეულნი“; მთეულნი იყვნენ ზოგადად მთის მოსახლეობა: ჭართლელეები, ფხოველები, წილკნელები, გუდამაყრელები, დველები, ცხრაზმელები, მოხევეები, ხადელები, ცხავატელები, ერწო-თიანლები (ქართლის ცხოვრება); მთიულნი — გარკვეული კუთხის წარმომადგენლები (ბ. ჯორბენაძე, 1989: 275).

მთიულებსა და გუდამაყრელებს თავ-თავისი სალოცავი ჰქონდათ: მთიულთა სალოცავი იყო „ლომისა“, გუდამაყრელებისა — „პირიმზე ფუძის ანგელოზი“.

დღევანდელი მთიულეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე მოიცავს ხადისა და ცხავატის თემებს. ირკვევა, რომ ხადასა და ცხავატს თავ-თავისი სალოცავი ჰქონდა: ხადას — „ხადიჯვარი“ ანუ „ხადისა თორმეწამე“ და ცხავატს — „ცეცხლიჯვარი“ (რ. თოფჩიშვილი, 1985: 54-55).

მთიულეთი ცნობილი იყო კოშკების სიმრავლით. მარტო ხადაში 60 კოშკი ყოფილა. „...გარდა სვანეთისა ჩვენ არ ვიცით არც ერთი კუთხე, სადაც მცირე ტერიტორიაზე ასე ბევრი კოშკი იდგეს“ (პ. ზაქარაია, 1962: 50).

გუდამაყრის დღევანდელი მოსახლეობის უმეტესობა ხევსურეთიდან მიგრირებულად ითვლება. ხევსურეთიდან გუდამაყარში მოსახლეობის მიგრაციამდე გუდამაყრის მოსახლეობის მთავარი სალოცავი „საბურთველოს წმინდა გიორგი“ იყო. მხოლოდ გუდამაყრისათვის იყო დამახასიათებელი ე.წ. „უყმო ყმის“ ინსტიტუტი. „პირიმზე ფუძის ანგელოზი“ წიკლაურ-ბეჭაურთა საგვარეულო სალოცავი იყო. მაგრამ, როგორც ძლიერ სალოცავს, მას გუდამაყრის სხვა გვარები (ჩოხელები, აფციურები, ანთაურები) ეკმობოდნენ როგორც უყმო ყმანი (რ. თოფჩიშვილი, 2002: 56-58).

ენობრივი დახასიათება

კილოკავები. მთიულურ-გუდამაყრულ დიალექტში ორი კილოკავი შედის: მთიულური და გუდამაყრული. მათ შორის განსხვავებას ძირითადად ქმნის გრძელი ხმოვნები, რომელიც მთიულურში დასტურდება.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები: შემორჩენილია **ჭ** ბგერა: ჰელი, ჰმელი, ფეჰი...

ფ წარმოადგენს: ა) სახელობითი ბრუნვის **-ი** ნიშნის რეფლექსს: ვაჟა-**ფ**, ბილიკა-**ფ**... ბ) ნათესაობითისა და მოქმედებითის **-ის**, **-ით** ბრუნვის ნიშანთა **ი** ხმოვნის სახეცვლილებას: სარეკელა-**ფს**, სარეკელა-**ფთ**... გ) **S₂** და **O₃** პირის **ჭ-ს-** ნიშნების პოზიციურ ვარიანტს ხმოვნის მომდევნოდ: ა-**ფ**-კრიფე „აჰკრიფე“, მო-**ფ**-დევს „მოსდევს“...

ლაბიალურ კომპლექსთა ცვლილებანი: **ჟა/ვა > ო:** ვაჟმამი > ოჟმამი, უყვარს > უყორს... **ჟე/ვე > ო:** გჟედგა > გოდგა, ქვევით > ქოვით... იშვიათად **ჟი/ვი > უ:** საკვირველი > საკურველი...

გრძელი ხმოვანი მთიულურში წარმოადგენს „ტონის მოდულაციაზე დამყარებულ ტონურ მახვილს“ (არნ. ჩიქობავა, 1924). გრძელი ხმოვანი დასტურდება ფრაზაში სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე, მაგ.: ღმერთო, უშველე, ლომისავ მთორ მოწამეო...

სონორის შემცველ თანხმოვანკომპლექსებში **ჩნდება ხმოვანი:** კირკალი „კრკალი, რკალი“, კირცხილა „კრცხილა, რცხილა“...

ასიმილაციის შედეგად **აე > ეე:** წაელო > წეელო, წიწილები > წიწილეები... **აო > ოო:** მუშაობა > მუშოობა... **იუ > უუ:** მიუგო > მუუგო, მიუტანა > მუუტანა...

დისიმილაცია: **ეა > ია:** ეამბნა > იამბნა... **ოა > უა:** მოვასწარ > მოასწარ > მუასწარ, მოახლე > მუახლე... **ოე > უე:** მოვედ > მოედ > მუედ...

თანხმოვანთა შენაცვლება: **ვ > მ:** ვიწრო > მიწრო, მალ-ავ-ს > მალ-ამ-ს... **ბ > ვ:** ტკბილი > ტკვილი, კბილი > კვილი...

სახელთა ბრუნება. ორ- და მეტმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებს სახელობითში დაერთვის **-ი (/>ჲ):** სარეკელა-ი, ჯმალი-ი... **უ** ხმოვანფუძიანებთან ვითარდება **ვ:** რუ-ვ-ი, ყრუ-ვ-ი... თანხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითის ნიშანი შედარებით იშვიათად იკვეცება.

მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან **-მა** გვხვდება: დედა-მა, პატარა-მა...

მცემითის **-ს** ნიშნის კვეცა უმთავრესად მთიულურს ახასიათებს: ქალ-0 გამაიყვანენ...

ვითარებითი შეიძლება ფუძის სახით შეგვხვდეს: პირველ-0 „პირველად“, ჩქარ-0 „ჩქარა“...

წოდებითში ადამიანის საკუთარი სახელები წარმოდგენილია ორგვარად: ა) ფუძის სახით (მანან, მაყვალ...) და ბ) **-ო, -ვ** სუფიქსებით (მანან-ო, გელა-ვ...). მსგავსი ფორმები დასტურდება კახურში.

-ებ-იანი მრავლობითის გვერდით გამოიყენება **ნარ-თან**იანი მრავლობითი; აღინიშნება: სოფლის სახელები (კობა-ნ-ი, ქავთარა-ნ-ი...), ოჯახის, შტო-გვარის სახელები (ელიზბარიან-ნ-ი, ბეჟანიან-ნ-ი...), კნინობითის სახელები (ცხორა-ნ-ი, ჯარა-ნ-ი...), კომპოზიტები (დედ-მამა-ნ-ი, და-ძმა-ნ-ი...).

ზმნის თავისებურებები. გვხვდება უთემისნიშნო ზმნები: თიბს, თესს, ვოცს...

აწმყოს მრ. რიცხვის III პირში **-ავ/-ამ > -ვ/-მ:** ლოც-ვ-ენ (<ლოც-ავ-ენ), ა-სხ-მ-ენ (<ა-სხ-ამ-ენ)...

ვნებითის არქაული წარმოება: ი-წვნ-ი-ს „იწვნება“, ი-ბ-მ-ი-ს „იბმება“...

უწყვეტელში S₃ პირის ნიშნად მრ. რიცხვში **-ენ** სუფიქსი იხმარება: ართმევდ-ენ, ჩიოდ-ენ...

ხოლმეობითის სამგვარი წარმოება: ა) **-ი** სუფიქსით (ჭამდ-ი-ს, ჭამ-ი-ს), ბ) **-კე** სუფიქსით (აიკებს-კე, აიღებდა-კე), გ) **-ი** და **-კე** მორფემების კონტამინაციით (ჭამდ-ი-ს-კე, გაუშვ-ი-ს-კე).

ბრძანებითის ორგვარი სახე: კატეგორიული (იყენებს წყვეტილის ფორმას: ჭამე) და თხოვნით-წაქეზებითი (იყენებს მყოფადის კავშირებითის ფორმას: შეჭამ-დ-ე... ან კიდევ დაირთავს **-ოდ-ე** სუფიქსს: აილ-ოდ-ე, უთხრ-ოდ-ე)...

ბრუნვაცვალებად სუბიექტიან ზმნათა I თურმეობითის წარმოება ძირითადად **-ი** სუფიქსიანია: დაულუპ-ნ-ი-ა, ჩაუყლაპ-ნ-ი-ა... იშვიათად შენარჩუნებულია თემის ნიშნები: მო-უ-კლ-ავ, და-უ-ბ-ამ..

ორპირიანი ბრუნვაცვლელ სუბიექტიანი ზმნები მეშველ ზმნას დაირთავენ: და-მ-ძინებ-იყო „დასძინებოდა“, გა-მ-თეთრებ-იყო „გასთეთრებოდა“...

სინტაგმა. დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა II სერიის ფორმებთან სუბიექტი, ნაცვლად სახელობითისა, მოთხრობით ბრუნვაში დგას: **ადგა კელმწიფემ** და ქალი მისცა სიზმარას... ამ **უხეირომ წავიდა** თავის სახლისაკენ (არნ. ჩიქობავა, 1937).

სახელობითში დასმული სახელის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება: ორ-ნ-ი ძროხა-ნ-ი მყვანან. მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა ხან აღინიშნება (ისინი თქვენ გელოდებიანთ), ხან არა (ოსებს ორმოც ცხორი წაუსხამ).

გვხვდება კითხვითი **-ა** ნაწილაკი: არ მიდის-ა?

-მცა ნაწილაკი: შენამც შეგიყორდება „შენ შეგიყვარდეს“...

ლექსიკა. დიალექტური ლექსიკა: *თუნთლი* „ქათმის მიერ დადებული უნაჭუჭო კვერცხი“, *თხაფთხაფი* „წანწალი, ჩქარი სიარული“, *თხორა* „მაგრად დაზახული სამწვერა ნართის გორგოლაჭი“, *იბუღება* „იღრუბლება“, *ილდა* „გიჟი, მფრთხალი საქონელი“, *იქითაზე* „იმ გზით“, *იზენიხება* „იფშენება“, *იცვნიხება* „ჭამის დროს კრაჭაკრუჭი გააქვს“, *იწაპება* „იწელება, იწევა“, *კანაყანი* „ძალიან ჭრელი პერანგი“... (ლ. კაიშაური, 1967).

თვლის სისტემა ასის შემდეგაც ოცობითია: *ექვსოცი* „ას ოცი“... ასობითი — ათასის შემდეგ: *ცამეტასი* „ათას სამასი“... (ლ. კაიშაური).

მესხურ კილოთა ქვეჯგუფი

2.12. აჭარული დიალექტი

საზღვრები.

აჭარული ერთ-ერთი მსხვილი დიალექტური ერთეულია. გავრცელებულია შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ხულოსა და ქობულეთის, ნაწილობრივ ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებში; ეკომიგრანტი აჭარლები კი საქართველოს ბევრ რაიონში ცხოვრობენ⁷⁹.

აჭარის ვრცელი გეოგრაფიული დახასიათება (საზღვრები, ხეობები) მოცემული აქვს ვახუშტის: „ხოლო ჭოროხს მოერთვის აჭარის-წყალი აღმოსავლეთიდან, და გამოსდის ზარზმა — აჭარას შორის მთასა, მოდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად. ამ წყლის კიდეზედ, ამ ვეობის საშუალოს, არს მცირე ქალაქის მგზავრი დაბა, ქედა. მოსახლენი არიან ვაჭარნი. ხოლო მოერთვიან ამ აჭარის მდინარეს, გურიის მთიდან, და აჭარასა და ლიგანის-ვევის შორისის მთებიდან, კეენი, და მათ ზედა არიან დაბნები შენნი. არამედ მზღვრის: აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორისი, და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს; სამჯრით მთა აჭარასა და ლიგანის-ვევის შორისი; დასავლით მდინარე ჭოროხი; ჩდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორისი, სადა გარდავლენან გზანი გურიას. და არს აჭარის ვეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი... (ვახუშტი, 1941: 134).

აჭარას ჩრდილოეთით ესაზღვრება გურია, აღმოსავლეთით — სამცხე, სამხრეთით — თურქეთის სახელმწიფო საზღვარი, დასავლეთით აკრავს შავი ზღვა.

აჭარა ოდიტგანვე იყო საქართველოს ერთ-ერთი ცენტრალური და მნიშვნელოვანი მხარე; ქართული წყაროების მიხედვით, სწორედ აჭარაში აიგო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ეკლესია. აქ მოღვაწეობდა ისეთი დიდი მეცნიერი და განმანათლებელი, როგორცაა ტბელი აბუსერიძე. VII-IX საუკუნეებიდან აჭარა, სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, ტაო-კლარჯეთის სამთავროში შედიოდა. ამ პერიოდში ტაო-კლარჯეთი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა და ქართველთა სამეფოდ იწოდებოდა.

აჭარა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა (რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, ოსმალები, სპარსელები) სათარეშო ხდებოდა. XVII საუკუნის დამდეგს აჭარა ოსმალეთმა დაიპყრო და საბოლოო დანარჩუნების მიზნით, სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით თითქმის გაამუსლიმანა. რუსეთ-ოსმალეთის

⁷⁹TV „აჭარის“ გვერდზე დაინტერესებულ პირს შეუძლია ნახოს ათეულობით დოკუმენტური ფილმი ეკომიგრანტი აჭარლების შესახებ.

ომის დამთავრების შემდეგ, 1878 წლის ბერლინის კონგრესის ტრაქტატით, ტაო-კლარჯეთის დიდ ნაწილთან ერთად აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ამ ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მკვიდრი ბევრი ბევრი გამუსლიმანებული ქართველი აღმოჩნდა პროვოცირების მსხვერპლი: რუსეთს თავისი იმპერიის განაპირა რეგიონში ხელს არ აძლევდა მუსლიმანების ცხოვრება, ოსმალეთს კი ესაჭიროებოდა მეზობელი და მეურნე მოსახლეობა, ამიტომაც ორივე მხარის ხელშეწყობით გავრცლდა ჭორი, რომ **რუსები ღირსებას შეუღალავენ მუსლიმან ქართველებს**; შედეგად მუსლიმან ქართველთა დიდი ნაწილი აიყარა საკუთარი ისტორიული მიწა-წყლიდან და შუა თურქეთში გადასახლდა; ეს საზოგადოება იწოდება მუჰაჯირებად. მათ შთამომავლები დღეს ერთმანეთს უწოდებენ **ჩვენებურებს**. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი ერისათვის ამ ტრაგიკული მოვლენის (მუჰაჯირობის) შემდეგ აჭარაში ხელი შეეწყო არა ფრაგმენტულად შემორჩენილი ქრისტიანობის აღორძინებას⁸⁰, არამედ მუსლიმანობის გაძლიერებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1918) საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ერის ნების გარეშე რუსეთ-თურქეთის ანტიქართული გარიგებით აჭარა დარჩა საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში, ტაო-კლარჯეთი კი — თურქეთის შემადგენლობაში. საბჭოთა პერიოდშივე სრულიად უკანონოდ, ქართველი ერის დანაწევრების მიზნით, აჭარა გამოცხადდა საბჭოთა საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკად; აქვე აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა შემთხვევა, რომ ავტონომია ჰქონდეს მოცემული სახელმწიფოს დამფუძნებელი ხალხის ერთ თემს (ავტონომია გამართლებულია სხვა ეთნოსისათვის; მაგ., აფხაზებისათვის — საქართველოში, თათრებისათვის — რუსეთში, ბასკებისათვის — ესპანეთში და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ აჭარა სამი საუკუნის მანძილზე ოსმალთა ბატონობის ქვეშ იყო, თურქულმა ენამ აჭარულზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა: აჭარულმა მაინც შეინარჩუნა საკუთარი ფონეტიკური სტრუქტურა, გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ენობრივი დახასიათება

კილოკავები. აჭარული დიალექტი იყოფა ორ ძირითად კილოკავად. ჯ. ნოღაიდელი აჭარულში გამოყოფს მთისა და ბარის აჭარულს (ჯ. ნოღაიდელი, 1941; ჯ. ნოღაიდელი, 1972). შ. ნიჟარაძე ზემოაჭარულ და ქვემოაჭარულ კილოკავებს ასახელებს (შ. ნიჟარაძე, 1961). ზემოაჭარული გავრცელებულია ხულოსა და შუახევის

⁸⁰ზემო აჭარაში თითო-ორჯერად აღვილობრივი ბერი მე-19 საუკუნის ბოლომდე მოღვაწეობდა; გადმოცემების მიხედვით, შემორჩენილი იყო ფარული ქრისტიანობაც

რაიონებში. ზემოაჭარლები ცხოვრობენ, აგრეთვე, ჩონატაურის რაიონის სოფლებში: ჩხაკატრასა და ზოტში; ოზურგეთისა და სხვა რაიონებში; ასევე, მუჰაჯირი ქართველების შთამომავლების მეტყველის სახით — ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე (ბურსა-ინეგოლის რაიონებში...).

აჭარულის კილოკავებში განირჩევა ქცევები და თქმები; კერძოდ, გამოყოფენ ხულოურ, შუახეურ, ქედურ და ქობულეთურ თქმებს. აჭარულში ცალკე კილოკავებად შეიძლება გამოიყოს მაჭახლური და კირნათ-მარადიდული; თუმცა მაჭახლური და ლივანური (სადაც შედის კირნათ-მარადიდულიც) დღეს დამოუკიდებელ კილოებადაც ითვლება.

ჯ. ნოღაიდელი მთის აჭარულსა და ბარის აჭარულს შორის განმასხვავებელ ნიშნებად შემდეგ ენობრივ მოვლენებს ასახელებს (ზოგი მათგანი საკამათოა!):

1. მთის აჭარულში დაცულია **უკანანისმიერი, ყელისმიერი ბგერები**, ბარის აჭარულში ისინი წინ არიან წამოწეული;
2. მთის აჭარულში უფრო გავრცელებულია **-ნენ** სუფიქსი **-ენ**-ის გვერდით, ხოლო ბარის აჭარულში **-ენ** სუფიქსია გაბატონებული;
3. მთის აჭარულში **ინტონაცია** მკვეთრად გამოხატულია, ბარისაში კი არა;
4. მთის აჭარულში **მო-** წინდებულთან **“ვიდა“** ზმნაში ზოგან (შუახევი, მერისი) ფუძისეული **ვ** იკარგება (მოვიდა>მოიდა);
5. სახელობითი ბრუნვის ნიშანი მთის აჭარულში ზოგან ფუძეს კუმშავს: ურემი>ურმი, ღრუბელ>ღრუბლი;
6. მთის აჭარულში კრებითი სახელი — ქვემდებარე აზრის მიხედვით ითანხმებს შემასმენელს მრ. რიცხვში, ხოლო ბარისაში — პირიქით, კრებით სახელ-ქვემდებარესთან შემასმენელი ფორმითაა შეთანხმებული (ჯ. ნოღაიდელი, 1941: 134).

შ. ნიჟარაძის მიხედვით, ზემოაჭარული ქვემოაჭარულისაგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდება (აქაც საკამათოა ზოგი ნიშანი):

1. ზემოაჭარულში, ქვემოაჭარულთან შედარებით, **ჰ** ბგერა უფრო ხშირად იხმარება. უცხოური წარმოშობის სიტყვები აქ უფრო ინარჩუნებენ **ჰ** ბგერას;
2. ხმოვანთა სრული რეგრესული **ასიმილაცია** ზემოაჭარულში უფრო სუსტადაა განვითარებული, ვიდრე ქვემოაჭარულში;
3. ნაწილობრივი **ასიმილაცია** (დოუწერს ტიპის) უფრო ზემოაჭარულისთვისაა ნიშანდობლივი;
4. ზემოაჭარულში ხმოვანფუძიან სახელთა ბოლოს **ღ** უფრო იშვიათია, ვიდრე ქვემოაჭარულში;
5. **-დამ** თანდებული ზემოაჭარულს ახასიათებს;
6. ზემოაჭარულში **მესამე ობიექტური პირის ნიშანი** დასტურდება, ქვემოაჭარულში იგი თითქმის გამქრალია;
7. II სერიაში **ქვემდებარე**, ჩვეულებრივ, სახელობით ბრუნვაშია, იშვიათად **მოთხრობითში**, ქვემოაჭარულში საწინააღმდეგო მდგომარეობა გვაქვს (შ. ნიჟარაძე, 1961: 127-128).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. აჭარული დიალექტი ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით ახლოს დგას როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ კილოებთან.

სამწიგნობრო ენისაგან განსხვავებით, ქართული ენის ზოგი სხვა დიალექტის მსგავსად, აჭარულში გვხვდება: **ჟ**; გრძელი ხმოვნები **ა, ე, ი, ი, უ,** ნეიტრალური **გ** ბგერა და ხშულ-მსკდომი **ც**.

ჟ გვხვდება: სახელობით ბრუნვაში **ა, ე** და **ო**-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან (ჯამბულა-**ჟ**, ხე-**ჟ**, ბაბო-**ჟ**); ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან ნათესაობითისა და მოქმედებითის **-ის, -ით** ბრუნვის ნიშნების ხმოვნითი ნაწილის დასუსტების შედეგად (ლობია-**ჟს**, ოქრო-**ჟთ**); ჩნდება სხვა ხმოვნის მეზობლად **ი**-ს ნაცვლად მორფემათა ზღვარზეც (მეორედ>მეერედ>მეერედ, [მ]წოლ**ჟ**არემ); დაცულია უცხოურ (რუსულ, თურქულ...) ლექსიკაში: პრ**ჟ**ამა, **ჟ**აშიკი, ყ**ჟ**ამეთი...

ჰყვილბაგისმიერი **ჟ** ბგერა ძირითადად დასტურდება **ვ**-ს მონაცვლედ: ექ**ჟ**ი (ექვსი), შიშ**ჟ**ელი (შიშველი), ბე**ჟ**ერი (ბვერი).... არაიშვიათად წარმოადგენს **უ** ხმოვნის რეფლექსს: დეკე**ჟ**ლი (<დეკელი), დანაშა**ჟ**ლი (<დანაშაული), იქა**ჟ**რობა (<იქაურობა)...

გრძელი ხმოვნები აჭარულში მიღებულია ფონეტიკურ ნიადაგზე: ორი იდენტური ხმოვნის შერწყმის შედეგად. ხმოვანთა პოზიციური სიგრძის წარმოშობის საფუძველია ასიმილაცია: მამისი (<მამისი-სი<მამამისი), ეთრიე (<ეეთრიე<აეთრიე), მუცია (<მიუცია)... გრძელი ხმოვნები აჭარულში ფონემებს არ წარმოადგენს. ქედის, ნაწილობრივ ხელვაჩაურის მეტყველებაში გრძელი ხმოვანი ჩნდება, აგრეთვე, დაკარგული სონორი თანხმოვნის საკომპენსაციოდ: აღ**ჟ** (<აღარ), ეთი (<ერთი), სიბილი (<სირბილი) (შ. ნიჟარაძე, 1961: 23).

ნეიტრალური **გ** ხმოვანი იშვიათად დასტურდება ზოგ ისეთ სიტყვაში, სადაც თანხმოვნებია თავმოყრილი და არ იქმნება ჰარმონიული კომპლექსი: ღრ**გ**მანის (/ღრიმანის), ღორ**ჯ**მის (/ღორჯომის).... ცხ**გ**რა (ცხრა), კ**გ**ბილი/კიბილი (კბილი)...

აჭარულისათვის დამახასიათებელია თანხმოვანთგამყარი ხმოვნის გაჩენა (ამოსავლად **გ** ივარაუდება): კილდე/კილტე „კლდე“, თიბილი „თბილი“, ტკიბილი „ტკბილი“, ჩიდილი „ჩრდილი“ (შდრ. ხევს. კილდე, ჩირდილი, მეგრ. კირდე...).

ც ბგერა აჭარულში უმთავრესად დასტურდება შორისდებულებსა და ჩვენებით ნაცვალსახელებთან (ხმოვნის წინ). იგი ხმოვნის მაგარი შემართვის შედეგად ვითარდება: ცე**კ**, ცა**კ**, ცოი... გვაქვს უცხოური წარმოშობის სიტყვებში: ცისა**ც**, ცაბდულა**ც**, ცემია... (შ. ნიჟარაძე, 1961: 26).

აჭარული დიალექტი მრავალფეროვანი ფონეტიკური პროცესებით ხასიათდება. აღსანიშნავია ზმნისწინისეული ხმოვნის **სრული ასიმილაცია ი**- პრეფიქსთან, როცა მათ შორის ობიექტური პირის ნიშნებია: დიმიწერა (<დამიწერა), იმიყვანა (<ამიყვანა), წიგილო (<წაგილო).... **ი** პრეფიქსის მიერ პრევერბისეულ **ა, ო** ხმოვანთა დამსგავსება და შემდეგ მისი უკვალოდ გაქრობა: დევბარე

(<დევობარე<დავობარე), გამევიძახეფ (<გამევიძახებ<გამოვიძახებ), გევიკეთე (<გევიკეთე<გავიკეთე).

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებები: აე > ეე: დაეკიდა > დეეკიდა/ დეეკიდა; ოე > ეე: მოეწყო > მეეწყო/მეეწყო; აი/ოი > ეი/ეე: გაიგონა > გეიგონა/გეეგონა, მოიტანა > მეიტანა/მეეიტანა; აუ > ეუ/ეუ: აუშენა > ეუშენა/ეეშენა...

ეე > იე > ეე: დაეკიდა > დეეკიდა > დიეკიდა/დეეკიდა; უსტაეები > უსტეები > უსტიეები/უსტეები...

დისიმილაციური გამჟღერება ძირითადად უცხოური წარმომავლობის სიტყვებს შეეხება: კონდალი (<კონდახი), ჩირული (<ჩირუხი), ტორული (<ტორუქი), ციმენდი (<ცემენტი), კაბუსტა (<კაპუსტა), დენნიკი (<ტენიკი). დასტურდება ქართულ სიტყვებშიც: ტყუბი (<ტყუბი), ტკიბაჲ (<ტკიბა) (შ. ნიჟარაძე, 1961: 40).

მეტათეზისი: ზურგი > ზრუგი, ჩულქი > ჩლუქი, ხსნის > სხნის...

სუბსტიტუცია: ვ > ბ: თევზი > თებზი, ივარცხნის > იბარცხნის; ვ > მ: ვიწრო > მიწრო, ავსება > ამსება; ბ > მ: უთხრობია > უთხრომია; მ > ნ: დაამთავრა > დაანთავრა, ვითამ > ვითან...

ხშირია ბგერის დაკარგვისა და განვითარების ფაქტები: წარე, ბძანა, რატო, გზანის, რა იჯები?... უმფრო, ამწვალებს, ვორი, მაშვინ, მილინცია...

სახელთა ბრუნება. ხმოვანფუძიანი სახელები (ერთმარცვლიანი) სახელობით ბრუნვაში დაირთავენ -ი/-ე ნიშანს: და-ე, ძმა-ე, ყრუ-ე... ორ- და მეტმარცვლიანთაგან კნინობითის ფორმები: არჩილა-ე, უსუფა-ე...

ფუძეუკვეცელ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში წარმოდგენილია -ის (/ი-ს) და -ით (/ი-თ) ნიშნები: აგვისტო-ის თვე-ე, ქოსა-ის ძმები, რა-ის... რა-ით, ყრუ-ით...

ვითარებითის -ად/-დ > -ათ/-თ: ჩიტ-ათ, ტყე-თ. -იან სუფიქსიან ფორმებთან წარმოდგენილია -ა: ხიბაკიან-ა „ბარგიანად“. ზმნისართებთან -ა სუფიქსს დაერთვის -ე: დუკითხავა-ე, გულაგარა-ე...

წოდებითში ხმოვანფუძიანი სახელები გაფორმებულია -ვ სუფიქსით: ჯემალა-ვ, ახმედა-ვ... თანხმოვანფუძიან სახელებთან, აგრეთვე ზოგჯერ კნინობითის ფორმებთან -ო გვაქვს: დურსუნ-ო, დემურალ-ო...

მრავლობითს ძირითადად -ებ სუფიქსი აწარმოებს. იშვიათად დასტურდება -ნ ფორმანტი (ოჯახის სახელებთან): დურსუნა-ს-ა-ნ-ი, უზედრა-ს-ა-ნ-ი... ზემოაჭარულში გვხვდება -ენ-თ: ისმეილ-ადი-ენ-თ-ი, მაღალი-ენ-თ-ი...

ორმაგი მრავლობითის ფორმები: აგი-ნ-ებ-ი, მაგი-ნ-ებ-ი, იგი-ნ-ებ-ი... სხტა-ნ-ებ-ი, ხალვაშ-ნ-ებ-ი...

ზმნის თავისებურებები. აჭარულში სუბიექტური პირის ნიშნებით (-ან, -ენ, -ეს) გამოიხატება ობიექტების მრავლობითობაც: გზაში დიელი-ენ/დიელი-ეს (=დაელიათ) საჭმელი... გიეკეთები-ენ

(=გაეკეთებინათ), დაგეწერ-ენ (=დაგეწერათ); ინვერსიულ ზმნებში სუბიექტის მრავლობითობა: აქვ-ენ/აქნ-ენ „აქვთ“, ყავ-ენ/ყავ-ან „ჰყავთ“, ქონდ-ენ „ჰქონდათ“...

-ავ, -ამ თემისნიშნისანი ზმნები აწმყო-მყოფადის III პირში (მრ. რიცხვში) იკვეცენ ხმოვანს: თიბ-ვ-ენ, დე-ი-ნახ-ვ-ენ, დგ-მ-ენ... უწყ-ვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში, ძველი ქართულის მსგავსად, ე ხმოვანს ავლენენ. პარალელურად გვხვდება **-ევ/-ემ** და **-ვ/-მ**-იანი ფორმები (სამივე პირში): ვ-მალ-ევ-დ-ი, მალ-ევ-დ-ი, მალ-ევ-დ-ა... ვ-მალ-ვ-იდ-ი, მალ-ვ-იდ-ი, მალ-ვ-იდ-ა... ვ-დგ-ემ-დ-ი, დგ-ემ-დ-ი, დგ-ემ-დ-ა... ვ-დგ-მ-იდ-ი, დგ-მ-იდ-ი, დგ-მ-იდ-ა...

წყვეტილში **-ე** სუფიქსიანი ზმნები **-ევ-ი** დაბოლოებითაა წარმოდგენილი: დევწყ-ევ-ი „დავიწყე“, გამუაცხ-ევ-ი „გამოვაცხვე“, გეგვ-ევ-ი „გავიგე“...

ვნებითის არქაული წარმოების შემთხვევები: ი-მალ-ვ-ი-ს, ი-ხარშ-ვ-ი-ს, ი-დგ-მ-ი-ს...

სუფიქსიანი ვნებითის ნაცვლად ხშირია პრეფიქსიანი ფორმები: გიეჭენება „გაჭენდება“, გიეგძელება „გაგრძელდება“, გიეთხება „გათხოვდება“...

სინტაგმა. ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას თანხმოდგენილი მსაზღვრელი საზღვრულს ან სახელობით ბრუნვაში ეთანხმება ყველა ბრუნვაში: დიდ-ი სოფელ-ი, დიდ-ი სოფელ-მა, დიდ-ი სოფელ-ს..., ან კიდევ ფუძის სახითაა წარმოდგენილი (გარდა სახელობითისა): დიდ-ი სოფელ-ი, დიდ სოფელ-მა, დიდ სოფელ-ს...

სალიტერატურო ქართულის ბრუნვაუცვლელი სუბიექტი აჭარულში II სერიის ფორმებთან ხშირად მოთხრობით ბრუნვაშია: კაცმა შეგვგეწა... სუბიექტი მოთხრობითში შეიძლება შეგვხვდეს I სერიის ფორმებთანაც (ძირითადად კირნათ-მარადიდის მეტყველებაში): მამაშენმა შიშა აპობს (ჯ.ნოლაიძელი, შ.ნიჟარაძე). ამ შემთხვევაში ობიექტი სახელობით ბრუნვაშია. კირნათ-მარადიდულ თქმაში იშვიათად მოთხრობითში შეიძლება იყოს პირდაპირი ობიექტიც: ღმერთმა მან (=იგი) არ ჩამეიყვანა (მ. ცინცაძე, 1954).

ლექსიკა. აჭარული ლექსიკა გამოირჩევა არქაული ფორმების, დიალექტური ინოვაციების, ნასესხობათა მრავალფეროვნებით. ზემოაჭარულში დაცულია არაერთი **არქაული** სიტყვა თუ გამოთქმა, რომელიც სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში ან საერთოდ არ გვხვდება, ან თანდათანობით გადის ხმარებიდან. მაგ.: რე-მა, მანგალი, დრამი, მავი...

დაცულია **მეგრულ-ჭანური** წარმოშობის სიტყვები: დუდი, დუდხ-ალი, მარქვალა, ოხორთი, ჯარგვალი... (შ. ნიჟარაძე, 1961: 130-132).

უხვდაა წარმოდგენილი **დარგობრივი** ლექსიკა. წესჩვეულებებთან დაკავშირებული ტერმინები: აღდის გაჭრა „საქორწინო წერილობითი პირობა“, დაბატონება, დაკოჭვა, სუფრის დაკავება... სოფლის მეურნეობასა და საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკა: არვანა, ბენდი, ბოჯა, გასხლეპვა, კაბიწი, მანიდი... (შ. ნიჟარაძე, 1971).

ფრაზეოლოგიური გამოთქმები: გაკნაჭულ ვირზე შეჟდა „გაჟინი-ანდა“, ენაზე არ მტა, თვალეზი დამიყენოს ღმერთმა (ფიცის ფორმულა), ფისიმწურავი „ძუნწი“...

მრავლადაა **თურქულიდან** შემოსული ლექსიკური ერთეულები, ძირითადად მუსლიმანურ სარწმუნოებასთან დაკავშირებული ტერმინები: ბადრამი, რამაზანი, ფითრე, ეზანი, მედრესი... აგრეთვე: ალა, ბეგი, მუფთი, ყადი... ფუზარა „ღარიბი“, დევლეთი „სახელმწიფო, სამეფო“... (შ. ნიჟარაძე, 1971).

2.13. სამცხური დიალექტი

საზღვრები.

ისტორიული სამცხე მდებარეობს მტკვრის ხეობაში; მოიცავს ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებს.

სამცხეს დასავლეთით ესაზღვრება აჭარა, აღმოსავლეთით — ჯავახეთი, სამხრეთით — საქართველოს ისტორიული კუთხეები: ერუშეთი და შავშეთი, ჩრდილოეთით — გურია და იმერეთი. სამცხის ნაწილი — ფოცხოვის ხეობა დღეს თურქეთს ეკუთვნის.

ვახუშტი ვრცლად აღწერს სამცხე-საათაბაგოს და მის შემადგენელ კუთხეებს: „...ხოლო შემდგომად მცხეთოს განუყო სამთა ძეთა თჳსთა წილი თჳსი და მისცა ძესა თჳსსა ოძრახოს ტაშისკარის ზეითი და მტკურის დასავლეთი ვიდრე ზღუამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არს აწ სამცხე, გურია, ლივანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოლთისი და ტაო... არამედ აწ ოძრახოს წილს გურიის მთამდე და არსიანის მთამდე უწოდებენ სამცხეს...“

...და მზღვრის ამ სამცხეს: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა და მთანი კოდიანისა, შარვაშეთისა და საზღვარი ჯავახეთისა; სამჯრით მთა ერუშეთისა და სამცხეს შორისი, მერმე არსიანის მთა, შავშეთს და ყველს შორის. ხოლო არსიანის მთა მდებარეობს სივრძით აჭარის მთილამ არტანამდე, აღმოსავლეთ-სამჯრეთს შუადად ჩდილოთ-დასავლეთს შუა... არტანილამ მოდრკების არსიანის მთა და წარვალს სამჯრით, მიადგების ფარსის მტას. ამ არსიანის მთას უწოდებენ არტანს — ქვატრილს, და კოლას — ყაღნუ მთას. ამ მთას აქუს აღმოსავლით კოლა, არტანი და დასავლით არტანუჯი და ფანასკერტი. და არს მტა ესე არსიანსავით, არამედ უმეტესად უტყეო. ხოლო დასავლით მზღვრის სამცხეს მთა გურია-აჭარისა, რომელი მდებარეობს ცდილოლამ სამჯრით ფერსათის მთილამ არსიანამდე... და ჩდილოთ მზღვრის მთა ფერსათი, არამედ პირველწოდებული ღადო და ლომსია, და ქართლის კერძოდ ეწოდების მახვილო...“ (ვახუშტი, 1941: 123-129).

ტერმინ „სამცხის“ წარმომავლობა სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი; ვახუშტი სამცხის ეტიმოლოგიის რამდენიმე ვერსიას გვაძლევს: 1. სამცხეს (აგრეთვე მცხეთას) აკავშირებს ლეგენდარული მცხეთოსის სახელთან, 2. სამცხე < სამი ციხე... ქორონიმ „სამცხის“ წარმომავლობას სხვაგვარად ხსნის გ. ბედოშვილი: „სამცხე“ მომდინარეობს იბერიის სამეფოს ძველი დედაქალაქის, მცხეთის სახელწოდებისაგან **სა-ო** აფიქსის მეშვეობით: **მცხეთა > სა-მცხეთ-ო > სამცხე** (თო მარცვლის დაკარგვით). შემდგომში **სამცხე** გააზრებულ იქნა **სა-ე** აფიქსიან სახელად (მდრ. საწირე < საწირეთი, ხოვლე < ხოვლევი...) (გ. ბედოშვილი, 1990: 8-12).

სპეციალისტთა უმრავლესობის (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ზ. ჭუმბურიძე, ტ. ფუტყარაძე...) აზრით, სახელწოდება „სამცხე“ წარმოდგება სატომო სახელისაგან „მესხი“

სა-ე მაწარმოებლის დართვით, კერძოდ: მესხი > სა-მესხ-ე > სა-მსხ-ე (ე ხმოვნის ამოვარდნით) > სამცხე (ს>ც პროცესის შედეგად).

სამცხე, ისევე როგორც ჯავახეთი, სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილას მდებარეობდა. სპარსელების, ბიზანტიელებისა და არაბების შემოსევების შედეგად არაერთხელ აოხრდა ეს მხარე. VIII-IX საუკუნეებში სამცხე, შავშეთ-კლარჯეთ-ტაო და მესხეთის უმეტესი ნაწილი თითქმის დაცარიელდა. შემდეგ კვლავ აღორძინდა. სამცხეში აშენდა ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლები: საფარა, ზარზმა, ჭულე, ვარძის კომპლექსი...

XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში სამხრეთ საქართველო ოსმალებმა დაიპყრეს. დაიწყო ქართველთა იძულებითი გამაჰმადიანება. მოსახლეობა მასობრივად ტოვებდა მამა-პაპისეულ ადგილებს და საქართველოს სხვადასხვა მხარეში სახლდებოდა. თურქების ბატონობა სამხრეთ საქართველოს ამ ნაწილში გავრცელდა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. 1829 წელს სამცხე-ჯავახეთი საქართველოს დაუბრუნდა. მაგრამ მეფის რუსეთისა და ოსმალეთის შეთანხმებული პოლიტიკის წყალობით ამ მხარის მაჰმადიანი ქართველები ტოვებენ სამშობლოს და ოსმალეთში იხიზნებიან. ქართველებისაგან ცარიელ სოფლებში ქართველების ადგილას უცხო ტომელები (სომხები, რუსები...) სახლდებოდნენ. უკანასკნელი ტრაგედია ამ მხარეში მოხდა 1944 წელს, როდესაც საბჭოთა რეჟიმმა თურქულ(აზერბაიჯანულ)ენოვანი სკოლების გახსნით ჯერ ხელი შეუწყო აქაური მუსლიმანი ქართველების გათურქების პროცესს, შემდეგ კი სხვა ეთნოსის მუსლიმანებთან ერთად, იძულებით გაასახლა შუა აზიაში. დეპორტირებული მოსახლეობის ნაწილი დაბრუნდა საქართველოში.

ენობრივი დახასიათება

სამცხური მეტყველება ახლოსაა ჯავახურთან, რაც განპირობებულია ამ კილოთა მფლობელი საზოგადოებების საერთო ისტორიული წარსულით; ორივე კუთხის მოსახლეობა საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო კავშირში იყო არა მარტო პოლიტიკურ-ეკონომიკურად, არამედ მეტყველებითაც.

სამცხური (=მესხური) კილოს შესახებ შ. ძიძიგური აღნიშნავს: „მესხურში არის სიმპტომატური ნაზავი, რომელშიც ერთიანდებიან ტიპობრივი ქართლური (და მით — საზოგადოდ აღმოსავლური კილოების) ფორმები და ტიპობრივი იმერხეულ-აჭარულ-გურული (და მით — საზოგადოდ დასავლური კილოების) ელემენტები: შეიძლება ითქვას, რომ მესხური რამდენადმე გარდამავალი ტიპის დიალექტს მოგვაგონებს“ (შ. ძიძიგური, 1941: 238). ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც სამცხური უშუალოდ ემეზობლება დასავლურ კილოებს. დასავლური დიალექტური ფორმების არსებობა სამცხურში ჯავახურისაგან განმასხვავებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. სხვაობა სამცხურსა და ჯავახურს შორის ისეთი არაა, როგორიც, მაგალითად, გურულსა და ხევსურულს შორის, მაგრამ ეთნოგრაფიული ფაქტორების გათ-

ვალისწინებით შესაძლებელია მათი ცალ-ცალკე დიალექტურ ერთეულებად გამოყოფა.

კილოკავები. სამცხურში გამოიყოფა სამი ძირითადი კილოკავი: ა) **უდე-არალური** — კათოლიკე მესხთა მეტყველება (სოფლები: უდე, არალი, ვაღე, ქახალციხე...), ბ) **მესხურ-ჭობარული** — მართლმადიდებელ მესხთა მეტყველება (სოფლები: ანდრიაწმინდა, ღრელი, ჭობარეთი, ზედა თმოგვი, დადეში...) და გ) **სვირული** — მაჰმადიან მესხთა მეტყველება (სოფლები: სვირი, ბოგა, ტატანისი, შურდო, აწყური...) (ი. მაისურაძე, 1942).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. თურქული ენის გავლენით ქართულ ფუძეებში არსებული ვე, ვი კომპლექსები წარმოითქმება როგორც **ჲ, ჳ** პალატალიზებული ხმოვნები: ჩვენ > ჩჲნ, კვერციხი > კჲრციხი... კვიცი > კჳცი, შვილი > შჳლი... პარალელურად, ხდება ვე, ვი კომპლექსების დელაბიალიზაცია; შდრ.: ასეთი მოვლენა ჩვეულებრივია ფერეიდნულ მეტყველებაში, სადაც ის ახსნილია ენობრივი თვითიმუნიზაციით (ტ. ფუტყარაძე, 1996: 24; 1998: 80-82): კვერციხი > კერციხი. ვე/ვი შეიძლება **ო/უ**-დაც რეალიზდეს: კვერციხი > კორციხი, კვირა > კურა.

სხვა ქართველური კილოების მსგავსად, სამცხურშიც ჩვეულებრივია წყვილბაგისმიერი სპირანტისა (უმარცვლო **ჳ**-ს) და კბილბაგისმიერი **ვ**-ს მონაცვლეობა: ქჳა/ქვა, რჳა/რვა, სხჳა/სხვა...

-ევ და -ემ ბოლოკიდურიან ზმნებში ე-ს წინ ჩნდება **დ**: ლდეგ (<ლეგ), სწდეგ (<სწევ), ქცდემ (<გცემ)... **დე** დიფთონგია თუ მოტიზებული შემართვა, საკვლევი.

ი-ს ან გ-ს გაჩენა თანხმოვნებს შორის: მგზე (<მზე), ბრიმა (<ბრმა), ღირმა (<ღრმა), კირავი (<კრავი)...

ხმოვანთკომპლექსების ცვლილება სხვა დიალექტების მსგავსია: ერთმარცვლობნობისაკენ სწრაფვის შედეგად ჯერ ხდება ასიმილაცია, შემდეგ კი დიფთონგიზაცია ან გრძელი ხმოვნის წარმოქმნა:

განსაზღვრული წესით ხდება **ასიმილაცია**. ის ყოველთვის სრულია და ერთსაფეხურიანი: აე > ეე; დაეცა > დეეცა; **ოე** > **ეე**: მოესწრო > მეესწრო; **ოუ** > **უუ**: მოუხდა > მუუხდა...

დისიმილაცია: ეე > იე; დაეწვა > დეეწვა > დიეწვა, ძმეები > ძმიეები > ძმიეები; **ოვე** > **ოე** > **უე** (>ვიე): აძოვეს > აძოეს > აძუეს (>აძვიეს); **ოვა** > **ოა** > **უა** (>ვია): გაათხოვა > გაათხოა > გაათხუა (>გაათხვია)...

თანხმოვანთა სუბსტიტუცია: მ > ნ: მგელი > ნგელი, კოვზი > კომზი > კონზი, დედამ > დედან, დგამს > დგანს, ხედავს > ხედამს/ხედანს... ბ > ვ: ბაღები > ბაღევი, ბიჭო > ვიჭო...

გავრცელებულია ს > ჰ: ეს > ეჰ, რას > რაჰ, საით > ჰაით, დაღის > დაღიჰ, დაიწყეს > დაიწყეჰ...

მეტათეზისი: ხშირი > შხირი, ამირანი > ამინარი, დაიკუზა > დაიზუკა...

სახელთა ბრუნება. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სამცხურში, ჯავახურისაგან განსხვავებით, ხმოვანფუძიან სახელებს (აღამიანთა და ცხოველთა საკუთარი სახელები,

აგრეთვე ნათესავის აღმნიშვნელი საზოგადო სახელები) უმარცვლო -**ფ** დაერთვის, ხოლო ჯავახურში, ქართლურის მსგავსად, -**ი** მარცვლიანია: მისა-**ი**, ნინო-**ი**, ძალო-**ი**, ბებე-**ი**, პაპა-**ი**... ვფიქრობთ, სამცხურისა და ჯავახურის განსასხვავებლად არ გამოდგება **ი/ფ**-ს პოვნეირება, ვინაიდან **ი/ფ** ალოფონები ა,ე,ო, და უ ბგერებთან მეზობლობაში ყველა ქართველურ ქვესისტემაში შეიძლება დადასტურდეს. მათი გამოვლენა დამოკიდებულია მეტყველების ტემპზე, მახვილზე, ინტონაციაზე და ა.შ.

მოთხრობით ბრუნვის ნიშნად გვხვდება -**მან** სუფიქსი: ქალ-**მან**, კაც-**მან**...

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლად დასტურდება -**ან/-ენ** სუფიქსები (შტო-გვარის სახელებთან): თამაზა-**ან-ი**, მოსე-**ენ-ი**... ორმაგი მრავლობითის ფორმები: ისი-**ნ-ებ-ი**, ორთავ-**ნ-ებ-ი**...

ზმნის თავისებურებები. სამცხურში, ქართლურის მსგავსად, ზმნაში **S₂** და **O₃** პირის ნიშნებად -**მს** ან -**ფ** იხმარება: გა-**ფ**-ჭრა „გასჭრა“...

I-II კავშირებითის ფორმებით შეიძლება გადმოიცეს თხოვნითი ბრძანებითი: წყალ დამისხამდე „წყალი დამისხი“; დაიჭირო ცხენი და წახვიდე „ცხენი დაიჭირე და წადი“... II კავშირებითი აღნიშნავს მომავალ დროს: მე წავიდე „მე წავალ“; მოვიტანო „მოვიტან“...

ნიშანდობლივია **თემის ნიშანთა მონაცვლეობა**: -**ავ** > -**ამ/-ან**, -**ებ** > -**ემ/-ენ**, -**ობ** > -**ომ/-ონ**: ხატ-**ავ**-ს > ხატ-**ამ**-ს/ხატ-**ან**-ს, აკეთ-**ებ**-ს > აკეთ-**ემ**-ს/აკეთ-**ენ**-ს, აპ-**ობ**-ს > აპ-**ომ**-ს/აპ-**ონ**-ს...

I თურმეობითი -**ი** სუფიქსით იწარმოება: უნახ-**ი-ა**, უკითხ-**ი-ა**... I და II თურმეობითში ჩნდება **ნ**: გაუბედ-**ნ-ი-ა**, უომ-**ნ-ი-ა**... გაებედ-**ნ-ა**, ეომ-**ნ-ა**...

უნდა ნაწილაკი გვხვდება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით: **ნა/და/ნდა**: მე-**ნა** წავიდე/მე წავიდე-**ნა** „მე უნდა წავიდე“, შვილი-**და** გაგიჩნდეს/შვილი გაგიჩნდეს-**და** „შვილი უნდა გაგიჩნდეს“...

სინტაგმა. ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული (როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი) ყველა ბრუნვაში ფუძის სახითაა წარმოდგენილი (იშვიათად სახელობითშია): მაღალ(**ი**) სახლ-**ი**, მაღალ სახლ-**მა**, მაღალ სახლ-**ს**... პატარა სახლ-**ი**, პატარა სახლ-**მა**, პატარა სახლ-**ს**...

სახელისა და ზმნის რიცხვში აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ხალხი მოვიდნენ... არის შეუთანხმებლობის ფაქტებიც: ბავშვები მოვიდა...

ლექსიკა. სამცხურსა და ჯავახურს შორის სხვაობა შეინიშნება ლექსიკაშიც. მაგ., სამცხ. ძირი (მდრ. ჯავახ. ძირი „ბჯის გროვა“), სამცხ. ოჯახი (მდრ. ჯავახ. ბუხარი „ამოშენებული საკვამლე“), სამცხ. მეპურღვინე (მდრ. ჯავახ. მესუფრე/თამადა)...

გვხვდება **თურქული** წარმომავლობის სიტყვები: ამი „ბიძა“, ზენგინი „მდიდარი“, ბაჯანალი „ქვისლი“... კალკები: სალამი აილო „მიესალმა“, ამბავი მისცეს „შეატყობინეს“, ენაზე მოვიდა „ალაპარაკდა“...

2.14. ჯავახური დიალექტი

საზღვრები.

ჯავახეთი თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს და ასპინძის რაიონის ნაწილს.

ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრებია: აღმოსავლეთით — ქართლი (წალკისა და დმანისის რაიონები), დასავლეთით — სამცხე (ასპინძის რაიონი), ჩრდილოეთით — ბორჯომის რაიონი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — სომხეთი, სამხრეთ-დასავლეთით — თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

ვახუშტი ჯავახეთის შესახებ მოგვითხრობს: „სად ერთვის მტკვარს ჯავახეთის-მტკვარი, ამ ორს მდინარეს შორის არს ხერთვისი, მტკვრის აღმოსავლეთის კიდეზე და ჯავახეთის-მტკვრის სამხრით. და შენი არს აქა ციხე ფრიად მაგარი, და დვანან აწ იენეცარნი. არამედ ეს ჯავახეთის-მტკვარი გამოსდის ფანავრის ტბას და მოერთვის სარამოს ტბასა, კვალად გამოსდის სარამოს ტბასა და მოდის აღმოსავლეთ-სამხრეთს შუადად ჩდილოთ-დასავლეთს შორის. სიგრძით არს სარამოს ტბიდად ხერთვისამდე, და დის ფრიად, და ღრმის და კლდიანს ჯრამსა შინა, რომელსა იმიერ და ამიერ არიან გამოკვეთილნი კლდესა შინა ქვაბნი მრავალნი საიზრად...“

ხოლო მზღვის ჯავახეთს: აღმოსავლით ქართლისა, რომელიცა აღვსწერეთ; სამხრით მთა ნიალის-ყურისა, რომელი მდებარეობს გოლის ტბიდად ანუ ხავეთიდად ყარსის მთამდე ანუ ჯოსოს წყაროს-თავამდე, აღმოსავლეთიდად დასავლეთად... ხოლო დასავლით მზღვრის ჯავახეთს ძველად მტკვარი, და აწ ნიჯგორს-ხერთვის ზეითი. და წყაროს-თავის დასავლით წარსრული მცირე გორანი; ხოლო ჩდილოთ პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდად წარსრული მცირე მთა ნუსხამდე, და მერმე ხაზი მის გასწვრივ მტკვრამდე, და აწ კობტის მდინარის აქეთი სამხრის კერძოს მცირე მთა, ნიჯგორის თავამდე და კოდიანამდე... ენა აქუსთ ქართული, და უწყან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათჳს ოსმალთა... (ვახუშტი, 1941: 129-131).

ჯავახეთს ისტორიულად ეკუთვნოდა ერუშეთი, არტაანი, კოლა და სოფ. წყაროსთავი. აქედან იწყებოდა ზემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი.

ჯავახეთი XVI საუკუნეში ოსმალეთმა დაიპყრო. მოსახლეობის ნაწილი საცხოვრებლად აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა, ადგილზე დარჩენილმა იძულებით ისლამი მიიღო. დიდი ნაწილი თურქეთში გადასახლდა. ქართველთა ნასოფლარებზე მეფის რუსეთის ხელისუფლებამ 1829-1832 წლებში თურქეთიდან მათთვის სანდო სომხები ჩამოსახლა. აქვე დაასახლეს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მიგრირებული სექტანტი დუხობორები.

მტრებისგან აწიოკებული ავტოქთონი ქართველები საქართველოს სხვადასხვა კუთხეს აფარებდნენ თავს და ხშირად იქვე რჩებოდნენ

სამუდამოდ. ამაზე მეტყველებს გეოგრაფიული სახელები: სოფ. *საჯავახო* (სამტრედია), *ახალი ხიზა* (გორი) — ეს სახელწოდება იქაურია (ჯავახეთში არის ნასოფლარი ხიზა). დმანისში: *განთიადი*, *ჯავახი*, *პატარა დმანისი*, *დიდი გომარეთი*, *პატარა გომარეთი*, *ახა*, *მამულო...*

ჯავახურ წარმომავლობაზე მიუთითებს ზოგიერთი გვარიც: *მურჯიკნელი* (ნასოფლარი მურჯიკანი), *კორხელი* (სოფ. კორხი), *განძელი* (სოფ. განზანი), *ვარძიელი* (ვარძია), *ხიზაშაბარელი* (ხიზაშაბარა). აგრეთვე *ჯავახ-ფუძის* შემცველი გვარები: *ჯავახაძე*, *ჯავახიძე*, *ჯაბახიძე*, *ჯავახია*, *ჯავახიშვილი* (გრ.ბერიძე, 1988).

390 ქართული სოფლიდან დღეს ჯავახეთის ტერიტორიაზე 80 დასახლებულია, 310 კი ნასოფლარად ქცეულა. ამ 80 სოფელშიც 17 სოფელი ქართველებითაა დასახლებული, დანარჩენი — პასკევიჩის მიერ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ერზერუმიდან ჩამოსახლებული სომხებით. 2 სოფელ ი(ბალანთა და ჭიხარულა) ბორჯომის რაიონში შედის.

XVI საუკუნეში (1595) ჯავახეთში შემდეგი მხარეები შედიოდა: ხერთვისის, ტყიანი ჯავახეთის, ბუზმარეთის, აკშეპირის, თმოგვის, ნიალის ყურის, ჯანბაზის, ქანარბელისა და მგლის ციხისა — სულ 9. ამ 9 რაიონში დაახლოებით 450 სოფელი ყოფილა (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, 1941: 12-24).

ჯავახეთი სამცხესთან ერთად ერთიანი საქართველოს სამეფოში, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოს სამთავროში შედიოდა. 1628 წელს სამცხე-საათაბაგო ახალციხის საფაშოდ, გურჯისტანის დიდ ვილაიეთად გამოცხადდა და ამით ბოლო მოეღო ამ ქართული ფეოდალური სამთავროს პოლიტიკურ არსებობას.

ჯავახეთი, სამცხესთან ერთად, საქართველოს დაუბრუნდა რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შედეგად, აღრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების (1829) თანახმად.

ენობრივი დახასიათება

ჯავახური სამცხურთან ერთად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვა სისტემის ენათა გავლენას განიცდიდა, რამაც თავისი კვალი დაამჩნია მათს ლექსიკურ თუ გრამატიკულ სტრუქტურას.

ჯავახურში უკეთ არის დაცული ქართლურთან საერთო ენობრივი მოვლენები. დასავლური დიალექტებისათვის ნიშანდობლივი მოვლენები ნაკლებად შეიმჩნევა.

კილოკავები. ჯავახურში რამდენიმე ქცევას გამოყოფენ; ენობრივი თვალსაზრისით გამოირჩევა *ხიზაშაბარის*, *მურჯახეთის*, *ბარალეთის*, *ხოსპიოსა* და სხვა სოფლების მეტყველება.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები.

თურქული ენის გავლენით ჯავახურ კილოშიც ქართულ ფუძეებში არსებული ვე, ვი კონპლექსები წარმოითქმება როგორც რ, უ პალატალიზებული ხმოვნები: *ჩვენ* > *ჩრნ*, *კვერცხი* > *კრცხი*... *კვიცი* > *კუცი*, *შვილი* > *შუღი*... პარალელურად,

ხდება ვე, ვი კომპლექსების დელაბილიზაცია: კვერცი > კერცი. იშვიათად ვე/ვი > ო/უ: კვერცი > კორცი, კვირა > კურა.

სხვა ქართველური კილოების მსგავსად, ჯავახურშიც ჩვეულებრივია წყვილბაგისმიერი სპირანტისა (უმარცვლო ჟ-ს) და კბილბაგისმიერი ვ-ს მონაცვლეობა: ქუა/ქვა, რუა/რვა, სიტყუა/სიტყვა...

აღსანიშნავია სანის მონაცვლეობა ჰესთან. ჰ>ს დასტურდება ყველა სიტყვაში, რომელიც ხმოვნით ბოლოვდება და შემდეგ სანია სუფიქსად: მიდი-ჰ (<მიდის), ნახ-ეჰ (<ნახეს), კალო-ჰ ღობე (<კალოს ღობე), ასპინძა-ჰ წასულა (<ასპინძას წასულა), კოდი-ჰ პირა-ჰ (<კოდის პირას)... რიგ შემთხვევებში ჰეე სანსაც ენაცვლება: ჰად (<სად), ჰადაური (<სადაური), ჰაცა (<საცა)...

S₂ და O₃ პირის ნიშნად, ჩვეულებრივ, ჰ- დასტურდება ყველა რიგის თანხმოვნის წინ: და-ჰ-დეე (<დასდეე), და-ჰ-ტოვე (<დასტოვე), ჰ-ცემა (<სცემა)... ს>ჰ ჯავახურისთვის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად მიიჩნევა.

ხშირია აგრეთვე მ>ნ მონაცვლეობა. ეს პროცესი სამცხურსაც ახასიათებს, მაგრამ ჯავახურში უფროა გავრცელებული. ამასთან დაკავშირებით ა. მარტიროსოვი აღნიშნავს: „მანის და ნარის შენაცვლება იმდენად შორსაა წასული ჯავახურში, რომ იგი -მდე/-მდი თანდებულსა, ზმნაში პირველი პირის ობიექტური პირის ნიშანსა და ნაცვალსახელებშიც არის გატარებული. მაგალითად, აქანდი, სალამონდის, ან კაცმა, ინ დროს, ინთელი, ჩენ დღეში და სხვა“ (ა. მარტიროსოვი, 1950: 296).

ნარი მან-ს ცვლის მაშინაც, როცა ხმოვანფუძიანი სახელების მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია, აგრეთვე მიმდებარებსა და ზოგ აბსტრაქტულ სახელში, მაგ.: გოგონ (<გოგომ) დაუზახა, მიშან (<მიშამ) მითხრა, დედან (<დედამ) წაილო, ხენწიფენ (<ხელმწიფემ) გამოიძახა... სინძიმე (<სინძიმე), დანჯდარი (<დამჯდარი)...

ხმოვანთკომპლექსების ცვლილება სხვა დიალექტების მსგავსია: ერთმარცვლოვნობისაკენ სწრაფვის შედეგად ჯერ ხდება ასიმილაცია, შემდეგ კი დიფთონგიზაცია ან გრძელი ხმოვნის წარმოქმნა:

აე > ეე: დაეცა > დეეცა; ოე > ეე: მოესწრო > მეესწრო; ოუ > უუ: მოუხდა > მუუხდა...

დისიმილაცია: ეე > იე: დაეწვა > დეეწვა > დიეწვა, ძმაები > ძმეები > ძმიები; ოვე > ოე > უე (>ვიე): აძოვეს > აძოეს > აძუეს (>აძვიეს); ოვა > ოა > უა (>ვია): გაათხოვა > გაათხოა > გაათხუა (>გაათხვია)...

სახელთა ბრუნება. ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბუნებაში -ი ნიშანს დაირთავენ: ნანა-ი, ძალო-ი, ბებე-ი, პაპა-ი...

ხმოვანფუძიანებთან ხშირად მოთხრობითში -მა სუფიქსი დასტურდება: გოგო-მა, და-მა...

გვხვდება ორმაგი მრავლობითის ფორმები: ისი-ნ-ებ-ი/ის-ნ-ებ-ი...

აღნიშნული მოვლენები იშვიათად თავს იჩენს სამცხურსა და ქართლურში.

ზმნის თავისებურებები. ჯავახურში S₂ და O₃ პირის ნიშნად ჰ-პრეფიქსი გამოიყენება, მაგ.: მო-ჰ-თხვია, მო-ჰ-ტაცა, მო-ჰ-დო, მი-ჰ-დევს...

კავშირებითის ფორმებით გადმოიცემა თხოვნითი ბრძანებითი: პურ მომიტანდე „პური მომიტანე“... II კავშირებითის ფორმით აღინიშნება მომავალი დრო: მე მოვიტანო „მე მოვიტან“...

გავრცელებულია თემის ნიშანთა მონაცვლეობა: -ავ>-ამ/-ან: ბარ-ავ-ს > ბარ-ამ-ს/ბარ-ან-ს); -ებ>-ემ/-ენ: აკეთ-ებ-ს>აკეთ-ემ-ს/აკეთ-ენ-ს; -ობ>-ომ/-ონ: აპ-ობ-ს>აპ-ომ-ს/აპ-ონ-ს...

სინტაქმა. თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი, ხმოვანფუძიანის მსგავსად, ყველა ბრუნვაში ფუძის სახითაა წარმოდგენილი (იშვიათად სახელობითში): დაბალ(ი) სახლ-ი, დაბალ სახლ-მა, დაბალ სახლ-ს... პატარა სახლ-ი, პატარა სახლ-მა, პატარა სახლ-ს...

სახელისა და ზმნის რიცხვში აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ყველამ იჩუბენ, ხალხი წავიდნენ...

ლექსიკა. თავისებურია დარგობრივი ლექსიკა. შრომის იარაღების სახელწოდებები: გუთნის გაშლა „მანძილი, რასაც ერთი გუთნეული გასწვდება“, ვარიოზი „სამჭედლო დიდი ჩაქუჩი“, საბარე „შემის საზიდი პატარა ურემი“, შავი გუთანი „ნის გუთანი“... ცხოველებთან დაკავშირებული: დავოჭა „გოჭების დაყრა“, ბეზი „ზარმაცი, ძალაგამოლეული (კამეჩი)“, დალეკვა „ლეკვების გაჩენა“, საკიდი „სახედარი“... მებოსტნეობასთან დაკავშირებული: აღორჯდება „პურეულის მარცვალი ფესვებს გამოიტანს“, ჩიტი ენა „ხორბლის ან ქერის გამოფიტული მარცვალი“, ცუდა „ერთ წელს დასვენებული, დაუმუშავებელი მიწა“...

გვხვდება თურქულიდან ნესესხები ლექსიკა: აბდასი „ლოცვის წინ ხელ-პირის დაბანა“, აღვი „საწამლავი“, ახი „გადასახალი, მიწა“, ბაზირგანი „ვაჭარი“, ზენგინი „მდიდარი“...

სომხური სიტყვები: ათორკი/ათირქი „პატარა, დაბალი სკამი“, არონა „კავი“, ბარეკამო „ნაცნობი“, მაზმანი „საბლის მგრეხელი“, სოხარაწი „კერძის ხახვით შენელება“ (ა. მარტიროსოვი, 1984: 106-109).

2.15. იმერხეული დიალექტი

საზღვრები.

იმერხევი შავშეთის ნაწილია, შავშეთი კი — კლარჯეთისა (შდრ.: ტაო-კლარჯეთი). იმერხევი დღეს თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილის შავშეთის ილჩეში შედის. იმერხევი მდებარეობს ფაფართისწყლის ხეობაში; ფაფართის წყალი **სოფელ შერთულთან** უერთდება შავშეთის წყალს (მდინარე ბერთას), ეს უკანასკნელი მიერთვის ჭოროხს.

იმერხეული დიალექტი ისტორიული შავშური დიალექტის ცოცხალი ნაწილია. საკუთრივ შავშეთსა და შავშეთის რაიონის დიდ ნაწილში ძირითადად ისევ ავტოქთონი ქართველები ცხოვრობენ, მაგრამ მათ ქართული აღარ ახსოვთ და თავსაც ეთნიკურ თურქებად თვლიან. იმერხევის მოსახლეობის ეთნიკური იდენტობა დღემდე ქართულია. ისინი ემიჯნებიან „მეთათრულე“ შავშეთის მცხოვრებთ; შესაბამისად, ლოგიკურია, რომ იმერხევის მეტყველებას შავშური დიალექტიც ეწოდოს, თუმცა რამდენადაც რეალურად ქართული მხოლოდ იმერხევეშია შემონახული და ასწლოვანი ტრადიციაც ჩამოყალიბდა, ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ტერმინ „იმერხეულს“.

იმერხევის სოფლებია: აგარა, არდიასწმინდა (ანდრიაწმინდა — ნ.მარი), ბაზგირეთი, ბზათა, ბრილ-აგარა, გამეშეთი, გოგიეთი, გომთა, დაბა, დავითეთი, დავლათი, დასაბომი, დიდმერე, დიდხანი, დიობანი, ზაქიეთი, ზიოსი, თეთრაკეთი, ივეთი, იფხრეელი, ლიბანი, მანატბა, მაჩხატეთი, ოთკლდე, რიოლეთი, სვირევანი, სინკოთი, უბე, ქოქლიეთი, შერთული, შოლტიხევი, ჩაქველთა, ჩიხვთა, ჩინისხევი, ჩიხორი, წეთილეთი, წყალსიმერი, ხევწვრილი, ხოხლევი, ჯვარები, ჯვარისხევი... (შ. ფუტყარაძე, 1995: 5).

იმერხეველთა საოჯახო ენა ქართულია. თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ისტორიულ ქართულ მხარეებს შორის ქართული ენა ყველაზე უკეთ დაცულია იმერხევის (იმერხევისწყლის) ხეობის შუა და ზემო წელის სოფლებში, რაზეც თვალნათლივ მიუთითებს იქ შემორჩენილი ქართული ტოპონიმიკური მასალაც (ნ. ცეცხლაძე, 2004).

იმერხევის გარდა, შავშეთის ზოგიერთ სოფელში (ახალდაბა, კოთხევი, ველი...) დღესაც ქართულად მეტყველებენ. ისტორიულად ქართულენოვანი იყო მთელი შავშეთი (საერთოდ კლარჯეთი), მაგრამ დროთა განმავლობაში ადრინდელი თურქეთის ენობრივი პოლიტიკის შედეგად ქართული ენა ბევრ სოფელში გაქრა.

ვახუშტი შავშეთის შესახებ წერს: „ხოლო შავშეთის-წყალი გამოსდის ერუშეთსა და შავშეთს შორისს არსიანის მთას. ეს დის პირველად აღმოსავლეთიდან დასავლეთად, მერმე მოდრკების და დის აღმოსავლეთს — სამკრეთს შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შორის. ამას, ჭოროხის შესართავს ზეით, მოერთვის მდინარედ ჭილოვნის-ჯევი, გამოსდის არსიანის მთას, მოდის ჩდილოდამ სამკრით გრეხით.“

ამ ჯევიდამ გარდავალს გზა ზარზმას და ყველს. ამავე ჯევის სამჯრით სახლობს აწინდელი შავშეთის ზევი. ამათ მდინარეთ შესართავს ზეთ მოერთვის ჭილოვნის-ჯევის შავშეთისავე მდინარე სათლესი და ტბეთისა. ესეც გამოსდის არსიანსავე და მოდის ტბეთამდე აღმოსავლეთად, და მერმე, ვითარცა შავშეთის წინათი მდინარე, ეგრეთ ესეცა დის. ამ წყალზედ არს სათლე, ქალაქი მცირე და მოსახლენი ვაჭარნი მას შინა...

და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ერუშეთს, ფოცხვის-ჯეობას და ზარზმა-ყველს; სამჯრით მზღვრის კლდე, არტანუჯსა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდან დასავლეთად, ვიდრე კნინლა ჭოროხამდე, და განვლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი და თვნიერ მისა არა არს გზა; დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი; ჩდილოთ მთა, არსიანიდან ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე. და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი... (ვახუშტი, 1941: 135-136).

შავშეთ-იმერხევი, სხვა ისტორიულ ქართულ მხარეებთან ერთად, XVI საუკუნეში ოსმალეთმა დაიპყრო⁸¹. ოთხ საუკუნეზე მეტია იგი უცხო ენობრივ გარემოში იმყოფება. იმერხევიში მცხოვრებ ქართველთა ერთი ნაწილი დღემდე ქართულად მეტყველებს. იქაურ სოფლებსა და სხვა გეოგრაფიულ სახელებს (მთებს, ხეობებს, ყანებს, საძოვრებს...) ოფიციალურად შეუცვალეს ქართული სახელი და მათ ნაცვლად უწოდეს ოსმალური, თურქული და ქურთული სახელი.

გასულ საუკუნეში თურქეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოუცვალა სახელები შავშეთ-იმერხევის ყველა სოფელს. სახელების შერჩევას საფუძვლად სხვადასხვა პრინციპი დაედო: 1. თურქული სახელი თითქმის ანარეკლია ქართულისა: სოფ. ბალვანას უწოდეს ქირაზლი, რაც „ბალიან ადგილს“ ნიშნავს, 2. სოფლის სახელი მომდინარეობს მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობიდან: სოფ. დასაბომს ეწოდა დერეთი, რაც ნიშნავს „ხეობის შიგნით“, 3. სოფლის სახელად შერჩეულია ფლორონიმები: სოფ. ვანთას შეარქვეს ელმალი, რაც ქართულად „ვაშლოვანს“ ნიშნავს. ხშირია ტოპონიმების პირდაპირი თარგმნის შემთხვევები: ცხრაწყარო — დოქუზფანარლი წყარო, შავი ტბა — ყარაგოლი, ლერწამის ტბა — ყამიშგოლი, ქვედა უბანი — აშალი მაჰალე, ყვითელი ჭალა — სარიჩაირ... მოსახლეობა ძირითადად ისევ ქართულ ტოპონიმის იყენებს, თუმცა, ოფიციალურ სიტუაციებში ახალშერქმეული თურქული სახელები გამოიყენება⁸². თურქეთის ამჟამინდელმა

⁸¹ვახუშტი: „...დასავლით არს და შიფაქლუს მთის იქით გურჯი ბოლჯის ჯეობა ანუ საქართველოს-ყელისა, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმ, მიერ ყამით უწოდეს სახელი ესე“ (ვახუშტი, 1941: 141).

⁸²შდრ., ნ. ცეცხლაძე: სოფლის როგორც ძველი, ისე ახლანდელი (როგორც ქართული, ისე თურქული) სახელები სინონიმური ტოპონიმებია. ინმარება ორივე სახელი. თუმცა არის საშიშროება იმისა, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ქართული სახელი გაქრეს (ნ. ცეცხლაძე, 2002: 239).

ხელისუფლებამ მიიღო ახალი კანონი, რომელიც საშუალებას იძლევა, დაკმაყოფილდეს ადგილობრივი საზოგადოების სურვილი და ოფიციალურადაც აღდგეს ისტორიული ტოპონიმი.

იმერხევში დღესაც არის სოფლები, სადაც არც ერთი თურქული ტოპონიმი არ არის. ეს სოფლებია: დაბა, დასამობი, სვირევანი, ზაქიეთი, ივეთი, ჩაქველთა, ჩიხორი, მანატბა, ქოქლიეთი, იფხრევლი, წეთილეთი... ძირითადად ქართული მიკროტოპონიმი შენარჩუნებულია შავშეთის იმ ნაწილშიც, სადაც მოსახლეობას ქართული აღარ ახსოვს.

დღეს შავშეთ-იმერხევის სოფლებში ბევრი ქართული წარმომავლობის გვარსახელიც შემორჩა. ოფიციალურად მოსახლეობას თურქული გვარები აქვს მიღებული. იციან წინაპრების გვარებიც. ქართული გვარები ბოლოვდება **-ძე, -შვილი, -იენთი, -ეთ, -ებ, -ოსან** სუფიქსებით. არის თურქული დაბოლოების (**-ოლი, -ლარ**) გვარსახელებიც, რომლებიც ქართული **-შვილი** და **-ებ**-ის ფარდია: ჩაქურიძე, მიქაძე, შობელაძე, შუბლაძე, ჯარბიძე, ფუტყარაძე/ფუტენი, კახიძე, მოლაშვილი, თურმანიძე, მელიქიშვილი/მელიქოლი, ცეცხლაძე/ცეცხლიენთი, შალიკაძე/შალიკოლი (ნ. ცეცხლაძე, 2002: 243).

გამოქვეყნებულია ნ. მარის მიერ ჩაწერილი იმერხეული ტექსტები, რომლებიც მოპოვებულია მდ. ფაფართის (მდ. იმერხევის) ზემოწელის სოფლებში: იფხრევლში, თეთრაკეთსა და ზაქიეთში. იმერხევის სხვადასხვა სოფლებში ჩაწერილი ახალი მასალა წარმოდგენილია შ. ფუტყარაძის ნაშრომში „ჩვენებურების ქართული“ (ბათუმი, 1993), მ. ფალავას „შავშურ ჩანაწერებში“ (თბ., 2013).

ენობრივი დახასიათება

კილოკავები. იმერხეულ კილოში გამოიყოფა ორი კილოკავი: **ქვემოიმერხეული** და **ზემოიმერხეული**. ქვემოიმერხეული სვირევანისა და დასაბომის თემების მეტყველებაა, ზემოიმერხეული კი — დიობნის თემისა (შ.ფუტყარაძე, 1995: 6).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. იმერხეული მეტყველება ახლოს დგას სამცხურ, ჯავახურ და აჭარულ კილოებთან, კერძოდ:

დაცულია **ვ** ბგერა: ველი, მვარი, ვმა, თივა, ვიდი, ვოცავს...

ჟ/ვ მონაცვლეობა: ჩჟენ, თქჟენ, ქჟაბი, ქჟეყანა... **ჟ/ვ<უ:** ავადეული<ავადეული „ავადმყოფი“...

ფ ისმის როგორც თურქულიდან შემოსულ სიტყვებში: ჩაფრი „ჭალა“, მეფვა „ხილი“, ფემეგი „საჭმელი“... (შ. ფუტყარაძე, 1995: 6), ასევე, **ფ** ჩვეულებრივია **ი**-ს ნაცვლად **ა, ე, ო, უ** ხმოვანთა მეზობლად: პაშტაფ, მარიობაფ, წეფყანეს, გამეფტანეს (ნ. მარი, 1911: 55-71, 79-84); ცოტაფ, დედეფ, უჩუმალაფ, მარტოფ... (მ. მიქაუტაძე, ე. დადიანი, 2010)...

იმერხეულში **ძ** თანხმოვანი იცვლება **ზ**-თი: ზალი, გზელი, ნაზვი, ზველი, ყურზენი... მოვლენა აიხსნება თურქული ენის გავლენით, სადაც **ძ** ბგერა არა არის.

საკმაოდ ძლიერია **რედუქცია**: ყაბლი (<ყაბალის) გული, ნაღბი (<ნაღების) დო...

ერთმარცვლოვნობისაკენ სწრაფვის გამო **ხმოვანთა ასიმილაცია** ხშირად ხდება ზმნურ ფუძეებში. ზმნისწინისეული ხმოვნები იცვლება ხმოვანი პრეფიქსების მეზობლად: **აუ > ოუ**: გოუკეთებია (<გაუკეთებია)... იშვიათია **ოუ > უუ**: უუუშვებენ (<მოუშვებენ), მუუტანა (<მოუტანა)... **აი > ეი**: დეიკარქვის (<დაიკარგვის)... **აე > ეე > იე**: თეებიდამ < მთაებიდან, თმიები < თმეები < თმაები, გაღმიელი < გაღმეელი < გაღმაელი...

დისიმილაციის შედეგად **ოე > უე > უჲ**: დრჲები < დროები, გოგჲები < გოგოები... გამუეკიდა < გამოეკიდა... **ოა > უა**: მუადგა < მოადგა..

დასტურდება **ვე > ო**: ქვემო > ქომო, შედღვებენ > შედღობენ...

ი ხმოვნის **დაკარგვა ვ-ს** მომდევნოდ: მოჲდა < მოვიდა, წევდა < წავიდა, მევტანე < მოვიტანე, გევდა < გავიდა...

მეტათეზისი: ღურბელი (<ღრუბელი), გერმელი (<გემრიელი), ღმერის (<მღერის), ლესკი (<ლექსი)...

სახელთა ბრუნება. ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილია **-ი** ნიშნით: ბაბა-ი, რუ-ი... პატარა-ი, ქვეშა-ი.... ანალოგიურად არის გაფორმებული ზოგიერთი ზმნიზედა: ზვილა-ი (ძლივს), დილა-ი (დილით), ერთა-ი (ერთად)...

მოთხრობითში ხმოვანფუძიანი სახელები ხშირად **-მა** დაბოლოებით შეიძლება შეგვხვდეს: ანა-მა... იშვიათად **-მან** ნიშანიც გამოიყენება: ღმერთ-მან შექყაროს...

მიცემითში თანხმოვანფუძიან სახელებთან ბრუნვის ნიშანი ხშირად იკარგება: კაკალ მააყრიან...

-ებ-იანი მრავლობითის გვერდით გვხვდება **ნარ-თან**იანი ფორმები: ორ-ნ-ი, ყველა-ნ-ი, სხუა-ნ-ი...

-ში, -ზე თანდებულები დაერთვის ადგილის ზმნიზედებს: აგზე (<აქზე), იგზე (<იქზე), აქში, იქში, მაგზე, მაქში (<მაგში)... შდრ. ძვ. ქართ.: აქაშინა, მუნშინა...

ზმნის თავისებურებები. ზმნისწინისეული **ო, ე** ხმოვნები იცვლება **ა** ხმოვნით: **მა, შა, ამა, ჩამა, წამა, გამა, შამა**... მაგ.: **შაასვენე** (<შეასვენე), **გამაანგრე** (<გამოანგრე). ანალოგიური ფაქტები დასტურდება ქართლ., კახ., სამცხ., ჯავახ... კილოებში.

იმერხელში S₂ პირის ნიშანი უმეტესად წარმოდგენილია: და-ს-ჭრი, ჩა-ჭ-ყრი... I პირში ხშირია ორი პირის ნიშნის გამოყენება: ა-ვ-ს-წიოთ, და-ვ-ჭ-კარგე... O₃ პირის ნიშანი დაცულია: წა-ჭ-ყვა, ჩა-ს-ცხოზენ... მო-ჭ-კრეფენ, და-ს-ცალონ...

სუბიექტის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის გამოსახატავად ძირითადია **-ენ/-ნენ** სუფიქსები: იქ საქმობენ; სცემენ ერთმანეთ; ახლა ჩემი ემიაშვილები მოიდნენ; ძველად გადადიოდნენ, გადმოდიოდნენ... იშვიათია არქაული **-ეს** სუფიქსი: ამოიდ-ეს „ამოვიდნენ“, წევდ-ეს „წავიდნენ“...

სუბიექტის ნიშნები **-ენ, -ან, -ეს** გამოყენებულია ობიექტის მრავლობითობის გადმოსაცემად: მიჰყავდ-ენ „მიჰყავდათ“, გინდან-ან „გინდათ“, გეძინ-ეს „გეძინათ...“

თემის ნიშანთა მონაცვლეობა: ხედ-ამ-თ „ხედავთ“, ისეირ-ავ-ს „ისეირებს“...

აწმყოსა და მყოფადის მრ. რიცხვის III პირის ფორმებში **-ავ/-ამ** სუფიქსისეული **ა** ხმოვანი იკარგება და **-ვ/-მ**-ს სახითაა წარმოდგენილი, რაც არქაული მოვლენაა:

-ავ>-ვ: იქედან **ზიდვენ** წყალ; ახლა არ **თიბვენ** აქაურობას; დილაზე **ილოცვენ**; ჩემი თახუმი თელი **იბურვენ**; გელინლულებ **კერვენ**... ძროხას **დაკვლენ**; აქ ჭალებ **მოთიბვენ** იშთა... **-ამ>-მ:** შავ არ იცმენ აქა; ზეს ქვაბში **ჩაასმენ**; ზოგი ფარას **დააბმენ**...

-ავ/-ამ სუფიქსები უწყვეტელ-ხოლმეობითში წარმოდგენილია **-ევ, -ემ** ნაირსახეობით: თივას **ვზიდევდით**; ბუღდას (ხორბალს) **თესევდენ**; თხას **დავკლევდით**... შენ კაღს **სვემდი**; ხორომს **დაუღვემდით**...(ე.დადიანი, 2010: 81-83).

ი- და **ე-** პრეფიქსიანი ზმნური ფორმები აწმყოს მესამე პირში არქაული ფორმითაა წარმოდგენილი: იზილ-ვი-ს, ითიბ-ვი-ს, იკითხ-ვი-ს...

წყვეტილში (I-II პირში) **-ე** სუფიქსიანი ზმნები **-ევი** დაბოლოებას იღებენ: დევნახ-**ევი**-თ, გააღ-**ევი**-ი...

სინტაქსა. მსაზღვრელი საზღვრულს ფუძის სახით უთანხმდება: თავის ბაჯალა, ერთ შვილის, ჩემ დედამთილის... შეინიშნება სუბსტანტიური მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმობითი ელემენტის დაკარგვის შემთხვევები: ვაშლი ტანები...

ხშირია აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: *აქიდანაც გამოხედეს ხალღმა; ვინმემ არ მიიწონეს; ჩვენი საქონელი გადავლენ იქა, ზოვენ.*

II სერიის ფორმებთან ქვემდებარე ნაცვლად სახელობითისა, მოთხრობითში შეიძლება შეგვხვდეს: მოკვდენ ზველებმა, წვიმამ დეიწყო...

დასტურდება ე.წ. მასდარული კონსტრუქცია: ევდენ შუანთობათ, დაუდებიან წერაზე (დასაწერად), ნადირობაზე (სანადიროდ) მიდიან...

იშვიათია **-ყე** ნაწილაკი: მოით, ჭამეთ-**ყე!**

გვხვდება კითხვითი ნაწილაკი **-ა:** ინეგოლს შიგან ხარ-**ა?** აქვერობას ცნობილობს-**ა?**

ლექსიკა. იმერხეულ დიალექტში მრავლად გვხვდება **არქაული** ქართული სიტყვები და გამოთქმები. მათი ნაწილი დღევანდელ სალიტერატურო ენაში აქტიურად არ გამოიყენება, ან კიდევ განსხვავებული მნიშვნელობით/ნიუანსით გვხვდება: **დათვლა/დათვალვა** ნიშნავს: 1. თვლა, აღრიცხვა; 2. მიცვალებულის ხმით დატირება, მოთქმა; **გამოსული** „გაზაფხული“, **სალოკელი** „მარილი, ქვამარილი“...

ზოგი ქართული სიტყვა გადასხვაფერებულია: ზედსართავი **დიდი**, ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა, გამოიყენება „უფროსის“ აღსანიშნავად: ნური-ბეგი იმათი დიდი იყო. **ახალგაზრდა**

შეცვლილია მოზღვე ფორმით ან თურქული გენჯი სიტყვით, მოხუცს ცვლის ქართული ბებერი ან თურქული იამლი ფორმები.

დასტურდება თურქული ან თურქულის გზით შემოსული ნასესხობანი, მაგ.: დუგუნი „ქორწილი“, ეფენდი „ბატონი“, ფუზარა „ღარიბი“, მაშუყეთი „შეყვარებული“, თანე „ცალი“, ბითევი „ბევრი“, „ყველა“, ადნი „ერთნაირი“, ადრი „სხვაგვარი“... ნაწილაკები: ენ, ფენა „ძალიან“...

თურქული სინტაქსური კალკები: ჩაფას ვიჯებით „ვთოხნით“; დუას იჯება „ლოცულობს“; იასადი ქნა „აკრძალა“; თელეფონი მიყო „დამირეკა“; ჯეზას მოგცემს „დაგსჯის“; წასვლა ქნა „წავიდა“... (ე. დადიანი, 2012).

2.16. ტაოური დიალექტი

საზღვრები.

ტაო ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ეთნოგრაფიული კუთხეა, რომელიც დღეს თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ტაო ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მიხედვით იყოფოდა ორ ნაწილად და „ორსავე კერძოსა ტაოსა“ თავისი სახელი ჰქონდა: ამიერტაო — ქვემო ტაო და იმიერტაო — ზემო ტაო (ივ. ჯავახიშვილი, 1913 : 331; პ. ინგოროყვა, 1954 : 491). ტაო „ქვეების“ ერთობლიობას წარმოადგენდა. ტაოს ქვეყანა 8 „ქვეს“ მოიცავდა, მათ შორის ერთ-ერთია კოლა. „კოლა“ ის ტოპონიმია, რომელიც საფუძვლად უდევს კოლ-ხ- წარმომავლობის სახელს⁸³.

ამიერი და იმიერი ტაო ერთმანეთისაგან გამოიყოფა ოლთისის-წყლის (დღევანდელი ოლთუ-ჩაი) ქვემო წელით და მისი შენაკადი ბარდუსის წყლით (დღევანდელი ბარდუს-ჩაი) (ივ. ჯავახიშვილი, 1913 : 331-332).

ტაოს საზღვრების შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს: „არამედ ართვინს ზეითი, იდამდე, ჭოროხის დასავლეთისა, თორთომის მთის აღმოსავლეთით არს პარხალი ანუ ტაოსკარი, ანუ ტაო. და მზღვრის ამას: აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამჯრით თორთომიდან ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით თორთომის მთა; ჩდილოთ ჭოროხი და ისპირის მთა. და არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მოსავლითა, და მთის კერძოთ, ვითარცა ჯავახეთი. არამედ არს მთიანი, გორიანი, ღელოვან-ჯრამოვანი, ღრატოიანი, წყლიანი და იწრო. და არიან ჰევთა დაბნები. კაცნიცა ეგრეთნივე. გარნა იღი და ნარუმაკი არიან, ვითარცა თრიალეთი ანუ ჯავახეთი ყოვლითურთ“... (ვახუშტი, 1941 : 138).

დავით დიდი კურაპალატი იმიერ ტაოს მფლობელი იყო, მისი ინიციატივით აშენდა პარხალის, ხახულის და ოშკის შესანიშნავი ტაძრები. იშხანის მონასტერი ამიერტაოში ოლთისის წყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს.

აშოტ კურაპალატის მკვიდრი სამფლობელო სამხრეთ-დასავლეთ ქართლში იყო შავშეთ-კლარჯეთი და ორივე ტაო. მისი მთავარი რეზიდენცია არტანუჯის ციხე-ქალაქი იყო. აშოტ კურაპალატის სამთავრო IX საუკუნის 30-იან წლებში მოიცავდა ტაო-კლარჯეთს (აღბათ, აჭარიანად), კოლა-არტაან-ჯავახეთს, თრიალეთს, შიდა ქართლს, შესაძლებელია სამცხესაც (დ. მუსხელიშვილი, 1980 : 177).

ტაოსთან ერთად ხშირად კლარჯეთიც (ტაო-კლარჯეთი) მოიხსენიება, მაგრამ ისტორიულად ისინი დამოუკიდებელი ეთნოგრაფიული ერთეულები იყო. ტაო ბერძნულ წყაროებში იხსენიება ტაოხებად.

⁸³ძველ ბერძნულ წყაროებში კოლ-ხ-ი ზოგ შემთხვევაში ეთნონიმად გაიაზრება, რამდენადაც ადრე არსებულ მთელ ქართველობას მოიცავს, ზოგ შემთხვევაში კი კი ერთ-ერთი ქართველური ტომის სახელად (ვრცლად იხ. ტ. ფუტყარაძე, 2005).

ძვ. წ. I ათასწლეულში ტაო კოლხეთის (ძველი ქართლის) სამეფოში შედიოდა. ძვ. წ. IV-III საუკუნეებში ტაო ქუჯისა და ფარნავაზის მიერ აღორძინებული ქართლის სამეფოს ორგანული ნაწილია. ძვ. წ. II საუკუნეში ტაოს სომხეთი დაეუფლა. ახ. წ. I-II საუკუნეებში კვლავ ქართლის სამეფოშია. შემდგომ კვლავ სომხეთმა მიიტაცა. ამიტომ ტაოში ქართულ მოსახლეობასთან ერთად, განსაკუთრებით იმიერ ტაოში, სომხურიც გაჩნდა.

VIII-IX საუკუნეებში ტაოში ფართო სამონასტრო მშენებლობა მიმდინარეობდა. აქ აშენდა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები: ბანა, ხახული, ოშკი, პარხალი... ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ტაო სამცხე-საათაბაგოს სამთავროში შედიოდა, XVI საუკუნის 50-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს შემავალი ერთეულები, მათ შორის ტაოც, თურქეთმა დაიპყრო.

ტაო გაშლილია მდ. ჭოროხის შუა წელის მარჯვენა და მარცხენა შენაკადების ხეობებში. ქართულად მოლაპარაკე სოფლები ძირითადად გვხვდება იუსუფელისა და უზუნდერეს (ნაწილობრივ) რაიონებში.

პარხლისწყლის ხეობის სოფლებია: არჯევანი, არმენხევი, სარიგოლის ახალთი⁸⁴ — 10 სახლი; იუსუფელის ახალთში — 100 კომლი...

ბალხიბარი, ბერთახევი, ბოწმინდა (დათცები ცხოვრობენ), გოდლეკარი (12 კომლი) გუდასხევი (50 კომლი), დევთისა (ხევის ბარი), დიდილე (სოფელი არ არის!), დიდიხევი (მდინარეა), დოლეკარი (6 კომლი), ელიასხევი (40 კომლი), ვანისხევი (გათურქებული სოფელი — 15 კომლი), ვაჩეკარი (არავინ ცხოვრობს ახლა), ველითავი (იეთის იაილა), იეთი (20 კომლი), კილიონი (პარხლის მხარესაა; 12 კომლი — გათურქებული), კონწოლი სოფელი არ არის! კილდის წვერი, კრეველათი (უტავის ბარი; გათურქებული), მახათეთი (ქობაის ბარი 20 კომლი : 15 ქართული, 5 გათურქებული), ნავანევი (დევთისას გაღმა; ნახევარი ქართულია ხევიდან, ნახევარი — პარხლური ან გათურქებული), ობლეკარი (7 კომლი), სადგიყანა (9 კომლი) სარიგოლი (ზღაფორის ბარი; 50 წლის წინ ქართული იყო. გათურქებულია), სოროხევი (პარხალი ბარი; გათურქებულია), ფარისხევი, ქორიეთი (ხევის ბარი; 20 კომლი),

1. ქობაის სოფლები/მაჰალეები: ქობაი/ქუაბაგი (20 კომლი) გაღმი ქობაი, გამოღმა მაჰალე/გუზეი მაჰალე (ჯამემაალი), გუნეი მაჰალე/ჭილათი (ქობაის ბარი),

2. ბალხის სოფლები: ბალხი, გონდი, წითლეკარი, ხუცეკარი, ყარამანლები; ბალხი ბარი, სავრიათი — ბალხის ბარია ესეც (სულ ზაფხულში 40 კომლია; ზამთარში — 15 კომლი). ბურსაში ბალხელნი 300 კომლია.

⁸⁴ ახალთი ბევრ ადგილს ჰქვია

3. იეთის სოფლები: სადგიყანა, ველითავი, ჭორხლაქეთი (ქოროხს აქეთი), ობლეკარი, დევთისაჲ (იეთის ბარი); სულ: ზაფხულში 20 კომლი; ზამთარში — 10 კომლი.

4. ხევის სოფლები: ზემო ბასლეკარი, შაბანიანკარი, ზემო ჭედლიანკარი, ცერეკარი, ქვემო ჭედლიანკარი, კრაეკარი, დოლენჯიანკარი, გოდლეკარი, ქომო ბასლეკარი, ქონობანი. სულ ზამთარში 40, ზაფხულში — 60.

5. ფიშნა(რა)ხევის სოფლები: აზლიანკარი, ქელაძორი, ვაჩეკარი, დოლეკარი, ქორიათი, ჰამფიანკარი, ხოცეთები. სულ ზამთარში — 40, ზაფხულში — 60.

6. ელიასხევის სოფლები: ბოწმინდა, კუპრეთი, გუდასხევი, ინტკორი, ბუზაღლე. სულ ზამთარში — 20, ზაფხულში — 60.

ინფორმაცია დაზუსტებულია 2016 წელს რეგებ ჯეჩვთან (ყაჭიშვილთან), 50 წლის, დაბადებული ქომო ბასლეკარში...

პარხალისწყალის შენაკადია ხევის ხევი, სადაც ყველა სოფელში იციან ქართული; ეს სოფლები ერთიანდება სამ თემში (სამუხტროში): ხევეში (ხევაიში), ბალხსა და ქობაიში.

ოლთისისწყლის ხეობის სოფლები: ავჭალა, ანზავი, ბანა, იშხანი, კარნავაზი, კიახი, კოსორი, ოლორი, ორთისი, სოლომონისი, ფანასკერტი...

თორთომისწყლის ხეობაში ქართული სოფლები ცოტაა. გამოირჩევა ოშიკი (ეოშქვანქ), სადაც უმეტესად სომხები სახლობენ და ხახული, ქართველებით დასახლებული.

უშუალოდ ჭოროხის მიმდებარე ტერიტორიებზეც არის ქართული სოფლები: ბინათი, გუმფალი, კოწახური, ოთხთა ეკლესია, უშხუმი, ქორტა, ხოთი, ხომხალი... (შ. ფუტყარაძე, 1995 : 30).

ტაოური მეტყველება განსხვავდება როგორც სამცხურ-ჯავახურისაგან, ასევე — იმერხეულისა და აჭარულისაგან. ტაოური მეტყველების ნიმუშები პირველად ჩაიწერა შ. ფუტყარაძემ (იხ. შ. ფუტყარაძე, 1993). გამოქვეყნდა აგრეთვე : მ. ფალავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარიძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები : ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV, 2005.

ენობრივი დახასიათება

ცილოკავები. ტაოურ დიალექტში გამოიყოფა თქმები და ქცევები. მაგ., **არმენხევის** ქართული სოფლების მეტყველებაში შეინიშნება სომხური ლექსიკური ერთეულები ; **ქუბაის** ხევის სოფლებში ჭარბობს ზანიშმები, რადგანაც მასისის ქედი ყოფს ამ მხარეს ლაზეთისაგან ; **არჯევანის** თემის ქართული გამოირჩევა მკვეთრი ტონური მახვილით, რომელიც სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალს მოუდის უმთავრესად (შ. ფუტყარაძე, 1995 : 30).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. შემორჩენილია ფარინგალური **ჭ** ბგერა: ჭმა, თოჭი, ფერჭული...

უპარცვლო **ჟ/ვ**: მაყუალი, ქუეყანა...

ჟ<უ(<ოვა/ოვე): წამუალ (<წამოვალ), გავათხუე (<გავათხოვე)...

ღ < **ი**: ქართულ მასალაშიც (გზაღ, ჳევაღ, სათივრეღ...) და თურქულ სიტყვებშიც (ანაღ „ღეღა“, ალაღ „მამა“, ძერი „აღვიღი“, აღრი „განსხვავებული“)...

ძ ბგერას ენაცვლება **ზ**: გზელი, ჳირი....

პალატალიზებული **რ**, **წ** ისმის როგორც თურქულ (გწლი „ტბა“, გწზლუქი „სათვალე“...), ისე ქართულ სიტყვებშიც (კწრცხი < კვერცხი, კწრა < კვირა)...

ტაოს მეტყველებაში დასტურდება სრულხმოვნობის ფაქტები: კიბილი, კილდე, სიქელი. მსგავსი ფაქტები ცნობილია სხვა კილოებშიც (ხევს., ფშ., აჭარ., ინგ., მეგრ., ჳან.).

ვე > **ო**: ყველია < ყოლია, ქვემო < ქომო... ვა > **ო**: ქვაბი < ქობაი...

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებანი: აუ > აუუ: დაუძახა > დოუზახა, ჩაუყრია > ჩუუყრია... აი > ეი: ჩაიკითხა > ჩეიკითხა, გაიგნა > გეიგნა „გაიგო“, გაგიშვებენ < გეგიშვებენ... აი > იი: დამირჩა > დიმირჩა, დამიღამღა > დიმღამღა... აე > ეე: გაერევა > გეერევა, დაეწევა > დეეწევა...

ბგერის დაკარგვა: არაბი გზა (<არაბის გზა), ი (<ის), იმა (<იმას) შაი (<შავი), კრაი (<კრავი), ალა (<ალარ), ძალი (<რძალი), ეთანე (ერთი თანე „ერთი ცალი“), ნა/და (<უნდა)... (ე. დადიანი, 2011).

ში > **ჩი**: საწურავ-ჩი (<საწურავში), ბაზარ-ჩი (<ბაზარში)...

ტაოურისთვის სპეციფიკური ჩანს ის ფაქტი, რომ **ა** ხმოვანფუძიანი სახელები ზოგჯერ არ იკვეცება: მამას ღეღა, მამის ღეღაები... (მ. ცინცაძე, 2001: 124).

სახელთა ბრუნება. ხშირად იკარგება სახელობითის ბრუნვის -**ი** სუფიქსი თანხმოვანფუძიან სახელებთან: ერთ ღღე გიიარა; აგზე ბებერ ახვაათე; ამაზე დოხთორ-მოხთორ არ გინდა; კალმას არ აი აქა; თვალეზ ასხია იმათა; ღენჭებ (ბიჭები) იკითხვენ; ჩემ მოზობლებ არიან ცერეკარ... (ე. დადიანი, 2011: 67).

ხმოვანფუძიანი სახელები სახელობითში -**ი/ღ**-ს დაირთავენ: ახლა გზაღ გევღა; ჩემი ანაღც მოკვღა, ალაღც მოკვღა... სახელობითის ნიშნითაა გაფორმებული ზოგიერთი ჳმნიზეღა: საღამოპირა-ი, აღვიღა-ი, ყოღ ღღე-ი...

ხმოვანფუძიან სახელებს მოთხრობითში -**მა** მოუღის: ანა-მა, ბა-ბო-მა, გოგო-მა...

თანხმოვანფუძიანია ზოგი სახელი, რომელიც თანამედროვე ქართულში **ა** ხმოვანზე ბოლოვდება: ძეწნი (შღრ. ძეწნა), პეპელი (შღრ. პეპელა), მეღი (შღრ. მეღა)... (მ. ცინცაძე, 2001: 123).

ხშირად თანხმოვანფუძიან სახელებს ეკარგებათ მიცემითის -**ს**, აგრეთვე, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწიღი: ქოხ (=ზოხს) აშენეფს; ჳამთრი (=ჳამთრის) თოვღი...

-**ებ**-იანი მრავლობითის გვერღით დასტურდება **ნარ-თან**იანი ფორმები: ბებერ-ნ-ი გომოიყვანეს; ჳოგ-თ იციან გურჯიჯა, ჳოგ-თ არა...

-ვით > -ვეთ: ქვასა-ვეთ... იშვიათია ვიწრო ხმოვნისაგან ფართო ხმოვნის მიღება, შესაბამისად, აქ უფრო კონტამინაცია უნდა გვქონდეს.

-თვის/-თვინ > თუნ: რის-თვინ, ჩემ-თუნ...

-ზე, -ში თანდებულები დაერთვის **აქ, იქ** ზმნიზედებს: აქ-ში, აგ-ზე, იქ-ში, იგ-ზე... დასტურდება უთანდებულო ფორმებიც, მიც. -ს ნიშნით გაფორმებული: **აქუ-ს, იქო-ს...**

იშვიათად გვხვდება **-ზედამ:** ქვებზედამ უწყულებია, გზაზედამ არი...

ზმნის თავისებურებები. ე, ო ხმოვანთა შემცველი ზმნისწინები შეცვლილია ა ხმოვნიანი ვარიანტებით: **შამაყვარა, მახვია, გადმასხა, შამაათრია...** ტაოს მეტყველებაში გვხვდება საინტერესო ფორმები: **შომოქხედე, გომოველ, ჩომოა, წომოი...** იშვიათად **გამო, შემო > გუმუ, შუმუ:** გუმუთლია ხე; შუმუტყორცნა თოფი...

S₃ პირის მრავლობითობა უწყვეტელსა და წყვეტილში **-ეს** სუფიქსით გადმოიცემა: მოიდ-ეს გურჯები; ბებერი მოდიოდ-ეს; ბალ კრეფდ-ეს; თუთას გაახმოზდ-ეს...

O₁ პირის მრავლობითის ფორმაში წარმოდგენილია **მ-** პრეფიქსი, ნაცვლად **გვ-** ფორმანტისა: ჩუნ მ-ეახლეს ისა; მ-ეზარებიან დათესვა ჩუნ; თამარ დედოფლის გურჯიჯა მ-აქტან...

თემის ნიშანთა მონაცვლეობა: **წველ-ავ-ს** (წველის), ვაკეთ-ავ (ვაკეთებ), ვიფერხულ-ავ (ვიფერხულებ)...

უთემისნიშნო ზმნები გაფორმებულია თემის ნიშნით: მოვკრეფ-ავ...

უწყვეტლის ფორმებში **-ავ/-ამ** სუფიქსიან ზმნებთან (სამივე პირსა და ორივე რიცხვში) წარმოდგენილია **-ვიდ/-მიდ** დაბოლოება:

-ავ>-ვ: ვთიბვიდით, დანი; თივებ ასე ვწუწვიდი; ყანებ ვთესვიდით, ცერც ვთესვიდით, დიკა ვთესვიდით; ვფქვიდით დიკეფთა; ხუთ წელსაც იკითხვიდეს, მერე ა იკითხვიდეს ბგანები (გოგონები); ლებუო თესვიდეს, მარქვალ თესვიდეს...

-ამ>-მ: ვარებ ვაბმიდით; რახ სმიდა, ბურსა სმიდა; ამათ უსკმიდა, გოგოეფთ; სისხლ ასხმიდა; მატყლიდამ მოქსოვლი, იმა იცმიდეს; აქ ირანელები იყვნეს, უშექროს სმიდეს (ფალ., 2005, 154).

პრეფიქსიანი ფორმები არქაული წესით იწარმოება: იწურგ-ი-ს, ემალგ-ი-ს... პრეფიქსიანი ვნებითის წყვეტილის ფორმაში დაცულია **-ენ>-ნ** (პირდაპირი ობიექტის ნიშანი): აქ დევბად-ენ-ი-თ, გევზარდ-ენ-ი-თ. დედალ-ენ-ი-თ თქვენ?

წყვეტილში **-ე** ბოლოსართის ნაცვლად გვაქვს **-ევ-ი:** დევიჭირ-ევ-ი-თ, ეიკიდ-ევ-ი...

II კავშირებითში **-ე** სუფიქსს ენაცვლება **-ო:** შეშინდონ, მოქცონ (მსგავსად. იმერ., ინგ. კილოებისა).

I-II თურმეობითში ხშირია **ნარჩართული** ფორმები: დავიწყ-ნ-ი-ა, მეეცად-ნ-ა...

ზოგჯერ I თურმეობითის მნიშვნელობა აქვს აწმყოსა და წყვეტილის ფორმებს: პარხალჩი მეც გასულ ვარ (=გავსულვარ);

ძველად ჩვენი მამის დედაები არიან (=ყოფილან); ქილისე არ დევნახე (=არ დამინახავს); ოცი წელი არ შეიქნა (=არ შექმნილა, არ გასულა)... (მ. ცინცაძე, 2001: 123).

სინტაგმა. ხშირია ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ბრუნვაში შეუთანხმებლობის შემთხვევები; მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: დიდ ბაბოი; გაკუჭდა ერთ დედეკაცმა; ორ ხელით ჭრის... ზოგჯერ სუბსტანტიური მსაზღვრელი კარგავს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეულ ს თანხმოდანს: პარხლი ქილისა, კაკალი ჳევნარი...

დასტურდება კითხვითი -ა ნაწილაკი: სამ დღე თქვი-ა? გურჯები ხართ-ა? არ იცი-ა? (მ. ცინცაძე, 2001: 124).

ტაოურში არცთუ იშვიათად დარღვეულია ქართული ენისთვის დამახასიათებელი ზმნა-შემასმენლისა და ქვემდებარე-დამატებების სინტაქსური ურთიერთობის წესი. კერძოდ:

ა) ქვემდებარე ზმნის I და III სერიის ფორმებთან შეიძლება შეგვხვდეს სახელობითში (ნაცვლად მიცემითისა): **მეცხვერე** (=მეცხვარეს „მწყემს“) ფურებ მოჰყავს; მალეებიც (საქონელი) **მეცხვერე** (=მეცხვარეს) მოჰყავდა... ი ქოხი მუამთილი **დედე** (=დედეს) უშენებია...

ქვემდებარე II სერიის ფორმებთან დასტურდება ფუძის სახით: **საიბ** (=საიბმა) ასე აშენა...⁸⁵

ბ) პირდაპირი დამატება I სერიის ფორმებთან ხშირად სახელობითი ბრუნვის ან ფუძის სახით არის წარმოდგენილი (ნაცვლად მიცემითისა): ყანა-ჭალეფში **რა** (=რას) ვიზამთ; **თივა** (=თივას) მოვთიბავთ; იქ **ცერცვი** (=ცერცვს) დათესვენ; **თველი** (=თველს) იტყვიან; ორი თანე ჩაპყრი **მარქვალი** (=მარქვალს „კარტოფილს“)..." (ე. დადიანი, გ. ქამუშაძე, 2012).

განხილული შემთხვევები თურქული ენის გავლენით შეიძლება აიხსნას (შდრ. შ. ფუტყარაძე 1995: 35).

ზოგიერთ ზმნასთან II სერიაში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას (ნაცვლად სახელობითისა): ბებერმა მობრუნდა; თავრობამ დევნარა...

ლექსიკა. ტაოურში დასტურდება თავისებური ელფერის მქონე ლექსიკური ერთეულები: *დედეკაცი*, *მოწიფული* (მამაკაცი), *ბვანი* (გოგონა), *ქომორთული* (ქვემოური), *უკანეთური* (მომდევნო), *გაგულიანება* (გაბრაზება), *ხვართი* (ლაპარაკი), *გაჯღურვა* (გაჟღერება), *გარიგება* (მინვედრა), *მარქვალი* (კარტოფილი), *პატინა* (პატარა), *პატიტვანი* (პატარები)... დასავლური დიალექტების მსგავსად, დასტურდება: *ვინცხა* (ვილაც), *რაცხა* (რალაც), *რომელცხა* (რომელილაც)...

როგორი-ს ნაცვლად გამოიყენება არქაული **რაგვარი** ფორმა (იშვიათად დიალექტური **რავლი**, **რავალი** ფორმებიც გვხვდება).

⁸⁵ შ. ფუტყარაძის აზრით, ამგვარი შემთხვევები თურქულის გავლენის შედეგია (შ. ფუტყარაძე, 1993: 35).

ცალკეულ ქართულ სიტყვათა სემანტიკა შეცვლილია: **(და)თხრა** აღნიშნავს ზოგადად „მიწის დამუშავებას“ (ხვნას, ბარვას, თხრას...); **თივას** აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: ა) ბალახეული მცენარე (როგორც გამხმარი, ისე ნედლი), ბ) ლობიოს, ცერცვის, ქერის, კარტოფილის ღეროები, ფოთლები, ჩენჩო; **პირტყვი** (<პირუტყვი) აღნიშნავს მხოლოდ ცხვარს და თხას; **მეცხვერე** (<მეცხვარე) გამოიყენება ზოგადად “მწყემსის/საქონლის მომვლელის” მნიშვნელობით (ე. დადიანი, 2013).

რიცხვით სახელთა არქაული წარმოება: **და** კავშირი წარმოდგენილია არა მხოლოდ ოცეულებთან, არამედ ასის შემდეგაც: *ათერთმეტი, ათდაორი, ათდასამი, ათდაოთხი... ასდაერთი, ასდაორი... ასათერთმეტი, ასათდაორი, ასათდასამი... ასდაოცი...*

მრავლად გვხვდება **თურქული** სიტყვები: *ესქი* „ძველი“, *დაშლი* „მოხუცი“, *ალირი* „მძიმე, ძვირფასი“, *სარი* „ყვითელი“, *თემიზი* „სუფთა“, *ფენა* „ძლიერ“, *იშთე* „აი, სწორედ, ამრიგად“, *ქი* „რომ“, *სომ* „სახეობა, გვარი“...

სინტაქსური კალკები: *დილაი ვახდა „გათენდა“, წასვლა ქნეს „წავიდნენ“, ტელეფონი ვუზამეთ „დავრეკეთ“...* (შ. ფუტკარაძე, 1995: 35).

2.17. მაჭახლური დიალექტი

საზღვრები.

მაჭახელი/მაჭიხელი (ისტ. მაჭიხიანი) გაშლილია მდ. მაჭახელასა (მაჭახლისწყალი) და მისი შენაკადების — მინდიეთის ღელისა და ეფრატის ღელის — ხეობებში. მაჭახელი, გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად, ისტორიულად იყოფოდა ორად: ზედა მაჭახელი და ქვედა მაჭახელი.

ზედა მაჭახელში ექვსი სოფელი შედის: ხერთვისი, აკრია, მინდიეთი, ზედვაკე, ქვაბითავი და ეფრატი.

ქვედა მაჭახლის სოფლებია: აჭარისაღმართი, გორგაძეთი, ზედა ჩხუტუნეთი, საფუტკრეთი, სინდიეთი, სკურდიდი, ქავთარეთი, ქედქედი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, ჭანივარი. მაჭახლის უბანს მოგვიანებით მიაკუთვნეს მეზობელი ჭოროხის ხეობის ოთხი სოფელი: კირნათი, კობალეთი, გვარა, მაჭახლისპირი და აჭარისწყლის ხეობის ქვემო წელის ექვსი სოფელი: ქვედა ხერთვისი, მალლაკონი, ჭალახმელა, უჩხითი, ნამლისევი, მილისი. ამგვარად, მაჭახლის უბანი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული ოცდაექვსამდე სოფელს აერთიანებდა.

მაჭახელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, პირველ რიგში ჭოროხის ხეობის მხარის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ხეობის წარსულის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული უძველეს უნიკალურ ქართულ ხელნაწერ დოკუმენტში — „მაჭახლის ხეობის სულთა მატთანე“. მასში აღნიშნულია მაშინდელი გვარსახელები, აგრეთვე, ადგილის სახელები, ტოპონიმები. მატთანე ძირითადად მაჭახლის ხეობის ხუთი სოფლის — ჩიქუნეთის, ჩხუტუნეთის (ქვემო მაჭახელი), ეფრატის, ზედვაკისა და ხერთვისის (ზემო მაჭახელი) შემომწირველებს ჩამოთვლის.

XVI საუკუნის წერილობით დოკუმენტებში მაჭახელი იხსენიება მიჭიხონის სახელწოდებით. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ოსმალებმა დაიპყრეს მთელი სამცხე-საათაბაგო. ამავე პერიოდიდან ლაზეთთან ერთად აჭარა-მაჭახელი ჩამოაცილეს საქართველოს. მიტაცებული ტერიტორიები ოსმალებმა სანჯაყებად (ოლქებად), სანჯაყი კი, თავის მხრივ, ყაზებად (მაზრებად) და ნაპიებად (თემებად) დაანაწილეს. ყველა ესენი კი ელაეთში (ვილაიეთში) ანუ საფაშოში (გუბერნიაში) ერთიანდებოდა (ნ.კახიძე, 1974).

თავდაპირველად ცალკე სანჯაყს წარმოადგენდა მაჭახელი, რომელიც ჩილდირის (ახალციხის) ვილაიეთში შედიოდა. აჭარის, მაჭახლის, კინტრიშისა და ჭოროხის ქვემო დინების გვერდითი ხეობების მოსახლეობა XVIII საუკუნის ბოლომდე ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგს აღნიშნულ ხეობებში დამყარდა თურქეთის ხელისუფალთა ფაქტიური ბატონობა. ყველაზე მეტ წინააღმდეგობას ოსმალებს მაჭახელი უწევდა. ყველაზე გვიან მაჭახელი გამაჰმადიანდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შედეგად ახალციხის საფაშო მთლიანად მოიპოო. მაჭახელი ტრაპიზონის ვილაიეთზე დაქვემდებარებული ლაზისტანის ლივანას ყაზაში შედიოდა. ამ ყაზის მეორე ნაპიე (თემი) საკუთრივ ლივანა იყო.

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომების შედეგად, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, მაჭახელი საქართველოს სხვა ისტორიულ კუთხეებთან ერთად ოსმალთა უღლისაგან განთავისუფლდა. 1921 წლიდან, როცა საქართველოსა და თურქეთს შორის სახელმწიფო საზღვარი დაიდო, ზედა მაჭახელი მოექცა თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში (ახლ. ბორჩხის რაიონი). მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ხერთვისი. მცხოვრებთა საოჯახო ენა ქართულია.

ქვედა მაჭახელი საქართველოს შემადგენლობაშია, ხელვაჩაურის რაიონში შედის. ზედა მაჭახელი კი კვლავ თურქეთის საზღვრებშია.

მაჭახლის მოსახლეობის დიდი ნაწილი, რუსეთის ხელისუფალთაგან შექმნილი მძიმე პირობების გამო, მუჰაჯირობის პერიოდში თურქეთში დაბრუნდა (ნ. კახიძე, 1974).

მაჭახლური მეტყველების ნიმუშები წარმოდგენილია ქართული დიალექტოლოგიის პირველ ტომში (1961) და შ. ფუტყარაძის ნაშრომში "ჩვენებურების ქართული" (1993).

ენობრივი დახასიათება

კილოკავები. მაჭახლურ დიალექტში გამოიყოფა ორი კილოკავი: **ზედამაჭახლური** და **ქვედამაჭახლური** (რომელსაც საზიარო ფორმები აქვს ლივანურსა და ქვემოაჭარულთან). თქმის ფარგლებს არ სცილდება მაჭახლის ხეობიდან თურქეთის შიდა პროვინციებში გადასახლებულ მუჰაჯირ მაჭახლელთა შთამომავლების მეტყველება. მათგან ქართული ენა და ტრადიციები ყველაზე უკეთ შემონახული აქვთ ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის მცხოვრებლებს (შ. ფუტყარაძე, 1995: 23).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. ზედა მაჭახლურში დაცულია **ჭ** ბგერა: ჳერთვისი, ჳევდიდი...

გამოიყენება უმარცვლო **ჟ**: ჩჟენ, თჟალი, თჟელი...

ღ დასტურდება თურქულ სიტყვებშიც (ღანი „მხარე, კიდე, ნაპირი“, ღაფრალი „ფოთოლი“...) და ქართულ მასალაშიც (სხვა კილოების მსგავსად).

დამახასიათებელია **რ** ბგერის **დაკარგვა** (ხმოვანთა მეზობლობაში): ჩოობა < ჩორბა „წვნიანი“, ხოოცი < ხორცი, კოოდი < კორდი... ლაპაიკი < ლაპარიკი, ტიალობს < ტრიალობს... სიტყვის დასაწყისში: კინა < რკინა, ქა < რქა, ბილი < რბილი...

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებანი: აუ > უუ: დუუყვირა (<დაუყვირა)... აი > ეი: წეყვანებენ (<წაყვანებენ)... ოი > ეი: მეიგონებდა (<მოიგონებდა)... ოე > ეე: მეეფერება (<მოეფერება)... აე < ეე: გეეჟენა (<გაეჟენა)... ეე > იე: ცინცაძიები (<ცინ-

(ცაძეები)... **ოე < უე > უე:** კალწები/კალვები < კალუები < კალოები, წყარწები < წყარუები < წყაროები...

სახელთა ბრუნება. ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში **-ი/ი** ნიშნით გვხვდება: ძია-ი, ციცა-ი, შადიე-ი... სახელობითი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული ზმნიზედა: მეტ-ი გეიხარა...

დაცულია ემფატიკური ხმოვნები: კბენა თითის-ა, ცილდება სახლს-ა...

-ვით თანდებული წარმოდგენილია კონტამინირებული **-ვეთ** (< ვით/ვენ) სახით: ბორბალსა-ვეთ, ჯინჭველასა-ვეთ...

-თვის გვხვდება **-თვინ/-თინ** ვარიანტებით: საქმის-თვინ, კაცის-თინ... მიცემითი ბრუნვის ფორმას თანდებულის ფუნქციით დაერთვის ზმნიზედა **უკან** და აღნიშნავს „შემდეგ“: ერთ თვეს **უკან** (=ერთი თვის შემდეგ), სადილობა **უკან** (=სადილობის შემდეგ).

თანდებულები დაერთვის **აქ, იქ** ზმნიზედებს: აქ-ში, ავ-ზე, იქ-ში, ივ-ზე...

ზმნური თავისებურებანი. შე-, შემო- ზმნისწინები ა გახმოვანებით გვხვდება: **შა-, შამო-:** შამო-დგამ, შამო-ხედავ, შა-გინახო... ზოგან ზმნისწინისეული **ა>ო:** წოველით, წოვდა, დოვკარქებოლით (მსგავსი ფაქტები გვხვდება აგრეთვე ინგილოურში).

ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად გამოიყენება სუბიექტის ნიშნები (**-ენ, -ან**): მოგაგონდები-ან „მოგაგონდებათ“, მიჰყავდათ-... „მიჰყავდათ“...

ხშირია თემის ნიშანთა მონაცვლეობა: გაგაკეთები-ავ-ს (გაგაკეთებინებს), ცნობილ-ავ-ს (ცნობილობს)...

უთემისნიშნო ზმნები თემის ნიშნითაა გაფორმებული: მოკრიფ-ავ, წერ-ავ-და, ამოვლიჯ-ვ-ენ... ზოგიერთი ორთემიანი ზმნა უთემისნიშნოდ გვხვდება: დეინახდა, ჩამოვკიდდით...

პრეფიქსიანი ვნებითები არქაული ფორმითაა წარმოდგენილი: იყიდვ-ი-ს, იჭმ-ი-ს, ითიბვ-ი-ს... ასეა მყოფადშიც: გეიხარვ-ი-ს, დეირგვ-ი-ს, ისამვ-ი-ს...

ზედამაჭახლურში ერთმანეთის გვერდით გვხვდება **-ევდ/-ემდ** და **-ვიდ/-მიდ** ტიპის წარმოება: ვსუნ-ევ-დ-ი, კერ-ევ-დ-ი-თ... ვასხ-მ-იდ-ი-თ, ვაბ-მ-იდ-ი-თ, იც-მ-იდ-ა... (შ. ფუტკარაძე, 216: 245).

ზედამაჭახლურში დასტურდება ხოლმეობითის ფორმები: დათვებსა ვკლ-იდ-ი-თ, ხარით ვხნ-იდ-ი-თ (I ხოლმ.)... ქათმები დაგკლ-ი-თ, მოზიკაი დუუკრ-ი-თ (II ხოლმ.)...

წყვეტილის I-II პირში **-ე** დაბოლოებას ენაცვლება **-ევ-ი:** დაანგრი-ევ-ი, ავაშენ-ევ-ი... II კავშირებითის **ე>ო:** გახდონ, დავრჩოთ, წოვდონ... (იქვე: 246).

სინტაგმა. თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულს უთანხმდება ფუძის სახით: ჩემ ნესტან-მა, დიდ ძმ-ით, ლამაზ სიტყვ-ით... სუბსტანტიური მსაზღვრელი კარგავს ბრუნვის ნიშნის თანხმოვნით ნაწილს: თოფი (=თოფის) ხმაზე, ჯილდი (=ჯილდის) ტარი...

კრებითი სახელით გადმოცემული ქვემდებარე შემასმენელს ითანხმებს რიცხვი: ხალხმა წამოვდენ, ხალხი აღიან შუამთობაზე...

II სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას: დათვა გამოქმედება, იმანაც გარიგდა... იშვიათად, გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმებთან დამატება სახელობითშია: წყალი ჩაასხმიდი; მაკილო, პრასა ვურთავთ საჭმელში...

სინტაქსური კალკები: *ბადანა ქნეს* „შეთეთრეს, შეღებეს“ (თურქ. ბადანა „შეთეთრება, შეღებვა“), *ღმერთმა ემრი გვიყო* „დაგვიკანონა“, „გვიბრძანა (არაბ. ემრი „ბრძანება“).

ლექსიკა. *ქმნა* ზმნა ენაცვლება **იზამს** ზმნას: ქორწილ იქმენ, სიმინდი უღვაშს იქს... **რჯა** გამოყენება „კეთება“, „შერებას“ ნაცვლად: რას იჯებით მაქა? უწინ იმ საქმეს ვიჯებოდით. გაგნება — „გაგებინება“: გვინდა გაგაგნებით გურჯიჯა... **კითხვა** „სწავლა“: ბევრი აკითხვა ბიჭები... დაყურება — „მოსმენა“: დიმიყურეთ, მეზობლებო. გადასოფლება — „გადასახლება“: ჩვენიდამ არ გადაუტოვებდით... ზმნიზედა **როგორ** წარმოდგენილია **რავარ, რავაი** ფორმით: რავარ არიან, რავარ ხარ?

ზედამატებითი თვლის არქაული სისტემის ნაშთები გვხვდება; და კავშირი ინმარება როგორც ოცულებთან, ისე ასის შემდეგაც (ძველი ქართულის მსგავსად): *ასდაოცი, ასდაექსი...*

ზედამატებითი, ტაოურისა და იმერხელის მსგავსად, ბევრია **თურქულ-არაბული** წარმოშობის ნაწილაკები: *ენ* „ყველაზე“, *ფენა* „ძალიან“, *დაჰა* „ძალიან“ ნაწილაკები: *ენ ლამაზი* „ულამაზესი“, *ფენა კაი* „ძალიან კარგი“, *დაჰა ცივი* „უცივესი“... *ქი* „რომ“, *ია* „ან“, *მეგერ* „თურმე“, *ბე* „გაკვირვება-აღტაცების შორისდებული“... - *ჯა/ჩა* „-ულ, -ურ“.

2.18. ლივანური დიალექტი

საზღვრები.

კლარჯეთის ნაწილი — მდ. ჭოროხის ქვემო წელში არსებული ლივანა — ფეოდალური ხანის სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულს წარმოადგენდა. ისტორიულ წყაროებში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: ლივანი, ნიგალი. პირველად იხსენიება XI საუკუნეში (ნიგალი). ვახუშტის მიხედვით, მოიცავდა მდ. ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერ მხარეს ართვინის სანახები-თურთ: „და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ჯეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლივანის ჯეობად. და არს ეს ლივანის ჯეობა თვნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურიჩით, ლიმითი, ზეთისხილით... (ვახუშტი, 1941: 136).

შემდგომში ლივანად მოიაზრებოდა მდინარეების — აჭარისწყლისა და ჭოროხის შესაყართან მდებარე ტერიტორია. XIX საუკუნეში კლარჯეთს ტაოსთან ერთად, უფრო სწორად, მთელ ჭოროხის ხეობას ლივანად მოიხსენიებდნენ. 1549 წელს ლივანა ოსმალებმა დაიპყრეს. რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომის შემდეგ, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

ლივანა თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ვილაიეთში შემავალი ტერიტორიაა. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით იგი მოქცეულია ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონებში. ლივანის მხოლოდ მცირე ნაწილია საქართველოს ფარგლებში. ლივანის ქვემო ნაწილში, სოფელ მარადიდში გადის საქართველო-თურქეთის სახელწიფო საზღვარი.

მურღულის რაიონში შედის მდ. მურღულის ხეობის სოფლები: აგარა, ადუჩა, არხვა, ბაგა, ბაშქოი, ბუჭური, გევილი, გოვლიეთი, გურბინი, დიალეთი, დურჩა, ერეგუნა, ისკები, კაბარჯეთი, კასიმეთი, კორიდეთი, ლომეკეთი, ოზმალი, ტრაპენი, ფოროსეთი, ქამილეთი, ქვამჩირეთი, ქობეკეთი, ქორთუკეთი, ქურა, ყავრიეთი, ჩხალეთი, ძანცული (ზანსული), წყალყა, ჭილაგრი, ხახური, ხოსროლი, ჯუანი... მურღულელების საოჯახო ენა ქართულია.

ბორჩხის რაიონში ჭოროხის მრავალრიცხოვანი შენაკადების (ბელღევანის, იხალის, ხატილას, ბაგენის, ქლასკურის...) ხეობებშია გაშენებული ლივანის სოფლები: აგარა, ავანა, არჰავეთი, ახალდაბა, ბაგენი, ბანაკნა, ბელღევანი, ბეშავლი, დამფალი, დევსქელი, ებრიკა, ვაზრია, ვალაშენი, ვინტავლი, ზედუბანი, ზელიეთი, თხილაზორი, კატაფხია, კვარჩხანი, კინცხურეთი, კირსა, მარადიდი, მურკივეთი, ნიგია, ომანა, ორჯი, ოფუჯა, ოხორჯი, პეტრული, საბავრი, უზრუმა, უკანმერე, ქართლა, ქლასკური, ღვია, შუახევი, ჩარბიეთი, ჭინკური, ხება, ხინწკანა... ამ სოფლებში საოჯახო ენა დღესაც ქართულია.

ართვინის რაიონში ლივანის ქართული სოფლები უმთავრესად ჭოროხის მარჯვენა შენაკადების — ბერთასწყლისა და კარჩხლისწყ-

ყლის ხეობებშია შეფენილი: არღოლა, ბერთა, გვერდაბალები, დოლისყანა, ერთახიდი, თოღოში, ისკება, კაპარი, კორძული, ლომაშენი, მამაწმინდა, მოხობანი, ნეძვი, ოპიზა, სინკოთი, უსტამისი, ფერასხევი, შურმახი, ჩიდილა, ჩხაკათი, წეფთა, წყალოქრო, ხაიფეთი, ჯმერკი... ამ სოფლების ერთ ნაწილში დღესაც იციან ქართული, ზოგან კი სუსტად ფლობენ, ანდა საერთოდ აღარ ახსოვთ ქართული. ლივანის ხეობის ქართული ოთხ საუკუნეზე მეტია ცოცხლობს უცხო ენობრივ გარემოში (შ. ფუტკარაძე, 1995: 15).

ლივანის ხეობის ქართული მეტყველების ნიმუშები ჩაიწერეს და გამოაქვეყნეს მ. ცინცაძემ (წელი), შ. ფუტკარაძემ (შ. ფუტკარაძე, 1993), მ. ფალავამ (2016)...

ენობრივი დანასიათება

კილოკავები. ლივანური მეტყველება მდიდარია კილოკავებით, თქმებითა და ქცევებით. განსაკუთრებით გამოირჩევა **ქლასკურის, დევსქელის, ხებეს, მარადიდის, მურლულის** მეტყველება.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. დასტურდება **ჟ:** ჟუვა „ბუდე“, ჟუნანი „ბერძენი“...

იშვიათია პალატალიზებული **რ, ჟ,** ისიც უცხო სიტყვებში: თრებე „მონანიება“, ჟჟნი „ასი“...

ხმოვანთკობლექსთა ტრანფორმაცია: **ვე > იე** (დისიმილაცია): დელეები > დელიები... **აე > ეე** (ასიმილაცია): გზაები > გზეები, თაები > თეები „მთები“. ზოგჯერ **აე > ეე > იე:** ძმაები > ძმეები > ძმიები. **აუ > აჟ > ავ:** აქაური > აქაური > აქავრი > აქვერი... **აუ > ოუ < უუ:** დაუჭრიან > დოუჭრიან > დუუჭრიან... **აი > ეი:** გაიგნო > გეიგნო... **აი > იი** (დისტანციაში): გამიკეთა > გიმიკეთა...

ხშირია **ბგერათა დაკარგვის** ფაქტები, რაც თანხმოდანთა შეჯგუფების გამარტივებისაკენ მიდრეკილების შედეგია. ძირითადად უჩინარდება **ვ, მ, რ, ს** თანხმოდანები: დულარე (<მდულარე), თა (<მთა), ვაწავლი (<ვასწავლი)...

ჟ/ჭ მონაცვლეობა: დაჟდა, ქაიჭულოფ...

ვე > ო: ქომო, ქომოთ... ქომო-ს ანალოგიით ზემო > ზომო.

მეტათეზისი: გაბა < ბაგა, გვეციქი < გავიქეცი...

სახელთა ბრუნება. ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში დაირთავენ **-ი/-ჟ** ნიშანს: ნენე-ი-ც გვიყვირებდა, უნახია და-ი... თანხმოდანფუძიანი სახელი იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ფუძის სახით: ლახანამ თავ ქნა... სახელობითი ბრუნვის ფორმით (ნაცვლად ვითარებითისა) შეიძლება შეგვხვდეს ზმნიზედები: თურქულა-**ი/ჟ** ვაწავლი, წევდენ სანახველა-**ი/ჟ**...

მოთხრობითის ნიშნად **-მან** ფორმანტიც დასტურდება: ბაბო-**მან** იცის; ძმა-**მან** წეიყვანა; დედე-**მან** მუაკლევნია...

ზმნიზედა **აქ** გაფორმებულია ორმაგი თანდებულობით და ფონეტიკურად სახეცვლილია: აგზედამ < აქზედამ...

-**ვით** თანდებული იცვლება **-ვენ/-ვეფ/-ვეთ** ვარიანტებით: თქვენსა-**ვეთ**, ქვასა-**ვენ**, ტურასა-**ვეფ**... **-თვის** თანდებულის ნაცვლად გამოიყენება **გულობაი/გულობაჲ, ბარობაი/ბაობაჲ, ბარზე**: თქვენ **ბარზე** მუელით, იმი **გულობაი** ვამბოფ....

ნათესაობითის ფორმას დაერთვის **უკან** ზმნიზედა „თან“ („ერთად“) თანდებულის ფუნქციით: ვის **უკან** დგები? ვაშლის **უკან** უნდა მეიხარშოს..

ზმნური თავისებურებანი. ლივანურ მეტყველებაში პირველი პირის ფორმებში ხშირია ორი პირის ნიშნის გამოყენების შემთხვევები: ჩა-**ვ-ჰ-ყარე**, მო-**ვ-ს-ჰრათ**... S₂ პირის პრეფიქსი დაცულია: მო-**ს-ჰრი** დანითა, კვალში ჩა-**ჰ-ყრი**...

„აქვს“ ზმნა აწმყოში **-ს** ნიშნის ნაცვლად **ა-ს** დაირთავს: მაქვ-**ა**, გაქვ-**ა**, აქვ-**ა**. მრავლობითში დაირთავს **-ან** თემატურ ნიშანს და მრავლობითის **-ან** ფორმანტს: მაქვ-**ან-ან** „გვაქვს“, გაქვ-**ან-ან** „გაქვთ“, აქვ-**ან-ან** „აქვთ“.

S₃ პირის მრავლობითობის აღსანიშნავად გამოიყენება **-ეს, -ენ** სუფიქსები: ღარჭები დათლიდ-**ეს** ხესა; ბიჭები ციხიდან გამოვდ-**ეს**... აღიბეგი დეიჭირ-**ენ**; სკა შედგ-**ენ** იქა...

ლივანურისათვის დამახასიათებელია **მ-** პრეფიქსის გამოყენება O₁ პირის მრავლობითის **გვ-** ნიშნის ნაცვლად (არქაული მოვლენა): რატომ გა-**მ-ყარეს** ჩუენაო, ერთმანეთი **მ-იყუარდენ**, ჩუენ დე-**მ-ინეხეს** ქალი ბაბამან, მემრე გა-**მ-აპარეს** ჩუენ... მსგავსი ფაქტები დადასტურებულია კირნათ-მარადიდის (ხელვაჩაურის რ-ნი) მეტყველებაში (მ. ცინცაძე, 1954: 309; ნ. სურმავა, 1990: 79).

ობიექტების მრავლობითობის გამოსახატავად გამოიყენება სუბიექტის ნიშნები: უყვარ-**ან** „უყვართ“, აქვ-**ან** „აქვთ“, ენატრებოდ-**ენ** „ენატრებოდათ“, უნდოდ-**ენ** „უნდოდათ“...

-ავ, -ამ თემისნიშნისანი ზმნები უწყვეტელში წარმოდგენილია **-ევ-დ, -ემ-დ** დაბოლოებით: მოთუთქ-**ევ-დ-ა**, ვზნ-**ევ-დ-ი-თ**, ვსუ-**ემ-დ-ი**, აბ-**ემ-დ-ა**...

წყვეტილის I-II პირში **-ე** დაბოლოების ნაცვლად გვაქვს **-ე-ვი**: ვიყიდ-**ევ-ი**, დევნახ-**ევ-ი**...

II კავშირებითის **ე > ო**: გამოვდ-**ო-ს**, მოქც-**ო**...

I თურმეობითში **-ოდ-ა** დაბოლოებას ენაცვლება **იყო** მეშველი ზმნა: დრო მქონებ-**იყო** „ჰქონოდა“... (შ. ფუტკარაძე, 2016: 204-212).

სინტაგმა. თანხმოვანფუძიან ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულს შორის შეთანხმება ხშირად დარღვეულია: მსაზღვრელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი: ჩემ-**მ** ბაღ-**მა** თქვა; თეთრ-**მ** პირ-**ით** დემენახვე... იშვიათად სახელობითის ფორმითაც გვხვდება: მოზარდ-**ი** ღარჭებ-**მა-ც** იციან...

როცა ქვემდებარე კრებითი სახელია, ქვემდებარე-შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმება შინაარსობრივია: ხალხი იყვენ...

ზოგიერთი ზმნის II სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშია: მოვდენ აგენტებმა; თოვლმა დადნა...

შეინიშნება უჩვეულო სინტაქსური კონსტრუქციები, კერძოდ: ხშირად I სერიაში ქვემდებარე მოთხრობითში დგას: მარადიდლებმა იტყვიან, მან იძახის, რიზელებმა ასე იჯებიან... ასევე, I სერიაში პირდაპირი დამატება სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი: ამან კარგა ჩეიკითხავს ქითაბი, დეიწყევს ლაპარიკი, კვერცხი ჩაატეხამ... (შდრ. ჭანური, სადაც ბრუნვაცვალებადი სუბიექტის მქონე ზმნის ქვემდებარე ყოველთვის მოთხრობითშია, ხოლო პირდაპირი დამატება — სახელობითში).

თურქული **სინტაქსური კალკები**. სინტაქსური კალკის სახელადი ნაწილი ხშირად თურქულია, ზმნური კი — ქართული: *ავჯობას ვიქნევდი* („ვნადირობდი“); *ალიშვერიშ იჯება* („ვაჭრობს“); *დუნიაზე მოიდა* („დაიბადა“)...*სკოლაში მასწავლებლობა ვიჯები* (ვირჯები = ვაკეთებ; გარჯა — ქმნა, კეთება) „ვმასწავლებლობ“. *ზოგან ორპირ იჯებიან* (*აკეთებენ*) *გათოხნასა* („ორჯერ თოხნიან“)...

ლექსიკა. ძირითადი ლექსიკური ფონდი ქართულია. დაცულია **არქაიზმები**: *ელტვის* „ესწრაფვის“, *სრა* „სროლა“, *მცვრევა* „გროვება“...

დიალექტური სიტყვაფორმები: *ავადევლი* „ავადმყოფი“, *ახ-ალმოზდე* „ახალგაზრდა“, *პატინა* „პატარა“, *რავარი* „როგორი“, *რავლი* „როგორ“, *იმფოსერთი* „უმეტესად“, *ამფერი* „ასეთი“, *იმფერი* „ისეთი“,

ამასთან, იგრძნობა **თურქულის** გავლენა. მაგალითად, ქართულ ზედსართავებს ენაცვლება თურქული ფორმები: ზავალი „ღარიბი“, ჩიგი „უმი, მოუხარშავი“, ბაირი „დამრეცი“... „ახალგაზრდა“ შეცვლილია ქართული „ახალი“, „ახალმოზდე“ ან თურქული „გენჯი“ სიტყვებით. აგრეთვე: თანე „ცალი“, ჰამა „მაგრამ“, ქი „რომ“...

რაჭულ კილოთა ქვეჯგუფი

რაჭა დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილშია. ისტორიულ-გეოგრაფიულად რაჭა სამ კუთხედ იყოფოდა: მთის რაჭა, ზემო რაჭა და ქვემო რაჭა. მთის რაჭა უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში — რიონის სათავეში — მდებარეობს და ისტორიული წყაროების მიხედვით მთიულეთი ეწოდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში „მთიულეთი“ ნაკლებად გამოიყენება იმის გამო, რომ არ მოხდეს აღრევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთთან (დუშეთის რაიონი), თუმცა, ვფიქრობთ, უმჯობესია, არ დაიკარგოს ისტორიული ტრადიცია, მით უმეტეს, ამ მხარის მცხოვრებნი საკუთარ თავს მთიულებს უწოდებენ.

სახელწოდებები: მთის რაჭა, მთარაჭა რამდენადმე პირობითია. ტერმინი „მთის რაჭა“ ხალხურია და სამეცნიერო ლიტერატურაში ს.მაკალათიას ამავე სახელწოდების ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ დამკვიდრდა.

ჩრდილოეთით რაჭას ესაზღვრება ოსეთი (რომელსაც მამისონის უღელტეხილით უკავშირდება), აღმოსავლეთით — სამაჩაბლო და შიდა ქართლი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ქვემო სვანეთი, დასავლეთით — ლეჩხუმი, სამხრეთით — იმერეთი.

ვახუშტი ასე აღწერს რაჭის საზღვრებს: „რამეთუ მზღვრის რაჭას: აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი მთა, და კავკასი კედელა, და მუნიდამ ჩდილოთ წარსრული კავკასივე, ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა-გლოლასა და უღელეს შორისი; სამხრით წონიდან წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდან, ვიდრე არბანისა და დრნორამდე, გაჭრილი რიონისგან მუნ. და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას, ხოლო განყოფით დღნორს ზეით წმიდის გიორგისას, მერმე გაჭრილს, ნაქერალას, ველევს, საღორეს, ვარჯილას, ნაჯიხურევს, საწალიკეს და კეცებს. ამ მთათა ჩდილოთ კერძი არს რაჭისა და სამხრეთის კერძი — ვარჯილა — ნაჯიხურევ-საწალიკე-კეცებისა — არს არგვეთისა, და მდინარენიცა ვერეთვე; დასავლით მზრვის სალოლის მთიდან დღნორამდე რომელნი რომელნი მთანი აღვსწერეთ და მთა გველისთავისა. ხოლო მათ მთათა დასავლის კერძი არს ოკრიბისა... და ჩდილოთ მზღვრის რაჭას კავკასი, რომელი განჰყოფს გლოლას, ღებს, ჭიორასა და დიგორს — ბასიანსა, ლუხუნსა და სვანეთსა, სადმელს, ტოლას და სვანეთსა. და ამ საზრვართ შინაგან არს რაჭა, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, კლდითა, ჯრამითა, ჰევიტა და ტყითა, შეუვალი ვარე მტრისგან... ხოლო სახელი მოიგო ვარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ — „იხილე, რა ჭა არს ადგილი ესე!“ (ვახუშტი, 1941).

რიონის სათავეში არსებული სამი სოფლის — ღების, ჭიორასა და გლოლას მეტყველება განსხვავდება რაჭის სხვა სოფლების მეტყველებებისაგან, ამიტომაც რაჭის ქართულს ორ კილოდ წარმოვადგენთ: მთის რაჭულად და ბარის რაჭულად.

2.19. მთის რაჭული

საზღვრები.

მთის რაჭა მდებარეობს მდ. რიონის სათავესა და გლოლის ან ჭანჭახისწყლის აუზში: იგი მოქცეულია კავკასიონის მთავარი ქედისა და შოდა-კედელას ქედს შორის. მთის რაჭა გარემოცულია მაღალი მთებით: ფასის მთა, ლაბოდა წითელი, წიხვარგა, ბურჯულა, შოდა. მთის რაჭა აერთიანებს ღებისა და გლოლის თემს და შედგება სამი სოფლისაგან: ღები, ჭიორა და გლოლა.

მთის რაჭის სოფლები მოხსენიებული აქვს ვახუშტის თავის გეოგრაფიაში როგორც „კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი“ სოფლები:

„...ჭიდროთას ზეით მიერთვის რიონს აღმოსავლიდამ **გლოლის-ჭევი**. აქ ძეს რიონზედ ხიდი. ხოლო **გლოლის-ჭევი** გამოსდის **გლოლასა** და უღელეს შორის კავკასსა, და მოდის დასავლეთად. ამ ჭევის ერთვის სხვა ჭევი ორი. ერთი გამოსდის ამასა დ^ნა⁷ დიგორს შორისს კავკასსა. არს **გლოლა** დაბა მზგავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი. შიგ ეკლესია, აღვსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჭვართა და წიგნებითა, ძველადვე ხიზნულნი. კვალად **გლოლის-ჭევის** შესართავს ზეით რიონის სამჯრით არს **ჭიორა**, დაბა მოზღუდილი და კოშკოვანი, გოდლოვანი. ამას ზეით, ჩდილოთ ეკრძოდ, დაბა არს **ღები**, ეგრეთვე ნაშენი“ (ვახუშტი, 1941).

ისტორიული წყაროების ჩვენებით, ზემო რაჭის ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რიონის სათავე და მდ. ჭანჭახის ხეობა XV საუკუნემდე სვანების სამკვიდრებელს წარმოადგენდა. შემდეგ მას რაჭველები დაეუფლნენ და საფიქრებელია, რომ დარჩენილი სვანები მათში გაითქვიფნენ. ამას ადასტურებს ზოგი სვანური წარმოშობის გვარი (სვანენი, ლაშხენი), სვანური ტოპონიმია და ეთნოგრაფიული გადმონაშთები. **გლოლა** სვან. ნიშნავს „ჩამოწოლილს ან მოფერდო ადგილს“, სვან. **ღვებ** — „ჩაღრმავებულ ადგილს“ (ს. მაკალათია, 1930).

ხალხური გადმოცემით, ღებელები წარმოშობით სვანები არიან, გლოლის მცხოვრებნი თავიანთ თავს აღმოსავლეთ საქართველოდან, ხევიდან გადმოსახლებულად თვლიან, ჭიორაში კი გაქართველებული ოსებიც ცხოვრობენ.

ენობრივი დახასიათება

ზოგადად რაჭული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნიშნებია: მეტყველების ნელი ტემპი და ინტონაცია, III კავშირებითის ფორმათა გამოყენება II თურმეობითის ნაცვლად, -ყე ფორმანტის ხმარება მრავლობითობის აღსანიშნავად, ნა- თავსართით ნაწარმოები ე.წ. IV სერიის ფორმები, ქვე ნაწილაკის ხშირი ხმარება, კნინობითის ფორმათა მრავალფეროვნება, სუფიქსთა ორმაგი და სამმაგი ხმარება და სხვ.

ვ. თოფურისას აზრით, მთარაჭული არ წარმოადგენს ერთ მთლიან დიალექტურ ერთეულს — ერთ კილოკავს. მასში გამოიყო-

ფა ორი კილოკავი: გლოლური და ღებურ-ჭიორული. გლოლურის არსებითი ნიშანია არქაიზმი, რითაც იგი მთის კილოებს უკავშირდება და შორდება რაჭულის სხვა კილოკავებს.

მკვლევრის აზრით, ღებურ-ჭიორულს, მისი გავრცელების გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად, შეიძლება ეწოდოს რივნისთაური. სახელწოდება გამართლებულია იმ მხრივაც, რომ ღებულები თავიანთ თავს რივნისთაველებს უწოდებენ.

ავტორი განიხილავს გლოლური და ღებურ-ჭიორული მეტყველებისათვის სპეციფიკურ გრამატიკულ მოვლენებს, კერძოდ:

გლოლურისათვის დამახასიათებელია:

1. უკანაენისმიერი **ლ**, რომელიც თითქმის გადაშენებულია, 2. დაცულია **ღ** ბოლოხმოვნიან სახელთა ბოლოს როგორც სახელობით, ისე სხვა ბრუნვებშიც: მოდის ვაჟა-**ღ**... სალამო**ღ**თ მოგროვილი... ვაჟა-**ღ**ს შეუტყობინებია... 3. მრავლობითის **-ებ** სუფიქსის გვერდით გამოყენებულია **-ნ/-თ** ნიშნები: ვაჟა-**ებ-ნ**-ი შევიდეს, 4. სახელის ბოლოკიდური **ა**-ს ასიმილაცია მრ. **-ებ**-თან უცნობია: ვაჟა-**ებ**-ი, ქალა-**ებ**-ი... უცვლელია პრევერბიც: დაეწია, აუშენა... 5. II და III კავშირებით III პირის **-ს** ნიშნის გვერდით უფრო ხშირად **-ნ** სუფიქსი გამოიყენება: მაკვრიელი კაი ფეხისა უნდა ყოფილიყო-**ნ**. სადღეგძელოს გაუმარჯო-**ნ**, რ. ნამყო უწყვეტელსა და გარდაუვალ ზმნებთან ნამყო წყვეტილში სუბიექტის მრავლობითობას **-ეს** სუფიქსი გამოსცემს ხშირად: ქალები წავიდოდ-**ეს** და გასწმენდდ-**ეს**. წერაკითხვა არ იცოდ-**ეს**, 7. დასტურდება მრ. რიცხვში შემასმენლის შეთანხმება პირად. ობიექტთან და ზმნაში **-ნ** ნიშნის გაჩენა როგორც **-ნ** სუფიქსიან სახელთან, ისე **-ებ** სუფიქსიანთანაც: ორნივე დახოც-**ნ**-ა, ქალები დასტოვ-**ნ**-ეს... 9. გლოლურში გვარის სახელის მაწარმოებლად გამოიყენება: ორმაგი ნიშანი ნათესაობითისა და სახელობითისა, მრავლობითის **-ნ**, **-თ** სუფიქსები და არქაული **-ეთ** ნიშანი: ბიძი-**ეთ-ნ**-ი (=ბიძიშვილები), ბერი-**ეთ-ნ**-ი (=ბერიეთნი)... (ვ. თოფურია, 1961 : 241-243).

ღებურ-ჭიორულში: 1. დასტურდება სრული **ასიმილაცია** სახელის ფუძისეული **ა** ხმოვნისა მრავლობითის **-ებ** სუფიქსთან და პრევერბის **ა** ელემენტისა ვნებითის **ე** თავსართთან: დედე-**ებ**-ი, ბიძე-**ებ**-ი... ე-ედგა, დე-ეძებს... 2. **სტ**, **სწ** კომპლექსში **ს** არ ისმის: ტუ-მარი, ბოტანი, აწავლა... 3. ნათესაობითისა და მიცემითის **-ს** ელემენტი ხშირად იკარგება: ხარ დაგკლევდით... ხარი ტყავი... 4. **-ყე** ნაწილაკი გამოხატავს ობიექტისა და რეალური სუბიექტის მრავლობითობას: წაიყვანდენ-**ყე** ღორებს, ახალგაზდებს გეეხარა-**ყე**... 5. ხშირია ნართაული **ა** ზმნის პირის ფორმებში: კარგა ვართ-**ა**-ო, ნუ წახვალ-**ა**-ო... რ. იგრძნობა სვანურის გავლენა: კითხვითი **-ა** ნაწილაკის გვერდით ირაციონალური **გ** ხმოვანი იხმარება: არ იცი შენ-**გ**? გინახავს იქ-**გ**? სვანურის მსგავსად, გამოიყენება კავშირი **მარე** „მაგრამ“. **ექნება** ზმნა „ეყოლება-ს“ მნიშვნელობით გამოიყენება: ვაჟი ექნება (=ეყოლება)... (ვ. თოფურია, 1961 : 244-246).

მთის რაჭულის ზოგადი ენობრივი დახასიათება

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. ხშირია **ჟ**-ს გამოყენება : კაბა-**ჟ**, რა-**ჟ**... წყვილბაგისმიერი **ჭ** ბგერა კბილბაგისმიერი **ჯ**-ს მონაცვლედ : ჩჭენ, ქჭა...

ფონეტიკური პროცესები : ხშირია **ს** ბგერის დაკარგვა. იკარგება: ა) მიცემითის **-ს** სუფიქსი თანხმოდანზე დაბოლოებულ სახელებთან: სახლ აშენებს... ბ) ღროის გარემოების ფორმებთან: ზამთარ ბარში მიდის... (შდრ. პირმომართ დამატებებს ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვთ: ზამთარს გაზაფხული მოყვება) გ) ნათესაობითის **ის>ი**: ბაბუ-ი ხელში, ზღვი-ი პირზე... დ) მხ. რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშანი ინვერსიულ ზმნებში: არ მინახავ, მიკვირ... ე) ჩვენებით ნაცვალსახელთან: ი კაცი, ე სახლი... ვ) მარტივდება **სთ/სწ/ს** კომპლექსები : ტყეთან (<ტყესთან), წავლა (<სწავლა), მოაწრო (<მოასწრო), ბოტანი (<ბოსტანი), ქრიტე (<ქრისტე)...

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებები : აე > ეე : დეწერა, დეეკითხეს, გეეთამაშა, გადვერტყა ; ოე > ეე : მეემატა<მოემატა, მეეწია<მოეწია, მეეხმარება<მოეხმარება ; იშვიათად ეე > იე : მიეწყინა<მეეწყინა<მოეწყინა, გეეკეთებია<გეეკეთებია<გაეკეთებინა....

ოვა > ოა > უა : გაათხუა<გაათხოვა, დაგვიტუა<დაგვიტოვა, აწუა<აწოვა...

ვა > ო : სომს<სვამს, სხომის<სხვამის ; **ვე > ო :** გველოშა-პი<გველვეშაპი ქოყანა<ქვეყანა... (შ. ძიძიგური, 1970 : 197).

სახელთა ბრუნება. ზოგჯერ ბოლოხმოვნისანი სახელები დაირთავენ **ჟ**-ს : რვა-**ჟ**, ვაჟა-**ჟ**, ხე-**ჟ**, ბლუ-**ჟ**... მოთხრობითში ბოლოხმოვნისანი სახელები **-მა** დაბოლოებით იხმარება : მელა-**მა** თქვა ; გადმოიხედა მამა-**მა** ; მიცემითში ბოლოხმოვნისანი სახელებთან დაცულია **ჟ** : რა**ჟ**ს გვიბრძანებთ ამისასა ? ხე**ჟ**ს დაუშენდა თავსა ი ბედითი... ნათესაობითსა და მოქმედებითში ბოლოხმოვნისანი სახელებთან დასტურდება **-ჟს**, **-ჟთ** ნიშნები : ყველა-**ჟს** კარზედ ; შალიკა-**ჟს** ამბავი ; დილა-**ჟთ**, ერბო-**ჟთ**, რძე-**ჟთ**... (შ. ძიძიგური, 1970 : 198-199).

თანდებული **-ში** > **-ჩი** : სოფელჩი, იმაჩი... **-თვის** > **თვინ** : ქმრი-**თვინ**, ნადირი-**თვინ**, მამი-**თვინ**... **-ვით** უშუალოდ დაერთვის ბოლოხმოვნისანი სახელს : ოტკა-**ვით**, ხე-**ვით**, მზე-**ვით**... გვზვდება **-ისდა/-იზდა** დაბოლოებისანი ფორმები : მ-**ისდა**, რა-**ისდა/რა-იზდა/რა-იზა**, გლენებ-**იზდა**...

თანდებულიანი ფორმებს დაერთვის მოქმედებითის **-ით** ფორმანტი : ონ-**ში-ით** რომ დავბრუნდები ; დანა ყელ-**ში-ით** ამოულეო ; ჯორ-**ზე-ით** გადმოვჯდებოდი ; ბან-**ზე-ით** გადმოვზტი... (იქვე : 199-202).

დაცულია მრავლობითის არქაული ფორმანტები: **-ნ**, **-თა/-თ**: ჩვენებურნი ეუბნებიან ერთმანეთსა; გაუშვეს ე ვაჟა ყაჩაღთა. დასტურდება ორმაგი მრავლობითის ფორმები: **-ებ + ნ**: მელ-**ებ-ნ-ი**, ცხვრ-**ებ-ნ-ი**, თაგვ-**ებ-ნ-ი**... (შ. ძიძიგური, 1970 : 204).

ზმნის თავისებურებები. თემის ნიშნისეული ბ > მ: აკეთ-ებ-ს > აკეთ-ემ-ს, აგ-ებ-ს > აგ-ემ-ს, ანდ-ობ-ს > ანდ-ომ-ს...

-ავ/-ამ თემის ნიშანთა გახმომავანება უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ პარადიგმებში იცვლება: **-ავ > -ევ:** ხარშ-ევ-დ-ა, კაზმ-ევ-დ-ა... **-ამ > -ემ:** კერ-ემ-დ-ა, ინახ-ემ-დ-ა...

ვნებითის არქაული წარმოება: ედგმ-ი-ს, დაუკვირდ-ი-ს, გაიპარავ-ი-ს...

უწყვეტელსა და წყვეტილში დაცულია არქაული **-ეს** სუფიქსი: წამოვიდ-ეს ყველანი ხელმწიფესთან; ჰყავდ-ეს ცხრაჲ შვილი; წამო-ჰყვ-ეს ცოლის ძმები...

არქაული ზმნური ფორმები (-ი სუფიქსის გარეშე): რათ **მომკალ;** ვერ **შევიძელ;** მომეც **ორი** პური; **უთხარ** სალამოზზე; **დაჯექ**... (შ. ძიძიგური, 1970 : 208).

სინტაგმა. თანხმომავანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი (გლოლურში) სრული დაბოლოებით (ჭრელ-ი ნოხ-ი, ჭრელ-მა ნოხ-მა, ჭრელ-ს ნოხ-ს...) ან ფუძის სახითაა წარმოდგენილი (ჭრელ-ი ნოხ-ი, ჭრელ-ო ნოხ-მა, ჭრელ-ო ნოხ-ს...). ამასთანავე, დასტურდება სალიტერატურო ქართულის ანალოგიური შემთხვევები.

სახელისა და ზმნის რიცხვში აზრობრივი შეთანხმების ფაქტები: ყველა წავიდნენ...

აქტიური სემანტიკის ზმნები II სერიაში სუბიექტს მოთხრობითში შეიწყობენ: კაცმა წავიდა; ქალმა დეეთანხმა...

შეინიშნება ბრუნვის ფორმათა შენაცვლების სხვა შემთხვევებიც: სახელობითის ნაცვლად მიცემითი: მეფეს მოატყუეს... მიცემითის ნაცვლად — სახელობითი: თავის სახლი ველარ მიაგნო... მოთხრობითის ნაცვლად — სახელობითი: ე ბიჭი დედაზე გამოსწია...

ობიექტის მრავლობითობა **-ნ** სუფიქსით აღინიშნება: ამოირჩივ-ნ-ა ორ-ნ-ი ლეკვა-ნ-ი; უცებ ნახ-ნ-ა ცხვრებ-ნ-ი; დაჰპაიჯ-ნ-ეს ე კაც-ებ-ი და მცნაურ-ებ-ი... (შ. ძიძიგური, 1970 : 209).

იხმარება კითხვითი **-ა** ნაწილაკი: მიდიხარ-ა? არ მოგაქვს-ა? რა მოწყენილი ხარ-ა?

-მცა ნაწილაკი: ახა, ნეტა-მცა ეჯობო; მისი ნაწერი-მცა(ა) იქნები (შ. ძიძიგური, 1970 : 210).

ლექსიკა: იშვიათად დასტურდება **ოცობითი თვლის** სისტემის არქაული ფორმები: *შვიდოცი, ხუთმეტოცი.*

დიალექტური ლექსიკა : დაწერა „დაბადება“, ორკეცი „ორსული“, კვებო „ფანჯარა დუროიან სახლში“, კრენჩხი „მოძველებული ცოცხი“, ლოფართები „ფოთლები“ ...

ბოშა, ბოში „გოგო“, გურჯი „ქართველი“, დამპალი (თვე) „ივნი-სი“, დია „ბევრი“, დლიასწველი „დღესასწაული“, კილო „მთის თვალუწვდენელი უღელტეხილი“, კვაჭა „კოჭლი“, კუჭკათ „გროვად, გუნდად“, შავრეში „გველი“ ...

ოსური ნასესხობანი : გვინოლი „კავის ნაწილი“, თალაყაური „ტყლიპის ტკივილი“, იამანი „ცხნის სენი“, იზბირი „სამეურნეო იარაღი“, ნახშობა „ლაპარაკი, საუბარი“, ჯიკა „საჭმელია რძისგან შემზადებული“ (შ. ძიძიგური, 1970 : 211-230).

2.20. ბარის რაჭული.

საზღვრები.

ისტორიულ-გეოგრაფიული ზემო რაჭა და ქვემო რაჭა მთის რაჭასთან მიმართებით შეიძლება განვიხილოთ ბარის რაჭად. ზემო რაჭა ძირითადად მოიცავს ონისა და ნაწილობრივ ამბროლაურის რაიონებს, ქვემო რაჭა კი — ამბროლაურის რაიონს (ლიხეთის ხეობის გამოკლებით).

ენობრივი თავისებურებანი.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. ხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაცია: აი/ოი > ეი (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია): ეიყვანა (<აიყვანა), მეიტაცა (<მოიტაცა)... აუ > ოუ (ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია): ოუტანა (<აუტანა), გოუ-ნათლებელი (<გაუნათლებელი)...

ოა > უა : მუახსენა (<მოახსენა), ამუალაგეს (<ამოალაგეს), მუატანია (<მოატანინა), მუახლე (<მოახლე)... ოე > უე : მუეხმარა (<მოეხმარა), მუეკლათ (<მოეკლათ), მუესმა (<მოესმა), დრუება (<დროება), ხბუები (<ხბოები)... ეა > ია : შიაჯინა (<შეაჯინა), მორიგია (<მორიგეა), სამსია (სავსეა)... (შ. ძიძიგური, 1970 : 235-237).

ქვემორაჭულში ოი > ეი :

სუბსტიტუცია: ბრავალი (<მრავალი), გაამძრიეს (<გაანძრიეს), სამსე (<სავსე), კიდემ (<კიდევ), ბზე (<მზე), დაჟდებიან (<დაჯდებიან)...

ვე > ო : ჩოულობა (<ჩვეულება), მიყობოდა (<მიყვებოდა), შობა (<შვება<შვრება), წოულობა (<წვეულება); ვი > უ : საკურველი (<საკვირველი), წუმა (<წვიმა)...

ბგერის დაკარგვა: სა (<სად), კაად (<კარგად), მარჯვნი (<მარჯვნივ), მარცხნი (<მარცხნივ), დლისი (<დღისით), გასი (<გასწი), მერთო (<დმერთო)...

ხმოვანფუძიან სახელებთან -ზე თანდებული ე-ს სახით გვხვდება: შუაზე > შუაე, ჭკუაზე > ჭკუაე, ყველაზე > ყველაე... (იქვე : 232).

სახელთა ბრუნება. მიცემითი გამოიყენება ლოკატივის აღსანიშნავად : ამოვა ონს, გავგზავნეთ თერჯოლას, ქალაქ(ს) მიდის...

ვითარებით ბრუნვაში წარმოდგენილია -ა: ვაშკაცურ-ა, ხშირ-ა, ბოვშებიან-ა, მშვიდობიან-ა...

ბარის რაჭულში ვითარებითის -ად ნიშნის ხმოვნითი ნაწილი ა > ე : ლაღედ (<ლაღად), ჩუმეთ (<ჩუმად), სამველედ (<სამველად)...

ნაცვალსახელები ის, ეს ძველი ფორმით გამოიყენება : ისი, ესი.

მავრცობი (ემფატიკური) ხმოვნის პოზიციაში დასტურდება ე ხმოვანი: დღეს-ე-ც, ვის-ე-ც, აქ-ე-ც...

მოქმედებითი ბრუნვის -ით > -იდ შენარჩუნებულია -გან თანდებულის დართვისას: ზე-იდ-გან, იმერეთ-იდ-გან... ასევე იშვიათად გვხვდება -გან თანდებულზე ი ხმოვნის დართვის ფაქტები (გ თანხმოდანი იკარგება): სოფლიდან, საფლავიდან... (შ. ძიძიგური, 1970 : 238-239).

ზმნის თავისებურებები. მრავლობითი რიცხვის S₃ პირის აღსანიშნავად გამოიყენება -ენ ფორმანტი, რომელიც დასტურდება აწმყოს, უწყვეტლის, წყვეტილის, I თურმეობითის ფორმებში: არი-ენ, ეტყვი-ენ, უთხრ-ენ, დაწერ-ენ, გამოსული-ენ, გოუკეთები-ენ... (შ.ძიძიგური, 1970 : 241, 252).

მო-, შე- ზმნისწინებს ენაცვლება მა-, შა- : მაიტანე, შავარიგე...
-ავ > -ამ: დოუკრ-ამ-ს, დევიხურ-ამ-თ, ვხნ-ამ, რეცხ-ამ-ს... -ევ > -ემ : ოუწ-ემ-და, წ-ემ-ს ; -ებ > -ემ : აკერ-ემ-ს, გავაკეთ-ემ ; -ოვ > -ომ : სწავლ-ომ-ს...

უწყვეტელში -ავ-დ > -ევ-დ: თეს-ევ-და, სცურ-ევ-და... დაბოლოების შედარებით იშვიათად დასტურდება -ვი-დ დაბოლოება: დაუძახ-ვი-და, ხატ-ვი-და ...

წყვეტილში -ევ-ი დაბოლოებიანი ფორმები : გავაკეთ-ევი, დაწერ-ევი, ჩაჰკბიჩ-ევი...

II თურმეობითში -ოდ სუფიქსის ნაცვლად იყო მეშველი ზმნა იჩენს თავს : მცოდნ-იყო „მცოდნოდა“, მქონ-იყო, „მქონოდა“...

III კავშირებითის ფორმების ხშირი გამოყენება (სპეციფიკურია ზოგადად რაჭული მეტყველებისათვის).⁸⁶ ის იხმარება II თურმეობითის ნაცვლად : ვანო წავიდა ტყეში, რომ დაკარგული საათი ეპოვოს (=ეპოვა).

ნა- პრეფიქსიანი თურმეობითის ფორმები : ნა-რთმევა, ნა-ყვარება, ნა-გზანა, ნა-თრევა...

-ყე სუფიქსი აღნიშნავს მრავლობითობას : უთხრა-ყე შვილებს, დოუძახა-ყე...

ზემორაჭულში ხშირია „ზმნის მავრცობი ა“ : ნება თქვენი ასრულდეს-ა, არა ვართ-ა-ო, ავდგებით-ა და ჩევიცვამთ-ა... (შ.ძიძიგური, 1970 : 241-242).

სინტაგმა: ნათესაობითში მდგარი მსაზღვრელი კარგავს თანხმოდნით ნაწილს : რკინი(ს) კეტი, ოქრო(ს) ბეჭედი... ასევე, იკარგება მსაზღვრელად გამოყენებული ამ, იმ ნაცვალსახელთა თანხმოდნითი ნაწილი : ა(მ) კაცმა წაიყვანა, ა(მ) მზეთუნახავს მიჰპარვია.

⁸⁶ III კავშირებითი II თურმეობითის ნაცვლად გამოვლენილია სხვა კილოებშიც (კახურში, ინგილოურში). დასტურდება სალიტერატურო ენაშიც (შ. ძიძიგური, 1970: 247-250).

გარკვეული ტიპის ზმნებთან სუბიექტი II სერიაში მოთხრობით-ში გამოიყენება : წვიდა ამ ქალმა და კაი ქათმები შეწვა ; წვიდა იმ შვილმა და გაყიდა ის დედ-მამა (შ. ძიძიგური, 1970 : 243).

ლექსიკა. დიალექტური ლექსიკა: *ღარკავი* “თავისუფალი ადგილი კედელსა და სახურავს შორის; ჭუჭრუტანა, ფარღალაღა“, *გაგნება* “გაგება“... *უზვანი* “უღრანი“, *ბურული* “გადახურული, ფარდული“... ამ სიტყვათაგან ზოგი საერთორაჭულია.

ხშირია **კნინობითის** ფორმები. კნინობითის სუფიქსები დაერთვის როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებს: *გიოურგ-უნ-ა*, *გოგ-უნ-ა*, *კაბ-უნ-ა*, *მარო-უკ-ა*, *ქმარ-უკ-ა*, *წყალ-უკ-ა*, *ვენერ-იკ-ა*, *პატარ-იკ-ა*, *ცოტ-უნ-იკ-ა/ცოტ-უნ-უკ-ა*, *შალ-იკ-უნ-ა*...

ჰერულ კილოთა ქვეჯგუფი

ისტორიული ჰერეთი (დღევანდელი საინგილო) ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიას წარმოადგენს და შედგება კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებისაგან.

დღევანდელი საინგილოს საზღვრებია: დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება კახეთი, სამხრეთით — მდ. აგრი-ჩაი, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით — კავკასიონის მთაგრეხილი (გრ. იმნაიშვილი, 1966: 6).

ჰერეთის ტერიტორია უძველეს დროიდან დასახლებული იყო ჰერებით. IV-V საუკუნეებში ჰერეთი საქართველოს საერისთავოს წარმოადგენდა. XI საუკუნიდან კახეთის სამეფოში შედის. XV საუკუნიდან სახელწოდება „ჰერეთი“ საისტორიო წყაროებში თანდათან ქრება, იგი კახეთის ორგანულ ნაწილად იქცა (გ. ჩანგაშვილი, 1970).

XVII-XVIII საუკუნეებში ჰერეთი არაერთგზის აოხრდა ლეკთა თარეშისა და შაჰ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად. შემდეგ კი რუსეთ-თურქეთის დავის საგანს წარმოადგენდა. თურქული ტომების დაწოლით ქართველთა ნაწილი გამუსლიმანდა; ნაწილი — ასიმილირდა. XIX საუკუნეში გამუსლიმანებული ქართველების სახელად დამკვიდრდა „ინგილო“, რაც ქართულად ნიშნავს „ახალ მორჯულებულს“; კუთხის სახელიც — საინგილო — ამ უცხო ფუძის მიხედვით შეიქმნა.

1918-1921 წლებში საქართველოს ეს ნაწილი — აღმოსავლეთ კახეთი — (საინგილო) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. 1921 წლიდან საბჭოთა საქართველოს მარიონეტულმა რეჟიმმა კრემლის დავალებით საინგილო (კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები) გადასცა აზერბაიჯანს.

როგორც აღვნიშნეთ, საინგილოს ქართველთა ნაწილი ქრისტიანია, ნაწილი კი გაამუსლიმანეს. ქართული ენის კახური კილოს სახეცვლილი ვარიანტი — ჰერული მეტყველება (ინგილოური მეტყველება) მუსლიმან ქართველებშიც შემონახულია და ქრისტიანებშიც; ქართული წეს-ჩვეულებანი და გვარები კი ძირითადად ქრისტიან ქართველებს აქვთ დაცული.

ტერმინები: **ინგილო** და **საინგილო** ზუსტად ვერ ასახავს არსებულ რეალობას, ამიტომ, მეცნიერთა ნაწილის მსგავსად, ჩვენც ვირჩევთ, გავაცოცხლოთ ისტორიული ტერმინი: „ჰერეთი“, მის საფუძველზე კი გავააქტიუროთ ტერმინოლოგიური შესიტყვება: **„ჰერეთის ქართველები“**.

საინგილოში ქართველებთან ერთად სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს: აზერბაიჯანელები, წახურელები, ხუნძები, რუსები, სომხები. ბუნებრივია, აღნიშნული ხალხების ენებთან ურთიერთობამ იქაურ ქართულ მეტყველებას თავისებური დალი დაასვა. გავლენა იგრძნობა ყველა დონეზე: ფონემატურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ სისტემებში.

ძირითადი (საერთო) ფონეტიკური მოვლენები. ჰერული მეტყველება ფონემატური სტრუქტურის მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია როგორც სამწიგნობრო ქართულისაგან, ისე სხვა კილოებისაგან, რაც ძირითადად უცხო ენობრივი სისტემების გავლენით არის გამოწვეული. ამ განსხვავებას უმთავრესად ქმნის შემდეგი ბგერები: **ჟ, ძ**, პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვნები (**რ, ჟ**), **გ** ხმოვანი, გემინატები (**მმ, ლლ**), რბილი **ლ, ჯ, წ, ც**.

ძ < ი: მაძლა, წაძყონეს... წებოძთი, ჰუსეძანაძ... იშვიათად **ძ < ს:** ენაძ ნუ უგდევ:

ჟ < უ/ვ: დაჟჭერი^ა, შეჟჭამი^ა... მოჟდა...

ჯ დაცულია სიტყვებში: ჯელ^ი, ჯმალ^ი, მუჯლი^ი, მოჯჯადა...

ძ < ვ ყრუ ბგერათა მეზობლად (ხშირია ალიაბათურში): **ჭჭამ, ჭჭრი, ჭთლი**...

ც გვხვდება ხმოვანთა ძლიერი შემართვა-დამართვისას: ცემათმა, ცუთქომ, არაყ...

გ მიიღება ხმოვანთა დასუსტებით: რაშგ, ჩგმოით, ორღგემდინ...

რ<ვ/ჟ: თქრს; **შ<ვ/ჟ:** შტლები. აზერბაიჯანულ სიტყვებში: ბტ-თტმ „ყველა“, გტმტმ „ვერცხლი“... (გრ. იმნაიშვილი, 1963: 81-89).

ინგილოურში **ძ > ზ:** ძმა > ზმა, ძალიან > ზალიან; **ჯ > ჟ:** დაჯდა > დაჟდა, დაპატიჟება > დაპატიჯება...“ ინგილოურში **ძ** და **ჯ** ბგერების დაკარგვა გამოწვეულია ორი მიზეზით: 1. **ძ** და **ჯ** ბგერების არმქონე ენობრივ წრეთა ხანგრძლივი გავლენითა და 2. ამ ბგერათა ბუნებით (მათი მსგავსებით **ზ** და **ჟ** ბგერებთან)“ (გრ. იმნაიშვილი, 1963: 86).

გვხვდება ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა-დამართვა: ჰ-ეგ „ეგ“, ჰ-უ-თქომ „უთქვამს“... და-ჰ-ჩებიან, დო-ჰ-წ „დაწვა“...

სპეციფიკურია ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობანი. ზმნისწინები გვხვდება **ა, ე, ო, უ** განხმოვანებით: **ა:** გაადნოვ (=გაადნობ), შაძნახ (=შეინახე); **ე:** გეეკიდა (=გაეკიდა), დემეხსენ (=დამეხსენ); **ო:** დოჰვეწ (=დავწვი), დოძნახ (=დავინახე); **უ:** გუა-ლით (=გავაღეთ), წუაქცივ (=წავაქციე)... **ო** და **უ** განხმოვანების ზმნისწინები ძირითადად კაკურს ახასიათებს. მაგ.: კაკ.: გოძგ (შდრ. ალიაბათ. გავგე/გაჟგე).

ჟა/ვა > ო: კვალაგ > კოლაგ, იცვამს > იცომს...

სახელთა ბრუნება. ვითარებითი ბრუნვის ნიშანი **-ად** ორგვარად არის წარმოდგენილი: ა) თანხმოვანფუძიან სახელებთან **-ად > -ა:** ღარიბ-ა (=ღარიბად), ღამაზ-ა (=ღამაზად)... ბ) ხმოვანფუძიანებთან **-დ > -თ:** ხე-დ > ხე-თ, ღამე-დ > ღამე-თ...

-კენ თანდებული იხმარება **-ყენ/-ყე/-ყ** ვარიანტებით კარების-ყენ, შინა-ყ...

-თვის > -თუნ: მაგის-თუნ, კაცის-თუნ...

თანდებულის ფუნქციით გამოიყენება **უკან/კან** „შემდეგ“, დაერთვის მიცემითის ფორმას: დათესას უკან „დათესვის შემდეგ“.

ზმნის თავისებურებები. -ყე/-ყ ნაწილაკი აღნიშნავს: ა) ირიბი ობიექტის მრავლობითობას: ჟერ პური აჭამა-ყე, ბ) პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას: ბებერმა დახოცა-ყე ქათმები, გ) ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტის მრავლობითობას: ჰელში ჰქონდა-ყე, დ) ხოლმეობითობას, მრავალგზისობას: ამბოვენ-ყე „ამბობენ ხოლმე“, ცხოვა-ყ „ცხვება ხოლმე“...

უთემისნიშნო ზმნები რთულდება თემის ნიშნებით: უსმენ-ავს „უსმენს“, ბან-ავს „ბანს“, უმზერ-ავს „უმზერს“...

მომავალი დრო სამგვარად გამოიხატება: ა) არქაული ქართულის მსგავსად, გამოიყენება II კავშირებითის ფორმა: აგისრულო „აგისრულე“, ბ) თანამედროვე ქართულის მსგავსად, აწმყოს ფორმაზე ზმნისწინის დართვით: ჩაიცომს... გ) მყოფადი დროის მიმღებობას დაერთვის მეშველი ზმნა აწმყოს ფორმით: მასსოვარ „მოვა, მოსასვლელი ვარ“...

სინტაქმა. აქტიური სემანტიკის გამომხატველ ზმნებთან II სრიაში სუბიექტი შეიძლება მოთხრობითში შეგვხვდეს: ხალღმა წაუდნენ... ზოგჯერ მოთხრობითისა და მიცემითის ნაცვლად გამოიყენებულია სახელობითი: ერისტოდ თქო „ერისტომ თქვა“, ერისტოდ ერ ტახ მოუკლავ ყოფილ „ერისტოს ერთი ტახი მოუკლავს თურმე“ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 140).

იცის ზმნის კონსტრუქცია შეცვლილია: მე ვიცივარ მას, შენ იციხარ მას, ის იცის მას... (გრ. იმნაიშვილი, 1963: 185).

დასტურდება კითხვითი -ა ნაწილაკი: მინ არის-ა? „ვინ არის?“...

ლექსიკა. ჰერულის ლექსიკა უმთავრესად ქართულია. ამასთან, საგრძნობია აზერბაიჯანული ლექსიკური ერთეულების სიუხვე: ავღუდ „შხამი“, ადაზ „სუსხი“, ასლან „ლომი“, ბოლ „უხვი“, თორ „ბადე“, ქელლად „თავი“, თულქუდ „მელა“, ხაჩ „ჯვარი“, ზამან „დრო“...

სინტაქსური კალკები: მასწავლებელი სა ზისა? „მასწავლებელი სად ცხოვრობს?“ კლავის გაჰწევა „ხელის მოწერა“... (გრ. იმნაიშვილი, 1966: 148-154).

გარდა საერთო ენობრივი მახასიათებლებისა, **კაკურსა** და **ალიაბათურს** შორის დასტურდება რიგი **განსხვავებული** ნიშნებიც. კერძოდ, სადიფერენციაციო ნიშნებად აღებულია: ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია, სიტყვის ბოლოს უი > უჟ პროცესი, სახელობითი ბრუნვის ნიშნის ალომორფები, მრავლობითი რიცხვის წარმოება, მეშველზმნიანი წარმოება, ვნებითის ფორმათა წარმოება, ლექსიკური სხვაობანი.

2.21. კაკური დიალექტი

საზღვრები.

კაკურ კილოზე მეტყველებენ ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ 7 სოფელში, კერძოდ, კაკურზე მოლაპარაკეთა სოფლებია: კახი ანუ კაკი, ალათემური, მეშაბაში, ალიბეგლო, ქოთუქლო, თასმალო, ზაგამი; ყველა შედის კახის რაიონში. კაკურზე საუბრობენ ასევე, საქართველოში შემავალ სოფელ სამთაწყაროში, რომელიც მდებარეობს დედოფლისწყაროს რაიონში (გრ. იმნაიშვილი, 1966: 15).

ენობრივი დახასიათება.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. კაკურისთვის ბუნებრივია სიტყვის ბოლოს **ჟი/ვი** კომპლექსის დაკარგვა: დათვი > დათ, თავვი > თავ...

ხშირია სრული რეგრესული **ასიმილაციის** შემთხვევები ზმნისწინებში: **გადავჭრათ > გოდოვჭრათ, ავიტანე > ოიტანე/ოდტანე...** (ვ. კუზიბაბაშვილი, ტ.ფუტყარაძე, 2002: 285).

ა > ო (ვ- პრეფიქსის მეზობლად): **დოვკალით** (<დავკალით), **გოჭწევ** (<გავწევ); **ე > უ**: მაცემვარ (<მაცემოვარ<მოსაცემელვარ) „მოვცემ“; შდრ. ალიბათ. მაცემევარ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 39-40).

სახელთა ბრუნება. თანხმოვანფუძიანი სახელები სახელობითში - **ი** ნიშანს არ დაირთავენ (ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი): ქალ, შუღლ... ხმოვანფუძიანი სახელები კი -**ი** ალომორფს დაირთავენ: ხე-**ი**, დანა-**ი**... (ვ. კუზიბაბაშვილი, ტ.ფუტყარაძე, 2002: 285).

მიცემითის -**ს** > **ი**: ენა-**ი** ნუ უგდევ, ფენავს სუფრა-**ი**, იწყოვენ სახელევ დადგმა-**ი** (გრ. იმნაიშვილი, 1966: 85).

მრ. რიცხვის ფორმანტი -**ებ** > -**ევ**: კაც-**ევ** (<კაც-ებ), ქალ-**ევ** (<ქალ-ებ)... **ე** ხმოვანფუძიან სახელებთან **ეე** მიმდევრობა შენარჩუნებულია: ტყეევ < ტყეევი, ხეევ < ხეევი... (ვ. კუზიბაბაშვილი, ტ.ფუტყარაძე, 2002: 285).

ზმნური თავისებურებანი. კაკურში გავრცელებულია მეშველზმნიანი წარმოება: ტჭირივარ < ვტირივარ, უცტნივარ < ვიციინივარ...

ვნებითი ფორმათა წარმოების თვალსაზრისით კაკურში დაცულია არქაული ვითარება: ჯდებ-ი-ს, იტანჯვ-ი-ს, კეთდევ-ი-ს... (ვ. კუზიბაბაშვილი, ტ.ფუტყარაძე, 2002: 285).

ზოგჯერ იკარგება -**ი-ს** დაბოლოება: თენდებ (<თენდებ-ის), დგებ (<დგებ-ის), კეთდებ (<კეთდებ-ის), იზდებ (<იზრდ-ებ-ის)... (გრ. იმნაიშვილი, 1966: 116).

წყვეტილის ფორმათა წარმოება უნიფიცირებულია: ძირითადია **ნულ-** ან **ი-** პრეფიქსიანი ფორმები: დოდჭირ (=დავჭირე), მოდლ (=მოვილე), წოდლ (=წავილე), შადნახით (=შეინახეთ), მოდტანით (=მოვიტანეთ)... (გრ.იმნაიშვილი, 1966: 118).

II კავშირებითის ნიშნად -ა არის გაბატონებული: დათეს-ა-ს (=დათესოს), მაღლ-ა-ს (=მოილოს), ჭამ-ა-ნ (=ჭამონ), წაყონ-ა-ნ (=წაიყვანონ)... (იქვე: 119).

სინტაგმა. თანხმომავანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი კაკურში ფუძის სახითაა: ერ ბერ გელ ყოფილ; დიდ ვაშკაც გაჯდა... ხმომავანფუძიანი საზღვრული ფუძის სახითაა, საზღვრული I სახ. ბრუნვის ნიშნით: ცოტა საქმედ მაქ; წაჟდა პატრა ზმად (გრ. იმნაიშვილი, 1963: 180).

სუბსტანტიური პრეპოზიციური მსაზღვრელი კაკურში (ალიაბათურში იშვიათად) ნათესაობითი ბრუნვის. ს თანხმომავანს კარგავს ან ფუძის სახითაც გვხვდება: ხი(ს) სახლ, ღორი(ს) ჯორც... პურ(ის) ჭმად, კაც(ის) მოკლჟად... (იქვე: 183).

კაკურისთვის დამახასიათებელია კითხვითი -ა ნაწილაკის გამოყენება კითხვითსიტყვიან წინადადებაში: მინ არის-ა? რად გინდაყ-ა? სა არიან-ა? როგო ხარ-ა?

სხვათა სიტყვის ნაწილაკი -გ (<-ო) შეიძლება დაერთოს წინადადების სხვადასხვა წევრს: ემ ყოჩს ზალლი ზედ მოჟწოვნიავ; უთქომ, რუმ ეს ინსნი ჯორციაგ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 144). ანალოგიური ვითარებაა ხევსურულში, თუშურში.

ლექსიკა. კაკურში, ალიაბათურთან შედარებით, მეტადაა დამკვიდრებული უცხო (აზერბაიჯანული) სიტყვები: გადად „პატარა ბიჭი“, ყონალ „სტუმარი“, ტანად „ხბო“, ჩობან „მწყემსი“, ამმა „მაგრამ“, დჟნიად „ქვეყანა“, დჟშმან „მტერი“, თეჟნად „გობი“... (გრ. იმნაიშვილი, 1966: 154).

შდრ. აგრეთვე კაკურსა და ალიაბათურს შორის ლექსიკური სხვაობა:

კაკური: ბულალ, უშკოლ/იშკოლ, ჰაფთუფად, გორ, ზროდ, ფაფაყ, ფაყლად, გადაგ, ტანაჩიდ, დამშროდ (<დამშრჟალ<და-მ-შურ-ალ არს), დამზოლ (ფურ, კამეჩ, < და-მ-ზუ-ალ) არს).

ალიაბათური: წყარო, მაქთაბი/მექთები, წუმწუმა, ფამილია, ურმი ღერზი, ქჟიდ, ლებუა, ზაქი, მეხბორე, დაღლილა, მოჭრილა (ფური, კამეჩი) (გრ. იმნაიშვილი, 1966: 156).

2.22. ალიაბათური დიალექტი

საზღვრები.

ალიაბათური კილო არის: ალიაბათში, მოსულში, ენგიანისა და ითითალოში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება (გრ.იმნაიშვილი, 1966:15).

ენობრივი თავისებურებანი.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. ალიაბათურში სიტყვის ბოლოს **ჟი > ჟე**: თავჟ < თავგი, დათჟ < დათგი...

ეე > იე: ხიეი < ხეეი, ტყეი < ტყეეი... (ვ. კუზიბა-ბაშვილი, ტ. ფუტკარაძე, 2002: 285-287).

სახელთა ბრუნება. კაკურისაგან განსხვავებით, ალიაბათურში თანხმოვანფუძიანი სახელები **-ი** ალომორფს დაირთავს: ქალ-ი, შტლ-ი... ხმოვანფუძიანი სახელები კი ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი: ხე-0, დანა-0...

ზმნის თავისებურებები. წყვეტილის ფორმათა მაწარმოებლად -**ე** სუფიქსია გაბატონებული: წვევლ-ე (=წაველ), ვიცან-ე (=ვიცანი), დაჰქკალეთ (=დაგვკალით) (გრ. იმნაიშვილი, 1966: 118).

II კავშირებითის ნიშნად ალიაბათურში ხშირად **-ო** გამოიყენება: დავდგ-ო (=დავდგა), გითხრ-ო (=გითხრა), დიგიკლ-ო (=დაგიკლა), მოჰქკლ-ო (=მოგვკლა)... (იქვე: 120).

ალიაბათურში ვნებითის ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მსგავსად იწარმოება: იტანჯ-ებ-ა, ვარდ-ებ-ა... შდრ. კაკური: იტანჯ-ი-ს, კეთდევი-ს...

სინტაგმა. თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ალიაბათურში სახელობითის ფორმით ან ფუძის სახით, საზღვრული კი სახელობითი ბრუნვის ნიშნით გვხვდება: ზოლ-ი დედაკაცი ამბოვს; თეთრ-0 ცხენ-ი ყონდა... (გრ. იმნაიშვილი, 1963: 179).

ნათესაობით ბრუნვაში მდგარ სახელს ემფატიკური დან-იშნულებით ხშირად დაერთვის **ი**: კარ გააღეს კიდობნის-ი, ჩამაღღეს ქობი წყლის-ი, ბატის-ი კად ჯორცი რემენია? კინის-ი კრები ყოფილა (გრ.იმნაიშვილი, 1966: 86).

დაუძახა ზმნასთან ობიექტი ხშირად სახელობითში დგას, ნაცვლად მიცემითისა: დოჟუზახა კიდემ ქაჩალი („დაუძახა კიდევ ქაჩალს“); ეს ბიჟი დოჟუზახა ამ ხანმა („ამ ბიჟს დაუძახა ამ ხანმა“) (გრ. იმნაიშვილი, 1966: 139).⁸⁷

სხვათა სიტყვის ნაწილაკი **-გ** (<-ო) შეიძლება დაერთოს წინადადების სხვადასხვა წევრს: ემ ყოჩს ზალლი ზედ მოჟწოვნიავ; უთქომ, რუმ ეს ინსნი ჯორციავ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 144).

⁸⁷ რაც იმით არის ახსნილი, რომ ნამდვილი პირდაპირი ობიექტი („სახელი“) და-კარგულია და მისია დგელი ირიბ ობიექტს უჭირავს“ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 159). შდრ. პაკური: გადავ თავ დოჟუზახეს.

ლექსიკა. ალიაბათურში სამეტყველო კოდთა შერევის გამო გვხვდება თურქული (აზერბაიჯანული) ფორმები. ნიმუშად მოვიყვანთ რიგობით რიცხვით სახელებს: *ბირინჯი* (მღრ. კაკ. პირველი), *ტქუმიჯი*, *ბებინჯი*, *ონუნჯი* (მღრ. კაკ. მეათე...) (ვ. კუზიბაბაშვილი, ტ. ფუტკარაძე, 2002: 285-287).

ზოგჯერ უცხოური და ქართული სიტყვა პარალელურად გამოიყენება. ზოგან მომხდარია მათი შინაარსობრივი დიფერენციაცია, მაგ.: გადა „პატარა ბიჭი“, ბიჭი „მოზრდილი ვაჟი“; ხბორი „პატარა ხბო (ერთ წლამდე)“, ტანაჟ „ერთი წლიდან ორ წლამდე“ (გრ. იმნაიშვილი, 1966: 154).

ზანურ კილოთა ქვეჯგუფი

ზანურ კილოთა ქვეჯგუფში გაერთიანებულია მეგრული და ლაზური (ჭანური). არნ. ჩიქობავა ტერმინ „ზანურის“ შესახებ აღნიშნავს:

„ზანარ მეგრელებს ამჟამადაც ეწოდება სვანურად; პროკოფი კესარიელისა და სხვა ძველი ბერძენი მწერლების „სანები ეგვევ ზანები უნდა ყოფილიყვნენ; ამ „სანებს ძველი ბერძნული წყაროები ხშირად აიგივებენ „მაკრონებთან“, ხშირად კიდევ — „ჭანებთან“... „მაკრონ“ ჭანური -ონ სუფიქსით ნაწარმოები ეკვივალენტი ჩანს ქართ. ტერმინისა „მეგრელი“... ამრიგად, „ზან“ ტერმინი ისტორიულად „მეგრელსაც“ უკავშირდება და „ჭანსაც“ (არნ. ჩიქობავა, 1936: 3-4). ტერმინი „ზანი“ ამჟამადაც რეალურად არსებობს. იმერეთის „საზანო“ (სოფელი) და სამეგრელოს „ზანა“ (მდინარე) აგრეთვე „ზან“ ტერმინის რეალურობას ამტკიცებს.

მდრ.: მეგრელ- ფუძე მომდინარეობს ეგრ(-ის)- ძირიდან მ- ელ- კონფიქსის დართვით: მ-ეგრ-ელ-ი; მსგავსი წარმოებისა: ტბ-ეთ-ი — მ-ტბ-ევ-არ-ი. ეგრისი მთელ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავდა; შესაბამისად, მეგრელი ერქვა ტრაპიზონელ ქართველსაც და ქუთაისელ ქართველსაც. დღეს ამ თემონიმის მნიშვნელობა დავიწროებულია მხოლოდ სამეგრელოს მცხოვრებთა აღსანიშნავად. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ისტორიული კოლხა გაცილებით დიდ ტერიტორიას მოიცავდა, ვიდრე — ეგრისი: კოლხას საზღვრები შეიძლება წამოვიდგინოთ კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალის მიხედვით (ტ. ფუტყარაძე, 2005). უცხოურ წყაროთა ნაწილში კოლხი ძვ.წ. II-I ათასწლეულებში მცხოვრებ ქართველთა საერთო სახელია, ნაწილში კი — ერთ-ერთი ქართველური ტომისა. ქართული წყაროების მიხედვით, ადრე მეგრელი ეგრისის მცხოვრებს — ამჟამინდელი ლაზეთის, ქვემო აჭარის, გურიის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, იმერეთის მკვიდრთ აღნიშნავდა; შესაბამისად, ლაზური და მეგრული მეტყველებების საერთო სახელად ვერ გამოდგება ვერც მეგრული და ვერც კოლხური; მეტიც, კოლხური უფრო მიესადადება საერთოქართველურ ენას⁸⁸. მეგრულ-ლაზური

⁸⁸მდრ.: გ. კარტოზია „კოლხურს“ ზანურ-სვანური ერთიანობის აღმნიშვნელ ტერმინად იყენებს (გ. კარტოზია, 2005: 3), რაც გაუმართლებელია, რამდენადაც ისტორიული კოლხა/კოლხეთი გაცილებით ვრცელი იყო, ვიდრე დასავლეთ საქართველო; მეტიც, კოლხა უფრო დიდი სახელმწიფო იყო, ვიდრე ქუჯისა და ფარნავაზის სახელმწიფო: კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ცხადყოფს, რომ II-I ათასწლეულების შუა პერიოდში არსებული კოლხა მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილსაც — თითქმის ყველა ქართველური თემის საცხოვრისს (ტ. ფუტყარაძე, 2005); შესაბამისად, ნაკლებლოგიკურია, „კოლხური“ გამოვიყენოთ მხოლოდ მეგრულ-ლაზურის, ან მეგრულ-ლაზურ-სვანურის სახელად.

მეტყველების აღსანიშნავად საუკეთესო ტერმინი „ზანური დიალექტები“.

მეგრული მეტყველება ერთი დიალექტს წარმოადგენს, რომელსაც აქვთ თავისი კილოკავები. მეგრულის კილოკაური დიფერენციაცია ი. ყიფშიძის სახელს უკავშირდება და დღემდე უცვლელი რჩება. გამოიყოფა ორი კილოკავი: **სენაკური** (აღმოსავლურ-მეგრული მეტყველება) და **ზუგდიდურ-სამურზაყანოული** (დასავლურ-მეგრული მეტყველება). ი. ყიფშიძის მიხედვით, განსხვავება აღმოსავლურ და დასავლურ მეგრულს შორის შეიმჩნევა როგორც ლექსიკაში, ისე ფონეტიკა-გრამატიკაში (ი. ყიფშიძე, 1914: V)⁸⁹.

მეგრულისაგან განსხვავებით ლაზთა მეტყველება არსებითადაა დიფერენცირებული, რაც სამწიგნობრო ქართულისაგან იზოლაციითა და უცხო ენობრივ გარემოში არსებობით აიხსნება. ნ. მარი ლაზურს ორ დიალექტად ყოფდა: **დასავლურად** და **აღმოსავლურად**. დასავლურ დიალექტში განარჩევა დასავლურ (ათინურ) და აღმოსავლურ (ვიწურ-არქაბულ) კილოკავებს, აღმოსავლურ დიალექტად კი ხოფურს მიიჩნევდა (ნ. მარი, 1910: XVI-XVIII).

არნ. ჩიქობავას მიხედვით ჭანურის კილოკავებია: **ათინური**, **ვიწურ-არქაბული** და **ხოფური**. ხოფურ კილოკავში ჩხალური თქმა გამოყო, ათინურში — ბულეფურ-ართაშენული, ვიწურ-არქაბულში — ვიწური და არქაბული თქმები (არნ. ჩიქობავა, 1936: 9). გ. კარტოზია ლაზური ენის დიალექტებად ასახელებს ვიწურ-არქაბულს, ათინურ-ართაშენულს⁹⁰ და ხოფურ-ჩხალურს (გ. კარტოზია, 2005: 4).

ლაზურ კილოებს შორის განსხვავებას ქმნის: ყ ფონემის რეფლექსები, თანხმოვანთა პალატალიზაცია, მყოფადის წარმოება, III სერიის ფორმათა წარმოება, ლექსიკა... დაწვრ. იხ.: არნ. ჩიქობავა, 1936; ს. ჟღენტი, 1953; გ. კარტოზია, 2005; ნ. ქუთელია, 2005).

⁸⁹ლიტერატურაში სხვაგვარი კვალიფიკაციაც გვხვდება, კერძოდ, ზუგდიდურ-სამურზაყანოული და სენაკურ-მარტივლური განხილულია მეგრული ენის დიალექტებად (იხ. გ. კარტოზია, 2005: 4; ლ. ეზუგბაია, 2005: 50).

⁹⁰ათინურ-ართაშენული რიგი ფონეტიკური თავისებურებებით სხვაობს ხოფურ-ჩხალურისა და ვიწურ-არქაბულისაგან და დიდ მსგავსებას ავლენს სვანურთან. აღნიშნული ფაქტი, გ. კარტოზიას აზრით, მიუთითებს ამ ორი ერთეულის მჭიდრო კონტაქტზე შორეულ წარსულში. კერძოდ, მკვლევრის ვარაუდით, დღევანდელი ლაზური ენის ათინურ-ართაშენული დიალექტის წინაპარი მეტყველება შეიძლება ყოფილიყო: ა) საერთოქართველური ფუძემდის დასავლური დიალექტის — კოლხურის შემადგენელი ზანური კილოკავის თქმა, ან ბ) საერთოქართველური ენის კოლხური დიალექტის სვანური კილოკავის შემადგენელი ერთეული (გ. კარტოზია, 2005: 13-17). ჩვენი აზრით, გამორიცხულია უკიდურესად სამხრეთული ლაზური მეტყველების უშუალო კავშირი სვანურთან; ათინურ-ართაშენულისა და სვანურის მსგავსება მეორეულია, სვანურთან მსგავსება კონვერგენციული ტიპისაა და არა — იმანენტური; შენიშნული მსგავსება ახალი მოვლენაა და შეპირობებულია ორივე ქართველურ მეტყველებაზე თურქული ენის გავლენით.

2.23. მეგრული დიალექტი

საზღვრები.

მეგრული დიალექტი დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული; მოიცავს ოდიშის ზეგანსა და თითქმის მთელ კოლხეთის დაბლობს — შავი ზღვიდან სვანეთის მთებამდის და ცხენისწყალ-რიონიდან ამჟამინდელი აფხაზეთის მდ. ღალიძგამდეა. არნ. ჩიქობავა, 1937: 4-5); კერძოდ, ისტორიულად სამეგრელოში შედიოდა სამურზაყანო, რომელიც მდინარეებს — ენგურსა და ღალიძგას შორის მდებარეობს. სამურზაყანო მოიცავს გალისა და ოჩამჩირის რაიონის დიდ ნაწილს. სახელწოდება უკავშირდება მურზაყან შერვაშიძის სახელს, რომელმაც XVIII საუკუნის დასაწყისში (1705) მემკვიდრეობით მიიღო აღნიშნული ტერიტორია. სამურზაყანო რომ სამეგრელოს ორგანული ნაწილი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ სამურზაყანოს ყველა ტოპონიმი, რომელიც დამოწმებულია შუა საუკუნეების ქართულ თუ უცხოურ ისტორიულ წყაროებსა და რუკებზე და რომელთა ეტიმოლოგიაც შესაძლებელია, არის მხოლოდ და მხოლოდ ქართველური (ძირითადად მეგრული) (პ. ცხადაია, 2002: 29).

დღეს მეგრულ კილოზე მეტყველებენ: ფოთის, აბაშის, სენაკის, ხობის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდის, გალის, ოჩამჩირის, სოხუმის, გაგრის, გულრიფშის, გუდაუთის რაიონებში.

აღმოსავლეთით სამეგრელოს ესაზღვრება იმერეთი, სამხრეთით — გურია, ჩრდილო-დასავლეთით — აფხაზეთი, დასავლეთით — შავი ზღვა.

მეგრული მეტყველება უფრო დიდ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, ვიდრე დღეს. ამას ცხადყოფს როგორც ისტორიულ-არქეოლოგიური, ისე ლინგვისტური მონაცემები. ივ. ჯავახიშვილი წერს: „...იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები და იმერლები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგ., მთა ჯიხანჯირი (ჯიხა „ციხე“), ჯუმათი, ჭყონგვარი (ჭყონი „მუხა“), მდ. ოჩხამური (ო-ჩხამური, ჩხომი „თევზი“) როგორც ო-კალმახე (ა. ცაგარელი, 1880, 2: 71), ოჭილაური (ო-ჭილაური „სა-ჭილაო“), ჭყვიშაური, ჭანიეთი, მდ. გობაზოული, მდ. კინტრიში, ონჭიკუთი, ონჯოხეთი, სოფ. ოცანა გურიაში და სხვ. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომებს შეეძლო. მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო“ (ივ. ჯავახიშვილი, 1913: 56)... მეგრული და ჭანური ამჟამად ერთმანეთს მოწყვეტილია, მაგრამ საუკუნეების წინ ჭანური უშუალოდ მიჰყვებოდა მეგრულს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ასე იყო, როგორც ჩანს, პირველს ორ საუკუნეში. შემდეგ, როგორც ეტყობა,

ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი ან აღმოსავლეთიდან ან არადა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შიგ შუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთი-ერთმანეთს დაუმორებია, ხოლო დაპყრობილ ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ. ამის გამო ეხლანდელი გურულები და იმერლები გაქართველ მეგრელ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ“ (ივ. ჯავახიშვილი, 1913: 57);

შდრ., ასევე, იმერეთში დადასტურებული შემდეგი ტოპონიმები: ოკრიბა (←ო-კირიბ-ე „საკრავე ადგილი“), ჭყვიში („სამწყემსე ადგილი“), ჭიხაიში (ჭიხა „ციხე“), ცხენიში („ცხენისი“), წყალტუბო („წყალი თბილი“)...

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივია გასაზიარებელი: როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ბუნებაში არ არსებობდა **ქართის ტომი**; არც აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები რომელიმე ტომი გადასულა დასავლეთ საქართველოში (ეს კარგად ჩანს თანამედროვე გენეტიკური და ანთროპოლოგიური მონაცემებით); დღევანდელი გურულები და იმერლები ის მეგრელ-ჭანები არიან, რომელთა დიალექტი (ზეპირი მეტყველება) სამწიგნობრო ენასთან მჭიდრო კონტაქტის გამო უფრო მეტად დაუახლოვდა ოფიციალურ ენას; კერძოდ, **დასავლეთ საქართველოში არასოდეს მომხდარა „აღმოსავლეთ ქართველების“ შეჭრა და მეგრელ-ლაზთა ტერიტორიის დაკავება. დღევანდელი იმერლები, განსაკუთრებით ქვემოიმერლები (ასევე, გურულები, ქვემოაჭარლები) იგივე ეგრისლები (მეგრელ-ლაზები) არიან, ოღონდ სამეფო და საეკლესიო ცენტრებთან სიახლოვის გამო იმერეთში (გურიაში, ლეჩხუმში...) მცხოვრები ფართო საზოგადოების საშინაო მეტყველება უფრო ახლოსაა სამწიგნობრო ქართულთან⁹¹; როგორც ზემოთ აღინიშნა, სამეტყველო კოდთა თანაარსებობა პროპორციულადაა ასახული მთელი დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში: როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, სამეგრელოშიც, იმერეთშიც, გურიაში და ლაზეთის იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს სახელმწიფოში შემოდიოდა, **ზოგი მიკროტოპონიმი დიალექტურია, ზოგიც — სამწიგნობრო ენაზეა; მაკროტოპონიმთა უდიდესი ნაწილი კი სამწიგნობრო ენაზეა.****

ვახუშტი ოდიშს ასე აღწერს: „...ხოლო ესე ოდიში ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეგრელნი, რამეთუ ეგროს არაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი. ამას სწერენ ეგროპოელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარილო ოქროს რუნი ანუ საწმისი. არამედ ქალაქი იგი აქა არასადა მოიპოების, არცა მატიანე ცვენი მოიქსენებს მას, გარნა რამეთუ მას ჯამსა ეგრის-წყალს იქითი — დასავლეთისა — ეპყრათ ბერძენთა, აქა არს ადგილი იგი. ამისთჳს უწოდეს მეეგრელნი. ხოლო ოდიში — განდგნენ რა ეგრისის მდინარის

⁹¹ შდრ.: ელიტის (მეგრ. უინოსქუას) მეტყველება საქართველოს ყველა კუთხეში ყოველთვის იყო სამწიგნობრო ქართული.

იქითნი და მიერთნენ ბერზენტა, იტყოდინან: “ოღეში იყო მე ქვეყანა იგი ჩვენი“, და ისახელნენ აწამდე ესრეთ. ხოლო საზრვარი ოდიშისა არს ცხენის-წყალი და ხაზი ისულეთამდე, მერმე თაკვერსა და ოდისს შორისი მთა, კავკასიად ჩამოსული სამჯრით და კვალად თაკვერიდამე წარსრული კავკასი ჩდილოთ, ვიდრე ეგრისი სათავემდე, ოდიშსა და სვანეთ შორისი; სამჯრით მდინარე რიონი, გურია-ოდისს სორისი, და კვალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი სავი ზღვან; დასავლით ზთვა შავივე და კვალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიად ჩამოსული სამჯრით ზღვამდე; ჩდილოთ კავკასს მთა. ხოლო ცხენისწყლის დასავლეთის კერძო რომელი დავსწერეთ, ოდიშისა არს. და ცხენის-წყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი.

ენით არიან — დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არმედ აქუსთ თვსიცა ენა, გარნა წამხდარი ქართულივე, ვითარცა: ღმერთი — ღორონთი, ჩემი — ჩქიმი. და აქუსთ წიგნი ქართულნივე და არა სხვა“ (ვახუშტი, 1941: 165-170).

მეგრული დიალექტის გავრცელების არე თანდათან ვიწროვდება. XIX საუკუნის 80-იან წლებში ა. ცაგარელი მეგრულ და იმერულ მეტყველებას შორის საზღვრად მდ. ცხენისწყალს ასახელებს, ხოლო ი. ყიფშიძე 10-იან წლებში აღნიშნავს, რომ საზღვარმა დასავლეთისკენ გადაიწია: „ს. ხუნწში ა. ცაგარლის სიტყვით ჭარბობდა მეგრული, ახლა ჭარბობს ქართული; სახელდობრ, ზედა ხუნწში მუდამ ქართულს ლაპარაკობენ, ქვედა ხუნწებზე კი დაცივნით ამბობენ: ესენი სადილობამდის მეგრულს ლაპარაკობენ, ნასადილევს — ქართულსაო. ამასვე ვხედავთ სოფ. სამიქაოსა და ილორში. ასე რომ, საკუთრივ, საზღვარს იმერულსა და მეგრულს შორის წარმოადგენს ცხენის-წყალი კი არა, მდ. ნოღელა, რომელიც ცხენის-წყლიდან რამდენიმე ვერსით უფრო დასავლეთით მდინარებს და რიონს ერთვისო“... (ი. ყიფშიძე, 1914: XVII). მეგრული მეტყველების არე მცირდება დასავლეთის მიმართულებითაც (განსაკუთრებით რუსეთის მიერ საქართველოს ისტორიული ნაწილის — აფხაზეთის ოკუპაციისა და იქ ქართველთა გენოციდის შემდეგ).

ენობრივი დახასიათება.

კილოკავები. მეგრული მეტყველება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული, მაგრამ იგი გაცილებით ნაკლებად დიფერენცირებულია, ვიდრე ჭანური, რომლის გავრცელების არე ბევრად ნაკლებია. გამოიყოფა ორი კილოკავი: სენაკური (აღმოსავლურ-მეგრული მეტყველება) და ზუგდიდურ-სამურზაყანოული (დასავლური მეტყველება).

ი. ყიფშიძის მიხედვით, განსხვავება აღმოსავლურ და დასავლურ მეტყველებას შორის შეიმჩნევა როგორც ლექსიკაში, ისე ფონეტიკა-გრამატიკაში. კერძოდ, ზუგდიდურ-სამურზაყანოულისთვის დამახასიათებელია:

1. **გ** ბგერის ხმარება: გგრგნი „ვირი“, ქგრი „ქორი“, ჳგნგ „წნელი“, წგ „წელს“, გგ „ჰყავს“, ძგ „ღვეს, არის“ (შდრ. სენაკ.: გირინი, ქირი, ჳინუ, წი, გუ, ძუ).

2. სიტყვათა ფუძეში დასტურდება **უ (ო)**: ნოსა „რძალი“, ნოტე „ნეტავ“, ტაბუკი „ტაბლა“ (შდრ. სენაკ.: ნოსა/ნისა, ნიტე, ტა-ბიკი...)

3. დასტურდება **უ (<ო)**: თუმა „თმა“, ჳკუმუნს „ჳამს“, ცუმური „ტყემალი“, მიდეცუნანს „წაიყვანს“ (შდრ. სენაკ.: თომა, ჳკომუნს, ცომური, მიდეცონანს).

4. **ვა, ვი** კომპლექსი სიტყვებში: ქვარა „მუცელი“, გვალა „მთა“, ჳვიტუა „მოჳტუვა“ (შდრ. სენაკ.: ქორა, გოლა, ჳუტუა).

5. მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** და III სუბიექტური პირის ნიშანი **-ს>ც**: კო-ც „კაცს“... ჳკუმუნ-ც „ჳამს“, მეურ-ც „მიდის“ (შდრ. სენაკ. კო-ს, ჳკომუნ-ს, მეურ-ს).

6. ლექსიკური სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ ზუგდიდურ-სამურზაყანოულთან შედარებით სენაკურში მეტია სალიტერატურო ენის სიტყვები, მაგ.: ზუგდ.-სამურზ.: ლაზუტი, პიჯალა, ტკვა... შდრ. სენაკ.: სიმინდი, პირობა, კიბე... (ი. ყიფშიძე, 1914: V).

სხვაობა დასტურდება თვით ზუგდიდურსა და სამურზაყანოულს შორისაც, კერძოდ:

ა) ზუგდიდურ მეტყველებაში წყვეტილის დაბოლოებად წარმოდგენილია **იუ**: ქდოციუ „დაცვივდა“, ქეჩიუ „ელაპარაკა“... (შდრ. სამურზ.: ქდოცუ, ქეჩუ).

ბ) ზუგდიდურში ზმნისწინიანი ფორმები გვხვდება როგორც უცვლელი, ისე ასიმილირებული სახით: ეშმოულუ/ეშმულუ „ამოაქვს“, მოურს/მურს „მოდის, მოვა“... (შდრ. სამურზაყანულში ზმნისწინი, როგორც წესი, უცვლელია: ეშმოულუ, მოურს).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. მეგრულის ფონემატური სტრუქტურა იდენტურია ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისა. განსხვავებულ ბგერათაგან გვხვდება: **გ, ჟ, უ, ც**, რომლებიც მეტ-ნაკლებად სხვა კილოებშიც გამოიყენება.

ნეიტრალური **გ** ხმოვანი ძირითადად ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში დასტურდება, გვაქვს ჩხოროწყუ-მარტივის მეტყველებაშიც.

გ მიიღება **ი, უ** ხმოვანთა დავიწროების საფუძველზე. **გ** შეიძლება იყოს: ფუძისეული (კინტირი > კვტგრი „კიტრი“), ემფატიკური დანიშნულებისა (კოჩი-ს-ი/უ > კოჩი-ს-გ „კაცსა“), სუფიქსისეული (დონანტ-უ > დონანტ-გ „დახატა“), ქო ნაწილაკისეული **ო > უ > გ** (ქო-მილ-უ > ქუ-მილ-უ > ქგ-მილ-გ „მოიტანა“), დო ზმნისწინისეული **ო > უ > გ** (დუ-ხანტ-უ > დგ-ხანტ-გ „დაუხატავს“)... **გ** არ გვხვდება ბაგისმიერთა მეზობლად. **გ-ს** დისტრიბუციისათვის მეგრულში იხ. ე.დადიანი, 2007).

სხვა ქართველური ქვესისტემების მსგავსად, ჟ მიიღება **ი** ხმოვნის, **ლ, შ, ს** თანხმოვნებისაგან. **ი>ჟ**: ვაძჩქე (<ვაიჩქე<ვაგჩქე „არ იცი“); **შ>ჟ**: კოჩ-იჟ ცუდე (<კოჩ-იშ ცუდე) „კაცის სახლი“, მუმა-ჟ სახელი (<მუმა-შ სახელი) „მამის სახელი“...

ლ>**მ**: მამას (<მალას) „მალე“, **ფ**ული (<ლული) „ლეღვი“... **ს**>**მ**: ჰკვდი-**მ** (<ჰკიდის) ჰუნდეს „მჭადს აცხობდნენ“...

ლ ბგერის პალატალიზაციის ხარისხი ყველაზე მაღალია მარტივლორ-ბანძურ თქმაში; ის **ფ**-დ იქცევა, ან საერთოდ იკარგება.

ფ თავს იჩენს რბილი დამართვისას: პედნსია „პენსია“, ზოთოფნშოთ „ზამთრისთვის“...

შენიშვნა: სპეციალისტები მიუთითებენ, რომ **უმარცვლო ი** სამურზაყანოულ-ზუგდიდურ კილოკავში არ დასტურდება (მ. ციკოლია, 1954: 323). გამოქვეყნებულ მეგრულ ტექსტებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება იოტიანი ფორმები. **ფ** სამურზაყანოულ მეტყველებაში ისევე აქტიურად რეალიზდება, როგორც მეგრულის დანარჩენ კილოკავ-თქმებში,

გავრცელებული ფონეტიკური მოვლენებია: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი...

ქართველური ქვესისტემების დამახასიათებელი ხმოვანთკომპლექსთა გამარტივება მეგრულში დასრულებულია: წარმოქმნილია ერთი ხმოვანი; მაგ.:

აუ > **ოუ** > **უუ** > **ჟ/უ:** დოუჭარუ > დუუჭარუ > დუჭარუ „დაუწერია“, გოუგებუ > გუუგებუ > გუგებუ „გაუგია“...

აი > **ეი** > **ეე** > **ე:** მაისი > მეისი > მეესი > მესი „მაისი“, ვაიში > ვეიში > ვეეში „არ იშოვება“ (მდრ. იმერ., გურ. ბალანა-ი > ბალან-ე-ი > ბალან-ე)...

თანხმოვანთა ასიმილაციის ნიმუშს წარმოადგენს I პირის პრეფიქსთა (**ვ-**, **მ-**) ვარიანტები:

ვ,მ > **ბ** (მყდერი თანხმოვნების მეზობლად): **ბ**-გორუნქ (<ვ-გორუნქ) „ვეძებ“, **ბ**-ღვანქ (<ვ-ღვანქ „ვღებ“... **ბ**-გორუნს (<მ-გორუნს) „მეძებს“...

ვ,მ > **ფ** (ყრუ ფშვინვიერებთან): **ფ**-ხანტუნქ (<ვ-ხანტუნქ) „გხატავ, **ფ**-ქუნქ (<ვ-ქუნქ) „გფქვავ“... **ფ**-ხანტუნს (<მ-ხანტუნს) „მხატავს“...

ვ,მ > **პ** (მკვეთრ თანხმოვნებთან): **პ**-ტახუნქ (<ვ-ტახუნქ) „ვტეხ“, **პ**-კვათუნქ (<ვ-კვათუნქ) „ვკვეთ, ვჭრი“... **პ**-ჭარუნს (<მ-ჭარუნს) „მწერს“...

სახელთა ბრუნება. არქაული ქართულის მსგავსად, მეგრულში შემდეგი ბრუნვები გამოიყოფა: **მარტივი:** სახელობითი (-ი/0), მოთხრობითი (-ქ), მიცემითი (-ს), ნათესაობითი (-იშ/-შ), მოქმედებითი (-ით, -თ), ვითარებითი (-ო, -თ). **ნაწარმოები:** დანიშნულებითი (-იშ-ოთ), დაშორებითი (-იშ-ე), მიმართულებითი (-იშ-ა). განსხვავებულია მოთხრობითი ბრუნვის მორფემა.

ბრუნების თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეგრულს ახასიათებს თანხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი ბრუნვის **-ი** ნიშნის შეხორცება სხვა ბრუნვებში: კოჩიქ/კოჩქ, კოჩის/კოჩს>კოს... მსგავსი ფაქტები ცნობილია რიგ კილოებში (იმერ., გურ., ლეჩხ.) ძირითადად საკუთარ სახელებთან, იშვიათად საზოგადო სახელებთან. მაგ.: მერაბ-ი (სახ.), მერაბ-ი-მ (მოთხრ.), მერაბ-ი-ს (მიც.)...

კუმშვა-კვეცა ბრუნებისას არ ხდება.

მრავლობითის ნიშნად გამოიყენება **-ეფ** სუფიქსი, რომელიც იგივე **-ებ** სუფიქსია, ფონეტიკურად სახეცვლილი. **-ეფ** ფორმანტს იშვიათად **-ემ/-ენ** ვარიანტები ენაცვლება: კოჩ-**ეფ**-ს/კოჩ-**ემ**-ს/კოჩ-**ენ**-ს...

ზმნის თავისებურებები. მეგრულში S₃ პირის ნიშნად ნამყო დროის ფორმებთან არქაული **-ეს** სუფიქსი გამოიყენება: ჭარუნ-დ-**ეს** „წერდნენ“, დოჭარ-**ეს** „დაწერეს“, დუჭარუ-დ-**ეს** „დაეწერათ“... (მდრ. ძვ. ქართული: წაიღებდ-**ეს** „წაიღებდნენ“; ფხოური კილოები (ხევს.): ადგ-**ეს** „ადგნენ“).

კავშირებითის ფორმათა წარმოება უნიფიკაცირებულია: გაბატონებულია ერთი სუფიქსი **-ა**: ჭარუნდ-**ა**-ს (I კავშ.) „წერდეს“, ჭარ-**ა**-ს (II კავშ.) „წეროს“, დუჭარუდ-**ა**-ს (III კავშ.) „დაეწეროს“... (მდრ. ხევს. წერდ-**ა**-ს „წერდეს“, დაწერ-**ა**-ს „დაწეროს“; მოხ.: დამალ-**ა**-ს „დამალოს“; ჰერული (კაკური): ჭამ-**ა**-ს „ჭამოს“). მეგრულში I-II პირში (მხოლოდითი) გარკვეულ შემთხვევებში კავშირებითის **ა > ე**: პ-ჭარუნდ-**ა** > პ-ჭარუნდ-**ე** „ვწერდე“, ჭარუნდ-**ა** > ჭარუნდ-**ე** „წერდე“.

პირის ნიშნები არსებითად იგივეა, რაც სხვა დიალექტებში.

მეგრულში სალიტერატურო ქართულის ყველა მწკრივი გვაქვს. დამატებით გვხვდება IV სერიის **ნო-** პრეფიქსიანი მწკრივები: **ნო**ჭარუე „ნაწერა“, **ნო**ცხოვრებუე „ნაცხოვრება“... აგრეთვე ნამყო კავშირებითის (პირობითის) ფორმები, რომლებიც წარსული დროის კავშირებითი კილოს სემანტიკის გამომხატველი ფორმებია და იწარმოება **-კო** (<ოკო) სუფიქსით.

ზმნისწინის ცვლილებები: **და/დო/დუ/დე, გა/გო/გუ/გგ** (მდრ. ინგ.).

თემის ნიშანთა უნიფიკაცია; გაბატონებულია **ნ** სონორი ბგერის შემცველი სუფიქსები: **-უნ, -ენ, -ენ, -ან**: კვათ-**უნ**-ს „ჭრის“, ჭკომ-**უნ**-ს „ჭამს“, აკეთ-**ენ**-ს „აკეთებს“, ფიქრ-**ენ**-ს „ფიქრობს“, ღვარ-**ან**-ს „ყვირის“, დვ-**ან**-ს „დებს“... (თემის ნიშანთა მსგავსი ფონეტიკური ვარიანტები ცნობილია სამცხურ-ჯავახურში).

სინტაქმა. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი სახელები გათანაბრებულია; მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმითაა წარმოდგენილი: ჭიჭე ცუდე „პატარა სახლი“, ჭიჭე ცუდე-ქ, ჭიჭე ცუდე-ს, ჭიჭე ცუდე-შ... დიდი ცუდე „დიდი სახლი“, დიდი ცუდე-ქ, დიდი ცუდე-ს, დიდი ცუდე-შ... (მდრ. იმერ.).

ქვემდებარე II სერიაში ყველა ტიპის ზმნასთან, როგორც წესი, მოთხრობითი დგას: კოჩქ ირულუ „კაცმა გაიქცა“; ძღაბიქ გედირთუ „გოგომ ადგა“... ანალოგიური ფაქტები მეტ-ნაკლებად გვხვდება სხვა კილოებშიც: იმერ., გურ., რაჭ., ქართლ., კახ., ფერ... მოვლენას საერთო საფუძველი აქვს: აქტიური, დინამიკური ზმნების გათანაბრება და მათთან II სერიაში ქვემდებარის უნიფიკაცია მოთხრობით ბრუნვაში.

ლექსიკა. მეგრული დიალექტის ძირითადი ლექსიკური ფონდი საერთოქართველურია. ლექსიკის ნაწილი იდენტურია ქართული სალიტერატურო ენის სიტყვებისა, ნაწილი შესატყვისობებს იძლევა. გამოიყოფა საკუთრივ დიალექტური ფენაც. უცხო სიტყვათა ხვედრითი წილი შედარებით მცირეა.

იდენტური: ზღვა, ცა, ცხენი, კარი, დრო, ხანი, წამი, წამალი, ძალა, ღონე, წესი, წირვა, ხარება, ჯვარი, მდიდარი, ღარიბი, ქონება, შეძენა, შეცოდება, შეწუხება, დაბადება, ხელობა, წადილი, ძღვენი, შიში, შორი, წყნარი, სწორი, დიდი, მაღალი, დაბალი, მწარე, ჭირი, ჭკუა, ტვინი...

შესატყვისი: ართი „ერთი“, ოში „ასი“, მა „მე“, სი „შენ“, ჩქიმი „ჩემი“, ოსური „ასული, ქალი“, კოჩი „კაცი“, მუმა „მამა“, ჯიმა „ძმა“, დლა „დღე“, ტყა „ტყე“, სხული „მსხალი“, უშქური „ვაშლი“, ხოჯი „ხარი“, ჯოლორი „ძალი“, ქოთომი „ქათამი“, ჭითა „წითელი“, ჭარუა „წერა“, ჭკირუა „ჭრა“, შუმა „სმა“, ტახუა „ტეხა“...

დიალექტური: ბუზუ „წაბლი ბუდე“; თუღო „დაბლა, ქვევით, ძირს“; თური „მოგვარე, სისხლით ნათესავი“; თუხუა „რთვა (დაფისა), დაფის გრეხით გამოყვანა“; კაჯალი „მომცრო და ჩაფსკვნილი“; ნაცა „თამამი, გამოცდილი“; ნახაფული „ბაფოტი“; ოკარიე „ოთხ ბოძზე შედგმული ოთხკუთხა მოწნული საქათმე“; ოჭიში „ზურგი, წელი“; რზენი „ბარი, დაბლობი, ვაკე“ (ო.ქაჯაია, 2001-2002).

უცხოური: ვა „ბორცხვი, მაღლობი“ (სპარს. გნჰ, ჯნჰ „ადგილი“), გორდა „გამობერილი“ (სპარს. გორდა „წელი“, გირდა „მრგვალი რამ“), ანჯამ „ბოლო“, ყუმინ „სრიალი, ტრიალი“ (სპარს. ყუბინ/ზუბინ „შუბი“ (მ.ხუბუა, 1945). თურქ. ხაზირი „მზა“.

ამავე დროს მეგრულს შემონახული აქვს უამრავი **არქაული** სიტყვაფორმა. ისინი თანამედროვე სამწიგნობრო ენას დაუკარგავს, მაგრამ გვხვდება ძველ წერილობით ძეგლებში; მაგ.: მეგრ. **წილუა** „მოკრეფა, მოწყვეტა“ (მდრ. ძვ. ქართ. მოწილვა „ხილის კრეფა“); მეგრ. **წინდა** „ჭუჭყი“ (მდრ. წიდა „ჭუჭყი“); მეგრ.-ჭან. **გუბუა/გიბუა** „ხარშვა“ (მდრ. ძვ. ქართ. გბობა „ხარშვა“)... მეგრ. **წიკუა** „დასვრა, გაჭუჭყიანება“ (მდრ. მწიკ „ჭუჭყი“); მეგრ. **კურთა** „ქვედა საცვალი“ (მდრ. კვართი „ზედა ტანსაცმელი, გრძელი პერანგი“)...

2.24. ლაზური (ჭანური) დიალექტი

საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა ჭანეთი ანუ ლაზეთი. ეს კუთხე ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთშია. ადრეულ ხანაში (III-VI სს.) ლაზეთი მოიცავდა შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მთიანეთს — აღმოსავლეთ პონტოს მთების ჩრდილოეთ კალთებს, მდ. ჭოროხის ზემო წელის აუზს (ახლანდელი თურქეთი, ბაიბურთისა და ისპირის ილჩეების (მაზრების) ტერიტორია), ართვინის, რიზესა და ტრაპიზონის ვილაიეთების დიდ ნაწილს.

VI საუკუნის I ნახევარში ლაზეთი/ჭანეთი ბიზანტიამ დაიპყრო. XIII-XIV საუკუნეებში იგი ტრაპიზონის იმპერიის შემადგენლობაში იყო. XIV საუკუნეშივე ჭანეთის აღმოსავლეთი ნაწილი სამცხის სამთავროს შემადგენლობაშია. 1461 წელს, თურქეთ-ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის განადგურების შემდეგ, ჭანეთის დიდი ნაწილი მათი ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა; მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილი დარჩა საქართველოს შემადგენლობაში. 1547 წელს ოსმალეთმა აღმოსავლეთ ჭანეთიც მიიტაცა. რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შედეგად, **ბერლინის კონგრესის (1878) გადაწყვეტილებით, საქართველოს დაუბრუნდა აღმოსავლეთ ჭანეთის ნაწილი** (ხელვაჩაურის რაიონის სოფ. სარფისა და მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია).

დღეს საქართველოში სარფი ერთადერთი სოფელია, სადაც ჭანები/ლაზები კომპაქტურად ცხოვრობენ. მცირე რაოდენობით არიან გონიოს თემის სოფლებში: თხირნალში, მახოსა და სიმონეთში (არნ. ჩიქობავა, 1936: 7).

ჭანი ქართული წარმომავლობის თემონიმია; **ლაზი** კი — უცხოური; შესაბამისად, **ჭანეთი** ქართული სიტყვაა, **ლაზიკა** — ბერძნული, ხოლო **ლაზ-ეთ-ი ლაზ-** ფუძის მიხედვით ბოლო პერიოდში შექმნილი სახელია.

ქართული წყაროების მიხედვით, ადრეულ პერიოდში **ჭანეთის/ლაზეთის** მცხოვრებსაც **მეგრელი** ერქვა; ჩანს, **ჭანი** ძველ მეგრელთა ერთ-ერთი თემი იყო. დღეს ჭანები თავის თავს **ლაზებს** უწოდებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში **ლაზური** და **ჭანური** სინონიმური ტერმინებია.

ვახუშტი **ჭანეთის** შესახებ მოგვითხრობს: „ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამჯრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, აწ უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავი ზღვის კიდის წადევნებით, გონი-იდამ ტრაპიზონის საზღვრამდე. გონიის დასავლით მოერთვის ზღვას მდინარე, ჭანეთში გამომდინარე ჭანეთის მთისა, რომელი მდებარეობს ჭანეთსა და ფორჩხის ვეობას, და მოდის ჩდილოთ. ამ მდინარის იქით არს ხოფა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხოფჯისა, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. კვალად მოერთვის ზღვას მდინარე, ხოფჯას იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთისა, რომელი არს ბაიბურდსა და

ჭანეთს შორის და მომდინარე კერძოდ. ამ მდინარის დასავლით არს ქალაქი მცირე რიზა, ზღვის კიდეზედ. მოერთვის მუნვე მდინარე მისივე, ზღვასა, და გამოსდის მასვე მთასა და მოდის ცდილოთ. ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინლა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინის-პალო, აქავ არს სატყეპელა...

ჯაცნი არიან... სარწმუნოებით აწ სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოებიან ქრისტიანები, არამედ იციან კვალად ქართულნი ენა ვიეთთამე.

ხოლო მზღვრის ჭანეთს: აღმოსავლით გონის საზღვარი: სამკრით მთა ჭანეთისა, ფორჩხა ბაიბურდსა და ჭანეთს შორისი; დასავლით მცირე მთა იგი ქართლის საზღვარი და ჩდილოთ ზღვა შავი“ (ვახუშტი, 1941: 142-143).

საქართველოში მცხოვრებ ლაზებს ობიექტური ინფორმაცია აქვთ თავიანთ ეთნიკურ და კულტურულ ისტორიაზე, ამიტომაც თავს ქართველებად აღიქვამენ. **თურქეთის საზღვრებში მოქცეული ქართველები კი სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ:** მცირე ნაწილს აქვს ობიექტური ცოდნა საკუთარი სამწიგნობრო და ეთნიკური ისტორიისა და, გამოდმა სარფის ლაზების მსგავსად, თავს ქართველებად მიიჩნევენ; მეორე ნაწილს ლაზები ერთ-ერთი თურქული ტომი ჰგონია, დანარჩენებმა კი არ იციან, რომ მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურა მათი წინაპრების მიერაცაა შექმნილი და თავს უმწიგნობრო (ფოლკლორის ამარა დარჩენილ) ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევენ; პარალელურად, თურქსაც და ქართველსაც მტრული თვალთ უყურებენ, საკუთარ თავს სრულ იზოლაციაში აქცევენ და, რუსული იმპერიის ინტერესების შესაბამისად, ქართველებსაც უპირისპირდებიან და თურქებსაც.

ენობრივი დახასიათება

კილოკავები. ჭანურს, მეგრულისაგან განსხვავებით, ძლიერი დიალექტური დიფერენციაცია ახასიათებს, რაც ქართული მეტყველებისაგან იზოლაციითა და უცხო ენობრივ გარემოში არსებობით აიხსნება. ჭანურის კილოკავებია: **ათინური, ვიწურ-არქაბული და ხოფური.** ათინურში გამოიყოფა **ბულეფურ-ართაშენული**, ხოფურის თქმას წარმოადგენს **ჩხალური**; ვიწურ-არქაბული კილოკავი **ვიწურისა** და **არქაბული** თქმების შენაერთია (არნ. ჩიქობავა, 1936: 9).

ჭანურის კილოკავები უფრო განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვიდრე მეგრულის კილოკავები.

განსხვავება ლაზურის კილოკავებს შორის ძირითადად თავს იჩენს თანხმოვანთა სისტემაში. ლაზურში მოხდა **ჟ** ბგერის დეფარინგალიზაცია (ველარიზაცია). **ჟ** ბგერა სხვადასხვა კილოკავში განსხვავებული რეფლექსებით ვლინდება:

ხოფურში **ჟ** გარკვეული დისტრიბუციული შეზღუდვებით რეალიზდება: თავკიდურ პოზიციაში **ჟ**-ს მოსდევს ხმოვანი ან **ჭ**

ბგერა: **ყ**ინი „ყინული“, **ყუ**ჯი „ყური“... **ყვაფერი/ყუარერი** „დაკოდლი“, **მეყვაფერი/მეყუაფერი** „მაწონი“... არც ერთ პოზიციას **ყ**-ს მომდევნოდ არ დასტურდება თანხმოვანი (შდრ. ქართ. ყდა, ყრუ). ხოფურში მოხდა სრული დეფარინგალიზაცია, ამიტომ **ყ**-ს რეფლექსებად არასოდეს არ გვხვდება **ც** და არ გვაქვს ფარინგალიზებული ხმოვნები (განსხვავებით ვიწურ-არქაბულისა და ათინურისაგან).

ჰარმონიულ კომპლექსებში **ყ** ბგერა იცვლება **კ**-დ: **წყ > წკ**: **წკარი** „წყალი“, **გომწკი** „გავხსენი“... **ჭყ > ჭკ**: **მეჭკორღუ** „მეწყდა“, **გოჭკორღუ** „გაწყდა“... **ტყ > ტკ**: **ტკები** „ტყავი“, **ტკობაშა** „მალულად“...

ვიწურ-არქაბულში **ყ** ბგერის ნაცვლად ხმოვნებთან გვხვდება **ც** ან **ძ**, ხშირად **ო** (ნული): **ყუჯი** „ყური“, **უძონუნ** „ჰყავს“, **მენდიონუნ** „წაიყვანა“. **ვ** ბგერის წინ **ყ** შეიძლება **კ**-დ იქცეს: **კვარი** „ყვავი“, **კვა** „შუბლი“, **კვალი** „ყველი“. ჰარმონიულ კომპლექსებში **ყ**-ს ადგილს იჭერს **კ**: **წკარი** „წყალი“, **მწკირი** „რწყილი“, **ლემწკვა** „ნერწყვი“...

ათინურში **ყ**-ს ადგილას წარმოდგენილია **ო** (ნული), იშვიათად **ძ**. ხმოვნების წინ ან ხმოვნებს შორის: ინი „ყინული“, უჯი / ძუჯი / უჯი „ყური“...

ვ თანხმოვნის წინ **ყ** **კ**-დ იქცევა ან საერთოდ იკარგება: **ყვარერი > კვარერი/კუარერი/ვარერი** „დაკოდლი“. **ყვ > ო**: **ბყვილუფ > პილუფ** „გკლავ“, **ყვ > ძ**: **მეყვაფერი > მეძაფერი**.

ათინურში ჰარმონიულ კომპლექსებში, განსხვავებით სხვა კილოკავებისაგან, **ყ** **კ** ვერ ძლებს, უკვალოდ იკარგება: **წარი** (<წკარი), **გომწი** (<გომწკი), **ტები** (<ტკები)...

ათინური მკვეთრების შემდეგ საერთოდ ვერ იტანს **კ**-ს: **მაწინდი** (<მაწკინდი) „ბეჭედი“, **მტუ** (<მტკუ) „მტკაველი“...

ვიწურ-არქაბულსა და ათინურში **ყ**-ს დაკარგვას მოჰყვა ხმოვნის ფარინგალიზაცია, როგორც ერთგვარი კომპენსაცია:

ხოფური	ვიწურ-არქაბული	ათინური
ყონა	ცონა / ონა	ძუჯი / ოუჯი
ყუჯი	ცუჯი / ოუჯი	ძუჯი / ოუჯი

ლაზურში **ყ**-ს რეფლექსებად გვხვდება აგრეთვე **ღ**, **ხ**: **ყაზ** (ხოფ.), **ლაზ/აზ** (ვიწ.), **ხაზ/ძაზ** (ათინ.) „გათლა“. **ღარღალი** (ხოფ.) (შდრ. ქართ. ყარყარი, სვან. გარგლა „ყაყანი, ხმაურობა“ (ნ. ქუთელია, 2005: 94-110).

ჰანურის კილოკავები სხვაობენ გამკვეთრების ტენდენციით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ათინური.

ხოფური	ვიწურ-არქაბული	ათინური
ბრინჯი	ფრინჯი (ვიწ.), ფირინჯი/ფრინჯი/ბრინდი(არქ.)	პრინდი
ბაზარი/ბაზარი/პაზარი	პაზარი	
ღურაღურანი	ტურა „ყრუ“	

ობორჯა	ობორჯა	ორ-
და/ხორდა/		
ობორწა/ხორწა		
შქა	შქა/შკა	შკა

(ნ. ქუთელია, 2005: 84-89).

ჭანურის კილოკავები სხვა ნიშნებითაც სხვაობენ, კერძოდ: ნოფურში:

1. მყოფადი იწარმოება **-მინონ, -გინონ, -უნონ** მეშველი ზმნით: ბზიმა-**მინონ** „გავზომავ“...
2. III სერიის ფორმები იწარმოება **-ერე/-ერეტ/-ერეტა** მაწარმოებლებით: ბზიმ-**ერე** „მიზომავ“, ბზიმ-**ერეტი**, ბზიმ-**ერეტა** „მეზომოს“.
3. ხშირია **ჟ/ი** სუბსტიტუცია: ქიმოლი < ქომოლი „ვაჟკაცი“, ჩქინი < ჩქჟინი „ჩვენ“...
4. **რ** ბგერის დასუსტება-დაკარგვა: ოხოი < ოხორი „სახლი“, გუი < გური „გული“, მგეი < მგერი „მგელი“...
5. აწმყოს ფუძის მაწარმოებელ სუფიქსად გამოიყენება **-უფ/-იფ**: კვათ-**უფ**-ს „ჭრის, კვეთს“, იქ-**იფ**-ს „იქმს“... ათინურში (აგრეთვე ვიწურ-არქაბულში); 1. მყოფადი იწარმოება **ერე**-ს საშუალებით: ბზუმა-**რე** „გავზომავ“...
2. III სერიის ფორმები იწარმოება **-დორენ, -დორტუნ, -დორტას** მეშველი ზმნით: ბზუმი-**დორენ** „მიზომავ“, ბ-ზუმი-**დორტუნ** „მეზომოს“, ბ-ზუმი-**დორტას** „მეზომოს“...
3. დასუსტებულია მიცემითი ბრუნვა: კოდუმს ოხორი „ავებს სახლი (=სახლს)“...
4. უკანაენისმიერ **გ, კ, ქ** თანხმოვანთა პალატალიზაცია გააფრიკატებამდის: ბერჯი < ბერგი „თოხი“, თოჭი < თოკი, ღუჩმანე < ღუჭმანე „ღუჭანი“... (არნ. ჩიქობავა, 1936: 26).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. განსხვავებულ ბგერათაგან ჭანურში დასტურდება: **ც, ჭ, ძ.**

ძ ძირითადად უცხო ენებიდან (თურქული, ბერძნული) ნასესხებ სიტყვებში გვხვდება: **ჭუკარა** „ლარიბი“, **ეჭენდი** „ბატონი“, **ფესი** „ქული (თურქ.)“, **ოჭ(რ)ილი** „წარბი“, **ჭარა** „ჯერ“ (ბერძნ.)... იშვიათად თავს იჩენს ჭანურ მასალაშიც: მოჭთი „მოვედი“...

ც ბგერა წარმოადგენს **ყ** თანხმოვნის რეფლექსს: **ცინი** (<ყინი) „ყინული“, **ცონა** (<ყონა) „ყანა“...

ძ მიიღება **ი, ე, რ, ჯ, ყ, უ**... ბგერათა ცვლილების შედეგად. **ძ < ი:** **გაძიციხუ** < **გიაძიციხუ** < **გეაძიციხუ** „დასცინა“... **ძ < ე:** **გძოლუ** < **გეოლუ** „ჩამოვარდა“... **ძ < რ:** **მძენ** < **რენ** „არის“... **ძ < ჯ:** **მძხო** < **ჯოხო** „ჭკვია“... **ძ < ყ:** **მძონა** < **ყონა** „ყანა“... **ძ < უ:** **მეძალაფა** < **მეჟალაფა** „გადავარდნა“... (ნ. ქუთელია, 1980: 106-107).

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია პალატალიზაცია (ხმოვანთა, თანხმოვანთა), დიფთონგიზაცია, ბგერის დაკარგვა...

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებები თვისობრივად ისეთივეა, როგორიც მეგრულსა და აჭარულში:

აუ > უ: მენდაულუ > მენდულუ „წაულო“, გამაუჯოხუ > გამუჯოხუ „გამოუძახა“... **ოუ < უ:** დოუწუ > დუწუ „უთხრა“, ქოდუდგუ > ქოდუდგუ „დაუდგა“... (არნ. ჩიქობავა, 1936: 31).

პალატალიზაციის შედეგად **გ,ქ,კ > ჯ,ჩ,ჭ. გ > ჯ:** გდარი > ჯ(დ)არი „ჯარი“, გენი > ჯენი „ხბო“... **ქ > ჩ:** ქდოი > ჩდოი/ჩოი „სოფელი“ (თურქ.)... **კ > ჭ:** კიბირი > ჭიბრი „კბილი“...

აღსანიშნავია **რ,ს ბგერათა დასუსტება-დაკარგვა.** **რ** იკარგება ხმოვნებს შორის და **ს** თანხმოვნის წინ: გიინი < გირინი „ვირი“, ქოძიუ < ქოძირუ „ნახა“... იმხოს < იმხორს „ჭამს“...

ს სუსტდება სიტყვის ბოლოს ხმოვნის შემდეგ: შუმტეფ < შუმტეს „სვამდნენ“, ოშვეფ < ოშვეს „დალიეს“, დონეფ > დონეს „წაიყვანეს“... (შდრ. კახ. გააკეთეფ „გააკეთეს“, მოვიდეფ „მოვიდეს“...).

სახელთა ბრუნება. ჭანურის ბრუნვები ძველი ქართულისა და მეგრულის მსგავსია; ბრუნვის ნიშნებიც ძირითადად იდენტურია: სახელობითი (-ი/-ე), მოთხრობითი (-ქ), მიცემითი (-ს), ნათესაობითი (-შ-ი), მოქმედებითი (-თე-ნ), მიმართულებითი (-შა) და დაშორებითი (-შე-ნ)...

ჭანურში ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი სახელები ერთნაირად იბრუნვის. სახელობითის **-ი/-ე** ნიშნები სახელს გადაყვება ყველა ბრუნვაში (ა,ო,უ ხმოვანფუძიანთა მსგავსად). ჭანურისათვის უცხოა ფუძის კუმშვა-კვეცა. მაგ.: სახ. კოჩი, მოთხრ. კოჩი-ქ, მიც. კოჩი-ს, ნათ. კოჩი-შ(ი), მოქმ. კოჩი-(თე)ნ, მიმართ. კოჩი-შა, დაშორ. კოჩი-შე(ნ).

მრავლობითის მაწარმოებელია **-ეფ/-ფ** სუფიქსი, **-ებ** ფორმანტის ფონეტიკური (დაყრუებული) ვარიანტი (შდრ. დიალექტებში ყრუ თანხმოვნების წინ **-ებ** ხშირად ყრუვდება: კაც-ეფ-ს, ქალ-ეფ-ს...). მრავლობითში თანხმოვანფუძიანი სახელი **-ეფ** ფორმანტს დაირთავს, ხმოვანფუძიანი კი — **-ფ** სუფიქსს: კოჩ-ეფ-ე „კაცები“, კატუ-ფ-ე „კატები“...

ჭანურისათვის სპეციფიკური ჩანს ის ფაქტი, რომ ბრუნვის დაბლოკებას ხშირად დაირთავს ზმნის ფორმა: ფარა გეჭოფუ-შ-კულე ძიცინერ-ძიცინერი ოხოიშა იგზალუ „ფული აიღო-ს შემდეგ სიცილ-სიცილით წავიდა შინ“ (არნ. ჩიქობავა, 1936: 63). **-შ** ნათესაობითის ნიშანია, **კულე** — ზმნისართი „შემდეგ“. აღნიშნული კონსტრუქცია ლაზურში თურქულის გავლენითაა გაჩენილი (ს. ჯიქია, 1967: 371-372).

ზმნური თავისებურებანი. ჭანურში პირის ნიშნები ძირითადად იგივეა, რაც სამწიგნობრო ქართულსა და ქართულ/ქართველურ კილოებში, მცირე ფონეტიკური ვარიანტებით. კერძოდ, **I** სუბიექტური პირის პრეფიქსია **ვ-**, რომელიც უცვლელია ხმოვნების წინ: **ვ**-იდი „წავედი“, **ვ**-ორე „ვარ“, **ვ**-იგზალი „გავემგზავრე“... (ვიწურ-არქაბულში ამ პოზიციაში **ვ**-ს ადგილას **ბ**-ც დასტურდება:

ბ-იდი, ბ-ორე, ბ-იგზალი...). თანხმონების წინ -გ ფორმანტი ფონეტიკურ ნაირსახეობებს იძლევა: გ > ბ დასტურდება მჟღერი თანხმონების წინ: ბ-გუბი „გხარშე“, ბ-ზუმი „გზომე“... გ > ფ გვხვდება ფშვინვიერების, ყრუ სპირანტებისა და აფრიკატების, აგრეთვე უკანაენისმიერთა წინ: ფ-თქვი „ფთქვი“, ფ-ხორხუმ „ფხერხავ“... გ > პ გვაქვს ყრუ მკვეთრების წინ: პ-კვათუმ „გკვეთ, ვჭრი“, პ-ჭკომი „გჭამე“...

S₂ პირი გაუფორმებელია: იგზალი „გაემგზავრე“, ორე „ხარ“...

S₃ პირი აღინიშნება -ნ, -ს, -უ სუფიქსებით: რე-ნ „არის“, ხე-ნ „ზის“... ჭარუმ-ს „წერს“, ხორხუმ-ს „ხერხავს“... ირდეტ-უ „იზრდე-ბოლა“, დოღურ-უ „მოკვდა“...

O₁ პირი გაფორმებულია მ- პრეფიქსით: მ-ინონ „მინდა“, მ-ჯოხონს „მქვია“...

O₁ პირის ნიშნად გ- პრეფიქსი იხმარება: გ-ინონ „გინდა“, გ-კითხუ „გკითხა“, გ-ჯოხონს „გქვია“...

O₁ პირი ზმნაში არ აღინიშნება: უ-ნონ „უნდა“, კითხუ „ჰკითხა“, ჯოხონს „ჰკითხა“...

სუბიექტური პირის მრავლობითობა I-II პირში -თ სუფიქსით აღინიშნება, III პირში კი — -ან, -ეს ფორმანტებით: ვ/ბ-ორე-თ „ვართ“, ორე-თ „ხართ“, ორე-ნ-ან „არიან“... ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად სუბიექტური ნიშნები (-ან, -ეს) გამოიყენება: მ-კითხ-ეს „გკითხა“, გ-კითხ-ეს „გკითხათ“, კითხ-ეს „ჰკითხა“...

თემის ნიშნები უნიფიცირებულია; გაბატონებულია -უმ/-უფ, -ამ/-აფ სუფიქსები: ჭარ-უმ/უფ-ს „წერს“, დორგ-ამ/აფ-ს „დარგავს“...

წყვეტილის ფუძის მაწარმოებელია -ი სუფიქსი: ბზუმი „გზომე“, ვაკეთ-ი „გავაკეთე“ (მდრ. ხევს. გავაკეთ-ი, გააკეთ-ი... (არნ. ჩიქობავა, 1936: 131-133).

მწკრივები: აწმყო, ნამყო უსრული, კავშირებითი I, პირობითი I, თურმეობითი ნამყო უსრული, მყოფადი, აორისტი, კავშირებითი II, პირობითი II, თურმეობითი I (ნააორისტალი), თურმეობითი I (ნააორისტალი), კავშირებითი III (ნააორისტალი), პირობითი III, თურმეობითი (არნ. ჩიქობავა, 1936: 137-156).

სინტაგმა. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება მარტივია: ბრუნების დროს დაბოლოება დაერთვის მსაზღვრელს იმ შემთხვევაში, თუ ის მოსდევს საზღვრულს. ხოლო თუ მსაზღვრელი საზღვრულს წინ უსწრებს, იგი არც ბრუნვის ნიშანს დაირთავს და არც რიცხვის მიხედვით იცვლება. ამ შემთხვევაში ჭანურში, სამწიგნობრო ქართულისაგან განსხვავებით, უცვლელი რჩება არა მხოლოდ ხმოვანზე დაბოლოებული მსაზღვრელი, არამედ თანხმოვანზე დაბოლოებულიც, მაგ.: დიდი ოხორი, დიდი ოხორი-ქ, დიდი ოხორი-ს, დიდი ოხორი-შ(ი)... მსქვა ოხორი, მსქვა ოხორი-ქ, მსქვა ოხორი-ს, მსქვა ოხორი-შ(ი)...

შებრუნებული წყობისას ბრუნვის ნიშნებს დაირთავს როგორც მსაზღვრელი, ისე საზღვრული: ოხორი დიდი, ოხორი-ქ დიდი-ქ,

ოხორი-ს დიდი-ს, ოხორი-შ(ი) დიდი-შ(ი)... (არნ. ჩიქობავა, 1936: 68-69).

გარდაუვალი მოქმედების ზმნას სუბიექტი ყოველთვის სახელობითში ეწყობა: ჰემუს ბაბა უღურუნ „მას მამა უკვდება“; ჰემუს ბაბა დუღურუ „მას მამა მოუკვდა“; ჰემუს ბაბა დუღურუდორენ „მას მამა მოკვდომია“. გარდამავალი მოქმედების ზმნის სუბიექტი მოთხრობითშია, ობიექტი სახელობითსა და მიცემითში: უსთაქ ოხორი კოდუმს „ხურო სახლს აგებს“ (ზედმიწ. „ხურომ სახლს აგებს“), უსთაქ ოხორი დოკოდუ „ხურომ სახლი ააგო“, უსთაქ ოხორი დოკოდუდორენ „ხუროს სახლი აუგია“ (ზედმიწ.: „ხურომ სახლი აუგია“) (იქვე: 201).

ლექსიკა. ჭანური დიალექტის ძირითადი ლექსიკა საერთოქართველურია. შემონახულია ბევრი არქაული სიტყვაფორმა. მაგ.: ჭან. *ცხოდარი* „ლოგინი“ (შდრ. ცხედარი)...

ყველაზე უკეთ ჭანური ლექსიკა ვიწურ-არქაბულს დაუცავს. ვიწურ-არქაბული „საუკეთესო ჭანურად“ მიაჩნიათ თვით ჭანებს. ჭანური მეტყველება შედარებით შერყეულია ათინის რაიონში (განსაკუთრებით სანაპირო სოფლებში).

ჭანურის ლექსიკურ ფონდში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **თურქულ** სიტყვებსა და გამოთქმებს: *ოქიბირუ* „ამაყოფს“, *გიკურბანუ* „გენაცვალს“, *დარუმ* „ნახევარი“, *ოჩალიშუ* „მუშაობა“, *თაზე* „ახალი“, *ძაღლი* „ქონი“... (ს. ჯიქია, 1975).

სინტაქსური კალკები: *ანბაი ქომეჩუ* „ამბავი მისცა“ (შეატყობინა), *ოხრი გონწკუ* „სახლი გახსნა“ (გააღო), *ბიგა ქოჭკომუ* „ჯოხი მიიღო“ (შეჭამა), *იჭთიხარ ბიქომ* „ამაყოფას ვაკეთებ“ (ვამაყოფ), *კაბლა ყვეს* „ჩხუბი ქნეს“ (იჩხუბეს) (ს. ჯიქია, 1964).

სვანურ კილოთა ქვეჯგუფი

სვანეთი მდებარებს დასავლეთ საქართველოში კავკასიონის კალთებზე; გარშემორტყმულია რაჭის, ლეჩხუმ-სამეგრელოს და აფხაზეთის ქედებით. გეოგრაფიული თვალსაზრისით იყოფა ორ ნაწილად: ზემო სვანეთად (მესტიის რაიონი) და ქვემო სვანეთად (ლენტეხის რაიონი). ზემო სვანეთში მიედინება მდ. ენგური, ხოლო ქვემო სვანეთში — მდ. ცხენისწყალი. ცალკე გამოიყოფა კოდორის (დალის) ხეობის სვანეთი, რომელიც აფხაზეთშია, გულრიფშის რაიონში.

სვანეთს აღმოსავლეთით რაჭა ესაზღვრება, სამხრეთით — ლეჩხუმი და სამეგრელო, დასავლეთით — აფხაზეთი, ჩრდილოეთით — ყარაჩაი და ბალყარეთი.

სვანები ანტიკურ წყაროებში მოხსენიებულია მისიმიანელების სახელით. სვანების თვითსახელწოდება „მუ-შუან“ ბერძნულ ენაზე „მისიმიანად“ გარდაიქმნა (ს. ყაუხჩიშვილი, 1936: 277-78); გ. მელიქიშვილი, 1965: 67). (მდრ. მეგრ. შონი „სვანი“, შონეთი „სვანეთი“).

ვახუშტი სვანეთის შესახებ წერს: „ხოლო სვანეთი ემზღვრების ყოვლითგან კავკასიის მთით, და არს რაჭა-ლეჩხუმის ჩდილოთ და ოდიშის აღმოსავლეთით. და მზღვრის სვანეთს: აღმოსავლით სვანეთსა და ბასიანს შორისი კავკასია; ჩდილოთ დიდ-ყაბართ-ჩერქესა და ამას სვანეთს შორისი კავკასია; სამჯრით სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს შორისი კავკასია; დასავლით სვანეთსა და ოდიშს შორისი კავკასია და ალანის საზღვარი. სჯივრით არს რაჭის კავკასის თხემილამ ოდიშის კავკასის თხემამდე და ალანამდე, და განით რაჭა-ლეჩხუმის კავკასის თხემილამ ჩერქეზის კავკასის თხემამდე, და რაჭისაკენ ვიწრო, ხოლო ლეჩხუმისაკენ განიერი, და მას ქვეით, ოდიშის კერძოდ, უმეტეს განიერი. ამას უდის საშუალსა მდინარე თსი, რომელი იქმნების ბოლოს კაპბეტისა, გამოსდის რაჭის მთას კავკასს და მიდის დასავლეთს-ჩდილოს შორის. ამ მდინარეს მოერთვიან ამიერ-იმერილამ ჰეზნი მდინარენი.

ხოლო რაჭა-ლეჩხუმის სამჯრით არს ლაშხეთი, და ლეჩხუმის სამჯრით და ოდიშის აღმოსავლით არს ეცერი. აქა არს ეკლესია სვეტიად წოდებული, სვეტის-ცხოვლის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვიან სვეტის-ცხოვლის კანკლის ყოფასა დღესცა, რომელი მოილო გორგასალ ინდოეთილამ...

არამედ სახელი ესე ეწოდა: ოდეს ვერღარა იტევდა ძურძუკეთი კაცთა, მეფემან საურმაგ აჰყარა მუნილამ და მისცა აქა სავანე და დასხნა სულნი დიდძალნი. ამის გამო იწოდა სავანეთი... სარწმუნოებით არიან იმერთა თანა ქართულითა და უმეცარნი აწ მისნიცა. ენა თსი აქუთ საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა“ (ვახუშტი, 1941: 172-173).

სვანეთი თემებად იყოფოდა. ზემო სვანეთის შვიდი საზოგადოება (უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი)

შეადგენდა თავისუფალ სვანეთს, ხოლო ექვსი თემი (ბეჩო, ცხუმარი, ეცერი, ფარი, ჩუბეხევი და ლახმულა) — სადადეშქელიანო სვანეთს (მფლობელი დადეშქელიანი). ქვემო სვანეთის შემადგენლობაში შემავალი სამი საზოგადოება (ლაშხეთი, ჩოლური და ლენტეხი) სამეგრელოს მთავრების მფლობელობაში შედიოდა და ერქვა სადადიანო სვანეთი. სვანეთს გარდა სვანები საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ აფხაზეთში (კოდორის ხეობა) და რამდენიმე კომლი — სამეგრელოში. სტიქიით დაზარალებული სვანეთის მოსახლეობის ნაწილი ჩაასახლეს აგრეთვე მარნეულის, ბოლნისის... რაიონებში.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. სვანურ კილოებში გვხვდება სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ბგერები, როგორცაა: **გრძელი ხმოვნები** (ბზ., ჩოლ., ლშხ.), **პალატალიზებული** (უმლაუტიანი) ხმოვნები (ბზ., ჩოლ., ბქვ., ლნტ.), ნეიტრალური **გ** ბგერა, **ჟ, ც**.

გ ბგერა სვანურ კილოებში ვლინდება ძირითადი ხმოვნების პოზიციაში მათი დავიწროების შემთხვევაში: **ა > გ:** კალმახ „კალმახი, თევზი“ > ლი-კვლმახი „თევზაობა“... **ე > გ:** ლი-შელდანი (ლნტ.) > ლი-შგლდანი (ლშხ.) „თვლა“... **ი > გ:** ლიც > ლვც „წყალი“... **უ > გ:** ფურე > ფგრე „გახურებული“... **გ** ბგერა სვანურში ძირითადი ხმოვნების რიგში განიხილება (ვ. თოფურია, 1979: 151; მ. ქალდანი, 1955: 140; ა. ონიანი, 1986: 203).

ხმოვანთა რედუქცია გავრცელებული ფონეტიკური პროცესია. რედუცირდება ყველა არაგრძელი ხმოვანი. სიტყვა აუცილებლად სამმარცვლიანი უნდა იყოს.

ლაბიალური ხმოვნები (ო,უ,რ,ჟ) რედუცირების შედეგად იცვლება **ჟ**-თი: წორ „სისხლის საფასური“ > ლიწორი „სისხლის აღება“, სგურ „ზის“ > ლი-სგურ-ე „ჯდომა“, დომდულ „მთვარე“ > დომდულ-აშ „მთვარისა“... არალაბიალური ხმოვნები (ა,ბ,ე,ი,გ) რედუცირების შედეგად იკარგება ან **გ**-თი იცვლება: ა) გეხალ „შვილი“ > უ-გხელ-ა „უშვილო“, ჯგმილ „ძმა“ (დისთვის) > ლა-ჯმილ-ა „ძმები“, ხწმ „ლორი“ > მგ-ხმგრი „მელორე“... ბ) ლარტამ „ბოსტანი“ > ლელგრტამ „საბოსტნე, ბოსტნეული“, ხარჯ „ხარჯი“ > ლი-ხგრჯე „ხარჯვა“, გარგლა „ლაპარაკი“ > მგ-გგრგალი „მოლაპარაკე“... (მ. ნიკოლეიშვილი, 1984).

პალატალიზაცია (უმლაუტი) დამახასიათებელია ყველა კილოსათვის (გარდა ლაშხურისა). პალატალიზაციის გამომწვევია **ი, ე** ხმოვნების მეზობლობა, მაგ.: ჳწწ < *წან-ი „ხარი“, გრჭ < გოჭ-ი... ხშირია ისეთი ფაქტები, როცა უმლაუტის მიზეზი არ ჩანს, პროცესი დიაქრონიულია.

მეტათეზისი: S₁ პირის პრეფიქსი თანხმოდნით დაწყებულ ფუძეებთან ინფიქსად იქცევა: ტტიხე < ტ-ტიხე „ვაბრუნებ“, დტიგე < ტ-დიგე „ვაქრობ“...

სახელთა ბრუნება. სვანურში სახელთა ბრუნების 2 ტიპს გამოყოფენ: ბრუნების II ტიპს განეკუთვნება პარადიგმა, რომელშიც ერთმანეთს ემთხვევა ნათესაობითისა და მოთხრობითის ფორმები:

ორივე ბრუნვა -ემ სუფიქსით გამოიხატება, მაგ.: სახ. ჟელ „ძალი“, მიც. ჟალჲ, მოთხრ. ჟალჲ-ემ, ნათ. ჟალ-ჲ-ემ, მოქმ. ჟალ-შჲ, ვით. ჟალჲ-დ... სხვა სახის პარადიგმა I ტიპს განეკუთვნება: სახ. ჟელ, მიც. ჟელ-ს, მოთხრ. ჟელ-დ/ჟალჲ-ემ, ნათ. ჟელ-იმ/ჟელ-მიშ, მოქმ. ჟელ-შჲ, ვით. ჟელ-დ...

სახელობითი ბრუნვა გაუფორმებელია: მხოლოდ რამდენიმე ფუძეშია დაცული ისტორიული ბრუნვის ნიშანი: დორი, სემი; მოთხრ.: -დ/-ემ სუფიქსები დაერთვის; მიცემითის ნიშანია -ს; ნათ.: -იმ/-ემ, მოქმ.: -ჲშ/-შჲ, ვით.: -დ.

სვანურში ე ბოლო- თუ შიგნისმოგნიან სახელთა ბრუნება რიგი თავისებურებებით ხასიათდება: სახელობითში, მოთხრობითსა და ნათესაობითში ე არის, სხვა ბრუნვებში — ა (სახ. მარჲ, მოთხრ. მარჲმ, ნათ. მარჲმ-იმ... მაგრამ: მიც. მარა...). შდრ. ლეჩხ., იმერ., გურ. დიალექტების ვითარება, სადაც ე ხმოვანი თავს იჩენს სახ.-ნათ.-მოქმ.-ში: ძამიე, ძამიე(ი)ს, ძამიე(ი)თ... სხვა ბრუნვებში დაცულია ა ხმოვანი: ძამიას, ძამიამ... ე მიღებულია ბოლოკიდური ა-სთან სახელობითის ი ნიშნის რეგრესული ასიმილაციით: დეიდა > დეიდეი > დეიდე (ი დაბოლოების მოკვეციტ). სვანურის ორფუძიანობა ფონეტიკური ხასიათისაა და ემთხვევა იმერულ-გურულის ორფუძიანობას და სცილდება კავკასიურ (ხუნძურ...) ენებს, სადაც ორფუძიანობა მორფოლოგიური წარმოშობისაა (ვ. თოფურია, 1954).

ზმნური თავისებურებანი. S₁ ნიშანი თავკიდურხმოგნიან ზმნებთან (არაბაგისმიერებთან) არის ხჲ-: ხჲ-არი „ვარ“, ხჲ-აჲნი „გხნავ“... ბაგისმიერ ხმოგნიებთან ხ-: ხ-ოჲნი „გუხნავ“...

თავკიდურთანხმოგნიან ზმნებთან ჲ ინფიქსი (არაბაგისმიერებთან): დ-ჲ-იგე „ვაქრობ“, ტ-ჲ-იხე „გაბრუნებ“... ბაგისმიერებთან — 0: ტული „ვიძახი“, ყული „გყვირი“...

S₂ ნიშანი თავკიდურხმოგნიანებთან ხ-, თავკიდურთანხმოგნიანებთან — 0: ხ-არი „ხარ“, ხ-აჲნი „ხნავ“... დიგ-ე „აქრობ“, ტიხე „აბრუნებ“...

S₃ გამომხატველად მიიჩნევა ლ- პრეფიქსი, რომელიც რამდენიმე ზმნასთან იხმარება: ლ-ი „არის“, ლ-გგ „დგას“... სხვა ზმნებთან ლ- არ ჩანს.

O₁ პირის ნიშანი თავკიდურხმოგნიანებთან მ-, თავკიდურთანხმოგნიანებთან — მგ: მ-იტაჲ „მიხატავს“, მ-ათჲრი „მასწავლის“, მგტხე „მაბრუნებს“...

O₂ პირის ნიშანი თავკიდურხმოგნიანებთან ჳ-, თავკიდურთანხმოგნიანებთან — ჳგ: ჳ-ა-იტაჲ „მხატავს“, ჳგტხე „გაბრუნებს“...

O₃ (ირიბი) პირის ნიშანია ხ-, პირდაპირისა — 0: ხ-ოხტაჲ „უხატავს“, ახტაჲ „ხატავს“...

სვანური კილოებისთვის დამახასიათებელია ინკლუზივე-ექსკლუზივის კატეგორია (როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ფორმებში). ქვემოსვანურ კილოებში ამგვარი დაპირისპირება მხოლოდ სუბიექტური პირის ფორმებშია. ინკლუზივის მორფემაა ლ-/ლგ-/ლჲ-: ლ-პრი-დ „ვართ“, ლგ-დგე „ვაქრობთ“... ექსკლუზივის

მორფემა მხოლოდობითის ფორმისაგან მხოლოდ მრავლობითის სუფიქსით განსხვავდება: **ხუ-**პრი-დ „ვართ“, **დ-უ-**იგე-დ „ვაქრობთ“...

ობიექტური პირის ინკლუზივის მორფემაა **გუ-** (ხმოვანთა წინ), **გუ-** (თანხმოვანთა წინ) არის წარმოდგენილი: **გუ-**ახტატი „გვხატავს“, **გუ-**ტხე „გვაბრუნებს“... ექსკლუზივის მორფემა **ნ-** პრეფიქსით არინიშება: **ნ-** (ხმოვნის წინ), **ნგ-** (თანხმოვნის წინ): **ნ-**ახტატი „გვხატავს“, **ნგ-**ტხე „გვაბრუნებს“...

მწკრივები: I სერია: აწმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი, მყოფადუსრული, მყოფადსრული, პირობითსრული, პირობითუსრული; II სერია: წყვეტილი, II კავშირებითი; III სერია: I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი; IV სერია: III თურმეობითი, IV თურმეობითი.

სინტაგმა. ატრიბუტული მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში: სახ. ძღვდ ვან „დიდი ხარი“, მოთხრ. ძღვდ ვან-დ, მიც. ძღვდ ვან-ს, ნათ. ძღვდ ვან-იმ, მოქმ. ძღვდ ვან-შუ, ვით. ძღვდ ვან-დ.

სუბსტანტიური მსაზღვრელი ნათესაობითის ფორმითაა. ხშირად ნათესაობითის შ ელემენტი იკარგება: **-იშ>-ი**, **-აშ>-ა**, **-ეშ>-ე**, **-მიშ>-მი**: ვან-ი(ს) მუჭ „ხარის რქა“, გეზლ(შ) ჟახე „შვილის სახელი“, უოქტრ-ე(შ) მესკად „ოქროს ბეჭედი“, ჟელ-მი(შ) გეზალ „ძალის შვილი“... თუ ნათესაობითი **-ემ** სუფიქსითაა გაფორმებული, ის არ იცვლება: მეზგ-ემ ზურალ „მოსახლის ქალი“... (ვ. თოფურია, 2002).

ლექსიკა. სვანურის ლექსიკური ფონდის ძირითადი ნაწილი საერთოქართველური წარმომავლობისაა. რაწილი იდენტურია, ნაწილი — ფონეტიკურად შეცვლილი.

იდენტური მასალა: ბავირ „ბავირი“, ბამბა, თემ „თემი“, ირემ „ირემი“, იმედ „იმედი“, მაშხალ „მაშხალა“, მეს „მესი“, სვეტ „სვეტი“, უბანი, ქვაბ „ქვაბი“, ღვედ „ღვედი“, შარა... (ბ. ნიჟარაძე, 2007).

ფონეტიკურად (ბგერათშესატყვისობით) სახეცვლილი მასალა: ასტიშ „ასული“, აფხნეგ „ამხანავი“, გვიბ „გუბე“, ვარჩხილ „ვერცხლი“, თაჯკ „თოკი“, დეფ „იაფი“, ნინ „ენა“, ქათალ „ქათამი“, შღღგკ „თავგი“, ჯემილ „ძმა“, მიჟ/მეჟ „მზე“, ჯან „ხარი“, დორი „ორი“, სემ „სამი“, უომდხუ „ოთხი“, უოხტიშდ „ხუთი“, უსგუა „ექვსი“, იშქტიდ „შვიდი“, არა „რვა“, ჩხარა „ცხრა“, დეშდ „ათი“, აშირ „ასი“, მი „მი“, სი „შენ“... (ბ. ნიჟარაძე, 2007).

დიალექტური ლექსიკა: ათხე (ზს., ლშხ.) „ახლა“, გეზალ „შვილი“, ხენტყი (ბქ.) „ეწებება“, დიარ (ლშხ.) „პური“, კენჭა (ბზ.) „ნეკი“, ლადგარ (ბზ.) „მოსაკლავი (იარალი)“, ლაჯად (ბქ., ლნტ.) „მოსასვლელი“, მეშხე (ზს., ლშხ.) „შავი“, ჟლირტ „წვეთი, ყლუპი“ (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000).

ნასესხები (აფხაზურ-ადიღეურიდან): ხეხუ „ცოლი“, მარე „კაცი“...

2.25. ბალსზემოური დიალექტი

ბალსზემოური კილო მდიდარია ბგერითი შედგენილობითა და ფონეტიკური პროცესებით. მასში გამოიყოფა ორი კილოკავი: აღმოსავლეთით — უშგულური და დასავლეთით — ლატალური.

უშგულურისათვის დამახასიათებელია:

1. ი ხმოვანი უძლურია უძლურის გამოწვევაში, როცა ი წარმოდგენილია (მაგ.: იღგარი „კვდება“, ხვაშიხდს „ვწვავდი“, მაგრამ ხვშხი „ვწვავ“), თუმცა გვაქვს პალატალიზებულხმოვნიანი ფორმებიც: ნაღ/ნა „ჩვენ“, სგაღ/სგა „თქვენ“, მნა/მნ „რა“...

2. ე-ს აბლაუტი ა/ა-დ ხშირია, იგი დასტურდება სახელებში და ზმნათა I თურმეობითში, უწყვეტელსა და II კავშირებითში (კაწარ = კესარ „კეისარი“, ადმწხე „გააშავა“ (შდრ. მეწხე „შავი“...), გ) პრევერბისეული უძლურისანი ა ემსგავსება I სუბიექტურიპირის ა ნიშანს და ო-დ იქცევა.

3. ჩუ ზმნისწინი იხმარება გამარტივებული ჩ-ს სახით: ჩადგარ „მოვლა“...

4. მოქმედებით ბრუნვაში -შუ ნიშანი ვერ იმსგავსებს ფუძის ბოლოკიდურ ა-სა და ე-ს: დინა-შუ „გოგონათი“, მარე-შუ „კაცი“ (ვ.თოფურია, 2002: 215).

ლატალური უშუალო მეზობლობაშია ბალსზემოური კილოს ბეჩურ კილოკავთან, შესაბამისად, მისი გავლენაც საგრძნობია. თუმცა სპეციფიკური ნიშნებიც ახასიათებს, კერძოდ:

1. აე და აი კომპლექსის დელაბიალიზაცია: ჩემინ „ქმნა“, მინდერ „მინდორი“...

2. ხშირია ა-ს ჩართვა ხმოვანთა შორის: ხოხაა? „იცის?“

3. მოქმედებითის -შუ ნიშანი -შ ვარიანტითაა წარმოდგენილი: მაყალ-შ „მიშით“, შგურ-შ „სირცხვილი“...

4. ჩუ- პრევერბის ჩ-ს სახით გვხვდება: ჩანაწდ „ჩამოვიდა“, ჩადგან „მოკვდა“... (ვ. თოფურია, 2002: 215-216).

2.26. ბალსქვემოური დიალექტი

ბალსქვემოური სვანურ კილოებს შორის ყველაზე უფრო დაქუცმაცებულია, თუმცა ხევები და თემები არც ისე დაშორებულია ერთმანეთისაგან. ბალსქვემოური აერთიანებს: **ბეჩოურს, ცხუმარულს, ეცერულს, ფარულს, ჩუბეხეურსა და ლახამულურს.**

ბეჩოური ლატალური კილოკავის მეზობლადაა. მასში საკმაოდ ჩანს ბალსხემოურის მოვლენები. ფონეტიკური თავისებურებანი: ა) უმლაუტის შესუსტება (როგორც გრძელი, ისე მოკლე ხმოვნისა): ბაზი „ამალამ“, მაზიგ „ჭირი“... ბ) ე-ს აბლაუტი ა-დ: აჩად „წავი-და“, ლაბამ „დასაბამი“... გ) ბზ. **ვლ**, ეცერ. **ვლ**-ის ნაცვლად **-ალ** ფორმანტის ხმარება: იღრ-ალ „მღერის“, იზელ-ალ „დადის“... დ) უ-ს დაკარგვა: ისგ „ვაშლი“, ხოხრა „უმცროსი“... ე) აღმავალი დიფთონგის **ჟ**-ს ნაცვლად **ლ**-ს ხმარება: ლერ „ვინ“, ლერზი „ზოგი“...

მორფოლოგიური თავისებურებანი: ა) ნათესაობითში **-(ი)შ** სუფიქსის გამოყენება **-ემ** ბოლოსართის პარალელურად და ბალსხემოურის მსგავსად მსაზღვრელთან **შ**-ს დაკარგვა: ბოგა პილს „ხიდის პირას“, ბ) უწყვეტის I და II პირში **-ასგუ** და **-დასგუ** სუფიქსთა და მათ ვარიანტთა (**-ვსგუ**, **დვსგუ**, **ვ/ასტ/დვ/ასტ...**) ხმარება, ზმნის ფუძისეული **ი**-ს შემონახვა...

ეცერული: ა) უმლაუტს იწვევს **ე** ხმოვანიც, როცა ის შეკუმშული არ არის: ნვემ „ნაგები“, ნვრდევ „ნამყოფი“, ლვლემ „შეჭამა“, ბ) **ვა > ვე**: ნვ „ჩვენ“, ნვ „წელიწადი“... გ) **უე** განიცდის დელაბიალიზაციას და რჩება **ე**: გემ „საქმე“, ტეტ „ტოტი“, გეჭ „გოჭი“... დ) **-იელ**, **-იელ** სუფიქსის ნაცვლად წარმოდგენილია **-ელ**: ხეჭვდ-ელ „ეკითხება“, ირბ-ელ „ხაბაზობს“... ე) II ობიექტური პირის ნიშანი **ჯ**- > **გ**: აჯუთეშა/აგუთეშა „გაგატეხია“, ვ) თანდებული **-ლისგა** „ში“: თხუმ-ლისგა „თავში“, დავითიშ-ლისგა „დავითისამი“...

ცხუმარულისთვის სპეციფიკური მოვლენებია: უმლაუტიანი პრევერბის პარალელურად **ე**-ნიანი ფორმის ხმარება: ჩუაღლუაჟ/ჩუედლუაჟ „იმზობიარა“... ცხუმარული მეტყველება განსხვავებულია ძველი და ახალი თაობების მიხედვით. ძველი თაობა იცავს ეცერულ მოვლენებს, რამდენადაც ცხუმარული ისტორიულად ეცერული უნდა ყოფილიყო, ხოლო ახალი თაობა ხმარობს ბეჩოურს, რამდენადაც მისი გავლენა ცხუმარულზე ძლიერია.

ლახამულური საკმაოდ განსხვავდება ბალსქვემოურის სხვა კილოკავებისაგან. დამახასიათებელი მოვლენებია: ა) ხმოვანთა ნაზალობა **მ** და **ნ**-ს მეზობლობაში, რაც სხვაგან ამჟამად არ შეინიშნება, ბ) **გ** წარმოადგენს **ჰ** და **ჯ** თანხმოვნების რეფლექსს: **ეაჯეჯ** „ის“, აატიხ „დაგიბრუნა“, გ) უმლაუტს იწვევს **უ**-ც: ლაბჭრდი = ეცერ. ლაბჭრდი „ვარცლი“ დ) **ე** აუმლაუტებს **ა**, **ო** და **უ** ხმოვნებს, ზოგჯერ **ა** იქცევა **ე**-დ: მარე „კაცი“, მახე „ახალი“... ე) **უე**-ს დელაბიალიზაცია: კალენ (<კალონ) „კანონი“, ვ) **ე/ი** ხმოვანთა

მონაცვლეობა: უმდინა<უმდინა „ულევი“, ზ) ლ/ჟ შენაცვლება
კნინობით სახელებში, მრ. რიცხვში: ლიცინუდ (=ლიცილდ)
„წყალუკა“, ზურაჟ (=ზურალ) „ქალი“, მაროჟ (=მაროლ)
„კაცები“... საინტერესოა დრო-კილოთა წარმოება, -ად პრევერბის
უცვლელი ხმარება I-II პირში (ვ. თოფურია, 2002: 216-217).

2.27. ლაშხური დიალექტი

ლაშხურს ზოგი რამ საერთო აქვს ლენტეხურთან, ზოგიც ბალსზემოურთან, მაგრამ მას საკუთრივ სპეციფიკური ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენებიც ახასიათებს, რაც მას დამოუკიდებელ დიალექტად აქცევს. შიდა დაყოფა კილოკავებად და თქმებად არ ახასიათებს.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. ბალსზემოურის მსგავსად, დასტურდება გრძელი ხმოვნები. მაგრამ შეინიშნება განსხვავებაც: ლაშხურში გრძელი ხმოვნები გვაქვს იქ, სადაც ბალსზემოურში არ არის: მურყუამ, ბზ. მურყუამ „კოშკი“, ლგ, ბზ. ლგ „დგას“...

არ ახასიათებს უმლაუტი, მაგრამ მისი კვალი ჩანს პრევერბებში, რომელთა ა > ე (მომდევნო ი, ე ზმნური პრეფიქსების გავლენით): ენმარე „მოიმზადა“, ენმარან „მოიმზადა“...

ფშვინვიერი შემართვის შემთხვევები გვხვდება უფშვინვიეროდ ან იოტირებულად: ჰაში > ლნტ. აში, ლშხ. აში „ჩატე“, ჰებ > ეებ „ბალი“...

სგ, შგ კომპლექსი გამარტივებულია გ-ს მოკვეციტ: ლემესგ > ქვ.სვ. ლემეს „ცეცხლი“.

თემატური სუფიქსები -ნსგ, -წშგ > ნს, წშ, ლნტ. -ეს (ბზ. ლიდესგი > ლშხ. ლიდეს, ლნტ. ლიდეს[კ] „დება“, „ჩაცმა“... (ვ. თოფურია, 2002: 218).

2.28. ლენტეხური დიალექტი

ლენტეხური კილო მოიცავს ლენტეხის რაიონის ოთხი სასოფლო თემის (რცხმელურის, ხოფურის, საკუთრივ ლენტეხისა და ხელედის) მოსახლეობის მეტყველებას. ეს სასოფლო საბჭოები მდებარეობენ მდინარეების — ცხენისწყლის, ხელედურის, ლასკადურისა და ხოფურლის ხეობებში. ლენტეხლებით დასახლებული ტერიტორია შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: ლენტეხური ზემო და ქვემო აშარის მოსახლეობის მეტყველებაა. ქვემო აშარს **ლექვამ აშარს** უწოდებენ და მასში შედის რცხმელურისა და ხოფურის სასოფლო საბჭოები, ხოლო ზემო აშარს **ლეჟამ აშარს** უწოდებენ, მოიცავს ხელედისა და ლენტეხის სასოფლო საბჭოებს. ოთხი საზოგადოების ლენტეხური მეტყველება ძირითადად ერთიანია, სხვაობა სოფლებს შორის უმნიშვნელოა.

კილოკავები. ლენტეხურში გამოიყოფა ორი კილოკავი: **ზემოაშარული** და **ქვემოაშარული**. ქვემოაშარულზე შეიმჩნევა ლენჩუმის დიდი გავლენა, რაც ტერიტორიული სიახლოვეთ არის გამოწვეული. რცხმელურის სასოფლო საბჭოს ერთ-ერთი სოფ. ნაშამუარი მდებარეობს ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე და ცაგერიდან ორი კმ-ით არის დაშორებული, ხოლო გასწვრივ ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე გაშენებულია ლენჩუმის სოფ. ნალომარი, რომელიც ცაგერიდან სამი კმ-ით არის დაცილებული (სვან. შამ ლომს ნიშნავს, ხოლო სვან. ნაშამუარ და ქართ. ნალომარი ერთიმეორის ზუსტი თარგმანებია (მ. ქალდანი, 1961: 167).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. ლენტეხურისათვის დამახასიათებელია: გრძელი ხმოვნების უქონლობა, უმლაუტის თავისებურება და სუსტი რედუქცია, რაც მას სხვა კილოებისაგან განასხვავებს.

ქვემოაშარული კილოკავის ხოფურულისა და ნანარულის მეტყველებაში (მსგავსად მეგრულ-ჭანურისა) **ჟ > ლ**. პროცესი დასტურდება:

ა) ხმოვნების წინ: **ჟ**ია „ყია“, **ჟ**ორ „კარი“; ბ) ხმოვნებს შუა: აბაჟა „ლოყა“, მაჟალ „შიში“... გ) **ვ(ჟ)** თანხმოვნის წინ: ლაჟვრა „საწოლი“, ქათოჟვიჩა „მოუტეხია“... დ) სიტყვის ბოლოს: მიჟ „ფერდი“, რიჟ „რიყე“, ბაჟანჟ „ბაყაყი“...

ჟ შენარჩუნებულია ჰარმონიულ კომპლექსებში: მჟტჟ „მატყლი“, ჟყინტ „ვაჟი“, ლახოჟყგლე „უჟყვილა“... **ჟ>ჟ** ახალი მოვლენა ჩანს. იგი ხშირია ახალი თაობის მეტყველებაში (მ. ქალდანი, 1961: 168).

ლენტეხურში, მსგავსად ბალსქვემოური დიალექტის ლახამულური კილოკავისა, **ღ** მიიღება **ჯ** აფრიკატის პალატალიზაციით. **ჯ>ღ**: მა ღაკუ? (<მა ჟაკუ?) „რა გინდა?“ ეღ ლეთ (<ეჯლეთ) „იმ ღამეს“... ქვემოაშარულში შეინიშნება **ჟ>ღ**: ხაღახა (<ხაჟახა) „ჰქვია“, ეჩელეღა (<ეჩელეჟა) „ზემოთკენ“. **ხ>ღ**: მა ღეკვეს (<ხეკვეს) ხოჩომნან? „რა უნდა ექნა?“ გაცღანდ (<გაცხანდ) „მართლაც“. ქვ.აშარულში **ხ>ღ>0**:

გაცად (<გაცად), ეკვეს (<დეკვეს<ხეკვეს) „უნდა“ (მ. ქალღანი, 1961: 169).

ლენტიხურს ახასიათებს თანხმობანთა ასიმილაცია: **შდ, სდ, შთ, შგ, სგ > შტ, სტ, შკ, სკ**: შტიმ „ყური“, შტიქ „კბილი“, შკვიბ „რკო“ (ბქვ. შგვიბ). სკელ — ბქვ. სგელ „სქელი“.

ლენტიხურს, სხვა კილოებისგან განსხვავებით, ახასიათებს ურედუქციო, სრულხმონიანი ფორმები. ამით მეგრულს ემსგავსება: გარგალა (>ბზ. გარგლა) „ლაპარაკი“, ნაგაზი (>ნაგზი) „კვირა“, ტებელი (>ტებდი) „თბილი“. მაგრამ გვაქვს რედუქციის შემთხვევებიც: ლახუბა (<ლახუბა) „ძმები“, სადლოურ (<სადილ) „უსადილო“...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლენტიხურსა და ბალსქვემოურს შორის ისეთივე შესატყვისობა შეინიშნება, როგორც სალიტერატურო ქართულსა და სვანურ კილოებს შორის (სალიტ. ქართ. **კ** — სვან. **ჭ**: **კაცვი/ჭაწი**, **კედელი/ჭედი**...). ლნტ. კილ — ბქვ. **ჭილ** „თითისტარი“, ხაჭენა — ხაჭონა „ახვევია“, პნფხირკე — პნფხირჭე „ამოთხარა“...

ბქვ. **ვა** > ლნტ. **ო**: ხოჩა თვალაწმ > ხოჩა თოლაწმ „ლამაზი“, იქვამ > იქომდა „იცვამდა“, ლვაჟმარ > ლოჟმარ „ვაჟკაცი“...

ხშირია **ს, ზ** ბგერათა **აფრიკატიზაცია**:

ს>ც: ბქვ. ქირს — ლნტ. ქირც „ოსპი“
ადესა — ადეცა „ვაზის ჯიში“
ემდსემი — ეშტცემი „ცამეტი“

ზ>ს: ბქვ. მალაზია — ლნტ. მალაძა
ზურალ — ძურალ „ქალი“
ქაძლუზან — ქაძლუძუ „გაიქცა“
დაზგა — ძაძგა „დაზგა“

ხმოვნის ფშვინვიერი შემართვა: **ფერბი/ერბი** „ორი“, **ფერქედა/ერქედა** „ორივე“, **ფემტ/ემტ** „ათი“, **ფარ/პრ** „ვინ“... (მ. ქალღანი, 1961: 181).

2.29. ჩოლურული დიალექტი

ჩოლური მოქცეულია ლაშხურსა და ლენტეხურს შორის და ამის გამო ჩოლურული მეტყველება ორივეს ძირითად ფონეტიკურ მოვლენებს იზიარებს. ლაშხურთან მას გრძელი ხმოვნები და რედუქცია აერთიანებს, ხოლო ლენტეხურთან — უმლაუტი.

ჩოლურულთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა; ზოგი მკვლევარი (ნ. მარი, ა. ონიანი...) მას დამოუკიდებელ კილოდ გამოყოფს, ზოგიც (ვ. თოფურია, ა. შანიძე...) ლენტეხურსა და ლაშხურს აკუთვნებს.

ჩოლურულს ა. შანიძე ასე ახასიათებს: „ჩოლურული ცალკე კილოს არ წარმოადგენს. ენობრივად იგი ორ ნაწილად იყოფა: ზემო ნაწილი ლაშხურის კილოკავია, ქვემო ნაწილი კი (სოფ. საყდარი, ბულეში, მუწდი) — ლენტეხურია. თუმცა უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ზემო ჩოლურულში უმლაუტებიც არის, რომლებიც მას ლენტეხურთან აახლოებს, ხოლო ქვემო ჩოლურულში გრძელი ხმოვნებიც მოიპოვება, რაიცა მას ლაშხურთან აკავშირებს“ (ა. შანიძე, 1957: 323).

ვ. თოფურია: „ჩოლურული ფონეტიკურად ლენტეხურსაც უკავშირდება (უმლაუტი) და ლაშხურსაც (გრძელი ხმოვნები). მაგრამ კილო ხომ თავისებურებათა ერთობლიობაა, მაშ, საჭიროა სხვა თავისებურებათა გათვალისწინებაც, მანამდე ჩოლურულის კვალიფიკაცია ნაადრევი გამოვა. სამაგიეროდ, სოფ. საყდრის მეტყველება გარდამავალი დიალექტის იშვიათ ეგზემპლარს უნდა წარმოადგენდეს“ (ვ. თოფურია, 2002: 58).

აღსანიშნავია, რომ ლენტეხურთან ახლოს მდებარე სოფლის საყდრის (აგრეთვე, როგორც შენიშნავენ, მუწდისა და ბულეშის) ძველი თაობის მეტყველება უმთავრესად ლენტეხურს გასდევს, ახლისა კი — ლაშხურს. შაყდრული მეტყველება შეჯვარებული გარდამავალი დიალექტის იშვიათ ერთეულს წარმოადგენს.

საყდარი ჩოლურის ხევის სოფელია. მდებარებს ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე, ლენტეხიდან 11 კმ-ით დაშორებით.

საყდრის მეტყველებაში დასტურდება როგორც ლენტეხურისათვის, ისე ლაშხურისათვის ნიშანდობლივი ენობრივი მოვლენები, კერძოდ, **ლენტეხურისთვის** ნიშანდობლივი მოვლენებია:

უმლაუტის არსებობა. **წ** დასტურდება სიტყვებში: ნაწ „ჩვენ“, სილწ „სილა“, ნალიწ „ნალია“... მაგრამ უმლაუტი არ ახასიათებს ისეთ სიტყვებსა და გრამატიკულ ფორმებს, სადაც იგი ლენტეხურში აუცილებელია: ჯან „ხარი“, არი „არის“... ნათ. ბრ. ქორამ „სახლის“... მრ. რიცხვში ქორალ „სახლები“... მაშასადამე, უმლაუტი სუსტადაა განვითარებული.

საყდრის მეტყველებაში პარალელურად გვხვდება: ურედუქციო და რედუქციანი. ხმოვანი დაცულია: სოფელარ „სოფლები“, საყდარალ „საყდრელები“, ახატავი „ხატავს“... ნაცვლად სხვა დიალექტებში ხმარებული ფორმებისა: სოფლარ, საყდარალ, ახტავ...

ფუძედრეკად ზმნებში დაცულია ვნებითის ე ნიშანი: ტეხენი „ბრუნდება“, ჰედენი „მოღის, მოვა“ (შდრ. ტეხნი, ჰედნი). საერთოდ არის ტენდენცია რედუქციისაკენ.

საყდრულ მეტყველებაში **სგ,შდ > სკ,შტ** (ლენტეხურის მსგავსად). **შგ > სკ**: ხენსკა „ნახევარი“, ლესკ „გვერდი“, ვისკ „ვაშლი“... **შდ > შტ**: დემტ „ათი“, სემემტ „ოცდაათი“...

I სუბიექტური პირის **ვ-** პრეფიქსს პრევერბისეული **ა** ხმოვანი არ ემსგავსება: ატვეხ „დავბრუნდი“, ჟახვამარ „მოვამზადე“...

ლაშხურთან საერთო ნიშნებია:

გრძელი ხმოვნები: მარე „კაცი“, ყარ „ყავარი“, დინაშ „ქალიშვილისა“, აკოშკალ „ფანჯრები“...

ცალკეულ მწკრივთა წარმოება: უწყვეტლის I-II პირში საყდრულში, ლაშხურ-ჩოლურულის მსგავსად, **-ის** დაბოლოება გვაქვს: ხტამარის „ვამზადებდი“, ხამარის „ამზადებდი“... ხტახატაჟის „ვხატავდი“, ხახატაჟის „ხატავდი“...

პრეფიქსიანი ვნებითის წარმოება: უწყვეტელი: ხტიშხოლ(დას) „ვიწვოდი“, ხიშხოლ(დას) „იწვოდა“, იშხოლ(და) „იწვოდა“...

ამგვარად, სოფელ საყდრის მეტყველებაში ასახულია ლენტეხურისა და ლაშხურ-ჩოლურულის თავისებურებანი. ენობრივი მოვლენების ტენდენცია ჩოლურულისკენაა (ვ. თოფურია, 2002: 58-62).

ჩოლურული მეტყველება სხვა თავისებურებებითაც გამოირჩევა, კერძოდ: **მა-/მჰ-** პრეფიქსით ნაწარმოებ სახელებში ბოლოდან პირველ ხმოვანად, როგორც წესი, წარმოდგენილია **ა, ა:** მალუნ „ქონება“ (შდრ. ბზ. მალუნ, ლშხ. მალუნ, ლნტ. მალუნ), მაფაშ „დაღლილობა“ (შდრ. ბზ. მაფაშ, ლშხ. მაფეშ, ლნტ. მაფაშ)...

ჩოლურულში სახელთა ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში **ო,უ** ხმოვნების ნაცვლად **ი,ე** ხმოვნები გვხვდება: შამფირ „შამფური“ (შდრ. ბზ. შამფჟირ, ლშხ. შამფურ, ლნტ. შამფჟირ), კიბდენ „კიდობანი“ (შდრ. ბზ. კიბდჟენ, ლშხ. კიბდონ, ლნტ. კიბდჟენ/კიბდენ)...

უწყვეტლის ფორმებში რედუქცირებულია საუმლაუტო ხმოვანი, ხოლო სუფიქსისეული ხმოვანი (სახეცვლილი) დაცულია: იგტუნუდა „ტიროდა“ (შდრ. ბზ. იგტუნდა (<*იგტანიდა), აწყუდუდა „რეცხავდა“ (შდრ. ბზ. აწყოდდა)... (ლ. ბაბლუანი, 2003).

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული კილოები

2.30. ფერეიდნული მეტყველება

ფერეიდნული არის ირანის შუაგულში გადასახლებული ქართველების მეტყველება, რომელიც ოთხი საუკუნის განმავლობაში იზოლირებული იყო ქართველური ენობრივი სამყაროსაგან.

ქართველთა ყველაზე მრავალრიცხოვანი გადასახლება **ირანის შაჰის, აბას პირველის** დროს განხორციელდა (ამ დროს მისი სარდალი იყო გიორგი სააკაძე). 1614-1617 წლებში საქართველოდან, კერძოდ კი კახეთ-ჰერეთიდან, ორასი ათასამდე ადამიანი ირანში, ძირითადად ისპაჰანის მხარეში, გადასახლეს. გადასახლების აგებდით გზაზე მრავალი ადამიანი დაიღუპა. მიუხედავად ისტორიული მწიგნობებისა, შუა ირანში, ფერეიდანში, ქართველებმა დღემდე შემოინახეს ქართული ენა და ქართული ეთნიკური იდენტობა.

ფერეიდანი ირანის სამ გუბერნიას — დარანს, ბოინ თორელს და ფერეიდუნშაჰრს — მოიცავს. ამათგან ეთნიკურად ქართული წარმომავლობის მოსახლეობა ბოინ თორელისა და ფერეიდუნშაჰრის 7 სოფელში ცხოვრობს. ფერეიდანში სულ 200-მდე სოფელია, სადაც დაახლოებით 150 000 ადამიანი ცხოვრობს: თურქები, სპარსები, ბახტიარები, სომხები, ქართველები; ქართველები მხოლოდ 7 სოფელში ცხოვრობენ. ფერეიდნულ ქართველთა რაოდენობაა 20 000.

ქართველთა დასახლებების ცენტრია ქალაქი ფერეიდუნშაჰრი ანუ მარტყოფი; ფერეიდნელები შინაურობაში მარტყოფს სოფელს ეძახიან. მარტყოფს 15-35 კილომეტრითაა დაშორებული სხვა ქართულენოვანი სოფლები: ჩულ(უ)რეთი, სიბაქი (ვაშლოვანი), ჯაყჯაყი, ხუნგი, ახჩა, თორელი (მიანდაშთი)... ეს სოფლები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

— თორელი, ახჩაი, დაშკასანი (ცენტრი — თორელი);

— მარტყოფი, ჩულურეთი, სიბაქი (ვაშლოვანი), ჯაყჯაყი, ხუნგი (ცენტრი მარტყოფი). ამ ორი ჯგუფის შესაბამისად, ფერეიდნული ქართული მეტყველება ორ ძირითად კილოდ/კილოკავად იყოფა. ფერეიდანში კიდევ ერთი ქართული სოფელია — აფუსი, სადაც ბოლო 100 წელია ქართული აღარ იციან, მაგრამ ახლა დიდი სურვილი აქვთ, ისწავლონ ისტორიული დედაენა. აქვე წარმოვადგენთ სტატისტიკურ მონაცემებს (რომლებიც ჩვენმა რესპონდენტებმა მოგვაწოდეს):

თორელ-ბოინის მოსახლეობა დაახლოებით 11 200 კაცია; აქედან ქართველია 80% პროცენტი. აფუსის მოსახლეობაა 5 800, ქართველია 80% პროცენტი; აღჩაში 1230 კაცი ცხოვრობს, ყველა ქართველია. დაშკესანიც მხოლოდ ქართული სოფელია; აქ 600 კაცი ცხოვრობს; შაურდის მოსახლეობა — 1200 კაცი. მურავას მოსახლეობა — 650 კაცი; შაჰნათის მოსახლეობა — 600 კაცი;

შეშკანის მოსახლეობა — 1000 კაცი ქერჩის მოსახლეობა — 400 კაცი და კიდევ სხვა სოფლებშიც ცოტ-ცოტა ცხოვრობს.

ქართულ სოფელში **ნოჰყანი** ადრე ქართველები ყოფილა და ახლაც ორი კომლი ქართველი ცხოვრობს. არაოფიციალური მონაცემებით, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა ნახევარ მილიონს აღწევს, თუმცა ქართული ენა და ქართულენოვანი იდენტობა შემონახული აქვს დაახლოებით 50 000 კაცს.

ფერეიდნელი ქართველები 400 წელია ირანში ღირსეულად ცხოვრობენ; ირანში ქართველი სილამაზისა და პატიოსნების სიმბოლოა; ღირსების დაფასების გამო ირანელ ქართველებსაც უყვართ ირანი; ჩვენი თანამოძმენი ირანის ერთგული მოქალაქეები არიან. პარალელურად, ირანელი ქართველები, დედაენის ცოდნის მიუხედავად, სათუთად აღიქვამენ თავიანთ ეთნიკურ წარმომავლობასაც.

ფერეიდნელ ქართველთა **ეთნიკურ მეობას არსებითად განსაზღვრავს ქართული ენა**, უფრო ზუსტად, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი. ქართული **ეთნიკური მეობის შთამბეჭდავი საფუძველია ისტორიული მესხიერებაც. ფერეიდნელთა მძიმე ისტორიიდან კი განსაკუთრებულია ციხემთის ტრაგედია:**

მემატიანეთა თუ ძველ ისტორიკოსთა ცნობით, მაგალითად, ჰარუთუნ დერჰუჰანიანისა და ჯონ პერის ინფორმაციით, ქართველები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ნადირ შაჰის დროსაც; შესაბამისად, ნადირ შაჰი ხარკს არ ახდევინებდა ფერეიდნელებს. ნადირ შაჰის მკვლელობის შემდეგ ტახტისათვის ბრძოლაში ქერჩიმ ხანმა თავისი მეტოქეები: ფერეიდნელი ალი მარდან ხანი და აბულფათჰ ხანი დაამარცხა, ფერეიდნის მოსახლეობას კი ხარკი მოსთხოვა. ქართველებმა ხარკზე უარი უთხრეს და ბუნებრივ ციხე-სიმაგრეს — კლდეებით შემოსაზღვრულ მაღალ მთას შეაფარეს თავი. ციხემთა — მწვერვალებს შორის მოქცეული არცთუ დამრეცვერდობებიანი ტერიტორია — ათიათასობით ადამიანს დაიტევს; ამ ადგილს სამი მხრიდან ციცაბო კლდეები აკრავს და სრულიად მიუდგობელია, მეოთხე მხრიდან ასვლა შესაძლებელია მხოლოდ ერთი ვიწრო ბილიკით, რომლის გაკონტროლება მცირერიცხოვან რაზმსაც შეუძლია, თუკი შესაბამისი შეარაღება ექნება. ქართველებმა მისადგომ მხარეს წერტილებზე კედლები ამოაშენეს და ასე გამაგრებულ ციხე-მთაში აიყვანეს ქალებიც, მოხუცებიც და ბავშვებიც... ხანგრძლივი ალყისა თუ მოლაღატეთა დახმარებით ბოლოს და ბოლოს ციხემთა აუღია ქერჩიმ ხანის ჯარს. მტრის ჯარისკაცებს რომ არ ჩავარდნოდნენ ხელში, ბევრი ქალი, ზოგი შვილებთან ერთადაც, ციხემთის მწვერვალებიდან გადამხტარა უფსკრულში... უამრავი ქალი და ბავშვი დაღუპულა ამ დროს. ქერჩიმ ხანმა ქართველთა სარდალი ურუჯ ყულბეიგი ზარბაზნის ლულას მიაბა და დამარცხებულის

თხოვნითვე საქართველოსკენ გაისროლა; ცოცხლად დარჩენლი ტყვეები კი ისპაჰანში წაასხა...

დღეს ფერეიდნელ ქართველთა მეტყველება ქართული ენის ერთ-ერთი გამორჩეული დიალექტია, რომელშიც თანაარსებობს ოთხი საუკუნის წინანდელი ენობრივი მახასიათებლებიც და სპარსულ თუ თურქულ ენებთან კონტაქტში განვითარებული ახალი თავისებურებებიც.

ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე მთების, მინდვრების, უბნების სახელები ძირითადად ქართულენოვანია; მაგალითად: პირიქითი, წივასწერი, სალინო, ტინი, ტინუკანი, ხირხატი, ნაქერალი, ნასერალი, დიდრევი, ბათუანები, გელაძის წყარო, თანდილას წყარო, შავგორა, სომხის ტინუკანი, ქურთის გოლი, სათოფის გორა, ციხემთა (ციხემთა ჩვეულებრივი ტოპონიმი არ არის; ამ ადგილთან ერთი ტრავგიკული ისტორიაა დაკავშირებული, სალინო (გადმოცემის მიხედვით, აქ დვინო უკეთებიათ), რამაზუნას ოზო, დიდრევი, შავგორა, ბაუქას ქობი (გამოქვაბული), ვარდისყელი, ნაზომი, ვირისგოლი, ჩაჩას ქედი, მეაბანევის (მეაბანოების) წყარო, სათოფის გორა, საჯდომი, სალოკია, ხუციანთ ბალი, ფაშტადის მთა, ფირაშტადი, ყარჩიდანთ გორა...

მნიშვნელოვნად განსხვავდება თორელისა და მარტყოფის მხარეების მეტყველება; მაგ., ფერეიდნელ ქართველებში „ცუდის“ აღსანიშნავად სამი სიტყვაა გამოყენებული: **გონჯი** — თორელში; **ახწიყრალი** — მარტყოფში, **ვაგლახი** — ყველა სოფელში; ნიგოზს **კაკალი** ჰქვია თორელსა და მარტყოფში, **ხატრუკი** — ახჩაში;

ჭერემი — თორელი, მარტყოფი; **წირანა** — ახჩა;

ბიცოლა: მამუა — თორელი (ბაიტა მამუა; ჭლე მამუა; შუალა მამუა); **ზანამუ** — მარტყოფი, ჩულღურეთი (სპარსულია);

მაწონი — მარტყოფი; **ყათული** (თურქული) — ჩულღურეთი; **წ(ვ)ელა** — ახჩა, თორელი;

წყევლა: **სიყმემკვდარი** — თორელი; **შავწელმოსული** — თორელი;

არ გესმის: **არ შოგოსმების** — ახჩა; **არ გესმის** — მარტყოფი;

ხე — ჩულღურეთი, მარტყოფი; **ჯოხი** — ახჩა, თორელი;

საქათმე: **საქარმო** — ახჩა; **საქათმო** — მარტყოფი;

ჩრდილი — **ჩირდილი** — თორელი; **ქოლგა** — მარტყოფი;

დავიღალე — მარტყოფი; **დავშერ** — თორელი, ახჩა;

თმა — მარტყოფი; **ბალანი** — ბეწვები ხელზე, ფეხზე, მუცელზე — მარტყოფი;

კავი, კავები — ახჩა მამაკაცის თმა; **ქალისა** — თმა; **ჭაპანია** — ნაწნავი;

დაქსოვილი თმა — მარტყოფი;

კიტრა ხილა — ახჩა; **კიტრი** — მარტყოფი...

დ. ჩხუბიანიშვილი ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში ორ ძირითად ერთეულს გამოყოფს: **ზემოფერეიდნულს** და **ქვემოფერეიდნულს** (დ. ჩხუბიანიშვილი, 1999). მარტყოფისა და

თორელის მეტყველებები შეიძლება განვიხილოთ ორ ფერეიდნულ კილოდაც და ფერეიდნული კილოს ორ კილოკავადაც.

ენობრივი დახასიათება

ქვემო ფერეიდნულის სპეციფიკური ნიშნები:

გვხვდება გემინირებული თანხმოვნები, რომლებიც ძირითადად ნასესხებ სიტყვებში დასტურდება: ამა (მაგრამ), მოლლა, ქალლა, ვალლ (ღმერთმანი)... დასტურდება ქართულ მასალაშიც: სამმი, ხუთი, შიდი, ათი, ოცი, მეტი, თოფი..., რაც სპარსულის გავლენას მიეწერება. გემინაცია ხდება ძირითადად სონორი და კბილბაგისმიერი თანხმოვნებისა.

ქვემოფერეიდნულში თანხმოვანთკომპლექსთა გათიშვა ხდება სხვადასხვა ხერხით: აჩენს თანხმოვანთგამყარ ხმოვანს (გ,უ,ი), ან თანხმოვანი იკარგება, ან კიდეც ანლაუტში ხმოვანი ვითარდება: ძემა/ძუმა/ზუმა (დაშქ.), დგლე, მგზე; ძირილ, ქიბილი, ყუმაწილი, ქუმარი. იშვიათად დაჩნდება ხმოვნის ჩართვის შემთხვევები ინლაუტში: ხორბულები (დაშქ.), ზურუნას ჯმა. იკარგება ლ (მერთი<ღმერთი). სპარსულის გავლენა, ვინაიდან სპარსულისათვის უცხოა ანლაუტში თანხმოვანთა თავმოყრა (დ.ჩხუბიანიშვილი, 2002 : 84).

მოთხრობითი -**მამ** მორფემა თანხმოვანფუძიან სახელებთან: ბიჭ-**მამ** მოიდა, დედაკაც-**მამ** დაიკვილა...

ნაცვალსახელთა თავისებური ფორმები: ას (=ის), ამეს (=იმას), ამემ (=იმან), რაც სპარსულის გავლენით აიხსნება. კერძოდ, ფერეიდნულში მოხდა დეიქტური ხმოვნითი ელემენტების რენტერპრეტაცია, **ა** და **ი** ელემენტები მოლაპარაკე პირისგან შორს მყოფ საგანზე მიუთითებენ, **ე** კი — ახლომყოფზე (მ.მაჭავარიანი). მაგ.: ამემ (=იმან) თქო. ამესა (=იმასა) ჰქონდა ბეჭურ საქონელი. ზემო ფერეიდნულისთვის ამგვარი ფორმები უცხოა.

დასტურდება **მიყვეციოთ, ჰამეციოთ...** ფორმები.

წყვეტილის -**ეს** სუფიქსის ნაცვლად გამოიყენება -**ენ**: გააკეთ-**ენ**, დაწერ-**ენ**... (დ. ჩხუბიანიშვილი, 2004).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები:

დაცულია **ჭ** ბგერა: ჯმა, ჯორცი, ჯოცვა...

ფ წარმოადგენს **ი** ხმოვნისა და **ჰ/ს** ბგერათა რეფლექსს: ა) **ი>ფ**: გა-ფ-გებენ „გაიგებენ“, ამა-ფ-ტანა „ამოიტანა“... ბ) **ჰ/-ს->ფ**: მა-ფ-ჭრა „მოსჭრა“...

ფ გვხვდება ნასესხებ სიტყვებში: ყაჭლა „არავანი“, ქერეიდანო „ფერეიდანო“...

პალატალიზებული ხმოვნები იშვიათია. შესაბამის პოზიციაში დელაბიალიზებული ხმოვნებია წარმოდგენილი: ღედი „ღვედი“, წერი „წვერი“, თქეს „თქვეს“... ყირის „ყვირის“, შიდი „შვიდი“...

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ კომპლექსთა ორივე სახის ტრანსფორმაცია არის უძველესი მომდევნო საფეხური (გრ. იმნაიშვილი, 1953: 175; ბ. ჯორბენაძე, 1989: 364). აღნიშნული მოვლენა შესაძლებელია სხვაგვარად

აიხსნას; კერძოდ, ქართული ენის იმ ქვესისტემაში, რომელზეც გავლენა ჰქონდა და აქვს პალატალიზებული ხმოვნების მქონე ენას, თუკი განვითარდა, ჩამოყალიბდა **ო, უ** ბგერები, რატომღა მოიშალა ისინი?

პალატალიზებული ხმოვნებისგან თავი რომ „დაეზღვია“, ფერეიდნულმა დელაბიალიზაციით მოშალა საუშლაუტო პოზიცია (კჭირა>კირა, კვერცხი > კერცხი... იმ შემთხვევაში, თუკი ლაბიალური ელემენტის დაკარგვა სიტყვის სემანტიკურ ცვლას გამოიწვევდა, განხორციელდა სერწყმა **უ-დ** ან **ო-დ**; გჭიყორს > გყორს; ჩუენ > ჩონ (მორფონოლოგიური აკრძალვა) (ტ.ფუტყარაძე, 1998: 109).

დასტურდება **ვა>ო**: ცხვარი>ცხორი, თვალი>თოლი, ძვალი>ძოლი, უყვარს>უყორს... **ვე/უე** და **ვი/უი** ორგვარ რეფლექსს იძლევა: ა) **ვე** > **ო**: გვებარა > გობარა, გვედგა > გოდგა, ბ) **ვე** > **ე**: კვერცხი > კერცხი... **ვი** > **ი**: წვიმა > წიმა... სავარაუდოა, გვექონოდა *გობარა, *კერცხი, რომელთაგან პირველმა დეუმლაუტიზაცია განიცადა (გობარა), მეორემ — დელაბიალიზაცია (კერცხი).

სახელთა ბრუნვა. ა ხმოვანფუძიანი სახელის ფუძე ნათესაობით ბრუნვაში უცვლელია (არ იკვეცება), ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი კი იკარგება: შაქუჩდეს ჭას პირზე „მოგროვდნენ ჭის პირას“.

მსაზღვრელად გამოყენებულ ნათესაობითს ბრუნვის ნიშანი სრულად აქვს დაცული: ჯულის ქალამნები „ქეჩის ქალამნები“.

მოქმედებითი ბრუნვა გაფორმებულია **-ით/-დით/-თ** ალომორფებით: მეთოფე-ით, ტყვი-დით „ტყვიით“, ბზე-თ „ბზით“... მავრცობ ხმოვნად დასტურდება **ი**: განათდა დილობას-ი „გათენდა დილა“.

-თვის თანდებულის ნაცვლად იხმარება **-თი/-თ**, დაერთვის მიცემითისა და ნათესაობითის ფორმებს: რას-თი, რასა-თ „რისთვის“, წყალსა-თი „წყლისთვის“... **-თი** თანდებულდართული მიცემითის ფორმა გამოხატავს მიმართულებას (ცვლის -ში, -კენ თანდებულებს): ბიჭები დაბრუნდეს წერეფდანსა-თი, რომ წავიდენ მარტყოფსა-თი „ბიჭები დაბრუნდნენ ფერეიდანში, რომ წავიდნენ (წასულიყვნენ) მარტყოფისაკენ / მარტყოფში...“

მიცემითისა და ნათესაობითის ფორმებს დაერთვის **-ყე/-ყენ(ა)** (<კენ) თანდებული: საით-ყე „საითკენ“, სახლის-ყე „სახლიკენ“...

ზმნური თავისებურებანი. ხშირი გამოყენებისაა **-ყე** ფორმანტი, რომელიც გამოხატავს: ა) ირიბი ობიექტის მრავლობითობას: ჰკითხა-ყე „ჰკითხა მათ“, ბ) პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას: ცხენები მაიყვა-ყე „ცხენები მოიყვანე“, გ) სუბიექტის მრავლობითობას ინვერსიულ ზმნებში: ემათ ჰქონდა-ყე „ამათ ჰქონდათ“, დ) ხოლმეობითობას: დაერთვის **-ი** სუფიქსიან ზმნებს: მაიტანის-კე „მოჰქონდა ხოლმე“...

მო-, შე- ზმნისწინების გვერდით გვხვდება **მა-, შა-** ვარიანტები: მოაყენა>მააყენა, შეინახა > შაინახა...

უწყვეტელსა და წყვეტილში მრ. რიცხვის S₃ პირის ნიშნად გვაქვს -ეს ყველა ტიპის ზმნასთან: კლევდ-ეს „კლავდენ“, იცოდ-ეს „იცოდენ“..

უწყვეტელსა და მასზე დამყარებულ პარადიგმებში -ავ, -ამ თემის ნიშნები გახმოვანებას იცვლიან (-ავ>ევ, -ამ>ემ): კლ-ევ-და „კლავდა“...

აწმყოში -ავ, -ამ თემის ნიშნები მრ. რიცხვის -ენ ფორმანტის დართვისას იკუმშებიან: დაჰკლ-ვ-ენ „დაკლავენ“, ჩაიც-მ-ენ „ჩაიცვამენ“...

I თურმეობითში გარდამავალ ზმნებს -ავ, -ამ თემის ნიშანი გადაყვება, S₃ პირის -ს ნიშანი მოკვეცილი აქვს: უთქომ „უთქვამს“, მოუკლავ „მოუკლავს“...

II თურმეობითში ორპირიანი ზმნები, ერთპირიანთა მსგავსად, იყო მეშველი ზმნით იწარმოება: წა-ჰ-ყოლ-იყო „წაჰყოლოდა“...

ვნებითი გვარის ზმნები აწმყოს მხ. რიცხვის S₃პირის ფორმები ი დაბოლოებითაა წარმოდგენილი: გა-გრძელ-დ-ებ-ი-ს „გაგრძელდება“...

სინტაგმა. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას თნხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში წარმოდგენილია ფუძის სახით (ერთ კაც-ი, ერთ კაც-მა...), ან სახელობითი ბრუნვის ფორმით (ერთ-ი კაც-ი, ერთ-ი კაც-მა...).

აქტიური სემანტიკის ერთპირიან ზმნებთან II სერიაში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება: ემათა ადგეს „ისინი ადგნენ“.

ხშირია სახელისა და ზმნის აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ხალღმა დააწყევს „ხალხმა გადაწყვიტა“ (ზედმიწვევით: „გადაწყვიტეს“)..

ლექსიკა. შემორჩენილია ისეთი სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა ქართულში დასუსტებულია ან სრულიად გამქრალია, მაგ.: დურბინდის ნაცვლად „საძებარი“, ფულის ნაცვლად „სათვალავი“. ორივე სიტყვა (დურბინდი, ფული) სპარსული წარმოშობისაა.

ფერეიდნულს მცირეოდენი ცვლილებით დღემდე შემორჩა ქართული ანდაზები, იგავ-არაკები; მაგ.: ხელი ხელს დაიბანს, ხელი დაბრუნდების, პირს დაიბანსო (მდრ. ხელი ხელს ჰბანს, ორივე პირსაო); ქალს ევბნებ, რო ზალმა გაიგოსო (მდრ. მულო, შენ გეუბნებიან, რძალო, შენ გაიგონეო)... (ზ. შარაშენიძე, 1979 : 107-108).

ფერეიდნულმა მეტყველებამ ბევრი სპარსული სიტყვა თუ გამოთქმა შეისისხლხორცა, მაგ.: აჰვალი როგორა ვაჰ? „როგორ ბრძანდები?“ (აჰვალი „მდგომარეობა, ჯანმრთელობა“)..

სინტაქსური კალკები: ვაჭრობა ვქენით „ვივაჭრეთ“, შიქალი ვქნათ (= ნადირობა ვქნათ) „ვინადიროთ“...

2.31. მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების /ჩვენებურების/ ქართული მეტყველება

გამოთქმა „მუჰაჯირი ქართველი“ ჩვენს ენაში XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში მკვიდრდება რუსეთ-ოსმალეთის გარიგების შედეგად სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან შუაგულ თურქეთში გადასახლებული ახალგამუსლიმანებული ქართველების აღსანიშნავად⁹². „მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „ემიგრანტს, გადახვეწილს“. თვით მუჰაჯირი ქართველები თურქეთში მცხოვრებ ქართველებს — თანამომხმეებს — „ჩვენებურებს“ ეძახიან; აქედან დამკვიდრდა ტერმინოლოგიური შესიტყვება: „ჩვენებურების ქართული“.

რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესების შესაბამისად, მუჰაჯირობა ორ ძირითად ტალღად განხორციელდა. მუჰაჯირთა პირველი ტალღის (1828-29 წლები) შესახებ ცნობები მწირია. მეტი ინფორმაცია გვაქვს 1879 წელს დაწყებული მუჰაჯირობის შესახებ. მუჰაჯირობა პირველად დაიწყო სამცხე-ჯავახეთში 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, როცა სამცხე-ჯავახეთი გათავისუფლდა თურქეთის ქვეშევრდომობისაგან და მოექცა რუსეთის იმპერიის გავლენის ქვეშ. მუჰაჯირობა გაგრძელდა 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგაც; კერძოდ, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფ გამუსლიმანებულ მოსახლეობას მიეცა არჩევანის უფლება — შეეძლო მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა, ან მიეტოვებინათ საკუთარი სამშობლო და შუა ოსმალეთში გადასახლებულიყო; ცნობილია მუჰაჯირობის მიზეზებიც: ომების შემდეგ ქართველი მოსახლეობისათვის შეიქმნა უძძიმესი ეკონომიკური და სოციალური პირობები: ახლადშემოერთებულ მხარეში რუს ხელისუფალთა მმართველობა ბარბაროსული იყო; მათი მიზანი იყო, ავტოქტონ ქართველთა რაოდენობის შემცირება, ამიტომ რუსები მუსლიმან ქართველებს თურქებად/თათრებად აცხადებენ და უბიძგებდნენ, გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში; იგივე სურდათ ოსმალებსაც: შუა თურქეთის აუთვისებელ მიწებზე მათ მეურნე ხალხი ესაჭიროებოდათ. მთლიანობაში, **ორივე იმპერიას ერთი მიზანი ჰქონდა: ქართველი ერის ენობრივი და რელიგიური დანაწევრება და საქართველოს სრული დაპყრობა.** ორი იმპერიის ანტიქართულ გეგმას ხელი შეუწყო ახალგამუსლიმანებული ქართველების რელიგიურმა ფანატიზმმაც.

⁹²საქართველოში ქართველთა გამუსლიმანება მოხდა ოსმალეთის იმპერიის მიერ საქართველოს ისტორიული მხარეების — აჭარის, მაჭახლის, ლივანას, ლაზეთის, შავშეთ-იმერხევის, ტაოს, ერუშეთის, სამცხე-ჯავახეთის დაპყრობის შემდეგ, ძირითადად მე-18 საუკუნეში)

ათიათასობით ქართველმა მიატოვა საკუთარი მიწა-წყალი და ოსმალეთის სახელმწიფოს შეაფარა თავი. დაცარიელდა კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, ლივანა, მურღული, მაჭახელი, ტაო, აჭარა...

მუჰაჯირობის გამო დაცარიელებულ ქართულ მიწებზე რუსებმა ჩამოასახლეს: რუსები, სომხები, ბერძნები. საიმპერატორო კარის წარმომადგენლებმა და მაღალჩინოსნებმა დაპყრობილ ქართულ მიწაზე ბრწყინვალე აგარაკები გაიჩინეს. ოსმალეთის მიწას შეფარებული ქართველები კი დაუსახლებელ ადგილებში სახლდებოდნენ და ახალ სოფლებს უყრიდნენ საფუძველს. მუჰაჯირობი ოსმალეთის მთავრობამ დაასახლა ეგეოსისა და შავი ზღვის შორეულ სანაპიროებზე, ასევე, ცენტრალურ ანატოლიაში. დღეს მუჰაჯირი ქართველების შთამომავლები ცხოვრობენ თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი მხარეები და რაიონები: ადანა, ადაფაზარი (საქარია), ამასია, ანკარა, ბურსა, გირესუნი, გონენი, ინეგოლი, ზონგულაქი, ფოქათი, იალოვა, იზმითი, იზმირი, იზნიქი, ორდუ, სამსუნი, სინოპი, სტამბოლი, ტრაპიზონი, ფათსა (ფაცა), ქონია, ჩორუმი...

მუჰაჯირობა ქართველი ერის ერთ-ერთი დიდი ტრაგედიაა, რომელიც გეოპოლიტიკურ კონტექსტში სათანადოდ დღემდე არ განალიზებულია; აქ მოკლედ შეიძლება ვთქვათ: მე-19 საუკუნეში კავკასიაში გავლენის მოპოვებისათვის ერთმანეთს საქართველოს ტერიტორიაზეც უპირისპირდებოდნენ რუსეთი და ოსმალეთი; ორივე იმპერიამ შექმნა ყველა წინაპირობა, რომ ასეულათასობით მუსლიმანი ქართველი გადასახლებულიყო მშობლიური მიწა-წყალიდან შუა თურქეთში, რამდენადაც საკუთარ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველი საშიში იყო ორივე იმპერიისათვის...

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში შუა თურქეთამდე ტანჯვა-წამებით მიღწეულმა მუსლიმანმა ქართველებმა საუკუნის მანძილზე თითქმის უცვლელად შეინახეს თავიანთი დედაენა და ქართველური ცნობიერება. მათმა შთამომავლებმა — თურქეთის მოქალაქე რჩეულმა ქართველებმა — XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, გააცნობიერეს რა ეთნიკური ასიმილაციის საფრთხე, შეეცადნენ ქართველური ფესვების აღორძინებას; კერძოდ, 1968 წელს ჰაირი ჰაიროღლუ-მაღალაყმაძისა და სხვა თანამემამულეების დახმარებით ახმედ ოსკან-მელაშვილმა დაბეჭდა წიგნი სახელწოდებით: „საქართველოს კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნების ისტორია, ფოლკლორი“. 1977 წელს **ახმედ ოსკან-მელაშვილმა**, შანვერ თევზაძემ და სხვა თანამოაზრებმა დააარსეს ჟურნალი „ჩვენებურები“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა სტოკჰოლმში 1977 წელს; მეორე ნომერი ბურსაში დაიბეჭდა; აქვე იბეჭდებოდა სხვა ნომრებიც ვიდრე 1980 წლამდე, სანამ მხეცურად მოკლავდნენ ახმედ მელაშვილს, კაცს, რომელმაც თავის შვილებს სახელებად დაარქვა იბერია და თამარი...

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებმა ბოლო დრომდე კარგად შემოინახეს როგორც ქართული თვითობა (იდენტობა), ასევე ქარ-

თული ენა, მაგრამ ბოლო ათწლეულების მანძილზე რადიკალურად იცვლება ვითარება: მუჰაჯირ ქართველთა ახალმა თაობებმა აღარ იციან წინაპრების ქართული ენა; მუჰაჯირთა ქართულ დიალექტებს გარდაუვალი გაქრობა ელის, რამდენადაც მუჰაჯირთა შთამომავლების უმრავლესობა ივიწყებს წინაპართა ენასაც და ქართულ იდენტობასაც; ხოლო ის, ვინც თავს ქართველად თვლის, მისი მეტყველება სალიტერატურო ქართულის (მასმედიის ენის) უდიდეს გავლენას განიცდის.

„ჩვენებურების ქართულის“ მრავალი გამორჩეული ნიმუში ჩაიწერა, გამოიკვლია და გამოაქვეყნა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ (შ. ფუტკარაძე, 1993); ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა მამია ფალავასა და მალხაზ ჩოხარაძის საყურადღებო ნაშრომები.

ენობრივი დანასიათება

მუჰაჯირთა მეტყველებას შემონახული აქვს გასული საუკუნის აჭარული დიალექტისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები. მუჰაჯირთა მეტყველებაში დაცულია არქაული ფაქტებიც. ამავე დროს, თურქული ენის ყოველდღიური ზემოქმედების შედეგად მომრავლდა თურქიზმები.

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. ხშირია უმარცვლო ჟ: ძჟალი, ქჟაბი, კჟალი... რჟა, ხჟალ, ქართჟელი, ლოცჟა, მარხჟა...

ფ უმთავრესად თურქულ სიტყვებში ისმის: ფაზი „წერა, ანბანი“, ფოლჩი „მგზავრი“...

სრულხმოვნობის შემთხვევები: კილდე, კიბილი, ხობო, ტკიბილი, ვირითხა, ჯირეკი, კიდრები (მკვდრები).

აღსანიშნავია სანის დასუსტება, ჰაედ ქცევა: ლობიაჰაც გავასუფთებთ, ამაჰაც მიცეს... ჰად ხარ? ჰაიდან გამოსულია?

მეტათეზისი: სურიელი (<სულიერი>), გერმელი (<გემრიელი>), ჭროფლი (<ჭორფლი>), სიღმერა (<სიღმერა>)...

ბგერათა დაკარგვა: ვეფერი (<ვერაფერი>), ლამაათ (<ლამაზად>), მაამისი (<მამამისი>)...

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებანი: აუ>უუ: გუუხარდება (<გაუხარდება>), მუუწვავს (<მოუწვავს>)... აი>ეი: დეიბრუნებდა (<დაიბრუნებდა>)...

ოი>ეი: მეიტანებენ (<მოიტანებენ>)... აე>ეე: წეეკიდა (<წაეკიდა>)... აე>ეე>ეე: გეეჰენება (<გეეჰენება<გაეჰენება>)...

ეა>ია: შიარიგა (<შეარიგა>) (შ. ფუტკარაძე, 1995).

სახელთა ბრუნება. ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში გვხვდება -ი ნიშნით: თმა-ი, სიძე-ი, მურადა-ი...

აჭარულის მსგავსად, ერთმანეთისაგან განსხვავდება საკუთარ სახელთა პირველადი და კნინობითი ფორმები. მოსარიდებელი პიროვნების მიმართ საკუთარი სახელის პირველად ფორმას იყენებენ, სხვა შემთხვევაში — კნინობითს (შდრ. ქემალი — ქემალაი, მემელი — მემელაი...)

-ი ნიშნითაა გაფორმებული ზმნიზედები: დილა-ი, ფეხშველა-ი, თავლია-ი...

უკვეცელ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში სრული ბრუნვის ნიშნებია წარმოდგენილი: ბაბო-ის გვარი, საქართველო-ით ვიზდებით... რა ნაცვალსახელი ნათესაობით-მოქმედებითში არ იკვეცება: რა-ის ლაპარაკია? რა-ით ნაყავ?

უთანდებულო მოქმედებით ალინიშნება თანაობა (-ურთ თანდებულებანი და -იან სუფიქსიანი ფორმების მნიშვნელობა): დით და სიძეით მოდის; თქვენით წავა...

-ზე თანდებული შეიძლება შეენაცვლოს -თან, -ში, -თვის თანდებულებს: ჩემ-ზე ქალ მეიყვანდა, გაზეთე მოდის იმა-ზე...

-ში, -ზე თანდებულები დაერთვის აქ, იქ ზმნიზედებს: აგ-ზე, აქ-ში, იგ-ზე, იქ-ში, მაგ-ზე, მაქ-ში.

ზმნური თავისებურებანი. ზმნისწინები მო, გამო, შემო, შე > მა, გამა, შამა, შა: მამაწონდა, შაგვაშინა, გამამატანა, შამამიტანა...

ორი პირის ნიშნის ერთად გამოყენების შემთხვევები: და-ვ-ჰ-კარქავ, ა-ვ-ს-წიე, და-ვ-ს-წერავთ... Oჰ პირის ნიშნები უმთავრესად დაცულია: და-ჰ-კითხვიან, და-ჰ-კვირდა, და-ს-წვა... მრავლობითის -ენ, -ან, -ეს სუფიქსები ხშირად ენაცვლება -თ სუფიქსს: ტყე გიყვარ-ან, აღარ ქონდ-ენ ფარა, შეებრალ-ეს თქვენი თავი, გიეცინ-ეს კაცებსა...

წყვეტილის მრავლობით რიცხვში Sჰ პირის გამოსახატავად იშვი-ათად გვხვდება -ეს სუფიქსი: ლაზები მეიბარგ-ეს (მოიბარგენ), გამემეგებ-ეს ბაღიშები (გამომეგებენ)...

-ავ, -ამ თემიშნიშნიანი ზმნები უწყვეტელში (აგრეთვე ხოლმეობითშიც) სამივე პირში პარალელური ფორმებით დასტურდება: -ავ, -ამ > -ევ, -ემ ვზიდ-ევ-დ-ი, რეცხ-ევ-დ-ი, იდგ-ემ-დ-ა, დაახურ-ევ-დ-ენ... -ავ, -ამ > -ვ, -მ ს-მ-იდ-ა, მალ-ვ-იდ-ენ, გარეცხ-ვ-იდ-ენ, წავადგ-მ-იდ-ი-თ...

წყვეტილის მრავლობით რიცხვის I-II პირში -ევ-ი დაბოლოება -ე-ს ნაცვლად: დავანგრი-ევ-ი-თ, წვილ-ევ-ი-თ... II კავშირებითის ე > ი: გეიქც-ო-ს, ავდგ-ო-თ, გახდ-ო-ნ...

სინტაგმა. თანხმოვანფუძიან მსაზღვრელ-საზღვრულს შორის რიცხვში შეთანხმების წესი დარღვეულია; მსაზღვრელი ფუძის სახით გვხვდება: მეზობელ ქალივით, ორ ბერმა, დიდ ღმერთით...

კრებითი სახელით გადმოცემული ქვემდებარე შემასმენელს მოითხოვს მრავლობით რიცხვში: ხალხი გამოჩეჩდენ, მაყარი მოდიან...

II სერიის ფორმებთან ქვემდებარე ხშირად მოთხრობით ბრუნვაში დგას: შემოგვეხვია რუსის ასკერმა; თამარმა მეერია; მეზობელმა გამოვდა; მანაც დაბერდა...

ლექსიკა. ყურადღებას იქცევს საალერსო სიტყვა-გამოთქმები და ფიცილის ფორმულები: *შენი თვალები მომართვი; შენი ჭირი მოქჷამე; შენი სიტყვა-პასუხი მაჩუქე... ჭადის მადმა (<მადლმა); ჭადის გამჩენმა; თვალები გამჩენ...*

შემონახულია არქაული ნაწილაკი დია: *დია მიყვარდა; ნაწერები იკითხე დია...*

როთულ რიცხვით სახელებში ასის შემდეგ გამოიყენება და კავშირი: *ასდაორი, ასდაოთხი, ასდაათი, ასდაოცი...*

უცხო სიტყვა-ძირების გამოყენებით ნაწარმოებია ახალი ზმნები: *გააგენიშებს* (გენიშ „ფართო“) — გააფართოებს, *გაათემიზებს* (თემიზ „სუფთა“) — გაასუფთავებს, *გაწმენდს*, *ეზიზმეთება* (ზიზმეთ „მომსახურება“) — ემსახურება, *უშიქიათებს* (შიქიათ „საჩივარი, დასმენა“) — უჩივლებს, დაასმენს...

დამკვიდრებულია **თურქული** სიტყვა-გამოთქმები: ხასი „ნამდვილი, სუფთა, ხარისხიანი“, ჰელბეთ „უეჭველად“, ალაისე „ღვთის გულისათვის“, დანი „როგორც ჩანს“, ადნი „იგივე“..

აფიქსები: **-ჯი, -ჩე**: თურქიე „თურქული, თურქულად“... ნაწილაკები: **იშთე** „აი, სწორედ“, **ჰანი** „აკი“, ჰიჩ „თითქმის“, **მი** „თუ“, **მეგერ** „თურმე“... კავშირები: **ქი** „რომ“, **და** „ან“...

სინტაქსური კალკები: *ენაზე მოსულა* (=ალაპარაკდა); *ვუწიეთ ტელეფონი* (=ვურეკეთ); *დერდში იყვენ* (=დარღობდნენ); *რაზი გახდა* (დათანხმდა); *ემირ მიცა* (გადაწყვიტა); *ელჩობას იჯებიან* (=მაჭანკლობენ, შუამავლობენ); *რაჰათი ქნას* (=მოისვენოს)... (შ. ფუტკარაძე, 2016: 403).

2.32. ყიზლარ-მოზდოკური და პლასტუნკური მეტყველება

ყიზლარ-მოზდოკურის სახელით ცნობილია იმ ქართველთა მეტყველება, რომლებიც ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში ქალაქ მოზდოკში, ყიზლარის ოლქის 2 სოფელში: სასოფლოში (ალექსანდრო-ნევესკაია), სარაფანში (შელკოვსკაია). ყიზლარსა და მოზდოკში ქართველები დასახლებულან 200 წლის წინ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან (ქართლი, კახეთი, იმერეთი...). გადასახლების ძირითადი მიზეზი უნდა ყოფილიყო უმთავრესად ლეკთა გამანადგურებელი თარეში. ბევრიც შამილის წინააღმდეგ ომის მონაწილე ყოფილა და შემდეგ იქ დამკვიდრებულა.

ისტორიული წყაროების ჩვენებით, პირველად ყიზლარში ქართული ახალშენი დააარსა რუსეთში მიმავალი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ამაღლის ერთმა ნაწილმა 1724 წელს. XIX საუკუნეში ქართველთა რაოდენობა აქ თანდათან გაიზარდა (ამას ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობებიც). დღეს ყიზლარ-მოზდოკში ქართველობა მცირეა; რუსებთან ასიმილაციის გამო ქართული ენა და ტრადიციები ძირითადად მოხუცებს ახსოვთ. ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართული გვარები (ხედგენიძე, ფხაკაძე...). ზოგი გარუსებულია (ხიზამოვი, ბაბილუროვი, შანშიევი...) ან შეცვლილია. ბევრმა არც კი იცის ადრინდელი გვარი.

„მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო, სარაფანი და მოზდოკი ტერიტორიალურად საკმაოდ დაშორებულია ერთიმეორისაგან, აქაურ ქართველთა ენა ერთ მთლიან დიალექტს წარმოადგენს: თითქმის ყოველი ენობრივი მოვლენა, რომელიც ახასიათებს მაგ. სასოფლოს, ახასიათებს სარაფანსაც და მოზდოკსაც. ამ მხრივ მათ შორის არავითარი განსხვავება არაა... ასეა თუ ისე, როდესაც დღეს ყიზლარ-მოზდოკურზე ვლაპარაკობთ, საქმე გვაქვს ერთ მთლიან დიალექტთან, რომლის მრავალი ენობრივი მოვლენა ცნობილია აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა დიალექტიდან“ (სტ. ჩხენკელი, 1936: 270).

ყიზლარ-მოზდოკური ქართული ნარევი სამეტყველო ერთეულს წარმოადგენს: რუსულის გავლენით ქართული მეტყველება (გრამატიკული წყობა, ლექსიკა) საგრძნობლად არის შეცვლილი.

ენობრივი დახასიათება.

ფონეტიკა: დასტურდება განსხვავებული ბგერები: გ (ყზლარი, ბათგრ), პალატალიზებული ხმოვნები: ა, ო, უ (პატარე, იშონეს, გიორგი), ძ.

ფონეტიკური პროცესები: ასიმილაცია: მეემატა (<მოემატა), მევეწონე (<მოვეწონე), წოუყვანია (<წაუყვანია), გედემეცვალა (<გადამეცვალა)...

მეტათეზისი: ასხარება (<ალსარება), ღურბელი (<ღრუბელი), წინგს (<წიგნს).

ბგერის ჩართვა: ბურმა (<ბრმა), თიბილი (<თბილი), ანგრე (<აგრე)...

ბგერის დაკარგვა: ხათრი^ს შენახვა, პატივი^ს დადება, გაქ^{ეს}, უთქომ^ს, ^მკლა^ვნი ^ფქვილი...

სუბსტიტუცია: მ > ნ: ხენწიფე < ხელმწიფე, უანბე < უამბე; გ > ნ: სამსე < სასე, გახსომთ < გახსოვთ; ლ > რ: ნამდური < ნამდვილი, გური < გული; ჯ > უ: იჟდნენ < იჯდნენ...

სახელთა ბრუნება: ხმოვანფუძიანი სახელი სახელობითში დაირთავს -ი სუფიქსს: ცხოვრება-ი, დედა-ი, ტყე-ი...

მიცემითში -სა დაბოლოება იხმარება: კნიაზ-სა, ღვინო-სა, ქალ-სა, გვირგვინეფ-სა...

ა/ე ფუძეხმოვნიანი სახელები ზოგჯერ ფუძეუკვეციელი რჩება ნათესაობითში: მელას შვილი, უჩიტლობას დრო, ქართველობას ცხოვრებას...

წოდებითში მრავლობითის ფორმები -ო-ს შემდეგ დაირთავენ -თ სუფიქსს: ჩემო ძმებ-ო-თ; დაიხსომეთ თქვენ დებ-ო-თ, ქალებ-ო-თ... (სტ. ჩხენკელი, 1936: 274).

მრავლობითი რიცხვი -ებ სუფიქსით იწარმოება. გვხვდება **კარე-ბები** ფორმაც.

ზმნის უღლება: დაცულია S₂ და O₃ პირის პრეფიქსები: ს-წყურიან, ს-თხრის, შ-ჰამენ... მო-**გ**-ხნათ, **გ**-გავს, მა-**გ**-წონებია, მი-**გ**-დიოდა...

S₃ პირის მრავლობითობას გამოხატავს -ნენ, -ენ სუფიქსები: უხ-თიდ-ნენ, დარკ-ნენ, გაქებდ-ენ, ჯდებოდ-ენ..

II თურმეობითში -იყო დაბოლოებიანი ფორმები გამოიყენება: დამტვრევ-იყო, მისცემ-იყო, მსცვამ-იყო...

სინტაქსი: რიცხვითი სახელით წარმოდგენილ მსაზღვრელთან საზღვრული ზოგჯერ მრავლობითში დგას: ორი ჩეჩნები, ორი ჩემი ბოგშები...

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულს ყოველთვის სახელობითში ეწყობა: გამზარდა ჩემ-ი ძმა-მ, ორ-ი ქალ-ს ვასწავლე, ჩვენ-ი ენა-ს არ ვკარქავთ, ჩვენ-ი მამეფ-ს უცხოვრია...

ერთპირიან ზმნებთან II სერიაში ქვემდებარე მოთხრობითში გვხვდება: მოვიდა ლამაზ ქალმა, ბარიატინსკმა წავიდა.

აზრობრივი შეთანხმების ნიმუშები: ხალხი არიან, ქართველობა ცხოვრობენ... (სტ. ჩხენკელი, 1936: 275).

სოჭელ ქართველთა მეტყველება (პლასტუნკური)

მუჰაჯირობის პერიოდში (1863-1864 წლებში) ჩრდილოეთ კავკასიიდან ათასობით ადამიანის გადასახლების შედეგად შავი ზღვის სანაპირო ზოლში უზარმაზარი ტერიტორია დაცარიელდა ბზიფიდან ნოვოროსიისკამდე. ადილობრივმა მოსახლეობამ შავი-ზღვისპირეთის ათვისება დაიწყო. XIX საუკუნის 70-იან წლებიდან აქ სახლდებიან ქართველები, კერძოდ, ლეჩხუმიდან, რაჭიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, სადაც მცირემიწიანობა არსებობდა. ქართველები მკვიდრდებოდნენ სოჭის მიდამოებში (სოჭი, პლასტუნკა, მამაიკა, ნოვია ზარია...), რომელიც მთაგორიანი, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერი იყო. ქართველებით დასახლებულ სოფელს ეძახიან **პლასტუნკას** (აქ არეულობის დროს პლასტუნების პოლკი მდგარა და სახელიც ამის გამო დაერქვა). პლასტუნკა მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. 1888 წელს აქ 70-ზე მეტი კომლი ცხოვრობდა, ცოლო 1897 წელს — 97 ოჯახი. 1921 წელს სოჭში ქართული სკოლა გაიხსნა. 1941 წელს ის პლასტუნკაში გადაიტანეს, რომელმაც იარსება 1969 წლამდე. ამ წელს რუსულ სკოლად გადაკეთდა, სადაც ქართული ენა, როგორც საგანი, ისე ისწავლებოდა.

უკანასკნელი მონაცემებით, დღეს სოჭში (სოჭის რაიონში) 6000-მდე ქართველი ცხოვრობს (ო. მიქიაშვილი, 1994: XIX).

სოფ. პლასტუნკის მიკროტოპონიმი ძირითადად ქართულია. პლასტუნკა ორი უბნისაგან შედგება: ზელუბანი (ზელიბანი/ზერუბანი < ზერუბანი/ზემო პლასტუნკა და ქოლუბანი (<ქველუბანი <ქვერუბანი <ქვერუბანი/ქვემო პლასტუნკა) (იქვე: 103).

სოჭის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველება არ განიცდის ქართული ცოცხალი მეტყველების გავლენას და რუსული ენის უშუალო კონტაქტის პირობებში ვითარდება. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აქაური ქართველები ინარჩუნებენ ქართულ ენას, აქ ახალი დიალექტური ერთეული არ წარმოქმნილა (ვ. თოფურია ქართველთა დიალექტ. შესწ. მდგ.ამოც, ქესს, 1963: 165). იხ.ტ.II - 2002

„დღეს სოჭელ ქართველთა მეტყველება — ესაა არსებითად ერთიანი დასავლურქართული ტიპის დიალექტური მეტყველება, რომელიც ინტონაციური ელფერით, რიგი გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებებით ლეჩხუმურს მოგვაგონებს“ (ო. მიქიაშვილი, 1994: 5).

ენობრივი დახასიათება

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. დასტურდება: უ, ე, ფ,

ბ .

უ < ვ: მოქუცეს, ქუნდა... უ < უ, ო: უარესათ, უნა, რუ არ, ხუ არ... უ ვითარდება ბაგისმიერი ხმოვნების წინ: უორაგული, უოთხი, უოციანია...

ფ < **ი**: კა არ (<კი არ); ფერთი, ფეჭესი...

ძ < **ვ** (ყრუ თანხმოვნების წინ): დაჭკარი, მოჭკრიფაჭოთ, ფსხლავდი...

ც მაგარი შემართვა-დამართვისას ისმის: ცუი, ცაჰ, აც, არაც, მერეც...

ასიმილაცია: **აი** > **ეი**: ეიტანა (< აიტანა), ეილო (< აილო), წევიდა (< წავიდა), წემიყვანეს (< წამიყვანეს)... **აუ** > **ოუ**: ოუყრია (< აუყრია), ოულიათ (< აულიათ)... **აე** > **ეე**: დეეცა (< დაეცა), ჩევეით (< ჩავედით), წევეხმარეთ (< წავეხმარეთ)... **ოი/ოე** > **ეე**: მეიწიეს (< მოიწიეს), მისპო (< მოისპო), მეეცათ (< მოეცათ), გამეეკიდა (< გამოეკიდა)...

დისიმილაცია: **ეა** > **ია**: შიაწუხეფს (< შეაწუხეფს), შიაფხან-იკდენ (< შეამხანაგდენ); **ოა** > **უა**: მუახერხეს (< მოახერხეს), გამუაცხო (< გამოაცხო); **ოე** > **უე**: ღვინუები (< ღვინოები), ეზუფეში (< ეზოებში)...

მეტათეზისი: ნავხავ < ვნახავ, ბანალი < ბალანი, რღმა < ღრმა, გამბული < გაბმული, ქფილი < ფქვილი...

სუბსტიტუცია: **მ** > **ვ**: იზავს < იზამს, ურტყავს < ურტყამს; **მ** > **ნ**: ხენწიფის < ხელმწიფის, ჟოჩანჩირეში < ოჩამჩირეში; **მ** > **ნ**: დეიმძრა < დაინძრა, ამბანს < ამბავს; **ვ** > **ბ**: თებზი < თევზი, ვახსობდი < ვახსოვდი...

ხშირია ბგერის **დაკარგვისა** და **განვითარების** ფაქტები: ი გზა, წვანე, ბიჭემა (< ბიჭებმა), რამდეიმე, თლა... ქორწილი, მაშვინ, ჩინთებით, შევეხვერწე, კამბეჩები, გემბრიელი, ცოტათინ...

სახელთა ბრუნება: თანხმოვანფუძიანი სახელები მიცემითში კარგავენ **-ს** სუფიქსს: ჩამოქვიდებენ მენდალ.

იკარგება ნათესაობითის **-ის** ნიშნის **ს-ც**: ხელი(ს) მოწერა იცის; თოფი(ს) სროლით შემევიდენ. **ა** ხმოვანფუძიანი სახელები სრულად დაირთავენ **-ის** სუფიქსს: ყველე-ის ამბავი, გოგოე-ის შვილები...

წოდებითში თანხმოვანფუძიანი სახელები ზოგჯერ **-ო**-ს დაირთავენ: აბრამ-ო, ფარსადან-ო... შდრ. ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: ვაი, ჩემო დღე; ასთეა ეს, ჩემო მოყვარე...

მრავლობითს აწარმოებს **-ებ** სუფიქსი. **ნარ-თან**იანი უმთავრესად გაქვავებულ ფორმებში გვხვება: საბასანი ამოწყდენ; სულთა შაფათს ეძახიენ...

პირის ნაცვალსახელები: **ისენი, იგინი, იგენი, აგენი... იგენი, იგენმა, იგენის...** ისენი ნაცვალსახელს სხვა ბრუნვებში ენაცვლება: **იმეებმა, იმეებს, იმეების...**

ზმნის თავისებურებები: S₃ პირის ნიშანი მრავლობითში უნიფიცირებულია (**-ენ**): არი-ენ, ჩამოსულ-ენ, იცი-ენ, დეილუპ-ენ, დახოც-ენ...

ხშირად დაცულია **ჰ/-ს-** პრეფიქსები (ფონეტიკური ცვლილებით): გა-ჰ-ყვა, მი-ს-ცეს, მი-ზ-დევს, ყ-ჯობს, შ-ჭირდებათ, ხ-ქვია...

უთემისნიშნო ზმნები გაფორმებულია თემის ნიშნით: წერ-ავ, ტეხ-ავ-ენ, ვკრიფ-ავ-თ, გლიჯ-ავ-ს...

წყვეტილის ფორმებში დასტურდება -ვი დაბოლოება: დავრგე-ვი, ვიყიდე-ვი, დეიდე-ვი...

ფართოდაა გავრცელებული ნა- პრეფიქსიანი ფორმები: ნა-ცხოვრება,, ნა-მალავა, შე-ნა-ძლება, მო-ნა-ვალა, ნა-მუშევარა, მო-ნა-კვტავა...

გვხვდება -არიენ მეშველზმნიანი ფორმები: ყოფილ-არიენ, გად-მოსულ-არიენ, ამდგარ-არიენ, ნაქსოვ-ლარიენ, ნაცინებ-ლარიენ...

სინტაგმა: თანხმოვანფუძიანი ატრუბუტული მსაზღვრელი საზღვრულს სახელობითის ფორმით ეწყობა მოთხრ., მიც. და ვით. ბრუნვებში: ჩემ-ი ძმა-მ, თვილ-ი რძე-ს, თავის-ი შვილ-ათ... მსა-ღვრელი ფუძის სახითაც გვხვდება: ჩემ ძმა-მ, დღევანდელ ღრო-ს შესაფერი...

განსხვავებული კონსტრუქციები: გუთანი სახუნელს უძახით; გაგზდი მე როგორც ჩემი კვიდარე შვილიშვილი...

გარკვეული ტიპის ზმნები II სერიაში ქვემდებარეს მოთხრობითში შეიწყობენ (ნაცვლად სახელობითისა): კოლექტივმა შამევიდა, მიხვდა იმან...

ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობის ნიმუშები: იყო მოსახლეები იქინე; რა იცის მაგენმა; შინ დარჩა მარტვა ქალ-ები... შდრ. აზრობრივი შეთანხმების შემთხვევები: ზოგი ბელელქვეშ იყონ; მოდიენ ხალხი...

ხშირია ნაწილაკი -ყე (-ყენ, -კენ, -კე) ობიექტისა და სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად: მეეწონა-ყე ი საჭმელი; დოჟრიგეს-ყე მიწები... გავზარდე-ყე იგენი; დავბაჟიბე-ყე იგენსო... მოუტანია-ყე იარაღი; კი არ უფიქრია-ყე...

ლექსიკა: სოჭის რაიონში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში დარგობრივი (მშენებლობა, მიწათმოქმედება, მევენახეობა-მეღვინეობა...) ლექსიკა ძირითადად ქართულია.

ზოგი ქართული სიტყვა განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება: **ერბო** — კარაქი, **ბჟიტი** — ბატის წიწილა, **კვატია** — იხვისა და ინდაურის წიწილა, **ჩვენეთი** — სამშობლო, მშობლიური კუთხე.

მრავლადაა **რუსულიდან** ნასესხები სიტყვები: სტოლი, კრაოტი, ტაბურეტკა, სკოროდა, სმეტანა, ვზიატკა... ლიშნი, რაზნი, უჟე, სვი-აზი, იოლკა, ზაოდი... (ო. მიქიაშვილი, 1994: 119-123).

ლიტერატურა

- მ. ალავეძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1938.
- მ. ალავეძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი: ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, ქუთაისი, 1941.
- მ. ალავეძე, მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის: ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, IX, 1949.
- მ. ალავეძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვიერება, თბ., 1951.
- მ. ალავეძე, ოკრიბული ლექსიკონი: ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, X, ქუთაისი, 1950-1951.
- მ. ალავეძე, ქვემოთაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი: ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XVII, ქუთაისი, 1957.
- ა. არაბული, მახვილი ხევისურულ დიალექტში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, 1981.
- ა. არაბული, მესამე ხოლმეობითი ხევისურულში: ზოგადი და იკე-ს საკითხები, თბ., 1978.
- ირ. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974.
- ლ. აღნიაშვილი, სპარსეთი და იქაური ქართველები (მგზავრის წერილები), ტფ., 1896.
- ლ. ბაბლუანი, სვანური ენის ჩოლურული მეტყველების თავისებურებები: XXIII დიალექტოლოგიური კონფერენციის მასალები, თბ., 2003.
- ლ. ბარამიძე, პირველი თურმეობითის წარმოების ზოგი თავისებურება ქართული ენის მთის კილოებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XX, 1977.
- გ. ბედოშვილი, ტოპონიმ სამცხის ისტორიისათვის: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1990.
- თ. ბერაძე, ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან: მაცნე (ისტორიის სერია), №3, თბ., 1976.
- თ. ბერაძე, რაჭა, თბ., 1983.
- გ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.
- გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.
- გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.
- ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს.-პეტერბურგი, 1912.
- მ. ბერიძე, თემის ნიშნები ქართული ენის მესხურ დიალექტში: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.
- მ. ბერიძე, კავშირებითის წარმოების ერთი თავისებურებისათვის მესხურში: საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.
- მ. ბერიძე, ქართული ენის მესხური დიალექტის ფონეტიკის საკითხები (სადიპლომო ნაშრომი), 1982.
- შ. ბერიძე, მეგრული (ივერიული) ენა, შესავალი და მასალები (I წიგნის I ნაკვეთი), ტფ., 1920.
- დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია, ლეჩხუმი, თბ., 1983.
- დ. ბერძენიშვილი, სამცხე: ქსე, IX, თბ., 1985.

- დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ზემო ქართლი, თორი, ჯავახეთი), თბ., 1985.
- ნ. ბეჭაური, გუდამაყრულის თავისებურებანი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XV სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1953.
- გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.
- პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VIII, თბ., 1956.
- პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.
- თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, თბ., 2008.
- ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.
- ი. გივიაშვილი, ი. კობლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004.
- გ. გოგატიშვილი, ფორმატწარმოების ზოგიერთი სტრუქტურული თავისებურებისათვის ფშაურში: საქ. პედ. ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1975.
- თ. გოგოლაური, ფშაური კილოს თავისებურებანი: მაცნე, №3, 1978.
- გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (ს. ჯიქიას გამოკვლევითა და კომენტარებით), წიგნი II, თბ., 1941.
- რ. გუჯეიანი, რ. თოფჩიშვილი, ტ. ფუტკარაძე, ნ. შოშიტაშვილი, გ. ჭეიშვილი, ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი, ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XII, ქუთაისი, 2008.
- ე. დადიანი, ნეიტრალური გ ბგერის დისტრიბუციისათვის მეგრულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბ., 2007.
- ე. დადიანი, არქაული ზმნური ფორმები იმერხეულში, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. II, თბ., 2010.
- ე. დადიანი, ფონეტიკური პროცესები ტაოურსი — I (ბგერათა დაკარგვა), ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ჟურნ. წელიწადეული, ტ. III, 2011.
- ე. დადიანი, თურქული კალკირებული შესიტყვებანი იმერხეულში, საერთაშორისო სიმპოზიუმის “კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია“ მასალები, თბ., 2012.
- ე. დადიანი, გ. ქამუშაძე, ქართული ენის ტაოური დიალექტის ზოგი სინტაქსური თავისებურება, ჟურნ. განათლება, №4, 2012.
- ე. დადიანი, ზოგი ლექსიკური ერთეულის სემანტიკური ცვლილებისათვის ტაოურში, ილია ჭავჭავაძის სახ. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ჟურნ. წელიწადეული, ტ. III, 2013.
- კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, თბ., 1991.
- კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, შემდგენლები: რ. ამირეჯიბი-მალენი, ნ. დანელია, ი. დუნდუა, , თბ., 2006.
- გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

- ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.
- პ. ზაქარაია, სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIII-ჯ, 1962.
- ზ. თანდილავა, ც. ნარაკიძე, ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულ დიალექტში: აჭარული დიალექტური ლექსიკა, V, თბ., 1986
- ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წ., პარიზი, 1938.
- ე. თაყაიშვილი, 1917 წლის ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, 1960.
- მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, II, თბ., 1975.
- ვ. თოფურია, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართული დიალექტების მიხედვით: "ჩვენი მეცნიერება", ტფ., 1923.
- ვ. თოფურია, ქართლური, არილი, ტფილისი, 1925.
- ვ. თოფურია, კვლავ უმლაუტისათვის სვანურში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, ტფ., 1928.
- ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, №, 1936.
- ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნების სისტემასთან მიმართებით: საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, V(3), 1944.
- ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954.
- ვ. თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.
- ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963.
- ვ. თოფურია, გარდამავალი დიალექტის საკითხისათვის სვანურში კილოების მონაცემთა მიხედვით: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 114, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, თბ., 1965.
- ვ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა: შრომები, ტ. I, თბ., 1967.
- ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: შრომები, ტ. III, თბ., 1979.
- ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
- რ. თოფჩიშვილი, მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხი: მაცნე (ისტორიის სერია), №2, 1985.
- რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2002.
- ვ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმია, თბ., 1971.
- გრ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, №4, თბ., 1952.

- გრ. იმნაიშვილი, უძლავთი ინგილოურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, თბ., 1953.
- გრ. იმნაიშვილი, ზოგიერთი დროის წარმოება ინგილოურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, თბ., 1954.
- გრ. იმნაიშვილი, ბორჯობის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, №8, თბ., 1956.
- გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტის ნაირსახეობანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, №9-10, თბ., 1958.
- გრ. იმნაიშვილი, ინგილოურის მთავარი სინტაქსური თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, თბ., 1959.
- გრ. იმნაიშვილი, ქვემოქართლურის ზოგიერთი თავისებურებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1961.
- გრ. იმნაიშვილი, ინგილოურის ბგერითი შედგენილობა: ქართველურ ენათა სტრუქტური საკითხები, ტ. III, თბ., 1963.
- გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ: მაცნე (ენა-ლიტერატურის სერია, №6, 1966.
- გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.
- გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.
- ნ. იმნაძე, ზანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა, თბ., 1981.
- პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
- ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.
- ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბ., 1978.
- ს. კაკაბაძე, ქართული სახელწოდებრიობის გენეზისის საკითხები: საისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფ., 1924.
- კ. კაკიტაძე, ქართული ენის ლეჩხუმური დიალექტი (რაჭულთან და იმერულთან მიმართებით), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1987.
- გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბ., 1972.
- გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2004.
- ო. კახაძე, ატენისა და წედისის ქართლური, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, №4, თბ., 1952.
- ო. კახაძე, ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბ., 1953.
- ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბ., 1954.
- ო. კახაძე, ხმოვანთა ასიმილაციის ზოგიერთი საკითხის თაობაზე ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული, VIII, 1981.
- ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, თბ., 1974.
- ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსულიდან: ჟურნ. ხერთვისი, 2005, №1.

- გ. კვერენჩილაძე, კაუზატივის წარმოებისათვის გურულში: თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, თბ., 1941.
- ნ. კიზირია, ჭანურის ბგერითი შედგენილობა, თბ., 1980.
- მ. კობაიძე, მთიულური დიალექტის ზოგიერთი თავისებურება (სადიპლომო ნაშრომი), თბ., 1982.
- მ. კობაიძე, მახვილი ქართული ენის მთიულურ დიალექტში და ხმოვანთა სისტემის ჩამოყალიბების ზოგიერთი საკითხი: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.
- მ. კობაიძე, ბრძანებითი კილო მთიულურ დიალექტში: საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.
- ა. კობახიძე, კინოზოოლოგიის წარმოება რაჭულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIII, 1962.
- ა. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.
- კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XIX, ქუთაისი, 1959.
- კ. კუბლაშვილი, დიფთონგიზაცია აჭარულში: ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XXIV, ქუთაისი, 1962.
- კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.
- ვ. კუზიბაბაშვილი, ხმოვანთა სისტემა ინგილოურში: მაცნე (ენსლოტერატურის სერია), №4, თბ., 1991.
- ვ. კუზიბაბაშვილი, ტ. ფუტყარაძე, მესხურ და ჰერულ დიალექტთა ადგილისათვის ქართველურ სამეტყველო კოდთა სისტემაში: ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, I, ახალციხე, 2002.
- გ. კურდღელაძე, თუშეთი, თბ., 1983.
- ლ. ლეჟავა, შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, №14, თბ., 1964.
- ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბ., 1987.
- ქ. ლომთაძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის გურულსა და აჭარულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბ., 1938.
- შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.
- ი. მაისურაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში: გორის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1942.
- ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930.
- ს. მაკალათია, მთის რაჭა, ტფ., 1930 (მეორე გამოცემა — 1987).
- ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983.
- ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984.
- ს. მაკალათია, ფშავი, თბ., 1985.
- ა. მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: ა. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, თბ., 1950.
- ა. მარტიროსოვი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, №4, თბ., 1952.

- ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
- ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984.
- გ. მაჭავარიანი, ხმოვანთა სისტემის დახასიათებისათვის სვანურში (ბალსზემოური დიალექტის მიხედვით): თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 96, თბ., 1963.
- მ. მაჭავარიანი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურება: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXIII, თბ., 1985.
- ი. მეგრელიძე, მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში : თსუ შრომები, ტ. VI, 1938.
- გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1965.
- ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
- მ. მიქაუტაძე, ე. დადიანი, ფონემატური სტრუქტურის ზოგიერთი საკითხისათვის იმერხეულში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე “ენა როგორც კულტურათაშორისი მედიატორი“ წაკითხული მოხსენებების კრებული, ქუთაისი, 2010.
- ო. მიქიაშვილი, სოჭელი ქართველები და მათი მეტყველება, თბ., 1994.
- დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980.
- ც. ნარაკიძე, ლაზური სალექსიკონო მასალა: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, 1987.
- ე. ნიკოლეიშვილი, გურული და იმერხეული ლექსიკის ურთიერთმიმართებისათვის: ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999.
- მ. ნიკოლეიშვილი, ხმოვანთა რედუქციის სტრუქტურული ანალიზი (სვანური ენის ბალსზემოური დიალექტის მასალაზე), თბ., 1984.
- შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
- შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.
- შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.
- ბ. ნიჟარაძე, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2007.
- ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტური მასალები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVII, თბ., 1970.
- ლ. ნოზაძე, კავშირებითის ფორმათა წარმოებისათვის ზემოიმერულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXV, თბ., 1986.
- ჯ. ნოლაიდელი, აჭარული კილოს თავისებურებანი: ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, ბათუმი, 1941.
- ჯ. ნოლაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ნარკვევები და ჩანაწერები, II: ლექსიკოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972.
- ა. ონიანი, გრძელი ხმოვნების საკითხისათვის სვანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIII, თბ., 1962.

- ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.
- ა. ონიანი, სვანური ვოკალიზმის ზოგი საკითხი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXV, თბ., 1986.
- ა. ონიანი, სვანური ენა, თბ., 1998.
- თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.
- თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972.
- ს. ჟღენტი, გურული კილო, ტფ., 1936.
- ს. ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბ., 1940.
- ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949.
- ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953
- ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, თბ., 1960.
- გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვებები ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბ., 1953.
- ნ. როსტიაშვილი, ინგილოურის ძირითადი თავისებურებანი სოფელ კაკის მეტყველების მიხედვით: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებ., №8, 1958.
- ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.
- თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბ., 1978.
- სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, თბ., 1939.
- ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წიგნი I, თბ., 1958.
- ი. სიხარულიძე, ნიგალი (ლივანა): საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათუმი, 1988.
- ვ. სომხიშვილი, ქსნის ხეობის მეტყველება, ცხინვალი, 1968.
- ნ. სურმავა, სიტყვაწარმოების ზოგიერთი თავისებურება აჭარულში: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბ., 1986.
- ნ. სურმავა, კირნათ-მარადიდული მეტყველების ერთი თავისებურების შესახებ: იკე, ტ. XXIX, 1990.
- ნ. სურმავა, კირნათ-მარადიდული მეტყველების სინტაქსური თავისებურებანი: დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1991.
- ს. ტყემელაშვილი, თანხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაციისათვის ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2006.
- თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.
- თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966.
- თ. უთურგაიძე, კითხვითი -ა და -მე ნაწილაკები ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XV, თბ., 1966.
- თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXI, თბ., 1979.
- თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში (ქართული ენის კახური დი-

ალექტის ფერეიდნული კილოკავის მასალაზე): ქართველურენათასტრუქტურის საკითხები, V, თბ., 1981.

თ. უთურგაძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული ტექსტები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXIII, თბ., 1985.

თ. ურიდია, მეგრულის სინტაქსური თავისებურებანი ქართულთან მიმართებით: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 93, თბ., 1960.

ვ. ფანჩვიძე, ქართული ენის იმერული კილო (საკანდიდატო დისერტაციის თეზისები), თბ., 1938. ვ. ფანჩვიძე, მრ. რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში იმერული კილოს მიხედვით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VI, №10, თბ., 1945.

მ. ფალავა, მ. ცინცაძე, სამხრული დიალექტების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება V-XVII სს. სამწერლობო ენასთან მიმართებით: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, თბ., 1998.

მ. ფალავა, უმლაუტისამხრულკილოებში: საენათმეცნიერო ძიებანი, XV, თბ., 2003.

მ. ფალავა, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, ავტორეფერატი, 2004.

მ. ფალავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარიძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები: ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV, ბათუმი, 2005.

ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტომოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990 (I გამოც.), 2000 (II გამოც.).

ლ. ფრუიძე, რაჭა ეთნოგრაფის თვალთ, თბ., 1986.

ტ. ფუტყარაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (აჭარულში, გურულში, მესხურ-ჯავახურსა და იმერხეულში): აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, თბ., 1987.

ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.

ტ. ფუტყარაძე, ვაჟა-ფშაველა ქართული სამწიგნობრო ენისა, ანბანისა და ქართველური დიალექტური ლექსიკის შესახებ: კრებ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XV, ქუთაისი, 2011.

ტ. ფუტყარაძე, ი. ვაშაკიძე, ილია ჭავჭავაძის ენობრივი კონცეფციის ძირითადი ასპექტები: კრებ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XVI, ქუთაისი, 2012.

ტ. ფუტყარაძე, დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენა: კრებ. ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XVIII, ქუთაისი, 2014.

შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

შ. ფუტყარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995.

შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების ლინგვისტური ანალიზი, წიგნი მეორე, ბათუმი, 2016.

- გ. ქავთარაძე, იბერიის სამეფოს “ასეობის არსი“ ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით: მნათობი, №7-8, 2003.
- ი. ქავთარაძე, მოხეური კილო ყაზბეგის ენაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXV-ჯ, 1949.
- ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, I: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963;
- ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, II: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974;
- ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.
- ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, III (იმერული ლექსიკონის მასალები): იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXV, 1986.
- მ. ქალდანი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის თავისებურებანი, თბ., 1955.
- მ. ქალდანი, სვანური ენის ბალსქვემოური კილოს ეცერული თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X, თბ., 1958.
- მ. ქალდანი, სვანური ენის ჩუბხეური მეტყველების თავისებურებანი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, თბ., 1959.
- მ. ქალდანი, სვანური ენის ლენტეხური კილოს ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
- მ. ქალდანი, სვანური ენის ბეჩოური კილოკავის თავისებურებები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIII, თბ., 1962.
- მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ/-შ სუფიქსის საკითხისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963.
- მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, თბ., 1969.
- მ. ქამადაძე, სუფიქსური წარმოება ზემო აჭარის ტოპონიმიში: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, თბ., 1987.
- ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა), თბ., ტ. I-II - 1955, ტ. IV - 1973.
- ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2001-2002, 2009
- ნ. ქუთელია, ლაზური ვოკალიზმი: მაცნე (ენა-ლიტერატურის სერია), №2, 1980.
- ნ. ქუთელია, ჰანურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005.
- რ. ღამბაშიძე, ინგილოური კილო (ტექსტები): თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX-XXXI-ჯ, თბ., 1947.
- რ. ღამბაშიძე, მყოფადის წრის მწკრივთა წარმოება ინგილოურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.67, თბ., 1957.
- ა. ღლონტი, ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისათვის გურულში: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, ტფ., 1936.
- გ. შალამბერიძე, კახური დიალექტის თავისებურებანი ყვარლის მეტყველების მიხედვით: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, №7, 1955.
- ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931.
- ა. შანიძე, ქართველ- ფუძის ეტიმოლოგიისათვის: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, თბ., 1980.

- ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში: თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981.
- ა. შანიძე, ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში: თხზ.12 ტომად, ტ. II, თბ., 1981.
- ა. შანიძე, უძველესი სვანურში: თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981.
- ზ. შარაშენიძე, ფერეიდნელი გურჯები, თბ., 1979.
- ზ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბ., 1969.
- გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, 1938.
- თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955.
- თ. შარაძენიძე, სვანური ენის ლატალური კილოკავის ზოგიერთი თავისებურება: XVII, თბ., 1970.
- თ. შარაძენიძე, სვანური ენა: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადი, XII, თბ., 1985.
- მ. შაჰინი, მაჭახლური თქმანი: ჟურნ. ხერთვისი, 2005, №1.
- გ. ჩანგაშვილი, საინგილო, თბ., 1970.
- ი. ჩანტლაძე, ნათესაობითი ბრუნვა და ეკონომიურობის პრინციპი ქართველურ ენებში: ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1998.
- არნ. ჩიქობავა, ვ-ინის რეფლექსები ფერეიდნულში: ჩვენამეცნიერება, 2-3, ტფ., 1923.
- არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისი: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადი, I-II, ტფ., 1923-24.
- არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 4, 1924.
- არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, ტფ., 1925.
- არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, ტფ., 1927.
- არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.
- არნ. ჩიქობავა, ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში: ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შრომები, I, 1937.
- არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, II (1), 1937.
- არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
- თ. ჩიქოვანი, ჯავახეთი, თბ., 1982.
- მ. ჩიქოვანი, ხმოვანთა ზოგიერთი თავისებურება ლეჩხუმურში: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, თბ., 1936.
- მ. ჩიქოვანი, ლეჩხუმური ლექსიკა: ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1941.
- თ. ჩიქოვანი, მესხეთი, თბ., 1979.

- მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.
- მ. ჩუხუა, ზოგიერთი ანთროპონიმის წარმომავლობისათვის ქართველურ დიალექტებში; XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თელავი, 2003
- ს. ჩხენკელი, ყიზლარ-მოზდოკური ქართული (მიმოხილვა, ტექსტები): ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, V, ტფ., 1936.
- დ. ჩხუბიანიშვილი, ფერეიდნულის შესწავლის ზოგი ასპექტი, არნ. ჩიქობავასადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.
- დ. ჩხუბიანიშვილი, ენობრივი დიფერენციაციისათვის ფერეიდნულში, ქუთაისური საუბრები, VI, ქუთაისი, 1999.
- დ. ჩხუბიანიშვილი, ქვემო ფერეიდნულის ზოგი თავისებურება (სოფ. დაშქესანას მონაცემების მიხედვით): XXII დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ., 2002.
- დ. ჩხუბიანიშვილი, ნაცვალსახელის ზოგი სახეობისათვის ქვემო ფერეიდნულში: XXIV დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ., 2004.
- თ. ცაგარეიშვილი, ფერეიდნელები საქართველოში, თბ., 1981.
- ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000.
- ნ. ცეცხლაძე, ქართულ-თურქული ურთიერთობის ასახვა შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიაში, ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002.
- ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტყარაძე, შავშეთ-იმერხევის ანთროპონიმური წარმომავლობის ტოპონიმები: ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002.
- მ. ცინცაძე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი: ბათუმის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1954.
- მ. ცინცაძე, მ. ფალავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.), ბათუმი, 1998.
- მ. ცინცაძე, ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, 2001.
- გ. ცოცანიძე, თუშური ხოლმეობითის შესახებ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XVII, თბ., 1970.
- გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.
- გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987.
- პ. ცხადაია, ქართველური ენების დასავლური არეალი (კოლხური ანუ ზანური), თბ., 1999.
- პ. ცხადაია, ათასი მეგრული ტოპონიმი, თბ., 2005.
- შ. ძიძიგური, კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველესი ქართულის მესამე პირის სუბიექტური სუფიქსის პრობლემასთან დაკავშირებით: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, 1940.
- შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი: ენიმკი-ს მოამბე, X, თბ., 1941.

- შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946.
- შ. ძიძიგური, ქართული დიალექტური ძიებანი, თბ., 1970.
- მ. ძიძიშვილი, გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X, თბ., 1958.
- ქ. ძოწენიძე, უნიფიკაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიმერულ კილოკავში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბ., 1964.
- ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი (ენობრივი მიმოხილვა და ტექსტები), თბ., 1973.
- პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.
- ა. ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1951.
- ა. ჭელიძე, ექვსი წელი სპარსეთში, თბ., 1964.
- რ. ჭელიძე, შ. ჭელიძე, რაჭა, თბ., 1971.
- ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
- ა. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969.
- ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.
- გ. ჭიპაშვილი, ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1963.
- მ. ხუბუა, ზემოაჭარული ენობრივი მიმოხილვა, ბათუმი, 1932.
- მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.
- პ. ხუბუტია, წ ნაწილაკისათვის მთათუშურში: ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X, თბ., 1941.
- მ. ხუბუა, სპარსული წარმოშობის სიტყვები მეგრულში: საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 6, №9, 1945.
- პ. ხუბუტია, თუშური კილო (ლექსიკა), თბ., 1969.
- ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1908.
- ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფ., 1919.
- მ. ჯანაშვილი, საინგილო, “ძველი საქართველო“, ტ. II, ტფ., 1911-1913.
- ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები: შრომები, III, თბ., 1959.
- პ. ჯაჭანიძე, ვახანურას ხეობის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, ქუთაისი, 1949.
- პ. ჯაჭანიძე, მასალები იმერული კილოს ლექსიკონისათვის, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, IX — 1949; X — 1950-1951.
- პ. ჯაჭანიძე, ხოლმეობითის გადმონაშთებისათვის გურულში, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XIII, თბ., 1955.
- პ. ჯაჭანიძე, გურული კილოს მორფოლოგიის საკითხები: ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XV, თბ., 1956.
- პ. ჯაჭანიძე, ნაწევარი გურულსა და აჭარულში: ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XVIII, თბ., 1958.

- პ. ჯაჯანიძე, აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XXII, ქუთაისი, 1960.
- პ. ჯაჯანიძე, აჭარული ლექსიკონის მასალები: ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XXIII, ქუთაისი, 1961.
- პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტის ფონეტიკის საკითხები, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XXXI, თბ., 1968.
- პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბ., 1977.
- ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, ტფ., 1913.
- ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 1. თურქული ლექსიკური კალკები ლაზურში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 108, თბ., 1964.
- ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 2. თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში: კრებ. "ორიონი", აკაკი შანიძეს, თბ., 1967.
- ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 4. თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 164, თბ., 1975.
- ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.
- К. Дондуа, Месхский говор грузинского языка, რჩეული ნაშრომები, I თბ., 1967.
- В. Джангидзе, Ингилойский диалект в Азербайджане, Тб., 1978.
- О. Каджаиа, Мохевский диалект грузинского языка, Автореферат канд. диссертации, Тб., 1954.
- А. Кизириа, Занский язык, Языки народов СССР, VI, Москва, 1967.
- И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.П., 1914: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
- Г. Климов, Аномалии эргативности в лазском (чанском) языке, Москва, 1976.
- Г. Климов, Мегрельский язык, Лингвистический словарь, Москва, Советская Энциклопедия, 1990.
- Н. Марр, Основные таблицы... СПб, 1908.
- Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Пб., 1910.
- Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. Георгий Мерчул Житие Св. Григория Хандзтийского, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, С.-Петербург, 1911.
- А. Цагарели, Мингрельские Этюды, 1, Мингрельские тексты с переводом и объяснениями. С.П., 1880.
- А. Цагарели, Мингрельские Этюды, 2, Опыт фонетики Мингрельского языка. С.П., 1880.